

არკადი და ბორის
სტრუგაცკები

დასახლებული
კუნძული

არკადი და ბორის სტრუგაცკები

დასახლებული კუნძული

თარგმნა ნანა მიქავამ

ანიკელი და ბორის

სტრუგაცკები

დასახლებული კუნძული

პირველი ნაწილი

რობინზონი

პირველი თავი

მაქსიმმა ლიუკი გამოაღო, თავი გამოყო და შიშით ახედა ცას. ცა დაბალი და უცნაურად მკვრივი ჩანდა, ის მსუბუქი გამჭვირვალობა აკლდა, რომელიც ადამიანს მიანიშნებს უკიდეგანო კოსმოსზე და უამრავ დასახლებულ სამყაროზე, ნამდვილი ბიბლიური სიმკვრივე, გლუვი და უკუნეთი. იგი აშკარად ადგილობრივი ათლანტის მძლავრ მხრებს ეყრდნობოდა და თანაბრად ფოსფორესცირებდა. მაქსიმი შეეცადა ზენიტში ხომალდის მიერ გაპობილი ადგილი მოეძებნა, მაგრამ იქ მხოლოდ ორი შავი ლაქა ისე გადღაბნილიყო, თითქოს წყალში ტუში ჩაუწვეთებიათო. მან ფართოდ გააღო ლიუკი და მაღალ ხმელ ბალახზე გადმოხტა.

ცხელი და მძიმე ჰაერი მტვრის, ძველი რკინისა და გასრესილი მცენარეების სუნით, სიცოცხლის სუნით გაჟღენთილიყო. სიკვდილის სუნიც ტრიალებდა. უხსოვარი და იდუმალი სიკვდილისა. ბალახი მაქსიმს წელამდე სწვდებოდა. შორიახლოს დაბურული ჯაგნარი და საცოდავად ჩამომხმარი და დაკორძილი ხეები მოჩანდა. იქაურობა ისე იყო განათებული, როგორც დედამიწა მთვარიან ღამეს. მაგრამ მთვარის ჩრდილები და ცისფერი ნისლი არ ჩანდა. ყველაფერი უფერული, მტვრიანი, ბრტყელი იყო. ხომალდი დამრეცკედლებიან უზარმაზარ ტაფობში იდგა. ადგილმდებარეობა შესამჩნევად მაღლდებოდა ჩამორეცხილი, ბუნდოვანი ჰორიზონტისკენ და ეს მით უმეტეს უცნაური იყო, რადგან სადღაც ახლოს მდინარე მიედინებოდა, დიდი და მდორე, მიედინებოდა აღმა დასავლეთისაკენ ფერდობის აყოლებით.

მაქსიმმა ხომალდს შემოუარა, ცივ, ოდნავ სველ კედლებს გადაუსვა ხელი. დაზიანებული ადგილი მოსინჯა სწორედ იქ, სადაც მოელოდა. ღრმა, საეჭვოდ შეჭყლეტილი ადგილი ინდიკატორის რგოლს ქვემოთ - მოულოდნელი ბიძგის კვალი, თვითმფრინავი ზევით რომ შეაგდო და მერე გვერდზე დაანარცხა, ისე, რომ კიბერ-პილოტი გაბრაზდა და მაქსიმს მოუხდა მართვის ჩამორთმევა, ნაკბილი მარჯვენა გუგასთან კი ათი წამის შემდეგ გაჩნდა, როცა

ხომალდი ცხვირით დაენარცხა და მთლად დაიგრიხა. მაქსიმმა კვლავ გახედა ზენიტს. ახლა ძლივს ჩანდა შავი ლაქები. მეტეორიტული იერიში სტრატოსფეროში, ალბათობა - ნული მთელი ნულ-ნული... მაგრამ ყოველგვარი დასაშვები მოვლენა ხომ ოდესმე უნდა ახდეს.

მაქსიმი კაბინაში შებრუნდა, მართვა ავტორემონტზე გადართო, ექსპრესლაბორატორია აამუშავა და მდინარისკენ წავიდა. საინტერესო შემთხვევაა, მაგრამ მაინც რუტინაა, მოწყენილობა. ჩვენთან თავისუფალი ძიების ჯგუფში თავგადასავლებიც რუტინისებურია: მეტეორიტული შეტევა, სხივური შეტევა, ავარია დაშვების დროს. ავარია დაშვების დროს, მეტეორიტული შეტევა, სხივური შეტევა... სხეულის დაზიანება.

მაღალი ხისტი ბალახი ფეხქვეშ შრიალებდა და ტკაცუნობდა, ჩხვლეტია თესლები შორტებში ესობოდა. ზუზუნით შემოესია რაღაც ქინქლის ღრუბელი, ცხვირწინ უტრიალა და მოეშვა. „უფროს, სოლიდურ ხალხს არაფერი ესაქმება თავისუფალი ძიების ჯგუფში. მათ თავიანთი დიდი, სოლიდური საქმეები აქვთ და იციან, რომ მთელი ეს უცხო პლანეტები არსებითად საკმაოდ ერთფეროვანი და მომქანცველია. ერთფეროვან-მომქანცველი. მომქანცველ-ერთფეროვანი... რა თქმა უნდა, თუ ოცი წლისა ხარ, დიდი არაფერი გეხერხება, თუ ხეირიანად არც კი იცი, რა გინდა გეხერხებოდეს, თუ ჯერაც არ გისწავლია შენი მთავარი საკუთრების - დროის დაფასება, თუ არა გაქვს და არც მოსალოდნელია გექნეს რაიმე განსაკუთრებული ნიჭი, თუ შენი არსების დომინანტად ოცი წლის ასაკში, ისევე, როგორც ათი წლის წინათ, თავი კი არა, ხელ-ფეხი რჩება, თუ იმდენად პრიმიტიული ხარ, რომ გგონია, თითქოს უცნობ პლანეტებზე შეიძლება დედამიწაზე უფრო ღირებული რაღაც აღმოაჩინო, თუკი, თუკი, თუკი... მაშინ... რა თქმა უნდა. მაშინ აიღე კატალოგი, გადაშალე ნებისმიერ ფურცელზე, თითი დაადე ნებისმიერ წერტილს და გაფრინდი. აღმოაჩინე პლანეტა, უწოდე საკუთარი სახელი, განსაზღვრე ფიზიკური თვისებები, შეებრძოლე ურჩხულებს, თუკი შეხვდები, დაამყარე კონტაქტები, თუ ვინმე აღმოაჩინე, ირობინზონე ცოტ-ცოტა, თუ ვერავის აღმოაჩენ... და შეიძლება ყველაფერმა ამაოდ არ ჩაგიაროს, მადლობა გითხრან, აღნიშნონ შენი რაღაც წვლილი, ვინმე თვალსაჩინო სპეციალისტი გამოგიძახებს დეტალური საუბრისათვის... მოსწავლეები, განსაკუთრებით ჩამორჩენილნი და აუცილებლად უმცროსი კლასებისა, კრძალვით დაგიწყებენ ცქერას, მაგ-

რამ მასწავლებელი შეხვედრისას მხოლოდ ამას გკითხავს: „ჯერ კიდევ თავისუფალი ძიების ჯგუფში ხარ?“ - და სხვა თემაზე გადაიტანს საუბარს დამნაშავის ნაღვლიანი სახით, რადგან თავის დანაშაულად მიიჩნევს იმას, რომ შენ ჯერ კიდევ თავისუფალი ძიების ჯგუფში ხარ. მამას კი აღმოხდება: „ჰმ...“ - და გაუბედავად შემოგთავაზებს ლაბორანტის ადგილს, ხოლო დედა იტყვის: „მაქსიკ, შენ ხომ ურიგოდ არ ხატავდი ბავშვობაში...“ პეტერი იტყვის: „როდემდე შეიძლება? კმარა სირცხვილის ჭამა...“ ხოლო ჯენი იტყვის: „გაიცანი, ეს ჩემი ქმარია“, და ყველა მართალი იქნება, შენს გარდა, და შენ დაბრუნდები თავისუფალი ძიების ჯგუფის სამმართველოში, შეეცდები არ უყურო ორ შენნაირ ბენტერას, მეზობელ სტელაჟთან კატალოგებში რომ იქექება, აიღებ მორიგ ტომს, ალალბედზე გადაშლი გვერდს და თითს დაადებ...“

სანამ ხრამით მდინარისაკენ დაეშვებოდა, უკან მოიხედა. ბალახი კვლავ სწორდებოდა, ცის ფონზე შავად მოჩანდა დაკორძილი ხეები და ღია ლიუკის პატარა ხვრელი. ყველაფერი ძალზე ჩვეულებრივად იყო. „რა გაეწყობა, - თქვა თავისთვის, - იყოს... კარგი იქნებოდა, მაღალი ცივილიზაცია აღმომეჩინა, ძველი და ბრძნული. და ადამიანური...“ იგი წყლისკენ დაეშვა.

მდინარე მართლაც დიდი იყო, მდორე, და ნათლად ჩანდა, რომ აღმოსავლეთიდან ეშვებოდა და მაღლა მიიწევდა დასავლეთისაკენ. რეფრაქცია კი აქ მართლაც საოცარია... ჩანდა, რომ მეორე ნაპირი დამრეცია და ლაქაშებს დაუფარავს, ხოლო მდინარის აღმა ერთ კილომეტრზე წყლიდან ამოჩრილა რაღაც ბოძები და მრუდე დირეები, ხვიარა მცენარეებით დაბარდნილი, ცხაურიანი წამწეები. „ცივილიზაცია“, - უხალისოდ გაიფიქრა. ირგვლივ რკინა და კიდევ რაღაც არასასიამოვნო, სულის შემხუთავი იგრძნობოდა. როცა მაქსიმმა პეშვით წყალი ამოიღო, მიხვდა, რომ ეს რადიაციაა, საკმაოდ ძლიერი და ავის მაუწყებელი. მდინარეს აღმოსავლეთიდან მოჰქონდა რადიოაქტიური ნივთიერებანი და მაქსიმისათვის ნათელი გახდა, რომ ეს ცივილიზაცია საინტერესოს არაფერს აუწყებდა, რომ ეს ისევ არ იყო ის, რასაც ეძებდა, რომ სჯობდა საერთოდ არ ეფიქრა კონტაქტზე. უბრალოდ სტანდარტული ანალიზები გაეკეთებინა, შეუმჩნევლად ერთი-ორჯერ შემოეფრინა პლანეტისათვის ეკვატორის გაყოლებით და გუდა-ნაბადი აეკრა, შემდეგ კი დედამიწაზე გადაეცა მასალები სერიოზული, მრავლისმომსწრე ძიაკაცებისათვის გალაქტიკური უშიშროების საბჭოში და ყველაფერი რაც შეიძლება მალე მიეცა დავიწ-

ყებისათვის...

ყველაფერი დავიწყებისათვის მიეცა...

თითები ზიზღით დაიფერთხა და ქვიშას შეაწმინდა, შემდეგ ჩაცუცქდა და ჩაფიქრდა. შეეცადა წარმოედგინა ამ პლანეტის, აშკარად უბედური პლანეტის მკვიდრნი. სადღაც ტყეებს იქით ქალაქი იყო, მოუწყობელი ქალაქი: ბინძური ქარხნები, მოცვეთილი რეაქტორები, მდინარეს რომ აყოლებენ ნაგავს, რკინის სახურავებიანი ულაზათო უცნაური სახლები - ბევრი კედელი და ცოტა ფანჯარა, სახლებს შორის ბინძური ადგილები, სადაც ნარჩენები და შინაური ცხოველების მძორები ყრია, ქალაქს შემოვლებული დიდი თხრილი და ასაწევი ხიდები... თუმცა არა, ეს რეაქტორებამდე იყო. და ადამიანები... შეეცადა წარმოედგინა ისინი, მაგრამ ვერ შეძლო. ისღა იცოდა, რომ ძალიან ბევრი ეცვათ, ხამ სქელ ქსოვილში შეფუთულებს მაღალი თეთრი საყელოები ნიკაპს უხეხავდათ. შემდეგ კვალი შენიშნა ქვიშაზე.

ეს შიშველი ფეხების ნაკვალევი იყო. ვიღაც ხრამიდან ჩამოსულიყო და მდინარეში შეეტოპა, ეტყობა, ის ვიღაც დიდ ფართოტერფებიანი, მძიმე, ფეხმრუდი, მოუხეშავი კაცი - უდავოდ ჰუმანოიდი იყო, რომელსაც ფეხებზე ექვს-ექვსი თითი ჰქონდა. ეს ვიღაცა კვნესითა და ხვნეშით ჩამოხოხდა ხრამიდან, ქვიშაზე კოჭლობით გაიარა, რადიოაქტიურ წყალში ჩაყურყუმელავდა და ფრუტუნითა და ფთხვინვით მეორე ნაპირისაკენ, ლაქაშებისკენ გაცურა. თეთრი საყელო კი არც მოუხსნია...

გარემო გაანათა მკაფიო ცისფერმა ალმა, თითქოს იელვაო, და ხრამზე მაშინვე გაისმა გრუხუნი, რაღაც აშიშინდა, ამას მოჰყვა ცეცხლის ტკაცუნი. მაქსიმი წამოხტა. ხრამიდან მშრალი მიწა ცვიოდა. რაღაცამ სახიფათო წივილით გადაიქროლა ცაში, შუა მდინარეში ჩავარდა და თეთრი ორთქლისა და შხეფების კორიანტელი დააყენა. მაქსიმმა ხრამი აირბინა. ის მიმხვდარიყო, რაც მოხდა, მაგრამ ვერ გაეგო, რატომ, და არც გაჰკვირვებია, როცა დაინახა, რომ იქ, სადაც სულ ახლახან ხომალდი იდგა, ბოძად აღმართულიყო გავარვარებული კვამლი და გიგანტურ შტოპორად მიიწევდა მკვრივი ცისაკენ რომელიც ისევ ფოსფორესცირებდა. ხომალდი გამსკდარიყო, კერამიტის ნაჭუჭი იისფრად გიზგიზებდა, ირგვლივ მხიარული ტკაცუნით იწვოდა ხმელი ჯაგნარი და კვამლისფერი ალი ედებოდა დაკორძილ ხეებს. მაქსიმს ცეცხლი ცხვირ-პირში სცემდა, სახეზე ხელი აიფარა და ხრამის გასწვრივ ერთი ნაბი-

ჯით უკან დაიხია, შემდეგ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა უკან, კიდევ და კიდევ... უკან-უკან მიდიოდა და აცრემლებულ თვალებს ვერ აშორებდა მეწამულ და მწვანე ნაპერწკლებად გადმოღვრილ მცხუნვარე ჩირაღდნის საოცარ სილამაზეს, ამ უეცარ ვულკანს, თავაწყვეტილი ენერგიის უაზრო მძვინვარებას.

„აბა, რა იქნებოდა... - დაბნეული ფიქრობდა იგი. - მოვიდა დიდი მაიმუნი, ხედავს, არა ვარ, ხომალდში ჩაძვრა, ბანი ასწია - მე არ ვიცი, როგორ ხდება ეს, მან კი მოიფიქრა, მოსაზრებული მაიმუნი იყო, ექვსთათიანი, მოკლედ, ასწია ბანი, რა არის ხომალდებში ბანქვეშ? ერთი სიტყვით, იპოვა აკუმულატორები, აიღო დიდი ქვა და თრაახ!... ძალიან დიდი ქვა, სამტონიანი - მოიქნია და... ისეთი ვეებერთელა მაიმუნი იყო! მოუღო კიდეც ბოლო ჩემს ხომალდს თავისი ლოდებით - ორჯერ სტრატოსფეროში და აი აქ... გასაოცარი ამბავია... ასეთი რამ, ვგონებ, არასოდეს მომხდა რაკი მაგრამ, რა ვქნა ახლა? ალბათ მალე მომაკითხავენ, მაგრამ არა მგონია იფიქრონ, რომ ასეთი რამ შესაძლებელია: ხომალდი დაიღუპოს, პილოტი კი უვნებელი დარჩეს... რა მეშველება? დედა... მამა... მასწავლებელი...“

ხანძარს ზურგი აქცია და წავიდა. სწრაფად მიაბიჯებდა მდინარის პირას; ირგვლივ ყველაფერს წითელი ალმური ასდიოდა. ბალახზე გაწოლილი მისი აჩრდილი აქეთ-იქით აწყდებოდა, ხან მოკლდებოდა და ხან გრძელდებოდა. მარჯვნივ მეჩხერი და აშმორებული ტყე დაიწყო, ბალახი რბილი და ნესტიანი გახდა. ორი ვეებერთელა ღამის ფრინველი ხმაურით გამოფრთხიალდა ზედ მაქსიმის ფეხებთან და მდინარის მეორე ნაპირისაკენ აიღო გეზი. მაქსიმმა ერთი კი გაიფიქრა, ვაითუ ცეცხლი დამეწიაო, მაშინ ცურვით მოუხდებოდა თავის დაღწევა და ეს არცთუ ისე ესიამოვნა. მაგრამ წითელი შუქი ნელ-ნელა გაუფერულდა და ჩაქრა. მაქსიმს ენიშნა, რომ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები მასზე უკეთ გაერკვნენ, თუ რა უნდა მოემოქმედათ და ჩვეული გულმოდგინებით შეასრულეს თავიანთი საქმე. ცოცხლად დაუდგა თვალწინ გამურული, გვერდებშემომდნარი ბალონები, სასაცილოდ რომ აწოწილიყვნენ ალმოდებულ ნამსხვრევებს შორის და თავმომწონედ აფრქვევდნენ ირგვლივ პიროფაგის მძიმე ღრუბელს...

„მშვიდად, - ფიქრობდა იგი. - მთავარია, არ ავჩქარდე. დრო მაქვს. კაცმა რომ თქვას, დრო ულევი მაქვს. შეუძლიათ უსასრულობამდე მეძებონ: ხო-

მალდი არ არის და ჩემი პოვნა შეუძლებელია, ხოლო სანამ მიხვდებიან, რა მოხდა, სანამ საბოლოოდ დარწმუნდებიან, სანამ მტკიცედ ირწმუნებენ, დედას არაფერს შეატყობინებენ... მე კი ამასობაში მოვიფიქრებ რამეს...“

მან პატარა, გრილი ჭანჭრობი გაიარა ბუჩქებში გაჭირვებით გაძვრა და თავი ამოყო ძველ, დახეთქილი ბეტონით დაფარულ გზაზე, რომელიც ტყისკენ მიემართებოდა. ბეტონის ფილებზე მიაბიჯებდა, ისე მივიდა ხრამის კიდესთან და დაინახა რაღაც დიდი გისოსიანი ნაგებობისგან შემორჩენილი სანახევროდ წყალში მდგარი დაჟანგული ხვართქლმოდებული წამწეები. ხოლო მოპირდაპირე მხარეს - გზის გაგრძელება, რომელიც ძლივს მოჩანდა მოციმციმე ცისქვეშ. ეტყობა, ოდესღაც აქ ხიდი ყოფილა. ეტყობა, ეს ხიდი ვიღაცას ხელს უშლიდა და მდინარეში ჩააგდეს, რისგანაც არც უფრო გალამაზებულა და არც უფრო მოხერხებული გამხდარა. მაქსიმი ფლატეზე ჩამოჯდა და ფეხები ჩამოუშვა. თავს დააკვირდა და იგრძნო, რომ სრულ ფორმაშია და დაფიქრდა:

„მთავარი ვიპოვე. ესეც გზა. ცუდი კია, ოღრო-ჩოღრო და თანაც ძველი, მაგრამ მაინც გზაა, ხოლო ყველა დასახლებულ პლანეტაზე გზებს იმათკენ მივყავართ, ვინც ისინი გაიყვანა. რა მინდა ახლა მე? არ მშია. თუმცა ჭამაზე უარს არ ვიტყოდი, მაგრამ ეს პირველყოფილი ინსტინქტების ბრალია, რომლებსაც ახლავე დავიოკებ. წყალი მხოლოდ ხვალ თუ მომინდება ჰაერი მყოფნის, თუმცა, აჯობებდა ატმოსფეროში ნაკლები ნახშირორჟანგი და რადიოაქტიური ჭუჭყი ყოფილიყო. ასე რომ, მიწიერი არაფერი მინდა. მჭირდება მარტო პატარა, პირდაპირ რომ ვთქვათ, პრიმიტიული სპირალურსვლიანი ნულ-გადამცემი. რა შეიძლება იყოს პრიმიტიულ ნულ-გადამცემზე უფრო მარტივი? მხოლოდ პრიმიტიული ნულ-აკუმულატორი...“ მან თვალები დახუჭა და მეხსიერებაში მკაფიოდ გამოიკვეთა პოზიტრონულ ემიტერებზე მომუშავე გადამცემის სქემა. დეტალები რომ ჰქონდეს, თვალდახუჭულიც ააწყობდა. გონებაში რამდენჯერმე ააწყო კიდეც, ხოლო როცა თვალები გაახილა, გადამცემი არ იყო. არც არაფერი იყო. „რობინზონი, - გაიფიქრა მან რაღაც ინტერესითაც კი. - მაქსიმ კრუზოე. რა უნდა ვქნა, როცა უჯიბო შორტებისა და კედების გარდა, არაფერი მაბადია. მაგრამ, სამაგიეროდ, ჩემი კუნძული დასახლებულია... ხოლო რაკი კუნძული დასახლებულია, მუდამ რჩება პრიმიტიული ნულ-გადამცემის იმედი“. გულმოდგინედ ფიქრობდა ნულ-გადამცემზე, მაგ-

რამ კარგად ვერ გამოსდიოდა. წამდაუწუმ თვალწინ უდგებოდა დედა, ხედავდა, როგორ აცნობებენ: „თქვენი შვილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა“, და როგორი სახე აქვს მას, როგორ ისრესს მამა ლოყებს და დაბნეულად აცეცებს თვალებს, ან როგორ სცივათ, როგორ აწუხებთ სიცარიელის განცდა... „არა, - უთხრა თავის თავს, - ამაზე ფიქრის უფლება არა მაქვს, ყველაფერზე, ოღონდ ამაზე არა, თორემ არაფერი გამომივა. ვბრძანებ და ვკრძალავ. ვბრძანებ, არ ვიფიქრო და ვკრძალავ ვიფიქრო. მორჩა.“ იგი წამოდგა და გზას დაადგა.

გაბნეული მეჩხერი ტყე თანდათან გახშირდა და ახლა თითქმის გზას ფარავდა. ზოგიერთ თავხედ ნორჩ ხეს ბეტონიც კი გაეხეთქა და პირდაპირ გზატკეცილზე ამოჩრილიყო. გზა ათეული წლების წინათ გაეყვანათ - ყოველ შემთხვევაში, ათეული წლის მანძილზე არავის გაევლო აქ. ტყე გზის ორივე მხარეს სულ უფრო მაღლდებოდა, ხშირდებოდა, უდაბურდებოდა, აქა-იქ მაქსიმის თავზემოთ ხის ტოტები ერთმანეთს გადახლართოდა. ჩამობნელდა: ტევრში ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გაისმოდა ხმამაღალი შეძახილები იქ რაღაც მოძრაობდა, შრიალებდა, ბაკუნებდა. ერთხელ მის წინ ოც ნაბიჯზე ვიღაც ტანმორჩილმა და შავმა წელში მოხრილმა სირბილით გადაჭრა გზა. ისმოდა, როგორ ზუზუნებდა ქინქლი. ეს მხარე იმდენად მივარდნილი და უდაბურია, - გაიფიქრა უცებ მაქსიმმა, - რომ შეიძლება ადამიანები არც იყვნენ ახლო-მახლო. მათთან მიღწევას, ვინ მოთვლის, რამდენი დღე-ღამე დასჭირდეს. პირველყოფილმა ინსტინქტებმა გამოიღვიძეს და კვლავ შეახსენეს თავი. მაგრამ მაქსიმი გრძნობდა, რომ ირგვლივ ულევია ცოცხალი ხორცი, რომ აქ შიმშილით არ ამოგძვრება სული, რომ საეჭვოა, ყველაფერი ეს გემრიელი იყოს, მაგრამ სამაგიეროდ საინტერესო იქნება. და ვინაიდან მთავარზე ფიქრი მოკვეთა, გაიხსენა, როგორ ნადირობდა პეტერთან და ეგერ ადოლფთან ერთად: შიშველი ხელებით, ეშმაკობა ეშმაკობის წილ, გონება ინსტინქტის წილ, ძალა ძალის წილ. სამი დღე შეუჩერებლად მისდევდნენ ირემს ნაგრიგალევ ტყეში, დაეწიენ და რქებით ძირს დაანარცხეს... შესაძლოა, აქ ირმები არც იყოს, მაგრამ აქაური გარეული ნადირ-ფრინველის ხორცი ნამდვილად იჭმება: საკმარისია ფიქრმა გაგიტაცოს, გაერთო, რომ გააფთრებული ქინქლი დაგაცხრება, გჭამს. ჰოდა, ცნობილია, რომ საჭმელად გამოსადეგი უცხო პლანეტაზე შიმშილით არ მოკვდება... ურიგო არ იქნებოდა, აქ გზა არეოდა და ერთი-ორი წელი ტყეებში ეხეტიალა. მეგობარს გაიჩენდა - მგელს ან დათვს, სა-

ნადიროდ ერთად ივლიდნენ, ისაუბრებდნენ... ბოლოს და ბოლოს, რა თქმა უნდა მოსწყინდებოდა, და არც ეტყობა, აქაურ ტყეებში ხეტიალი დიდად სასიამოვნო იყოს: ირგვლივ იმდენი რკინაა, სუნთქვა ჭირს... და მაინც ჯერ ნულ-გადამცემი უნდა ააწყოს…

შეჩერდა და ყურთასმენად იქცა. სადღაც ტევრის სიღრმეში მონოტონური ყრუ გუგუნი ისმოდა და გაახსენდა, რომ უკვე კარგახანია ესმის ეს ხმა, ოღონდ მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება. ეს არც ცხოველის ხმა იყო, არც ჩანჩქერის - ეს იყო მექანიზმი, რაღაც ბარბაროსული მანქანა, იგი ხრიალებდა, ბრდღვინავდა, ლითონს აღრჭიალებდა, ჟანგიან სუნს გამოსცემდა და სულ უფრო ახლოვდებოდა.

მაქსიმი მოიხარა, ტყეს ამოეფარა და უჩუმრად გაიქცა მისკენ. შემდეგ უცბად შეჩერდა და გამოქანებული კინაღამ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა. გზას სწორი კუთხით გადაკვეთდა მეორე გზატკეცილი, ძალიან ბინძური, აყროლებული და ძალიან რადიოაქტიური, ღრმა, მახინჯი ნაკვალევითა და დამსკდარი, ამობურცული ბეტონის საფარველით დასერილი. მაქსიმი ჩაცუცქდა და მარცხნივ გაიხედა. იქიდან ძრავის გუგუნი და ლითონის ღრჭიალი აღწევდა. მანქანა ახლოვდებოდა.

წუთიც და გამოჩნდა კიდეც. უაზროდ დიდი, მცხუნვარე, აყროლებული, მთლიანად დამოქლონილი ლითონისაგან შემდგარი. გზას ტალახში ამოსვრილი საზარელი მუხლუხებით თელავდა, კი არ მოქროდა, არ მოგორავდა, რკინის ჩამოფცქვნილ ფურცლებს მოაზანზარებდა. კუზიანი, მოთხვრილი მოდიოდა და თან მოჰქონდა ყველაფერი, მოდიოდა ლანტანიდებში არეული ნედლი პლუტონიუმით დატენილი, უმწეო, საშიში, უადამიანებო, ჩლუნგი და სახიფათო. გზაჯვარედინი გადაჭრა და გზა განაგრძო. ბეტონს ლაწა-ლუწითა და წივილით ამსხვრევდა. უკან მოიტოვა გავარვარებული მხუთვარება და ღმუილ-ღრჭიალითა და ზმუილით თანდათან ტყეში მიიმალა.

მაქსიმმა სული მოითქვა, ქინქლი მოიშორა, შემრწუნებული იყო. არასოდეს არაფერი ენახა ესოდენ უაზრო და უბადრუკი... „არა, - გაიფიქრა მან, - პოზიტრონული ემიტერების შოვნაზე აქ ფიქრიც ზედმეტია.“ ურჩხულს გახედა და უცებ შენიშნა, რომ გადამკვეთი გზა, უბრალოდ გზა კი არა, განაკაფი იყო, ვიწრო ხვრელი ტყეში. აქ ცას ხეები არ ეფარებოდნენ, როგორც გზატკეცილზე. „ხომ არ დავეწიო? - გაიფიქრა მან. - შევაჩერო, ქვაბი ჩავუქრო...“ ყურ-

თასმენად იქცა. ტყეში. ხმაური და ტკაცანი ისმოდა. ურჩხული ისე ტრიალებდა ტევრში, როგორც ჰიპოპოტამი საფლობში, შემდეგ კი ძრავის გუგუნმა კვლავ იწყო მოახლოება. იგი ბრუნდებოდა. კვლავ ქშენა, ბრდღვინვა, სიმყრალის ტალღა, ღრჭიალი და ზანზარი. და აი, კვლავ გადადის გზაჯვარედინზე და იქით მიქოთქოთებს, საიდანაც სულ ახლახან გამოხოხდა... „არა, - თქვა მაქსიმმა, - არაფერი მესაქმება მასთან. არ მიყვარს ბოროტი ცხოველები და ბარბაროსული ავტომატები...“ დაიცადა, ბუჩქებიდან გამოძვრა და ერთი ნახტომით გადაევლო მოწამლულ გზაჯვარედინს.

ერთხანს ძალიან ჩქარა მიდიოდა, თან ღრმად სუნთქავდა და რკინის ჰიპოპოტამის ორთქლისაგან ითავისუფლებდა ფილტვებს. შემდეგ კი კვლავ ჩვეულებრივ ნაბიჯზე გადავიდა. ფიქრობდა იმაზე, რაც დასახლებულ კუნძულზე ცხოვრების ორი საათის განმავლობაში ნახა, და ცდილობდა მთელი ეს შეუსაბამობა და შემთხვევითობა ლოგიკურ აზრში მოექცია. მაგრამ ძალიან ეძნელებოდა. თვალწინ ზღაპრული და არარეალური სურათი ეხატებოდა. ზღაპრული იყო ეს ძველი რკინით სავსე ტყე, მასში ზღაპრული არსებები თითქმის ადამიანური ხმით ეხმიანებოდნენ ერთმანეთს; როგორც ზღაპარში, მოჯადოებული კოშკისაკენ მიემართებოდა ძველი, მივარდნილი გზა და უხილავი ბოროტი ჯადოქრები ცდილობდნენ თავგზა აებნიათ ამ ქვეყანაში მოხვედრილი ადამიანისათვის. შორეულ მისადგომებზე მეტეორიტები დაუშინეს - არაფერი რომ არ გამოუვიდათ, ხომალდი დაუწვეს, ხაფანგში გამოამწყვდიეს, შემდეგ კი რკინის დრაკონი დაადევნეს. მაგრამ დრაკონი ძალზე ბებერი და სულელი აღმოჩნდა, და ისინი ალბათ უკვე მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და ახლა რაიმე უფრო თანამედროვეს ამზადებენ...

- მომისმინეთ, - უთხრა მათ მაქსიმმა, - მე. ხომ აზრადაც არ მომდის, ჯადო მოვხსნა კოშკებს და გამოვაღვიძო თქვენი ლეთარგიული მზეთუნახავები; მე ისღა მინდა, შევხვდე თქვენს შორის ვინმე გონიერს, ვინც პოზიტრონული ემიტერების შოვნაში დამეხმარება...

მაგრამ ბოროტი ჯადოქრები თავისას არ იშლიდნენ. ჯერ იყო-და, გზატკეცილის გარდი-გარდმო ვეებერთელა დამპალი ხე დაუდეს, შემდეგ ბეტონის საფარველი დაამსხვრიეს, მიწაში დიდი ორმო ამოთხარეს, აშმორებული რადიოაქტიური წუნწუხით ამოავსეს, ხოლო როცა ამითაც ვერაფერს გახდნენ, როცა ქინქლი კბენით დაიღალა და მაქსიმს იმედგაცრუებული ჩამოშორდა,

უკვე დილისათვის ტყიდან ცივი ბოროტი ნისლი გამოუშვეს. მაქსიმს შესცივდა და, რომ გამთბარიყო, გაიქცა. ნისლი მწებარე, ცხიმოვანი იყო, სველი ლითონისა და ხრწნის ოხშივარი ასდიოდა, მაგრამ მაქსიმს მალე კვამლის სუნიც ეცა და მიხვდა, რომ სადღაც ახლოს ცეცხლი ენთო.

თენდებოდა. ცა მტრედისფერი გახდა. მაქსიმმა გზის ახლოს კოცონი შენიშნა, იქვე იდგა ქვის დაბალი ნაგებობა, რომელსაც სახურავი ჩავარდნოდა. უმინებო ფანჯრები შავად მოუჩანდა, სიძველისაგან ხავსი მოკიდებოდა. ახლოს არავინ იყო, მაგრამ მაქსიმი გრძნობდა, რომ ადამიანები სადღაც ახლომახლო ტრიალებენ, ახლახან იყვნენ აქ და შეიძლება, მალე დაბრუნდნენ. გზატკეცილიდან გადაუხვია, გზისპირა თხრილს გადაახტა და კოცონისკენ წავიდა ისე, რომ კოჭებამდე დამპალ ფოთლებში ეფლობოდა. კოცონის კეთილმა პირველყოფილმა სითბომ სასიამოვნოდ აურია პირველყოფილი ინსტინქტები. აქ ყველაფერი მარტივად იყო. შეგეძლო მიუსალმებლად ჩაცუცქულიყავი, ხელები ცეცხლისათვის მიგეფიცხებინა და უხმოდ დალოდებოდი, სანამ მასპინძელი ასევე უხმოდ გამოგიწოდებდა ხორცის ცხელ ნაჭერსა და ქაფქაფა ტოლჩას. მასპინძელი, მართალია, არ ჩანდა, მაგრამ კოცონზე შედგმულ შეჭამადით სავსე გაჭვარტლულ კარდალას ცხარე სუნი ასდიოდა, შორიახლო მრგვალფსკერიანი ცარიელი დაწნული კალათი, ლითონის წვრილი გვარლის გორგალი და გაუგებარი დანიშნულების რაღაც ლითონისა და პლასტმასის საგნები ეგდო.

მაქსიმი ერთხანს იჯდა კოცონთან, ცეცხლს უყურებდა და თბებოდა. შემდეგ წამოდგა და სახლში შევიდა. თუმცა სადღა იყო სახლი, მისგან მხოლოდ ქვის კოლოფი დარჩენილიყო. ჩატეხილი დირეებიდან თავზე დილის ცა დაჭნათოდა, ხოლო იატაკის ფიცრები ისე დამპალიყო, ზედ ფეხის დადგმა შეგეშინდებოდათ. კუთხეებში კი ჟოლოსფერი სოკოების მტევნები იზრდებოდა - სოკოები შხამიანი იყო, მაგრამ თუ კარგად შეწვავდი, არა უშავდა რა. თუმცა მადა მაშინვე გაუქრა, რადგან ბინდბუნდში კედელთან გახუნებულ ძონძებში არეული ძვლები შენიშნა. უსიამო გრძნობა დაეუფლა, შემობრუნდა, ჩანგრეულ კიბეებზე დაეშვა, ხელები საყვირივით მიიდო პირთან და მთელი ტყის გასაგონად იღრიალა:

- ოჰო-ო, ექვსთითიანებო!

გამოძახილი თითქმის მაშინვე ნისლში გაიხლართა ხეებს შორის, პასუხი

არავის გაუცია ოღონდ მაღლა გაშმაგებით ჟღურტულებდნენ ჩიტუნები.

მაქსიმი კოცონთან დაბრუნდა, ცეცხლს ტოტები შეუკეთა და კარდალაში ჩაიხედა. შეჭამადი დუღდა. ირგვლივ მიმოიხედა, კოვზსისმაგვარი რაღაც იპოვა, დასუნა, ბალახით გაწმინდა და ისევ დასუნა. შემდეგ შეჭამადს ფრთხილად მოხადა მონაცრისფრო ქაფი და ნაკვერჩხლებზე დაფერთხა. აურია, ცოტა ამოიღო კიდიდან, შეუბერა, ტუჩები გამოსწია და გასინჯა. ურიგო არაა, ტახორგის ღვიძლის ხარშოს ჰგავს, ოღონდ უფრო ცხარეა. მაქსიმმა კოვზი გადადო, კარდალა ცეცხლიდან ფრთხილად, ორივე ხელით ჩამოიღო და ბალახზე დადო. შემდეგ კვლავ მიმოიხედა და ხმამაღლა თქვა:

- საუზმე მზად არის!

გრძნობდა, რომ მასპინძლები სადღაც აქვე იყვნენ, მაგრამ მხოლოდ უძრავ ნისლისაგან სველ ბუჩქებს, შავ დაკორძილ ხეებს ხედავდა. ესმოდა, როგორ ტკაცუნობდა კოცონი და ჩიტები ფუსფუსით გადასძახოდნენ ერთმანეთს.

- კეთილი, - თქვა ხმამაღლა, - თქვენ როგორც გენებოთ, მე კი კონტაქტს ვიწყებ.

ძალიან მალე მოვიდა მადაზე. კოვზი იყო დიდი, თუ პირველყოფილმა ინსტინქტებმა იძალეს, მაგრამ მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ კარდალიდან საჭმლის მესამედი ამოხვრიპა. სინანულით უკან დაიხია, ერთხანს იჯდა და გემობრივ შეგრძნებებს აკვირდებოდა, შემდეგ გულმოდგინედ გაწმინდა კოვზი, მაგრამ თავი ვერ შეიკავა - კიდევ ერთხელ ამოიღო, ამჯერად ფსკერიდან. ტრეპანგის ხორცისმაგვარი მადის აღმძვრელი ყავისფერი ნაჭრები პირში უდნებოდა, როგორც იქნა, შეეშვა, ისევ გაწმინდა კოვზი და კარდალაზე გარდიგარდმო დადო. ახლა სწორედ დრო იყო, მადლიერების გრძნობაც დაეკმაყოფილებინა.

იგი წამოხტა, რამდენიმე წვრილი წნელი აირჩია და სახლისაკენ გასწია. დამპალ ფიცრებზე ფრთხილად დააბიჯებდა და ცდილობდა, ჩრდილში მდებარე ნეშტისათვის არ შეეხედა, ისე დაიწყო სოკოების ამოთხრა და ჟოლოსფერი ქუდების წნელზე წამოცმა. ყველაზე მაგრებს არჩევდა. „დამარილება არ გაწყენდათ, - ამბობდა გულში, - ცოტა წიწაკაც მოგიხდებოდათ, მაგრამ არაფერია, პირველი კონტაქტისათვის მაინც გამოდგებით. ცეცხლის თავზე დაგკიდებთ და ისეთი გახდებით, რომ თითებს ჩაიკვნეტს კაცი, თქვენ იქნებით ჩემი პირველი წვლილი ამ დასახლებული კუნძულის კულტურაში...“

უეცრად სახლში ოდნავ ჩამობნელდა და მაქსიმმაც მაშინვე იგრძნო, რომ უყურებენ. დროზე ჩაიხშო სურვილი მკვეთრად შემობრუნებულიყო, ათამდე დაითვალა, ნელა წამოიწია და წინასწარ გაღიმებულმა თავი მოაბრუნა.

ფანჯრიდან დიდრონი ნაღვლიანი თვალებით შემოსცქეროდა ჩამოგრძელებული მუქი სახე, რომელსაც ტუჩის კუთხეები უსიცოცხლოდ ჩამოშვებოდა, უყურებდა უინტერესოდ, უბოროტოდ და უხალისოდ, თითქოს სხვა სამყაროდან ჩამოსულ კაცს კი არ ხედავდა, არამედ აბეზარ შინაურ ცხოველს, რომელიც ისევ ამძვრალა აკრძალულ ადგილზე. რამდენიმე წამი შეჰყურებდნენ ერთმანეთს და მაქსიმი გრძნობდა, ამ სახეზე გამოსახულ ნაღველს ლამის წაელეკა სახლი, ტყე, მთელი პლანეტა და გარე სამყაროც, - რომ ამ ნაღველმა ირგვლივ ყველაფერი ნაცრისფერი, დაღვრემილი და საცოდავი გახადა: ყველაფერი უკვე იყო, და იყო მრავალჯერ და კიდევ მრავალჯერ იქნება და არსადაა ხსნა ამ ნაცრისფერი, დაღვრემილი, სავალალო მოწყენილობისაგან. შემდეგ სახლში კიდევ უფრო ჩამობნელდა და მაქსიმი კარისაკენ მობრუნდა.

იქ მოკლე მაგარი ფეხები გაეჩაჩხა და ფართო მხრებით მთელი კარი ამოევსო ჩაფსკვნილ, საზიზღარ კუბოკრულ კომბინეზონში გამოწყობილ კაცს, რომელსაც ჟღალი თმა-წვერი გაბურძგნოდა. ხშირი ჟღალი თმიდან მაქსიმს თითქოს ბურღავდნენ ცისფერი პატარა თვალები, რომლებიც ძალზე დაჟინებით, ძალზე ბოროტად და მაინც როგორღაც მხიარულად იყურებოდნენ - იქნებ იმ მსოფლიო ნაღველთან შედარებით, ფანჯრიდან რომ შემოდიოდა. ეს ბანჯგვლიანი ვაჟბატონიც, ჩანს, პირველად არ ხედავდა სხვა სამყაროდან მოსულთ, მაგრამ მიჩვეული იყო სწრაფად, მკაცრად და მტკიცედ გასწორებოდა ამ აბეზარ ადამიანებს ყოველგვარი კონტაქტისა და სხვა ზედმეტი სირთულის გარეშე. მას კისერზე ტყავის ღვედით ეკიდა ძალზე ავის მომასწავებელი შესახედაობის მძიმე ლითონის მილი და მოსულებთან ანგარიშის გასასწორებელი ამ იარაღის გამოსაბოლქვ ხვრელს ჭუჭყიანი მტკიცე ხელით მაქსიმს პირდაპირ მუცელში უმიზნებდა. კაცი მაშინვე მიხვდებოდა, რომ მას ყურმოკვრითაც არაფერი სმენოდა არც ადამიანის სიცოცხლის უმაღლეს ღირებულებაზე, არც ადამიანის უფლებათა დეკლარაციაზე, არც უმაღლესი ჰუმანიზმის სხვა ბრწყინვალე გამოგონებებზე, ისევე როგორც თვით ჰუმანიზმზე, და ვინმეს კიდეც რომ ეთქვა ამაზე რამე, არ დაიჯერებდა.

მაგრამ მაქსიმს არჩევანის დრო არ ჰქონდა. მან წინ გაიშვირა ხელი, რომელზეც სოკოების ქუდები წამოეცვა, კიდევ უფრო გაიბადრა და გაზვიადებული არტიკულაციით წარმოთქვა:

- მშვიდობა, ყველაფერი რიგზეა! ყველაფერი კარგადაა!

ფანჯრის მიღმა დაღვრემილი პიროვნება ამ ლოზუნგს გრძელი გაუგებარი ფრაზით გამოეხმაურა, რის შემდეგაც კონტაქტის რაიონი დატოვა და გარედან შემოსული ბგერები მოწმობდა, რომ კოცონს ხმელ ფიჩხს აყრიდა. ცისფერთვალებიანმა აბურძგნილი ჟღალი წვერი აამოძრავა და სპილენძისფერი ბარდიდან გაისმა ღრიალა, მბრდღვინავი, მოღრჭიალე ბგერები, რომლებმაც მაქსიმს გზაჯვარედინზე ნანახი რკინის დრაკონი გაახსენა.

- დიახ! - თქვა მაქსიმმა თავის ენერგიული ქნევით. - დედამიწა! კოსმოსი - წნელი ზენიტს მიუშვირა და ჟღალთმიანმა მორჩილად ახედა ჩატეხილ ჭერს. - მაქსიმი! - განაგრძობდა მაქსიმი და მკერდში ირტყამდა ხელს. - მაქსიმი! მე მაქსიმი მქვია! - მეტი დამაჯერებლობისათვის გამძვინვარებულ გორილასავით დაიშინა მკერდში მჯიღი - მაქსიმი!

- მახ-სიმ! - იღრიალა წითურმა უცნაური აქცენტით.

შემდეგ მას მაქსიმისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე ამოუშვა რახრახა სიტყვების კორიანტელი, რომელშიც რამდენჯერმე გაიმეორა სიტყვა „მახსიმი“. რის პასუხად უხილავ დაღვრემილ პიროვნებას საზარელი ნაღვლიანი ფონემები აღმოხდა. წითურმა ცისფერი თვალები გადმოკარკლა, ყვითელღოჯებიანი ხახა დააღო და ახორხოცდა. ჩანდა, ბოლოს და ბოლოს ისიც ჩასწვდა ამ სიტუაციის მთელ იუმორს, რაც მაქსიმისთვის გაუგებარი იყო. სიცილით გული რომ იჯერა, თავისუფალი ხელით თვალები მოიწმინდა, სასიკვდილო იარაღი დაუშვა და მაქსიმს რაღაც ანიშნა, რითაც აშკარად ამბობდა: „აბა, გამოდი!“

მაქსიმი სიამოვნებით დაემორჩილა. ზღურბლზე გამოვიდა და კვლავ გაუწოდა სოკოებიანი წნელი. წითურმა წნელი გამოართვა, შეატრიალ-შემოატრიალა, დასუნა და გადააგდო.

- ნურას უკაცრავად! - შეესიტყვა მაქსიმი. - ამაში თითებს ჩაიკვნეტთ...

იგი დაიხარა და წნელი აიღო: წითურს არაფერი უთქვამს, მაქსიმს ბეჭზე ხელი დაარტყა და კოცონისაკენ უბიძგა. კოცონთან კი მხარზე დააწვა, დასვა და რაღაცის განმარტება დაუწყო. მაგრამ მაქსიმი არ უსმენდა. დაღვრემილ

კაცს უყურებდა. იგი პირდაპირ იჯდა და ცეცხლთან რაღაც ფართო ჭუჭყიან ჩვარს აშრობდა. ცალ ფეხზე გაეხადა და განუწყვეტლივ ათამაშებდა ხუთ თითს. თითი ექვსი კი არა, ხუთი ჰქონდა.

მეორე თავი

ფანჯარასთან სკამზე ჩამომჯდარი გაი ყოშით აპრიალებდა ბერეტის კოკარდას და მისთვის სამგზავრო საბუთების გამოწერით გართულ კაპრალ ვარიბობუს უყურებდა. კაპრალს თავი გვერდზე გადაეხარა, თვალები გადმოეკარკლა, მარცხენა ხელი მაგიდაზე, წითელარშიაშემოვლებულ ბლანკზე დაეყრდნო, ხოლო მარჯვენათი აუჩქარებლად გამოჰყავდა კალიგრაფიული ასოები. „კარგად კი გამოსდის, - ცოტა არ იყოს, შურით ფიქრობდა გაი. - კანცელარიის ძველი ვირთხაა: ლეგიონში ოცი წელი დაჰყო და მწერლობას ვერ გასცდა. ან რას ქაჩავს მაგ თვალებს, - ბრიგადის სიამაყე... აი, ახლა ენასაც გამოჰყოფს... გამოყო კიდეც. ენაც მელანში რომ აქვს ამოთხვრილი, კარგად იყავი, ვარიბობუ, შე ძველო, შენა, მეტს ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს. საერთოდ კი მენანება აქედან წასვლა - აქ კარგი ბიჭები არიან თავმოყრილი, ბატონი ოფიცრებიც მომწონს, სამსახურიც სასარგებლოა, მნიშვნელოვანი...“ გაიმ დაიქსუტუნა და ფანჯარაში გაიხედა.

გარეთ ქარი თეთრ მტვერს მოაქროლებდა ძველი ექვსკუთხა ფილებით მოკირწყლულ უტროტუარო ფართო სწორ ქუჩაზე. თეთრად ქათქათებდა ადმინისტრაციისა და საინჟინრო პერსონალის ერთმანეთის მსგავსი გრძელი სახლების კედლები; მტვერს თავს არიდებდა და ქვედა კაბას ხელით იკავებდა ისე მოდიოდა ქალბატონი იდოია, ტანსრული, წარმოსადეგი, გულადი ქალი, რომელიც არ შეშინდა და ბავშვებიანად გამოჰყვა ბატონ ბრიგადირს ამ სახიფათო ადგილებში. კომენდატურასთან მდგომმა ახალბედა გუშაგმა, რომელსაც სამტვრე ლაბადა ეცვა და ყურზე ჩამოწეული ბერეტი ეხურა, სამხედრო სალამი მისცა მათ, შემდეგ ორი სატვირთო მანქანით გაიარეს აღსაზრდელებმა, რომლებიც - ალბათ ასაცრელად მიჰყავდათ... ასე, მაგას, დასცხე, გარეთ თავს რომ ყოფ, აქ ბულვარი ხომ არ გგონია...

- მაინც როგორ იწერება შენი გვარი? - ჰკითხა ვარიბობუმ. - აუცილებლად გაალი უნდა, თუ შეიძლება უბრალოდ გალი დავწერო?

- არა, ბატონო, - თქვა გაიმ. - ჩემი გვარია გაალი.

- დასანანია, - თქვა ვარიბობუმ და დაფიქრებულმა კალამი გალოკა. - „გალი“ რომ შეიძლებოდეს, ზუსტად ჩაეტეოდა სტრიქონში...

„წერე, წერე, შე კანცელარიის ვირთხავ, - გაიფიქრა გაიმ. - სტრიქონები ნუ

გენანება. ამასაც კაპრალი ჰქვია... ღილებს ხავსი მოსდებია, ორ დანაკერზე მეტი არა აქვს და სროლაც კი ვერ უსწავლია წესიერად, ეს ხომ ყველამ იცის...“

კარი გაიღო და კანცელარიაში სწრაფად შემოვიდა ბატონი როტმისტრი ტოოტი, რომელსაც სახელოზე მორიგის ოქროსფერი სახვევი ეკეთა. გაი წამოხტა და ქუსლი ქუსლს შემოჰკრა. ვარიბობუც წამოიწია, მაგრამ წერა არ შეუწყვეტია; ვირთხა! ამასაც კაპრალი ჰქვია...

- აჰა... - წარმოთქვა ბატონმა როტმისტრმა და ზიზღით მოიშორა მტვერსაწინააღმდეგო ნიღაბი. - რიგითი გაალი ხართ, არა? ვიცი, ვიცი, მაშ, გვტოვებთ. დასანანია. მაგრამ მოგილოცავთ. ვიმედოვნებ, დედაქალაქშიც არ შეირცხვენთ თავს.

- დიახ, ბატონო როტმისტრო! - თქვა აღელვებულმა გაიმ. აღტაცებისაგან ცხვირში რაღაც წვაც იგრძნო. მას ძალიან უყვარდა ბატონი როტმისტრი ტოოტი. კულტურული ოფიცერი, რომელიც ერთ დროს გიმნაზიაში ასწავლიდა, ბატონი როტმისტრიც კარგი თვალით უყურებდა.

- შეგიძლიათ დაჯდეთ, - თქვა ბატონმა როტმისტრმა და ტიხარს მიღმა თავისი მაგიდისაკენ წავიდა. არ დამჯდარა ისე, ქაღალდებს გადახედა და ტელეფონს დასწვდა.

გაიმ ტაქტიანად ფანჯრისკენ იბრუნა პირი.

ქუჩაში არაფერი შეცვლილა. მწყობრი ბაკუნით ჩაიარა სადილზე მიმავალმა მშობლიურმა კაპრალობამ. გაიმ ნაღვლიანი მზერა გააყოლა. ახლა კანტინაში მივლენ, კაპრალი სერემბეში უბრძანებს, ბერეტი მოიხადონ „სამადლობელი სიტყვის“ წინ და ოცდაათი ხახა იღრიალებს „სამადლობელ სიტყვას“, ქვაბებს კი უკვე ოხშივარი ასდის, გაწკრიალებული ჯამები სუფრაზე აწყვია, ის წყეული დოგაც იწყებს, როგორც ყოველთვის, თავის ანეკდოტს ჯარისკაცსა და მზარეულ ქალზე... ღმერთმანი მენანება. გამგზავრება. მართალია, აქ სამსახური სახიფათოცაა, კლიმატი - მავნებელი, კვებაც ძალიან ერთფეროვანია - მარტო კონსერვებს იძლევიან, მაგრამ მაინც... ყოველ შემთხვევაში აქ ნამდვილად იცი, რომ საჭირო ხარ, რომ უშენოდ გაუჭირდებათ; აქ მკერდით უნდა აღუდგე ტყის ავბედით შემოტევას და გრძნობ ამ შემოტევას: სხვა რომ არაფერი, რამდენი მეგობარი ჩამარხე ამ ადგილებში, აი დაბის იქით დაჟანგულ ჩაფხუტებიანი ლატანების მთელი ჭალაა… მეორე მხარეს კი - დედაქალაქი. იქ ყველას როდი გზავნიან, და რაკი გაგგზავნეს, მაშასადამე, ასეა საჭირო...

იქო, ამბობენ, შემოქმედთა სასახლიდან ყველა პლაცი ხელისგულივით მოჩანსო, ასე რომ, ყოველ წყობას აუცილებლად რომელიმე შემოქმედთაგანი უთვალთვალებსო, თუმცა ალბათ თუ მუდამ არა, დროდადრო მაინც გამოხედავს. გაის წამოახურა: სრულიად უმიზეზოდ უეცრად წარმოიდგინა, რომ რაზმიდან გამოიძახეს, მან კი მეორე ნაბიჯზე წაიბორძიკა და მეთაურის ფეხებთან ძირს მოადინა ზღართანი, ძელურს ავტომატი გამოსდო დოყლაპიამ და ვინ იცის, ბერეტიც განზე მოექცა... სული მოითქვა და მალულად მოიხედა. ღმერთმა დაიფაროს. დიახ, დედაქალაქი! ყველაფერი ხელისგულივით აქვს გადაშლილი... თუმცა არაფერია - სხვები ხომ მსახურობენ. იქ კი რადაა - დაიკო, დაია... სასაცილო ბიძაც, თავის ბებერ ძვლებიანად, და მისი უამრავი ადამისდროინდელი კუე... ოჰ, როგორ მომენატრეთ, ჩემო ძვირფასებო!...“

კვლავ გაიხედა ფანჯარაში და სახტად დარჩა. ქუჩაში კომენდატურისაკენ ორნი მოდიოდნენ. ერთი მათგანი ნაცნობი, წითური ზეფი იყო, მესანგრეთა ასმეთოთხმეტე რაზმის ზემდეგი, სიკვდილმისჯილი, რომელიც მხოლოდ იმიტომ დატოვეს ცოცხალი, რომ ტრასის გასაწმენდად გამოეყენებინათ. მეორე კი ნამდვილი საფრთხობელა, თანაც საზარელი საფრთხობელა. გაის ჯერ გადაგვარებული ეგონა, მაგრამ მაშინვე გაუელვა, საეჭვოა ზეფს გადაგვარებული კომენდატურაში წამოეთრიაო. ეს იყო ვეებერთელა შიშველი ახალგაზრდა კაცი, ერთთავად გარუჯული და ხარივით ჯანიანი, საოცარ, მოკლე, პრიალა ნაჭრის ტრუსებში. ზეფს გულზე თავისი ზარბაზანი ეკიდა, მაგრამ ბადრაგობის არაფერი ეტყობოდა. ისინი ერთმანეთის გვერდით მოაბიჯეებდნენ, უცხო განუწყვეტლივ უაზროდ იქნევდა ხელებს და ზეფს რაღაცას ჩასჩიჩინებდა. ზეფი სულს ძლივს ითქვამდა და სრულიად გამოყეყეჩებული შეჰყურებდა. „ველურია ვიღაც, - გაიფიქრა გაიმ. - ოღონდ ტრასაზე საიდან გაჩნდა? იქნებ მხეცების გამოზრდილია? იყო ასეთი შემთხვევები. ასეც უნდა იყოს. რა დაძაგრული კუნთები აქვს და როგორ ულაპლაპებს...“

გაი შესცქეროდა, როგორ მიუახლოვდა ეს წყვილი გუშაგს, ზეფმა რაღაცის განმარტება დაიწყო, თან ოფლს იწმენდდა, ახალბედა გუშაგმა კი ზეფი ვერ იცნო და ლამის ავტომატი ატაკა ნეკნქვეშ, უბრძანა დაწესებულ მანძილზე დაიხიეო. შიშველი ჭაბუკი ამას ხედავს და საუბარში ერევა. საოცრად სწრაფად იქნევს ხელებს, სახე ისეთი აქვს, ვერაფერს გაუგებ, ვერცხლისწყალივითაა, ან როგორ სწრაფად აცეცებს შავ თვალებს... მორჩა, ახლა გუშაგიც გამოშ-

ტერდა. ახლავე განგაშს ატეხს. გაი მობრუნდა.

- ბატონო როტმისტრო, - თქვა მან, - ნება მიბოძეთ მოგმართოთ. იქ ასმეთოთხმეტის ზემდეგმა ვიღაც მოიყვანა... ხომ არ შეხედავთ?

ბატონი როტმისტრი ფანჯარასთან მივიდა, გაიხედა, გაოცებისაგან წარბები ასწია. ჩარჩოს ხელი ჰკრა, თავი გაყო და შემოვარდნილ მტვერს ლამის დაეხრჩო, როცა შესძახა:

- გუშაგო, გამოატარე!

გაი ფანჯარას ხურავდა, როცა დერეფანში ნაბიჯის ხმა მოისმა. ზეფი და მისი საოცარი თანამგზავრი გვერდულად შემოვიდნენ კანცელარიაში. მათ ფეხდაფეხ შემოჰყვნენ ყარაულის უფროსი და მორიგი ცვლის წარმომადგენელი. ზეფმა ხელები ჩამოუშვა, გასწორდა, ჩაახველა, უტიფარი ცისფერი თვალები ბატონ როტმისტრს მიაშტერა და დაიხრიალა:

- მოგახსენებთ ასმეთოთხმეტე რაზმის ზემდეგი, აღსაზრდელი ზეფი. აი ეს კაცი ტრასაზე დავაკავეთ. აშკარად ეტყობა, ბატონო როტმისტრო, რომ შეშლილია: შხამიან სოკოებს ჭამს, არც ერთი სიტყვა არ ესმის, გაუგებრად ლაპარაკობს, როგორც ხედავთ, შიშველ-ტიტველი დადის.

სანამ ზეფი უფროსს ამას მოახსენებდა, დაკავებული სწრაფად აცეცებდა თვალებს, შენობას ათვალიერებდა, შემზარავად და უცნაურად უღიმოდა ყველა იქ მყოფს, - ჩაწიკწიკებულ ქათქათა კბილებს აჩენდა. ბატონი როტმისტრი ზურგზე ხელებშემოწყობილი მიუახლოვდა და თავით ფეხებამდე ახედ-დახედა.

- ვინა ხართ? - იკითხა მან.

დაკავებულმა კიდევ უფრო შემზარავად გაიღიმა და გაუგებრად წარმოთქვა რაღაც „მახსიმის“ მსგავსი. ყარაულის უფროსი არობრობდა, გუშაგები ახითხითდნენ, ბატონმა როტმისტრმაც გაიღიმა. გაი მაშინვე ვერც კი მიხვდა, რა მოხდა, შემდეგ კი გაახსენდა, რომ ქურდების ჟარგონზე „მახ-სიმი“ ნიშნავდა „დანა გადავყლაპე“.

- ეტყობა, ვიღაც თქვენიანია, - უთხრა ზეფს ბატონმა როტმისტრმა.

ზეფმა თავი გაიქნია და გრძელი წვერიდან მტვრის ღრუბელი აუშვა.

- არა, - თქვა მან. - მახ-სიმს თავის თავს უწოდებს, ქურდების ჟარგონი კი არ ესმის. ასე რომ, ჩვენიანის არაფერი სცხია.

- ალბათ, გადაგვარებულია, - აზრი გამოთქვა ყარაულის უფროსმა (ბატონ-

მა როტმისტრმა ცივად შეხედა მას). - შიშველი... - თან კარებისკენ იხევდა. - ნებას მომცემთ წავიდე, ბატონო როტმისტრო? - იღრიალა ბოლოს.

- წადით, - თქვა ბატონმა როტმისტრმა. - ოღონდ ვინმე გაგზავნეთ და შტაბის ექიმი ბატონი ზოგუ მოაყვანინეთ... სად დაიჭირეთ იგი? - ჰკითხა ზეფს.

ზეფმა მოახსენა, წუხელ ჩემს რაზმთან ერთად 23/07 კვადრატს ვწმენდდი, ოთხი თვითმავალი „ბალისტი“ მოვსპე და ერთი გაურკვეველი დანიშნულების დანადგარი. აფეთქების დროს ორი კაცი დავკარგე, ყველაფერი რიგზე იყო. დაახლოებით დილის შვიდი საათი იქნებოდა, რომ გზატკეცილიდან კოცონს აი ეს უცნობი მოუახლოვდა, შორიდან შევნიშნეთ, ბუჩქებში მიმალული თვალს ვადევნებდით. შემდეგ კი დრო ვიხელთეთ და დავაკავეთ. ჯერ გამოქცეული მეგონა, შემდეგ ვიფიქრე, გადაგვარებულია-მეთქი და ის იყო სასროლად მოვემზადე, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან... - დაბნეულმა ზეფმა წვერი ააცანცარა და დაასკვნა:

- რადგან მივხვდი, რომ გადაგვარებული არ არის,

- როგორ მიხვდით? - იკითხა ბატონმა როტმისტრმა, დაკავებული კი ფართო მკერდზე ხელებდაკრეფილი უძრავად იდგა და ხან მას უყურებდა, ხან ზეფს.

- ამის განმარტება გამიჭირდებაო, თქვა ზეფმა.

- ჯერ ერთი, ამ კაცს არაფრის ეშინოდა და არ ეშინია. შემდეგ: კოცონიდან შეჭამადი ჩამოიღო და ზუსტად მესამედი შეჭამა, ეტყობა, ამხანაგური გრძნობები უცხო არ არის მისთვის! მანამდე კი ყვიროდა ტყეში, ეტყობა, გვეძახდა რადგან გრძნობდა, რომ სადღაც ახლომახლო ვიყავით. შემდეგ: უნდოდა სოკოებით გაგვმასპინძლებოდა. სოკოები შხამიანი იყო და არ ვჭამეთ, მასაც დავუშალეთ, მაგრამ ნამდვილად ძალიან უნდოდა გაგვმასპინძლებოდა. ალბათ, მადლიერების გამოხატვა თუ სურდა. გარდა ამისა, ვინ არ იცის, რომ არც ერთი გადაგვარებული თავისი ფიზიკური უნარით ნორმალურ სუსტ კაცს არ აღემატება. ამან კი აქეთობას პატარა ბიჭივით დამქანცა: ნაგრიგალევ ტყეში ისე მიაბიჯებდა, თითქოს ვაკეზე მიდისო, თხრილებზე ხტებოდა, შემდეგ კი მოპირდაპირე მხარეს მელოდებოდა, თანაც არ ვიცი, რატომ - ალბათ ვაჟკაცობის გამოჩენა უნდოდა, თუ რა? - ამიტაცებდა და მთელ ორას ნაბიჯზე ხელით მიმარბენინებდა...

ბატონი როტმისტრი ყურთასმენად ქცეულიყო, მაგრამ ზეფი გაჩუმდა თუ

არა, უეცრად მიუბრუნდა დაკავებულს და ხონტიურად სახეში შეჰყეფა:

- თქვენი სახელი? ჩინი? რა დავალებით ხართ მოსული?

გაი აღაფრთოვანა მარჯვე ხერხმა, მაგრამ ჩანდა, დაკავებულს არც ხონ-ტიური ესმოდა. მან კვლავ გამოაჩინა ელვარე კბილები, რამდენჯერმე დაირ-ტყა მკერდზე ხელი და თქვა: „მახსიმ“. შემდეგ კი კატორღელს ფერდში ატაკა თითი და თქვა: „ზეფ“, და ამის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი - ნელა, დიდი პა-უზებით, ხან ჭერზე მიუთითებდა, ხან იატაკზე, ხან გარშემო ასავსავებდა ხე-ლებს. გაისამ ლაპარაკში ზოგიერთი სიტყვა ენიშნა, მაგრამ ამ სიტყვებს არა-ვითარი კავშირი არ ჰქონდა საქმესთან. როცა დაკავებული გაჩუმდა, გაისმა კაპრალ ვარიბობუს ხმა:

- ჩემი აზრით, კარგად გაწაფული ჯაშუშია, - განაცხადა კანცელარიის მო-ხელემ. - ბატონ ბრიგადირს უნდა მოვახსენოთ.

ბატონ როტმისტრს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

- შეგიძლიათ წახვიდეთ, ზეფ, - თქვა მან, - თქვენ გულმოდგინება გამოიჩი-ნეთ, ამას არ დაგივიწყებთ.

- დიდად გმადლობთ, ბატონო როტმისტრო! - იღრიალა ზეფმა და ის იყო, წასასვლელად შეტრიალდა, რომ დაკავებულმა უეცრად ხმადაბლა შესძახა, მოაჯირზე გადაიხარა და კაპრალის წინ მაგიდაზე მდებარე სუფთა ბლანკე-ბის დასტას დასწვდა.

ვარიბობუს კინაღამ გული გაუსკდა შიშისაგან (ამასაც კაპრალი ჰქვია), ბარბაცით უკან დაიხია და ველურს კალამი ესროლა. ველურმა ჰაერშივე მარ-დად დაიჭირა კალამი, იქვე მოაჯირზე მოკალათდა და ბლანკზე რაღაცის ხაზვას მოჰყვა, ისე რომ ზედაც არ შეუხედავს გაისა და ზეფისათვის, რომ-ლებმაც აქეთ-იქიდან სტაცეს ხელი.

- მოეშვით! - ბრძანა ბატონმა როტმისტრმა და გაი სიამოვნებით დაემორ-ჩილა: ამ ყავისფერი მხეცის დაკავება ნიშნავდა, მუხლუხებზე ხელის ჩავლე-ბით ტანკის შეჩერებას ცდილიყავი:

ბატონი როტმისტრი და ზეფი იქით-აქეთ ამოუდგნენ დაკავებულს და უყურებდნენ, რას ცოდვილობდა.

- ვგონებ, ეს სამყაროს სქემაა, - ყოყმანით თქვა ზეფმა.

- ჰმ... - გამოეხმაურა ბატონი როტმისტრი.

- რა თქმა უნდა, ასეა! ცენტრში მსოფლიო გამოსახა, ეს კი სამყაროა... ხოლო

აქ, მისი აზრით, ჩვენ ვიმყოფებით.

- კი მაგრამ, ყველაფერი ბრტყელი რად არის? - უნდობლად იკითხა ბატონმა როტმისტრმა.

ზეფმა მხრები აიჩეჩა.

- შესაძლოა, ბავშვური წარმოსახვა... ინფანტილიზმი... აი, შეხედეთ, აქ ასე მოვხვდიო, გვიჩვენებს.

- კი, შესაძლებელია. მსმენია ასეთი სახის შეშლილობაზე...

გაიმ, როგორც იქნა, შეძლო დაკავებულის ძლიერ მხარსა და ზეფის უხეშ, ოფლით გაჟღენთილ ქურთუკს შუა გაევლო. ნახატი, რომელიც ნახა, სასაცილოდ ეჩვენა. ასე პირველკლასელები ხატავენ სამყაროს: შუაში მსოფლიოს აღმნიშვნელი პატარა წრეა, რომელზეც შემოვლებულია სამყაროს სფეროს აღმნიშვნელი ვეებერთელა წრე, ხოლო ამ წრეზე გამოსახულ დიდ წერტილს ისღა აკლია, ხელ-ფეხი გაუკეთო და მიიღებ „ეს სამყაროა, ეს კი - მე“. უბედურმა ფსიხმა ისიც ვერ შეძლო, სამყაროს სფერო სწორი წრით გამოეხატა, რაღაც ოვალი გამოუვიდა. რა გასაკვირია, ის ხომ არანორმალურია... და კიდევ, პუნქტირით დახატა ხაზი, რომელიც დედამიწიდან წერტილისკენ მიემართება: აი, როგორ მოვხვდიო აქ.

ამასობაში დაკავებულმა მეორე ბლანკი აიღო და ერთმანეთის მოპირდაპირე კუთხეებში სწრაფად დახატა სამყაროს ორი პატარა სფერო, პუნქტირული ხაზით შეაერთა და რაღაც კაუჭებიც გამოაბა. ზეფმა უიმედოდ დაუსტვინა და ბატონ როტმისტრს უთხრა:

- ნებას მომცემთ, წავიდე?

მაგრამ ბატონმა როტმისტრმა არ გაუშვა.

- ე-ე... ზეფ, - თქვა მან, - მახსოვს, თქვენ იმ სფეროში მოღვაწეობდით, რა ჰქვია... - მან მოღუნული თითი კეფაზე მიიკაკუნა.

- მართალს ბრძანებთ, - პაუზის შემდეგ დაუდასტურა ზეფმა.

ბატონმა როტმისტრმა კანცელარიაში გაიარ-გამოიარა.

- ხომ არ შეძლებდით... ე... როგორ გითხრათ... აზრი გამოგეთქვათ ამ სუბიექტის შესახებ? პროფესიულად. თუ შეიძლება ასე ითქვას.

- არაფერი ვიცი, - თქვა ზეფმა. - მე უკვე უფლება აღარა მაქვს, პროფესიულად გამოვთქვა აზრი.

- მესმის, - თქვა ბატონმა როტმისტრმა. - ყველაფერი სწორია მომწონს

თქვენი საქციელი ოღონდ…

ზეფს ცისფერი წვრილი თვალები გადმოეკარკლა და „სმენაზე“ იდგა. ბატონი როტმისტრი კი აშკარად დაბნეული ჩანდა. გაის კარგად ესმოდა მისი მდგომარეობა. შემთხვევა მართლაც მნიშვნელოვანი და სერიოზულია (ვაითუ ეს ველური მაინც ჯაშუშია?) შტაბის ექიმი ბატონი ზოგუ, რა თქმა უნდა, ჩინებული ოფიცერია, ბრწყინვალე ლეგიონერი, მაგრამ მაინც შტაბის ექიმია და სხვა არაფერი, მაშინ როცა ამ წითურმა ზეფმა, სანამ დანაშაულს ჩაიდენდა, მშვენივრად იცოდა თავისი საქმე.

- რა გაეწყობა, - თქვა ბატონმა როტმისტრმა. - მაგრამ როგორც ადამიანი... თქვენ როგორ ფიქრობთ, მართლა შეშლილია?

ზეფი კვლავ შეყოვნდა.

- როგორც ადამიანი? - გაიმეორა მან. - რა თქმა უნდა, როგორც ადამიანი. ადამიანი ხომ ცდება ხოლმე. მაშ, ასე, როგორც ადამიანს, მგონია, რომ ეს პიროვნების გაორების აშკარად გამოხატული შემთხვევა, როცა ნამდვილი „მე“ გამოდევნილია და წარმოსახვით შექმნილ „მეს“ შეუცვლია. ასევე, როგორც ადამიანს, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით საჭიროდ მიმაჩნია დაენიშნოს ელექტროშოკი და ფლეოშემცველი პრეპარატები.

კაპრალმა ვარიბობუმ ყოველივე ეს ჩუმად ჩაიწერა, მაგრამ ბატონ როტმისტრს რას გამოაპარებ. მან კაპრალს დაწერილი ფურცელი წაართვა და ფრენჩის ჯიბეში ჩაიდო. მახ-სიმი კვლავ ალაპარაკდა, ის ხან ბატონ როტმისტრს მიმართავდა, ხან ზეფს - რაღაც უნდოდა საცოდავს, რაღაც არ მოსწონდა - მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და შემოვიდა ბატონი შტაბის ექიმი, რომლისთვისაც აშკარად სადილი დაეტოვებინებინათ.

- სალამი, ტოოტ, - ბუზღუნით თქვა. - რა მოხდა? მადლობა ღმერთს, თქვენ ჯანმრთელად ხართ... ეს რა ტიპია?

- აღსაზრდელებმა ტყეში დაიჭირეს, - განმარტა ბატონმა როტმისტრმა - ვგონებ, შეშლილი უნდა იყოს.

- სიმულანტია, შეშლილი კი არა, - წაიბუზღუნა ბატონმა შტაბის ექიმმა და გრაფინიდან წყალი დაისხა. - უკანვე გაგზავნეთ ტყეში. იმუშაოს.

- ჩვენებური არ არის, - შეესიტყვა ბატონი როტმისტრი. - და არც ის ვიცით, საიდან მოვიდა. შეიძლება, თავის დროზე გადაგვარებულებმა ჩაიგდეს, მათთან შეიშალა და ჩვენთან გადმოვიდა.

- სწორია, - დაუმოწმა ბატონმა შტაბის ექიმმა. - კაცი უნდა შეიშალოს, რომ ჩვენთან გადმოვიდეს. - დაკავებულთან მივიდა და მაშინვე სტაცა ხელი ქუთუთოებში (დაკავებული საშინლად გაიკრიჭა და ოდნავ ხელი ჰკრა), - აბა-აბა! - თქვა ბატონმა შტაბის ექიმმა და მარჯვედ ჩააფრინდა ყურში. - ეგეთები არ იყოს!

დაკავებული დაემორჩილა. ბატონმა შტაბის ექიმმა ქუთუთოები გადმოუტრიალა, სტვენა-სტვენით გაუსინჯა კისერი და ყელი, ხელი მოუხარა და გაუმართა, შემდეგ ქშენით მოიხარა და მუხლებქვეშ დაარტყა, გრაფინთან დაბრუნდა და კიდევ დალია ერთი ჭიქა წყალი.

- გულის ძმარვა მაქვს, - თქვა მან.

გაიმ ზეფს შეხედა. წითურს თავისი ზარბაზანი ფეხზე მიეყუდებინა, განზე იჯდა და აშკარად გულგრილი გამომეტყველებით მისჩერებოდა კედელს. ბატონმა შტაბის ექიმმა წყლით გული იჯერა და კვლავ მიუბრუნდა ფსიხს. სინჯავდა, უკაკუნებდა, კბილებს უმოწმებდა, ერთი-ორჯერ მუშტიც უთავაზა მუცელში. შემდეგ ჯიბიდან ბრტყელი კოლოფი ამოიღო, მავთული გახსნა, შტეპსელს შეუერთა და სინჯვა დაუწყო. კოლოფს ხან ერთგან ადებდა სხეულზე, ხან მეორეგან.

- ესეც ასე, - თქვა მან, მავთულს რომ ახვევდა. - ყველა სიკეთესთან ერთად მუნჯიცაა?

- არა, - შეესიტყვა ბატონი როტმისტრი, - ლაპარაკობს, მაგრამ რაღაც ველურ ენაზე. ჩვენი არაფერი გაეგება. აი მისი ნახატები.

ბატონმა შტაბის ექიმმა ნახატებს დახედა.

- ჰო-ჰო-ჰო,- თქვა მან, - საინტერესოა... - კაპრალს კალმისტარი გამოგლიჯა და ბლანკზე სწრაფად დახატა კატა, როგორც ბავშვები ხატავენ ხოლმე, ჯოხებისა და წრეებისაგან - ამაზე რას გვეტყვი, მეგობარო? - თქვა და ფსიხს გაუწოდა.

ის მაშინვე კალმით რაღაცის ჯღაბნას შეუდგა და კატის გვერდით გაჩნდა უცნაური, ძალზე ბანჯგვლიანი ცხოველი, რომელსაც მძიმე, არასასიამოვნო გამოხედვა ჰქონდა. ასეთი ცხოველი გაის არ ენახა, მაგრამ მიხვდა, რომ ეს უკვე ბავშვის ნახატს არ ჰგავდა, ნახატი ჩინებული, უბრალოდ შესანიშნავი იყო. შეხედვისაც შეგეშინდებოდა კაცს. ბატონმა შტაბის ექიმმა კალმის გამოსართმევად გაიწვდინა ხელი, მაგრამ ფსიხი დაიხარა და ქაღალდზე გამოსახა კი-

დევ ერთი ცხოველი, რომელსაც ვეებერთელა ყურები, დანაოჭებული ტყავი ჰქონდა და ცხვირის ადგილზე მსხვილი კუდი ება.

- მშვენიერია! - წამოიძახა ბატონმა შტაბის ექიმმა და ფერდებზე დაირტყა ხელი.

ფსიხი კი არ ცხრებოდა. ახლა ცხოველს კი არა, აშკარად დიდი გამჭვირვალე ნაღმისმაგვარ რაღაც აპარატს ხატავდა. შემდეგ ძალიან მარჯვედ დახატა აპარატში მჯდომი კაცი, თითი მიუკაკუნა მას, შემდეგ იგივე თითი მკერდზე მიიკაკუნა და წარმოთქვა:

- მახხ-სიმ.

- აი, ეს რაღაც მდინარესთან შეეძლო ენახა, - თქვა უჩუმრად მოახლოებულმა ზეფმა. - წუხელ დავწვით. მაგრამ ის ურჩხული... - მან თავი გააქნია.

ბატონმა შტაბის ექიმმა თითქოს პირველად შენიშნა ზეფი.

- ა, პროფესორო! - შესძახა მომეტებული სიხარულით. - მეც არა ვთქვი, ეს რა ყარს-მეთქი კანცელარიაში. - თავაზიანობას ხომ არ გამოიჩენდით, კოლეგა, და თქვენს ბრძნულ აზრებს აი, იმ კუთხიდან ხომ არ წარმოსთქვამდით? დიდად დამავალებთ.

ვარიბობუმ ჩაიხითხითა, ბატონმა როტმისტრმა კი მკაცრად თქვა:

- კართან დადექით, ზეფ, და თავს ნუ გაგივათ...

- კეთილი, - თქვა ბატონმა შტაბის ექიმმა. - ახლა რას უპირებთ, ტოოტ?

- ეს თქვენს დიაგნოზზეა დამოკიდებული, ზოგუ, - უპასუხა ბატონმა როტმისტრმა. - თუ სიმულანტია, პროკურატურას გადავცემ, იქ გაარკვევენ. ხოლო თუ შეშლილია...

- სიმულანტი არ არის, ტოოტ! - დიდი ამბით წარმოთქვა ბატონმა შტაბის ექიმმა. - არაფერი ესაქმება პროკურატურაში. მაგრამ ერთი ადგილი მეგულება, სადაც ის დიდ ინტერესს გამოიწვევს. ბრიგადირი სადაა?

- ტრასაზე.

- თუმცა რა მნიშვნელობა აქვს?? თქვენ ხომ მორიგე ხართ, ტოოტ? ჰოდა, აი ამ მისამართზე გაგზავნეთ ეს ყოვლად საინტერესო ვაჟბატონი... - ბატონი შტაბის ექიმი მოაჯირზე მოკალათდა და საკუთარ მხარსა და იდაყვებს მოფარებულმა უკანასკნელ ნახატს უკან რაღაც წააწერა:

- ეს რა არის? - ჰკითხა ბატონმა როტმისტრმა.

- ეს? ეს ერთი დაწესებულებაა, რომელიც მადლობას გვეტყვის ჩვენი ფსი-

ხისათვის, ტოოტ. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ასეა.

შეყოყმანებულმა ბატონმა როტმისტრმა ბლანკი თითებით შეატრიალ-შე-მოატრიალა, შემდეგ კანცელარიის შორეული კუთხისაკენ წავიდა და თითით მოუხმო ბატონ შტაბის ექიმს. ერთხანს იქ ჩურჩულებდნენ, ასე რომ, მხოლოდ ბატონი ზოგუს ზოგიერთ რეპლიკას - თუ გაარჩევდა კაცი: „პროპაგანდის დეპარტამენტი… სანდო პირს გაატანეთ... არც ისე საიდუმლოა!... სიტყვას გაძლევთ... უბრძანეთ დაივიწყოს... დალახვროს ეშმაკმა, ის ძუძუმწოვარა მაინც ვერაფერს მიხვდება!...“

- კეთილი, - თქვა ბოლოს ბატონმა როტმისტრმა - კაპრალო ვარიბობუ, თანხლებული ქაღალდი დაწერეთ.

კაპრალი წამოიწია.

- სამგზავრო საბუთები გაამზადეთ რიგითი გაალისათვის?

- დიახ!

- სამგზავრო საბუთებში ჩაწერეთ საპატრულო მახსიმი. რიგითო გაალ!

გაალმა ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და სმენაზე გაიჭიმა.

- გისმენთ, ბატონო როტმისტრო!

- სანამ დედაქალაქში სამსახურის ახალ ადგილზე მიხვიდოდეთ, დაკავებული ამ ფურცელზე აღნიშნულ მისამართზე მიიყვანეთ. ბრძანებას რომ შეასრულებთ, ფურცელი მორიგე ოფიცერს ჩააბარეთ ახალ სამსახურში. მისამართი დაივიწყეთ. ეს თქვენდამი ჩვენი უკანასკნელი დავალებაა, გაალ, და მწამს, ისე შეასრულებთ, როგორც კარგ ლეგიონერს შეჰფერის.

- არის, შესრულებული იქნება! - შესძახა საოცრად აღტაცებულმა გაიმ.

თავბრუდამხვევმა აღტაცებამ ცხელ ტალღასავით დაუარა, აიტაცა, ცაში ატყორცნა. ო, აღტაცების ეს ტკბილი წუთები, დაუვიწყარი წუთები, როცა ფრთები გესხმება, ალერსიანი ზიზღით ივსები ყოველივე უხეშისადმი, მატერიალურის, ამქვეყნიურისადმი... წუთები, როცა გწყურია ბრძანებამ შიგ ცეცხლის ალში გიკრას თავი, აურაცხელი მტრის შესახვედრად, ველური ურდოების შუაგულში, ტყვიების ქარცეცხლში და ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია, იქნება მეტი სიტკბოება, აღტაცება დაგაბრმავებს და დაგფერფლავს... ო ცეცხლო, ო ალო! ო გააფთრებავ! და აი ის, აი ის!... ის ადგება, ზორბა, ძლიერი, ლამაზი ვაჟკაცი, ბრიგადის სიამაყე, ჩვენი კაპრალი ვარიბობუ, როგორც ცეცხლოვანი ჩირაღდანი, როგორც დიდების და ერთგულების ქანდაკი, ის წამო-

იწყებს, ჩვენ კი ავყვებით, ყველანი ერთად...

წინ ლეგიონერებო! რკინის ყმაწვილებო!

მგზნებარე გულებით თვალებში ცეცხლით...

რკინის ქუსლებით ვჟლეტავთ ქვებუდანებს

მტერს სისხლის მახვილებით ვებრძვით.

და ყველა მღეროდა. მღეროდა ბრწყინვალე ბატონი როტმისტრი ტოოტი, ლეგიონერის ნიმუში, ნიმუშთა ნიმუში, რომლისთვისაც ასე გწყურია ახლავე, ამ მარშის ხმაზე გაწირო სიცოცხლე, სული, ყველაფერი. და ბატონი შტაბის ექიმი ზოგუ, მოწყალების ძმის ნიმუში, უხეში, როგორც ნამდვილი ჯარისკაცი და ალერსიანი, როგორც დედის ხელები... და ჩვენი კაპრალი ვარიბობუ, სულით ხორცამდე ჩვენი, ძველი მეომარი, ვეტერანი, შეტაკებებში გაჭაღარავებული... ო, როგორ უბრწყინავს ღილები და დანაკერები გაცვეთილ, დამსახურებულ მუნდირზე, მისთვის არ არსებობს არაფერი, გარდა სამსახურისა!...

ჩვენი რკინის მუშტები ანგრევენ ზღუდეებს,

ცეცხლის შევარდნებო, არ შედრკეთ, მედგრად!

ვერავის მივუტევებთ, მტერი ვერაგია,

მტერს სისხლის მახვილებით ვებრძვით.

...მაგრამ ეს რაღაა? ის არ მღერის, მოაჯირზე დაყრდნობილი დგას და სულელურ ყავისფერ თავს აკანტურებს, თვალებს აცეცებს, და სულ იკრიჭება... ვის დასცინი, არამზადავ? ო, როგორ მინდა მძიმე ნაბიჯით მოგიახლოვდე, მუშტი გამოგიქანო და კარგად მოგადო მაგ საზიზღარ, თეთრ კბილებში... მაგრამ. არ შეიძლება, არ შეიძლება, ლეგიონერი ამას ვერ იკადრებს: ის ხომ მხოლოდ ფსიხია, საცოდავი ხეიბარი, რა იცის ნამდვილი ბედნიერების ფასი, ბრმაა, არარაობა, ადამიანის უბადრუკი ნამსხვრევი... ეს წითური ბანდიტი კი, აუტანელი ტკივილით შეპყრობილი, კუთხეში მიგდებულა... შე კატორღელო ბანდიტო, შენა, ერთი კარგად ჩაგცხო კაცმა, მაგ საზიზღარ წვერში გწვდეს! ადექი, მუდრეგო! სმენაზე დადექი, როცა ლეგიონერები თავიანთ მარშს მღერიან! თავში, თავში და ბინძურ სიფათში, კიბოს თავხედურ თვალებში... აი ასე, აი ასე...

გაიმ კატორღელი მოისროლა, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და ბატონ როტმისტრს მიუბრუნდა. როგორც ყოველთვის, ასეთი აღტყინების შემდეგ, ყურები რაღაცნაირად უწიოდა და გარშემო ყველაფერი მიცურავდა და ირწეოდა.

დაძაბვისაგან გალურჯებულ კაპრალ ვარიბობუს გულზე ხელი წაევლო და სუსტად ახველებდა. გაოფლილი და გაღაჟღაჟებული ბატონი შტაბის ექიმი გრაფინიდან ხარბად დასწაფებოდა წყალს და ცხვირსახოცს იშველიებდა ბატონი როტმისტრი ფიქრებში წასული რაღაცის გახსენებას ლამობდა. ზღურბლთან კუბოკრული ძონძების ბინძურ გროვად წრიალებდა წითური ზეფი. დაბეჟილი სახიდან სისხლი სდიოდა და უხმოდ კვნესოდა. მახ-სიმი კი უკვე აღარ იღიმებოდა. სახე გაშეშებოდა, ჩვეულებრივ ადამიანს დამსგავსებოდა და პირდაღებული უძრავი მრგვალი თვალებით გაის მისჩერებოდა.

- რიგითო გაალ, - გაბზარული ხმით წარმოთქვა ბატონმა როტმისტრმა. - ე-ე-... რაღაც მინდოდა მეთქვა თქვენთვის... დაიცათ, ზოგუ, ერთი ყლუპი წყალი მაინც დამიტოვეთ...

მესამე თავი

მაქსიმმა გაიღვიძა და მაშინვე იგრძნო, რომ თავი დამძიმებული ჰქონდა. ოთახში ჰაერი არ იძროდა. ღამით ისევ დაეხურათ ფანჯარა, თუმცა ფანჯრის გაღებასაც დიდი ვერაფერი აზრი აქვს - ქალაქი ძალიან ახლოსაა, დღისით ჩანს, რომ მას თავზე საზიზღარი ანაორთქლის უძრავი რუხი ფერის ქუდი ახურავს. ქარს ეს ანაორთქლი აქეთ მოაქვს, და ამას ვერც მანძილი უშლის ხელს, ვერც მეხუთე სართული, ვერც ძირს გადაშლილი პარკი. „ნეტა ახლა იონური შხაპი მიმაღებინა, - გაიფიქრა მაქსიმმა, - და მერე შიშველი გამიშვა ბაღში, ოღონდ ამ ქეციან, ნახევრად დამპალ, ბუღისაგან გადახუნებულ ბაღში კი არა, ჩვენსაში, სადმე გლადბახის გარეუბანში, ვერცხლისფრად მოლივლივე ნირსის პირას, და ძალ-ღონის დაუზოგავად თხუთმეტი კილომეტრი გამარბენინა ტბის ირგვლივ, გადამაცურინა, შემდეგ კი თხუთმეტი წუთი ფსკერზე გამასეირნა ფილტვების გასავარჯიშებლად, ხოხვით მატარა მოლიპულ წყალქვეშა ქვებს შორის...“ წამოხტა, ფართოდ გააღო ფანჯარა, წვიმის წვრილ წვეთებს მიუშვირა თავი, ღრმად ჩაისუნთქა ნესტიანი ჰაერი, ხველება დააწყებინა - ჰაერში ბევრი რამ იყო ზედმეტი, ხოლო წვიმის წვეთები ენახე ლითონის გემოს უტოვებდა. ავტოსტრადაზე სისინითა და სტვენით მიქროდნენ მანქანები, ძირს, ფანჯრის ქვეშ ყვითელი სველი ფოთლები ეყარა, ქვის მაღალ გალავანზე რაღაც ბრწყინავდა. ჩია ტანის კაცი, რომელსაც მოსასხამი დასველებოდა, პარკში დადიოდა და ჩამოცვენილ ფოთლებს აქუჩებდა. წვიმაში ბუნდოვნად მოჩანდა ქალაქის განაპირას მდგარი რომელიღაც ქარხნის აგურის შენობები. ორი მაღალი მილიდან, როგორც ყოველთვის, ზანტად მიიკლაკნებოდნენ და დედამიწას ეფინებოდნენ შხამიანი კვამლის სქელი ბოლქვები. სულშემხუთავი სამყარო. უბედური, დაავადებული სამყარო.

იგი მთლიანად საოცრად აფორიაქებული და სევდისმომგვრელია, როგორც ის დაწესებულება, სადაც კბილებჩაცვენილმა ღია ფერის ღილებიანმა ადამიანებმა უეცრად, კაცმა არ იცის, რატომ, ღრიალი მორთეს, ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ და გაიმ, იმ სიმპათიურმა, ლამაზმა ჭაბუკმა სრულიად მოულოდნელად გალახა და დაასისხლიანა წითური ზეფი, ის კი წინააღმდეგობასაც არ უწევდა... უბედური სამყარო... რადიოაქტიური მდინარე, რკინის უაზრო დრაკონი, ბინძური ჰაერი და გაზინთული მგზავრები ბორბლებზე

შემდგარ ტლანქ სამსართულიან ლითონის ყუთში, შავ მჭვარტლიან კვამლს რომ უშვებს... და კიდევ ერთი ველური სცენა - ვიღაც უხეშმა ადამიანებმა თავიანთი ხარხარითა და რაღაცის მინიშნებით აატირეს ხანშიშესული ქალი, და არავინ გამოქომაგებია, ვაგონი ხალხითაა გაჭედილი და ყველა განზე იყურება; მხოლოდ გაი წამოხტა უეცრად, ბრაზისა თუ შიშისაგან გათეთრებული, რაღაც უყვირა მათ და ისინიც გაიხიკნენ... მაგრამ თვით გაიც, აშკარად კეთილი, სიმპათიური კაცი, ზოგჯერ რატომღაც, საოცრად ბრაზდებოდა, საშინელ ჩხუბს უტეხავდა თავის მეზობლებს კუპეში, მხეცივით უბრიალებდა თვალებს, შემდეგ კი ისევე უეცრად მოეშვებოდა ხოლმე. არც დანარჩენები იქცეოდნენ უკეთესად. საათობით ისხდნენ ან იწვნენ და სავსებით მშვიდად, ხმადაბლა საუბრობდნენ, ზოგჯერ იცინოდნენ კიდეც, და უეცრად რომელიმე შარიანად შეუტევდა მეზობელს, განერვიულებული მეზობელი მკვახედ უპასუხებდა. ამის შემხედვარენი, ნაცვლად იმისა, რომ მოჩხუბარნი დაეშოშმინებინათ თავად ერეოდნენ ჩხუბში, ჩოჩქოლი მატულობდა, და აი უკვე ყველა ყვირის, იმუქრება, მუჯლუგუნს ჰკრავს მეორეს და მუშტების ქნევით ყირაზე გადადის - ვიღაცისათვის ქეჩოში ჩაუვლიათ ხელი, ბავშვები ღრიალებენ, გაღიზიანებულმა უფროსებმა მათ ლამის ყურები დააგლიჯონ. შემდეგ კი თანდათან ყველაფერი შოშმინდება, ყველა ერთმანეთს ებუტება, უგულოდ ელაპარაკება, ზურგს აქცევს... ზოგჯერ კი ჩხუბი ნამდვილ უხამსობამდე აღწევს: თვალები ლამის ორბიტებიდან გადმოუცვივდეთ, სახეები წითლად დაეფოთლებათ, ხმები შემზარავ წივილ-კივილში გადადის, ვიღაც ისტერიულად იცინის, ვიღაც მღერის, ვიღაცას აცახცახებული ხელები მაღლა აუპყრია და ლოცულობს... ნამდვილი საგიჟეთია...

მაქსიმი ფანჯარას მოშორდა, ერთხანს პატარა ოთახის შუაში იდგა, მოდუნებული, აპათიით და სულიერი დაღლილობით შეპყრობილი, შემდეგ ნებისყოფა მოიკრიბა, ხის ვეებერთელა სკამი წაიხმარა და ცოტათი წაივარჯიშა. „ასე შეიძლება წახდე კაცი, -გაიფიქრა შეწუხებულმა. - ალბათ, ერთ-ორ დღეს კიდევ გავძლებ, შემდეგ კი უნდა გავიპარო, ცოტა ვიხეტიალო ტყეებში... კარგი იქნებოდა, მთაში გავპარულიყავი-რა დიდებული მთები აქვთ, ველური... მართალია, მოშორებითაა ერთ ღამეში ვერ დაბრუნდები... რას ეძახდა მათ გაი? ზარტაკი... საინტერესოა, ეს საკუთარი სახელია, თუ საერთოდ მთას ნიშნავს? თუმცა სად მცალია მთებისათვის. ათი დღეა, აქა ვარ და ჯერაც არაფერი

გამიკეთებია...“

ძლივს შევიდა ვიწრო საშხაპეში და რამდენიმე წუთი ფრუტუნებდა და ტანს იზელდა ხელოვნური მძიმე წვიმის ქვეშ, რომელიც ბუნებრივივით არასასიამოვნო და თანაც უფრო ცივი, ხისტი და კირიანი იყო.

ტანი დეზინფიცირებული პირსახოცით შეიმშრალა და საწოლის დასალაგებლად ოთახში დაბრუნდა ყველაფრით უკმაყოფილო: ამ მოღრუბლული დილითაც, სულშემხუთავი სამყაროთი, თავისი სულელური მდგომარეობით, მეტისმეტად ცხიმიანი საუზმითაც, რომელიც ელის. საუზმე უკვე მოეტანათ - მაგიდაზე მყრალი ორთქლი ასდიოდა. თევზი ფანჯარას კეტავდა.

- გამარჯობათ, - მიმართა მაქსიმმა ადგილობრივ ენაზე. - არ უნდა, ფანჯარა.

- გაგიმარჯოთ, - უპასუხა მან მრავალრიცხოვანი ურდულის ჩხაკუნით. - უნდა. წვიმს. ცუდია.

- თევზო,- უთხრა მაქსიმმა ლინკოსის ენახე. სინამდვილეში მას ნოლუ ერქვა, მაგრამ მაქსიმმა თავიდანვე თევზი შეარქვა სახის საერთო გამომეტყველებისა და აუღელვებლობის გამო.

ქალი მოტრიალდა და უძრავი თვალები მიაპყრო. შემდეგ, უკვე მერამდენედ, თითი ცხვირის წვერზე მიიდო და თქვა: „ქალი“. მერე მაქსიმისკენ გაიშვირა: „კაცი“, შემდეგ აბეზარი ბალახონისკენ, რომელიც სკამის ზურგზე ეკიდა: „ტანსაცმელი უნდა“. რატომღაც ვერ იტანდა შორტებიან მამაკაცს. უნდოდა, კაცი კისრიდან ფეხებამდე ტანსაცმელში ყოფილიყო გახვეული.

მაქსიმი ჩაცმას შეუდგა, თევზმა კი ლოგინი დაულაგა, თუმცა მაქსიმი მუდამ ამბობდა, თვითონ დავალაგებო. შუა ოთახში გამოსწია მაგიდა, რომელსაც მაქსიმი მუდამ კედელთან დგამდა, მტკიცედ გადმოაბრუნა გათბობის ონკანი, მაქსიმს მუდამ ბოლომდე რომ ჰქონდა გადატრიალებული და მაქსიმის ყველა ერთფეროვანი „არ უნდა“ მის არანაკლებ ერთფეროვან „უნდაზე“ - იმსხვრეოდა.

მაქსიმმა ბალახონი კისერთან ერთადერთი გატეხილი ღილით შეიბნია, მაგიდასთან მივიდა და ორკბილა ჩანგლით საუზმეს დაუწყო ჩიჩქნა. გაიმართა ჩვეულებრივი დიალოგი:

- არ მინდა. არ უნდა.

- უნდა. საჭმელი. საუზმე.

- არ მინდა საუზმე. უგემურია.

- უნდა. საუზმე. გემრიელია

- თევზო, - უთხრა მაქსიმმა გულში ჩამწვდომი ხმით, - რა სასტიკი ვინმე ხართ. დედამიწაზე რომ მოხვედრილიყავით, თავს მოვიკლავდი და მოსაწონ საჭმელს გიშოვიდით.

- არ მესმის, - თქვა თევზმა სრულიად გულგრილი გამომეტყველებით. - რა არის „თევზი?“

მაქსიმმა, რომელიც ზიზღით ღეჭავდა ქონიან ხორცს, ქაღალდი აიღო და კაპარჭინა დახატა. ქალმა ყურადღებით დაათვალიერა ნახატი და ხალათის ჯიბეში ჩაიდო. მაქსიმის ყველა ნახატი მას სადღაც მიჰქონდა. მაქსიმი ბევრს ხატავდა, თანაც ხალისითა და სიამოვნებით: ხატავდა თავისუფალ დროსა და ღამ-ღამობით, როცა, არ ეძინებოდა. აქ საქმე ხომ არაფერი ჰქონდა, ხატავდა ცხოველებსა და ადამიანებს, ხაზავდა ტაბულებსა და დიაგრამებს, ხატავდა ანატომიურ ჭრილებს. პროფესორ მეგუს ბეჰემოთს ამსგავსებდა, ხოლო ბეჰემოთებს - პროფესორ მეგუს; ხაზავდა ლინკოსის უნივერსალურ ტაბულებს, მანქანების სქემებსა და ისტორიულ თანამიმდევრობათა დიაგრამებს; ქაღალდს არ ზოგავდა, მაგრამ ყოველივე ისე ქრებოდა თევზის ჯიბეში, რომ კონტაქტის პროცედურისათვის არავითარი საგრძნობი შედეგები არ ჰქონდა. პროფესორ მეგუს, იგივე ბეჰემოთს, საკუთარი მეთოდი ჰქონდა და არც აპირებდა ხელი აეღო მასზე.

ბეჰემოთს სულ არ აინტერესებდა ლინკოსის უნივერსალური ტაბულა, რომლის შესწავლით უნდა დაწყებულიყო ყოველგვარი კონტაქტი. ჩამოსულს ადგილობრივ ენას მხოლოდ თევზი ასწავლიდა, და ისიც იმისათვის, რომ ურთიერთობა გაადვილებოდა, რომ მაქსიმს ფანჯარა დაეკეტა და უბალახოდ არ ევლო. კონტაქტისათვის ექსპერტებს სულ არ იწვევდნენ. მაქსიმთან მხოლოდ და მხოლოდ ბეჰემოთი მუშაობდა.

ეს კია, რომ მის განკარგულებაში იყო კვლევის საკმაოდ მძლავრი საშუალება - მენტოსკოპიური ტექნიკა, და მაქსიმი დღე-ღამეში თოთხმეტ-თექვსმეტ საათს ატარებდა სასტენდო სავარძელში. თანაც ბეჰემოთს კარგი მენტოსკოპი ჰქონდა. იგი მოგონებებში საკმაოდ ღრმად შეჭრის საშუალებას იძლეოდა და ამოხსნის ძალიან დიდი უნარით იყო აღჭურვილი. კაცმა რომ თქვას, ასეთი მანქანის პატრონისათვის ენის უცოდინარობასაც არ უნდა შე-

ეშალა ხელი. მაგრამ ბეჰემოთი მენტოსკოპით როგორღაც უცნაურად სარგებლობდა. თავისი მენტოგრამების ჩვენებაზე კატეგორიულად და, ცოტა არ იყოს, აღშფოთებითაც ამბობდა უარს, ხოლო მაქსიმის მენტოგრამებს თავისებურად ეკიდებოდა. მაქსიმმა სპეციალურად შეიმუშავა მთელი პროგრამა მოგონებებისა, რომლებსაც აბორიგენებისათვის საკმაოდ სრული წარმოდგენა უნდა მიეცა დედამიწის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ. მაგრამ ამგვარი მენტოგრამები არავითარ ენთუზიაზმს არ აღუძრავდა ბეჰემოთს. იგი იმანჭებოდა, ზმუოდა, ტელეფონს ეძგერებოდა, ან მაგიდას მიუჯდებოდა და გულს უწვრილებდა ასისტენტს, თანაც ხშირ-ხშირად იმეორებდა ძარღვიან სიტყვას მასარაკშ. სამაგიეროდ, როცა ეკრანზე მაქსიმი იმ ყინულის კლდეს აფეთქებდა, ხომალდი რომ გაჭყლიტა, ან სკორჩერით ფლეთდა ჯავშნიან მგელს, ან ექსპრეს-ლაბორატორიას ართმევდა გიგანტურ სულელ ფსევდორვაფეხას, ბეჰემოთს ყურით ვერ გამოათრევდი მენტოსკოპისაგან. ის ხმადაბლა ყმუოდა, გახარებული იტყაპუნებ-და ხელებს მელოტ თავზე და ქოქოლას აყრიდა ქანცგამოლეულ ასისტენტს, გამოსახულების ჩაწერას რომ ადევნებდა თვალს. ქრომოსფერული პროტუბერანცის დანახვა პროფესორს ისეთ აღტაცებას ჰგვრიდა, თითქოს მსგავსი არაფერი ენახა ცხოვრებაში. განსაკუთრებით მოსწონდა სატრფიალო სცენები, რომლებიც მაქსიმმა უმთავრესად კინოფილმებიდან ისესხა, სპეციალურად, რათა აბორიგენებს თუნდაც რაიმე წარმოდგენა მისცემოდათ კაცობრიობის ემოციურ ცხოვრებაზე.

მასალისადმი ასეთი გულგრილი მიდგომა მაქსიმს სევდიან ფიქრებს აღუძრავდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ბეჰემოთი პროფესორი კი არა, უბრალოდ მენტოსკოპისტი ინჟინერია და მასალას ამზადებს კონტაქტის ნამდვილი კომისიისათვის, რომელსაც მაქსიმი ჯერ არ შეხვედრია, და არც არავინ უწყის, როდის შეხვდება. გამოდის, რომ ბეჰემოთი საკმაოდ პრიმიტიული პიროვნებაა, პატარა ბიჭივითაა, „ომსა და მშვიდობაში“ მხოლოდ ბატალური სცენები რომ აინტერესებს. მაქსიმს ეს სწყინდა: ის დედამიწის წარმომადგენელი იყო და ნამდვილად ჰქონდა საფუძველი კონტაქტისათვის უფრო სერიოზული პარტნიორი ჰყოლოდა.

თუმცა ისიც სავარუდო იყო, რომ ეს სამყარო ვარსკვლავთაშორისი უხილავი ტრასების გზაჯვარედინზეა განლაგებული და ჩამოსულები აქ არც ისეთი

იშვიათობაა. ასე რომ, ყოველი ახლადჩამოსულისათვის უკვე აღარ ქმნიან სპეციალურ ავტორიტეტულ კომისიებს, უბრალოდ ცდილობენ, მაქსიმალურად ეფექტური ინფორმაცია ამოქაჩონ და ამას სჯერდებიან. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლეოდა ის, რომ ღია ფერის ღილებიანმა ადამიანებმა, აშკარად არასპეციალისტებმა ყოველგვარი ვაი-ვიშის გარეშე პირდაპირ დანიშნულებისამებრ გაგზავნეს ჩამოსული. ან იქნებ, აქ ნამყოფმა ვიღაც არაჰუმანოიდებმა იმდენად ცუდი მოგონება დაუტოვეს აბორიგენებს, რომ ახლა სხვა პლანეტიდან ჩამოსულს, ვინც უნდა იყოს ის, გარკვეული და სამართლიანი უნდობლობით ეკიდებიან, და მაშინ მთელი ეს დავიდარაბა, რასაც მენტოსკოპის გარშემო პროფესორი ბეჰემოთი ტეხავს, მხოლოდ მოჩვენებითი კონტაქტია, დროის გაჭიანურება, ხოლო სინამდვილეში სხვა რაღაც მაღალი ინსტანციები სწყვეტენ მის ბედს.

„ასეა თუ ისე, ჩემი საქმე წასულია, - გადაწყვიტა მაქსიმმა დაბოლო ლუკმა კინაღამ გადასცდა, - ენა მალე უნდა შევისწავლო და მაშინ ყველაფერი გაირკვევა“.

- კარგი, - თქვა თევზმა და თეფში გამოართვა. - წავიდეთ.

მაქსიმმა ამოიოხრა და წამოდგა. დერეფანში გავიდნენ. დერეფანი გრძელი იყო, ჭუჭყიანი-ცისფერი, მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწკრივებულიყო ერთნაირი დაკეტილი კარები. მაქსიმი აქ არასოდეს არავის შეხვედრია, მაგრამ ერთიორჯერ კარებიდან რაღაც უცნაური, მღელვარე ხმები გაიგონა. შესაძლოა, იქაც ჰყავდათ ჩამოსულები, რომლებიც ელოდნენ, როგორ გადაწყდებოდა მათი ბედი.

ჭოკივით სწორი თევზი მამაკაცური ფართო ნაბიჯებით წინ მიუძღოდა და მაქსიმს უეცრად ძალიან შეეცოდა იგი. ჩანდა, ეს ქვეყანა ჯერაც არ იცნობდა სილამაზის მრეწველობას და საცოდავი თევზი საკუთარ შესაძლებლობათა ამარა დარჩენილიყო. თეთრი ქუდიდან გამოჩრილი ამ მეჩხერი უფერული თმების, ხალათიდან გამოშვერილი ვეებერთელა ბეჭების, საოცრად გამხდარი ფეხების პატრონი თავს ჯეროვან სიმაღლეზე ვერ იგრძნობდა, თუ მაინცდამაინც უცხოპლანეტელთან და ისიც არაჰუმანოიდთან არ ექნებოდა საქმე. პროფესორის ასისტენტი მას აგდებულად უყურებდა, ხოლო ბეჰემოთი საერთოდ არ ამჩნევდა და მხოლოდ ასე მიმართავდა: „ი-ი-ი...“, რაც ალბათ მის წარმოდგენაში ინტერკოსმოსურ „ე-ე-ე...“-ს შეესაბამებოდა. მაქსიმს გაახსენდა ამ ქა-

ლისადმი თავისი არცთუ ისე გულისხმიერი დამოკიდებულება და სინდისის ქენჯნა იგრძნო. დაეწია, გამხდარ ბეჭებზე ხელი მოუთათუნა:

- ყოჩაღ, ნოლუ, კარგია.

ნოლუმ ცივად ახედა, მისი სახე გაოცებულ კაპარჭინას დაემსგავსა, შემდეგ მაქსიმის ხელი მოიშორა, სუსტად მინიშნებული წარბები შეყარა და მკაცრად განაცხადა:

- მაქსიმი ცუდია. კაცი. ქალი. არ უნდა.

მაქსიმს შერცხვა და კვლავ ჩამორჩა.

ასე მიაღწიეს დერეფნის ბოლომდე. თევზმა კარი შეაღო და დიდ ნათელ ოთახში შევიდნენ, რომელსაც მაქსიმი გუნებაში მისაღებს უწოდებდა. ფანჯრები აქ გემოვნებამოკლებული რკინის მსხვილი მართკუთხა ცხაურით იყო დეკორირებული. მაღალი, ტყავგადაკრული კარი ბეჰემოთის ლაბორატორიაში გადიოდა. ამ კართან კი რატომღაც მუდამ იჯდა ორი ძალიან მაღალი გაშეშებული აბორიგენი, რომლებიც სალამზე პასუხს არ იძლეოდნენ და თითქოს სულ ტრანსში იმყოფებოდნენ.

თევზი, როგორც ყოველთვის, მაშინვე შევიდა ლაბორატორიაში, მაქსიმი კი მისაღებში დატოვა. მაქსიმი, როგორც ყოველთვის, მიესალმა აბორიგენებს, რომლებმაც როგორც ყოველთვის, არ უპასუხეს. ლაბორატორიის კარი გამოღებული დარჩა, იქიდან ბეჰემოთის ბრაზიანი ყვირილი და ჩართული მენტოსკოპის წკრიალა ტკაცანი აღწევდა. მაქსიმი ფანჯარასთან მივიდა, ერთხანს უყურა ნისლიან სველ პეიზაჟს, ავტოსტრადის ლენტით გადაკვეთილ ტყეშეფენილ დაბლობს, ლითონის მაღალ კოშკს, რომელიც ძლივს ჩანდა ნისლში, მაგრამ მალე მოსწყინდა და დაძახებისათვის არ დაუცდია, ისე შევიდა ლაბორატორიაში.

აქ ჩვეულებისამებრ ოზონის სასიამოვნო სუნი ტრიალებდა, ციმციმებდნენ მადუბლირებელი ეკრანები, ქანცგაწყვეტილ ქაჩალ ასისტენტს, რომელსაც ძნელად დასამახსოვრებელი სახელი ერქვა და მეტსახელად ტორშერს ეძახდნენ თავი ისე ეჭირა, თითქოს აპარატურის აწყობით იყო გართული, სინამდვილეში კი ინტერესით უსმენდა ლაბორატორიაში ატეხილ სკანდალს.

ბეჰემოთის სავარძელში, ბეჰემოთის მაგიდასთან იჯდა უცნობი, რომელსაც კვადრატული აქერცლილი სახე და წითელი შეშუპებული თვალები ჰქონდა. მის წინ ბეჰემოთი იდგა, ფეხებგაფარჩხული, დოინჯშემოყრილი,

წელში მოხრილი. კისერი გალურჯებოდა, მელოტი თავი ჩამავალი მზის მეწამულფრად აელვარებოდა, პირიდან დორბლის შხეფები სცვიოდა.

მაქსიმი უჩუმრად მივიდა თავის სამუშაო ადგილთან და ხმადაბლა მიესალმა ასისტენტს. ტორშერი, ნერვული, დამფრთხალი არსება შეშინებული უკან გადახტა და მსხვილ კაბელზე ფეხი დაუცდა. მაქსიმმა ძლივს მოასწრო, მხრებში ჩაევლო ხელი, უბედურმა ტორშერმა ერთი გადააბრიალა თვალები და მიესვენა. სახე მთლად გადაფითრებოდა. უცნაური კაცი იყო: მაქსიმის დანახვაზე ელეთ-მელეთი მოსდიოდა. საიდანღაც უხმაუროდ გაჩნდა თევზი და ცხვირთან თავმოხდილი ფლაკონი მიუტანა., ტორშერს დაასლოკინა და გონს მოვიდა. სანამ კვლავ გაიპარებოდა, მაქსიმმა რკინის კარადას მიაყუდა და საჩქაროდ გაეცალა.

სასტენდო სავარძელში მოკალათებულმა იგრძნო, რომ კანაქერცლილი უცნობი აღარ უსმენს ბეჰემოთს და მას, მაქსიმს უთვალთვალებს. მაქსიმმა თავაზიანად გაუღიმა. უცნობმა ოდნავ დახარა თავი. ამ დროს ბეჰემოთმა მთელი ძალით მაგიდას მუშტი დაანარცხა და ტელეფონის აპარატს ეცა. უცნობმა პაუზით ისარგებლა და რამდენიმე სიტყვა წაილუღლუღა, რომელთაგან მაქსიმმა გაარჩია მხოლოდ „უნდა“ და „არ უნდა“. მაგიდიდან მუქმწვანე არშიაშემოვლებული სქელი მოცისფრო ქაღალდის ფურცელს დაავლო ხელი და ბეჰემოთს ცხვირწინ აუფრიალა. ბეჰემოთმა ქაღალდი მოისროლა და ტელეფონში აყეფდა. „უნდა“. „არ უნდა“ და გაუგებარი „მასარაკშ“ უხვად სცვიოდა პირიდან, და კიდევ მაქსიმმა გაარჩია სიტყვა „ფანჯარა“. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ გაღიზიანებულმა ბეჰემოთმა ყურსაცვამი მოიგლიჯა და კიდევ რამდენჯერმე უღრიალა უცნობს, თავით ფეხამდე დადორბლა და კარის ჯახუნით გარეთ გაგორდა.

მაშინ უცნობმა სახე ცხვირსახოცით გაიწმინდა, სავარძლიდან წამოდგა, ფანჯრის რაფაზე დადებული გრძელი, ბრტყელი კოლოფი გახსნა და რაღაც მუქი ტანსაცმელი ამოიღო.

- აქ მოდით, - უთხრა მაქსიმს. - ჩაიცვით.

მაქსიმმა თევზს გახედა.

- წადით, - თქვა თევზმა. - ჩაიცვით. უნდა.

მაქსიმი მიხვდა, რომ ბოლოს და ბოლოს მის ბედში სანუკვარი შემობრუნება ხდება, რომ სადღაც ვიღაცამ რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. თევზის და-

რიგება გადაავიწყდა, მაშინვე მოიშორა მახინჯი ბალახონი და უცნობის მეშვეობით ახალი სამოსი ჩაიცვა. ეს სამოსი, მაქსიმის აზრით, არც სილამაზით გამოირჩეოდა, არც მოხერხებულობით, მაგრამ ზუსტად ისეთივე იყო, როგორიც უცნობს ეცვა. კაცს შეიძლებოდა ისიც ეფიქრა, უცნობმა საკუთარი სათადარიგო სამოსი გასწირაო, რადგანაც ქურთუკს სახელოები მოკლე ჰქონდა, ხოლო შარვალი უკან ტომარასავით იყო ჩამოკიდებული და ძვრებოდა, თუმცა დანარჩენ იქ მყოფებს ძალიან მოეწონათ მაქსიმი ახალ ტანსაცმელში. უცნობი მოწონების ნიშნად რაღაცას ბურტყუნებდა, თევზმა ალერსიანი გამომეტყველება მიიღო, რამდენადაც ეს შესაძლებელია კაპარჭინასათვის. მაქსიმს მხრებს უსწორებდა და ქურთუკს უქაჩავდა, პულტს ამოფარებული ტორშერიც კი ოდნავ იღიმებოდა

- წავიდეთ, - თქვა უცნობმა და იმ კარისაკენ გაემართა, რომელშიც გააფთრებული ბეჰემოთი გავარდა.

- ნახვამდის, - უთხრა მაქსიმმა თევზს. - გმადლობ. - დაუმატა ლინკოსურად.

- ნახვამდის, - უპასუხა თევზმა. - მაქსიმი კარგია. ჯანმრთელია. უნდა.

ეტყობოდა, მას გული აუჩუყდა. ან იქნებ იმან შეაწუხა, რომ მაქსიმს კოსტიუმი კარგად არ აჯდა, მაქსიმმა გაფითრებულ ტორშერს ხელი დაუქნია და ჩქარი ნაბიჯებით გაჰყვა უცნობს.

მათ ტლანქი, არქაული აპარატურით სავსე რამდენიმე ოთახი გაიარეს, მოგრიალე და მოღრჭიალე ლიფტით პირველ სართულზე ჩავიდნენ და ფართო დაბალ ვესტიბიულში აღმოჩნდნენ, სადაც რამდენიმე დღის წინათ გაიმ მაქსიმი მოიყვანა. და, როგორც რამდენიმე დღის წინათ, კვლავ მოუხდათ ლოდინი, სანამ იწერებოდა რაღაც ქაღალდები, სასაცილო ტანმორჩილი კაცი, უცნაური ქუდი რომ ეხურა, რაღაცას ჯღაბნიდა ვარდისფერ მუყაოებზე, ხოლო თვალებჩასისხლიანებული უცნობი - მწვანეზე, ქალიშვილი კი, რომელსაც თვალებზე ოპტიკური გამაძლიერებლები ეკეთა, ამ მუყაოებზე ამონაჭრებს აკეთებდა, შემდეგ ყველამ ერთმანეთს გაუცვალა მუყაოები, თანაც თავგზააბნეულები ყვიროდნენ, ტელეფონის აპარატს ეძიძგილავებოდნენ და ბოლოს ჩია ტანის სასაცილო ქუდიანმა კაცმა ორი მწვანე და ერთი ვარდისფერი მუყაო გამოართვა მათ, თანაც ვარდისფერი მუყაო შუაზე გახია და ნახევარი ქალიშვილს გადასცა, რომელიც ამონაჭრებს აკეთებდა, ხოლო კანგადაქერ-

ცლილმა უცნობმა აიღო ორი ვარდისფერი მუყაო, ლურჯი სქელი მუყაო და კიდევ ლითონის მრგვალი წარწერებიანი ჟეტონი, და ყოველივე ეს ერთი წამის შემდეგ მისცა გასასვლელ კართან უცნაურქუდიანი პატარა კაცისაგან ოც ნაბიჯზე მდგომ ღიაფერის ღილებიან ზორბა კაცს, და როცა უკვე ქუჩაში გადიოდნენ, ზორბა კაცმა უეცრად ჩახლეჩილი ხმით დაიწყო ყვირილი და თვალებჩასისხლიანებული უცნობი კვლავ შემობრუნდა, და გამოირკვა, რომ მას დავიწყებია ლურჯი მუყაოს პატარა კვადრატი, აიღო ეს ლურჯი მუყაოს პატარა კვადრატი და ღრმა ოხვრით სადღაც უბეში შეინახა. მხოლოდ ამის შემდეგ მთლად გაწუწულ მაქსიმს მიეცა შესაძლებლობა ჩამჯდარიყო არაპროპორციულად გრძელ ავტომობილში თვალებჩასისხლიანებული კაცის მარჯვენა მხარეს, კაცი გაღიზიანებულად ქშინავდა და ხშირად იმეორებდა ბეჰემოთის საყვარელ ჯადოსიტყვას: „მასარაკშ“.

მანქანამ დაიღრინა, ადგილიდან მსუბუქად დაიძრა, ცარიელი და სველი. სხვა მანქანების უძრავ ჯოგს თავი დააღწია და შენობის წინ გადაშლილ დიდ მოასფალტებულ მოედანზე გასრიალდა, დამჭკნარი ყვავილების ვეებერთელა ყვავილნარს შემოუარა, მაღალ ყვითელ კედელს ჩაუარა, გზატკეცილზე მოსახვევამდე მიგორდა და უხეშად დამუხრუჭდა.

- მასარაკშ, - კვლავ დაისისინა თვალებჩასისხლიანებულმა და ძრავა გამორთო.

გზატკეცილზე გრძელ მწკრივად მიემართებოდა ერთნაირი ჭრელი სატვირთო მანქანები, რომელთაც მრუდედ დამოქლონილი გრეხილი რკინის ძარები ჰქონდა რკინის ძარებზე მწკრივებად აჩრილიყო სისველისაგან მოლაპლაპე მომრგვალებული ლითონის უძრავი საგნები. სატვირთო მანქანები აუჩქარებლად, ინტერვალების დაცვით მიიზლაზნებოდნენ, მწყობრად მიაგუგუნებდნენ ძრავებს და ორგანული გადანაწვის საშინელ სიმყრალეს ავრცელებდნენ.

მაქსიმმა მის მხარეს კარი შეათვალიერა, კარგად მოსინჯა და მინა ასწია თვალებჩასისხლიანებულმა, მაქსიმს არც უყურებდა ისე, გრძელი ფრაზა ამოუშვა, რომელიც სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა.

- არ მესმის, - თქვა მაქსიმმა.

თვალებჩასისხლიანებულმა გაოცებული გამომეტყველებით შეხედა და, ინტონაციაზე ეტყობოდა, რომ რაღაც ჰკითხა. მაქსიმმა თავი გაიქნია.

- არ მესმის, - გაიმეორა მან.

თვალებჩასისხლიანებული თითქოს კიდევ უფრო გაოცდა და ჯიბიდან გრძელი თეთრი პატარა ჯოხებით სავსე ბრტყელი კოლოფი დააძრო, ერთი ჯოხი პირში გაიჩარა, ხოლო დანარჩენები მაქსიმს შესთავაზა. მაქსიმმა ზრდილობისათვის გამოართვა კოლოფი და თვალიერება დაუწყო. მუყაოს კოლოფს რაღაც ხმელი მცენარეების მწარე სუნი ასდიოდა. მაქსიმმა ერთი ჯოხი აიღო, მოკბიჩა, დაღეჭა, შემდეგ საჩქაროდ ჩამოუშვა მინა და გადაა-ფურთხა - ეს არ იჭმებოდა.

- არ უნდა,- თქვა და კოლოფი თვალებჩასისხლიანებულს დაუბრუნა. - უგემურია.

თვალებჩასისხლიანებული ოდნავ პირდაღებული შესცქეროდა. თეთრი ჯოხი ტუჩზე მისწებებოდა და ჩამოჰკიდებოდა. მაქსიმმა აქაური წესების თა-ნახმად თითი ცხვირის წვერზე მიიდო და გაეცნო:

- მაქსიმი.

თვალებჩასისხლიანებულმა რაღაც წაიბურტყუნა მის ხელში უეცრად ცეც-ხლმა იელვა, რომელსაც თეთრი ჯოხის ბოლო მიუშვირა და ავტომობილი მა-შინვე გულისამრევმა კვამლმა აავსო.

- მასარაკშ! - შესძახა აღშფოთებულმა მაქსიმმა და კარი გამოაღო. - არ უნ-და!

მიხვდა, რა ჯოხებიც იყო; როცა გაისთან ერთად მგზავრობდა, თითქმის ყველა მამაკაცი ზუსტად ასეთივე ბოლით წამლავდა ჰაერს, მაგრამ ამისათვის ისინი თეთრი ჯოხებით კი არ სარგებლობდნენ, არამედ მოკლე და გრძელი სასტვენის მსგავსი ხის საგნებით, ძველ დროში ბავშვები რომ თამამობდნენ ხოლმე. ჩანდა, რაღაც ნარკოტიკს ისუნთქავდნენ, რაც უდავოდ ყოვლად მავნე ჩვეულება იყო - და მაშინ მაქსიმი თავს მხოლოდ იმით ინუგეშებდა, რომ, ეტ-ყობოდა, სიმპათიური გაიც კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ამ ჩვეულები-სა.

უცნობმა საჩქაროდ გადააგდო ფანჯარაში ნარკოტიკული ჯოხი და რატომ-ღაც თავისი სახის წინ ხელის ქნევას მოჰყვა. ყოველ შემთხვევისათვის, მაქ-სიმმაც წაჰბაძა მას. შემდეგ კი ისევ გაეცნო. აღმოჩნდა, რომ თვალებჩასის-ხლიანებულს ფანკი ერქვა. ამით საუბარიც ამოიწურა. ხუთი წუთი ისხდნენ, კეთილმოსურნედ უყურებდნენ ერთმანეთს, ხან ერთი, ხან მეორე თითს იშ-

ვერდა სატვირთო მანქანების უსასრულო კოლონისაკენ: და გაიძახოდა: „მასარაკშ“. შემდეგ, როგორც იქნა, კოლონამ გაიარა და ფანკი გზატკეცილზე გავიდა.

ეტყობოდა, ძალიან ეჩქარებოდა, რადგან დაუყოვნებლივ ააყვირა ძრავა ხავერდოვანი ხმით, შემდეგ რაღაც მოწყობილობა ჩართო და საძაგლად ააკივლა და, მაქსიმის აზრით, ყოველგვარი უსაფრთხოების წესების დაცვის გარეშე მანქანა ისე გააქროლა ავტოსტრადაზე გამწკრივებული კოლონების გასასწრებად, რომ ძლივს უქცევდა გვერდს მოპირდაპირე მხრიდან მომქროლავ სხვა მანქანებს.

სატვირთო მანქანების კოლონა უკან მოიტოვეს, კინაღამ თხრილში ჩაცვივდნენ, როცა ფართო წითელ ეკიპაჟს ჩაუქროლეს, რომელსაც ერთთავად გაწუწული მძღოლი მართავდა, გაუსწრეს ვეებერთელა, ადამიანის სიმაღლე მოყანყალებულ თვლებზე შემდგარ ხის ოთხთვალას, უკუდო ნამარხი ცხოველი რომ მიათრევდა, თხრილში გადაუძახეს ბრეზენტის ლაბადებიან ფეხოსანთა ჯგუფი და გზის ორივე მხარეს თანაბარ მწკრივებად დარგულ სველი, ტოტებგაშლილი ხეების ჩრდილში შეიჭრნენ. ფანკი კი სულ უფრო უმატებდა სიჩქარეს. მანქანის გარშემომდენებში ზმუოდა ჰაერის შემხვედრი ნაკადი. ამ ხმაურით დაშინებული ეკიპაჟები გზას უთმობდნენ. მაქსიმმა იგრძნო, რომ მანქანა ასეთი სიჩქარეებისათვის არ იყო განკუთვნილი და ცოტა არ იყოს, შიშმა აიტანა.

მალე ავტომობილი ქალაქში შევიდა და ფანკი იძულებული გახდა, მკვეთრად შეენელებინა სიჩქარე.

მეტისმეტად ვიწრო ქუჩები ეკიპაჟებს გაეჭედა. ნაირ-ნაირ მექანიზმებს შორის მოქცეული ფანკის ავტომობილი ძლივს მიიკვლევდა გზას. წინ ცას თითქმის ფარავდა უშნო ფერადი წარწერებითა და ადამიანებისა და პირუტყვის ტლანქი გამოსახულებებით აჭრელებული ფურგონის უკანა კედელი. მარცხნივ ერთმანეთის გვერდით ძლივს მიცოცავდა ჟესტებით მოლაპარაკე კაცებით და ქალებით გაჭედილი ორი ერთნაირი ავტომობილი. ქალები თევზისაგან განსხვავებით თვალისმომჭრელად ლამაზები იყვნენ. კიდევ უფრო მარცხნივ ერთადერთი ბორბლის რკინისებური გრუხუნით და ლურჯ-მწვანე ნაპერწკლების სროლით მიჩოჩავდა მგზავრებით გამოტენილი გირომატის რაღაც ნაირსახეობა, გზას მარჯვნივ გასდევდა ტროტუარი - ტრანსპორტისათ-

ვის აკრძალული ასფალტის უძრავი ზოლი. ტროტუარზე გამოფენილიყო იისფერ და შავ უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი. ისინი ერთმანეთს ეჯახებოდნენ, უსწრებდნენ, გვერდს ძლივს უქცევდნენ, მხრებით მიიკვლევდნენ გზას, დროდადრო ღია, გაჩახჩახებულ კარებში შერბოდნენ და ვეებერთელა, გაორთქლილ ვიტრინებს იქით მოფუთფუთე ბრბოს უერთდებოდნენ. ზოგჯერ კი უეცრად დიდ ჯგუფებად გროვდებოდნენ. ხერგილებსა და მორევებს ქმნიდნენ, კისერწაგრძელებულები რაღაცას ეძებდნენ. აქ ძალიან ბევრ თევზის მსგავს, გამხდარ და ფერდაკარგულ სახეს შეხვდებოდით, თითქმის ყველა ულაზათო, ავადმყოფურად გამხდარი, ძალზე ფერმიხდილი მოუხეშავი იყო. მაგრამ ისინიც კმაყოფილი ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ; ხშირად და სიამოვნებით იცინოდნენ, თავისუფლად ეჭირათ თავი, თვალები უბრწყინავდათ, ყველანი ხმამაღლა, სხაპასხუპით ლაპარაკობდნენ. კაცმა რომ თქვას, ეს საკმაოდ ორგანიზებული სამყაროა, ფიქრობდა მაქსიმი. სახლებს ხალისიანი იერი აქვს - ღრუბლიან ამინდში თითქმის ყველა ფანჯრიდან სინათლე მოჩანს, ეს კი ნიშნავს, რომ ყოველ შემთხვევაში ელექტროენერგია სამყოფი აქვთ. სახურავებზე ხალისიანად ციმციმებენ ფერადფერადი სინათლეები, ქუჩები სუფთად არის გარეცხილი, თითქმის ყველას კოხტად აცვია, ხოლო რაც შეეხება ჩამომტირალ სახეებს, რა გაეწყობა, ღარიბი, ავადმყოფური სამყაროა... და მიუხედავად ამისა, არც თუ ისე ცუდად გამოიყურება.

და უეცრად ქუჩაში რაღაც შეიცვალა. გაისმა აღელვებული შეძახილები. ვიღაც კაცი მინის კიოსკზე აძვრა, ჩამოეკიდა და ენერგიულად მოჰყვა ყვირილს. თან თავისუფალ ხელს იქნევდა. ტროტუარზე სიმღერა წამოიწყეს. ადამიანები ჩერდებოდნენ, ქუდებს იხდიდნენ, თვალებდაქაჩულნი მღეროდნენ, ჩამოგრძელებული სახეები ქუჩის გარდიგარდმო ანთებული ვეებერთელა ფერად-ფერადი წარწერებისაკენ მიეპყროთ და ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ.

- მასარაკშ... - დაისისინა ფანკმა და მანქანა შეინჯღრა.

მაქსიმმა ფანკს შეხედა, მას მკვდრის ფერი დასდებოდა, სახე მოღრეცოდა. თავს აქანცალებდა, ხელი ძლივს ააგლიჯა საჭეს და საათს მიაჩერდა.

- მასარაკშ... - დაიკვნესა და კიდევ რამდენიმე სიტყვა თქვა, რომელთაგან მაქსიმმა გაიგო მხოლოდ „ვერაფერი გამიგია“.

შემდეგ უკან გაიხედა და სახე კიდევ უფრო მოეღრიცა. მაქსიმმაც მოიხედა, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი შენიშნა. მოდიოდა კოლოფივით კვადრატული ცინცხალ ყვითელ ფრად შეღებილი დახურული ავტომობილი.

ქუჩაში უკვე სრულიად აუტანლად ყვიროდნენ, მაგრამ მაქსიმს არაფრის თავი არ ჰქონდა. ფანკი აშკარად გონებას კარგავდა, მანქანა კი გზას განაგრძობდა, ხოლო წინ მიმავალი ფურგონი დამუხრუჭდა, სასიგნალე სინათლე ააკაშკაშა, უეცრად უხეიროდ მოხატული კედელი მოახლოვდა, გაისმა საზიზღარი ღრჭიალი, ყრუ დარტყმა და მოჭმუჭნული კაპოტი ყალყზე შედგა.

- ფანკ! - შესძახა მაქსიმმა - ფანკ! არ უნდა!

ფანკს ხელები და თავი ოვალურ საჭეზე დავარდნოდა, ხმამაღლა ქშინავდა. ირგვლივ ისმოდა მუხრუჭების ხრჭიალი, ქუჩაში მოძრაობა შეწყდა, სიგნალები ღმუოდნენ. მაქსიმი მხრებში ჩააფრინდა ფანკს და შეანჯღრია, შემდეგ ხელი უშვა, კარი გააღო, თავი გაჰყო და შეჰყვირა:

- აქეთ მოდით! უშველეთ!

ავტომობილთან უკვე თავი მოეყარა ამღერებულ, აყვირებულ, აყაყანებულ ბრბოს, მუშტებს იქნევდნენ, დასისხლიანებულ თვალებს აბრიალებდნენ. მაქსიმს ვერაფერი გაეგო: ეს ადამიანები ან ავარიას აეღელვებინა, ან სიხარულს გადაერია, ანდა ვიღაცას ემუქრებოდნენ. ყვირილს აზრი არ ჰქონდა - საკუთარ ხმას ვერ გაიგონებდი, და მაქსიმი კვლავ ფანკს მოუბრუნდა. ახლა ის პირაღმა გაშხლართულიყო, თავი უკან გადაეგდო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისრესდა საფეთქლებს, ლოყებს, თავს; პირზე დუჟი მოსდგომოდა. მაქსიმი მიხვდა, რომ აუტანელი ტკივილი სტანჯავდა, და მაგრად ჩაავლო ხელები იდაყვებში, თან სწრაფად იძაბებოდა და ემზადებოდა, რათა თვითონ მიეღო ტკივილი, თუმცა დარწმუნებული არ იყო, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იქნებოდა სხვა პლანეტის არსებასთან; ეძებდა და ვერ ეპოვა ნერვული კონტაქტი, ამას ისიც დაემატა, რომ ფანკმა ხელები საფეთქლებს მოაშორა და დარჩენილი მცირეოდენი ძალ-ღონით მაქსიმს მკერდში დაუშინა მუშტები, თან გამწარებული მტირალა ხმით ლუღლუღებდა რაღაცას. მაქსიმს ესღა ესმოდა: „წადით, წადით...“ აშკარად ჩანდა, ფანკი გონზე ვერ იყო.

ამ დროს ფანკის გვერდით კარი გაიღო, მანქანაში თავი შემოყო ორმა შავბერეტიანმა გაცეცხლებულმა კაცმა, იელვა ლითონის ღილების მწკრივებმა და რამდენიმე მტკიცე, ღონიერი ხელი ჩააფრინდა მაქსიმს მხრებში, გვერ-

დებში, კისერში, ფანკს მოწყვიტა და მანქანიდან გამოათრია ის არ ეწინააღ-მდეგებოდა - ეტყობოდა, ამ ხელების პატრონები არც იმუქრებოდნენ, არც ბო-როტი განზრახვა ედოთ გულში. უფრო პირიქით იყო. მოყაყანე ბრბოში ჩაყე-ნებული ხედავდა, როგორ წაიყვანა ორმა ბერეტიანმა მოხრილი, მოკუნტული ფანკი ყვითელი კვადრატული მანქანისაკენ, ხოლო კიდევ სამი ბერეტიანი მას ხალხს აშორებდა, რომლებიც ხელებს იქნევდნენ. შემდეგ ბრბო ღრიალით შე-იკრა დასახიჩრებული მანქანის გარშემო, მანქანა გაჭირვებით ამოძრავდა, აიწია, გადაიფერდა, ჰაერში იელვა ნელად მბრუნავმა რეზინის თვლებმა და აი, ის უკვე პირაღმა წევს, ბრბო კი ზედ მიძვრება, და ყველანი ყვირიან, მღე-რიან, და ყველას რაღაც გაშმაგებული, თავაწყვეტილი მხიარულება დაუფლე-ბია.

მაქსიმი სახლის კედლისკენ მიაგდეს, მინის სველ ვიტრინას მიაჭეჭყეს. წა-მოიწია, კისერი წაიგრძელა და დაინახა, რომ სპილენძის ათუხთუხებული ყვითელი კვადრატული ავტომობილი ამოძრავდა, უამრავი კაშკაშა სინათ-ლით გაჩახჩახდა, ადამიანებისა და მანქანების ბრბო გაარღვია და თვალს მი-ეფარა.

მეოთხე თავი

უკვე კარგად მოსაღამოვებული იყო, როცა მაქსიმი მიხვდა, რომ ყელამდე მაძღარია ამ ქალაქით, რომ მეტი არაფრის ნახვა არ უნდა და საშინლად შია, მთელი დღე. ფეხზე გაატარა, ძალიან ბევრი რამ ნახა, თითქმის ვერაფერს მიხვდა, უბრალო ყურმოკვრით რამდენიმე ახალი სიტყვა გაიგო და რამდენიმე ახალი ასო გააიგივა აბრებსა და აფიშებზე. უბედურმა შემთხვევამ, ფანკს რომ შეემთხვა, შეაშფოთა და გააოცა, მაგრამ საერთოდ კმაყოფილებასაც კი ჰგვრიდა ის, რომ კვლავ თავისუფალი იყო. დამოუკიდებლობა უყვარდა და ძალიან აკლდა ის მთელი ამ დროის მანძილზე, სანამ ბეჰემოთთან იჯდა ხუთსართულიან დახუთულ ტერმიტების ბუდეში. დაფიქრდა და გადაწყვიტა დროებით დაკარგულიყო. თავაზიანობა თავაზიანობაა, მაგრამ მთავარი ინფორმაციაა. კონტაქტის პროცედურა, რა თქმა უნდა, წმიდათაწმიდა საქმეა, მაგრამ დამოუკიდებელი ინფორმაციის მიღების უკეთესი შემთხვევა ალბათ აღარც ექნება...

ქალაქმა გააოცა. იგი დედამიწას ეკვროდა, მთელი მოძრაობა აქ ან მიწაზე ხდებოდა, ან მიწის ქვეშ: სახლებს შორის და მათ თავზე გიგანტური ცარიელი სივრცეები კვამლის, წვიმისა და ნისლის საუფლოდ დარჩენილიყო. ნაცრისფერი, კვამლიანი, უფერული ქალაქი თითქოს ყველგან ერთნაირი იყო - თავისი შენობებით კი არა, რომელთა შორის საკმაოდ ლამაზებიც ერია, არც ქუჩებში ბრბოს, ერთფეროვანი ფუთფუთით, არც უსასრულო სინესტით, არც მთლიანად ქვისა და ასფალტის გასაოცარი უსიცოცხლობით -ერთნაირი იყო რაღაც ყველაზე ზოგადით, ყველაზე მთავარით. იგი ჰგავდა საათის გიგანტურ მექანიზმს რომელშიც დეტალები არ მეორდება, მაგრამ ყველაფერი მოძრაობს, ტრიალებს და ებმება, ვარდება ერთიან მუდმივ რიტმში, რომლის შეცვლა მხოლოდ გაფუჭებას, დამტვრევას, შეჩერებას ნიშნავს, უცნაური, უმსგავსო, არნახული სამყარო! იგი ალბათ საკმაოდ რთული იყო და მრავალი კანონი წარმართავდა, მაგრამ მაქსიმმა უკვე აღმოაჩინა ერთი და ამასთან მთავარი კანონი: აკეთე ის, რასაც აკეთებს ყველა და ისევე, როგორც ყველა. ცხოვრებაში პირველად უნდოდა ყველასავით ყოფილიყო. და ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ყველა. ბრბოსთან ერთად შედიოდა მინის ბინძურსახურავებიან ხმაურიან საზოგადოებრივ საწყობებში, ყველასთან ერთად გამოდიოდა იქი-

დან, ყველასთან ერთად ეშვებოდა მიწის ქვეშ, ძლივს შედიოდა გაჭედილ ელექტრომატარებლებში, სადღაც მიჰყვებოდა ხალხის ნაკადს წარმოუდგენელ გრუხუნსა და ღრჭიალში, კვლავ ზევით ამოდიოდა რაღაც ქუჩებში, ზუსტად რომ ჰგავდა წინანდელს.

შემდეგ დაღამდა, აინთო მქრქალი ფარნები, რომლებიც ძალიან მაღლა ეკიდა და თითქმის არაფერს არ ანათებდა, ფართო ქუჩები ხალხით გაივსო და მაქსიმი, რომელსაც ამ ჭედვამ უკან დაახევინა, თითქმის ცარიელ და ბნელ მოსახვევში აღმოჩნდა. აქ თქვა: დღეისთვის კმარაო და შეჩერდა.

მან შენიშნა სამი განათებული ოქროსფერი ბურთი, მინის აირსინათლის მილებისაგან დაწნული მოციმციმე ლურჯი წარწერა და კარი, რომელიც სანახევროდ სარდაფში გადიოდა. უკვე იცოდა, რომ სამი ოქროსფერი ბურთი, როგორც წესი, საკვებ დაწესებულებას აღნიშნავს. მეჩხერი საფეხურებით ძირს ჩავიდა, სადაც დაბალჭერიან პატარა დარბაზში ათიოდე ცარიელი მაგიდა იდგა, იატაკზე სქლად ეყარა საკმაოდ სუფთა ნახერხი, მინის ბუფეტში ფერად-ფერადი სითხეებით სავსე გამჭვირვალე ბოთლები ეწყო. იმ კაფეში თითქმის არავინ იყო. ნიკელის ბარიერის მიღმა ბუფეტთან ნელა დააბიჯებდა ჩასუქებული ხანშიშესული ქალი, რომელსაც ქურთუკის სახელოები დაეკაპიწებინა; მოშორებით, მრგვალ მაგიდას როგორღაც დაუდევრად მიჯდომოდა ტანმორჩილი, მაგრამ ჩაფსკვნილი კაცი, რომელსაც ფერმკრთალი კვადრატული სახე და დიდი შავი ულვაშები ჰქონდა.

მაქსიმი შევიდა, ბუფეტიდან მოშორებით ნიშაში პატარა მაგიდა აირჩია და დაჯდა. მოაჯირს იქით მდგომმა მსუქანმა ქალმა შეხედა და ხრინწიანი ხმით რაღაც შესძახა ულვაშა კაცმაც შეხედა და გამოცარიელებული თვალებით შემობრუნდა, მის წინ მდგარი გამჭვირვალე სითხით სავსე ჭიქა ასწია, ცოტა მოსვა და ადგილზე დადგა. სადღაც კარმა გაიჯახუნა და პატარა დარბაზში შემოვიდა ახალგაზრდა სანდომიანი ქალიშვილი, რომელსაც მაქმანშემოვლებული თეთრი წინსაფარი ეკეთა, თვალებით მიაგნო მაქსიმს, მოვიდა, თითებით მაგიდას დაეყრდნო და სადღაც მის თავს იქით დაიწყო ცქერა. მას ნაზი სუფთა კანი, ზედა ტუჩზე ოდნავი ქინქლი და ლამაზი ნაცრისფერი თვალები ჰქონდა. მაქსიმმა თავაზიანად მიიდო თითი ცხვირის წვერზე და თქვა:

- მაქსიმი.

ქალიშვილმა გაოცებით შეხედა, თითქოს მხოლოდ ახლა დაინახაო. ისეთი

მიმზიდველი იყო, რომ მაქსიმი უნებურად გაიბადრა, და მაშინ ქალიშვილმაც გაიღიმა, ცხვირზე მიიდო თითი და თქვა:

- რადა.

- კარგია, - თქვა მაქსიმმა - ვახშამი.

ქალიშვილმა თავი დაუქნია და რაღაც ჰკითხა. ყოველ შემთხვევისათვის მაქსიმმაც დაუქნია თავი. მან ღიმილით შეხედა მიმავალს - ის ტანწვრილი, მსუბუქი იყო და მაქსიმს ესიამოვნა, რომამ სამყაროშიც ყოფილან ლამაზი ადამიანები.

ბუფეტთან მდგომმა მსუქანმა ქალმა გრძელი ფრაზა წაიბუზღუნა და თავის მოაჯირს ამოეფარა. ამ დროს მაქსიმმა შენიშნა, რომ ულვაშა მას არასასიამოვნოდ და გამომწვევად მისჩერებია. და თუ დააკვირდები, თვითონაც არასასიამოვნოა. ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ მგელს თუ მაიმუნს მოაგონებს კაცს. ჯანდაბას მისი თავი...

რადა კვლავ მოვიდა და მაქსიმს თეფშით ხორცისა და ბოსტნეულის ცხელი ფაფა და ქაფიანი სითხით სავსე სქელი მინის ტოლჩა დაუდგა.

- კარგია, - თქვა მაქსიმმა და მიპატიჟების ნიშნად გვერდით მდგარ სკამს ხელი დაარტყა.

ძალიან მოუნდა, სანამ საჭმელს შეექცეოდა, რადაც იქვე მჯდარიყო, ესმინა მისთვის და ეგრძნო, როგორ მოსწონდა იგი მაქსიმს და რა კარგად გრძნობდა თავს მის გვერდით.

მაგრამ რადამ მხოლოდ გაიღიმა და თავი გაიქნია. შემდეგ მან რაღაც თქვა - მაქსიმმა გაარჩია სიტყვა „ჯდომა“ - და მოაჯირთან მივიდა. „დასანანია“, - გაიფიქრა მაქსიმმა. ორკბილა ჩანგალი აიღო და ჭამას შეუდგა, თან ცდილობდა მისთვის ცნობილი ოცდაათი სიტყვიდან შეედგინა კეთილმოსურნეობის, სიმპათიისა და ურთიერთობის წადილის გამომხატველი ფრაზა.

რადა ზურგით მოაჯირს მიყრდნობოდა, გულხელდაკრეფილი იდგა და მას შემოჰყურებდა. ერთმანეთს რომ შეხედავდნენ, ყოველთვის იღიმებოდნენ და მაქსიმს უკვირდა, რომ რადას ღიმილი სულ უფრო მკრთალი და გაუბედავი ხდებოდა. მაქსიმს სრულიად საწინააღმდეგო გრძნობები ეუფლებოდა. სიამოვნებდა რადას ყურება, თუმცა ამ გრძნობას მღელვარებაც ახლდა. სიამოვნებას ჰგვრიდა საჭმელი, რომელიც მოულოდნელად გემრიელი და საკმაოდ ნოყიერი აღმოჩნდა. ამავე დროს გრძნობდა ულვაშა კაცის ირიბ მტრულ

მზერას და უშეცდომოდ ხვდებოდა ბარიერთან მოფუსფუსე მსუქანი ქალის უკმაყოფილო განწყობილებას... ფრთხილად მოსვა ტოლჩიდან ცივი, ახალი, მაგრამ მეტისმეტად მაგარი ლუდი.

ულვაშამ რაღაც თქვა და რადა მაშინვე მის მაგიდასთან გაჩნდა. ჩუმი ხმით დაიწყეს საუბარი, არასასიამოვნო და მტრული, მაგრამ ამ დროს მაქსიმს ბუზი დააცხრა და იძულებული გახდა, შებრძოლებოდა. ბუზი უზარმაზარი იყო, ლურჯი, თავხედი: თითქოს ყოველი მხრიდან ერთბაშად გადმოდიოდა შეტევაზე, ისე ბზუოდა და ზუზუნებდა, თითქოს სიყვარულს უხსნისო, არ უნდოდა გაფრენილიყო, აქ, მაქსიმთან და მის თეფშთან ყოფნა ერჩია, უნდოდა ევლო მათზე, ელოკა, დიდი ჯიუტი და ლაქლაქა ბუზი იყო. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მაქსიმმა არასწორი მოძრაობით ბუზი ლუდში ჩააგდო. ტოლჩა ზიზღით გადადგა მეორე მაგიდაზე და რაგუს ნარჩენებს მიუბრუნდა. მოვიდა რადა და უკვე ღიმილგამქრალმა რაღაც ჰკითხა, თან განზე იყურებოდა.

- დიახ, - თქვა მაქსიმმა ყოველი შემთხვევისათვის. - რადა კარგია.

რადამ აშკარა შიშით შეხედა, მოაჯირთან მივიდა და სინზე დადებული ყავისფერი სითხით სავსე პატარა სირჩა მიუტანა.

- გემრიელია, - თქვა მაქსიმმა, რომელიც ქალიშვილს ალერსითა და შეშფოთებით უყურებდა. - არაა ცუდი. რადა, აქ დაჯექით, ლაპარაკი. უნდა ლაპარაკი. არ უნდა წავიდა.

გულდასმით მოფიქრებულმა ამ სიტყვამ რადაზე მოულოდნელად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. მაქსიმს იმისიც კი შეეშინდა, არ ატირდესო. ყოველ შემთხვევაში, ტუჩები აუკანკალდა, რაღაც დაიჩურჩულა და დარბაზიდან გავარდა... მოაჯირს იქით მსუქანი ქალი აღშფოთებული ალაპარაკდა. „რაღაც მეშლება“, - შეწუხდა მაქსიმი. ვერაფრით ვერ წარმოედგინა - რა იმასღა ხვდებოდა, რომ არც ულვაშა კაცს, არც მსუქან ქალს არ უნდათ, რომ რადა მასთან „ჯდომა“ და „ლაპარაკი“. მაგრამ ვინაიდან ისინი ნამდვილად არ იყვნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები და კანონიერების გუშაგნი, ხოლო მაქსიმი ნამდვილად არ არღვევდა რაიმე კანონებს, ამ გაბრაზებული ადამიანების აზრი, ალბათ, დიდად ანგარიშგასაწევი არ იყო.

ულვაშა კაცმა რაღაც გამოცრა კბილებში. ხმადაბლა, მაგრამ ძალიან არასასიამოვნო ინტონაციით, შემდეგ სულმოუთქმელად დაცალა თავისი ჭიქა, მა-

გიდის ქვემოდან მსხვილი შავი გაპრიალებული ხელჯოხი გამოიღო, ადგა და აუჩქარებლად მივიდა მაქსიმთან. მის პირდაპირ დაჯდა, ხელჯოხი მაგიდის გარდიგარდმო დადო და, მაქსიმს არ უყურებდა, მაგრამ აშკარად მას მიმართავდა ისე, კბილებშუა წელა გადმოუშვა მძიმე სიტყვები, თან ხშირ-ხშირად აღმოხდებოდა „მასარაკშ“ და მაქსიმს ასე ეგონა, რომ მისი სიტყვები ხშირი ხმარებისაგან ისეთივე შავი და გაპრიალებულია, როგორც მისი მახინჯი ხელჯოხი. ამ სიტყვებში გამოკრთოდა შავბნელი მუქარა, გამოწვევაც, მტრობაც, და ყოველივე ამას როგორღაც უცნაურად აქარწყლებდა გულგრილი ინტონაცია, სახეზე გამოსახული გულგრილობა და უფერული, შუშისებური თვალების სიცარიელე.

- არ მესმის, - თქვა ბრაზმორეულმა მაქსიმმა.

მაშინ ულვაშამ ისე მიაპყრო თეთრი სახე, თითქოს სულში ჩახედაო, ნელა, დამარცვლით ჰკითხა რაღაც და უეცრად საოცრად მარჯვედ დააძრო ხელჯოხიდან წვრილპირიანი გრძელი მოლაპლაპე დანა. მაქსიმი დაიბნა კიდეც. არ იცოდა, რა ეთქვა და ექნა. მაგიდიდან ჩანგალი აიღო და შეატრიალ-შემოატრიალა. ამან ულვაშა-ზე მოულოდნელი ზემოქმედება მოახდინა. იგი არ წამომდგარა, ისე, მსუბუქად უკან გადახტა და სკამი წააქცია, ჩაცუცქდა და დანა მოიღერა, ულვაშები აებურძგნა და ყვითელი ღოჯები გამოუჩნდა. მსუქანი ქალი მოაჯირს იქით გამაყრუებლად აკივლდა. მაქსიმი მოულოდნელობისაგან შეხტა. ულვაშა უეცრად სულ ახლოს მოექცა მასთან, მაგრამ იმავე წამს საიდანღაც გაჩნდა რადა, შუაში ჩაუდგა ულვაშა კაცსა და მაქსიმს და წკრიალა ხმით აყვირდა - ჯერ ულვაშას უყვიროდა, შემდეგ კი მაქსიმს მოუბრუნდა. მაქსიმს სულ ვერაფერი გაეგო. ულვაშამ კი უსიამოდ გაიღიმა. თავისი ხელჯოხი აიღო, შიგ დანა ჩამალა და გასასვლელისაკენ მშვიდად წავიდა. კარში შემობრუნდა, ხმადაბლა წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა და გაუჩინარდა.

გაფითრებულმა რადამ, რომელსაც ტუჩები უთრთოდა, წაქცეული სკამი აიღო, მაგიდაზე დაღვრილი ყავისფერი სითხე ხელსახოცით მოწმინდა, დასვრილი ჭურჭელი მოაგროვა, წაიღო, მობრუნდა და მაქსიმს რაღაც უთხრა. მაქსიმმა უპასუხა „კი“, მაგრამ ამან ვერ უშველა. რადამ იგივე გაიმეორა, ბრაზიანი ხმა ჰქონდა, თუმცა მაქსიმი გრძნობდა, რომ უფრო შეშინებული იყო, ვიდრე გაბრაზებული. „არა“ - თქვა მაქსიმმა და მაშინვე მოაჯირის იქით მდგარი ქალი საშინლად აყვირდა, ლოყები აათამაშა და მაშინ მაქსიმი ბო-

ლოს და ბოლოს გამოტყდა: „ვერ გავიგე“.

მოაჯირს იქით მდგომი ქალი ყვირილით გამოვარდა, ეცა მაქსიმს, დოინჯშემოყრილი წივილ-კივილით წინ დაუდგა, შემდეგ კი ტანსაცმელში ჩაავლო ხელი და ჯიბეში უხეშად დაუწყო ფათური. დარეტიანებული მაქსიმი არ ეწინააღმდეგებოდა. მხოლოდ იმეორებდა: „არ უნდა“ - და ვედრებით შეჰყურებდა რადას. მსუქანმა ქალმა მკერდში ჰკრა ხელი და თითქოს რაღაც საშინელი გადაწყვეტილება მიიღო, კვლავ გაიქცა მოაჯირს იქით და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

- ფანკ! -წარმოთქვა მაქსიმმა გულში ჩამწვდომი ხმით. - ფანკ ცუდად. წასვლა. ცუდად.

შემდეგ ყველაფერი როგორღაც მოულოდნელად განიმუხტა. რადამ რაღაც უთხრა მსუქან ქალს, მან ყურმილი დააგდო, კიდევ ერთხანს იყაყანა და დაცხრა. რადამ მაქსიმი ძველ ადგილზე დასვა, წინ ლუდით სავსე ახალი კათხა დაუდგა და მისდა სასიამოვნოდ და გასახარად გვერდით მიუჯდა. ერთხანს ყველაფერი კარგად იყო. რადა ეკითხებოდა, სიამოვნებისაგან გაბრწყინებული. მაქსიმი კი უპასუხებდა „არ ვიცი“, მსუქანი ქალი მოშორებით ბუზღუნებდა. მაქსიმი დაიძაბა, კიდევ ერთი ფრაზა შეადგინა და განაცხადა, რომ „წვიმა დადის მასარაკშ, ნისლი ცუდია“. რადას სიცილი წასკდა. შემდეგ კიდევ ერთი ახალგაზრდა და საკმაოდ სიმპათიური ქალიშვილი მოვიდა, ყველას მიესალმა, ის და რადა გავიდნენ, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ რადა რომ შემოვიდა, უკვე წინსაფარი არ ეკეთა, კაპიუშონიანი პრიალა წითელი ლაბადა ეცვა და ხელში დიდი კუბოკრული ჩანთა ეკავა.

- წავიდეთ, - თქვა და მაქსიმი წამოხტა.

მაგრამ უცებ წასვლა არ მოხერხდა. მსუქანი ქალი ისევ აყვირდა. კვლავ რაღაც არ მოსწონდა, რაღაცას მოითხოვდა. ამჯერად კალამსა და ქაღალდის ფურცელს იქნევდა. რადა ერთხანს ედავებოდა, მაგრამ მეორე ქალიშვილმა ქალს დაუჭირა მხარი. ლაპარაკობდნენ ისეთ რაღაცაზე, რაც თავისთავად გასაგები იყო და ბოლოს რადაც დათმობაზე წავიდა. მაშინ სამივე მაქსიმს მივარდა. ჯერ რიგრიგობით, შემდეგ ერთად ერთსა და იგივეს ეკითხებოდნენ. რასაც მაქსიმი, ბუნებრივია, ვერ იგებდა. მხოლოდ ხელებს ასავსავებდა. შემდეგ რადამ ყველას უბრძანა გაჩუმდითო, მაქსიმს მკერდზე ხელი მიუთათუნა და ჰკითხა:

- მაკ სიმი?

- მაქსიმი, - შეუსწორა მან.

-მაკ? სიმი?

- მაქსიმი. მაკი - არ უნდა, სიმი - არ უნდა, მაქსიმი.

მაშინ რადამ თითი ცხვირთან მიიდო და წარმოთქვა:

- რადა გაალი. მაქსიმ...

მაქსიმი, როგორც იქნა, მიხვდა რომ რატომღაც მისი გვარი დასჭირვებოდათ. ეს უცნაური იყო, მაგრამ ბევრად უფრო სხვა რამემ გააოცა.

- გაალი? - თქვა მან. - გაი გაალი?

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი გაოცებულები ჩანდნენ.

- გაი გაალი, - გაიმეორა გახარებულმა მაქსიმმა. - გაი კარგი კაცია.

ქალები ახმაურდნენ. ყველა, ერთად ლაპარაკობდა, რადა მაქსიმს ჩაფრენოდა და რაღაცა ეკითხებოდა. აშკარა იყო, ძალიან აინტერესებდა საიდან იცნობდა მაქსიმი გაის. გაი, გაი, გაი - გაისმოდა გაუგებარი სიტყვების ნიაღვარში. მაქსიმის გვარის ამბავი სულ დავიწყებოდათ.

- მასარაკშ! - თქვა ბოლოს ჩასუქებულმა ქალმა და გადაიხარხარა. ქალიშვილებმაც გაიცინეს, და რადამ თავისი კუბოკრული ჩანთა მაქსიმს გადასცა, მკლავში ხელი გამოსდო და წვიმაში გავიდნენ.

ცუდად განათებული პატარა ქუჩა ბოლომდე გაიარეს და უფრო ცუდად განათებულ შესახვევში გადაუხვიეს, სადაც რიყის ქვებით უთანაბროდ მოკირწყლული ჭუჭყიანი ქვაფენილის ორივე მხარეს ხის გადაფერდილი სახლები იდგა, შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შეუხვიეს პატარა მიხვეულ-მოხვეულ უკაცრიელ ქუჩებში ისე, რომ არავინ შეხვედრიათ.

რადა ჯერ ხალისიანად ლაპარაკობდა, ხშირად იმეორებდა გაის სახელს, ხოლო მაქსიმი დროდადრო უდასტურებდა, გაი კარგი კა-ციაო, მაგრამ გერმანულად დასძენდა, რომ არ შეიძლება ადამიანებს სახეში ურტყა, რომ ეს უცნაურია და რომ მისთვის, მაქსიმისთვის გაუგებარია. მაგრამ რაც უფრო ვიწრო, ბნელი და ტალახიანი ხდებოდა ქუჩები, რადა სულ უფრო ხშირად წყვეტდა ლაპარაკს. ზოგჯერ შედგებოდა და სიბნელეს აჩერდებოდა და მაქსიმი ფიქრობდა, უფრო მშრალ გზას ეძებსო, მაგრამ ის სხვა რაღაცას ეძებდა სიბნელეში, რადგანაც გუბეებს ვერ ამჩნევდა და მაქსიმი იძულებული ხდებოდა ყოველთვის მსუბუქად მოეკიდა ხელი და გამოეწია მშრალ ადგილებში,

ხოლო იქ, სადაც მშრალი ადგილები არ იყო, იღლიებში ხელებამოდებული გადაჰყავდა - რადას მოსწონდა ეს, სიამოვნებისაგან ირინდებოდა, მაგრამ მაშინვე ავიწყდებოდა, რადგანაც შიშს აეტანა.

რაც უფრო შორდებოდნენ კაფეს, მით უფრო ეშინოდა რადას. თავდაპირველად მაქსიმი შეეცადა მასთან ნერვული კონტაქტი დაემყარებინა, რათა ცოტათი მაინც გაემხნევებინა და სიმტკიცე შთაებერა, მაგრამ როგორც ფანკთან, არც ახლა გამოუვიდა რამე. როცა მიყრუებულ ადგილებს თავი დააღწიეს და უკვე საშინლად ბინძურ, მოუკირწყლავ გზაზე გავიდნენ, რომლის მარჯვენა მხარეს გადაჭიმულ უსასრულო სველ მესერს ზევით ჟანგიანი მავთულხლართები გასდევდა, ხოლო მარცხენა მხარეს აყროლებული ტრიალი მინდორი, და არსად ჩანდა სინათლე, რადა სრულიად მოეშვა - ლამის ატირებულიყო და მაქსიმმა, ოდნავ მაინც რომ გამოესწორებინა მისთვის განწყობილება, ხმამაღლა დაიწყო სიმღერა, მღეროდა და ყველა მხიარული სიმღერა იმღერა, რაც იცოდა; ამან გაჭრა, მაგრამ მცირე ხნით, მხოლოდ მესრის ბოლომდე. შემდეგ კი კვლავ გამოჩნდა ფანჯრებჩაბნელებული გრძელი, ყვითელი, ორსართულიანი სახლები, მათგან გაცივებული ლითონის, ორგანული საპოხისა და კიდევ რაღაც სულშემხუთავისა და აყროლებული სუნი მოდიოდა, აქა-იქ ძლივს ბჟუტავდა ფარნები, მოშორებით კი, მიყრუებულ თაღქვეშ იდგნენ სველი მობუზული ადამიანები. რადა შეჩერდა.

მან მაქსიმს ხელი ჩასჭიდა და აღელვებული ჩურჩულით ალაპარაკდა: რადა შეშინებული იყო, მაგრამ უფრო მაქსიმის გამო ეშინოდა. მან მაქსიმს უჩურჩულა, უკან დაიხიეო. ისიც დაემორჩილა, რადგან იფიქრა, რადა ამით თავს უკეთ იგრძნობსო, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ ეს მხოლოდ სასოწარკვეთილების განუსჯელი აქტი იყო, და გაჯიუტდა...

- წავიდეთ, - უთხრა ალერსით რადას, - წავიდეთ, რადა. ცუდი არა, კარგი.

რადა ბავშვივით დაჰყვა. მაქსიმი გაუძღვა, თუმცა გზა არ იცოდა, და უეცრად მიხვდა, რადას ამ გაწუწული ადამიანების რომ ეშინია, და ძალიან გაოცდა, რადგან სულაც არ იყვნენ საშიში და სახიფათო. ეს უბრალო, ჩვეულებრივი აბორიგენები მოკუნტულან წვიმაში, დგანან ერთთავად გაწუწულები და კანკალებენ. თავდაპირველად ორნი იყვნენ, შემდეგ საიდანღაც მესამე და მეოთხე გამოჩნდა. ყველას ხელში ანთებული ნარკოტიკული ჯოხები ეჭირა.

მაქსიმმა ყვითელ სახლებს შორის გადაჭიმულ ცარიელ ქუჩაში პირდაპირ

ამ ფიგურებისაკენ აიღო გეხი, რადა კი სულ უფრო ეკვროდა, და მანაც ხელი გადახვია მხრებზე. უეცრად გაუელვა, შესაძლოა, რადა შიშისაგან კი არა, სიცივისაგან ცახცახებსო. სველი ადამიანები კი არაფრით არ იყვნენ საშიში. მაქსიმმა ჩაუარა წელშიმოხრილ, სახეებჩამოგრძელებულ, გათოშილ, ჯიბეებში ხელებჩაწყობილ საცოდავ, ნარკოტიკით მოწამლულ ადამიანებს, რომლებიც გათბობის მიზნით მიწაზე ფეხებს აბაკუნებდნენ, მათ კი თითქოს არც ის შეუშჩნევიათ და არც რადა, ზედაც არ შეუხედავთ, თუმცა ისე ახლოს ჩაურა, რომ მათი ავადმყოფური უთანაბრო სუნთქვაც ესმოდა. ეგონა, ახლა მაინც დამშვიდდებაო რადა, - ორივენი უკვე თაღქვეშ იყვნენ, - და უეცრად, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ყვითელ კედლებს გამოეყო, გამოვიდა და მათ გზა გადაუღობა კიდევ ოთხმა, დანარჩენებივით სველმა და საცოდავმა ადამიანმა, მაგრამ ერთ მათგანს გრძელი მსხვილი ხელჯოხი ეკავა და მაქსიმმა მაშინვე იცნო იგი.

გაუბედურებულ და გაშვლეპილ თაღქვეშ გამჭოლ ქარში ქანაობდა შიშველი ნათურა, ფარღალალა კედლებს ობი მოჰკიდებოდა, ძირს, დამსკდარ ცემენტს ფეხებისა და ავტომობილის სალტეების კვალი სერავდა. უკან ვიღაცეების ფეხების ბრახუნი მოესმა. მაქსიმმა მოიხედა - ის ოთხი ეწეოდა, რომლებიც წყვეტილად და უთანაბროდ სუნთქავდნენ, ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი გარბოდნენ და შეუჩერებლად აფურთხებდნენ თავიანთ საზიზღარ ნარკოტიკულ ჯოხებს... რადამ ჩუმად შეჰყვირა და ხელი უშვა. მაქსიმს უეცრად გარს შემოეხვივნენ, კედელთან მიაჭეჭყეს ირგვლივ მჭიდროდ შემოჯარულმა ადამიანებმა; ისინი არ ეხებოდნენ მაქსიმს, ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი, უბრალოდ იდგნენ და განძრევის საშუალებას არ აძლევდნენ, და მაქსიმმა ამ ადამიანების თავებს მიღმა დაინახა, რომ ორ მათგანს ხელები გაეკავებინა რადასთვის, ულვაშა კი მიუახლოვდა ქალიშვილს, ხელჯოხი აუჩქარებლად მარცხენა ხელში გადაიტანა და ასევე აუჩქარებლად და დინჯად მარჯვენა ხელი ლოყაზე გაუტლაშუნა.

ეს იმდენად წარმოუდგენელი და დაუშვებელი იყო, რომ მაქსიმმა რეალობის შეგრძნება დაკარგა. მის შემეცნებაში რაღაც გადაადგილდა. ადამიანები გაქრნენ. მხოლოდ ორნი დარჩნენ - თვითონ და რადა, დანარჩენებს კი ის ვერ ხედავდა. მათ ნაცვლად ტალახში ტლანქად და შიშის მომგვრელად დაბორიალობდნენ საზარელი ცხოველები. არსად იყო ქალაქი, არც თაღი იყო და

არც ნათურა ეკიდა მაღლა - იყო გაუვალი მთების მხარე, ქვეყანა პანდორის ოზი, იყო გამოქვაბული, შიშველი აჭრელებული მაიმუნების დაგებული საზიზღარი ხაფანგი, და გამოქვაბულში გულგრილად იცქირებოდა გადღაბნილი ყვითელი მთვარე. აქ ბრძოლა იყო საჭირო თავის გადასარჩენად და მანაც დაიწყო ბრძოლა, როგორც ოდესღაც პანდორაზე.

დრო თითქოს მორჩილად დამუხრუჭდა ადგილზე. წამები მიიზლაზნებოდნენ, ყოველ წამში ეტეოდა ათასგვარი მოძრაობა, უამრავი დარტყმა, თანაც ისე, რომ ერთბაშად ყველას ხედავდა. ეს მაიმუნები მოუქნელები იყვნენ, ადრე, როგორც ჩანს სხვა ნადირთან ჰქონდათ საქმე. ალბათ ამიტომაც უბრალოდ ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ამჯერად არჩევანი შეეშალათ, რომ მათთვის ყველაფერს აჯობებდა, გაქცევით ეშველათ თავისათვის, მაგრამ ნაცვლად ამისა, ბრძოლას განაგრძობდნენ... მაქსიმი ერთმანეთის მიყოლებით ქვედა ყბის ზევითკენ აკვრით ფერმკრთალ მფეთქავ კისერზე ხელს გვერ-დულად არტყამდა და მაშინვე მომდევნოზე გადადიოდა, ხელს წაავლებდა, აიტაცებდა, ჩეხავდა კვლავ ჩეხავდა - აყროლებული, ველური სუნთქვის ბუღში, გამოქვაბულის დაგუდულ სიჩუმეში, ყვითელ, ლიპ ბურუსში გახვეული - და უცებ ბინძური კლანჭები კისერში ჩააფრინდა და დასხლტა, ყვითელი ეშვები ღრმად ჩაესო მხარში და ისიც დასხლტა... ახლო-მახლო უკვე აღარავინ იყო, გამოქვაბულის გასასვლელისაკენ კი ხელჯოხიანი წინამძღოლი გარბოდა, რადგანაც მას, როგორც ყველა წინამძღოლს, უსწრაფესი რეაქციის უნარი ჰქონდა და სხვებზე ადრე მიხვდა, რა ხდება. მაქსიმს სიბრალულმაც კი გაჰკრა, რადგან ასე ნელი იყო მისი სწრაფი რეაქცია - წამები სულ უფრო მიზოზინობდა, და ფეხმარდი წინამძღოლი ძლივს მიათრევდა ფეხებს, - მაქსიმმა დრო იხელთა, გასრიალდა, წინამძღოლს გაუსწორდა, დასწვდა, აჩეხა და მაშინვე შედგა... დროს კვლავ დაუბრუნდა ნორმალური სვლა, გამოქვაბული კვლავ თაღად იქცა, მთვარე - ნათურად, ხოლო ქვეყანა პანდორის ოზი - გაუგებარ ქალაქად გაუგებარ პლანეტაზე, რომელიც თვით პანდორაზე გაუგებარი იყო...

მაქსიმი იდგა და ისვენებდა. აწითლებული, დაღლილ ხელები დაბლა ჩამოეშვა. მის ფერხთით ძლივს ფხაკურობდა ულვაშა წინამძღოლი. მაქსიმს დაჭრილი მხრიდან სისხლი სდიოდა. რადამ მისი ხელი აიღო, დაისლუკუნა და ეს ხელი სველ სახეზე ჩამოისვა. მაქსიმმა მიიხედ-მოიხედა. ცემენტის ბინ-

ძურ იატაკზე ტომრებივით ეყარა სხეულები. ანგარიშმიუცემლად დათვალა - წინამძღოლის ჩათვლით ექვსია - ორს გაქცევა მოესწრო. საოცრად სიამოვნებდა რადას შეხება, მან იცოდა, ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო, გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა, არც მეტი, არც ნაკლები. ვინც წასვლა მოასწრო, წავიდა, ის არ მისდევდა, თუმცა შეეძლო დასწეოდა - ახლაც ესმოდა მათი ქუსლების პანიკური ბაკუნი გვირაბის ბოლოში. ხოლო ისინი, ვინც წასვლა ვერ მოასწრო, - წვანან ზოგიერთი მათგანი მოკვდება, - ზოგიერთი უკვე მკვდარია, და მას უკვე ესმოდა, რომ რაც უნდა იყოს, მაინც ადამიანები არიან, და არა მაიმუნები და არც ჯავშნიანი მგლები, თუმცა სუნთქვა მყრალი ჰქონდათ, შეხება - ბინძური და ზრახვები - მტაცებლური და საზარელი და მაინც რაღაც აწუხებდა, ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს რაღაც დაკარგა, სიწმინდე დააკლდა, განუყოფელი ნაწილი წინანდელი მაქსიმის სულისა, და იცოდა, რომ წინანდელი მაქსიმი სამუდამოდ გაქრა, ამის გამო ცოტა არ იყოს, გული სწყდებოდა და რაღაც წინათ განუცდელ სიამაყესაც გრძნობდა...

- წავიდეთ, მაქსიმ, - ხმადაბლა თქვა რადამ.

და ის მორჩილად გაჰყვა.

- ერთი სიტყვით, თქვენ ის ხელიდან გაუშვით.

- ვერაფერი გავაკეთე... ხომ იცით, როგორ ხდება...

- დალახვროს ეშმაკმა, ფანკ! არც არაფერი გქონდათ გასაკეთებელი. მძღოლი რომ წაგეყვანათ, ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

- ვიცი, რომ დამნაშავე ვარ, მაგრამ ვინ მოელოდა...

- კმარა ამაზე. რა ზომები მიიღეთ?

- გამიშვეს თუ არა, მეგუს დავურეკე. მეგუმ არაფერი იცის. თუ დაბრუნდა, მაშინვე შემატყობინებს... შემდეგ: მეთვალყურეობა დავუწესე ყველა საგიჟეთს... შორს ვერსად წავა, უბრალოდ, ნებას არ მისცემენ, ძალზე თვალში საცემია.

- შემდეგ.

- ფეხზე დავაყენე ჩემი ხალხი პოლიციაში. ვუბრძანე, არ გამორჩეთ წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა, ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევაც კი. მას საბუთები არა აქვს. განკარგულება გავეცი მაცნობონ, როგორც კი უსაბუთოს დააკავებენ ვინმეს... ძალიანაც რომ მოისურვოს, ვერ მიიმალება... ჩემი

აზრით, ეს ორი-სამი დღის ამბავია... უბრალო საქმე.

- „უბრალო“... რა უნდა ყოფილიყო უფრო უბრალო, ვიდრე ის, რომ ჩამ-ჯდარიყავით მანქანაში, გამგზავრებულიყავით ტელეცენტრში და აქ მოგეყვა-ნათ ადამიანი... მაგრამ ესეც ვერ შეძელით.

- დამნაშავე ვარ. მაგრამ გარემოებები ისეთნაირად აეწყო...

- გითხარით, კმარა-მეთქი გარემოებებზე. მართლა გიჟსა ჰგავს?

- ძნელი სათქმელია... კაცმა რომ თქვას, უფრო ველურსა ჰგავს. კარგად და-ბანილ და მოვლილ მთიელს. მაგრამ ადვილად წარმომიდგენია სიტუაცია, როცა გიჟს ჰგავს... და შემდეგ ეს განუშორებელი იდიოტური ღიმილიც, კრე-ტინული ტიტინი ნორმალური ლაპარაკის ნაცვლად... ნამდვილი სულელია...

- გასაგებია. მომწონს თქვენი ღონისძიებანი... და აი კიდევ რა, ფანკ... ია-ტაკქვეშეთს დაუკავშირდით,

- რა?

- თუ უახლოეს დღეებში ვერ იპოვით, აუცილებლად იატაკქვეშეთში ამო-ყოფს თავს.

- არ მესმის, რა უნდა აკეთოს ველურმა იატაკქვეშეთში.

- იატაკქვეშეთში ბევრი ველურია და სულელურ შეკითხვებს კი ნუ იძლე-ვით, ის გააკეთეთ, რასაც გეუბნებიან. თუ კიდევ გაგიშვიათ ხელიდან, იცო-დეთ, დაგითხოვთ.

- მეორედ არ გავუშვებ.

- მოხარული ვარ... კიდევ რა იყო?

- საინტერესო ხმებია ბებერას შესახებ.

- ბებერას? მაინც რა?

- ბოდიში, მწირო... თუ ნებას მომცემთ, ვამჯობინებდი ჩურჩულით მეთ-ქვა. ყურში...

მეორე ნაწილი

ლეგიონერი

მეხუთე თავი

ინსტრუქტაჟის დამთავრების შემდეგ ბატონმა როტმისტრმა ჩაჩუმ განკარგულება გასცა:

- კაპრალო გაალ, დარჩით. დანარჩენები თავისუფალი ხართ.

როცა დანარჩენი სექციების მეთაურები ზურგში სწორებით ოთახიდან გავიდნენ, ბატონი როტმისტრი ერთხანს გაის შეჰყურებდა, თან სკამზე ქანაობდა და ძველებურ ჯარისკაცურ სიმღერას „დაშოშმინდი, დედი“ უსტვენდა. ბატონი როტმისტრი ჩაჩუ სულ არ ჰგავდა ბატონ როტმისტრ ტოოტს. ის ტანმორჩილი იყო, შავგვრემანი, თავმოტვლეპილი, ტოოტზე ბევრად უფროსი, ახლო წარსულში რვა ზღვისპირა ინციდენტში მონაწილეობდა, მიღებული ჰქონდა ცეცხლოვანი ჯვარი და სამი ნიშანი: „ბრძოლაში მძვინვარებისათვის“; დადიოდა ხმები თეთრ წყალქვეშა გემთან ფანტასტიკურ ორთაბრძოლაზე, როცა მის მანქანას პირდაპირი მოხვედრით ცეცხლი წაეკიდა, ის კი სროლას განაგრძობდა, სანამ ძლიერი დამწვრობებისაგან გული არ წაუვიდა. ამბობდნენ, სხეულზე ცოცხალი ადგილი არა აქვსო, სულ გადანერგილი კანიაო. ხოლო მარცხენა ხელზე სამი თითი აკლდა. ის იყო პირდაპირი და უხეში როგორც ნამდვილი მეომარი, და თავშეკავებული როტმისტრს ტოოტისაგან განსხვავებით, არასდროს საჭიროდ არ მიაჩნდა, დაემალა თავისი განწყობილება ხელქვეითებისა თუ უფროსებისაგან. როცა კარგ გუნებაზე იყო, მთელმა ბრიგადამ იცოდა, რომ ბატონი როტმისტრი ჩაჩუ მხიარულ გუნებაზეა მაგრა თუ უხასიათოდ იყო, „დაშოშმინდი, დედის“ უსტვენდა...

გაიმ თვალი გაუსწორა საწესდებო მზერით, თან სასოწარკვეთილი იყო, რომ რაღაც უცნობი მიზეზით გაანაწყენა და გააბრაზა ეს შესანიშნავი ადამიანი. სწრაფად იხსენებდა, რა დააშავა თვითონ, ანდა მისი სექციის ლეგიონერებმა, მაგრამ ვერაფერს მიაგნო. როტმისტრი ყველაფერზე უთითო ხელის დაუდევარი აქნევით და ხრინწიანი ბუზღუნით პასუხობდა: „კარგი ერთი, აბა რისი ლეგიონია. მიმიფურთხებია...“

ბატონმა როტმისტრმა შეწყვიტა სტვენა და ქანაობა.

- არ მიყვარს ლაქლაქი და ჯღაბნა, კაპრალო, - წარმოთქვა მან, - ორში ერთი: ან შენ რეკომენდაციას აძლევ კანდიდატ სიმს, ან არ აძლევ, რას იტყვი?

- დიახ, რეკომენდაციას ვაძლევ, ბატონო როტმისტრო, - საჩქაროდ თქვა გაიმ. - მაგრამ...

- არავითარი „მაგრამ“, კაპრალო! აძლევ თუ არა?

- დიახ, ვაძლევ.

- მაშინ როგორღა გავიგო ეს ორი ქაღალდი? - ბატონმა როტმისტრმა მოუთმენელი მოძრაობით გულის ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდები ამოიღო და მაგიდაზე გაშალა, თან დამახინჯებული ხელით აკავებდა. - ვკითხულობ; „რეკომენდაციას ვაძლევ ზემოთ დასახელებულ მაკ სიმს, როგორც ერთგულ და ნიჭიერ...“ ჰო-ო, ეს გასაგებია... „საბრძოლო ლეგიონის რიგითობის კანდიდატის მაღალ წოდებაში დასამტკიცებლად“. ესეც შენი მეორე ნაჯღაბნი, კაპრალო: „...ზემოთ ნათქვამთან დაკავშირებით ჩემს მოვალეობად ვთვლი, სარდლობის ყურადღება მივაპყრო იმას, რომ საჭიროა გულდასმით შემოწმდეს საბრძოლო ლეგიონის რიგითობის დასახელებული კანდიდატი მ-სიმი“. მასარაკშ, ბოლოს და ბოლოს გამაგებინე რა გინდა, კაპრალო?

- ბატონო როტმისტრო! - თქვა აღელვებულმა გაიმ. - მე მართლაც მძიმე მდგომარეობაში ვარ! კანდიდატ სიმს ვიცნობ როგორც ნიჭიერ და ლეგიონის საქმეთა ერთგულ მოქალაქეს. დარწმუნებული ვარ, ის ბევრ სარგებლობას მოგვიტანს. მაგრამ რაკი მიმაჩნია, რომ ლეგიონში მხოლოდ კრისტალურად სუფთა ადამიანები უნდა იყვნენ...

- დიახ, დიახ! - მოუთმენლად თქვა ბატონმა როტმისტრმა. - მოკლედ რომ ვთქვათ, აი რა, კაპრალო. ამ ქაღალდებიდან ერთ-ერთს ახლავე წაიღებ და დახევ. ხომ უნდა აზროვნებდე. ბრიგადირთან ორი ქაღალდით ხომ ვერ გამოვცხადდები. ან ჰო, ან არა. ჩვენ ლეგიონში ვართ და არა ფილოსოფიის ფაკულტეტზე, კაპრალო! ორ წუთს გაძლევ მოსაფიქრებლად

ბატონმა როტმისტრმა მაგიდის უჯრიდან ამოიღო სქელი საქაღალდე, რომელშიც საქმეები იდო და ზიზღით დაიგდო წინ. დაღვრემილმა გაიმ საათს დახედა. საშინლად უჭირდა ამ არჩევანის გაკეთება. უპატიოსნობა იყო და ლეგიონერს არ ეკადრებოდა სარდლობისგან დაემალა, რომ კარგად არ იცნობდა სარეკომენდაციოს მაშინაც კი, როცა საქმე მაქსიმს ეხებოდა. მაგრამ,

მეორე მხრივ, უპატიოსნობა იყო, ლეგიონერს არ ეკადრებოდა თავი აერიდებინა პასუხისმგებლობისათვის, გადაწყვეტილება დაეკისრებინა ბატონი როტმისტრისათვის, რომელსაც მაქსიმი ორჯერ ჰყავდა ნანახი, და ისიც ასეულის მწყობრში. კარგი. კიდევ ერთხელ. მხარს ვუჭერ: მხურვალედ აღიქვა და გულთან ახლოს მიიტანა ლეგიონის ამოცანები; უნაკლოდ გაიარა შემოწმება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტში, ბატონმა როტმისტრმა ტოოტმა და ბატონმა შტაბის ექიმმა ზოგუმ რაღაც საიდუმლო დაწესებულებაში, ეტყობა, შესამოწმებლად რომ გაგზავნეს (მართალია, ეს თვით მაქსიმის ჩვენებაა, საბუთები კი დაიკარგა, მაგრამ მაშ, სხვანაირად, როგორ გათავისუფლდებოდა ზედამხედველობისაგან? და ბოლოს, გულადია, ნამდვილი მებრძოლი - მარტო გაუსწორდა ვირთხაჭერიას ბანდას - სიმპათიურია, ურთიერთობაში უბრალო, გულკეთილი, სრულიად უანგარო. და საერთოდ, საოცრად ნიჭიერი ადამიანია. მის საწინააღმდეგოდ მეტყველებს: არავინ იცის, ვინ არის და საიდან მოვიდა; თავისი წარსულის შესახებ. ან არაფერი ახსოვს, ან არ სურს გვაცნობოს... და არავითარი საბუთი არა აქვს. მაგრამ ნუთუ ყოველივე ეს ასე საეჭვოა? მთავრობა კონტროლს უწევს მხოლოდ საზღვრებსა და ცენტრალურ რაიონს. ქვეყნის ტერიტორიის ორ მესამედზე დღემდე ანარქიაა, შიმშილობა, ეპიდემია, ხალხი გამორბის, და ყველა უსაბუთოა. და რამდენია მათ შორის ავადმყოფი, მეხსიერებადაკარგული, გადაგვარებულიც კი... ბოლოს და ბოლოს, რაც მთავარია, მაქსიმი გადაგვარებული არ არის.

- რას იტყვი, კაპრალო? - თქვა ბატონმა როტმისტრმა.

- დიახ, ბატონო როტმისტრო! - სასოწარკვეთილი ხმით თქვა გაიმ. - ნება მომეცით...

მან აიღო თავისი პატაკი რომელშიც მაქსიმის შემოწმებას ითხოვდა და ნელა დახია.

-სწო-რი გადაწყვეტილებაა! - იღრიალა ბატონმა როტმისტრმა, - ყოჩაღ, ლეგიონერო! ქაღალდი, მელანი, შემოწმება... ყველაფერს ბრძოლა შეამოწმებს! როცა მანქანებში ჩავსხდებით და ატომური ხაფანგების ზონისაკენ გავემართებით, მაშინვე ვნახავთ, ვინ ჩვენია, ვინ - არა.

- დიახ, - არც თუ ისე მტკიცედ წარმოთქვა გაიმ. მას კარგად ესმოდა ძველი მეომრისა, მაგრამ არანაკლებ კარგად ხედავდა, რომ ზღვისპირა ინცინდენტების გმირი რამდენადმე ცდებოდა. ბრძოლა, რა თქმა უნდა, ბრძოლაა, მაგრამ

სიწმინდე სიწმინდეა. თუმცა, ეს მაქსიმს არ ეხება. მაქსიმი სწორედ რომ წმინდაა.

- მასარაკშ! - წარმოთქვა ბატონმა როტმისტრმა, - ჯანმრთელობის დეპარტამენტმა იგი გაატარა დანარჩენი კი ჩვენი საქმეა - ეს იდუმალი ფრაზა რომ წარმოთქვა, გულმოსულმა შეხედა გაის და დასძინა: - ლეგიონერი მეგობარს სავსებით ენდობა, ხოლო თუ არ ენდობა, მაშასადამე, ის მეგობარი არ არის და უნდა გააგდო, გამაოცე, კაპრალო. კარგი, გასწი შენს სექციაში. დრო ცოტა დაგვრჩა... ოპერაციის დროს თავად დავაკვირდები ამ კანდიდატს.

გაიმ ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და გავიდა. კარს მიღმა თავს გაღიმების უფლება მისცა. ნაცადმა მებრძოლმა მაინც ვერ შეიკავა თავი და პასუხისმგებლობა თვითონ იკისრა. კარგი მუდამ კარგია, ახლა სუფთა სინდისით შეიძლება მაკ სიმი მეგობრად მიიჩნიოს. მის ნამდვილ გვარს კაცი ვერ გამოთქვამს. ან გამოიგონა, სანამ გონდაკარგული იყო, ან მართლა წარმოშობით იმ მთიელთაგანია... რა ერქვა მათს ძველი დროის მეფეს?... ზარემჩიჩაკბეშმუსარაიი... გაი პლაცზე გავიდა და თვალებით მოძებნა თავისი სექცია. დაუღალავი პანდი ბიჭებს სამსართულიანი შენობის მაკეტის ზედა ფანჯარაში აძვრენდა. ბიჭები დასველდნენ, ეს კი ცუდი იყო, რად-განაც ოპერაციამდე ერთი საათიღა რჩებოდა.

- შე-ეწყვი-ტეეთ! - ჯერ კიდევ შორიდან იყვირა გაიმ.

- შე-ეწყვიტ-ეეთ! - იღრიალა პანდიმ. - მწყობრში ჩადექით!

სექცია სწრაფად დაეწყო.

- სმენა! - ბრძანა პანდიმ. შემდეგ სამწყობრო ნაბიჯით გაისთან მივიდა და მოახსენა: - ბატონო კაპრალო, სექცია საიერიშო ქალაქის დაკავებას სწავლობს.

- მწყობრში ჩადექით, - ბრძანა გაიმ, თან ცდილობდა ინტონაციით გამოეხატა უკმაყოფილება, როგორც ამას ჩინებულად აკეთებდა კაპრალი სერემბეში. ზურგზე ხელებშემოწყობილმა მწყობრის წინ გაიარა, თან ნაცნობ სახეებს აჩერდებოდა.

მის ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდნენ ნაცრისფერი, ცისფერი და ლურჯი, მზადყოფნისაგან გადმოკარკლული თვალები. გაიმ იგრძნო, რაოდენ ახლობელი და ძვირფასი არიან მისთვის ესენი, ეს თორმეტი ჯანმაგარი ახალგაზრდა - ექვსი მარჯვენა ფლანგის ნამდვილი რიგითი და ექვსი მარცხენა ფლანგის რიგითობის კანდიდატი - ყველას მოლაპლაპე ღილებიანი

კარგი კომბინეზონი, მოკლეყელიანი მბზინავი ჩექმები აცვია, მარჯვენა წარბზე დარდიმანდულად ჩამოწეული ბერეტები ახურავს... არა, ყველას არა. შუა მწყობრში კანდიდატთა მარჯვენა ფლანგზე კოშკივით აღმართულიყო კანდიდატი მაკ სიმი, ტანადი ახალგაზრდა, გამორჩეული, თუმცა მეთაურს გამორჩეული არ უნდა ჰყავდეს, მაგრამ... არა უშავს, რომ უცნაური ყავისფერი თვალები არ გადმოუკარკლავს, არა უჭირს, მიეჩვევა დროთა განმავლობაში. მაგრამ აი... ჰმ...

გაი მაქსიმთან მივიდა და ზედა ღილი შეუბნია. შემდეგ ფეხისწვერებზე შედგა და ბერეტი შეუსწორა. თითქოს ყველაფერი რიგზეა... ისევ ყურებამდე დაუკრეჭია ტუჩ-პირი... მწყობრში დგომისას. არა უშავს. გადაეჩვევა. რაც უნდა იყოს, კანდიდატია, ყველაზე უმცროსი სექციაში...

ვითომდა სამართლიანობის დაცვის მიზნით, გაიმ ბალთა გაუსწორა მაქსიმის მეზობელს, თუმცა ეს ზედმეტი იყო. შემდეგ სამი ნაბიჯით დაიხია და ბრძანა „თავისუფლად“. სექცია „თავისუფლად“ დადგა - ოდნავ უკან გასწია მარჯვენა ფეხი და ხელები ზურგზე შემოიწყო.

- ბიჭებო - თქვა გაიმ, - დღეს ჩვენი ასეული პოტენციური მოწინააღმდეგის აგენტურის გამოაშკარავების რეგულარული ოპერაციის ჩასატარებლად მიდის. ოპერაცია ეწყობა ოცდამეცამეტე სქემის მიხედვით. ბატონ ნამდვილ რიგითებს, უდავოდ, ეხსომებათ თავიანთი მოვალეობანი ამ სქემის შესაბამისად, ხოლო ბატონ კანდიდატებს, რომლებსაც ღილების შებნევა ავიწყდებათ, საჭიროდ მიმაჩნია, შევახსენო. სექციას ეძლევა ერთი სადარბაზო. სექცია იყოფა ოთხ ჯგუფად: სამი სამეული და გარეთა რეზერვი. სამეულები ორი ნამდვილი რიგითისა და ერთი კანდიდატის შემადგენლობით უხმაუროდ დაივლიან ბინებს თანამიმდევრულად. ბინაში შესული თითოეული სამეული მოქმედებს შემდეგნაირად: კანდიდატი იცავს სადარბაზოს შესასვლელს, მეორე რიგითი არაფერს ყურადღებას არ აქცევს ისე, იკავებს უკანა შესასვლელს, უფროსი ამოწმებს შენობას. რეზერვი სამი კანდიდატის შემადგენლობით და სექციის მეთაურის - ამ შემთხვევაში ჩემი ხელმძღვანელობით, ძირს რჩება შესასვლელთან და დაუყოვნებლივ მიეშველება იმ სამეულს, რომელსაც დახმარება დასჭირდება. სამეულებისა და რეზერვის შემადგენლობა თქვენთვის ცნობილია... ყურადღება! - თქვა და კიდევ ერთი ნაბიჯით დაიხია. - სამეულებად და რეზერვად - დაეწყვეთ!

სწრაფი არეულ-დარეულობა და სექცია დანაწილდა. არავის შეშლია ადგილი, არავინ წამოდებია ავტომატს, არავის ფეხი არ დასცდენია და ბერეტი არ დაუკარგავს, როგორც წინა მეცადინეობებზე ხდებოდა. რეზერვის მარჯვენა ფლანგზე წამოჭიმული მაქსიმი კი კვლავ იღიმებოდა. გაის უეცრად ველური აზრი მოუვიდა, რომ მაქსიმს ყოველივე ეს მხოლოდ ართობს, თამაშად მიაჩნია. რა თქმა უნდა, ეს ასე არ იყო, რადგანაც არ შეიძლებოდა ასე ყოფილიყო. ყველაფერი, ალბათ, ამ სულელური ღიმილის ბრალია…

- კარგია, - წაიბურტყუნა გაიმ კაპრალ სერემბეშის მიმსგავსებით და მოწყალე თვალით შეხედა პანდის: აფერუმ, მოხუცო, გამოგიწვრთნია ბიჭები. - ყურადღება! - თქვა მან.- სექციავ, დაეწყვე!

კვლავ სწრაფი ხორხოცი, სამაგალითო თავისი მკაფიოობითა და უზადობით, და სექცია კვლავ ერთიან მწკრივად დგას მის წინ. კარგია, მართლაც შესანიშნავი! ჟრუანტელმაც კი დაუარა ტანში. გაიმ კვლავ შემოიწყო ხელები ზურგზე და გაიარ-გამოიარა.

- ლეგიონერებო! - თქვა მან. - ჩვენ ვართ ცეცხლოვან შემოქმედთა ბურჯი და ერთადერთი იმედი. მარტო ჩვენ თუ დაგვეყრდნობიან ისინი გულდაჯერებით თავიანთ დიად საქმეში (ეს სიმართლე იყო, სრული სიმართლე, და ამაში იყო მთელი მომხიბლაობა და სიდიადე) მებრძოლი ლეგიონი ისტორიის რკინის მუშტია. ის მოწოდებულია მოსპოს ყველა დაბრკოლება ჩვენს საამაყო გზაზე. მებრძოლი ლეგიონის მახვილი ბრძოლების ქარცეცხლში გამოიწრთო, იგი ხელს გვწვავს და მხოლოდ მტრის სისხლის ნიაღვარი თუ გააგრილებს. მტერი ეშმაკია. ის მშიშარაა, მაგრამ ჯიუტი. ცეცხლოვანმა შემოქმედებმა გვიბრძანეს გავტეხოთ მისი ვერაგული სიჯიუტე, ძირფესვიანად ამოვძირკვოთ ყველაფერი, რაც უკან გვწევს, ქაოსისა და გამხრწნელი ანარქიისაგან. ასეთია ჩვენი ვალი და ბედნიერებაა შევასრულოთ ის. დიდია ჩვენი მსხვერპლი, ხომ სიმშვიდეს ვურღვევთ საკუთარ დედებს, ძმებსა და შვილებს, დამსახურებული მოსვენების საშუალებას ვუსპობთ პატიოსან მუშას, პატიოსან მოხელეს, პატიოსან ვაჭარსა და მრეწველს. მათ იციან, რა გვაიძულებს შევიჭრათ სახლებში, და ისე გვხვდებიან, როგორც საუკეთესო მეგობრებს როგორც ქომაგთ. გახსოვდეთ და თავს ნება არ მისცეთ, ზედმეტი მოგვიდეთ ამოცანის შესრულების კეთილშობილური აღტყინების ჟამს. მეგობარი მეგობარია, ხოლო მტერი - მტერი... შეკითხვები გაქვთ?

- არა! - იღრიალა თორმეტხახიანმა სექციამ.

- სმენა ოცდაათი წუთი გეძლევათ დასვენებისა და აღჭურვილობის შემოწმებისათვის, და-აიშალენით!

სექცია მიმოიფანტა, შემდეგ კი ლეგიონერები ორ-ორ და სამ-სამ კაციან ჯგუფებად ყაზარმისაკენ წავიდნენ. გაი, რომელიც სასიამოვნო სიმსუბუქეს გრძნობდა, აუჩქარებლად უკან მიჰყვა მათ მაქსიმი მოშორებით ელოდა და წინასწარ იღიმებოდა.

- მოდი, სიტყვობანა ვითამაშოთ, - შესთავაზა მან.

გაიმ გუნებაში დაიკვნესა. ერთი კარგად დაატუქსინა, გაგიგიათ ეგეთი რამე, რომ კანდიდატი, ძუძუმწოვარა, ოპერაციამდე ნახევარი საათის წინ კაპრალს ასე ძმა-ბიჭურად ელაზღანდარებოდეს!

-ახლა ამის დრო არ არის, - რამდენადაც შეეძლო ცივად უპასუხა მან.

- ღელავ? - თანაგრძნობით ჰკითხა მაქსიმმა.

გაი შეჩერდა და თვალები ცისკენ აღაპყრო. რა ქნას, რა ქნას? თურმე სრულიად შეუძლებელია დატუქსო ასეთი გულკეთილი გულუბრყვილო გიგანტი, თანაც შენი დის გადამრჩენი, თანაც - რა დასამალია - ადამიანი, რომელიც სამწყობროს გარდა, ყველა სხვა, საკითხში შენზე ბევრად მაღლა დგას... გაიმ მიიხედ-მოიხედა და თხოვნის კილოთი თქვა:

- მომისმინე, მაკ, შენ მე უხერხულ მდგომარეობაში მაყენებ, ყაზარმაში ყოფნისას მე შენი უფროსი ვარ, მე გიბრძანებ - შენ მემორჩილები. ასჯერ მითქვამს შენთვის...

- კი, მაგრამ, მე ხომ მზად ვარ დაგემორჩილო, მიბრძანე! - შეესიტყვა მაქსიმი. - მე ვიცი რას ნიშნავს დისციპლინა. მიბრძანე.

- უკვე გიბრძანე. აღჭურვილობა მოაწესრიგე-მეთქი.

- არა, ბოდიში, გაი, შენ ასე არ გიბრძანებია. შენ ბრძანე, რომ დავისვენოთ და აღჭურვილობა მოვაწესრიგოთ. დაგავიწყდა? მე აღჭურვილობა მოვაწესრიგე. ახლა კი ვისვენებ. მოდი, ვითამაშოთ. იცი, რა კარგი სიტყვა მოვიფიქრე...

- მაკ, გაიგე: ხელქვეითი უფროსს მიმართავს, ჯერ ერთი, მხოლოდ დადგენილი ფორმით, მეორეც, მარტო სამსახურის საქმეებზე.

- კი, მახსოვს. მეცხრე პარაგრაფი... მაგრამ ეს ხომ სამსახურის დროს უნდა. ახლა კი მე და შენ ვისვენებთ...

- საიდან მოიტანე, რომ მეც ვისვენებ? - ჰკითხა გაიმ. ისინი მავთულხლართების მესრის მაკეტს მიღმა იდგნენ და, მადლობა ღმერთს, მარტო იყვნენ: არავინ ხედავს, როგორ მიყრდნობია ეს კოშკი მხრით მესერს და განუწყვეტლივ ცდილობს თავის კაპრალს ღილში ჩაავლოს ხელი. - მე მხოლოდ შინ ვისვენებ, მაგრამ შინაც არც ერთ ხელქვეითს უფლებას არ მივცემ... მომისმინე, ხელი უშვი ჩემს ღილს და შეიბნიე შენი საკუთარი...

მაქსიმმა ღილი შეიბნია და თქვა:

- სამსახურში ასეა, შინ - ისე, რატომ?

- მოდი, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. მომბეზრდა შენთვის ერთი და იგივეს გამეორება... სხვათა მორის, როდის გადაეჩვევი ღიმილს მწყობრში დგომისას?

- წესდებაში ამაზე არაფერი წერია, - დაუყოვნებლივ უპასუხა მაქსიმმა. - ხოლო რაც შეეხება „ერთი და იგივეს გამეორებას“, იცი რას გეტყვი, ნუ კი გეწყინება, გაი, მე ვიცი: შენ მოლაპარაკე არა ხარ... სიტყვიანი არა ხარ...

- ვინ?

- ის კაცი არა ხარ, ლამაზად რომ ლაპარაკობს.

- ორატორი?

- ორატორი... ჰო, ორატორი. არა ხარ. მაგრამ სულ ერთია. შენ დღეს სიტყვით მოგვმართე. სწორი, კარგი სიტყვები წარმოთქვი. მაგრამ როცა შინ მიყვებოდი ლეგიონის ამოცანებზე და ქვეყნის მდგომარეობაზე, მაშინ უფრო საინტერესოდ ლაპარაკობდი. ძალზე შენებურად. აქ კი ერთსა და იგივეს შვიდჯერ იმეორებ. და არც ერთხელ შენებურს არ ამბობ. ძალიან სწორად ლაპარაკობ. ძალიან ერთნაირად. ძალიან მოსაწყენად. ა? ხომ არ გეწყინა?

გაის არ სწყენია. თუმცა რაღაც ცივმა ნემსმა უჩხვლიტა თავმოყვარეობაზე. დღემდე ეჩვენებოდა, ისევე დამაჯერებლად და გამართულად ვლაპარაკობ, როგორც კაპრალი სერემბეში ან თუნდაც ბატონი როტმისტრი ტოოტიო. მაგრამ კაცმა რომ თქვას, კაპრალი სერემბეში და ბატონი როტმისტრიც ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ მთელი სამი წელი. და ამაშიც არაფერია გასაკვირი და მითუმეტეს - სამარცხვინო - სამი წლის მანძილზე ხომ არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა არც საშინაო, არც საგარეო მდგომარეობაში.

- წესდებაში სად წერია, - იკითხა გაიმ და ჩაიცინა, - ხელქვეითი შენიშვნებს აძლევდეს თავის უფროსს?

- იქ პირიქით წერია, - აღიარა მაქსიმმა და ამოიოხრა. - ჩემი ფიქრით, ეს

სწორი არ არის. შენ ხომ იღებ ჩემს რჩევებს, როცა ბალისტიკის ამოცანებს წყვეტ, და ისმენ ჩემს შენიშვნებს, როცა გამოანგარიშებებში ცდები.

- ეს შინაა! - წაიკვნესა გაიმ. - შინ ყველაფერი შეიძლება.

- სასროლ მოედნებზე თუ არასწორად მოგვცემ სამიზნეს? ცუდად გაითვალისწინებ შესწორებას ქარზე. ა?

- გამორიცხულია! - მტკიცედ თქვა გაიმ.

- არასწორად ვისროლოთ? - გაიოცა მაქსიმმა.

- ისროლეთ, როგორც გიბრძანებენ, - მკაცრად თქვა გაიმ. - ამ ათ წუთში, მაკ, შენ იმდენი ილაპარაკე, სავსებით დაიმსახურე, ორმოცდაათი დღე კარცერში იჯდე. გესმის?

- არა, არ მესმის... ბრძოლაში?

- რა - ბრძოლაში?

- თუ არასწორად გვაძლევ სამიზნეს, ა?

- ჰმ... - თქვა გაიმ, რომელსაც ბრძოლაში ჯერაც არასდროს ემეთაურა. უეცრად გაახსენდა: კაპრალ ბახტუს ბრძოლით დაზვერვის დროს რუკაში რაღაც აერია, სექცია მეზობელი ასეულის სახანჯლე ცეცხლში შეიყვანა, თვითონაც დაიღუპა და ნახევარი სექციაც დაღუპა, ჩვენ ვიცოდით, რომ შეეშალა, მაგრამ აზრადაც არავის მოსვლია, შეესწორებინა.

„ღმერთო, - გაიფიქრა უეცრად გაიმ, - ჩვენ ხომ გულშიც არ გავივლებდით, რომ შესწორება შეიძლება. მაქსიმს კი ეს არ ესმის და არა თუ არ ესმის - რა არის აქ გაუგებარი, - უბრალოდ არ ცნობს. უკვე რამდენჯერ იყო ასე: იღებს ყოვლად თვალნათელ საგანს და უარყოფას მას, და ვერაფრით ვერ დაარწმუნებ, დარწმუნება კი არა, პირიქით - თვითონ შეგაქვს ეჭვი, თავი გიბრუის, და სრულიად ყეყეჩდები... არა, მაინც არაჩვეულებრივი კაცია... იშვიათი, არნახული ადამიანი... ენა ერთ თვეში ისწავლა. წერა-კითხვის შესწავლას ორი დღე მოანდომა. მერე ორ დღეში გადაიკითხა ყველაფერი, რაც მე მაქვს, მათემატიკა და მექანიკა ბატონ მასწავლებლებზე უკეთ იცის, ჩვენთან კურსებზე კი ნამდვილი სპეციალისტები ასწავლიან. ან თუნდაც ძია კაანი ავიღოთ.

უკანასკნელ დროს მოხუცი სუფრასთან მთელ თავის მონოლოგებს მხოლოდ და მხოლოდ მაქსიმის გასაგონად წარმოთქვამდა. კიდევ მეტიც, უკვე არაერთხელ გვაგრძნობინა, რომ ალბათ მაქსიმი ერთადერთი ადამიანია, ვინც ჩვენს დროში ასეთ ცოდნას იჩენს და ასეა დაინტერესებული ნამარხი ცხოვე-

ლებით. ის მაქსიმს ქაღალდზე უხატავდა რაღაც საშინელ მხეცებს და მაქსიმიც უხატავდა კიდევ უფრო საშინელ მხეცებს, შემდეგ კამათობდნენ, რომელია ამ მხეცებს შორის უფრო ძველი, და რომელი რომლისგან წარმოიშვა, და რატომ მოხდა ეს; ძია თავისი ბიბლიოთეკის მეცნიერულ წიგნებს იმოწმებდა და მაინც ზოგჯერ მაქსიმი მოხუცს პირის დაღების საშუალებას არ აძლევდა, გაისა და რადას კი მათი ნათქვამიდან ერთი სიტყვაც არ ესმოდათ, ხოლო ძია ხან ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა, ხან ნახატებს ხევდა და ფეხებით თელავდა, მაქსიმს უმეცარს ეძახდა, ეუბნებოდა, შენთან თვით იმ სულელ შაპშუსაც მიუქარავსო, ხან კი გააფთრებული ორივე ხელით იფხანდა კეფაზე შერჩენილ მეჩხერ ჭაღარა თმას და ღიმილით ბურტყუნებდა: „ძალიან თამამია, ძალიან! თქვენ ფანტაზია გაქვთ, ჭაბუკო!“ გაის განსაკუთრებით დაამახსოვრდა ერთი საღამო, როცა ბებრუხანას თითქოს მეხი დაატყდა თავს, როცა მაქსიმმა განაცხადა, ამ წარღვნამდელ მხეცთაგან ზოგიერთი უკანა ფეხზე დადიოდაო, რაც თურმე ძალზე მარტივად და ბუნებრივად წყვეტდა რაღაც ძველ მეცნიერ დავას.

მათემატიკა იცის, მექანიკა ხომ იცის და იცის, სამხედრო ქიმიაში ბრწყინვალედ ერკვევა, პალეონთოლოგია - ღმერთო, სადღა არიან ჩვენს დროში პალეონთოლოგიის მცოდნენი! მან კი პალეონთოლოგიაც იცის... ხატავს და მხატვარი გეგონება, მღერის და მსახიობიაო, იფიქრებ... ან რა კეთილია, არაბუნებრივად კეთილი. გარეკა და დახოცა ბანდიტები, ერთი რვას მოერია უიარაღოდ, სხვა მის ადგილზე ინდაურივით გაიფხორებოდა, ყველას ზევიდან დაუწყებდა ყურებას, ის კი იტანჯებოდა, მთელი ღამეები ძილი არ ეკარებოდა, - წუხდა, როცა აქებდნენ და მადლობას ეუბნებოდნენ, ხოლო ერთხელ იფეთქა კიდეც: ერთთავად გადაფითრდა და იყვირა: მკვლელობისათვის ადამიანის ქება საზარელიაო... ლეგიონში შესვლაზე ხომ ძლივს დავიყოლიე! ყველაფერი ესმის, ყველაფერს ეთანხმება, სურვილიც აქვს, მაგრამ იქო, ამბობს, სროლა მომიწევსო. ადამიანებს უნდა ვესროლოო. მე კი ვეუბნები: ადამიანებს კი არა, გადაგვარებულებს, ბანდიტებზე უარეს ნაძირალებს-მეთქი... მადლობა ღმერთს, შევთანხმდით, რომ ჯერ, სანამ შეეჩვეოდეს, მხოლოდ განაიარაღებს... როგორღაც სასაცილოცაა და საშინელიც. არა, ტყუილად როდი წამოცდება ხოლმე, სხვა სამყაროდან მოვედიო. ვიცი მე ის სამყარო. ძიას წიგნიც აქვს მასზე - „ნისლიანი ქვეყანა ზარტაკი“. ალებასტრის მთებში არისო ზარ-

ტაკის ხეობა, სადაც თურმე ბედნიერი ადამიანები ცხოვრობენ... აღწერისამებრ იქ თურმე ყველა მაქსიმისნაირია. და აი, რაა გასაკვირი: თუ რომელიმე მათგანი დატოვებს თავის ხეობას, მაშინვე ავიწყდება, სადაურია და რა გადახდომია თავს, ისღა ახსოვს, რომ სხვა სამყაროდანაა მოსული... თუმცა ძია ამბობს, არავითარი ასეთი ხეობა არ არსებობსო, ყველაფერი ეს გამოგონილია, არის მხოლოდ ზარტაკის ქედი, შემდეგ თურმე, ომის დროს ამ ქედს სუპერბომბები დაუშინეს, ასე რომ, იქაურ მთიელებს სამუდამოდ დაკარგვიათ მეხსიერება...

- რატომ დუმხარ? - ჰკითხა მაქსიმმა. - ჩემზე ფიქრობ?

გაიმ განზე გაიხედა.

- იცი, რას გეტყვი... - თქვა მან. - მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ: დისციპლინის ინტერესებისათვის არასდროს არ გამოავლინო, რომ ჩემზე მეტი იცი. უყურე, როგორ იქცევიან სხვები და ზუსტად ისე მოიქეცი.

- ვცდილობ, - ნაღვლიანად თქვა მაქსიმმა. ერთხანს იფიქრა და დასძინა: - მიჭირს მიჩვევა. ჩვენში ყველაფერი სულ სხვანაირადაა...

- ჭრილობა როგორა გაქვს? - ჰკითხა გაიმ, საუბრის თემა რომ შეეცვალა.

- ჭრილობები სწრაფად მიშუშდება, - დაბნეულად უპასუხა მაქსიმმა, - მომისმინე, გაი, მოდი, ოპერაციის შემდეგ პირდაპირ შინ წავიდეთ. რა იყო, რად მიყურებ ასე? ძალიან მომენატრა რადა. ნუთუ შენ არ მოგენატრა? ბიჭები ყაზარმაში მივიყვანოთ, შემდეგ კი სატვირთო მანქანაში ჩავსხდეთ და აიდა სახლისაკენ. მძღოლი გავუშვათ...

გაიმ ღრმად ჩაისუნთქა, მაგრამ. ამ დროს ბოძზე რადიოს ვერცხლისფერმა ყუთმა თითქმის მათ თავთან დაიღრინა და გაისმა ბრიგადის მორიგის ბრძანება:

- მეექვსე ასეულო, გამოდი, და პლაცზე დაეწყვე! ყურადღება, მეექვსე ასეულო...

და გაიმ ესღა იღრიალა:

- კანდიდატო სიმ! შეწყვიტე ლაპარაკი, მწყობრში დადექი! - მაქსიმი ადგილს მოწყდა, მაგრამ გაიმ შაშხანაზე უტაცა ხელი. - ძალიან გთხოვ - თქვა მან - ყველასავით! მოიქეცი ყველასავით! დღეს თვით როტმისტრი დაგაკვირდება...

სამ წუთში ასეული დაეწყო. უკვე ჩამობნელდა, პლაცზე პროჟექტორები

აენთო. მწყობრს უკან ჩუმად თუხთუხებდა სატვირთო მანქანების ძრავები. როგორც ყოველთვის, ოპერაციის წინ ბატონმა ბრიგადირმა ბატონ როტ-მისტრ ჩაჩუსთან ერთად უხმოდ შემო-უარა მწყობრს და თითოეული ლეგიო-ნერი შეათვალიერა. მაქსიმს მშვიდად ეკავა თავი, თვალები მოჭუტული ჰქონდა, ტუჩების კუთხეები თავაზიანად აეწკიპა. შემდეგ, კრინტი არ დაუძ-რავს ისე, თავი დაუქნია ბატონ როტმისტრს და იქაურობას გასცილდა. ბა-ტონი როტმისტრი დამახინჯებული ხელის ქნევით მწყობრის წინ გამობაჯ-ბაჯდა და მუქი, თითქმის შავი სახე ლეგიონერებს მიაპყრო.

- ლეგიონერებო! - ისეთი ხმით იჩხავლა, რომ გაის გააცია. - ჩვენ საპასუ-ხისმგებლო საქმე გველის. ღირსეულად მოვეკიდოთ მას... ყურადღება, ასეულო! მანქანებში! კაპრალო გაალ, ჩემთან!

როცა გაიმ მიირბინა და მის წინ გაიჭიმა ბატონმა როტმისტრმა ხმადაბლა გადაულაპარაკა:

- თქვენს სექციას საგანგებო დავალება აქვს, ადგილზე რომ მიხვალ, მანქა-ნებიდან არ გადმოხვიდეთ. მე თვითონ გისარდლებთ.

მეექვსე თავი

სატვირთო მანქანას საშინელი ამორტიზატორები ჰქონდა და ეს ძალზე იგრძნობოდა კიდევ უფრო საშინელ ქვაფენილზე. კანდიდატ მაქსიმს ავტომატი მუხლებშუა მოექცია, ქამრის ღვედით კი მზრუნველად აკავებდა გაის, რადგან ფიქრობდა, კაპრალს, რომელიც ამდენს ზრუნავს თავისი ავტორიტეტისათვის, არ შეეფერება ვიღაც კანდიდატ ზოიზესავით სკამებს მორის დაფარფატებდესო. გაი არ ეწინააღმდეგებოდა, ან იქნებ ვერც კი ამჩნევდა ხელქვეითის მზრუნველობას, როტმისტრთან საუბრის შემდეგ გაი რაღაცით ძალზე შეწუხებული იყო და მაქსიმს უხაროდა, რომ განრიგით ერთმანეთის გვერდით მოუწევთ ყოფნა და, თუ საჭირო გახდა, დაეხმარება კიდეც.

სატვირთო მანქანებმა ცენტრალურ თეატრს ჩაუარეს, დიდხანს მიგორავდნენ აყროლებული საიმპერიო არხის გასწვრივ, შემდეგ კი გრძელ, ამ დროს უკაცრიელ წუღების ქუჩაზე გადაუხვიეს, შემდეგ მიხვეულ-მოხვეულ შესახვევებს შეუდგნენ რომელიღაც გარეუბანში, სადაც მაქსიმი წინათ არასდროს ყოფილა, თუმცა ამ ბოლო დროს საფუძვლიანად შეისწავლა ქალაქი. საერთოდ ბევრი რამ გაიგო ამ ორმოც დღეზე მეტ ხანში და ბოლოს და ბოლოს გაერკვა მდგომარეობაში. მდგომარეობა ბევრად ნაკლებსანუგეშო და უფრო უცნაური აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა.

ჯერ კიდევ ანბანს ჩაჰკირკიტებდა, როცა გაი გადაეკიდა, მაინც საიდან მოხვედიო. ნახატები საქმეს არ შველოდა: გაი რაღაც უცნაური ღიმილით აღიქვამდა მათ და სულ ერთსა და იგივეს გაიძახოდა: „საიდან ხარ?“ მაშინ გაღიზიანებულმა მაქსიმმა ჭერს მიუშვირა თითი და თქვა: „ციდან“. მისდა გასაოცრად, გაიმ ეს სავსებით ბუნებრივად მიიღო და შეკითხვის ინტონაციით დააყარა რაღაც სიტყვები, რომლებიც მაქსიმს თავდაპირველად ადგილობრივი სისტემის პლანეტათა სახელწოდებები ეგონა. მაგრამ გაიმ მსოფლიოს რუკა მერკატორის პროექციაში გადაშალა და გამოირკვა, რომ ეს პლანეტები კი არა, ანტიპოდი ქვეყნების სახელწოდებებია, მაქსიმმა მხრები აიჩეჩა, უარყოფის გამომხატველი ყველა სიტყვა მიაყარა და რუკის შესწავლას შეუდგა. ასე რომ, ამ თემაზე საუბარი დროებით შეწყდა.

ორი დღის შემდეგ საღამოს მაქსიმი და რადა ტელევიზორს უყურებდნენ. უჩვენებდნენ უცნაურ გადაცემას, რაღაც კინოფილმის მაგვარს, რომელსაც

არც თავი ჰქონდა, არც ბოლო, არც გარკვეული სიუჟეტი, ჰყავდა უამრავი მოქმედი პირი - საკმაოდ საშინელი პირნი, რომლებიც ნებისმიერი ჰუმანოიდის თვალსაზრისით, საკმაოდ ველურად მოქმედებდნენ. რადა ინტერესით უყურებდა, ხან წამოიყვირებდა, მაქსიმს სახელოზეც დაჰქაჩავდა, ერთი-ორჯერ წამოიტირა კიდეც, მაქსიმმა კი სწრაფად მოიწყინა და ის იყო ჩათვლიმა ნაღვლიანი მუსიკის ხმაზე, რომელიც მუქარასავით გაისმოდა, როცა უეცრად ეკრანზე რაღაც ნაცნობი გამოკრთა. მან თვალებიც კი მოისრისა. ეკრანზე გამოჩნდა პანდორა, პირქუში ტახორგი ჯუნგლებში მიგორავდა, ხეებს აქცევდა. უეცრად დაინახა პეტერი, რომელსაც ხელში რკინის ჯოხი ეჭირა; ძალიან ჩაფიქრებული და სერიოზული უკან-უკან იხევდა, კორძზე წაბორძიკდა და ჭაობში პირაღმა მოადინა ზღართანი. მაქსიმი დიდად გაოცდა, როცა საკუთარი მენტოგრამა იცნო, შემდეგ კიდევ ერთი და კიდევ, მაგრამ არავითარი განმარტება არ ახლდა, ერთი და იგივე მუსიკა უკრავ-და, პანდორა გაქრა და მის ნაცვლად გამოჩნდა ბრმა ჩია კაცი, რომელიც მტვრიანი ობობას ქსელით დაქსაქსულ ჭერზე დაცოცავდა. „რა არის ეს?“ - იკითხა მაქსიმმა და ეკრანს მიუშვირა ხელი. „გადაცემა, - თქვა რადამ მოუთმენლად. - საინტერესოა უყურე“. მაქსიმმა ვერაფერი გაიგო და ათობით სხვადასხვა ჩამოსული გაახსენდა, რომლებიც კეთილსინდისიერად იხსენებდნენ თავიანთ სამყაროებს. მაგრამ სწრაფად აიღო ხელი ამ აზრზე: სამყაროები ძალზე საშიში იყო და ერთფეროვანი - დაგმანული ჩახუთული პატარა ოთახები, უსასრულო დერეფნები, გატენილი უამრავი ავეჯით, რომელსაც შიგადაშიგ ვეებერთელა ეკლები გამოსვლოდა. სპირალური კიბეები, ხრახნისებურად რომ მიემართებოდნენ ვიწრო ჭების უკუნეთში, მოფუთფუთე სხეულებით სავსე ცხაურიანი სარდაფები, რომელთა შორის გამოკრთოდა ავადმყოფური, უძრავი, იერონიმ ბოსხის ნახატების მსგავსი სახეები, - ეს უფრო ბოდვას - ფანტაზიას წააგავდა, ვიდრე რეალურ სამყაროებს. ამ მოჩვენებათა ფონზე მაქსიმის მენტოგრამები ნათელ რეალიზმს ასხივებდნენ, რომელიც მაქსიმის ტემპერამენტის გამო რომანტიკულ ნატურალიზმში გადადიოდა. ასეთი გადაცემები თითქმის ყოველდღე მეორდებოდა „ჯადოსნური მოგზაურობის“ სახელწოდებით, მაგრამ მაქსიმი ბოლომდე მაინც ვერ ჩასწვდა მათ აზრს. მის შეკითხვებზე გაი და რადა გაოცებულნი მხრებს იჩეჩავდნენ და ამბობდნენ: „გადაცემაა, გასართობი. ჯადოსნური მოგზაურობაა. ზღაპარია. უყურე, უყურე! ხან სასაცილოა, ხან საში-

ში“. და მაქსიმი ძალზე სერიოზულად დაეჭვდა იმაში, რომ პროფესორ ბეჰემოთის კვლევის მიზანი მართლა კონტაქტი იყო, და საერთოდ მისი გამოკვლევები გამოკვლევები თუ იყო.

ეს ინტუიციური დასკვნა რამდენადმე დადასტურდა კიდეც ათიოდე დღის შემდეგ, როცა გაი კონკურსით ჩაირიცხა ოფიცრის პირველი ჩინის პრეტენდენტთა დაუსწრებელ სკოლაში და მათემატიკისა და მექანიკის ზეპირობა დაიწყო. ბალისტიკის ელემენტარული კურსის სქემებმა და ფორმულებმა მაქსიმი გააოცა. ის გაის გადაეკიდა. გაი ჯერ ვერაფერს მიხვდა, შემდეგ კი შემწყნარებლური ღიმილით აუხსნა თავისი სამყაროს კოსმოგრაფია. და მაშინ გამოირკვა, რომ დასახლებული კუნძული არც ბურთია, არც გეოიდი და საერთოდ პლანეტა არ არის.

დასახლებული კუნძული იყო სამყარო, ერთადერთი სამყარო მთელ მსოფლიოში, აბორიგენები სამყაროს სფეროს მყარ ზედაპირზე დააბიჯებდნენ. მათ თავზე გადმომხობოდა გიგანტური, მაგრამ დასრულებული მოცულობის ჯერაც უცნობი შემადგენლობის აირის ბურთი, რომელსაც ჯერჯერობით არც თუ სავსებით ნათე-ლი ფიზიკური თვისებები ჰქონდა. არსებობდა თეორია, რომ აირის სიმკვრივე სწრაფად იზრდება აირის ბუშტულის ცენტრისაკენ, და იქ ხდება რაღაც საიდუმლო პროცესები, რომლებიც ეგრეთწოდებული მსოფლიო სინათლის სიკაშკაშის რეგულარულ ცვლილებას იწვევს და დღისა და ღამის მონაცვლეობას განაპირობებს. გარდა მსოფლიოს მოკლეპერიოდიანი, სადღეღამისო ცვლილებებისა, არსებობდა ხანგრძლივპერიოდიანი ცვლილებები, ტემპერატურის სეზონურ მერყეობასა და წლის დროების ცვლილებას რომ განაპირობებდნენ. სიმძიმის ძალა სამყაროს სფეროს ცენტრიდან პერპენდიკულარულად იყო მიმართული მისი ზედაპირისაკენ. ერთი სიტყვით, დასახლებული კუნძული დანარჩენი სამყაროს შემავსებელ უსასრულო სიმკვრივეში ვეებერთელა ბუშტულის შიდა ზედაპირზე მდებარეობდა.

მოულოდნელობისაგან თავზარდაცემულმა მაქსიმმა ის იყო დავა დაიწყო, მაგრამ სულ მალე აღმოჩნდა, რომ ის და გაი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, რომ ერთმანეთის გაგება ბევრად უფრო უჭირთ, ვიდრე ღრმად დაჯერებულ კოპერნიკელს პტოლომეოსის ღრმად დაჯერებული მიმდევრისა. საქმე ის იყო, რომ პლანეტის ატმოსფეროს გასაოცარი თვისებები ჰქონდა. ჯერ ერთი, საოცრად ძლიერი რეფრაქცია მეტისმეტად მაღლა სწევდა ჰორიზონტს და

აბორიგენებს ოდითგანვე ჩააგონებდა, რომ მათი მიწა ბრტყელი არ არის და, მით უმეტეს, რომ სულაც არ არის ამობურცული, ის ჩაზნექილია. „დადექით ზღვის პირას, - ეწერა სასკოლო სახელმძღვანელოში, - და დააკვირდით ნავსადგურიდან გასულ გემის სვლას. დასაწყისში ის თითქოსდა სიბრტყეზე მისრიალებს, მაგრამ რაც უფრო შორს მიცურავს, მით უფრო მაღლა-მაღლა იწევს, სანამ ატმოსფეროს იმ თხელ ნისლში არ ჩაიკარგება, სამყაროს დანარჩენ ნაწილს რომ ფარავს“. მეორეც, ეს ატმოსფერო ძალზე მკვრივი იყო და დღედაღამ ფოსფორესცირებდა, ასე რომ, აქ არავის არასდროს ენახა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, ხოლო მზის დაკვირვებათა შემთხვევები ქრონიკებში იყო ჩაწერილი და საფუძვლად ედებოდა სამყაროს სინათლის თეორიის შექმნის აურაცხელ ცდას.

მაქსიმი მიხვდა, რომ გიგანტურ ხაფანგში იმყოფება, რომ კონტაქტის დამყარებას მხოლოდ მაშინ შეძლებს, როცა მოახერხებს უკუღმა შეატრიალოს ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ბუნებრივი წარმოდგენები. ჩანდა, ამის გაკეთება აქ უკვე უცდიათ, რასაც ადასტურებდა გავრცელებული წყევლა „მასარაკშ“, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავდა „სამყარო უკუღმა“. გარდა ამისა, გაიმ გააცნო სუფთა აბსტრაქტული მათემატიკური თეორია, რომელიც სრულიად განსხვავებულად განიხილავდა სამყაროს. ეს თეორია ჯერ კიდევ ძველ დროში წარმოიშვა, ოდესღაც მას სდევნიდა ოფიციალური რელიგია, ჰყავდა თავისი წამებულნი, წარსული საუკუნის გენიალურ მათემატიკოსთა ნაშრომებმა მას მათემატიკური სიმწყობრე შესძინა, მაგრამ ისევე სუფთა აბსტრაქტული დარჩა, თუმცა როგორც აბსტრაქტული თეორიების უმრავლესობამ, ბოლოს და ბოლოს პრაქტიკული გამოყენება პოვა. ეს მოხდა სულ ახლახან როცა ზეშორსმსროლელი ნაღმი შეიქმნა.

მაქსიმმა აწონ-დაწონა და ერთმანეთს შეუფარდა ყველაფერი, რაც გაიგო, და მიხვდა, ჯერ ერთი, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე აქ გიჟი უნდა ჰგონებოდათ, და რომ ტყუილად არ ჩაურთავთ მისი მენტოგრამები შიზოიდურ „ჯადოსნურ მოგზაურობაში“. მეორე -მიხვდა, რომ თუ ბეჰემოთთან დაბრუნება არ სურს, დრომდე ენას კბილი უნდა დააჭიროს, რათა არაფერი წამოსცდეს სხვა პლანეტიდან ჩამოსვლის შესახებ. ეს ნიშნავდა, რომ დასახლებული კუნძული მას არ დაეხმარება, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა იქონიოს. რომ ნულ გადამცემის აგება გაურკვეველი დროით გადაიდო, თვითონ

კი, ეტყობა, დიდი ხნით ჩარჩა აქ და, შესაძლოა - მასარაკშ! - სამუდამოდაც სიტუაცია იმდენად უიმედო იყო, რომ ამ ამბავმა ლამის ნიადაგი გამოაცალა ფეხქვეშ, მაგრამ კბილი კბილს დააჭირა და საკუთარი თავი აიძულა ლოგიკურად ემსჯელა. დედას ცუდი დღე დაადგება, დიდი ელდა ექნება გადასატანი და მარტო ეს აზრი დაუკარგავს კაცს ლოგიკური მსჯელობის ყოველგვარ სურვილს. „ღმერთმა დაწყევლოს ეს უნიჭო, ჩაკეტილი სამყარო!... მაგრამ მე მხოლოდ ორი გამოსავალი მაქვს: ან ვიდარდო შეუძლებელზე და იდაყვები დავიკბინო უძლურობისაგან, ან თავს მოვერიო და ვიცხოვრო. ვიცხოვრო ნამდვილად, როგორც მუდამ მინდოდა, - მიყვარდეს მეგობრები, ვცდილობდე მივაღწიო მიზანს, ვიბრძოდე, ვიმარჯვებდე, ვმარცხდებოდე, მუჯლუგუნებს ვიღებდე, ხურდას ვუბრუნებდე - ყველაფერი, რაც გნებავთ, ოღონდ ხელები არ ვიმტვრიო სასოწარკვეთილებისაგან...“ სამყაროს აგებულების შესახებ ლაპარაკი შეწყვიტა და გაის დასახლებული კუნძულის ისტორიასა და სოციალურ წყობილებაზე დაუწყო გამოკითხვა.

ისტორიის საქმე კარგად ვერ იყო. გაის მასზე მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები ჰქონდა, სერიოზული წიგნები კი არ აღმოაჩნდა. ასეთი წიგნები არც საქალაქო ბიბლიოთეკაში იყო. მაგრამ, ადამიანი ადვილად მიხვდებოდა, რომ ქვეყანა, რომელმაც მაქსიმი შეიფარა, წინათ ბევრად ვრცელი იყო და ზღვისგაღმა დიდძალ კოლონიებს ფლობდა, რომელთა გამოც ბოლოს და ბოლოს აწ დავიწყებულ მეზობელ სახელმწიფოებთან დამანგრეველი ომი ატყდა. ამ ომმა მთელი მსოფლიო მოიცვა, მილიონები შეიწირა, დაინგრა ათასობით ქალაქი, ათობით დიდი და მცირე სახელმწიფო აღიგავა პირისაგან მიწისა, მსოფლიო და ქვეყანა ქაოსმა მოიცვა. დადგა სასტიკი შიმშილისა და ეპიდემიების დღეები. ერთი მუჭა ექსპლოატატორები ბირთვული ჭურვებით ახშობდნენ ხალხთა აჯანყებებს, ქვეყანა და მსოფლიო დაღუპვისაკენ მიექანებოდნენ. მდგომარეობა იხსნეს ცეცხლოვანმა შემოქმედებმა. ეს იყო გენერალური შტაბის ახალგაზრდა ოფიცრების ანონიმური ჯგუფი, რომელიც ძალიან უკმაყოფილო იყო იმით, რომ ატომურ სასაკლაოზე გზავნიდნენ, და ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს პუტჩი მოაწყო და ხელთ იგდო ძალაუფლება, თუმცა მხოლოდ ორი დივიზიისაგან შედგებოდა. მას შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად მოწესრიგდა, და ომი როგორღაც თავისთავად ჩაიღველფა, თუმცა არავინ არავის დაზავებია.

მაქსიმს ესმოდა, რომ ქვეყნის პოლიტიკური წყობილება სულაც არ იყო იდეალური, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ცეცხლოვან შემოქმედთა პოპულარობა ძალზე დიდია, თანაც საზოგადოების ყველა ფენაში. ამ პოპულარობის ეკონომიკურ საფუძველს მაქსიმი ვერ ჩასწვდებოდა, მაგრამ, ეტყობოდა, საქმე ის იყო, რომ სამხედრო ზედა ფენამ შეძლო დაეცხრო მრეწველთა მადა, რითაც პოპულარობა მოიპოვა მუშებს შორის და დაიმორჩილა ისინი, ამით კი პოპულარული გახდა მრეწველთა შორის. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდები იყო. მაგალითად, გაის საერთოდ უცნაურად ეჩვენებოდა საკითხის ამგვარად დასმა. მისთვის არ არსებობდა ისეთი ცნება, როგორიცაა „კლასი“, და აზრზე არ იყო სოციალურ ჯგუფებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა შესახებ.

ქვეყნის საგარეო მდგომარეობა კვლავ ძალზე დაძაბული იყო. მის ჩრდილოეთით მდებარეობდა ორი დიდი სახელმწიფო - ხონტი და პანდეა, - ყოფილი პროვინციები, თუ კოლონიები. ამ ქვეყნებზე არავინ არაფერი უწყოდა, მაგრამ ყველასთვის აშკარა იყო, რომ ორივე ქვეყანას უაღრესად აგრესიული ზრახვები აქვს, განუწყვეტლივ გზავნიან დივერსანტებსა და ჯაშუშებს, საზღვრებზე ინციდენტებს აწყობენ და ომისათვის ემზადებიან. გაიმ არ იცოდა ამ ომის მიზნები, თუმცა არც არასდროს დაინტერესებულა ამ საკითხით. ჩრდილოეთით მტრები იყვნენ, აგენტურას სამტრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული და ეს მისთვის სავსებით საკმარისი იყო.

სამხრეთით, საზღვრისპირა ტყეებს მიღმა გადაჭიმულიყო ბირთვული აფეთქებებით გადამწვარი უდაბნო. იგი იმ ქვეყნების ადგილზე წარმოიშვა, სამხედრო მოქმედებაში ყველაზე აქტიურად რომ მონაწილეობდნენ. არც ის იცოდა ვინმემ თუ რა ხდება ამ მილიონობით კვადრატულ კილომეტრებზე და არც არავის აინტერესებდა ეს. სამხრეთ საზღვრებს განუწყვეტლივ უტევდნენ ნახევრადველური გადაგვარებულების უშველებელი ურდოები, რომლებითაც სავსე იყო ტყეები მდინარე ცისფერი გველის მიღმა. სამხრეთის საზღვრების პრობლემა ლამის უმნიშვნელოვანესად ითვლებოდა. იქ ძალიან ჭირდა და ამიტომ სწორედ იქ იყრიდნენ თავს საბრძოლო ლეგიონის რჩეული ნაწილები. გაიმ ამ ნაწილებში სამი წელი იმსახურა და წარმოუდგენელ ამბებს ყვებოდა.

უდაბნოს სამხრეთით, პლანეტის ერთადერთი მატერიკის მეორე ბოლოშიც შეიძლებოდა ყოფილიყო შემორჩენილი რაღაც სახელმწიფოები, მაგრამ მათ-

გან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. სამაგიეროდ, მუდამ და არასასიამოვნოდ მოქმედებდა ეგრეთ წოდებული კუნძულის იმპერია, რომელსაც ანტარქტიკული ზონის სამი მძლავრი არქიპელაგი ეკავა. მსოფლიო ოკეანე მას ეკუთვნოდა. რადიოაქტიურ წყლებს სერავდა გამანადგურებელი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის შესაბამისად აღჭურვილი წყალქვეშა ნავების ვეებერთელა ფლოტი, რომლებზეც სპეციალურად გამოწრთობილი ბანდები დაცურავდნენ. მოჩვენებებივით შემაძრწუნებელი თეთრი სუბმარინები შიშის ზარს სცემდნენ საზღვრისპირა რაიონებს, უმიზეზოდ უშენდნენ. თეთრ საფრთხესაც ლეგიონი იგერიებდა.

საყოველთაო ქაოსისა და ნგრევის სურათმა შეაძრწუნა მაქსიმი. მის წინაშე იყო პლანეტა - სამარხი, პლანეტა, რომელზეც ძლივ-ძლივობით ბჟუტავდა გონივრული სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მზად იყო ნებისმიერ დროს ჩაექრო თავისი თავი.

მაქსიმი უსმენდა რადას, რომელიც მშვიდად უყვებოდა საშინელ ამბებს, თუ როგორ მიიღო დედამ მამის დაღუპვის ცნობა, მამამ, ეპიდემიოლოგმა ექიმმა უარი თქვა დაეტოვებინა მოწამლული რაიონი, ხოლო სახელმწიფოს იმ წლებში არც დრო ჰქონდა, არც შესაძლებლობა რეგულარული საშუალებებით ებრძოლა ეპიდემიის წინააღმდეგ, და რაიონზე უბრალოდ ბომბი ჩამოაგდეს; რომ დედის სიკვდილის შემდეგ რადა დღე-ღამეში თვრამეტი საათი მუშაობდა გადასაგზავნ პუნქტში ჭურჭლის მრეცხავად, პატარა გაისა და სრულიად უმწეო ძია კაანისთვის ლუკმა პური რომ ეშოვნა, შემდეგ დამლაგებლად მოეწყო სპეკულანტების მდიდრულ ბუნაგში, შემდეგ გამოდიოდა „ქალთა სირბილში ტოტალიზატორით“, შემდეგ ციხეში იჯდა, მართალია, ცოტა ხნით, მაგრამ უმუშევარი დარჩა და რამდენიმე თვე მათხოვრობდა…

ოდესღაც დიდი მეცნიერი ძია კაანი კი ყვებოდა, თუ როგორ გააუქმეს ომის პირველსავე წელს მეცნიერებათა აკადემია და შეადგინეს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის აკადემიის ბატალიონი, როგორ შეიშალა და თავი ჩამოიხრჩო ევოლუციური თეორიის შემქმნელმა; როგორ ხარშავდნენ შეჭამადს კუტკალიების და სარეველა ბალახისაგან; როგორ დაარბია მშიერმა ბრბომ ზოოლოგიური მუზეუმი და საჭმელად ხელთ იგდო დასპირტული პრეპარატები…

მაქსიმი უსმენდა გაის, რომელიც მიამიტურად უყვებოდა ბალისტიკური

თავდაცვის კოშკების მშენებლობაზე, უამბობდა, როგორ მოიპარებიან ღამ-ღამობით კაციჭამიები სამშენებლო მოედნებზე და იტაცებენ აღსაზრდელებსა და გუშაგ ლეგიონერებს; უხმო მოჩვენებებივით აწყობენ თავდასხმას ულმ-ობელი ვამპირები, ნახევრადადამიანები, ნახევრადმხეცები, ნახევრადძაღლები; უსმენდა, რა აღტაცებით აქებდა ის ბალისტსაწინააღმდეგო თავდაცვის სის-ტემას, ომის უკანასკნელ წლებში წარმოუდგენელ გაჭირვებაში რომ იქმნებო-და. მან არსებითად შეწყვიტა სამხედრო მოქმედება მას შემდეგ, რაც ქვეყანა დაიცვა ჰაერიდან, მაგრამ ახლაც ჩრდილოეთის აგრესიისაგან თავდაცვის ერ-თადერთი გარანტიაა... ეს არამზადები კი თავდასხმებს აწყობენ ამრეკლავ კოშკებზე, - სინდისგარეცხილები, ხონტისა და პანდეას ბინძურ ფულად ქა-ლებისა და ბავშვების მკვლელებად მოსყიდულები, გადაგვარებულები, ყო-ველგვარ ვირთხაჭერიაზე უარესი ნაძირალები... გაის ნერვული სახე სიძულ-ვილით მოეღრიცა. „აქ არის, რაც არის, - ამბობდა ის და მაგიდაზე მუშტებს უბრახუნებდა, - და ამიტომაც შევედი ლეგიონში, არც ქარხანაში წავსულვარ, არც ყანაში, არც კანტორაში, მებრძოლ ლეგიონში შევედი, რომელიც ახლა ყველაფრის მხსნელია...“

მაქსიმი ხარბად უსმენდა, როგორც საშინელ, წარმოუდგენელ ზღაპარს, მით უფრო საშინელსა და შეუძლებელს, რომ ყოველივე ეს სინამდვილე იყო, რომ აქედან ბევრი რამ ახლაც დარჩენილიყო, ხოლო ყველაზე საშინელი და შეუძლებელი ყოველ წუთს შეიძლებოდა განმეორებულიყო. საკუთარ გასა-ჭირზე ფიქრი სასაცილო და სამარცხვინო ხდებოდა, თამაშობად მოეჩვენა სა-კუთარი პრობლემები - რა კონტაქტიო, რა ნულ-გადამცემი, რა განცდები...

სატვირთო მანქანებმა სწრაფად გადაუხვიეს ვიწრო ქუჩაში, სადაც მრავალ-სართულიანი აგურის სახლები იდგა და პანდიმ გამოაცხადა: „ჩამოვედით“. ტროტუარზე ფარების სინათლით დაფეთებული გამვლელები კედელს აეკ-ვრნენ. სატვირთო მანქანა გაჩერდა, კაბინაზე გრძელი ტელესკოპური ანტენა აღიმართა.

- გამოდით! - ერთხმად იღრიალეს მეორე და მესამე სექციების მეთაურებმა და მანქანებიდან ლეგიონერები გადმოცვივდნენ.

- პირველი სექცია ადგილზე დარჩეს! - ბრძანა გაიმ.

წამოსახტომად გამზადებული პანდი და მაქსიმი კვლავ დასხდნენ.

- სამ-სამად დაეწყვეთ! - გაჰყვიროდნენ კაპრალები ტროტუარზე. - მეორე

სექციავ, წინ! მესამე სექციავ, მომყევი! წინ, მაკ!

ჩაიგრუხუნეს დაჭედილმა ჩექმებმა, გაისმა ვიღაცის აღტაცებული შეძახილი:

- შეხეთ, ბატონებო, მებრძოლი ლეგიონი!

- გაუმარჯოს მებრძოლ ლეგიონს!

- ვაშა! - შესძახეს გაფითრებულმა ადამიანებმა, რომლებიც კედლებს ეკვროდნენ, რათა ხელი არ შეეშალათ. ეს გამვლელები თითქოს ელოდნენ აქ ლეგიონერებს და ახლა, როცა მათ ნახვას მოესწრნენ, ისე იყვნენ აღტაცებული, თითქოს საუკეთესო მეგობრებს შეხვდნენო.

მაქსიმის მარჯვნივ მჯდომმა კანდიდატმა ზოიზამ, ჯერ სულ ბავშვმა, რომელიც ლატანივით აწოწილიყო და ლოყებზე თეთრი ღინღლი ამოსვლოდა, წვეტიანი იდაყვი ფერდში ჰკრა მაქსიმს და გახარებულმა თვალი ჩაუკრა. მაქსიმმა გაუღიმა. სექციები უკვე, სადარბაზოებში მიიმალნენ, კარებთან მხოლოდ კაპრალები იდგნენ, იდგნენ მტკიცედ, საიმედოდ, გვერდზე მოქცეულ ბერეტებქვეშ სახეები გაშეშებოდათ. კაბინის კარმა გაიჯახუნა და როტმისტრმა ჩაჩუმ დაიჩხავლა:

- პირველო სექციავ, გამოდი და დაეწყვე!

მაქსიმი მანქანიდან ჩამოხტა. როცა სექცია დაეწყო, როტმისტრმა ხელის მოძრაობით შეაჩერა გაი, რომელმაც პატაკისათვის, მოირბინა, მწყობრს მიუახლოვდა და ბრძანა:

- ზუჩები დაიხურეთ!

რიგითები თითქოს ელოდნენო ამ ბრძანებას, კანდიდატები კი ოდნავ შეყოვნდნენ. როტმისტრი, რომელიც მოუთმენლად აბაკუნებდა ქუსლს, დაელოდა, სანამ ზოიზა ნიკაპქვეშა ღვედს გაისწორებდა და ბრძანა „მარცხნისაკენ“ და „სირბილით წინ“. თვითონაც გაიქცა, ცდილობდა მარდად ერბინა, დამახინჯებულ ხელს მაგრად იქნევდა. მან სექცია ჭასავით ვიწრო და პირქუში ეზოს ბნელ თაღქვეშ შეიყვანა, ისეთსავე პირქუშ და აყროლებულ მეორე თაღქვეშ შეუხვია და მქრქალად განათებული გაშვლეპილი კარის წინ გაჩერდა.

- ყურადღება! - დაიჩხავლა მან. - პირველი სამეული და კანდიდატი სიმი ჩემთან წამოვლენ. დანარჩენები აქ დარჩებიან. კაპრალო გაალ, სასტვენის ხმას რომ გაიგონებ, სამეული ჩემთან ამოიყვანე მეოთხე სართულზე. არავინ გამო-

უშვა, ცოცხლად შეიპყარით, ესროლეთ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. პირველო სამეულო და კანდიდატო სიმ, მომყევით!

ამ სიტყვებით მან ხელი ჰკრა გაშვლეპილ კარს და გაქრა. მაქ-სიმმა პანდის გაუსწრო და როტმისტრს ფეხდაფეხ მიჰყვა. კარი რომ შეაღო, რკინის მოაჯირიან ქვის ვიწრო მიხვეულ-მოხვეულ ბნელ კიბეზე აღმოჩნდა. როტმისტრი სამ-სამ საფეხურზე ხტომით მარდად არბოდა მაღლა. მაქსიმი დაეწია და დაინახა, რომ მას ხელში პისტოლეტი ეკავა. მაშინ მანაც შეუჩერებლად მოიხსნა კისერზე გადაკიდებული ავტომატი, წამით თითქოს გულის რევა იგრძნო იმის გაფიქრებაზე, რომ ახლა, შესაძლოა, იძულებული გახდეს ადამიანებს ესროლოს, მაგრამ მაშინვე უკუაგდო ეს აზრი - ესენი ხომ ადამიანები კი არა, პირუტყვები იყვნენ, ულვაშა ვირთხაჭერიაზე, მაიმუნებზე უარესები. ამ აზრს განუმტკიცებდა საზიზღარი ჭენჭყო, ფეხქვეშ რომ გრძნობდა, მბჟუტავი სინათლე, გალუმპული კედლები.

მეორე სართული. სამზარეულოს ოხშივარი, მოხუცი ქალის შეშინებული სახე კარის ჭუჭრუტანაში. დამფრთხალი კატის კნავილი. მესამე სართული. ვიღაც ჩერჩეტს შუა მოედანზე ნარეცხით სავსე ვედრო დაუტოვებია., როტმისტრი ვედროს ეჯახება, ნარეცხი წყალი კიბის მალში იღვრება. „მასარაკშ!“... - იღრინება ქვევიდან პანდი. ქალიშვილი და ჭაბუკი ერთმანეთს გადახვეულები ბნელ კუთხეში მიჭუჭკულან, სახეზე შიში და სიხარული აწერიათ. „ძირს ჩადით!“ - შეუჩერებლად ჩხავის როტმისტრი. მეოთხე სართული. ზეთის საღებავჩამოცლილი საზიზღარი ყავისფერი კარი, თუნუქის ფირფიტა წარწერით: „გობი. კბილის ექიმი. მიღება ნებისმიერ დროს“. კარს იქით ვიღაც გაბმით ყვირის. როტმისტრი ჩერდება და ხრიალებს: „ბოქლომი!“ შავ სახეზე ოფლი ჩამოსდის მაქსიმს არაფერი ესმის. პანდი ეწევა და ხელს ჰკრავს, ავტომატის ლულას სახელურქვეშ ადებს კარს და ისვრის. აქეთ-იქით ცვივა, ნაპერწკლები და ნაფოტები. მაშინვე, თითქოს საპასუხოდ, კარს მიღმა ყრუდ ისმის გაბმული ყვირილი და სროლა, კვლავ ტკაცანით: ცვივა ნაფოტები, რაღაც ცხელმა და მკვრივმა საზარელი წუილით გადაუქროლა თავზე. როტმისტრი ფართოდ აღებს კარს. ოთახის სიბნელეში გამოსროლილი ცეცხლის შუქში იკვეთება კვამლის ბოლქვები „მომყევით!“ - ხრიალებს როტმისტრი და თავით აპობს ბუღს. მაქსიმი და პანდი უკან მიჰყვებიან, ვიწრო კარს მიჭეჭყილი პანდი კვნესის, დახუთული დერეფანი, თოფის წამლის კვამლი. საფრთხე მარ-

ცხნიდან. მაქსიმს ხელში თოფი ხვდება. ცხელ ტარს წინ და მაღლა სწევს. ხმადაბლა, მაგრამ ამაზრზენად მკაფიოდ ტკაცუნობს ვიღაცის ამოვარდნილი სახსარი, დიდი რბილი სხეული შეშდება და დუნედ ეცემა. წინ, კვამლში ისმის როტმისტრის ჩხავილი: „არ ესროლოთ! ცოცხლად შეიპყარით!“ მაქსიმი ავტომატს აგდებს და დიდ განათებულ ოთახში შერბის. აქ ძალიან ბევრი წიგნი და სურათია და კაციშვილი არ არის, რომ ესროლო. იატაკზე ორი კაცი იკრუნჩხება, ერთ-ერთი მათგანი განუწყვეტლივ ყვირის, უკვე ხმა ჩახლეჩია, მაგრამ ყვირილს მაინც განაგრძობს. სავარძელში თავი გადაუგდია და ისე წევს ძალზე თეთრი, თითქმის გამჭვირვალე გულწასული ქალი. ოთახი ტკივილს აუვსია. როტმისტრი თავს წადგომია მყვირალ კაცს და თვალებდაცეცებული პისტოლეტს ბუდეში მალავს. პანდი ოთახში შემორბის, მაქსიმს ეჯახება. მის უკან კი ლეგიონერები მოათრევენ ზორბა კაცს, რომელიც ისროდა სველი და აღელვებული კანდიდატი ზოიზა პირქუშად აწვდის მაქსიმს ძირს დაგდებულ ავტომატს. როტმისტრი საშინელ შავ სახეს მიაპყრობს მათკენ: „კიდევ ერთი უნდა ყოფილიყო!“ - ჩხავის და იმავე წუთს ძირს ვარდება ლურჯი ფარდა, რაფიდან მძიმედ ხტება აწოწილი გამხდარი კაცი, რომელსაც თეთრი დალაქავებული ხალათი აცვია. ის ბრმასავით მოლასლასებს როტმისტრისაკენ, ორ ვეებერთელა პისტოლეტს უმიზნებს. „ვაი!“ - ყვირის ზოიზა...

მაქსიმი გვერდულად იდგა და შემობრუნება დააგვიანდა. მერე კი სწრაფად გადახტა, მაგრამ კაცმა ერთხელ მაინც მოასწრო გასროლა. მაქსიმს სახე შეეტრუსა. თოფის წამლის ჭვარტლმა პირი გამოუვსო, თითები კი უკვე ჩაევლო თეთრხალათიანის მაჯებისათვის და პისტოლეტები ხმაურით დააყრევინა იატაკზე. კაცი მუხლებზე დაეშვა, თავი ჩაქინდრა და, როცა მაქსიმმა ხელი უშვა, რბილად დაემხო პირქვე.

- აბა-აბა-აბა, - თქვა როტმისტრმა გაუგებარი ინტონაციით. - ესეც აქ დააწვინეთ, - უბრძანა პანდის. - შენ კი, - უთხრა ფერწასულ და სველ ზოიზას, - ძირს ჩაირბინე და სექციების მეთაურებს აცნობე, სადა ვარ. საქმის ვითარება მომახსენონ. - ზოიზამ ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და კარში გავარდა. - ჰო! გაალს გადაეცი, ამოვიდეს... შეწყვიტე ბღავილი, ოხერო! - უყვირა მკვნესარე კაცს და ფერდში წიხლი უთავაზა. - ე, რა აზრი აქვს! მთხლეა, ნაგავი... გაჩხრიკეთ! - უბრძანა პანდის. - და ყველანი მწკრივად დააწვინეთ. აქვე, იატაკ-

ზე. ეს ქალიც, ერთადერთ სავარძელში რომ გაშხლართულა...

მაქსიმი ქალთან მივიდა, ფრთხილად ასწია და საწოლზე გადაიტანა. შეძრწუნებული იყო. ამას კი აღარ მოელოდა. თვითონვე არ იცოდა, რას მოელოდა - ყვითელ, სიძულვილით დაკრეჭილ ეშვებს, გაბოროტებულ ღმუილს, სასტიკ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებას?... ვერაფრისთვის შეედარებინა, რასაც გრძნობდა, მაგრამ რატომღაც გაახსენდა, როგორ დაჭრა ერთხელ ტახორგი და ეს ვეებერთელა, მრისხანე შესახედაობისა და როგორც ამბობდნენ, ულმობელი ცხოველი ხერხემალგადამტვრეული უზარმაზარ თხრილში ჩავარდნილი ხმადაბლა, საწყალობლად რომ ტიროდა და თითქმის ადამიანივით ლუღლუღებდა რაღაცას სასიკვდილო სევდით შეპყრობილი...

- კანდიდატო სიმ! - იღრიალა როტმისტრმა, - მე ვბრძანე - იატაკზე-მეთქი!

ის მაქსიმს მისჩერებოდა თავისი საშინელი გამჭვირვალე თვალებით, ტუჩები ისე მოღრეცოდა, თითქოს დაკრუნჩხვიაო, და მაქსიმი მიხვდა: მას არავინ ეკითხებოდა, რა არის სწორი და რა არასწორი. ის ჯერ კიდევ უცხოა, ჯერაც არაფერი იცის მათი სიძულვილისა და სიყვარულის შესახებ... ქალი ასწია და იმ ზორბა კაცის გვერდით დააწვინა, დერეფანში რომ ისროდა. პანდი და მეორე ლეგიონერი აქოშინებულნი გულმოდგინედ უჩხრეკდნენ ჯიბეებს დაპატიმრებულთ. ისინი კი უგონოდ იყვნენ. ხუთივე.

როტმისტრი სავარძელში ჩაჯდა, ქუდი მაგიდაზე დააგდო, სიგარეტს მოუკიდა და თითით მოიხმო მაქსიმი მაქსიმმა მარჯვედ შემოჰკრა ქუსლი ქუსლს და მივიდა.

- ავტომატი რატომ დააგდე? - ხმადაბლა ჰკითხა როტმისტრმა.

- თქვენ ბრძანეთ, არ ისროლოთო.

- ბატონო როტმისტრო.

- დიახ. თქვენ ბრძანეთ, არ ისროლოთო, ბატონო როტმისტრო.

თვალებმოჭუტული როტმისტრი კვამლს ჭერში უშვებდა.

- მაშ, მე რომ მებრძანებინა, არ ილაპარაკო-მეთქი, ენას მოიკვნეტდი?

მაქსიმს არაფერი უთქვამს საუბარი არაფრად ეჭაშნიკებოდა, მაგრამ კარგად ახსოვდა გაის რჩევა-დარიგება.

- მამაშენი ვინაა? - ჰკითხა როტმისტრმა.

- მეცნიერი, ბატონო როტმისტრო.

- ცოცხალია?

- დიახ, ბატონო როტმისტრო.

როტმისტრმა პირიდან სიგარეტი გამოიღო და მაქსიმს შეხედა.

- სად არის?

მაქსიმი მიხვდა, რომ წამოროშა. ახლა თავი უნდა დაეძვრინა.

- არ ვიცი, ბატონო როტმისტრო. უფრო სწორად, არ მახსოვს.

- ის კი გახსოვს, რომ მეცნიერია... კიდევ რა გახსოვს?

- არ ვიცი, ბატონო როტმისტრო. ბევრი რამ მახსოვს, მაგრამ კაპრალი გაალი ფიქრობს, ეს ცრუ მახსოვრობაა.

დერეფანში აჩქარებული ნაბიჯები გაისმა, ოთახში გაი შემოვიდა და როტმისტრის წინაშე გაიჭიმა.

- ამ ნახევრად ლეშებს მიხედე, კაპრალო, - თქვა როტმისტრმა. - ხელხუნდები სამყოფი გაქვს?

გაიმ გადახედა დაპატიმრებულთ.

- თუ ნებას მომცემთ, ბატონო როტმისტრო, ერთ წყვილს მეორე სექციას გამოვართმევ.

- იმოქმედე.

გაი გავარდა, დერეფანში კი კვლავ გაისმა ჩექმების ბრახუნი, სექციების მეთაურები მოვიდნენ და მოახსენეს: ოპერაცია წარმატებით მიმდინარეობს, ორი საეჭვო პირი უკვე აყვანილია, მოსახლეობა, როგორც ყოველთვის, აქტიურად გვეხმარება, როტმისტრმა ბრძანა მალე მორჩითო, ხოლო როგორც კი მორჩებით, შტაბში გადაეცით პაროლი „ტამბა“. სექციების მეთაურები რომ გავიდნენ, მან ახალ სიგარეტს მოუკიდა და ერთხანს დუმდა, უყურებდა, როგორ იღებენ ლეგიონერები თაროებიდან წიგნებს, ფურცლავენ და საწოლზე ყრიან.

- პანდი, - თქვა მან ხმადაბლა, - სურათებს მიხედე. ოღონდ ამას ფრთხილად მოეპყარი, არ გააფუჭო, ჩემთვის მინდა... - შემდეგ კვლავ მიუბრუნდა მაქსიმს. - როგორ მოგწონს? - ჰკითხა.

მაქსიმმა შეხედა. სურათზე გამოსახული იყო ზღვის ნაპირი, აზვირთებული წყლის სივრცე უჰორიზონტოდ, ბინდბუნდი და ქალი, რომელიც ზღვიდან ამოდის. ქარია. გრილა. ქალს სცივა.

- კარგი სურათია, ბატონო როტმისტრო, - თქვა მაქსიმმა.

- ადგილმდებარეობას თუ ცნობ?

- არა ეს ზღვა არასოდეს მინახავს.

- აბა რომელი გინახავს?

- სულ სხვა, ბატონო როტმისტრო. მაგრამ ეს ცრუ მეხსიერებაა.

- სისულელეა. სწორედ ეს გინახავს. ოღონდ ნაპირიდან კი არ უყურებდი, არამედ ბოგურიდან და თეთრ გემბანზე იდექი, უკან კი, კიჩოზე კიდევ ერთი ბოგურა იყო, ოღონდ უფრო დაბლა. ხოლო ნაპირზე ეს დედაკაცი კი არა, ტანკი იდგა, შენ კი კოშკის ძირს უმიზნებდი... შენ, ლეკვო, იცი რას ნიშნავს კოშკის ძირში ლუგვის მოხვედრა? მასარაკშ... - დაისისინა და ნამწვი მაგიდას მიაჭყლიტა.

- არ მესმის, - თქვა მაქსიმმა ცივად. - ცხოვრებაში არასდროს არსად არაფერი დამიმიზნებია.

- საიდან იცი ეს? შენ ხომ არაფერი გახსოვს, კანდიდატო სიმ!

- მახსოვს, რომ არ დამიმიზნებია.

- ბატონო როტმისტრო!

- მახსოვს, რომ არ დამიმიზნებია, ბატონო როტმისტრო. და ვერ გამიგია, რაზე მელაპარაკებით.

შემოვიდა გაი და ორი კანდიდატი შემოჰყვა. ისინი დაკავებულებს მივარდნენ და მძიმე ხელხუნდები შეაბეს.

- ესენიც ხომ ადამიანები არიან, - თქვა უეცრად როტმისტრმა, - ჰყავთ ცოლ-შვილი. ვიღაც უყვარდათ, ვიღაცას უყვარდა...

აშკარა დაცინვით ლაპარაკობდა, მაგრამ მაქსიმმა თქვა ის, რასაც ფიქრობდა

- დიახ, ბატონო როტმისტრო.

- არ მოელოდი?

- დიახ, ბატონო როტმისტრო, მე სხვა რაღაცას მოველოდი, - მაქსიმი ამჩნევდა, რომ გაი შიშით უყურებდა, მაგრამ სიცრუე უკვე გულს ურევდა, და დასძინა: - მართლა გადაგვარებულები მეგონა, შიშველი დაწინწკლული პირუტყვების მსგავსნი.

- შიშველო დაწინწკლულო სულელო, - დამაჯერებლად თქვა როტმისტრმა - სოფლელო. ტყეში ხომ არ გგონია თავი... ესენი აქ ადამიანებს ჰგვანან. კეთილ საყვარელ ადამიანებს, რომელთაც ძლიერი მღელვარებისაგან საშინლად სტკივათ თავი. შენ კი არ გტკივა თავი, როცა ღელავ? - ჰკითხა მო-

ულოდნელად.

- მე არასდროს არაფერი მტკივა, ბატონო როტმისტრო, - უპასუხა მაქსიმმა - თქვენ?

- რა-ა?

- ისეთი გაღიზიანებული კილო გაქვთ, - თქვა მაქსიმმა, - რომ მეგონა...

- ბატონო როტმისტრო! - რაღაც განწირული ხმით შესძახა გაიმ. - ნება მიბოძეთ მოგახსენოთ... დაპატიმრებულები გონს მოვიდნენ.

როტმისტრმა შეხედა და ჩაიცინა.

- ნუ ღელავ, კაპრალო. დღეს შენი მეგობარი ისე მოიქცა, როგორც ნამდვილ ლეგიონერს შეჰფერის. ის რომ არა, როტმისტრი ჩაჩუ ახლა თავგახვრეტილი ეგდებოდა... - მან მესამე სიგარეტს მოუკიდა, ჭერს ახედა და კვამლის სქელი ნაკადი ამოუშვა. - კარგი ყნოსვა გქონია, კაპრალო. მე თუნდაც ახლა გადავიყვანდი ამ ვაჟბატონს ნამდვილ რიგითად... მასარაკშ, ის კი არა, ოფიცრადაც დავაწინაურებდი! ბრიგადირის ჩვევები აქვს, ძალიან უყვარს ოფიცრებისათვის შეკითხვების მიცემა... მაგრამ, ახლა კარგად მესმის შენი, კაპრალო. შენი პატაკი სრულიად საფუძვლიანი იყო. ასე რომ... ჯერ დავიცადოთ მისი გადაყვანა... - როტმისტრი ადგა, მაგიდას მძიმე ნაბიჯებით შემოუარა და მაქსიმის წინ გაჩერდა, - ჯერ ნამდვილ რიგითადაც ნუ გადავიყვანთ. კარგი მებრძოლია, მაგრამ ჯერაც ძუძუმწოვარაა... აღვზარდოთ... ყურადღება! - იღრიალა უეცრად. - კაპრალო გაალ, დაპატიმრებულები გაიყვანეთ, რიგითო პანდი და კანდიდატო სიმ, წამოიღეთ ჩემი სურათი და ყველა ქაღალდი ჩემს მანქანაში ჩადევით!

ამ სიტყვებით შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა. გაიმ საყვედურით შეხედა მაქსიმს, მაგრამ არაფერი უთქვამს. ლეგიონერები პანღურითა და ცემით აყენებდნენ დაკავებულებს და კარისაკენ მიჰყავდათ, დაკავებულები არ ეწინააღმდეგებოდნენ. ლამის წაქცეულიყვნენ, ფეხები ეკეცებოდათ. ზორბა კაცი, დერეფანში რომ ისროდა, დროდადრო ხმამაღლა კვნესოდა და ჩურჩულით იგინებოდა. ქალი უხმოდ აცმაცუნებდა ტუჩებს. მას უცნაურად უელავდა თვალები.

- ეი, მაკ, - თქვა პანდიმ, - ეგერ საწოლიდან საბანი აიღე, წიგნები გაახვიე შიგ. თუ არ გეყოფა, ზეწარიც მიაყოლე. დაალაგებ თუ არა, ყველაფერი ძირს ჩაათრიე, მე კი სურათს წავიღებ... ავტომატი არ დაგავიწყდეს, შე სულელო!

რა გგონია, რისთვის გადაგეკიდა ბატონი როტმისტრი? ავტომატი რომ დააგდე. სად ნახულა იარაღის დაგდება? და ისიც ბრძოლაში... ეჰ, შენ რა გითხარი!...

- მორჩი ლაპარაკს, პანდი, - ბრაზიანად თქვა გაიმ. - სურათი აიღე და წადი.

კარებში მაქსიმს მიუბრუნდა, შუბლზე თითი მიიკაკუნა და გაუჩინარდა. ისმოდა, როგორ გაჰყვიროდა კიბეზე ჩამავალი პანდი „დაშოშმინდი, დედიკოს“. მაქსიმმა ამოიოხრა, ავტომატი მაგიდაზე დადო და საწოლზე და იატაკზე გროვად დაყრილ წიგნებთან მივიდა. უცბად გაუელვა, რომ აქ ბიბლიოთეკის გარდა არსად ენახა ამდენი წიგნი, რა თქმა უნდა, წიგნის მაღაზიებშიც მეტი წიგნი იყო, ოღონდ მხოლოდ რაოდენობით იყო მეტი და არა სახელწოდებებით.

ეს იყო ძველი, ფურცლებშეყვითლებული წიგნები. ზოგიერთი ცოტათი შეტრუსულიყო, ზოგიერთი კი საგრძნობლად რადიოაქტიური აღმოჩნდა, რამაც მაქსიმი გააოცა. დრო არ იყო, კარგად დაეთვალიერებინა ისინი.

მაქსიმმა ორი ფუთა შეკრა, რამდენიმე წამი იდგა და ოთახს ათვალიერებდა. ცარიელი, გადაფერდილი თაროები, მუქი ლაქები იქ, სადაც სურათები ეკიდა, ჩარჩოებიდან ამოგლეჯილი, გათელილი სურათები... და არავითარი ნიშანი კბილის საექიმო ტექნიკისა. ფუთები აიღო და კარისაკენ წავიდა, მაგრამ შემდეგ გაახსენდა და ავტომატის ასაღებად დაბრუნდა. მაგიდაზე მინის ქვეშ ორი ფოტოსურათი იდო. ერთ სურათზე სწორედ იმ გამჭვირვალე ქალს გაოცებისაგან პირდაღებული ოთხი წლის ბიჭუნა ეჯდა მუხლებზე, ქალი კი ახალგაზრდა იყო, კმაყოფილი, ამაყი... მეორე სურათზე - ლამაზი ადგილი მთაში, მუქი, წერწეტა ხეები, ძველებური სანახევროდ დანგრეული კოშკი... მაქსიმმა ავტომატი ზურგზე მოიკიდა და ფუთებთან დაბრუნდა.

მეშვიდე თავი

დილაობით საუზმის შემდეგ ბრიგადა პლაცზე ეწყობოდა, სადაც ბრძანებებს უკითხავდნენ და საწვრთნელად ანაწილებდნენ. თუ საღამოს ამოძახებას არ ჩავთვლით, ეს მაქსიმისათვის ყველაზე მძიმე პროცედურა იყო. ყოველგვარი ბრძანების წაკითხვა მუდამ აღტაცების ნამდვილი პაროქსიზმით მთავრდებოდა. მაქსიმი თავს აიძულებდა ჩაეხშო უნებური ზიზღი ამ მოულოდნელი აღტაცებისადმი, მთელ ბრიგადას რომ ეუფლებოდა, მეთაურით დაწყებული და უკანასკნელი კანდიდატით დამთავრებული: თავის თავს ლანძღავდა უთვისტომოსა და გადამთიელის სკეპტიციზმისათვის. ცდილობდა შთაგონებით აღვსილიყო, გუნებაში იმეორებდა, უნდა ჩავწვდე და განვიმსჭვალოვო, მაგრამ ძალიან უჭირდა.

ბავშვობიდანვე თავისი თავისადმი თავშეკავებულად ირონიული დამოკიდებულების წესებით აღზრდილი, მაღალფარდოვანი სიტყვებისადმი სიძულვილით გამსჭვალული, თითქმის ბრაზობდა თანამწყობრელებზე, გულის სიღრმეში კეთილ, გულუბრყვილო, შესანიშნავ ბიჭებზე, როცა ამა თუ იმ ნამდვილ რიგითთან შეკამათების გამო მავანი კანდიდატის კარცერში სამი დღით ჩასმის ბრძანების მოსმენის შემდეგ უეცრად პირს დააფჩენდნენ ყოველგვარ გულუბრყვილობისა და იუმორის გრძნობას ჰკარგავდნენ და აღტაცებულნი „ვაშას“ გაჰყვიროდნენ, შემდეგ თვალცრემლიანი ომახიანად გააბამდნენ „მებრძოლი ლეგიონის მარშს“ და ორჯერ, სამჯერ, ზოგჯერ კი ოთხჯერაც იმეორებდნენ მას. მათ ბრიგადის მზარეულებიც კი უერთდებოდნენ და ენთუზიაზმით აღსავსენი ჩამჩებისა და დანების გამწარებული ქნევით ბანს აძლევდნენ. მაქსიმს ახსოვდა, რომ ამ სამყაროში სხვებივით უნდა მოქცეულიყო, და ისიც მღეროდა და ცდილობდა დაეკარგა იუმორის გრძნობა, ახერხებდა კიდეც ამას, მაგრამ ეზიზღებოდა ეს, რადგანაც თვითონ არავითარ აღმაფრენას არ განიცდიდა, მხოლოდ უხერხულად გრძნობდა თავს და სხვა არაფერი.

ამჯერად ენთუზიაზმის აფეთქება მოჰყვა ნომერ 127 ბრძანებას ნამდვილი რიგითის დიმბას კაპრალად გადაყვანის შესახებ, ნომერ 128 ბრძანებას ნამდვილი რიგითობის კანდიდატის სიმისათვის ოპერაციის დროს გამოჩენილი სიმამაცის გამო მადლობის გამოცხადების მესახებ და ნომერ 129 ბრძანებას

მეოთხე ასეულის ყაზარმაში რემონტის დაწყების შესახებ. ის იყო ბრიგადის ადიუტანტმა ბრძანების ფურცლები ტყავის პლანშეტში ჩატენა, რომ ბრიგადირმა ქუდი მოიშვლიპა, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და ხრინწიანი ფალცეტით იყვირა: „წინ!... ლეგიონერებო!... ლომგულო ვაჟკაცებო!...“ და წავიდა, და წავიდა... დღეს მაქსიმი განსაკუთრებით უხერხულად გრძნობდა თავს, რადგან დაინახა, რომ როტმისტრ ჩაჩუს შავ ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა. ლეგიონერები კი ხარებივით ბღაოდნენ და ღვედების მასიურ ბალთებზე კონდახების ცემით გამოჰყავდათ ტაქტი. ეს რომ არ ენახა და არ მოესმინა, მაქსიმმა უფრო მაგრად დახუჭა თვალები, გაცხარებული ტახორგივით იბღავლა და მისმა ხმამ დაფარა ყველა ხმა - ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეჩვენებოდა. „წინ, უშიშარნო!...“ - ყვიროდა და უკვე საკუთარი ხმის გარდა აღარაფერი ესმოდა. უაზრო სიტყვებია... ალბათ, რომელიღაც კაპრალმა თუ შეთხზა. ძალიან უნდა გიყვარდეს შენი საქმე, რომ ასეთი სიტყვებით ბრძოლაში მიდიოდე. თვალები გაახილა და დაინახა შავი ფრინველების გუნდი, აფორიაქებულნი უხმოდ რომ დასტრიალებდნენ პლაცს... „ო დუშმანო, შენ ვერ გიხსნის თვით ალმასის ჯავშანი“.

შემდეგ კი ყველაფერი ისევე უეცრად დამთავრდა, როგორც დაიწყო. ბრიგადირმა ამღვრეული თვალები მოავლო მწყობრს, გაახსენდა, სად იმყოფება, და აქვითინებული, გაბზარული ხმით ბრძანა: „ბატონმა ოფიცრებმა ასეულები წვრთნაზე წაიყვანონო!“ ბიჭები თავს აქეთ-იქით აქანცალებდნენ და გაოგნებულად შესცქეროდნენ. ჩანდა, აზრზე არ იყვნენ, და როტმისტრი ჩაჩუ იძულებული გახდა, ორჯერ დაეყვირა: „სმენა!“, სანამ მწკრივები საჭირო სახეს მიიღებდნენ. შემდეგ ასეული ყაზარმაში წაიყვანეს და როტმისტრმა ბრძანა: „პირველი სექცია ბადრაგად ინიშნება. დანარჩენი სექციები განრიგის მიხედვით წვრთნას უნდა შეუდგნენ. და-აიშა-ლენით!“

დაიშალნენ. გაიმ დაამწკრივა თავისი სექცია და საგუშაგოები გაანაწილა. მაქსიმს ნამდვილ რიგით პანდისთან ერთად დასაკითხ კამერაში ერგო გუშაგობა. გაიმ სახელდახელოდ აუხსნა მას, რა ევალებოდა: სმენაზე უნდა იდგეს დაპატიმრებულის მარჯვენა მხარეს, მის ზურგს უკან როგორც კი დაპატიმრებული შეეცდება სკამიდან წამოდგეს - ძალით დასვას უკანვე, დაექვემდებაროს უშუალოდ ბრიგადის მეთაურს, უფროსია რიგითი პანდი... ერთი სიტყვით, პანდის თვალი არ მოაშორო.

- მე შენ არაფრით არ დაგაყენებდი ამ საგუშაგოზე, ეს კანდიდატის საქმე არ არის, მაგრამ ბატონმა როტმისტრმა ბრძანა... ფხიზლად იყავი, მაკ. ბატონი როტმისტრის ვერაფერი გამიგია, ან უნდა რაც შეიძლება მალე დაგაწინაუროს - ძალიან მოეწონე საქმეში; გუშინ როცა სექციების მეთაურებთან ოპერაციას არჩევდა, ბევრს ლაპარაკობდა შენზე და უწყებაშიც გაგგზავნა, - იქნებ გამოწმებს. რატომ - არ ვიცი. იქნებ მე ვარ დამნაშავე და ჩემი პატაკი, იქნებ შენ და შენი ლამაზ-ლამაზი ლაპარაკი... - მზრუნველად ახედ-დახედა მაქსიმს. - მიდი ერთი, კიდევ ერთხელ გაიწმინდე ჩექმები, ქამარი შემოიჭირე და საპარადო ხელთათმანები ჩაიცვი… თუმცა შენ ხომ არა გაქვს, კანდიდატები არ ატარებენ... კარგი, საწყობში გაიქეცი, ოღონდ ცოცხლად, ოცდაათ წუთში გავდივართ.

საწყობში მაქსიმი პანდის წააწყდა, რომელიც გამსკდარი კოკარდის გამოსაცვლელად მოსულიყო.

- ნახე, კაპრალო! - უთხრა პანდიმ საწყობის უფროსს და მაქსიმს მხარზე დაჰკრა ხელი. - გაგიგია? მეცხრე დღეა ჭაბუკი ლეგიონშია და უკვე მადლობა მიიღო. ყაზარმაში ჩემთან ჩაასახლეს... ალბათ თეთრი ხელთათმანებისთვის მოირბინე, არა? კარგი ხელთათმანები მიეცი, კაპრალო, დაიმსახურა. მამაცი ჭაბუკია!

კაპრალი უკმაყოფილოდ აბუზღუნდა, საქონლით გაძეძგილი თაროები გადაქექა, რამდენიმე წყვილი თეთრი ნაქსოვი ხელთათმანი დახლზე დაუყარა მაქსიმს და აგდებულად თქვა:

- მამაცი!... თქვენ აქ ხართ მამაცები, გასავათებულებთან. რა თქმა უნდა, ტკივილისაგან მთელი შიგნეული თუ დაუსკდა კაცს, მიდი და ტომარაში ჩაადე. აქ ბაბუაჩემიც გმირი გახდებოდა. უხელო, უფეხო...

პანდის ეწყინა.

- ბაბუაშენი გონდაკარგული მოკურცხლავდა, - თქვა მან. - ასე ორი პისტოლეტით რომ დახტომოდნენ თავს... მე მეგონა, მორჩა ბატონი როტმისტრის საქმე-მეთქი...

- „მორჩა, მორჩა“, - ბუზღუნებდა კაპრალი. - აი ნახევარი წლის შემდეგ სამხრეთ საზღვარზე გიკრავენ თავს, მაშინ ვნახავ, ვინ მოკურცხლავს გონდაკარგული...

საწყობიდან რომ გავიდნენ, მაქსიმმა რაც შეიძლებოდა მოკრძალებით

ჰკითხა (მოხუც პანდის პატივისცემა უყვარდა).

- ბატონო პანდი, რატომ აქვთ ამ გადაგვარებულებს ასეთი ტკივილები? თანაც ყველას ერთბაშად, როგორ ხდება ეს?

- შიშისაგან, - უპასუხა პანდიმ, რომელმაც მეტი სერიოზულობისათვის ხმას დაუწია. - გადაგვარებულები არიან, გესმის? მეტი უნდა იკითხო, მაკ. არის ასეთი ბროშურა: „გადაგვარებულები, ვინ არიან ისინი და საიდან მოვიდნენ?“ წაიკითხე, თორემ როგორიც იყავი, ისეთივე სულელი დარჩები. მარტო გულადობით ფონს ვერ გახვალ... - ის გაჩუმდა, - აი, მაგალითად, ჩვენ როცა ვღელავთ ხოლმე, ვბრაზობთ, ან ვთქვათ, გვეშინია - არაფერი გვემართება, იქნებ გავოფლიანდეთ უბრალოდ, ან მუხლები აგვიკანკალდეს. მათ კი არანორმალური, გადაგვარებული ორგანიზმი აქვთ, ბრაზობს ვინმეზე, ან ვთქვათ, შეეშინდა, ან საერთოდ - მაშინვე ძლიერი ტკივილები ეწყება თავსა და მთელ სხეულში. გონს აკარგვინებს. გაიგე? ასეთი თავისებურებით ვცნობთ მათ და, რა თქმა უნდა, ვაკავებთ... აგვყავს... ხელთათმანები კი ძალიან კარგია, ზუსტად საჩემოა. როგორ გგონია?

- ჩემთვის ცოტა ვიწროა, ბატონო პანდი, - შესჩივლა მაქსიმმა. - მოდით, გავცვალოთ: თქვენ ეს აიღეთ, მე კი თქვენი მომეცით, გაწელილი.

პანდი ძალიან კმაყოფილი დარჩა. მაქსიმიც ძალზე ნასიამოვნები იყო. უეცრად ფანკი გაახსენდა, როგორ იკრუნჩხებოდა მანქანაში, გორაობდა ტკივილისაგან... და როგორ წაიყვანეს ყარაულმა ლეგიონერებმა. ოღონდ რისი უნდა შეშინებოდა ფანკს? ან ვისზე უნდა ყოფილიყო ასე გაბრაზებული? ის ხომ სულაც არ ღელავდა, მშვიდად მიჰყავდა მანქანა, უსტვენდა კიდეც, ძალიან უნდოდა რაღაც... ალბათ, მოწევა. უცებ შემობრუნდა, საპატრულო მანქანა შენიშნა, თუ ეს შემდეგ იყო?... ჰო, ძალიან ჩქარობდა, ფურგონს კი გზა გადაეღობა... იქნებ გაბრაზდა? არა, რა სისულელეა? ვინ იცის, რა წამოუვლის ხოლმე ადამიანს... დაკავებით კი ავარიისთვის დააკავეს. საინტერესო კია, სად მივყავდი, ან თვითონ ვინაა? კარგი იქნებოდა, ფანკი მეპოვა...“

მან ჩექმები გაიპრიალა, დიდი სარკის წინ თავი წესრიგში მოიყვანა, კისერზე ავტომატი გადაიკიდა, კვლავ ჩაიხედა სარკეში, ამ დროს კი გაიმ ბრძანა დაეწყვეთო.

გაიმ ყველას კარგად ახედ-დახედა, შეამოწმა, როგორ იცოდნენ თავ-თავიანთი მოვალეობა, და მოსახსენებლად გაიქცა ასეულის კანცელარიაში. სანამ

ის არ იყო, ლეგიონერებმა „საპონი“ ითამაშეს, გაიხსენეს სამი ამბავი ჯარისკაცული ცხოვრებიდან, რომლებიც მაქსიმმა ვერ გაიგო, რადგან ზოგიერთი სპეციფიკურო გამოთქმა არ იცოდა; შემდეგ მაქსიმს გადაეკიდნენ, გვიამბე, საიდან მოხვედი ასეთი ახოვანიო - ეს სექციაში უკვე ჩვეულებრივი ხუმრობა გახდა, და სთხოვეს ერთი-ორი მონეტა დაეგრიხა სამახსოვროდ. შემდეგ კანცელარიიდან როტმისტრი ჩაჩუ გამოვიდა გაისთან ერთად. მანაც კარგად შეათვალიერა ყველა, წავიდა და გაის უთხრა: „კაპრალო, სექცია წამოიყვანე“, და სექცია შტაბში გაემართა.

შტაბში როტმისტრმა ნამდვილ რიგითს პანდისა და კანდიდატ სიმს უბრძანა, გამომყევითო, გაიმ კი დანარჩენები წაიყვანა. მოსაწევი ჯოხების კვამლით გავსებულ ფარდებჩამოფარებულ ფანჯრებიან პატარა ოთახში შევიდნენ. შორს, ბოლოში უზარმაზარი მაგიდა იდგა, გარშემო სამფეხა სკამები ჰქონდა შემოწყობილი, ხოლო კედელზე ჩაშავებული სურათი ეკიდა. რომელზეც ძველებური ბრძოლა იყო ასახული: ცხენები, ყავრის ჯაგარა ჯავშნები, გაშიშვლებული ხერხისმაგვარი ხმლები და ფიწლისებური შუბების მთელი ტევრი. მაგიდიდან ათ ნაბიჯზე, კარის მარჯვენა მხარეს მაქსიმმა ნასვრეტებიანი რკინის სკამი შენიშნა. სკამს ერთადერთი ფეხი იატაკზე ვეებერთელა ჭანჭიკებით ჰქონდა დამაგრებული.

- ადგილებზე დადექით! - ბრძანა როტმისტრმა, წინ გავიდა და მაგიდასთან დაჯდა.

პანდიმ მზრუნველად დააყენა მაქსიმი რკინის სკამის უკან მარჯვენა მხრიდან, თვითონ მარცხნივ დადგა და ჩურჩულით ბრძანა: „სმენა“. ისა და მაქსიმი გაირინდნენ. როტმისტრს ფეხი ფეხზე გადაედო და ისე იჯდა, პაპიროსს ეწეოდა, თან გულგრილად ათვალიერებდა ლეგიონერებს. ძალიან უხალისოდ გამოიყურებოდა, მაგრამ მაქსიმი აშკარად გრძნობდა, რომ როტმისტრი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს მას და სხვას არავის უყურებს.

შემდეგ კარი გაიღო პანდის ზურგს უკან. პანდიმ იმ წამსვე წადგა წინ ორი ნაბიჯი, ერთი ნაბიჯი მარჯვნივ და შემდეგ მარცხნივ შემოტრიალდა. მაქსიმიც წამოიწია, მაგრამ მიხვდა, რომ გზაზე არ იდგა და ეს მას არ ეხებოდა, ამიტომაც უბრალოდ უფრო დაქაჩა თვალები. მოზრდილთა ამ თამაშში მაინც იყო რაღაც გადამდები, მიუხედავად მისი პრიმიტიულობისა და აშკარა უადგილობისა დასახლებული კუნძულის გაჭირვებულ მდგომარეობაში.

- სმენა! - იღრიალა პანდიმ.

როტმისტრი წამოდგა, სიგარეტი საფერფლეზე ჩააქრო და ქუსლის ქუსლზე მსუბუქი შემოკვრით მიესალმა ბრიგადირის მაგიდისაკენ მიმავალთ: ბრიგადირს, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ ვიღაც უცხო კაცსა და ბრიგადირის ადიუტანტს, რომელსაც იღლიაში სქელი საქაღალდე ამოეჩარა. ბრიგადირი მჟავე, უკმაყოფილო სახით მიუჯდა მაგიდას. საყელოში თითი შეყო, მოქაჩა და თავი მიატრ-მოატრიალა. შეუხედავი, ჩია ტანის, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ცუდად გაპარსული, უსიცოცხლო, ჩაყვითლებულსახიანი კაცი უხმაუროდ მივიდა და გვერდით მიუჯდა. ბრიგადის ადიუტანტმა ზეზეურად გახსნა საქაღალდე და ქაღალდების გადარჩევას შეუდგა, რომელთაგან ზოგიერთი ბრიგადირს გადასცა.

პანდი ერთხანს იდგა და თითქოს ყოყმანობდა, შემდეგ კი ისეთივე მკაფიო ნაბიჯებით თავის ადგილზე დაბრუნდა. მაგიდასთან ხმადაბლა ლაპარაკობდნენ „დღეს ხომ იქნები კრებაზე, ჩაჩუ?“ ეკითხებოდა ბრიგადირი. „არ მცალია“ - უპასუხებდა როტმისტრი, თან ახალ სიგარეტს უკიდებდა. „დასანანია. დღეს იქ დისპუტია“, „გვიან გაგახსენდათ. მე უკვე გამოვთქვი აზრი ამ საკითხზე“. „არც ისე კარგად, - რბილად შენიშნა როტმისტრს სამოქალაქო პირმა, - გარდა ამისა, გარემოებათა შეცვლა აზრებსაც სცვლის“, „ჩვენთან ლეგიონში ასე არ ხდება“, - მშრალად თქვა როტმისტრმა, „კარგით რა, ბატონებო, - ჭირვეული ხმით წარმოთქვა ბრიგადირმა, - მოდით, რაც იქნება, იქნება, შევხვდეთ დღეს კრებაზე“ - „გავიგე, ტბის სოკოები მოიტანესო, სულ ახალთახალი“, - თქვა ადიუტანტმა ისე, რომ ქაღალდებში ქექვა არ შეუწყვეტია. „საკუთარ წვენში ჩაწყობილი, ა? რას იტყვი, როტმისტრო!“ - მხარი აუბა ადიუტანტს სამოქალაქო პირმა. „არა, ბატონებო, - თქვა როტმისტრმა. - მე ერთი აზრი მაქვს და უკვე გამოვთქვი იგი. ხოლო რაც შეეხება ტბის სოკოებს...“ კიდევ დაუმატა რაღაც გაუგებარი, რაზეც მთელმა კომპანიამ გადაიხარხარა, ხოლო როტმისტრი ჩაჩუ კმაყოფილი სახით სკამის ზურგზე გადაწვა. შემდეგ ადიუტანტმა შეწყვიტა ქაღალდებში ქექვა, ბრიგადირისკენ დაიხარა და რაღაც გადაუჩურჩულა. ბრიგადირმა თავი დაუქნია. ადიუტანტი დაჯდა და თითქოს რკინის სკამს მიმართავსო, წარმოთქვა:

- ნოლე რენადუ.

პანდიმ ხელი ჰკრა კარს, თავი გაყო და დერეფანში ხმამაღლა გასძახა:

- ნოლე რენადუ!

დერეფანში ჩოჩქოლი ატყდა და ოთახში შემოვიდა ხანშიშესული, კარგად ჩაცმული, მაგრამ როგორღაც გალახული და გაბურძგნილი კაცი. მას ოდნავ ებლანდებოდა ფეხები. პანდიმ მკლავზე წაავლო ხელი და სკამზე დასვა. კარი ხმაურით დაიხურა, კაცმა ხმამაღლა ამოახველა, ხელებით მუხლებს დაეყრდნო და ამაყად ასწია თავი.

- ა-ა სე... - გააბბა ბრიგადირმა ქაღალდებს რომ ათვალიერებდა, და უეცრად სწრაფად ალაპარაკდა: - ნოლე რენადუ, ორმოცდათექვსმეტი წლის, სახლისმფლობელი, მაგისტრატურის წევრი... ა-ასე... კლუბ „ვეტერანის“ წევრი... (სამოქალაქო პირმა პირზე ხელი აიფარა და დაამთქნარა, ჯიბიდან ჭრელი ჟურნალი ამოიღო, მუხლებზე დაიდო და ფურცვლა დაუწყო). დაკავებულია ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილას... ჩხრეკის დროს ამოღებულია... ა-ა სე... რას აკეთებდით მებუკეთა ქუჩის ნომერ რვა სახლში?

- მე ამ სახლის მფლობელი ვარ, - ღირსეულად თქვა რენადუმ. - ჩემს მმართველს ვეთათბირებოდი.

- საბუთები შემოწმებულია? - მიმართა ბრიგადირმა ადიუტანტს.

- დიახ. ყველაფერი რიგზეა.

- ა-ასე, - თქვა ბრიგადირმა. - მითხარით, ბატონო რენადუ, იცნობთ თუ არა რომელიმე დაპატიმრებულს?

- არა, - თქვა რენადუმ. თან ენერგიულად გაიქნია თავი. - საიდან?... თუმცა ერთ-ერთი მათგანის გვარი. კეტშეფი, ვგონებ, ჩემს სახლში ცხოვრობს ვიღაც კეტშეფი... თუმცა არ მახსოვს. შესაძლოა, ვცდებოდე, ისიც შესაძლოა, რომ იმ სახლში არ ცხოვრობდეს. მე კიდევ ორი სახლი მაქვს, ერთი მათგანი...

- მაპატიეთ, - გააწყვეტინა ის სამოქალაქო პირმა, რომელიც ჟურნალში იხედებოდა. - ყურადღება ხომ არ მიგიქცევიათ, რაზე ლაპარაკობდნენ კამერაში დანარჩენი პატიმრები?

- ე-ე-ე-... გააბა რენადუმ. - უნდა გამოგიტყდეთ... თქვენ იქ... ე-ე-ე... მწერები გყავთ... ჰოდა, უმთავრესად მათზე... ვიღაც ჩურჩულებდა კუთხეში, მაგრამ, მართალი გითხრათ, მათთვის არ მცხელოდა... ვარჩიე მწერებთან მქონოდა საქმე, ხა-ხა-ხა!

- ბუნებრივია, - დაეთანხმა ბრიგადირი. - რა გაეწყობა, ჩვენ ბოდიშს არ ვიხდით, ბატონო რენადუ. აი თქვენი საბუთები, თავისუფალი ხართ... ბად-

რაგის უფროსო! - ხმას აუწია მან.

პანდიმ კარი გააღო და დაიძახა:

- ბადრაგის უფროსო, ბრიგადირთან!

- ბოდიშზე ლაპარაკიც ზედმეტია, - დიდი ამბით წარმოთქვა რენადუმ. - დამნაშავე მე ვარ, მხოლოდ მე. თანაც მე კი არა, დაწყევლილი მემკვიდრეობა... ნებას მომცემთ? - მიმართა მან მაქსიმს და მაგიდაზე მიუთითა, სადაც საბუთები იდო.

- იჯექი, - ხმადაბლა თქვა პანდიმ.

შემოვიდა გაი. ბრიგადირმა საბუთები გადასცა, უბრძანა ბატონ რენადუს წართმეული ქონება დაუბრუნეთო, და ბატონი რენადუ გაუშვეს.

- რაშე მუსაი, - უთხრა ადიუტანტმა რკინის სკამს.

- რაშე მუსაი, - გაიმეორა პანდიმ ღია კარში.

რაშე მუსაი გამხდარი, სრულიად გატანჯული კაცი გახლდათ. გაცვეთილი საშინაო ხალათი და ცალი ფეხსაცმელი ეცვა. დაჯდა თუ არა, წამოჭარხლებულმა ბრიგადირმა იღრიალა: „იმალები, არამზადავ?“ - რის პასუხადაც რაშე მუსაიმ გაჭიანურებულად და არეულად დაიწყო განმარტება, რომ სულაც არ იმალება, რომ ავადმყოფი ცოლი და სამი ბავშვი ჰყავს, ბინის ქირა ვერ გადაუხდია, უკვე ორჯერ დააკავეს და გაუშვეს, მუშაობს ფაბრიკაში, ავეჯის შემკეთებელია, არაფერი დაუშავებია... მაქსიმს ეგონა, გაუშვებ მაგრამ ბრიგადირი უეცრად წამოდგა და განაცხადა, რომ რაშე მუსაის, ორმოცდაორი წლისას, ორჯერ დანაკავებს, ცოლიანს, პროფილაქტიკის კანონის თანახმად შვიდი წლის პატიმრობა მიესაჯა. დაახლოებით ერთი წუთი დასჭირდა რაშე მუსაის, რათა განაჩენი გაეაზრებინა, შემდეგ კი საშინელი სცენა დატრიალდა. უბედური კაცი ტიროდა, არეულად იხვეწებოდა, შემიწყნარეთო, ცდილობდა დაჩოქილიყო, და სანამ პანდი დერეფანში გაათრევდა, ყვირილსა და ტირილს განაგრძობდა. და მაქსიმმა კვლავ შენიშნა, რომ როტმისტრი ჩაჩუ მას უყურებდა.

- კივი პოპშუ, - თქვა ადიუტანტმა.

კარში შემოაგდეს მხარბეჭიანი ახალგაზრდა, რომლისთვისაც რაღაც კანის დაავადებას დაემახინჯებინა სახე. ეს ახალგაზრდა, ბინის ქურდი - რეციდივისტი აღმოჩნდა, დანაშაულის ადგილზე წაესწროთ და თავხედურად და ამავე დროს პირფერულად იქცეოდა. ხან ეხვეწებოდა ბატონ უფროსებს ულმო-

ბელი სიკვდილისათვის არ გამწიროთო, ხან უეცრად ისტერიულად ახითხითდებოდა, ხუმრობდა და თავს გადახდენილ ამბებს ყვებოდა, რომლებიც ერთნაირად იწყებოდა: „შევდივარ ერთ სახლში...“ არავის არ აძლევდა ხმის ამოღების საშუალებას. ბრიგადირმა რამდენჯერმე ამაოდ სცადა რაღაც ეკითხა მისთვის, შემდეგ კი სკამის ზურგზე გადაწვა და აღშფოთებულმა მიიხედ-მოიხედა. როტმისტრმა ჩაჩუმ მშვიდად თქვა:

- კანდიდატო სიმ, ჩააწყვეტინე ხმა.

მაქსიმმა არ იცოდა, როგორ ჩაეწყვეტინებინა ხმა, ამიტომაც უბრალოდ მხარში ჩაავლო ხელი და შეანჯღრია. კივი პოპშუს ყბებმა გაიღრჭიალა, მან ენას კბილი დააჭირა და გაჩუმდა. მაშინ სამოქალაქო პირმა, რომელიც უკვე კარგა ხანი ინტერესით ადევნებდა თვალს დაპატიმრებულს, თქვა:

- ამას მე წავიყვან. გამომადგება.

- ძალიან კარგი! - თქვა ბრიგადირმა და ბრძანა კივი პოპშუ უკანვე წაეყვანათ კამერაში.

როცა ახალგაზრდა გაიყვანეს, ადიუტანტმა თქვა:

- ნაგავს მოვრჩით. ახლა ჯგუფი წამოვა.

- პირდაპირ ხელმძღვანელით დაიწყეთ, - ურჩია სამოქალაქო პირმა. - რა ჰქვია - კეტშეფი?

ადიუტანტმა ქაღალდებში ჩაიხედა და რკინის სკამს უთხრა:

- გელ კეტშეფი.

შემოიყვანეს ნაცნობი - თეთრხალათიანი კაცი. მას ხელხუნდები ედო და ამიტომაც არაბუნებრივად გაჭიმული ხელები წინ გაეშვირა. თვალები ჩაწითლებოდა, სახე შეშუპებოდა. დაჯდა და ბრიგადირის თავზემოთ დაკიდებულ სურათს მიაჩერდა.

- თქვენ გელ კეტშეფი გქვიათ? - ჰკითხა ბრიგადირმა.

- დიახ.

- კბილის ექიმი ხართ?

- ვიყავი.

- რა ურთიერთობა გაქვთ კბილის ექიმ გობისთან?

- პრაქტიკა ვიყიდე მისგან.

- რატომ არ ეწევით პრაქტიკას?

-კაბინეტი გავყიდე.

- რატომ?

- ხელმოკლეობის გამო! - თქვა კეტშეფმა.

- რა ურთიერთობა გაქვთ ორდი ტადერთან?

- ცოლია ჩემი.

- შვილები გყავთ?

- გვყავდა. ვაჟი.

- სად არის?

- არ ვიცი.

- რას აკეთებდით ომის დროს?

- ვიბრძოდი.

- რატომ გადაწყვიტეთ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის დაწყება?

- იმიტომ, რომ მსოფლიო ისტორიაში არ ყოფილა უფრო საზიზღარი სახელმწიფო, - თქვა კეტშეფმა. - იმიტომ, რომ მიყვარდა ჩემი ცოლი და ბავშვი. იმიტომ, რომ თქვენ დამიხოცეთ მეგობრები და გახრწენით ჩემი ხალხი. იმიტომ, რომ მუდამ მეჯავრებოდით. საკმარისია?

- საკმარისია, - მშვიდად თქვა ბრიგადირმა. - საკმარისზე მეტიცაა. უმჯობესია გვითხრათ, რამდენს გიხდიან ხონტიელები? თუ პანდეა გიხდით?

თეთრხალათიანმა გაიცინა. ეს შემზარავი სიცილი იყო, მიცვალებულის სიცილს წააგავდა.

- მორჩით კომედიას, ბრიგადირო, - თქვა მან. - რაში გჭირდებათ ეს?

- თქვენა ხართ ჯგუფის ხელმძღვანელი?

- დიახ. ვიყავი.

- ვინ შეგიძლიათ დაგვისახელოთ ორგანიზაციის წევრთაგან?

- არავინ.

- დარწმუნებული ხართ? - ჰკითხა უეცრად სამოქალაქო პირმა.

- დიახ.

- იცით, კეტშეფ, - რბილად თქვა სამოქალაქო პირმა, - თქვენ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ხართ. ჩვენ ყველაფერი ვიცით თქვენი ჯგუფის შესახებ. უნდა გესმოდეთ, რომ ეს ინფორმაცია ვიღაც უცნობისაგან მივიღეთ, და ახლა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, რა სახელი ექნება ამ პიროვნებას - კეტშეფი თუ სხვა...

კეტშეფს თავი დაეხარა და დუმდა.

- თქვენ! - დაიჩხავლა როტმისტრმა ჩაჩუმ. - თქვენ, ყოფილო მებრძოლო ოფიცერო! გესმით, რას გთავაზობენ? სიცოცხლეს კი არა, მასარაკშ! ღირსებას!

კეტშეფმა კვლავ გაიცინა, ჩაახველა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მაქსიმი გრძნობდა, რომ ამ ადამიანს არაფრის არ ეშინია. არც სიკვდილის, არც სირცხვილის. მან უკვე ყველაფერი გამოსცადა. თავი მკვდრადაც მიაჩნია და შერცხვენილადაც... ბრიგადირმა მხრები აიჩეჩა, წამოდგა და განაცხადა, რომ გელ კეტშეფს ორმოცდაათი წლისას, ცოლიანს, კბილის ექიმს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის კანონის შესაბამისად მიესაჯა მოსპობა. განაჩენი უნდა აღსრულდეს ორმოცდარვა საათში. ის შეიძლება შეიცვალოს, თუ სასჯელმისჯილი ჩვენების მიცემაზე დათანხმდება.

როცა კეტშეფი გაიყვანეს, ბრიგადირმა სამოქალაქო პირს უკმაყოფილოდ უთხრა: - „შენი ვერაფერი გამიგია. ვფიქრობ, საკმაოდ ხალისიანად ლაპარაკობდა. ტიპიური მოლაყბეა თქვენივე კლასიფიკაციით. არაფერი მესმის...“ სამოქალაქო პირმა გაიცინა: „სწორედ ამიტომ, მეგობარო, შენ ბრიგადას მეთაურობ, მე კი... მე კი ჩემთან ვიმყოფები“. - „სულ ერთია, - თქვა ნაწყენმა ბრიგადირმა. - ჯგუფის ხელმძღვანელია... ცოტას წაიფილოსოფოსებს... არაფერი მესმის“. - „მეგობარო, - თქვა სამოქალაქო პირმა, - თუ გინახავს ოდესმე მკვდარი ფილოსოფოსობდეს?“ - „ა, სისულელეა...“ - „მაინც?“ - „იქნებ, შენ გინახავს?“ - ჰკითხა ბრიგადირმა. - „კი, ეს-ეს არის, - თქვა სამოქალაქო პირმა მრავალმნიშვნელოვნად. - და იცოდე, პირველადაც არა... მე ცოცხალი ვარ, ის მკვდარი - რა გვაქვს ჩვენ სალაპარაკო? ვგონებ, ასე წერს ვერბლიბენი, არა?“ როტმისტრი ჩაჩუ უეცრად წამოდგა, მაქსიმთან მივიდა და სახეში შეჰსისინა: როგორ დგეხარ, კანდიდატო? საით იყურები? სმენა! იყურე წინ! თვალებს ნუ აცეცებ!“ რამდენიმე წამს აქოშინებული ათვალიერებდა მაქსიმს - თვალები ხან სწრაფად უვიწროვდებოდა, ხან უფართოვდებოდა, - შემდეგ ადგილზე დაბრუნდა და სიგარეტს მოუკიდა.

- ასე, - თქვა ადიუტანტმა. - დარჩნენ: ორდი ტადერი, მემო გრამენუ და კიდევ ორი, რომლებმაც უარი თქვეს ვინაობა გაემხილათ.

- ჰოდა, მათგან დავიწყოთ, - თქვა სამოქალაქო პირმა.

- ნომერ სამოცდაცამეტი-ცამეტი, - დაიძახა ადიუტანტმა.

ნომერ სამოცდაცამეტი-ცამეტი შემოვიდა და ჩამოჯდა. ხმელ-ხმელი, ძარღვებდაბერილი კაცი იყო, მასაც ხელხუნდები ედო, თუმცა ცალი ხელი ხე-

ლოვნური ჰქონდა და ავადმყოფურად მსხვილი, კბენისაგან ტუჩები დასიებოდა.

- სახელი? - ჰკითხა ბრიგადირმა.

- რომელი? - მხიარულად ჰკითხა ცალხელამ.

მაქსიმი შეკრთა კიდეც; დარწმუნებული იყო, ცალხელა ხმას არ ამოიღებდა.

- ბევრი სახელი გაქვთ? მაშინ ნამდვილი მითხარით.

- ჩემი ნამდვილი სახელია ნომერ სამოცდაცამეტი-ცამეტი.

- ა-ასე... რას აკეთებდით კეტშეფის ბინაში?

- გულწასული ვიწექი. რომ იცოდეთ, ძალიან მეხერხება ეს. გინდათ გიჩვენოთ?

- ნუ შეწუხდებით, - თქვა სამოქალაქო პირმა. ის ძალიან გაბრაზებული იყო: - კიდევ დაგჭირდებათ ეს უნარი.

ცალხელამ უეცრად გადაიხარხარა. ხმამაღლა, ახალგაზრდული: წკრიალა ხმით იცინოდა და მაქსიმი შეაძრწუნა იმის გაფიქრებამ, რომ ის გულწრფელად იცინის. მაგიდასთან მსხდომი ადამიანები, თითქოს გაქვავებულნი, უხმოდ უსმენდნენ.

- მასარაკშ! - თქვა ბოლოს ცალხელამ და მხრით მოიწმინდა ცრემლები. - ესეც მუქარა!... თუმცა თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი ხართ... თქვენი სამუშაო უნდა კეთდებოდეს შესაძლებლობისდაგვარად მშრალად, ფორმალურად - ფულზე ეს გამოძიებაში მყოფზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. საშინელებაა, როცა მტრის ნაცვლად მოხელე გაწამებს. აი, შეხედეთ ჩემს მარცხენა ხელს. მე ის სამგზობად მომხერხეს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სპეციალისტებმა და თითოეულ აქტს ვრცელი გადაწერა ახლდა... ჯალათები ასრულებდნენ მძიმე, უმადურ სამუშაოს, ისინი უგულოდ მუშაობდნენ, ხელს ხერხავდნენ და მათხოვრულ ხელფასზე ილანძღებოდნენ მეც მიჭირდა. ნებისყოფის დიდი დაძაბვა დამჭირდა, რათა თავი შემეკავებინა ლაქლაქისაგან. ახლა კი... მე ხომ ვხედავ, როგორ გეჯავრებით. თქვენ - მე, მე - თქვენ. მშვენიერია! მაგრამ მე თქვენ ოც წელზე ნაკლები დროა გძულვართ, მე კი თქვენ - ოცდაათ წელზე მეტია. თქვენ, ახალგაზრდავ, მაშინ ჯერ კიდევ მაგიდის ქვეშ დახოხავდით და კატებს აწვალებდით...

- ა-ა, - თქვა სამოქალაქო პირმა. - ბებერო ყვავო. მეგონა, უკვე სულ ამოგ-

წყვიტეს.

- არც გაიფიქროთ, - თქვა ცალხელამ. - ცოტათი მაინც ხომ უნდა ერკვეოდეთ, რა სამყაროში ცხოვრობთ… თორემ თქვენთან ლაპარაკიც ზედმეტი იქნება...

- ვფიქრობ, კმარა, - თქვა ბრიგადირმა და სამოქალაქო პირს შეხედა.

მან სწრაფად დაწერა ჟურნალზე რაღაც და წასაკითხად ბრიგადირს გადასცა. ბრიგადირმა ძალიან გაიოცა, ნიკაპზე თითების კაკუნს მოჰყვა და ეჭვით შეხედა სამოქალაქო პირს. სამოქალაქო პირმა გაიღიმა. მაშინ ბრიგადირმა მხრები აიჩეჩა, დაფიქრდა და როტმისტრს მიუბრუნდა:

- მოწმე ჩაჩუ, როგორ იქცეოდა ბრალდებული დაპატიმრების დროს?

- მიწაზე ეგდო, - კუშტად უპასუხა როტმისტრმა.

- ესე იგი, წინააღმდეგობა არ გაუწევია... ა-ასე... - ბრიგადირმა კიდევ ერთხანს იფიქრა, ადგა და გამოაცხადა განაჩენი: ნომერ სამოცდაცამეტ-ცამეტს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, განაჩენის აღსრულების ვადა დადგენილი არ არის, განაჩენის აღსრულებამდე ბრალდებული გადასახლებაში უნდა იყოს აღსაზრდელად.

როტმისტრ ჩაჩუს სახეზე ზიზღნარევი გაოცება აღებეჭდა, ხოლო ცალხელა როცა გაჰყავდათ, ჩუმ-ჩუმად იცინოდა და თავს აქნევდა, თითქოს ამბობდა: „მოდი და ნუ გაგეცინება!“

შემდეგ შემოიყვანეს ნომერ სამოცდაცამეტ-თოთხმეტი. ეს ის კაცი იყო, რომელიც იატაკზე იკრუნჩხებოდა და ყვიროდა. ძალიან შეშინებული ჩანდა მაგრამ თავი გამომწვევად ეჭირა. პირდაპირ ზღურბლიდან შესძახა, კითხვებზე არ ვუპასუხებ და შეწყნარებას არ ვითხოვო. მართლაც დუმდა და არც ერთ შეკითხვაზე არ გაუცია პასუხი, არც მაშინ უთქვამს რამე, როცა სამოქალაქო პირმა ჰკითხა: ცუდად ხომ არ გეპყრობიანო? ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ბრიგადირმა შეხედა სამოქალაქო პირს და შეკითხვის გამოსახატავად დაიზმუვლა. სამოქალაქო პირმა თავი დაუქნია და თქვა: „დიახ, ჩემთან“. ის ძალიან კმაყოფილი ჩანდა.

შემდეგ ბრიგადირმა დარჩენილი ქაღალდები გადაქექა და თქვა:

- წავიდეთ, ბატონებო, წავიხემსოთ. შეუძლებელია...

სასამართლო გავიდა და მაქსიმსა და პანდის ნება დართეს თავისუფლად მდგარიყვნენ. როცა როტმისტრიც გავიდა, პანდიმ შეშფოთებით თქვა:

- ნახე ქვეწარმავლები? ღმერთმანი გველებზე უარესები არიან. იცი, რა არის მთავარი? თავი რომ არ სტკიოდეთ, როგორ მიხვდებოდი, რომ გადაგვარებულები არიან? გაფიქრებაც მზარავს, რა იქნებოდა მაშინ...

მაქსიმს ხმა არ ამოუღია. ლაპარაკი ეზარებოდა. მსოფლიოს სურათი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ისეთი გარკვეული და ლოგიკური ეჩვენებოდა, უეცრად გაიდღაბნა, მოხაზულობა დაკარგა. თუმცა პანდის არც სჭირდებოდა რეპლიკები. ხელთათმანები რომ არ დაესვარა, გაიძრო და ჯიბიდან მოხალული თხილის პარკი ამოიღო, მაქსიმს გაუმასპინძლდა. და დაიწყო ლაპარაკი, როგორ სძულს ეს საგუშაგო. ჯერ ერთი, ეშინოდა არაფერი გადასდებოდა გადაგვარებულებისაგან. მეორე, ზოგიერთი მათგანი, იმ ცალხელასი არ იყოს, იმდენად თავხედურად იქცეოდა, რომ თავში წათაქება მოგინდებოდა. ერთხელ აი, ასე ითმინა-ითმინა, შემდეგ კი კარგად მოსდო. კინაღამ კანდიდატად ჩამოაქვეითეს, მადლობა როტმისტრს, გადაარჩინა. მხოლოდ ოცი დღით ჩასვა და კიდევ ორმოცი დღე დასვენება არ ჰქონია.

მაქსიმი თხილს აკნატუნებდა, ცალი ყურით უსმენდა და დუმდა. „სიძულვილი. -ფიქრობდა ის. - იმათ სძულთ ესენი, ამათ ისინი. რისთვის? უსაზიზღრესი სახელმწიფოა... რატომ? საიდან მოიტანა ეს?... გახრწნეს ხალხი... როგორ? რას უნდა ნიშნავდეს ეს?... ან ეს სამოქალაქო პირი... შეუძლებელია, ნუთუ წამებას გულისხმობდა? ეს ხომ დიდი ხნის წინათ იყო, შუა საუკუნეებში... თუმცა ფაშიზმი, ჰო, ჰიტლერი. ოსვენციმი, რასობრივი თეორია. გენოციდი, გაი ფაშისტია? რადაც? არა, არ ეტყობა... ბატონი როტმისტრი? ჰმ... კარგი იქნებოდა მივმხვდარიყავი რა კავშირი აქვს თავის ტკივილს ხელისუფლების წინააღმდეგ ურჩობასთან? რატომ მარტო გადაგვარებულები ცდილობენ დაანგრიონ ბალისტიკური თავდაცვის სისტემა? და თანაც მხოლოდ ზოგიერთი მათგანი.

- ბატონო პანდი, - თქვა მან. - ხონტიელები ყველანი გადაგვარებულები არიან, არ გაგიგონიათ?

პანდი ჩაფიქრდა.

- როგორ გითხრა... - აი, რა... - წარმოთქვა ბოლოს. - ჩვენ ძირითადად ქალაქელი და ველური გადაგვარებულების ამბავი ვიცით, რომლებიც ტყეებში არიან, ხოლო რა არის იქ, ხონტიში, ან, ვთქვათ, სადმე სხვაგან, ამას, ალბათ, არმიელებს ასწავლიან. მთავარია იცოდე, რომ ხონტიელები ჩვენი სახელმწი-

ფოს უბოროტესი გარეშე მტრები არიან. ომამდე ჩვენ გვემორჩილებოდნენ, ახლა კი ბოროტად შურს იძიებენ... მორჩა და გათავდა, გაიგე?

- თითქოს, - თქვა მაქსიმმა და პანდიმ მაშინვე უსაყვედურა:

- ლეგიონში ასეთ პასუხს არ იძლევიან ლეგიონში უპასუხებენ; „დიახ“ ან „არა“, ხოლო „თითქოს“ სამოქალაქო გამოთქმაა, აქ ასე არ შეიძლება...

ალბათ კიდევ დიდხანს ილაპარაკებდა, მადლიანი თემა ჩაუვარდა, მსმენელიც ყურადღებიანი, თავაზიანი ჰყავდა, მაგრამ ამ დროს ბატონი ოფიცრები დაბრუნდნენ. პანდის სიტყვა გაუწყდა, დაიჩურჩულა: „სმენა“, მაგიდასა და რკინის ტაბურეტს შორის აუცილებელი ევოლუციები შეასრულა და გაირინდა. მაქსიმიც გაირინდა.

ბატონი ოფიცრები მშვენიერ გუნებაზე იყვნენ. როტმისტრი ჩაჩუ ხმამაღლა და აგდებული გამომეტყველებით ყვებოდა, როგორ აკრავდნენ პირდაპირ გახურებულ ჯავშანზე უმ ცომს ოთხმოცდათექვსმეტში და ლამის თითები ჩაეკვნიტათ. ბრიგადირი და სამოქალაქო პირი ეკამათებოდნენ, საბრძოლო სულისკვეთება საბრძოლო სულისკვეთებაა, მაგრამ საბრძოლო ლეგიონის სამზარეულო სათანადო დონეზე უნდა იყოს და რაც უფრო ნაკლები იქნება კონსერვი, მით უკეთესი. ადიუტანტმა თვალები მინაბა და უეცრად ზეპირად დაიწყო ციტატების მოყვანა რომელიღაც სამზარეულოს წიგნიდან, და ყველა დადუმდა და საკმაოდ დიდხანს უსმენდა უცნაური გრძნობამორეული გამომეტყველებით. შემდეგ ადიუტანტს ნერწყვი გადასცდა და ჩაბჟირდა, ხოლო ბრიგადირმა ამოიოხრა და თქვა:

- ჰო… მაგრამ საქმესაც მივხედოთ.

ადიუტანტმა, რომელიც ჯერაც იხრინწებოდა, საქაღალდე გახსნა და ყრუ ხმით წარმოთქვა:

- ორდი ტადერი.

და შემოვიდა ქალი, რომელიც გუშინდელივით თეთრი და თითქმის გამჭვირვალე იყო და კაცს ეგონებოდა, ჯერ კიდევ გულწასულიაო, მაგრამ როცა პანდიმ, ჩვეულებისამებრ, ხელი გაუწოდა, რათა იდაყვზე მოეკიდა და დაესვა, ქალმა უხეშად აირიდა, თითქოს ქვეწარმავალი მიეკარაო, და მაქსიმს მოეჩვენა, სადაცაა გაარტყამსო. არ გაურტყამს, ხელები შეკრული ჰქონდა, ოღონდ მკაფიოდ წარმოთქვა:

- ხელები შორს, უნამუსოვ! - პანდის შემოუარა და დაჯდა.

ბრიგადირმა ჩვეულებრივი შეკითხვებით მიმართა. ქალს პასუხი არ გაუცია. სამოქალაქო პირმა ქმარ-შვილი უხსენა, მაგრამ არც მას გამოეპასუხა. გამართული იჯდა; მაქსიმი მის სახეს არ ხედავდა, ხედავდა მხოლოდ დაძაბულ, გამხდარ კისერს ღია ფერის გაწეწილი თმის ქვეშ. შემდეგ ქალმა უეცრად ხმადაბლა მშვიდად თქვა:

- ყველანი ცნობილი არამზადები ხართ. მკვლელები. ყველანი ჩაძაღლდებით. ბრიგადირო, მე შენ არ გიცნობ, პირველად და უკანასკნელად გხედავ. შენ საძაგელი სიკვდილი გიწერია. სამწუხაროდ, ჩემი ხელით არა, მაგრამ ძალიან, ძალიან ცუდი სიკვდილი გელის. შენც, სისხლისმღვრელო ნაძირალავ, ორ შენისთანას ჩემი ხელით მოვუღე ბოლო. ახლავე მიგასიკვდილებდი, მიგწვდებოდი, ეს უნამუსოები რომ არ იდგნენ ზურგსუკან... - ქალმა სული მოითქვა, - შენც შავდრუნჩიანო, საზარბაზნე ხორცო, კიდევ ჩაგვივარდები ხელში. მაგრამ შენ იოლად მოკვდები. გელმა აგაცდინა, მაგრამ არიან ისეთები, რომ არ აგაცდენენ.

სიტყვას არ აწყვეტინებდნენ, ყურადღებით უსმენდნენ. კაცი იფიქრებდა, მზად არიან საათობით უსმინონო, ქალი კი უეცრად წამოდგა და მაგიდისკენ დააპირა წასვლა, მაგრამ პანდიმ მხარში ჩაავლო ხელი და უკანვე დააგდო სკამზე. მაშინ მან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გადააფურთხა, მაგრამ მაგიდამდე ვერ მიაწვდინა, და უეცრად მოეშვა და ატირდა. ერთხანს უყურეს მტირალს, შემდეგ ბრიგადირი წამოდგა და მიუსაჯა ორმოცდარვა საათში მოესპოთ. პანდიმ იდაყვზე მოჰკიდა ხელი და კარში გააგდო, სამოქალაქო პირმა კი ხელები მაგრად მოიფშვნიტა, გაიღიმა და თქვა: „ეს წარმატებაა. ჩინებული დაცვა. „ხოლო ბრიგადირმა უპასუხა: „როტმისტრს უმადლოდე“. როტმისტრმა ჩაჩუმ კი ესღა თქვა: „ენები“, - და ყველა დადუმდა.

შემდეგ ადიუტანტმა გამოიძახა მემო გრამენუ, რომელსაც უკვე სრულიად უბოდიშოდ ექცეოდნენ. ეს ის იყო, დერეფანში რომ ისროდა. აქ ყველაფერი ნათლად ჩანდა: შეიარაღებული წინააღმდეგობა დაპატიმრებისას და აღარც არაფერი უკითხავთ. იჯდა ზორბა, წელში მოხრილი და სანამ ბრიგადირი სასიკვდილო განაჩენს უკითხავდა, გულგრილად შეჰყურებდა ჭერს და მარცხენა ხელით ეფერებოდა მარჯვენას, რომლის ნაღრძობი თითები ჩვრით ჰქონდა შეხვეული. მაქსიმს მოეჩვენა, რომ მას რაღაც არაბუნებრივი სიმშვიდე, რაღაც საქმიანი სიმტკიცე დაუფლებოდა, ცივი გულგრილობა იმისადმი, რაც ხდე-

ბოდა, მაგრამ ვერ შეძლო გარკვეულიყო თავის შეგრძნებებში...

გრამენუს გაყვანა ვერც კი მოასწრეს, რომ ადიუტანტი უკვე შვებით აწყობდა ქაღალდებს საქაღალდეში, ბრიგადირმა სამოქალაქო პირს ჩინის მიცემის წესზე დაუწყო ლაპარაკი, ხოლო როტმისტრი ჩაჩუ პანდისა და მაქსიმთან მივიდა და უბრძანა წამოდითო. მის გამჭვირვალე თვალებში მაქსიმმა აშკარად დაინახა ბოროტი დაცინვა და მუქარა, მაგრამ არ უნდოდა ამაზე ეფიქრა. რაღაც განრიდებული ცნობისმოყვარეობითა და თანაგრძნობით ფიქრობდა ადამიანზე, რომელსაც ქალის მოკვლა მოუწევს. ეს საზარელი, შეუძლებელი საქმე იყო, მაგრამ ვიღაცას უნდა ჩაედინა უახლოესი ორმოცდარვა საათის განმავლობაში.

მერვე თავი

გაიმ პიჟამო გადაიცვა, მუნდირი კარადაში შეკიდა და მაქსიმს მოუბრუნდა. კანდიდატი სიმი იჯდა თავის პატარა დივანზე, რადამ თავისუფალ კუთხეში რომ დაუდგა; ერთი ჩექმა გაეძრო და ხელში ეჭირა, მეორის გაძრობა კი ჯერ არ დაეწყო. კედელს მისჩერებოდა ოდნავ პირდაღებული. გაი გვერდიდან მიეპარა და ის იყო, ცხვირში წკიპურტი უნდა ეკრა, მაგრამ როგორც ყოველთვის, ააცდინა - უკანასკნელ წუთში მაქსიმმა თავი გასწია.

- რაზე დაფიქრდი? - მხიარულად ჰკითხა გაიმ. - დარდობ, რომ რადა არ არის? ამაში, ძმაო, არ გაგიმართლა, დღეს დღის ცვლაშია.

მაკმა ოდნავ გაიღიმა და მეორე ჩექმის გაძრობას შეუდგა.

- რატომ არაა? - თქვა დაფანტულად. - მე ვერ მომატყუებ... - ის კვლავ გაირინდა. - გაი, - თქვა მან, - შენ მუდამ ამბობდი, ისინი ფულზე მუშაობენო...

- ვინ? გადაგვარებულები?

- ჰო, ხშირად გველაპარაკებოდი ამაზე - მეც, ბიჭებსაც... ხონტიელთა დაქირავებული აგენტები არიანო... როტმისტრიც სულ ამას გაიძახის ყოველდღე ერთსა და იმავეს...

- აბა, როგორ? - თქვა გაიმ. ეგონა მაკმა კვლავ ერთფეროვნებაზე წამოიწყოო ლაპარაკი. - დიდი ახირებული ვინმე ხარ, მაკ. საიდან უნდა მოვიტანოთ რაღაც ახალი სიტყვები, თუ ყველაფერი ძველებურად რჩება? გადაგვარებულები გადაგვარებულებადვე დარჩნენ. იღებდნენ ფულს მტრებისაგან და ახლაც იღებენ. აი შარშანაც, მაგალითად, ერთი კომპანია აღმოაჩინეს ქალაქგარეთ მთელი სარდაფი ფულის ტომრებით ჰქონდათ გამოტენილი. საიდან უნდა ჰქონდეს პატიოსან კაცს ამდენი ფული? არც მრეწველები არიან, არც ბანკირები...

მაკმა კოხტად დააწყო ჩექმები კედელთან, ადგა და კომბინეზონის გახსნას შეუდგა

- გაი, - თქვა მან, - ასეთი რამ თუ დაგმართნია, ადამიანის შესახებ გელაპარაკებიან ერთს, შენ კი უყურებ იმ ადამიანს და გრძნობ: ეს შეუძლებელია. შეცდომაა, გაუგებრობაა.

- დამმართნია, - თქვა მოღუშულმა გაიმ. - მაგრამ თუ გადაგვარებულები გყავს მხედველობაში...

- დიახ, სწორედ ისინი. დღეს მე მათ ვუყურებდი. ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ისეთიც და ასეთიც, ზოგი - უკეთესი, ზოგი - უარესი, მამაცნი და ლაჩარნი, მაგრამ სულაც არ ჰგვანან მხეცებს, როგორც მეგონა... და როგორც თქვენ ყველას მიგაჩნიათ... დაიცა, ნუ გამაწყვეტინებ. და არ ვიცი, ზიანს გვაყენებენ თუ არა, ალბათ გვაყენებენ, ესე იგი, ყველაფრიდან ჩანს, რომ გვაყენებენ, მაგრამ არ მჯერა, მოსყიდულები იყვნენ.

- როგორ თუ არ გჯერა? - თქვა კიდევ უფრო მოღუშულმა გაიმ. - დავუშვათ, ჩემი არ გჯერა, მე პატარა კაცი ვარ. მაგრამ ბატონ როტმისტრს არ დაუჯერებ? ან ბრიგადირს?

მაქსიმმა კომბინეზონი გაიხადა, ფანჯარასთან მივიდა, შუბლით მინას მიეყრდნო, ორივე ხელი ჩარჩოს ჩაავლო და ქუჩაში დაიწყო ცქერა.

- თუკი ცდებიან? - თქვა ბოლოს.

- ცდებიან... - გაიმეორა გაოცებულმა გაიმ, რომელიც შიშველ ზურგში მისჩერებოდა მაქსიმს. - ვინ ცდება? ბატონი ბრიგადირი? აი, ახირებული...

- კარგი, იყოს,- თქვა მაკმა და მობრუნდა. - ახლა ხომ მასზე არ ვლაპარაკობთ. ჩვენ ვლაპარაკობთ გადაგვარებულებზე. აი შენ, მაგალითად... ხომ მოკვდები შენი საქმისათვის?

- მოვკვდები, - თქვა გაიმ. - შენც მოკვდები.

- სწორია! მოვკვდებით. მაგრამ ხომ საქმისათვის მოვკვდებით და არა ლეგიონერის ულუფისათვის და არა ფულისათვის. თუნდაც ათასი მილიონი თქვენი ფული მომეცით, სიკვდილის შესახვედრად არ წავალ!... შენ წახვალ?

- რა თქმა უნდა, არა, - თქვა გაიმ. „დიდი უცნაური კაცია ეს მაკი, მუღამ რაღაცას გამოიგონებს...“

- აბა?

- რა - აბა?

- აბა როგორ? - თქვა მაკმა მოუთმენლად. - შენ თანახმა არა ხარ, ფულისთვის მოკვდე. მე თანახმა არა ვარ, ფულისთვის მოვკვდე. გადაგვარებულები, გამოდის, თანახმა არიან! რა სისულელეა!

- სწორედ ამიტომ არიან გადაგვარებულები! - თქვა გაიმ გულში ჩამწვდომი ხმით. - სწორედ ამიტომ არიან გადაგვარებულები! მათ ფული ურჩევნიათ ყველაფერს, მათ არაფერი აქვთ წმიდათაწმიდა. მათ არაფრად უღირთ ბავშვი დაახრჩონ - მომხდარა ასეთი შემთხვევები... გამიგე: აბა რა კაცია ის, ვინც

ცდილობს მოსპოს საბალისტო დაცვის სისტემა. ასეთი კაცი ხომ გულგრილი მკვლელია და სხვა არაფერი!

- არ ვიცი, არ ვიცი, - თქვა მაკმა. - აი დღეს ისინი დაჰკითხეს. თანამზრახველნი რომ დაესახელებინათ, შეიძლებოდა ცოცხალი დარჩენილიყვნენ, კატორღას დააჯერებდნენ... მათ კი არ დაასახელეს! მაშასადამე, თანამზრახველნი ურჩევნიათ ფულს? სიცოცხლეს ურჩევნიათ?

- ეს კაცმა არ იცის, - შეესიტყვა გაი. - ისინი ყველანი კანონით არიან სიკვდილმისჯილნი, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, ხომ ნახე, როგორ ასამართლებდნენ მათ.

ის უყურებდა მაკს და ხედავდა, რომ მისი მეგობარი მერყეობს, დაბნეულია. მას კეთილი გული აქვს, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდაა, არ ესმის, რომ მტერთან სისასტიკე გარდუვალია. კარგი იქნებოდა, მუშტი დაერტყა მაგიდაზე და ეყვირა, გაჩუმდიო, რათა ამაოდ არ ლაყბობდეს, სისულელეებს კი არ როშავდეს, არამედ უფროსებს უსმენდეს, სანამ თვითონ გაერკვეოდეს ყველაფერში, მაგრამ მაკი ვიღაც რეგვენი ხომ არ არის, გაუნათლებელი, მას საკმარისია განუმარტო, როგორც წესი და რიგია, და გაიგებს...

- არა! - ჯიუტად თქვა მაკმა. - ფულისთვის ვერავის ვერ შეიძულებ. მათ კი ვძულვართ... ისე ვძულვართ, რომ ვერც წარმომედგინა, თუ ადამიანებს ასეთი სიძულვილი შეეძლოთ. შენ ნაკლებად გძულს ისინი, ვიდრე მათ სძულხარ. ნეტა ვიცოდე, რისთვის?

- აი, მომისმინე, - თქვა გაიმ. - კიდევ ერთხელ აგიხსნი. ჯერ ერთი, ისინი გადაგვარებულები არიან. მათ საერთოდ სძულთ ყველა ნორმალური ადამიანი. ბუნებით ვირთხებივით ბოროტები არიან, და თანაც, ჩვენ ხელს ვუშლით! მათ უნდათ აკეთონ თავიანთი საქმე, აიღონ ფულები და არხეინად იცხოვრონ. ჩვენ კი ვეუბნებით: სდექ! ხელები მაღლა! როგორ გგონია, ვეყვარებით ამისათვის?

- თუ ვირთხებივით ბოროტები არიან, მაშინ ის... სახლის მფლობელი... რად არ არის ბოროტი? ის რად გაუშვით, თუ ყველანი მოსყიდულები გგონიათ?

გაიმ გაიცინა.

- სახლის მფლობელი ლაჩარია. ასეთებიც საკმაოდ ჰყავთ. ვეჯავრებით, მაგრამ ეშინიათ, ასეთებისათვის ხელსაყრელია მეგობრულად იყვნენ ჩვენ-

თან... თანაც, ის სახლის მფლობელია, მდიდარი კაცი, იოლად ვერ მოისყიდი. კბილის ექიმი არ გეგონოს... სასაცილო ხარ, მაკ, ბავშვივითა ხარ! ადამიანები ხომ არ არიან ერთნაირები, არც გადაგვარებულები არიან ერთნაირები...

- ეს უკვე ვიცი, - მოუთმენლად გააწყვეტინა მაკმა. - მაგრამ აი სხვათა შორის, კბილის ექიმი. თავს მოსაჭრელად დავდებ, თუ ის მოსყიდულია. არ შემიძლია დაგიმტკიცო, მაგრამ მე ვგრძნობ ამას. ის ძალიან გულადი და კარგი ადამიანია...

- გადაგვარებული!

- იყოს. ის გულადი და კარგი გადაგვარებულია. მე ვნახე მისი ბიბლიოთეკა. ძალიან მცოდნე კაცია. ათასჯერ მეტი იცის, ვიდრე შენ ან როტმისტრმა... რატომაა ის ჩვენი მოწინააღმდეგე? თუ ყველაფერი ისეა, როგორც შენ ამბობ, რატომ არ იცის ეს მან - განათლებულმა, კულტურულმა ადამიანმა? რატომ გვახლის სიკვდილის ზღურბლზე მდგარი სახეში, რომ ის ხალხის მომხრეა და ჩვენი მოწინააღმდეგე?

- განათლებული გადაგვარებული სამგზის გადაგვარებულია, თქვა გაიმ დამრიგებლურად. - როგორც გადაგვარებულს, ვეჯავრებით. ხოლო განათლება შველის დაასაბუთოს და გაავრცელოს ეს სიძულვილი, განათლებაც, მეგობარო, ყოველთვის სიკეთე არ გეგონოს. ის ავტომატსა ჰგავს და გააჩნია, ვის ხელშია.

- განათლება მუდამ სიკეთეა, - თქვა მაკმა.

- არა და არა. მე ვამჯობინებდი, ხონტიელები ყველანი გაუნათლებლები იყვნენ. მაშინ უკიდურეს შემთხვევაში შევძლებდით ადამიანურად გვეცხოვრა და მუდამ მომაკვდინებელი ლახვრის მოლოდინში არ ვყოფილიყავით. მალეც დავაშოშმინებდით.

- ჰო, - თქვა მაკმა გაუგებარი ინტონაციით, - დაშოშმინება კარგად გვეხერხება. სისასტიკე არავისგან გვაქვს სასესხებელი.

- კვლავ ბავშვივით ლაპარაკობ. ჩვენ სიამოვნებით დავსჯერდებოდით დაყვავებასაც, სისხლისღვრაზე იაფიც დაგვიჯდებოდა. მაგრამ რა გინდა ქნა? თუ მათი დარწმუნება არაფრით არ შეიძლება...

- მაშასადამე, მათ სწამთ? - გააწყვეტინა მაკმა. - მაშასადამე, სწამთ. ხოლო მცოდნე კაცს თუ სწამს, რომ მართალია, რა შუაშია აქ ხონტიელთა ფული...

გაის მობეზრდა. უკვე უნდოდა როგორც უკანასკნელი საშუალება, შემოქ-

მედთა კოდექსი მოეშველიებინა და ბოლო მოეღო ამ დაუსრულებელი სულელური დავისათვის, მაგრამ ამ დროს მაკმა თვითონ შეწყვიტა დავა, ხელი ჩაიქნია და შესძახა:

- რადა! გეყოფა ძილი! ლეგიონერებს მოშივდათ და ქალის საზოგადოება მოენატრათ!

გაი სახტად დარჩა, როცა შორიდან რადამ უპასუხა:

- მე დიდი ხანია გავიღვიძე, ისე ყვირიხართ, ბატონო ლეგიონერებო, თითქოს თქვენს პლაცზე იყოთ.

- სახლში რატომ ხარ? - იღრიალა გაიმ.

რადა შირმიდან გამოვიდა, თან ხალათს იკრავდა.

- გამათავისუფლეს, - განაცხადა მან. - დეიდა თეიმ დახურა თავისი დაწესებულება, მემკვიდრეობა მიიღო და სოფელში მიემგზავრება. მაგრამ უკვე რეკომენდაცია მომცა კარგ ადგილზე... მაკ, რატომ გაქვს ყველაფერი მიყრილ-მოყრილი? კარადაში შედევი. ბიჭებო, მე ხომ გთხოვეთ, ოთახში ჩექმებით არ იაროთ-მეთქი! შენი ჩექმები სად არის, გაი?... მაგიდას სუფრა გადააფარეთ, ახლავე გისადილებთ... გამხდარხარ, მაკ. ნეტა ასეთს რას გიშვებიან იქ?

- მოიტა, მოიტა! - თქვა გაიმ. - ვისადილოთ...

რადამ ენა გამოუყო და გავიდა. გაიმ მაკს შეხედა. მაკი მიმავალ რადას უყურებდა თავისი ჩვეულებრივი კეთილი გამომეტყველებით.

- რა იყო, ხომ კარგი გოგოა? - ჰკითხა გაიმ და შეეშინდა: მაკს უეცრად სახე გაუქვავდა. - რა მოგდის?

- მომისმინე, - თქვა მაკმა. - ყველაფერი შეიძლება. ალბათ, წამებაც შეიძლება. თქვენ უკეთ იცით. მაგრამ ქალები დახვრიტო... ქალები აწამო... - მან თავის ჩექმებს დაავლო ხელი და ოთახიდან გავიდა.

გაიმ ამოიოხრა, ორივე ხელით მაგრად მოიფხანა კეფა და სუფრის გაწყობას შეუდგა. მთელი ამ საუბრიდან უსიამო გრძნობა, რაღაც გაორება დარჩა, რა თქმა უნდა, მაკი ჯერაც ახალგაზრდაა და ცაში დაფრინავს. მაგრამ როგორღაც ყველაფერი კვლავ საოცრად კარგად გამოუვიდა. ლოგიკოსია, აი რა, შესანიშნავი ლოგიკოსია. აი ახლა - ხომ მიედ-მოედებოდა რაღაცას, მაგრამ რაოდენ ლოგიკურად ჩამოაყალიბა ყველაფერი! გაი იძულებული იყო ეღიარებინა; ეს საუბარი რომ არა, თვითონ საეჭვოა მოსვლოდა არსებითად ძალიან მარტივი აზრი: გადაგვარებულებში მთავარია ის, რომ ისინი გადაგვარე-

ბულები არიან, წაართვი მათ ეს თვისება, და მათთვის წაყენებული ყველა დანარჩენი ბრალდება სისულელედ იქცევა. ჰო, მთავარი ის არის, რომ ისინი გადაგვარებულები არიან და სძულთ ყოველივე ნორმალური. ეს საკმარისია, ასე რომ, ხონტიური ოქროს გარეშეც… ხონტიელები კი რა, მაშასადამე, ისინიც გადაგვარებულები არიან? ეს ჩვენთვის არ უთქვამთ, ხოლო თუ გადაგვარებულები არ არიან, მაშინ ჩვენს გადაგვარებულებს უნდა სძულდეთ ისინი, როგორც ჩვენ... ა, მასარაკშ, ღმერთმა დალახვროს ეს ლოგიკა!...

მაკი რომ დაბრუნდა, გაიმ მაშინვე შეუტია:

- საიდან იცოდი, რომ რადა შინაა?

- როგორ თუ საიდან? ეს ხომ სრულიად ნათელი იყო?...

- თუ შენთვის ნათელი იყო, მე რატომ არ გამაფრთხილე? და რატომაა, მასარაკშ, რომ ენას ატარტარებ სხვებთან? ათასჯერ მასარაკშ...

მაკიც გაბრაზდა:

- ვის ეძახი სხვას? მასარაკშ, რადას? თქვენ ყველანი თქვენი როტმისტრებიანად ჩემთვის უფრო სხვები ხართ, ვიდრე რადა!

- მასარაკშ! რა წერია წესდებაში სამსახურებრივი საიდუმლოს შესახებ?

- მასარაკშ და მასარაკშ! რას გადამკიდებიხარ? მე მეგონა იცოდი, რომ ის შინაა! მეხუმრება-მეთქი, ვფიქრობდი! გარდა ამისა, რა ისეთ სამსახურებრივ საიდუმლოზე ვლაპარაკობდით მე და შენ?

- ყველაფერი, რაც სამსახურს ეხება...

- დაიკარგეთ იმ სამსახურიანად, რომელიც ღვიძლ დას უნდა დაუმალო! და საერთოდ, ვისაც გინდა, მასარაკშ! ყოველ კუთხეში საიდუმლო აქვთ, კაცი ვერ მობრუნებულა, პირი ვერ დაუღია!

- კიდევ აქეთ მიყვირი! გასწავლი სულელს, შენ კი მიყვირი!...

მაგრამ მაკი უკვე აღარ ბრაზობდა. უეცრად ერთ წამში გაჩნდა გაისთან; გაიმ განძრევაც ვერ მოასწრო - ძლიერი ხელები ფერდებში სწვდა, ოთახი თვალწინ აუყირავდა და ჭერმაც ჩამოიწია. გაიმ დახშული ხმით შეჰყვირა, ხოლო მაკი რომელსაც მაღლა აწეული გაწვდილი ხელებით ფრთხილად მიჰყავდა ის, ფანჯარასთან მივიდა და თქვა:

- აბა, ახლა სად წაგიღო შენი საიდუმლოებებიანად? ფანჯარაში გადაგისროლო?

- რა სულელური ხუმრობებია, მასარაკშ! - შესძახა გაიმ, რომელიც გამალე-

ბით აფათურებდა ხელებს, რათა რაიმე საყრდენი მოეძებნა.

- გარეთ არ გინდა? კარგი, დარჩი...

გაი შირმასთან მიიტანეს და რადას საწოლზე დაანარცხეს. ის წამოჯდა, აჩეჩილი პიჟამო გაისწორა და წაიბუზღუნა:

- ნამდვილი მხეცი...

უკვე არც ის ბრაზობდა. ან ვისზე უნდა გაბრაზებულიყო, თუ არა გადაგვარებულებზე...

სუფრის გაშლას შეუდგნენ. შემდეგ რადამ წვნიანის ქვაბი შემოიტანა, ძია კაანიც მოვიდა თავისი სანუკვარი მათარიანად, რომელიც, თუ მას დავუჯერებთ, ერთადერთი წამალი იყო გაცივებისა და მოხუცთა სხვა დაავადებების წინააღმდეგ. დასხდნენ. ძიამ ერთი სირჩა არაყი დალია. ცხვირით ჰაერი შეისუნთქა და დაუწყო ლანძღვა-გინება თავის მტერს, კოლეგა შაპშუს, რომელმაც კვლავ დაწერა სტატია ამა და ამ ძველი ხვლიკის ამა და ამ ძვლის დანიშნულების შესახებ. სისულელეზე აგებული მთელი ეს სტატია სისულელის გარდა არაფერს შეიცავდა და სულელებისთვის იყო დაწერილი...

ძია კაანი ყველას სულელს ეძახდა. სულელები იყვნენ მისი კოლეგები კათედრაზე - ზოგი მონდომებული სულელი, სხვა გაზარმაცებული. დაბადებითვე რეგვენი ასისტენტები კი მთაში პირუტყვს უნდა მწყემსავდნენ, თანაც რაც მართალია მართალია, კაცმა არ იცის, ამასაც თუ გაართმევენ თავს. ხოლო რაც შეეხება სტუდენტებს, ახალგაზრდობა ახლა თითქოს გამოცვალესო, სტუდენტებად მაინც ყველაზე რჩეული სულელები მოდიან, რომლებიც ყაირათიან მეწარმეს დაზგებთან არ მიუშვია, ხოლო მცოდნე მეთაურს უარი უთქვამს ჯარისკაცად მიღებაზე. ასე რომ, ნამარხი ცხოველების შემსწავლელი მეცნიერების ბედ-იღბალი წინასწარ განწირულია... გაი მაინცდამაინც არ წუხდა. ამაზე, ეშმაკსაც წაუღია ნამარხები, ახლა მათი დრო არ არის, და საერთოდ გაუგებარია, ვის შეიძლება ეს მეცნიერება ოდესმე გამოადგეს. მაგრამ რადას ძალიან უყვარდა ძია და მუდამ მასთან ერთად აძრწუნებდა კოლეგა შაპშუს სისულელე და წუხდა, რომ უნივერსიტეტის ხელმღვანელობა სახსრებს არ გამოყოფს ექსპედიციების მოსაწყობად...

თუმცა დღეს სხვა თემაზე საუბრობდნენ. რადამ, რომელსაც, მასარაკშ, შირმის იქით მაინც ყველაფერი ესმოდა, უეცრად ჰკითხა ძიას, რით განსხვავდებიან გადაგვარებულები ჩვეულებრივი ადამიანებისგანო. გაიმ რისხვით

შეხედა მაკს და რადას შესთავაზა ნათესავებსა და ახლობლებს მადას ნუ უფუჭებ, უმჯობესია ლიტერატურა იკითხოო. მაგრამ ძიამ განაცხადა, რომ ეს ლიტერატურა სულელთა შორის უსულელესთვისაა დაწერილი, რომ საზოგადოებრივი განათლების დეპარტამენტში მყოფთ ყველა მათსავით სულელი ჰგონიათ; რომ გადაგვარებულების საკითხი არც ისე მარტივი და უმნიშვნელოა, როგორც ცდილობენ წარმოადგინონ გარკვეული საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, და ჩვენ ან კულტურული ადამიანები უნდა ვიყოთ, ან ისეთები, როგორიც ჩვენი რიხიანი, მაგრამ - აფსუს! - ნაკლებგანათლებული ოფიცრები არიან ყაზარმებში. მაკმა შესთავაზა მრავალფეროვნებისათვის კულტურული ადამიანები ვიყოთო. ძიამ კიდევ დალია სირჩა არაყი და დაიწყო ლაპარაკი ამჟამად სამეცნიერო წრეებში გავრცელებულ თეორიაზე, რომ გადაგვარებულები სხვა არაფერია, თუ არა ახალი ბიოლოგიური სახეობა, რომელიც მსოფლიოში რადიოაქტიური გამოსხივების შედეგად გაჩნდა.

- გადაგვარებულები უდავოდ საშიში ხალხია, - ამბობდა თითაწეული ძია. - ბევრად უფრო საშიში, ვიდრე შენ გგონია, გაი, ისინი იბრძვიან, რათა ადგილი მოიპოვონ ამ მსოფლიოში, თავისი სახეობის არსებობისათვის იბრძვიან და ეს ბრძოლა არავითარ სოციალურ პირობებზე არ არის დამოკიდებული და მხოლოდ მაშინ დამთავრდება, როცა ბიოლოგიური ისტორიის ასპარეზს დატოვებს უკანასკნელი ადამიანი, ან უკანასკნელი მუტანტი - გადაგვარებული. ხონტიური ოქრო სისულელეა! - ყვიროდა გამძვინვარებული პროფესორი. - დივერსიები საბალისტო თავდაცვის წინააღმდეგ უაზრობაა! გაიხედეთ ცისფერი გველის გაღმა, ბატონებო! მდინარე ცისფერი გველის გაღმა! აი საიდან მოდის ნამდვილი საფრთხე. აი საიდან დაიძვრებიან ადამიანის მსგავსი ურჩხულების უსასრულო კოლონები, რათა გაგვთელონ და გაგვაცამტვერონ! შენ ბრმა ხარ, გაი. შენი მეთაურებიც დაბრმავებულან! ვიხსნათ ცივილიზაცია! ერთი რომელიმე ხალხი კი არა, ჩვენი დედები და შვილები კი არა, არამედ მთელი კაცობრიობა!...

გაი გაბრაზდა და თქვა, კაცობრიობის ბედ-იღბალი ნაკლებად მაღელვებსო, ამ კაბინეტური ბოდვის არ მჯერაო. და ვინმე რომ მეტყოდეს, არის საშუალება ველური გადაგვარებულები ჩვენი ქვეყნის გვერდის ავლით ხონტის წავუსიოთ, მთელ სიცოცხლეს ამას შევალევდიო. პროფესორი კვლავ გაცოფდა და გაუმეორა, ბრმაზე ბრმა ხარო. ცეცხლოვანი შემოქმედნი მართლაც წამე-

ბულნი ყოფილან: ნამდვილად უთანაბრო ბრძოლას ეწევიან, თუ მხოლოდ შენნაირი უბადრუკი, ბრმა აღმასრულებლები ჰყავთო.

გაიმ გადაწყვიტა, არ შეკამათებოდა. ძიას პოლიტიკის არაფერი გაეგებოდა და გარკვეული თვალსაზრისით თავად იყო ნამარხი ცხოველი. მაკი შეეცადა, ჩარეულიყო და ცალხელა გადაგვარებულზე ჩამოეგდო სიტყვა, მაგრამ გაიმ აღკვეთა სამსახურებრივი საიდუმლოს გავრცელების ყოველგვარი ცდები და რადას უთხრა, მეორე მოიტანეო. მაკს კი უბრძანა, ტელევიზორი ჩაერთო. დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობთ, თქვა მან. ცოტათი მაინც დაასვენეთ დათხოვილი ჯარისკაცი.

მაგრამ გონება აღგზნებული ჰქონდა, ტელევიზორში რაღაც სისულელეს უჩვენებდნენ, გაიმ თავი ვერ შეიკავა და ველურ გადაგვარებულებზე დაიწყო ლაპარაკი ზოგი რამ იცოდა მათზე - მადლობა ღმერთს, სამი წელი ებრძოდა, ზურგში კი არ იჯდა ზოგიერთი ფილოსოფოსივით... რადა მოხუცს გამოესარჩლა და გაის ტრაბახა უწოდა, მაგრამ ძიამ და მაკმა რატომღაც მას დაუჭირეს მხარი და სთხოვეს განაგრძეო. გაიმ განაცხადა, ამის მეტს კრინტს არ დავძრავო. ჯერ ერთი, მართლაც ნაწყენი იყო, ხოლო მეორე, მეხსიერებაში რომ იფათურა, ვერაფერი იპოვა ისეთი, ბებერი ლოთის მონაჩმახი რომ გაექარწყლებინა. შემდეგ გაახსენდა რას ყვებოდა ერთხელ სიკვდილმისჯილთა ასმეთოთხმეტე ჯგუფის ზემდეგი ზეფი, და სიამოვნებით გააცნო ეს თეორია ძიას. წითურსიფათიანი ზეფი ამბობდა, გადაგვარებულები იმიტომ არიან ერთ ამბავში, რომ მათ ავიწროებს რადიოაქტიური უდაბნო და ამ საცოდავებს სხვა გზა არა აქვთ და იძულებული არიან, ბრძოლით გაიკაფონ გზა რადიოაქტიურობისაგან თავისუფალ რაიონებშიო.

- ვინ გიამბო ეს? - ჰკითხა ძიამ ზიზღით. - რომელ ხისთავას მოუვიდა აზრად ესოდენ პრიმიტიული რამ?

გაიმ ნიშნის მოგებით შეხედა და მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა:

- ასე ფიქრობს ვინმე ალუ ზეფი, ჩვენი უდიდესი ფსიქიატრი.

- ნეტა სად შეხვედრიხარ მაინც? - უფრო მეტი ზიზღით ჰკითხა ძიამ. - ასეულის სამზარეულოში ხომ არა?

გაის ცხელ გულზე უნდოდა ეთქვა, სადაც შეხვედროდა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა, მედიდური იერი მიიღო და ხაზგასმული ყურადღებით მიაჩერდა ტელევიზორის დიქტორს, რომელიც ამინდის პროგნოზს გადმოსცემდა.

და ამ დროს საუბარში, მასარაკშ, კვლავ ეს მაკი ჩაეჩხირა.

- მზად ვარ ვაღიარო, - განაცხადა. მან, - რომ ეს სამხრეთელი ურჩხულები რაღაც ახალი ჯიშის ადამიანები არიან, მაგრამ რა არის საერთო, მაგალითად, მათსა და სახლის მფლობელ რენადუს შორის? რენადუც გადაგვარებულად ითვლება, მაგრამ აშკარაა, ის ახალს კი არა, პირდაპირ გეტყვით, ძალიან ძველი ჯიშის ადამიანებს განეკუთვნება...

გაის ამაზე არასდროს უფიქრია, ამიტომაც ძალიან გაუხარდა, რომ ძია გამოეხმაურა ამ შეკითხვას. ძიამ მაკს შტერი უწოდა და დაიწყო განმარტება, რომ ფარული გადაგვარებულები ანუ ქალაქელი გადაგვარებულები სხვა არაფერია, თუ არა ჩვენს ცენტრალურ რაიონებში ჯერ კიდევ აკვანშივე სრულიად განადგურებული ახალი სახეობის ნაშთები, რომლებიც გადარჩნენ არსებობისათვის ბრძოლაში... ახლაც ახსოვს ეს საშინელებანი. მათ გაჩენისთანავე ხოცავდნენ ზოგჯერ დედებთან ერთად... გადარჩნენ მხოლოდ ისინი, რომლებსაც გარეგნულად სულ არ ეტყობათ ახალი სახეობის ნაშთები... ძია კაანმა მეხუთე სირჩაც გადაკრა, აიწყვიტა და მსმენელების წინაშე განავითარა მოსახლეობის მთლიანი ტოტალური სამედიცინო გამოკვლევის მწყობრი გეგმა, რაც ადრე თუ გვიან გარდუვალი გახდება და სჯობს ადრე, ვიდრე გვიან. და არავითარი გამონაკლისი! არავითარი გამოსარჩლება! სარეველა ბალახი უმოწყალოდ უნდა გამოიმარგლოს...

ამით დამთავრდა სადილი. რადა ჭურჭლის რეცხვას შეუდგა, ძიამ, შემოპასუხებისათვის არ დაუცდია ისე, გამარჯვებულის იერით შეათვალიერა ყველა, თავი დაუცო მათარას, თან წაიღო და გასვლისას წაიბუზღუნა, მივდივარ, რათა იმ სულელ შაპშუს პასუხი მივწეროო, რატომღაც სირჩაც წაიძღვანია. გაიმ შეხედა მიმავალს - მის გაცვეთილ პიჯაკს, ძველ, დაკერებულ შარვალს, დაკემსილ წინდებსა და მოღრეცილ ფეხსაცმელებს - და შეებრალა მოხუცი. დაწყევლილი ომი! წინათ მთელი ეს ბინა ძიას ეკუთვნოდა, ჰყავდა მოსამსახურეები, ცოლი, შვილი, ჰქონდა დიდებული ჭურჭელი, ბევრი ფული, სადღაც მამულიც ჰქონდა, ახლა კი რა დარჩა: მხოლოდ მტვრიანი, წიგნებით გატენილი კაბინეტი, რომელიც ერთსა და იმავე დროს საძილე ოთახიცაა, გაცვეთილი ტანსაცმელი, მარტოობა, მივიწყება... ასეა. ერთადერთი სავარძელი ტელევიზორთან მისწია, გაიშხლართა და ნახევრადმთვლემარემ ეკრანს დაუწყო ცქერა. მაკი ერთხანს მის გვერდით იჯდა, შემდეგ თვალის დახამხამება-

ში და უხმაუროდ, როგორც მხოლოდ მას შეეძლო, გაქრა და უკვე სხვა კუთხეში აღმოჩნდა. ერთხანს გაის მომცრო ბიბლიოთეკაში იქექებოდა, რაღაც სახელმძღვანელო აირჩია, ტანსაცმლის კარადას მიეყრდნო და ფეხზე მდგომმა დაუწყო ფურცვლა, რადამ სუფრა აალაგა, გაის გვერდით ჩამოჯდა და ქსოვას შეუდგა თან ცალ თვალს ეკრანისაკენ აპარებდა. სახლში მყუდროება, სიმშვიდე, კმაყოფილება გამეფდა. გაიმ წათვლიმა.

დაესიზმრა სისულელე: თითქოს ორი გადაგვარებული დაიჭირა რაღაც რკინის გვირაბში, დაკითხვა დაუწყო და უეცრად აღმოაჩინა რომ ერთ-ერთი გადაგვარებული მაკია, ხოლო მეორე ნაზე და კეთილი ღიმილით მიმართავს გაის: „შენ წამდაუწუმ ცდებოდი, ჩვენთანაა შენი ადგილი, ხოლო როტმისტრი პროფესიული მკვლელია და სხვა არაფერი, და არც პატრიოტიზმის გაეგება რამე, არც ნამდვილი ერთგულებისა. მას უბრალოდ მოსწონს ხოცავდეს ადამიანებს, როგორც შენ მოგწონს კრევეტების წვნიანი…“ და გაი უეცრად სულის შემხუთავმა ეჭვმა აიტანა, იგრძნო, რომ აი ახლა ბოლომდე გაიგებს ყველაფერს, კიდევ წამი - და არაფერი არ დარჩება გაუგებარი. ეს უჩვეულო მდგომარეობა იმდენად მტანჯველი იყო, რომ გული გაუჩერდა და გამოეღვიძა.

მაკი და რადა ჩუმად ლაპარაკობდნენ რაღაც სისულელეზე - ზღვაში ბანაობაზე, ქვიშაზე, ნიჟარებზე... ის არ უსმენდა. უეცრად გაიფიქრა: ნუთუ შეიძლება მას რაიმე ეჭვები ჰქონდეს, ყოყმანობდეს, მერყეობდეს? სიზმარში ხომ ეჭვობდა... ხომ არ ნიშნავს, რომ მსგავს სიტუაციაში სინამდვილეშიც დაეჭვდებოდა? ერთხანს ცდილობდა თავისი სიზმრის ყველა დეტალი გაეხსენებინა, მაგრამ სიზმარი ხელიდან უსხლტებოდა, როგორც სველი საპონი სველი ხელებიდან, იდღაბნებოდა და ბოლოს და ბოლოს, თითქოს არც ყოფილაო, და გაიმ შვებით გაიფიქრა, ყოველივე ეს სისულელეაო. და როცა რადამ შეამჩნია, რომ არ ეძინა და ჰკითხა, როგორ გგონია, რა სჯობია - ზღვა თუ მდინარეო. მან ჯარისკაცურად ბებერ დოგასავით უპასუხა: „ყველაფერს კარგი აბანო სჯობია“.

ტელევიზორში უჩვენებდნენ „სახეებს“. მოსწყინდათ. გაიმ შესთავაზათ ლუდი დავლიოთო. რადა სამზარეულოში წავიდა და მაცივრიდან ორი ბოთლი მოიტანა. ლუდს სვამდნენ და მასლაათობდნენ აქეთურზე, იქეთურზე და როგორღაც საქმეებს შორის გაირკვა, რომ მაკმა უკანასკნელ ნახევარ საათში

შეისწავლა გეოპოლიტიკის სახელმძღვანელო. რადა აღტაცებული დარჩა. გაიმ არ დაიჯერა: ასე ცოტა ხანში შეიძლება გადაფურცლო სახელმძღვანელო, შეიძლება წაიკითხო კიდეც, ოღონდ მხოლოდ მექანიკურად, ისე რომ, ვერაფერი გაიგოო. მაკმა შესთავაზა, გამომცადეო. გაიმ სახელმძღვანელო მოითხოვა. სანაძლეო დადეს: წაგებული ძია კაანთან უნდა წასულიყო და განეცხადებინა: კოლეგა შაპშუ ჭკვიანი კაცი და ჩინებული მეცნიერიაო. გაიმ ალალბედზე გადაშალა სახელმძღვანელო, თავის ბოლოში საკონტროლო კითხვები აღმოაჩინა და ჰკითხა: „რაში გამოიხატება ჩრდილოეთში ჩვენი სახელმწიფოს ექსპანსიის კეთილშობილება?“ მაკმა თავისი სიტყვებით უპასუხა, რომლებიც ძალიან ახლოს იყო ტექსტთან და დასძინა, ვფიქრობ, ზნეობრივი კეთილშობილება აქ არაფერ შუაშია. საქმე ის არის, რომ ხონტისა და პანდეას აგრესიული რეჟიმები აქვთო. გაიმ ორივე ხელით მოიფხანა კეფა, თითი გაილოკა, რამდენიმე ფურცელი გადაშალა და ჰკითხა: „როგორია მარცვლეულის საერთო მოსავალი ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში?“ მაკმა გაიცინა და თქვა, ჩრდილო-დასავლეთ რაიონებზე მონაცემები არ არისო. მისი გამოჭერა არ მოხერხდა: გახარებულმა რადამ გაის ენა გამოუყო. „როგორია ხვედრითი დემოგრაფიული სიმჭიდროვე ცისფერი გველის შესართავში?“ - ჰკითხა გაიმ. მაკმა დაასახელა ციფრი, დაასახელა ცთომილება და არ დაუყოვნებია განეცხადებინა, დემოგრაფიული სიმჭიდროვის ცნება ბუნდოვნად მიმაჩნიაო. ყოველ შემთხვევაში, არ მესმის, რატომ შემოიღესო. ის იყო გაიმ განმარტება დაუწყო, დემოგრაფიული ზემოქმედება აგრესიულობის საზომიაო, მაგრამ ამ დროს რადა ჩაერია. მან თქვა, გაი სიტყვას ბანზე აგდებს და თავი უნდა აარიდოს გამოცდის გაგრძელებას, რადგანაც ხედავს, საქმე ცუდად აქვსო.

გაის ძალიან არ უნდოდა ძია კაანთან წასვლა და, დროის გასაჭიანურებლად კამათი დაიწყო. მაკი ერთხანს უსმენდა, შემდეგ კი უცებ სრულიად უსაბაბოდ განაცხადა, რადამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიწყოს კვლავ ოფიციანტად მუშაობა, უნდა ისწავლოსო. თემის შეცვლით გახარებულმა გაიმ შესძახა, ათასჯერ ვუთხარი ეს და ვურჩიე ლეგიონის ქალთა კორპუსში შესულიყო, სადაც მისგან ნამდვილად სასარგებლო ადამიანს გამოიყვანენო. მაგრამ ახალი საუბარი არ აეწყო. მაკმა მხოლოდ თავი გაიქნია, ხოლო რადამ, როგორც წინათ, ქალთა კორპუსი მეტად აგდებულად მოიხსენია.

გაი არ შესდავებია. სახელმძღვანელო დააგდო, კარადა გააღო, გიტარა გა-

მოიღო და აწყობას შეუდგა. რადამ და მაქსიმმა მაშინვე გასწიეს მაგიდა და ერთმანეთის წინ დადგნენ, რათა „კი-კი, არა-არა“ ეცეკვათ. გაიმ მათთვის დაუკრა „კი-კი, არა-არა“. თან კაკუნსა და ჟღარუნს აყოლებდა. უყურებდა, როგორ ცეკვავდნენ ისინი და ფიქრობდა, ჩინებული წყვილია, ოღონდ საცხოვრებელი ადგილი არა აქვთ და თუ დაქორწინდებიან, სულ უნდა გადავსახლდე ყაზარმაშიო. მერე რა, ყაზარმებში ბევრი კაპრალი ცხოვრობს... თუმცა მაკს არ ეტყობა, დაქორწინებას აპირებდეს. ის უფრო ისე როგორც მეგობარს, ოღონდ მეტი სინაზითა და მოწიწებით, რადა კი, რა დასამალია და, ჩამწვარია. ან თვალები როგორ უბრწყინავს! მოდი და ნუ ჩაიწვები ასეთ ბიჭში! ლამის მადამ გოც გადარიოს, თუმცა ბებრუხანაა, სამოცს გადაცილებული, მაკი დერეფანში რომ გაივლის, კარს გამოაღებს, თავს გამოყოფს და იკრიჭება. ეშმაკმა იცის, რატომ, მაგრამ მაკი მთელ სახლს უყვარს, ბიჭებსაც კი, მხოლოდ ბატონი როტმისტრი უყურებს ალმაცერად... მაგრამ არც ეს უარყოფს, რომ ბიჭი კი არა, ცეცხლია.

წყვილი ქანცის გაწყვეტამდე ცეკვავდა. მაკმა გაის გიტარა გამოართვა, თავისებურ უცნაურ ყაიდაზე ააწყო და თავისი უცნაური მთიულური სიმღერები დაამღერა. ათასი სიმღერაა და ყველა უცნობი. და ყოველთვის რაღაც ახალი. და აი, რა არის უცნაური: ვერც ერთ სიტყვას ვერ გაიგებ, მაგრამ უსმენ და ხან გინდა იტირო, ხან - მოულოდნელად იხარხარო... რადამ უკვე დაიმახსოვრა ზოგიერთი სიმღერა და ცდილობდა აჰყოლოდა. განსაკუთრებით მოსწონდა სასაცილო სიმღერა (მაკმა უთარგმნა) ქალიშვილზე, რომელიც მთაზე ზის და შეყვარებულს ელოდება, შეყვარებული კი ვერა და ვერ ახერხებს მოსვლას - ხან რა უშლის ხელს და ხან რა... გიტარისა და სიმღერის გამო ვერ გაიგეს, რომ შემოსასვლელ კარზე ზარმა გაიწკრიალა. გაისმა კაკუნი და ოთახში ბატონ როტმისტრ ჩაჩუს შიკრიკი შემოვარდა.

- ბატონო კაპრალო! ნება მიბოძეთ, მოგმართოთ! - იღრიალა, თან ცერად რადას უყურებდა.

მაკმა დაკვრა შეწყვიტა. გაიმ თქვა:

- მომმართეთ.

- ბატონმა როტმისტრმა გიბრძანათ, თქვენ და კანდიდატი სიმი სასწრაფოდ გამოცხადდეთ ასეულის კანცელარიაში. მანქანა დაბლა გიცდით.

გაი წამოხტა.

- წადით, - თქვა მან. - მანქანაში დაგველოდეთ. ახლავე ჩამოვალთ. სწრაფად ჩაიცვი, - უთხრა მაქსიმს.

რადამ გიტარა ისე დაიკავა ხელში, თითქოს ბავშვიაო, და ზურგშექცეული ფანჯარასთან დაჯდა.

გაი და მაკი საჩქაროდ იცვამდნენ.

- როგორ გგონია - რისთვის გვეძახიან? - ჰკითხა მაკმა,

-აბა, მე რა ვიცი? - წაიბუზღუნა გაიმ. - შეიძლება საწვრთნელი განგაში დაიწყოს...

- არ მომწონს ეს ამბავი, - თქვა მაკმა.

გაიმ მას შეხედა და ყოველ შემთხვევისათვის რადიო ჩართო. რადიოთი გადმოსცემდნენ ყოველდღიურ „საქმიანი ქალების ჭორებს“.

მათ ჩაიცვეს, ქამრები შემოიჭირეს და გაიმ თქვა:

- აბა, შენ იცი, რადა, ჩვენ წავედით.

- წადით, - მოუბრუნებლად უთხრა რადამ.

- წავიდეთ, მაკ, - თქვა გაიმ და ბერეტი ჩამოიფხატა.

- დამირეკეთ, - უთხრა რადამ, რომელიც არც ახლა მობრუნებულა, - თუ დაგაგვიანდეთ, აუცილებლად დამირეკეთ...

შიკრიკმა გაის თავაზიანად გაუღო კარი. ჩასხდნენ და წავიდნენ. ეტყობოდა, სასწრაფო საქმე ჰქონდათ: მძღოლმა სირენა ჩართო მთელი ხმით და ისე მიქროდა. გაიმ სინანულით გაიფიქრა, რომ დაიკარგა საღამო, იშვიათი, კარგი საღამო, მყუდრო, ოჯახური, უზრუნველი. რას იზამ, ასეთია ლეგიონერის ცხოვრება. ახლა ბრძანებენ: ავტომატი აიღე და ისროლეო, ეგრევე, მიყოლებით, ლუდის, მყუდრო პიჟამოს, გიტარაზე სიმღერების შემდეგ. ასეთია ლეგიონერის სანაქებო ცხოვრება საუკეთესო ყველა შესაძლებელ ცხოვრებას შორის და არც შეყვარებულები გვჭირდება, არც ცოლები, და მაკი მართალია, რომ არ უნდა რადას შერთვა. თუმცა ცოდვა კია ჩემი და, რა თქმა უნდა... არაფერია, დაუცდის. თუ უყვარს, დაუცდის...

მანქანა მოედანზე ავარდა და ყაზარმის შესასვლელთან შედგა. გაი გადმოხტა, საფეხურები აირბინა. კანცელარიის კარის წინ შეჩერდა, ბერეტი და ბალთა შეისწორა, სწრაფად შეათვალიერა მაკი, საყელოზე ღილი შეუკრა - მასარაკშ, მუდამ გახსნილი აქვს! და დააკაკუნა.

- შემოდით! - გაისმა ნაცნობი ჩხავილი.

გაი შევიდა და წარუდგა. ბატონ როტმისტრ ჩაჩუს მაუდის მოსასხამი მოეხურა და ქუდიანად იჯდა თავის მაგიდასთან, სიგარეტს ეწეოდა და ყავას სვამდა; წინ ნამწვავებით სავსე ჭურვის გილზა ედო. გვერდით მაგიდაზე ორი ავტომატი ეწყო. ბატონი როტმისტრი ნელა წამოდგა, ორივე ხელით მძიმედ დაეყრდნო მაგიდას, მაკს მიაჩერდა და დაიწყო:

- კანდიდატო სიმ! შენ თავი გამოიჩინე როგორც უზადო მეომარმა და ერთგულმა მებრძოლმა ამხანაგმა... ბრიგადის მეთაურის წინაშე გიშუამდგომლე ვადამდე მოგანიჭონ მებრძოლი ლეგიონის ნამდვილი რიგითის წოდება. ცეცხლით გამოცდა სრული წარმატებით ჩააბარე. რჩება უკანასკნელი გამოცდა - სისხლით გამოცდა…

გაის სიხარულისაგან გული აუჩქროლდა. არ მოელოდა, რომ ეს ასე მალე მოხდებოდა. „ყოჩაღ, როტმისტრო! აი, რას ნიშნავს ძველი მეომარი! მე კი სულელმა წარმოვიდგინე, მაკს სამარეს უთხრის-მეთქი…“ გაიმ მაკს შეხედა და სიხარული რამდენადმე გაუნელდა. მაკს სახე სრულიად გახევებოდა, თვალები დაექაჩა, ყველაფერს წესდების თანახმად აკეთებდა, მაგრამ სწორედ ახლა შეიძლებოდა, ასე მკაცრად არ დაეცვა წესდება.

- აი ბრძანება, კანდიდატო სიმ, - თქვა შემდეგ ბატონმა როტმისტრმა და მაკს ფურცელი გაუწოდა. - ეს პირველი წერილობითი ბრძანებაა პირადად შენდამი. ვიმედოვნებ, უკანასკნელი არ იქნება, წაიკითხე და ხელი მოაწერე.

მაკმა ბრძანება აიღო და გადახედა. გაის კვლავ შეუტოკდა გული, მაგრამ უკვე სიხარულისაგან კი არა, არამედ რაღაც მძიმე წინათგრძნობისაგან. მაკს წინანდელივით გაქვავებული სახე ჰქონდა, ყველაფერი თითქოს და რიგზე იყო, მაგრამ ის ცოტათი შეყოვნდა, სანამ კალამს აიღებდა და ხელს მოაწერდა ბატონმა როტმისტრმა ხელმოწერა შეამოწმა და ქაღალდი პლანშეტში ჩადო.

- კაპრალო გაალ, - თქვა და მაგიდიდან დაბეჭდილი კონვერტი აიღო, - საყარაულო შენობაში წადი და სასჯელმისჯილნი მოიყვანე. - ავტომატი აიღე... არა, არა, აი ეს, კიდეზე რომ დევს.

გაიმ კონვერტი აიღო, ავტომატი მხარზე გადაიკიდა, ზურგისაკენ შეტრიალდა და კარს მიაშურა. მან გაიგონა, როგორ უთხრა ბატონმა როტმისტრმა მაკს:

- არაფერია, კანდიდატო, ნუ გეშინია. ეს მხოლოდ პირველადაა საშინელი...

გაი პლაცზე სირბილით გავარდა ბრიგადის საპატიმროს შენობისკენ, ყარაულის უფროსს კონვერტი გადასცა, ხელი მოაწერა, სადაც საჭირო იყო, თვითონაც მიიღო საჭირო ხელმოწერები და სასჯელმისჯილნი გამოუყვანეს. ესენი იყვნენ წეღანდელი შეთქმულნი - ჩასუქებული ძიაკაცი, რომელსაც მაკმა თითები გადაუგრიხა, და ქალი, მასარაკშ, ესღა აკლდა. ქალი - ეს სწორედ რომ მეტისმეტია... ეს მაკის საქმე არაა... დაპატიმრებულები პლაცზე გამოიყვანა და ყაზარმისაკენ გარეკა. კაცი ძლივს მიათრევდა ფეხებს და სულ ეფერებოდა თავის ხელს, ხოლო ქალი ჭოკივით ამართული მიაბიჯებდა, ხელები ღრმად ჩაეწყო ჟაკეტის ჯიბეებში, და თითქოს არც არაფერს ხედავდა, არც არაფერი ესმოდა. მასარაკშ, მაინც რატომ არ არის მაკის საქმე? დალახვროს ეშმაკმა ეს დედაკაცი ისეთივე ქვეწარმავალია, როგორც კაცი, რატომ უნდა მივცეთ მას რაიმე შეღავათი? და, მასარაკშ, რატომ უნდა მიეცეს რაღაც შეღავათი კანდიდატ სიმს? შეეჩვიოს მასარაკშ და მასარაკშ!...

ბატონი როტმისტრი და მაკი უკვე მანქანაში ისხდნენ. ბატონი როტმისტრი საჭესთან იჯდა. მაკი, რომელსაც მუხლებშუა ავტომატი ჩაედო, უკანა სკამზე მოკალათებულიყო, მან კარი გააღო და სასჯელმისჯილნი მანქანაში შემოვიდნენ. „იატაკზე!“ - ბრძანა გაიმ. ისინი მორჩილად დასხდნენ რკინის იატაკზე, ხოლო გაი მაკის მოპირდაპირე სკამზე ჩამოჯდა, შეეცადა, მისი გამოხედვა დაეჭირა, მაგრამ მაკი სასჯელმისჯილთ უყურებდა. არა, ის უყურებდა იმ დედაკაცს, რომელსაც მუხლებზე ხელები შემოეხვია და იატაკზე მოკუნტულიყო. ბატონმა როტმისტრმა შემოუბრუნებლად თქვა: „მზად ხართ?“ - და მანქანა დაიძრა.

გზად არ ლაპარაკობდნენ. ბატონი როტმისტრი მანქანას საოცარი სიჩქარით მიაქროლებდა - ეტყობოდა, უნდოდა ყველაფერი შებინდებამდე დაემთავრებინა, ან რას უნდა დალოდებოდა... მაკი თვალს არ აშორებდა ქალს, თითქოს უნდოდა მისი მზერის დაჭერა, გაი კი სულ ცდილობდა მაკის თვალებში ჩაეხედა. სასჯელმისჯილნი ერთმანეთს ჩასჭიდებოდნენ და იქითაქეთ ასკდებოდნენ. სქელ-სქელი შეეცადა გამოლაპარაკებოდა დედაკაცს, მაგრამ გაიმ დაუცაცხანა. მანქანა ქალაქს გასცდა, სამხრეთი საგუშაგო გაიარა და მაშინვე გადაუხვია მიტოვებულ დაბაში, ნაცნობ, ძალიან ნაცნობ დაბაში, რომელიც ვარდისფერი გამოქვაბულისაკენ მიემართებოდა. მანქანა ოთხივე ბორბლით ხტოდა, მაკს არ სურდა ახედვა, ეს ნახევრადმიცვალებულნი კი,

უმოწყალო ნჯღრევისათვის თავი რომ დაეღწიათ, წამდაუწუმ მუხლებზე ებღაუჭებოდნენ. ბოლოს და ბოლოს გაიმ ვერ მოითმინა და ჩასუქებულ ქვეწარმავალს ნეკნებქვეშ უთაქა ჩექმა, მაგრამ არც ამან გაჭრა - ის მაინც ებღაუჭებოდა ხოლმე. ბატონმა როტმისტრმა ერთხელ კიდევ შეუხვია, მკვეთრად დაამუხრუჭა, და მანქანა ნელა, ფრთხილად ჩაგორდა კარიერში. ბატონმა როტმისტრმა ძრავა გამორთო და ბრძანა: „გადმოდით!“

უკვე დაახლოებით თვრამეტი საათი იყო, კარიერში საღამოს მსუბუქი ნისლი გროვდებოდა, გამოფიტულ ქვის კედლებს ვარდისფერი დაჰკრავდა ოდესღაც აქ მარმარილოს მოპოვება ხდებოდა. ნეტა ვიღას სჭირდება ახლა ეს მარმარილო?

საქმე დასასრულს უახლოვდებოდა. მაკს კვლავინდებურად თავი ისე ეჭირა, როგორც იდეალურ ჯარისკაცს: არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, გულგრილი და გახევებული სახე, ბრძანების მოლოდინში უფროსისკენ მიპყრობილი თვალები. ჩასუქებული კაცი კარგად, ღირსეულად იქცეოდა. ეტყობა, ის საქმეს არ გააჭიანურებდა. მაგრამ დედაკაცი სულ მთლად მოიშალა. გამწარებული წარამარა მუშტებს იკრავდა და გაიმ იფიქრა, სადაცაა ისტერიკა დაემართებაო. მაგრამ დასჯის ადგილისაკენ, ეტყობა, ხელით სათრევი მაინც არ გახდება.

ბატონმა როტმისტრმა სიგარეტს მოუკიდა, ცას ახედა და მაკს უთხრა:

- ამ ბილიკით წაიყვანე. გამოქვაბულამდე მიხვალ - თვითონ ნახავ, სად დააყენო. რომ დაამთავრებ, აუცილებლად შეამოწმე და თუ საჭიროდ ცნო, საკონტროლო სროლით მოუღე ბოლო. იცი, რა არის საკონტროლო სროლა?

- დიახ, - თქვა მაკმა გახევებული სახით.

- ტყუი, არ იცი, თავში უნდა ესროლო, იმოქმედე, კანდიდატო. უკან ნამდვილ რიგითად დაბრუნდები.

- თუ თქვენს შორის ერთი ადამიანი მაინც ურევია, - აღმოხდა უცებ ქალს, - აცნობეთ დედაჩემს... იხვის დასახლება, ნომერი ორი... აქვეა... მას ჰქვია...

- თავს ნუ იმცირებ, - ბოხი ხმით წარმოთქვა ჩასუქებულმა.

- მას ჰქვია ილი ტადერი.

- თავს ნუ იმცირებ, - ხმა აიმაღლა ჩასუქებულმა, და ბატონმა როტმისტრმა მოკლედ ატაკა მუშტი სახეში. ჩასუქებულმა ლოყაზე იტაცა ხელი, დადუმდა, და სიძულვილით შეხედა ბატონ როტმისტრს.

- იმოქმედე, კანდიდატო, - გაიმეორა ბატონმა როტმისტრმა.

მაკი სიკვდილმისჯილთ მიუბრუნდა და ავტომატით ანიშნა, წადითო. სიკვდილმისჯილნი ბილიკს დაადგნენ. ქალი მოტრიალდა და კიდევ ერთხელ შესძახა:

- იხვის დასახლება, სახლი ორი, ილი ტადერი!

ავტომატმოღერებული მაკი უკან მიჰყვებოდა მათ. ბატონმა როტმისტრმა კარი გამოაღო, გვერდულად მიუჯდა საჭეს. ფეხები გაჭიმა და თქვა:

-ესეც ასე, თხუთმეტი წუთი დავიცადოთ.

-დიახ, ბატონო როტმისტრო, - ანგარიშმიუცემლად თქვა გაიმ.

იგი უყურებდა მიმავალ მაკს, სანამ მთელი ჯგუფი მოვარდისფრო შვერილს არ ამოეფარა. „უკან დაბრუნებისას ერთი ბოთლი უნდა ვიყიდო, - გაიფიქრა. - დათვრეს. ამბობენ, შველისო“.

- შეგიძლია მოსწიო, კაპრალო, - თქვა ბატონმა როტმისტრმა.

- გმადლობთ, ბატონო როტმისტრო, არ ვეწევი.

ბატონმა როტმისტრმა შორს გადააპურჭყა.

- არ გეშინია, იმედი გაგიცრუოს შენმა მეგობარმა?

- არა... - გაუბედავად თქვა გაიმ. - თუმცა, თქვენი ნებართვით, ძალიან ვწუხვარ, რომ ქალი შეხვდა. მაკი მთიელია, იქ კი, მათთან...

- ის ისეთივე მთიელია, როგორც მე და შენ, - თქვა ბატონმა როტმისტრმა. - და მთავარი აქ ქალები როდია... თუმცა, ვნახოთ. რას აკეთებდით, როცა გამოგიძახეთ?

- ვმღეროდით, ბატონო როტმისტრო.

- მაინც რას მღეროდით?

- მთის სიმღერებს, ბატონი როტმისტრო. მან ძალიან ბევრი სიმღერა იცის.

ბატონი როტმისტრი მანქანიდან გადმოვიდა და ბილიკზე ბოლთის ცემას მოჰყვა. მეტს აღარ ლაპარაკობდა ხოლო ათი წუთის შემდეგ „მარშის“ სტვენა დაიწყო. გაი სულ სროლის მოლოდინში იყო, მაგრამ სროლა არ ისმოდა. და ის აღელდა - მაკისგან გაქცევა წარმოუდგენელია, მისი განიარაღება კიდევ უფრო წარმოუდგენელი, მაშ, რატომ არ ისვრის? იქნებ ჩვეულებრივ ადგილზე მორს წაიყვანა? ჩვეულებრივ ადგილზე მეტისმეტად ყარს, ღრმად არ მარხავენ უღმერთოები. მას კი ძლიერი ყნოსვა აქვს... მარტო თავისი ზიზღიანობის გამო შეუძლია ზედმეტი ხუთი კილომეტრი გაიაროს...

- ესეც ასე... - თქვა როტმისტრმა და შეჩერდა. - მორჩა და გათავდა, კაპრალო გაალ. ვაითუ, შენი ძმაკაცი მეტად ვეღარ ვიხილოთ. და ვაი თუ, დღეს შენც უკანასკნელად გეძახით კაპრალს.

გაიმ გაოცებით შეხედა. ბატონი როტმისტრი ხითხითებდა.

- რა იყო, რას მიყურებ? რას დაგიჭყეტია თვალები ღორივით? შენი ძმაკაცი გაიქცა, დეზერტირია, ლაჩარია და მოღალატე! გასაგებია რიგითო გაალ?

გაი გაშტერებული იყო და არა იმდენად ბატონი როტმისტრის სიტყვების რამდენადაც მისი კილოს გამო. ბატონი როტმისტრი აღტაცებას არ ფარავდა. ბატონი როტმისტრი ზეიმობდა. ბატონ როტმისტრს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს დიდი სანაძლეო მოიგოო. გაიმ ანგარიშმიუცემლად გაიხედა კარიერის სიღრმისაკენ და უეცრად მაკი დაინახა. მარტო ბრუნდებოდა, ავტომატი ღვედით ეკავა.

- მასარაკშ! - დაიხრიალა ბატონმა როტმისტრმა. მანაც დაინახა მაკი და გამოშტერებული გამომეტყველება მიეცა.

ხმა არ ამოუღიათ, მხოლოდ უყურებდნენ, როგორ უახლოვდებოდათ მაკი აუჩქარებლად, მსუბუქდ მოაბიჯებდა ღორღზე, უყურებდნენ მის მშვიდ, კეთილ სახესა და უცნაურ თვალებს. გაის თავში ერთი დომხალი ჰქონდა: აკი სროლა არ ყოფილა... ნუთუ დაახრჩო... თუ კონდახით მოათავა... მან, მაკმა, ქალი? არა, სისულელეა... მაგრამ სროლა რომ არ ყოფილა...

ხუთ ნაბიჯზე შაკი შეჩერდა და, ბატონ როტმისტრს პირდაპირ სახეში შესცქეროდა ისე, ფეხებთან დაუგდო ავტომატი.

- მშვიდობით, ბატონო როტმისტრო, - თქვა მან. - მე გავუშვი ის უბედურები და ახლა თვითონაც ვაპირებ წასვლას. აი, თქვენი იარაღი, ესეც ტანსაცმელი... - გაის მიუბრუნდა და, ქამრის შეხსნა დაიწყო: - გაი, ეს უპატიოსნო საქმეა. ჩვენ მოგვატყუეს, გაი...

გაიხადა ჩექმები და კომბინიზონი, ყველაფერი ფუთად შეკრა და ისეთი დარჩა, როგორიც გაიმ პირველად დაინახა სამხრეთ საზღვარზე - თითქმის შიშველს მარტო ვერცხლისფერი ტრუსები შერჩენოდა და ახლა ფეხებზეც არაფერი ეცვა. მანქანასთან მივიდა და ფუთა რადიატორზე დადო. გაის შეეშინდა. ბატონ როტმისტრს შეხედა და კიდევ უფრო აიტანა შიშმა.

- ბატონო როტმისტრო! - დაიყვირა. - ნუ იზამთ! ის გაგიჟდა, კვლავ...

- კანდიდატო სიმ! - დაიჩხავლა ბატონმა როტმისტრმა, რომელსაც ხელი

პისტოლეტის ბუდეზე ედო. - დაუყოვნებლივ ჩაჯექით მანქანაში! თქვენ დაპატიმრებული ხართ.

- არა, - თქვა მაკმა. - თქვენ ეს მხოლოდ გეჩვენებათ. მე თავისუფალი ვარ. გაის წასაყვანად მოვედი. წავიდეთ, გაი! შენ მოგატყუეს. ესენი ბინძური ადამიანები არიან. წინათ ვეჭვობდი, ახლა დარწმუნებული ვარ. წავიდეთ.

გაიმ თავი გაიქნია. უნდოდა, რაღაც ეთქვა, რაღაც განემარტა, მაგრამ არც დრო ჰქონდა და ხმასაც ვერ იღებდა. ბატონმა როტმისტრმა პისტოლეტი იძრო.

- კანდიდატო სიმ! მანქანაში! - დაიჩხავლა მან.

- მოდიხარ თუ არა? - იკითხა მაკმა.

გაიმ კვლავ გაიქნია თავი. უყურებდა პისტოლეტს ბატონი როტმისტრის ხელში და მხოლოდ ერთზე ფიქრობდა: მაკს ახლა მოკლავენ. და აღარ იცოდა, რა ექნა.

- კარგი, - თქვა მაკმა. - მე შენ გიპოვი. ყველაფერს გავიგებ და გიპოვი. აქ შენი ადგილი არ არის... რადას აკოცე.

ამ სიტყვებზე შეტრიალდა და წავიდა, ისევე მსუბუქად მიაბიჯებდა ღორღზე, როგორც მაშინ, როცა ჩექმები ეცვა, ხოლო გაი, რომელსაც ციებცხელებიანივით აკანკალებდა, დამუნჯებული შეჰყურებდა ფართო სამკუთხა ზურგში და ელოდა, სადაცაა გაისვრიან და მარჯვენა ბეჭქვეშ შავ ნახვრეტს დავინახავო.

- კანდიდატო სიმ, - თქვა ბატონმა როტმისტრმა ხმის აუმაღლებლად. - გიბრძანებ დაბრუნდე. ვისვრი.

მაკი შეჩერდა და კვლავ მოუბრუნდა.

- მესვრით? - თქვა მან. - მე? რისთვის? თუმცა ეს სულ ერთია... აქეთ მომეცით პისტოლეტი.

ბატონმა როტმისტრმა, რომელსაც პისტოლეტი ბარძაყთან ეკავა, ლულა მაქსიმს დაუმიზნა.

- სამამდე ვითვლი, - თქვა მან. - მანქანაში ჩაჯექი კანდიდატო! ერთი!

- აბა, აქეთ მოიტათ ეგ პისტოლეტი, - თქვა მაკმა, ხელი გაიწვდინა და ბატონი როტმისტრისაკენ წამოვიდა.

- ორი! - თქვა ბატონმა როტმისტრმა.

-ნუ შვრებით! - იყვირა გაიმ.

ბატონმა როტმისტრმა გაისროლა. მაკი უკვე ახლოს იყო. გაი ხედავდა, როგორ მოხვდა ტყვია მხარში და შეტორტმანდა, თითქოს დაბრკოლებას გადააწყდაო.

- სულელო! - თქვა მაკმა. - აქეთ მომეცით იარაღი, ბოროტო სულელო!

ის არ შეჩერებულა, მოდიოდა და მოდიოდა ბატონი როტმისტრისაკენ იარაღისათვის ხელგაწვდილი და გახვრეტილი მხრიდან უეცრად გადმოხეთქა სისხლმა. ბატონმა როტმისტრმა კი, რომელმაც უცნაური, ჭრაჭუნა ბგერა გამოსცა, უკან დაიხია და ძალიან სწრაფად ზედიზედ სამჯერ დაახალა პირდაპირ ფართო ყავისფერ მკერდზე. მაკი უკან გადაიხარა და ზურგზე დაეცა, მაშინვე წამოხტა, კვლავ დაეცა, წამოიწია და ბატონმა როტმისტრმა, რომელიც დაძაბვისაგან ჩაცუცქდა, კიდევ სამი ტყვიას დაახალა. მაკი პირქვე დაემხო და გაირინდა.

გაის თვალებში დაუბნელდა და მანქანის საფეხურზე უღონოდ დაეშვა, ფეხები მოეკვეთა. ყურებში ჯერ კიდევ უწიოდა საზიზღარი მკვრივი ტკაცუნი, რომლითაც ტყვიები შედიოდა ამ უცნაური და საყვარელი ადამიანის სხეულში. შემდეგ გონს მოეგო, მაგრამ კიდევ ერთხანს იჯდა, ადგომა ვერ გაებედა.

მაკის ყავისფერი სხეული მოთეთრო-მოვარდისფრო ქვებს შორის ეგდო, თვითონაც ქვასავით უძრავი. ბატონი როტმისტრი წინანდელ ადგილზე იდგა, პისტოლეტი შემართული ეჭირა და ხატბად ქაჩავდა სიგარეტს, გაის არ უყურებდა შემდეგ ბოლომდე მოსწია, ტუჩები დაეწვა, ნამწვი გადააგდო და ორი ნაბიჯი გადადგა მოკლულისაკენ. მაგრამ უკვე მეორე ნაბიჯი ძალიან მოკლე იყო. ბატონმა როტმისტრმა ჩაჩუმ მაინც ვერ გაბედა ახლოს მისულიყო. ათი ნაბიჯიდან ისროლა საკონტროლო ტყვია, მაგრამ ააცდინა, გაი ხედავდა, როგორ ავარდა ქვის მტვერი მაკის თავთან.

- მასარაკშ, - დაისისინა ბატონმა როტმისტრმა და პისტოლეტი ბუდისაკენ წაიღო.

დიდხანს ტენიდა, მერე ვერაფრით ვერ შეაბნია ბუდე, ხოლო შემდეგ გაისთან მივიდა, დამახინჯებული ხელი მკერდთან ჩაავლო მუნდირში, უეცრად ასწია და სახეში ხმამაღლა ასუნთქებდა ისე, მთვრალივით გაჭიანურებულად წარმოთქვა:

- კარგი. კაპრალად დარჩები. მაგრამ ლეგიონში შენი ადგილი არ არის... პა-

ტაკს დაწერ არმიაში გადაყვანის მესახებ. მანქანაში ჩაჯექი.

მესამე ნაწილი

ტერორისტი

მეცხრე თავი

გამყოლმა ხმადაბლა თქვა: "აქ დამელოდეთ“, - და ხეებსა და ბუჩქებს შორის თვალს მიეფარა. მაქსიმი მდელოს შუაგულ კუნძზე ჩამოჯდა, ხელები ღრმად ჩაიწყო ბრეზენტის შარვლის ჯიბეებში და ლოდინი დაუწყო. ბებერი, გავერანებული ტყე ნორჩ ხეებს მოემწყვდიათ, დანაოჭებულ ფუტურო ხეებს სიდამპლის სუნი ასდიოდათ. ჰაერში ნესტი იგრძნობოდა. მაქსიმი მობუზულიყო, სიცივემ აიტანა, თავს ცუდად გრძნობდა, მზეზე ჯდომა ესიამოვნა და მხარი მიუფიცხა.

ახლო-მახლო ბუჩქებში ვიღაც იყო, მაგრამ მაქსიმს ყურადღება არ მიუქცევია - მას დაბიდან მოყოლებული სულ უთვალთვალებდნენ და არაფერი ჰქონდა ამის საწინააღმდეგო. გაუკვირდებოდა კიდეც, მაშინვე რომ ყველაფერი დაეჯერებინათ.

გვერდიდან მდელოზე გამოვიდა პატარა გოგონა, რომელსაც აშკარად ნასხვისარი, ათასჯერ დაკემსილი კოფთა ეცვა და ხელში კალათა ეკავა. გოგონა თვალებდაჭყეტილი მიაჩერდა მაქსიმს და სანამ არ ჩაუარა, ცნობისმოყვარე მზერა არ მოუშორებია, თან ბორძიკობდა და ბალახში ფეხები ებლანდებოდა. ბუჩქებს შორის გაირბინა რაღაც პატარა ნადირმა, რომელიც ციყვს წააგავდა, ხეზე ავარდა, ძირს დაიხედა, შეშინდა და გაქრა. სიჩუმე იყო, მხოლოდ სადღაც შორს უთანაბროდ კაკუნობდა მანქანა - ლერწამს ჭრიდა ტბაზე.

ბუჩქებში მჯდარი კაცი არ მიდიოდა - ზურგს უბურღავდა ბოროტი მზერით. ეს არასასიამოვნო იყო, მაგრამ უნდა შეეგუოს. ახლა, სულ ასე იქნება. დასახლებულმა კუნძულმა გაილაშქრა მის წინააღმდეგ, ესროდა, უთვალთვალებდა, არ სჯეროდა მისი. მაქსიმმა ჩათვლიმა. უკანასკნელ დროს ხშირად ეძინებოდა ხოლმე ყოვლად შეუფერებელ დროს. ჩაიძინებდა, გამოიღვიძებდა, ისევ ჩაიძინებდა. არ ცდილობდა შებრძოლებოდა ამას: ასე სურდა ორგანიზმს, მან კი უკეთ იცის თავისი საქმე. ეს გაივლის, ოღონდ არ უნდა შეეწინა-

აღმდეგო.

გაისმა ფეხის ხმა და გამყოლმა თქვა „მომყევით“. მაქსიმი წამოდგა, ჯიბიდან ხელები არ ამოუღია ისე, და გაჰყვა, თან რბილ სველჩექმებიან ფეხებზე მისჩერებოდა. ტყეში ღრმად შეიდნენ და გზა განაგრძეს წრეებს არტყამდნენ და რთულ მარყუჟებს აკეთებდნენ ისე, თანდათან უახლოვდებოდნენ რაღაც შენობას, რომელიც მდელოდან პირდაპირ რომ ევლოთ, სულ ახლოს იყო. შემდეგ გამყოლმა იფიქრა, საკმაოდ დავაბნიეო, და პირდაპირ დაადგა ნაგრიგალევ ტყეს, თან, როგორც ქალაქელი კაცი, დიდ ხმაურსა და ტკაცა-ტკუცს იწვევდა, ისე რომ მაქსიმს აღარც კი ესმოდა იმ კაცის ნაბიჯები, მალულად რომ მოსდევდათ.

ნაგრიგალევი ტყე რომ გათავდა, მაქსიმმა ხეებს იქით პატარა მდელობი და ფანჯრებაჭედილი ძელური სახლი შენიშნა. პატარა მდელობი მაღალ ბალახს დაეფარა, მაგრამ მაქსიმი ამჩნევდა, რომ აქ უვლიათ სულ ახლახან და დიდი ხნის წინათაც. დადიოდნენ, ფრთხილად, ცდილობდნენ ყოველთვის სხვადასხვა გზით მოსულიყვნენ სახლში. გამყოლმა ჭრიალა კარი გააღო და ჩაბნელებულ აშმორებულ წინკარში შევიდნენ. კაცი, რომელიც უკან მოსდევდათ, გარეთ დარჩა. გამყოლმა სარდაფს სახურავი გადასწია და თქვა: „აქ მოდით, ფრთხილად...“ ის სიბნელეში ცუდად ხედავდა. მაქსიმი ხის კიბით ჩავიდა.

სარდაფში თბილოდა, მშრალი ჰაერი იდგა. ხის მაგიდას ხალხი მოსხდომოდა და, მაქსიმი რომ კარგად დაენახათ, სასაცილოდ აჭყეტდნენ თვალებს. ოთახში ახლად ჩამქრალი სანთლის სუნი იგრძნობოდა. ეტყობოდა, იქ დამსწრეთ არ უნდოდათ მაქსიმს მათი სახე დაენახა. მაქსიმმა მხოლოდ ორი იცნო: მოხუცი ილი ტადერის ქალიშვილი ორდი და სქელ-სქელი მემო გრამენუ, რომელიც ზედ კიბესთან იჯდა და ტყვიამფრქვევი მუხლებზე ედო. ზევით მძიმედ დაიგრუხუნა საძვრენის სახურავმა და ვიღაცამ თქვა:

- ვინა ხართ? გვიამბეთ თქვენი ამბავი.

- შეიძლება დავჯდე? - იკითხა მაქსიმმა.

- კი, რა თქმა უნდა. აქ მოდით, ჩემს ხმას გამოყევით. სკამს წამოედებით.

- მაქსიმი მაგიდასთან დაჯდა და მეზობლებს შეხედა. მაგიდასთან მის გარდა, ოთხნი ისხდნენ. სიბნელეში ნაცრისფერი და ბრტყელი ჩანდნენ, როგორც ძველ ფოტოსურათზე. მარჯვნივ ორდი იჯდა, ხოლო ლაპარაკობდა პირდაპირ მჯდარი ჩაფსკვნილი მხარბეჭიანი კაცი. ის არასასიამოვნოდ ჩა-

მოჰგავდა როტმისტრ ჩაჩუს.

- მოყევით, - გაიმეორა მან.

მაქსიმმა ამოიოხრა. ძალიან არ უნდოდა ნაცნობობა პირდაპირ ტყუილით დაეწყო, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.

- ჩემს წარსულზე არაფერი ვიცი, - თქვა მან. - როგორც ამბობენ, მთიელი უნდა ვიყო. შეიძლება... არ მახსოვს. მაქსიმი მქვია, გვარად კამერერი ვარ. ლეგიონში მაკ სიმს მეძახდნენ. ჩემი თავი მახსოვს იმ დროიდან, როცა ცისფერ გველთან დამაკავეს ტყეში.

ტყუილი დამთავრდა, შემდეგ კი საქმე უფრო იოლად წავიდა წინ. ის ყვებოდა, ცდილობდა მოკლედ ელაპარაკა და ამავე დროს არ გამოპარვოდა ის, რაც მისი აზრით, მნიშვნელოვანი იყო.

„რაც შეიძლება შორს წავიყვანე, კარიერის სიღრმეში, ვუბრძანე, გაქცეულიყვნენ თვითონ კი აუჩქარებლად დავბრუნდი. მაშინ როტმისტრმა აიღო და მიმახვრიტა. ღამით გონს მოვედი, კარიერიდან გამოვედი და მალე საძოვარს მივადექი. დღისით ბუჩქებში ვიმალებოდი და მეძინა, ღამით კი ძროხებს ვეპარებოდი და რძეს ვსვამდი. რამდენიმე დღეში მოვმჯობინდი. მწყემსებს რაღაც ძველმანები გამოვართვი, იხვის დასახლებამდე მივაღწიე და ილი ტადერი ვიპოვე. დანარჩენი თქვენც იცით.

ერთხანს ყველა დუმდა შემდეგ სოფლური იერის კაცმა, გრძელი თმა მხრებამდე რომ სცემდა, თქვა:

- ვერ გამიგია როგორ არ ახსოვს წარსული. ჩემი აზრით, ასე არ ხდება. აი, თუნდაც ექიმმა თქვას.

- ხდება, - მოკლედ თქვა ექიმმა. იგი გამხდარი იყო, დაღლილი და ხელში ჩიბუხს ატრიალებდა. ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, მოეწია.

- რატომ სიკვდილმისჯილებთან ერთად არ გამოიქეცით? - ჰკითხა მხარბეჭიანმა.

- იქ გაი რჩებოდა, - თქვა მაქსიმმა - იმედი მქონდა, რომ წამომყვებოდა... - ის გაჩუმდა თვალწინ დაუდგა გაის ფერმკრთალი, დაბნეული სახე და როტმისტრის საშინელი თვალები, და ცხელი ბიძგები მკერდსა და მუცელში, და უძლურობისა და წყენის განცდა. - რა თქმა უნდა, სისულელე ჩავიდინე, - თქვა მან. - მაგრამ მაშინ არ მესმოდა ეს.

- ოპერაციებში მონაწილეობდით? - იკითხა უკან ზორბა მემომ.

- უკვე გითხარით.

- გაიმეორეთ!

- ვმონაწილეობდი ერთ ოპერაციაში, როცა შეიპყრეს კეტშეფი, ორდი, თქვენ და კიდევ ორი, რომლებმაც თავიანთი ვინაობა არ გაამჟღავნეს. ერთ-ერთ მათგანს ხელოვნური ხელი ჰქონდა.

- როგორ განმარტავთ თქვენი როტმისტრის ასეთ აჩქარებას? აკი იმისათ-ვის, რომ კანდიდატმა სისხლით გამოცდის უფლება მიიღოს, სულ ცოტა, სამ ოპერაციაში მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა.

- არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ არ მენდობოდა. თვითონაც არ ვიცი, რა-ტომ გამგზავნა დასახვრეტად...

- მაინც რატომ გესროლათ?

- ვფიქრობ, შეეშინდა. მე მინდოდა, პისტოლეტი გამომერთმია მისთვის...

- ვერ გამიგია, - თქვა გრძელთმიანმა კაცმა. - ვთქვათ, არ გენდობოდათ. ვთქვათ, შესამოწმებლად გაგგზავნათ დამსჯელად…

- დაიცათ, მეტყევევ, - თქვა მემომ. - ეს ყველაფერი ლაყბობაა, ლიტონი სიტყვებია, ექიმო, თქვენს ადგილზე მე მას გავსინჯავდი. მაინცდამაინც არ მჯერა ეს როტმისტრის ამბავი.

- მე არ შემიძლია სიბნელეში ვინმე გავსინჯო, - თქვა ექიმმა გაღიზიანებუ-ლი ხმით.

- თქვენც ადექით და სინათლე აანთეთ, - ურჩია მაქსიმმა. სულ ერთია, მე გხედავთ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

- როგორ თუ გვხედავთ? - თქვა მხარბეჭიანმა,

მაქსიმმა მხრები აიჩეჩა.

- ნამდვილად გხედავთ, - თქვა მან.

- რას მიედ-მოედებით, - თქვა მემომ. - აბა, მე რას ვაკეთებ ახლა, თუ ხე-დავთ.

მაქსიმი მობრუნდა.

- თქვენ მე მომიშვირეთ - თუმცა ეს თქვენ გგონიათ, რომ მე, მაგრამ სინამ-დვილეში ექიმს მიუშვირეთ - ხელის ტყვიამფრქვევი. თქვენ მემო გრამენუ ხართ, მე თქვენ გხედავთ. მარჯვენა ლოყაზე ნაკაწრი გაქვთ, წინათ არ გქონ-დათ.

- ნოქტალოპია, - წაიბუზღუნა ექიმმა, - მოდით ავანთოთ. სისულელეა. ის გვხედავს, ჩვენ კი - არა. - მან ასანთი მოიძია და რამდენჯერმე ზედიზედ გაჰკრა. ასანთი იმტვრეოდა.

- ჰო, - თქვა მემომ. - რა თქმა უნდა, სისულელეა. აქედან გასული ან ჩვენი იქნება, ან საერთოდ არ გავა.

- აქ მომეცით. - მაქსიმმა ხელი გაიწოდა, ექიმს ასანთი გამოართვა და სანთელს მოუკიდა.

ყველამ თვალები მოჭუტა, ზედ ხელები აიფარეს. ექიმმა მაშინვე ჩიბუხს მოუკიდა.

- გაიხადეთ, - თქვა ჩიბუხს აბოლებდა ისე.

მაქსიმმა თავიდან გადაიძრო ბრეზენტის პერანგი. ყველა მკერდზე მიაჩერდა. ექიმი მაგიდიდან გამოვიდა, მაქსიმთან მივიდა და შეატრიალ-შემოატრიალა, თან მაგარი ცივი თითებით სინჯავდა. სიჩუმე იყო. შემდეგ გრძელთმიანმა როგორღაც დანანებით თქვა:

- ლამაზი ბიჭია. ვაჟი მყავდა... ისიც...

ხმა არავის ამოუღია. ის მძიმედ ადგა, კუთხეში ფათურს მოჰყვა, ძლივს ასწია და მაგიდაზე დადო დიდი შემოწნული დოქი, სამი ტოლჩა ჩამოამწკრივა.

- შეიძლება რიგრიგობით დავისხათ, - განმარტა მან. - თუ ვინმეს შია, ყველი უნდა იყოს. პურიც...

- დაიცათ, მეტყევევ, - თქვა გაღიზიანებულმა მხარბეჭიანმა. - გასწიეთ თქვენი დოქი, ვერაფერს ვხედავ... რას იტყვით, ექიმო?

ექიმმა ცივი თითებით კიდევ ერთხელ გასინჯა მაქსიმი, კვამლში გახვია და ადგილზე დაჯდა.

- მოდი, დამისხი, მეტყევევ, - თქვა მან. - ასეთ გარემოებებში უნდა დალიო... ჩაიცვით, - უთხრა მან მაქსიმს. - და ნუ იღიმებით საფრთხობელა თევზივით. რამდენიმე შეკითხვა უნდა მოგცეთ.

მაქსიმმა ჩაიცვა. ექიმმა ტოლჩიდან მოსვა, დაიჯღანა და ჰკითხა:

- როგორ თქვით, როდის მესროლესო?

- ორმოცდაშვიდი დღის წინათ.

- რა გესროლეს?

- პისტოლეტი. არმიული პისტოლეტი.

ექიმმა კვლავ მოსვა, კვლავ დაიჯღანა და მხარბეჭიანს მიმართა:

- თავს მოსაჭრელად დავდებ, თუ ამ ახალგაზრდა კაცისთვის მართლაც არ უსვრიათ არმიული პისტოლეტი, თანაც ძალიან მოკლე დისტანციიდან, მაგრამ ორმოცდაშვიდი დღის წინ კი არა, სულ ცოტა ას ორმოცდაშვიდი დღის წინ... ტყვიები სად არის? - ჰკითხა უეცრად მაქსიმს.

- ტყვიები გამოვიდა და გადავაგდე.

-იცით რას გეტყვით, რა გქვიათ... მაკ! - თქვენ ცრუობთ. გამოტყდით, როგორ გაგიკეთეს ეს?

მაქსიმმა ტუჩზე იკბინა.

- მე მართალს ვამბობ. თქვენ არ იცით, რა მალე გვიშუშდება ჩვენ ჭრილობები. მე არ ვცრუობ. - ის გაჩუმდა. - თუმცა ადვილად შეგიძლიათ შემამოწმოთ, ხელი გამიჭერით თუ ჭრილობა ღრმა არ იქნება, ათ-თხუთმეტ წუთში შევიხორცებ.

- ეს მართალია, - თქვა ორდიმ. მან პირველად გაიღო ხმა ამ ხნის მანძილზე. - თვითონ ვარ მოწმე. კარტოფილს ფცქვნიდა და თითი გაიჭრა. ნახევარი საათის შემდეგ მხოლოდ თეთრი ნაჭრილობევი დარჩა, ხოლო მეორე დღეს საერთოდ არაფერი არ ეტყობოდა. ვფიქრობ, მართლა მთიელია. გელი მიყვებოდა მთის ძველი მედიცინის შესახებ - მათ იციან, როგორ შეულოცონ ჭრილობას.

- ოჰ, მთის მედიცინა... - თქვა ექიმმა და კვლავ გაეხვია კვამლში. - კარგი, დავუშვათ, ასეა. თუმცა გაჭრილი თითი ერთია, ხოლო ახლოდან ნასროლი შვიდი ტყვია სულ სხვა, მაგრამ დავუშვათ... სულ არ არის გასაკვირი, რომ ჭრილობები ასე მალე მოურჩა. მე მინდა სხვა რამე ამიხსნან. ახალგაზრდას სამი ნახვრეტი აქვს. და თუ ეს ნახვრეტები ნამდვილმა პისტოლეტმა მიაყენა, სულ ცოტა, ოთხი მათგანი - დაიმახსოვრეთ, თითოეული ცალ-ცალკე! - სასიკვდილო იყო.

მეტყველმ ამოიოხრა და ხელები ზეცისაკენ აღაპყრო.

- რა უბედურებაა? - თქვა მხარბეჭიანმა.

- არა, დამიჯერეთ, - თქვა ექიმმა: - ტყვია გულში, ტყვია ხერხემალში და ორი ტყვია ღვიძლში. გარდა ამისა, ძლიერი საერთო სისხლის დენა, გარდა ამისა, გარდუვალი სეფსისი. გარდა ამისა - არავითარი კვალიფიციური სამედიცინო ჩარევა. მასარაკშ, ერთი ტყვიაც კმაროდა გულში!

- რას იტყვით ამაზე? - ჰკითხა მხარბეჭიანმა მაქსიმს.

- ის ცდება. - თქვა მაქსიმმა. - ყველაფერი სწორად განსაზღვრა, მაგრამ მაინც ცდება. ჩვენთვის ეს ჭრილობები სასიკვდილო არ არის. აი, როტმისტრს თავში რომ მოეხვედრებინა... მაგრამ არ მოუხვედრებია... გესმით, ექიმო, თქვენ ვერც კი წარმოგიდგენიათ, რა ცხოველუნარიანი ორგანოებია ესენი - გული, ღვიძლი...

- ასეა, - თქვა ექიმმა.

- ერთი რამ ცხადია, - ჩაილაპარაკა მხარბეჭიანმა. - საეჭვოა, მათ ასეთი უხეში ნამუშევარი გამოეგზავნათ ჩვენთან. ხომ იციან რომ ექიმები გვყავს.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. მაქსიმი მოთმინებით ელოდა. „მე კი დავუჯერებდი? - ფიქრობდა იგი. - ალბათ, დავუჯერებდი. მაგრამ მე, ვგონებ, ძალზე მიამიტი ვარ ამ ქვეყნისათვის. თუმცა ახლა შედარებით გამოვიცვალე მაგალითად, მემო არ მომწონს. სულ რაღაცის ეშინია. ტყვიამფრქვევი ამოუჩრია და ზის თავისიანებს შორის, შიშით შეპყრობილი. უცნაურია. თუმცა, ალბათ ჩემი ეშინია. ალბათ, ეშინია, რომ ტყვიამფრქვევს წავართმევ და კვლავ გადავუგრიხავ თითებს. ვინ იცის, იქნებ მართალი იყოს. მეტად არავის მივცემ უფლებას, მესროლონ. საშინელებაა, როცა გესვრიან...“ გაახსენდა ის ცივი ღამე კარიერში, მკვდარი ცა, რომელიც ფოსფორესცირებდა, ცივი გაწებილი გუბე, რომელშიც იწვა. „არა, კმარა, მეყოფა... ახლა ჯობს მე ვესროლო...“

- მე მისი მჯერა, - თქვა უეცრად ორდიმ. - უთავბოლოდ ლაპარაკობს, მაგრამ ამის მიზეზი უბრალოდ მისი უცნაურობაა. ასეთ ამბავს ვერ გამოიგონებ, ეს მეტისმეტი უაზრობა იქნებოდა, რომ არ მჯეროდეს, ასეთი ამბის გაგონებაზე ეგრევე მივახვრეტდი. ის ხომ მიედ-მოედება რაღაცას. შესაძლებელია, შეშლილიც იყოს... მაგრამ პროვოკატორი ნამდვილად არ არის... მე მის მხარეზე ვარ, - დასძინა ცოტაოდენი დუმილის შემდეგ.

- კარგი, ჩიტო, - თქვა მხარბეჭიანმა. - ჯერ გაჩუმდი… კომისია თუ გაიარეთ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტში? - ჰკითხა მან მაქსიმს.

- დიახ.

- ვარგისად ჩაგთვალეს?

- რა თქმა უნდა.

- შეუზღუდავად?

- ბარათში უბრალოდ ეწერა: „ვარგისია“.

- რა აზრისა ხართ მებრძოლ ლეგიონზე?

- ახლა ვფიქრობ, რომ ეს უგონო იარაღია ვიღაცის ხელში. უფრო საფიქრებელია, რომ ამ ყბადაღებულ ცეცხლოვან შემოქმედთა ხელში. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ მესმის.

- ცეცხლოვან შემოქმედებზე რას ფიქრობთ?

- მგონია, სამხედრო დიქტატურის ზედა ფენა უნდა იყოს. საშუალებების მიმართ ისინი განურჩევლობას იჩენენ, მაგრამ რა მიზნები ამოძრავებთ... - მაქსიმმა თავი გაიქნია.

- რა აზრისა ხართ გადაგვარებულებზე?

- ვფიქრობ, ტერმინი სწორად არ არის შერჩეული. თქვენ მე შეთქმულები მგონიხართ. თქვენი მიზნებიც საკმაოდ ბუნდოვანია ჩემთვის. მაგრამ მომეწონნენ ადამიანები, რომლებიც ვნახე ყველანი პატიოსნები ჩანდნენ და, როგორ გითხრათ... ისეთი ადამიანები, რომლებიც შეგნებულად მოქმედებენ.

- ისე, - თქვა მხარბეჭიანმა. - ტკივილები თუ გაქვთ?

- თავის ტკივილები? არა, არა მაქვს.

- რად ეკითხები ამას? - თქვა მეტყევემ. - რომ ჰქონოდა, ახლა აქ არ იქნებოდა.

- ჰოდა, მინდა გავიგო, რატომ ზის აქ, - თქვა მხარბეჭიანმა, - რატომ მოხვედით ჩვენთან? გინდათ, მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს ბრძოლაში?

მაქსიმმა თავი გაიქნია.

- ასე არ ვიტყოდი. ეს სწორი არ იქნებოდა. მე მინდა გავერკვე. ახლა მე უფრო თქვენს მხარეზე ვარ, ვიდრე იმათი, თქვენზეც ხომ ძალიან ცოტა რამ ვიცი.

ყველამ ერთმანეთს გადახედა.

- ჩვენში ასე არ ხდება, ძვირფასო, - თქვა მეტყევემ. - ჩვენში ასეა: ან ჩვენი ხარ, და მაშინ აი, იარაღი, აიღე, წადი და იბრძოლე, ან, მაშასადამე, ჩვენი არა ხარ, და მაშინ, ბოდიში, მაშინ... თავად იცი... სად უნდა გესროლოთ - თავში, ხომ?

კვლავ დუმილი ჩამოვარდა. ექიმმა ღრმად ამოიოხრა და ჩიბუხი სკამზე დაფერთხა.

- იშვიათი და მძიმე შემთხვევაა, - განაცხადა მან. - მე წინადადება მაქვს. მანაც გამოგვკითხოს... თქვენც ხომ გაქვთ შეკითხვები, ხომ ასეა, მაკ?

- დიახ, იმიტომაც მოვედი, რომ გკითხოთ, - უპასუხა მაქსიმმა.

- მას ბევრი შეკითხვა აქვს, - დაუდასტურა ორდიმ სიცილით. - დედაჩემს საშველს არ აძლევდა, სულ ეკითხებოდა რაღაცას. მეც გადამეკიდა.

- გვკითხეთ, - თქვა მხარბეჭიანმა. - ექიმო, თქვენ უპასუხებთ. ჩვენ კი მოგისმენთ.

- ვინ არიან ცეცხლოვანი შემოქმედნი და რა სურთ? - დაიწყო მაქსიმმა.

ყველა აწრიალდა. - ეტყობოდა, ამ შეკითხვას არ მოელოდნენ.

- ცეცხლოვანი შემოქმედნი, - თქვა ექიმმა, - სამხედროებს, ფინანსისტებსა და პოლიტიკოსებს შორის ყველაზე გამოცდილი ინტრიგანების ანონიმური ჯგუფია. მათ ორი მიზანი აქვთ: ერთი მთავარი, მეორე - ძირითადი, მთავარია - დარჩნენ ხელისუფლების სათავეში. ძირითადია - მაქსიმალური კმაყოფილება მიიღონ ამ ხელისუფლებისაგან. ყველანი წამგლეჯები, სიბარიტები, სადისტები არიან, ყველა ძალაუფლებას ესწრაფვის... კმაყოფილი ხართ?

- არა, - თქვა მაქსიმმა. - ყოველივე ამას ისედაც ვეჭვობდი... როგორია მათი ეკონომიკური პროგრამა? მათი იდეოლოგია? მათი ბაზა? ვის ეყრდნობიან?...

ყველამ კვლავ გადახედა ერთმანეთს მეტყევე. პირდაღებული მისჩერებოდა მაქსიმს.

- ეკონომიკური პროგრამა... - თქვა ექიმმა. - თქვენ მეტისმეტს მოითხოვთ ჩვენგან. ჩვენ თეორეტიკოსები კი არა, პრაქტიკოსები ვართ. - ჩვენთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანია ის, რომ მათ უნდათ მოგვსპონ. კაცმა რომ თქვას, ჩვენ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ვიბრძვით... - გაბრაზებული ექიმი ჩიბუხის დატენას შეუდგა.

- მე არ მინდოდა ვინმესთვის მეწყენინებინა, - თქვა მაქსიმმა, - უბრალოდ მინდა გავერკვე... - ის სიამოვნებით ჩამოუყალიბებდა ექიმს ისტორიულ თანამიმდევრულობათა თეორიის საფუძვლებს, მაგრამ სიტყვები არ ჰყოფნიდა. ისედაც დროდადრო ლინკოსზე უხდებოდა გადასვლა. - კარგი. კი მაგრამ, რა გინდათ თქვენ? რას ესწრაფვით, სიცოცხლის შენარჩუნების გარდა? და ვინა ხართ?

ექიმის ჩიბუხს შარიშური და ტკაცუნი გაუდიოდა და სარდაფში მძიმე სუნს აყენებდა.

- მე მათქმევინეთ, - თქვა უეცრად მეტყევემ. - მოდით, მე ვუპასუხებ... მათქმევინეთ... შენ, ეი, სიმპათიურო მეგობარო, იცი რას გეტყვი... თქვენთან არ

ვიცი, როგორაა, მთაში, აქ კი, ჩვენთან ადამიანებს სიცოცხლე უყვართ. ეს რო-გორ - სიცოცხლის შენარჩუნების გარდაო? მე კი, იქნებ, ამის გარდა არც არა-ფერი მინდა!... შენ გგონია - ეს ცოტაა? შეხეთ, რა მამაცი ყოფილა! მოდი და სარდაფში იცხოვრე, როცა სახლი გაქეს, ცოლი გყავს, ოჯახი და ყველამ ზურ-გი გაქცია... იცი რა, შენ მოეშვი ასეთებს.

- დაიცათ, მეტყევევ, - თქვა მხარბეჭიანმა.

- არა, ეს მან დაიცადოს! ერთი დამიხედეთ! საზოგადოება მიართვი, ყო-ველგვარი ბაზა...

- დაიცა, ძია, - თქვა ექიმმა. - ნუ ბრაზობ, ხომ ხედავ, ადამიანს არაფერი ეს-მის... იცით, - უთხრა მან მაქსიმს, - ჩვენი მოძრაობა ძალზე მრავალფეროვა-ნია. რაიმე ერთიანი პოლიტიკური პროგრამა ჩვენ არა გვაქვს. და არც შეიძლე-ბა გვქონდეს: ჩვენ ვხოცავთ, რადგან ჩვენც გვხოცავენ. უნდა გაგვიგოთ. ყვე-ლანი უნდა მოვკვდეთ, გადარჩენის შანსები ცოტა გვაქვს. და მთელ პოლიტი-კას ჩვენგან არსებითად ბიოლოგია ჩრდილავს. მთავარია გადარჩენა. ვისა აქვს ბაზის თავი. ასე რომ, თუ ჩვენთან რაიმე სოციალური პროგრამით მოხვე-დით, არაფერი გამოგივათ.

- რატომ? - ჰკითხა მაქსიმმა.

- ჩვენ გადაგვარებულებად მივაჩნივართ. საიდან დაიწყო ეს, ახლა კაცი ვერც გაიხსენებს. მაგრამ ახლა ცეცხლოვან შემოქმედთ ხელს აძლევს გვდევ-ნიდნენ. ამას შეუძლია ხალხის ყურადღება ჩამოაშოროს საშინაო პრობლე-მებს, ფინანსისტთა კორუფციას, რომლებიც ფულებს ხვეტავენ სამხედრო შეკ-ვეთებსა და კოშკების მშენებლობაზე.

- ეს უკვე არის რაღაც, - თქვა მაქსიმმა. - მაშასადამე, ყველაფერს კვლავ ფუ-ლი უდევს საფუძვლად. მაშასადამე, შემოქმედნი ფულს ემსახურებიან. კიდევ ვის ემსახურებიან?

- შემოქმედნი არავის არ ემსახურებიან. ისინი თვითონ არიან ფული. ისინი ყველაფერი არიან და (სხვათა შორის, ამავე დროს), არარაობა არიან, რადგანაც ანონიმურად ცხოვრობენ და სულ ერთმანეთს ჭამენ... კარგი იქნებოდა, ტახ-თან ელაპარაკა, უთხრა მან მხარბეჭიანს. - გამონახავდნენ საერთო ენას.

-კარგი, შემოქმედთა შესახებ ტახს ველაპარაკები. ახლა კი...

- ტახს უკვე ვეღარ ელაპარაკებით, - თქვა მემომ ბრაზიანად. - ტახი დახ-ვრიტეს.

- ეს ის ცალხელაა - თქვა ორდიმ. - თქვენ უნდა იცოდეთ...

- ვიცი, მაგრამ არ დაუხვრეტიათ, - თქვა მაქსიმმა. - აღსაზრდელად გადასახლება მიუსაჯეს.

-ეს შეუძლებელია, - თქვა მხარბეჭიანმა. - ტახს? გადასახლება?

- დიახ, - თქვა მაქსიმმა. - გელ კეტშეფს - სიკვდილით დასჯა, ტახს - გადასახლება, კიდევ ერთი კი, რომელმაც ვინაობა არ გაამჟღავნა, სამოქალაქო პირმა წაიყვანა. ეტყობა, კონტრდაზვერვაში.

და კვლავ ყველანი გაჩუმდნენ. ექიმმა ტოლჩიდან მოსვა. მხარბეჭიანი ხელებზე თავჩამოყრდნობილი იჯდა. მეტყევე შეწუხებულად ხვნეშოდა და სიბრალულით უყურებდა ორდის. პირმოკუმული ორდი მაგიდას დასჩერებოდა. სუყველა სევდას შეეპყრო და მაქსიმი ნანობდა, რომ ამ თემას შეეხო. ეს ნამდვილი მწუხარება იყო, და მხოლოდ კუთხეში მჯდარი მემო იმდენად დამწუხრებული კი არ ჩანდა, რამდენადაც შეშინებული... „ასეთებს ტყვიამფრქვევი არ უნდა ანდო, - გაუელვა მაქსიმს. - ყველას მიგვახვრიტავს, აქ ვინცა ვართ!“

- კარგი, - თქვა მხარბეჭიანმა. - კიდევ გაქვთ შეკითხვები?

- მე ბევრი შეკითხვა მაქვს, - ნელა თქვა მაქსიმმა. - მაგრამ ვშიშობ, ვაი თუ ყველა ცოტად თუ ბევრად უტაქტო იყოს.

- რა გაეწყობა უტაქტოები მოიტათ.

- კარგი. უკანასკნელი შეკითხვა. რა შუაშია აქ საბალისტო დაცვის კოშკები? რას გიშლიან ისინი?

ყველამ უსიამოდ გაიცინა.

- აი სულელი, - თქვა მეტყევემ. - და ესეც რომ ბაზას მოითხოვს... .

- ეს საბალისტო დაცვა კი არაა, - თქვა ექიმმა. - ეს ჩვენს თავს დამტყდარი წყევლა-კრულვაა. მათ გამოიგონეს გამოსხივება, რომლის მეშვეობითაც შექმნეს გადაგვარებულების ცნება. მეტი წილი ადამიანები - აი, თქვენც, მაგალითად, - არ ამჩნევენ ამ გამოსხივებას, თითქოს არც არსებობდეს. უბედური უმცირესობა კი თავისი ორგანიზმის რაღაც თავისებურებათა მიზეზით დასხივების დროს ჯოჯოხეთურ ტკივილებს განიცდის. ზოგიერთ ჩვენგანს - ასეთები ერთეულები არიან - შეუძლია გაუძლოს ამ ტკივილს, სხვები ვერ უძლებენ, ყვირიან, ზოგიერთები კი გონებას ჰკარგავენ, არიან ისეთებიც, რომ გიჟდებიან და კვდებიან... ერთი სიტყვით, კოშკები გამომსხივებლებია. მათ დღე-

ღამეში ორჯერ რთავენ მთელ ქვეყანაში და ჩვენ, სანამ ტკივილისაგან დაუძლურებულნი ვყრივართ, გვიჭერენ, ამას ემატება საგუშაგო ავტომობილებზე დადგმული ლოკალური მოქმედების დანადგარებიც... ამას ემატება თვითმავალი გამომსხივებლები... კიდევ არარეგულარული სხივური დარტყმები ღამ-ღამობით... თავი ვერსად შეგვიფარებია, ეკრანები არ არსებობს, ვგიჟდებით, თავს ვიკლავთ, სასოწარკვეთილებისაგან სისულელეებს ჩავდივართ. ამოწყვეტამდე მივდივართ...

ექიმი გაჩუმდა, ტოლჩას დასტაცა ხელი და სულმოუთქმელად გამოსცალა. შემდეგ გამწარებულმა ჩიბუხი გააბოლა, თან სახეს მანჭავდა.

- ჰოო... ვიყავით ჩვენთვის, არაფერი გვიჭირდა, - ნაღვლიანად თქვა მეტყევემ. - ქვეწარმავლები, - დასძინა მან ცოტაოდენი დუმილის შემდეგ.

- მასთან ამაზე ლაპარაკი უაზრობაა, - თქვა უეცრად მემომ. - მან რა იცის, რა არის ეს. აზრზე არაა, რას ნიშნავს - ყოველდღე მორიგი სეანსის მოლოდინში იყო...

- კარგი, - თქვა მხარბეჭიანმა. - აზრზე თუ არაა, მაშასადამე, სალაპარაკოც არაფერია. ჩიტი მის მხარეზეა. კიდევ ვინ არის მომხრე ან მოწინააღმდეგე?

ის იყო მეტყევეს რაღაც უნდა ეთქვა, რომ ორდიმ დაასწრო:

- მინდა აგიხსნათ, რატომ ვარ, „მომხრე“. ჯერ ერთი, მჯერა მისი. ეს უკვე ვთქვი, და, შესაძლოა, ეს არც ისე მნიშვნელოვანი იყოს, რადგან მარტო მე მეხება. მაგრამ ამ ადამიანს ისეთი უნარი აქვს, რომელიც შეიძლება ყველას გამოადგეს. მას შეუძლია შეახორცოს არა მარტო თავისი, არამედ სხვისი ჭრილობებიც... საწყენად კი ნუ დაგრჩებათ, ექიმო, და თქვენზე ბევრად უკეთ აკეთებს ამას,

- რა ექიმი ვარ მე, - თქვა ექიმმა. - ისე რა, სასამართლო მედიცინა...

- მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია, - განაგრძო ორდიმ. - მას ტკივილის გაყუჩება შეუძლია.

- ეს როგორ? - იკითხა მეტყევემ.

- არ ვიცი, როგორ აკეთებს ამას. მასაჟს გიკეთებთ საფეთქლებზე, რაღაცას ჩურჩულებს, და ტკივილი ქრება. მე ორჯერ შემაწუხა ტკივილებმა, დედასთან რომ ვიყავი, და ორივეჯერ დამეხმარა. პირველად არც ისე, მაგრამ გონება მაინც არ დამიკარგავს, როგორც ჩვეულებრივ მემართებოდა ხოლმე. მეორედ კი საერთოდ არც შევუწუხებივარ ტკივილს...

და მაშინვე ყველაფერი შეიცვალა. სულ ახლახან ისინი მსაჯულები იყვნენ, სულ ახლახან, როგორც ეგონათ, მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს სწყვეტდნენ, ახლა კი მსაჯულები გაქრნენ, და დარჩნენ განაწამები, განწირული ადამიანები, რომლებსაც უეცრად იმედი მიეცათ. ისე უყურებდნენ მაქსიმს, თითქოს ელოდნენ, რომ ახლავე, დაუყოვნებლივ გაათავისუფლებს კოშმარისაგან, რომელიც მათ ყოველწუთს, ყოველდღე და ყოველღამე სტანჯავს მრავალი წელია... „რა უშავს, - გაიფიქრა მაქსიმმა, - მე აქ საჭირო ვიქნები არა იმისათვის, რომ ვხოცო, არამედ, რომ ვუმკურნალო...“ მაგრამ რატომღაც ამ აზრმა არავითარი შვება არ მოჰგვარა. „კოშკები“, - გაიფიქრა მან. - რა სამაგლობაა... ამას მოფიქრება არ უნდოდა? სადისტი უნდა იყო, რომ ეს მოიფიქრო...“

- მართლაც იცით? - ჰკითხა ექიმმა.

- რა?

- ტკივილის გაყუჩება...

- ტკივილის გაყუჩება... კი.

- როგორ?

- როგორ აგიხსნათ? მე სიტყვები არ მეყოფა, თქვენ კი - ცოდნა. ვერ გამიგია: განა არ გაქვთ წამლები, რაიმე ტკივილსაწინააღმდეგო პრეპარატები?

- არავითარი წამალი არ გვშველის... თუ მომაკვდინებელი დოზა არ მივიღეთ.

- მომისმინეთ, - თქვა მაქსიმმა. - მე, რა თქმა უნდა, მზად ვარ გაგიყუჩოთ ტკივილები... შევეცდები... მაგრამ ეს ხომ გამოსავალი არ არის! უნდა ვეძებოთ რაიმე მასობრივი საშუალება... ქიმიკოსები თუ გყავთ?

- ყველაფერი გვაქვს, - თქვა მხარბეჭიანმა, - მაგრამ ეს ამოცანა ვერ გადაგვიწყვეტია, მაკ. ეს ამოცანა რომ წყდებოდეს, სახელმწიფო პროკურორი ჩვენსავით არ დაიტანჯებოდა ტკივილისაგან. ის მაინც იშოვიდა წამალს. ახლა კი ყოველი რეგულარული სეანსის წინ უგონოდ თვრება და ორთქლის აბაზანას ღებულობს.

- სახელმწიფო პროკურორი გადაგვარებულია? - იკითხა შეფიქრიანებულმა მაქსიმმა.

- ასე ამბობენ, - თქვა მხარბეჭიანმა მშრალად. - მაგრამ ჩვენ საკითხს გადავუხვიეთ. დაამთავრე, ჩიტო? კიდევ ვის აქვს სათქმელი?

- დაიცა, გენერალო, - თქვა მეტყევემ. - ეს როგორ? გამოდის, ეს ჩვენი კეთი-

ლისმყოფელია? შენ შეგიძლია მეც მომაშორო ტკივილები?... ეს ადამიანი ხომ ფასდაუდებელი ყოფილა, მე მას სარდაფიდან არ გავუშვებ! მე ხომ, ბოდიში და, აუტანელი ტკივილები მაქვს... იქნებ ფხვნილებიც გამოიგონოს? ხომ გამოიგონებ, ა?… არა, ჩემო ბატონებო, ამხანაგებო, ასეთ ადამიანს უნდა გავუფრთხილდეთ...

- მაშასადამე, შენ „მომხრე“ ხარ, - თქვა გენერალმა.

- ესე იგი, მე ისეთი მომხრე ვარ, რომ თუ ვინმემ გაბედა და ხელი ახლო...

- გასაგებია. თქვენ, ექიმო?

- მე ისედაც მომხრე ვიქნებოდი, - ჩაიბურტყუნა ექიმმა, რომელიც ჩიბუხს აბოლებდა. - მეც ისეთივე შთაბეჭდილება მრჩება, როგორიც ჩიტს. ის ჯერ კიდევ ჩვენი არ არის, მაგრამ გახდება. სხვანაირად შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, მათ არაფრით არ შეეფერება. მეტისმეტად ჭკვიანია.

- კარგი, - თქვა გენერალმა. - თქვენ რა აზრის ხართ, ჩლიქო?

-მე მის მხარეზე ვარ, - თქვა მემომ. - საჭირო კაცია.

- ასე იყოს, - თქვა გენერალმა. - მეც „მომხრე“ ვარ. მოხარული ვარ თქვენს გამო, მაკ. სიმპათიური ახალგაზრდა ჩანხართ და მოსაკლავად დამენანებოდით... - მან საათს დახედა. - მოდით, ვჭამოთ, - თქვა მან. - მალე სეანსი დაიწყება და მაკი თავის ხელოვნებას გვიჩვენებს. მეტყევევ, ლუდი დაუსხით და თქვენი ნაქებ-ნადიდები ყველი გამოიტანეთ სუფრაზე. ჩლიქო, წადით და მწვანე შეცვალეთ, მას დილიდან პირში არაფერი ჩაუშვია.

მეათე თავი

ოპერაციის წინ უკანაკნელი თათბირი გენერალმა „ორთავიანი ცხენის"“ ციხე-დარბაზში მოიწვია. ეს იყო გარეუბნის მუზეუმი რომელიც ომის წლებში დაინგრა და სუროსა და ბალახს დაეფარა, განმარტოებული, ველური ადგილები, სადაც ქალაქელები არ დადიოდნენ, ჭაობი ახლოსაა და მალარია არ გაგვიჩნდესო, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობაში ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, როგორც ქურდებისა და ბანდიტების თავშესაფარს. მაქსიმი და ორდი აქ ფეხით მოვიდნენ. მწვანე მოტოციკლეტით ჩამოვიდა და მეტყევე ჩამოიყვანა, გენერალი და მემო-ჩლიქი უკვე ელოდნენ მათ ძველ საკანალიზაციო მილში, რომელიც პირდაპირ ჭაობში გადიოდა. გენერალი ეწეოდა, ხოლო კუშტი მემო არომატული ჯოხით კოღოებს იგერიებდა.

- ჩამოიტანე? - ჰკითხა მან მეტყევეს...

- რა თქმა უნდა, - თქვა მეტყევემ და ჯიბიდან ერთი ტუბი რეპელენტი ამოიღო.

რეპელენტი ყველამ წაისვა და გენერალმა თათბირი გახსნა.

მემომ სქემა გაშალა და კვლავ გაიმეორა ოპერაციის მსვლელობა. ეს უკვე ყველამ ზეპირად იცოდა. ღამის პირველ საათზე ჯგუფი ოთხივე მხრიდან ხოხვით მიადგება მავთულხლართებს და გრძელ ნაღმებს აწყობს. მეტყევე და მემო ცალ-ცალკე მოქმედებენ - ბუნებრივია, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან. გენერალი ორდისთან ერთად - აღმოსავლეთიდან. მაქსიმი და მწვანე - სამხრეთიდან. აფეთქებები ერთდროულად მოხდება, დაახლოებით ღამის პირველ საათზე, და მაშინვე გენერალი, მწვანე, მემო და მეტყევე გასასვლელებს მივარდებიან, რათა შეასრულონ თავიანთი ამოცანა - კაპონირამდე მირბინონ და გრანატები დაუშინონ. როგორც კი კაპონირიდან ამომავალი ცეცხლი ჩაქრება ან მინელდება, მაგნიტური ნაღმებით შეიარაღებული მაქსიმი და ორდი კოშკთან მირბიან, კაპონირს თავის დაზღვევის მიზნით წინასწარ კიდევ ორ ხელყუმბარას ესვრიან და აფეთქებას ამზადებენ. შემდეგ ფალიებს ჩართავენ, წაიყვანენ დაჭრილებს - მხოლოდ დაჭრილებს! და აღმოსავლეთისაკენ წავლენ ტყის გავლით სასოფლო გზამდე, სადაც სამიჯნო ნიშნის გვერდით მოტოციკლეტიანად პაწია დაელოდებათ, მძიმედ დაჭრილებს მოტოციკლეტში აწვენენ. მსუბუქად დაჭრილები და ჯანმრთელები ფეხით მიდიან.

თავშეყრის ადგილია მეტყევის ქოხი. თავშეყრის ადგილზე ერთმანეთს დი-დი-დიდი ორი საათი უნდა დაელოდონ, რის შემდეგაც ჩვეულებრივი წესით წავლენ, შეკითხვები გაქვთ? არა გაქვთ? მორჩა.

გენერალმა ნამწვი გადაისროლა, უბეში ხელი ჩაიყო და ყვითელი აბების შუშა ამოიღო.

- ყურადღება, - თქვა მან, - შტაბის გადაწყვეტილებით ოპერაციის გეგმა რამდენადმე იცვლება. ოპერაციის დაწყება გადატანილია ოცდაორ საათსა და ნულ-ნულ წუთზე...

- მასარაკშ! - თქვა მემომ.- ეს კიდევ რა ახალი ამბებია!

- ნუ მაწყვეტინებთ, - თქვა გენერალმა. - ზუსტად ათ საათსა და ნულ-ნულ წუთზე იწყება საღამოს სეანსი. რამდენიმე წუთით ადრე კი ყოველი ჩვენგანი მიიღებს აი ასეთ ორ-ორ ცალ აბს. შემდეგ ყველაფერი ძველი გეგმით წარი-მართება, ოღონდ ერთი გამონაკლისით: ჩიტი ჩემთან იქნება, როგორც ხელ-ყუმბარის მტყორცნელი. ყველა ნაღმი მაკს ექნება, კოშკს ის მარტო აფეთქებს.

- ეს როგორ? - ფიქრიანად თქვა მეტყევემ, რომელიც სქემას დასჩერებოდა. - ეს ჩემთვის ყოვლად გაუგებარია. ოცდაორი საათი - ეს ხომ საღამოს სეანსია... მე კი, ბოდიში, მაგრამ რომ დავწვები, ველარ ავდგები, უძრავად ვეგდები... დიდი ბოდიში, მაგრამ ჯოხითაც ვერ ამაგდებენ...

-ერთი წუთით, - თქვა გენერალმა. - კიდევ ვიმეორებ: ათს რომ ათი წამი დააკლდება, ყველა იღებს ამ ტკივილის გამაყუჩებელს. გესმით, მეტყევევ? ტკივილგამაყუჩებელს მიიღებთ, ასე რომ ათი საათისათვის...

- ვიცი, რაც არის ეს აბები, - თქვა მეტყევემ. - ორი წუთით შვება მოგეცემა, შემდეგ კი სულ ერთთავად დაგგრიხავს... ვიცით, გაგვისინჯავს.

- ესენი ახალი აბებია, - მოთმინებით თქვა გენერალმა. - დაახლოებით ხუთ წუთს მოქმედებენ. კაპონირამდე მირბენასა და ხელყუმბარების ტყორცნას მოვასწრებთ, დანარჩენს კი მაკი გააკეთებს.

დუმილი ჩამოვარდა. ისინი ფიქრობდნენ. გონებამძიმე მეტყევეს ქვედა ტუჩზე კბილი დაეჭირა და თმაში იქექებოდა. ჩანდა, რა ნელა სწვდებოდა იდეის აზრს; მან თვალები აახამხამა, ქოჩორს მოეშვა, ყველას გაბრწყინებული მზერა მოავლო და გამოცოცხლებულმა მუხლებზე ხელი დაიკრა. ის შესანიშ-ნავი კაცი იყო, გულკეთილი, ბევრი ეწამებინა ცხოვრებას მაგრამ მაინც ვერა-ფერი გაეგო მისი. მას არაფერი სჭირდებოდა, არაფერი უნდოდა, გარდა იმისა

რომ თავი დაენებებინათ, ოჯახში დაბრუნების საშუალება მიეცათ. მთელი ომი სანგრებში გაატარა და ატომის ჭურვებზე უფრო თავისი კაპრალისა ეშინოდა, რომელიც მასავით გლეხი იყო, მაგრამ დიდი ეშმაკი და გაიძვერა. ძალიან შეუყვარდა მაქსიმი, სამუდამოდ მადლიერი დაურჩა იმისათვის რომ მაქსიმმა ძველი ჭრილობა მოურჩინა და მას შემდეგ იწამა, სანამ მაქსიმი აქ არის, შეუძლებელია ცუდი რამ დაგვემართოსო. მაქსიმი მთელი ეს თვე მათთან ათევდა ღამეს სარდაფში და ყოველთვის, დასაძინებლად რომ დაწვებოდნენ, მეტყევე მაქსიმს ერთსა და იმავე ზღაპარს უყვებოდა, რომელსაც მუდამ სხვადასხვანაირად ამთავრებდა: „ცხოვრობდა ჭაობში ერთი გომბეშო, დიდი სულელი ვინმე იყო, პირდაპირ დაუჯერებელი, ჰოდა, დაეჩვია ეს სულელი...“ მაქსიმს ვერაფრით ვერ წარმოედგინა ის სისხლიან საქმეში, თუმცა ეუბნებოდნენ, მეტყევე გამოცდილი და დაუნდობელი მებრძოლიაო.

- აი, რა უპირატესობებს იძლევა ახალი გეგმა: - ამბობდა გენერალი. - ჯერ ერთი, ამ დროს არ მოგველიან. ეს მოულოდნელობის უპირატესობაა. მეორე, წინანდელი გეგმა კარგა ხნისაა და სავსებით შესაძლებელია, მოწინააღმდეგე იცნობდეს. ახლა კი ვასწრებთ მოწინააღმდეგეს. წარმატების შანსი იზრდება...

მწვანე განუწყვეტლივ იქნევდა თავს მოწონების ნიშნად. მტაცებლურ სახეზე ბოროტი კმაყოფილება აღბეჭდოდა, მოუსვენარ გრძელ თითებს სულ ღუნავდა და შლიდა. უყვარდა ყოველგვარი მოულოდნელობა - ძალიან რისკიანი კაცი იყო. ბნელი წარსულის მქონე. ქურდი და აფერისტი. ქურდების გამოხრდილი, ქურდების გამონაკვები, ქურდების გამოჭედილი, ციხეშიც იჯდა, ისევე თავხედურად, მოულოდნელად გამოიქცა როგორც ყველაფერს აკეთებდა, შეეცადა თავის ქურდებს დაბრუნებოდა, მაგრამ დროება შეიცვალა, ძმაბიჭებმა ვერ აიტანეს გადაგვარებული, გაცემა დაუპირეს, მაგრამ თავი დააღწია და კვლავ გაიქცა, სოფლებში აფარებდა თავს, სანამ აწ გარდაცვლილმა გელ კეტშეფმა არ იპოვა. მწვანე ჭკუის კოლოფი იყო, დიდი ფანტაზიის პატრონი, ეგონა დედამიწა ბრტყელია და ცა მყარიო, უმეცრების გამო, რომელსაც მდიდარი ფანტაზია კვებავდა, დასახლებულ კუნძულზე ერთადერთს მაქსიმი ვინმე მთიელად კი არ მიაჩნდა („მინახავს ეს მთიელები, ყველანაირი სახით მინახავს“), არც ბუნების უცნაურ თამაშად („ჩვენ ბუნებით ყველანი ერთნაირები ვართ, გინდ ციხეში, გინდა გარეთ“), არამედ პირდაპირ შეუძლებელი ადგილებიდან, ვთქვათ, ცის სიმკვრივიდან ჩამოსულ არსებად, პირადად

მაქსიმს არასდროს არ ეუბნებოდა, მაგრამ სიტყვას გადაუკრავდა და პატივისცემით ექცეოდა, რაც პირმოთნეობაში გადადიოდა ხოლმე. „ჩვენს შორის შენ გახდები მთავარი, - ამბობდა ის, - და მაშინ შენს ქვეშ მეც გავშლი ფრთებს...“ როგორ და საით აპირებდა ფრთების გაშლას, არავინ იცოდა, მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო: მწვანეს ძალიან უყვარდა სარისკო საქმეები და ვერავითარ მუშაობას ვერ იტანდა. გარდა ამისა, მაქსიმს იგი არ მოეწონა იმიტომ, რომ ველური და პირველყოფილი სისასტიკე ახასიათებდა. ეს იგივე დაწინწკლული მაიმუნი იყო, ოღონდ მოთვინიერებული, ჯავშნიან მგლებზე დაგეშილი.

- მე ეს არ მომწონს, - თქვა მემომ პირქუშად. - ეს ავანტიურაა. მოუმზადებლად, შეუმოწმებლად. არა, არ მომწონს.

მას არასდროს არაფერი მოსწონდა, ამ მემო გრამენუს, მეტსახელად სიკვდილის ჩლიქს. მუდამ უკმაყოფილო იყო და რაღაცის ეშინოდა. მის წარსულს მალავდნენ, რადგანაც იატაკქვეშ თავდაპირველად ძალიან მაღალი თანამდებობა ეკავა. შემდეგ ერთხელ ჟანდარმერიას ჩაუვარდა ბრჭყალებში და მხოლოდ სასწაულით გადარჩა - წამებით დამახინჯებული გამოათრიეს კამერის მეზობლებმა სატუსაღოდან გაქცევისას. ამის შემდეგ იატაკქვეშეთის კანონების თანახმად, შტაბიდან გამოიყვანეს, თუმცა სულ არ იყო საეჭვო კაცი, გელ კეტშეფის თანაშემწედ დანიშნეს, ორჯერ მონაწილეობდა თავდასხმებში, პირადად მოსპო რამდენიმე საგუშაგო მანქანა, მიაკვლია და საკუთარი ხელით მოკლა ლეგიონის ერთერთი ბრიგადის მეთაური, სახელი გაითქვა როგორც ფანატიკურად გამბედავმა ადამიანმა და ჩინებულმა მეტყვიამფრქვევემ. უკვე ჯგუფის ხელმძღვანელად უპირებდნენ დანიშვნას სამხრეთ-დასავლეთის რომელიღაც პატარა ქალაქში, როცა გელის ჯგუფი ჩავარდა. ჩლიქი წინანდებურად არავითარ ეჭვს არ იწვევდა, ახალი ჯგუფის ხელმძღვანელადაც კი დანიშნეს, მაგრამ, ეტყობოდა, განუწყვეტლივ ეჩვენებოდა ალმაცერი მზერა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, მაგრამ სავსებით შეიძლებოდა ყოფილიყო; იატაკქვეშეთში არ უყვარდათ ადამიანები, რომელთაც ძალიან სწყალობდათ ბედი. ის სიტყვაძვირი კაცი იყო, შარიანი, კარგად იცნობდა კონსპირაციის მეცნიერებას და ყველა წესის დაცვას მოითხოვდა, ყველაზე უმნიშვნელოსიც კი. ზოგად თემებზე არასდროს მსჯელობდა, მარტო ჯგუფის საქმეებს აკეთებდა, და მიაღწია, ჯგუფს ჰქონოდა ყველაფერი: იარაღიც, პროდუქტებიც, ფულიც, არალეგალური შეხვედრის ადგილების კარგი ქსელიც

და მოტოციკლიც კი. მაქსიმი თვალში არ მოსდიოდა. ეს აშკარა იყო, და მაქსიმს არ ესმოდა, რატომ, შეკითხვა კი არ უნდოდა: მემო იმ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, ვისთანაც ადვილია გულახდილი ლაპარაკი. შესაძლოა, ეს იმის ბრალიც იყო, რომ მარტო მაქსიმი გრძნობდა მის მუდმივ შიშს - დანარჩენებს აზრადაც არ მოსდიოდათ, თუ შეიძლებოდა რისიმე შიში ჰქონოდა ამ პირქუშ სიკვდილის ჩლიქს, შტაბის ყელა წევრს თავისუფლად რომ ელაპარაკებოდა, იატაკქვეშეთის ერთ-ერთ შემქმნელს, სულით ხორცამდე ტერორისტს.

- ვერაფერი გამიგია შტაბის მოსაზრებისა, - განაგრძობდა მემო და ზიზღით იცხებდა ლოყაზე რეპელენტის ახალ ულუფას. ასი წელია ვიცნობ ამ გეგმას. ასჯერ უნდოდათ გამოეცადათ და ასჯერვე უარი თქვეს, რადგან ეს თითქმის გარდუვალი დაღუპვაა. სანამ გამოსხივება არ არის, კიდევ გვაქვს რაღაც შანსი, რომ მარცხის შემთხვევაში გავიპაროთ მაინც და შევეცადოთ ახლა სხვა ადგილას დავარტყათ. აქ პირველივე მარცხის დროს ყველანი ვიღუპებით. უცნაურია, რომ შტაბში ასეთი ელემენტარული რამეებიც არ ესმით.

- მთლად მართალი არა ხარ, ჩლიქო, - შეესიტყვა ორდი. ახლა ჩვენ მაკი გვყავს. რაიმე რომ მოგვივიდეს კიდეც, ის გამოგვიყვანს და იქნებ კოშკის აფეთქებაც მოახერხოს.

ორდი ზანტად ეწეოდა და თან შორს გასცქეროდა ჭაობს, ცივი, მშვიდი, აუმღვრეველი და ყველაფრისათვის მზად მყოფი გამომეტყველებით. ის შიშს ჰგვრიდა ადამიანებს, რადგან მხოლოდ ცოტად თუ ბევრად შესაფერის გამანადგურებელ მექანიზმებად მიაჩნდა ისინი. მისი ცხოვრება ყველასთვის ნათელი იყო და გარკვეული, - არც წარსულში, არც აწმყოში არ ჰქონია ბნელი და ბუნდოვანი ლაქები. ინტელიგენტურ ოჯახში გაიზარდა, მამა ომში დაეღუპა, დედა ახლაც მასწავლებლად მუშაობდა იხვის დასახლებაში, თვით ორდიც მასწავლებლობდა, სანამ სკოლიდან არ გამოაგდეს, როგორც გადაგვარებული. ის იმალებოდა, ცდილობდა ხონტიში გაქცეულიყო, საზღვარგარეთ შეხვდა გელს, რომელსაც იარაღი გადაჰქონდა და ტერორისტი გახდა. თავდაპირველად სუფთა იდეური მიზნები ამოძრავებდა - იბრძოდა სამართლიანი საზოგადოებისათვის, სადაც ყველას უფლება აქვს იფიქროს და აკეთოს, რაც სურს და შეუძლია, მაგრამ შვიდი წლის წინათ ჟანდარმერიამ მის კვალს მიაგნო და ბავშვი მძევლად წაართვა, რათა აეძულებინა, თვითონაც გამოცხადე-

ბულიყო და ქმარიც გაეცა. შტაბმა გამოცხადების ნება არ მისცა, რადგან მან ძალიან ბევრი რამ იცოდა. მას აქეთ ბავშვის შესახებ არაფერი სმენია, მკვდრად მიაჩნდა, მაგრამ გულში მაინც არ სჯეროდა, და აი უკვე შვიდი წელი გახდა, რაც სიძულვილი ამოძრავებდა უწინარეს ყოვლისა. ჯერ სიძულვილი და შემდეგ უკვე საკმაოდ გაუფერულებული ოცნება სამართლიან საზოგადოებაზე. ქმრის დაკარგვა საოცრად მშვიდად გადაიტანა, თუმცა უყვარდა. ალბათ, უბრალოდ, დაპატიმრებამდე დიდი ხნის წინათ შეეჩვია აზრს, რომ ძალიან არაფერს არ უნდა ებღაუჭებოდე ამ ქვეყნად. ახლა ორდი ისეთი იყო, როგორიც გელი სასამართლოზე, - ცოცხალი მიცვალებული, ოღონდ ძალიან საშიში მიცვალებული.

- მაკი ახალბედაა, - კუშტად თქვა მემომ. - ვინ არის თავდები, რომ არ დაიბნევა მარტო დარჩენილი? სასაცილოა ამის იმედი გქონდეს. სასაცილოა, უარყო ძველი, კარგად გააზრებული გეგმა ვიღაც ახალბედა მაკის იმედით. მითქვამს და ვიმეორებ: ეს ავანტიურაა.

- კარგი ერთი, უფროსო, - თქვა მწვანემ. - ასეთია ჩვენი სამუშაო. მე თუ მკითხავ, გინდა ძველი გეგმა იყოს, გინდა ახალი ყველა ავანტიურაა. აბა როგორ გინდა? ურისკოდ ვერაფერს გახდები, ეს ამბები კი რისკს ამცირებს. ისინი ხომ, კოშკქვეშ მოკალათებულნი მთლად გადაირევიან, როცა ათ საათზე თავს დავეცემით. ალბათ ათ საათზე შნაპსს მიირთმევენ და სიმღერებს გაჰყვირიან, ამ დროს ჩვენ წავადგებით თავს, მათ კი, იქნებ, ავტომატებიც არა აქვთ გატენილი და თვითონაც გამომთვრალნი წვანან... არა, მე მომწონს. რას იტყვი, მაკ?

- მეც მომწონს, მართალი გითხრათ... - თქვა მეტყევემ. - აი, რას გეტყვით, თუ ასეთი გეგმა მეც მაოცებს, იმ ლეგიონერებს ხომ თავგზას აუბნევს. მწვანე მართალს ამბობს: გადაირევიან ერთი ხუთი წუთი თუ გავიტანჯებით და ამასობაში კი მაკმა, შესაძლოა, კოშკიც წააქციოს და მაშინ ხომ სულ კარგად იქნება საქმე. მერე და რა კარგად იქნება! - თქვა უეცრად, თითქოს ახალმა იდეამ გაუელვა თავში. - ჩვენამდე ხომ არავის არ დაუმხია კოშკები, მარტო ტრაბახობდნენ, ჩვენ ვიქნებით პირველები... და კიდევ, სანამ ამ კოშკს კვლავ აღმართავენ, რამდენი დრო გაივლის! ერთ თვეს მაინც ვიცხოვრებთ ადამიანურად... ისე რომ, საზიზღარი შეტევები არ გვექნება...

- ვშიშობ, ვერ გამიგეთ, ჩლიქო, - თქვა გენერალმა. - გეგმაში არაფერი არ

იცვლება, ჩვენ მხოლოდ მოულოდნელად ვესხმით თავს, ჩიტის ხარჯზე იერიშს ვაძლიერებთ და რამდენადმე ვცვლით უკან დახევის წესს.

- ხოლო თუ გეშინია, რომ მაკი ყველას ვერ გამოგვათრევს, - ძველებურად ზანტად წაილაპარაკა ორდიმ, რომელიც ისევ ჭაობს გასცქეროდა. - არ დაგავიწყდეს, რომ მას ერთი, დიდი-დიდი, ორი ადამიანი ეყოლება გამოსათრევი, მაკი კი ძალ-ღონით სავსეა.

- დიახ, - თქვა გენერალმა, რომელიც ორდის უყურებდა. - ეს მართალია.

გენერალს უყვარდა ორდი. მაქსიმის გარდა, ამას ვერავინ ამჩნევდა, მაგრამ მაქსიმმა იცოდა, რომ ეს ძველი, უიმედო სიყვარული იყო, რომელიც ჯერ კიდევ გელის დროს დაიწყო, ახლა კი უფრო უიმედო გახდა, თუ ასეთი რამ შესაძლებელია. ისე, გენერალი ნამდვილი გენერალი როდი იყო. ომამდე კონვეიერზე მუშაობდა, შემდეგ სუბალტერნ-ოფიცრების სკოლაში მოხვდა, იბრძოდა ქვეითი ჯარის შემადგენლობაში, ომი როტმისტრის ჩინით დაამთავრა. კარგად იცნობდა როტმისტრ ჩაჩუს, რაღაც ანგარიშები ჰქონდა მასთან (ომის დამთავრების შემდეგ რაღაც არეულობა იყო რომელიღაც პოლკში) და დიდხანს ამაოდ ნადირობდა მასზე. ის იატაკქვეშეთის შტაბის მუშაკი იყო, მაგრამ ხშირად მონაწილეობდა პრაქტიკულ ოპერაციებში. კარგ მუშაკად, მცოდნე მეთაურად ითვლებოდა. იატაკქვეშ მუშაობა მოსწონდა, მაგრამ კარგად არ ჰქონდა წარმოდგენილი, რა იქნებოდა ომის შემდეგ. თუმცა გამარჯვების არც კი სჯეროდა. სულით ჯარისკაცი, იოლად ეგუებოდა ყოველგვარ პირობებს და არასდროს არ ცდილობდა გამოეცნო, რა მოხდებოდა ათ-ოც დღეზე მეტი ხნის შემდეგ. თავისი იდეები არ ჰქონდა, ზოგი რამ ცალხელასაგან გადაიღო, ზოგიც კეტშეფისგან, ცოტა რამ შტაბში ასწავლეს, მაგრამ მის შეგნებაში მთავარი იყო ის, რაც სუბალტერნ-ოფიცრების სკოლაში ჩაუდეს თავში. ამიტომაც თეორიული მსჯელობის დროს უცნაურ შეხედულებებს გამოთქვამდა: მდიდართა ხელისუფლება დასამხობიაო (ეს ტახისგან იცოდა, რომელიც მაქსიმის წარმოდგენაში რაღაც სოციალისტის ან კომუნისტისმაგვარი იყო), სახელმწიფოს სათავეში უნდა ჩაუდგნენ ინჟინრები და ტექნიკოსები (ეს კეტშეფის აზრი იყო), ქალაქები უნდა დაინგრეს და ადამიანებმა ბუნების სიახლოვეს იცხოვრონ (რომელიღაც შტაბელი მოაზროვნე - ბუკოლისტისგან), და ყოველივე ამისთვის საჭიროა მხოლოდ ის, რომ უსიტყვოდ შესრულდეს ზემდგომი მეთაურების ბრძანება, და რაც შეიძლება ნაკლებად ილაქლაქონ

განყენებულ თემებზე. მაქსიმი ორჯერ მაგრად შეეტაკა მას. სრულიად გაუგებარი იყო, რატომ უნდა დაენგრიათ კოშკები, შეეწირათ ამისთვის გულადი ამხანაგები, დრო, სახსრები, იარაღი - ათი-ოცი დღის შემდეგ კოშკს მაინც აღადგენენ, და ყველაფერი წინანდებურად წარიმართება მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობა საკუთარი თვალებით ნახავს, რა ბილწი ვერაგები არიან ეს გადაგვარებულები. გენერალმა ვერაფრით ვერ შეძლო კარგად განემარტა მაქსიმისათვის დივერსიული საქმიანობის არსი. ან რაღაცას მალავდა, ან თვითონაც არ ესმოდა, რა საჭირო იყო ეს, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იგივეს იმეორებდა: ბრძანებებს არ იხილავენ, კოშკზე ყოველი თავდასხმა ლახვარია მტრის გულში, არ შეიძლება ადამიანებს აქტიური საქმიანობა დაუშალო, წინააღმდეგ შემთხვევაში მათში სიძულვილი ამჟავდება და სიცოცხლეს აზრი დაეკარგება... „ცენტრი უნდა ვეძებოთ! - დაჟინებით იმეორებდა მაქსიმი. - ერთბაშად უნდა დავარტყათ ცენტრს, მთელი ძალებით! როგორ აზროვნებენ იმ შტაბში, თუ ასეთი უბრალო რამეც არ გაეგებათ?“ - „შტაბმა იცის, რას აკეთებს, - მრავალმნიშვნელოვნად უპასუხებდა გენერალი, თან ნიკაპს მაღლა სწევდა და წარბებს ქაჩავდა, - ჩვენს საქმეში მთავარია დისციპლინა და მოეშვი გლეხურ თავისუფლებას მაკ, ყველაფერს თავისი დრო აქვს, ცენტრსაც მოგართმევთ, თუ მანამდე იცოცხლე...“ საერთოდ მაქსიმს პატივისცემით ეპყრობოდა და მეტყევის სარდაფში სხივური დარტყმების შემთხვევაში სიამოვნებით იღებდა მისგან დახმარებას...

- სულ ერთია, მე წინააღმდეგი ვარ, - ჯიუტად თქვა მემომ. - ცეცხლი რომ დაგვიშინონ? ხუთ წუთში რომ ვერ ჩავეტიოთ და ექვსი დაგვჭირდეს? გიჟური გეგმაა. მუდამ გიჟური იყო.

- ნაღმებს პირველად ვიყენებთ, - თქვა გენერალმა, რომელმაც ძლივს მოსწყვიტა მზერა ორდის. - მაგრამ მავთულხლართის გარღვევის წინანდელი მეთოდებით რომ ვიმოქმედოთ, ოპერაციის ბედი საშუალოდ სამ-ოთხ წუთში გადაწყდება. ანაზდეულად თუ მივუსწრებთ, ერთი ან ორი წუთი კიდევ დაგვრჩება მარაგად.

- ორი წუთი დიდი დროა, - თქვა მეტყევემ. - ორ წუთში შიშველი ხელებით მოვახრჩობ ყველას, ვინც იქ არის, ოღონდ იქამდე მივირბენდეთ.

- მივირბენდეთ... კარგია... - რაღაც ბოროტი ოცნებით გააგრძელა მწვანემ. -

ხომ, მაკ?

- შენ არაფერი გაქვს სათქმელი, მაკმ - ჰკითხა გენერალმა.

- მე უკვე ვთქვი, - უპასუხა მაქსიმმა. - ახალი გეგმა ძველსა სჯობს, მაგრამ მაინც ცუდია. მოდით, მე თვითონ შეგიდგენთ, რაც იქნება, იქნება.

- ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, - თქვა გენერალმა გაღიზიანებული ხმით. - მოვრჩეთ. საქმიანი შენიშვნები თუ გაქვს?

- არა, - თქვა მაქსიმმა. უკვე ნანობდა კიდეც, რომ ეს საუბარი წამოიწყო.

- საიდან გაჩნდა ახალი აბები? - იკითხა უეცრად მემომ.

- აბები ძველია, - თქვა გენერალმა. - მაკმა ცოტათი გააუმჯობესა.

- მაკმა?...

ჩლიქმა ეს ისეთი ხმით წარმოთქვა, რომ ყველამ უხერხულად იგრძნო თავი. მისი სიტყვები შეიძლებოდა კაცს ასე გაეგო: ახალბედაა, თანაც მთლად ჩვენი კაციც არ ეთქმის, იმ მხრიდანაა მოსული - საქმეს შეთქმულების სუნი ხომ არ უდის, ასეთი შემთხვევებიც ყოფილა...

- დიახ, - უკმეხად თქვა გენერალმა. - და კმარა ლაპარაკი. შტაბის ბრძანებაა. კეთილი ინებე, ჩლიქო, და დაემორჩილე.

- ვემორჩილები, - თქვა მემომ და მხრები აიჩეჩა. - წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ვემორჩილები. სხვა რა გზაა...

მაქსიმი ნაღვლიანად შესცქეროდა მათ. ისინი მის წინაშე ისხდნენ, სრულიად განსხვავებული ხალხი, - ჩვეულებრივ პირობებში ალბათ აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ შეუძლიათ ერთად მოიყარონ თავი: ყოფილმა ფერმერმა, ყოფილმა სისხლის სამართლის დამნაშავემ, ყოფილმა მასწავლებელმა... რის გაკეთებასაც ისინი აპირებდნენ, უაზრობა იყო, გაივლის რამდენიმე საათი და მათი უმრავლესობა მკვდარი იქნება, მსოფლიოში კი არაფერი არ შეიცვლება, და ცოცხლად დარჩენილნი უკეთეს შემთხვევაში სულს მოითქვამენ ჯოჯოხეთური ტკივილებისაგან, მაგრამ დარჩებიან დასახიჩრებული, სირბილით განაწამები, მათზე ძაღლებით ინადირებენ, ჯურღმულებში მოუწევთ თავის შეფარება, შემდეგ კი ყველაფერი თავიდან დაიწყება. მათთან ერთად მოქმედება სისულელე იყო, მაგრამ მათი დატოვება სულმდაბლობა იქნებოდა, და იძულებული იყო, სისულელე აერჩია. ან, შესაძლოა, აქ, მათთან საერთოდ არ შეიძლება სხვანაირად, ხოლო თუ რაიმეს გაკეთება გინდა, უნდა გამოიარო სიბეცე, უაზრო სისხლისღვრა, შესაძლოა, სულმდაბლობაც. უბადრუკი ადამი-

ანი... სულელი ადამიანი... სულმდაბალი ადამიანი... აბა, სხვა რაღას უნდა მოელოდე ადამიანისაგან ასეთ უბადრუკ, სულელურ და სულმდაბალ სამყაროში? ოღონდ უნდა გახსოვდეს, რომ სისულელე უძლურების შედეგია, ხოლო უძლურება უმეცრებისგან მომდინარეობს, სწორი გზის არცოდნისაგან. მაგრამ ხომ არ შეიძლება მოხდეს, რომ ათას გზას შორის არც ერთი არ იყოს სწორი!... „ერთი გზა მე უკვე გავიარე, - ფიქრობდა მაქსიმი, - ის არასწორი გზა იყო. ახლა ეს გზა უნდა მოვსინჯო, თუმცა უკვე ჩანს, რომ ესეც არასწორია, შესაძლოა, კიდევ ბევრჯერ მომიწიოს არასწორი გზებით სიარულმა და ჩიხში მომწყვდევამ. ვის წინაშე ვიმართლებ თავს? და რატომ? ეს ხალხი მომწონს, შემიძლია დავეხმარო, აი ყველაფერი, რისი ცოდნაც ახლა მჭირდება...“

- ახლა დავშორდეთ ერთმანეთს, - თქვა გენერალმა. - ჩლიქი მეტყევესთან ერთად წავა, მაკი - მწვანესთან, მე - ჩიტთან... ცხრა საათსა და ნულ-ნულ წუთზე სამიჯნე ნიშანთან შევხვდებით; მხოლოდ ტყე-ტყე ვივლით, გზებზე არ გამოვალთ. წყვილები ერთმანეთს არ უნდა დაშორდნენ, რადგან ერთმანეთზე პასუხს აგებენ. წადით. პირველნი მიდიან მემო და მწვანე. - მან ნამწვავები ქაღალდის ფურცელში მოაგროვა, შეახვია და ჯიბეში ჩაიდო.

მეტყევემ მუხლები დაიზილა.

- ძვლები მტკივა, - თქვა მან. - იწვიმებს. კარგი ღამე იქნება, ბნელი...

მეთერთმეტე თავი

ტყის პირიდან მავთულამდე ხოხვით უნდა მისულიყვნენ. წინ: მწვანე მიხოხავდა, გრძელ ნაღმიან ლატანს მიათრევდა და ძლივს გასაგონად აგინებდა ეკლებს, ხელში რომ ესობოდა. მაქსიმი, რომელსაც მაგნიტის ნაღმით სავსე ტომარა ეკავა, ცოცვით მიჰყვებოდა უკან. ცა ღრუბლებით იყო დაფარული, ჟინჟღლავდა. ბალახი სველი იყო და პირველსავე წუთებში ერთთავად გაიწუწნენ. წვიმა ყველაფერს ფარავდა. მწვანე კომპასის მიხედვით მიხოხავდა და ერთხელაც არ გადაუხვევია - დიდი გამოცდილი ვინმე იყო ეს მწვანე. შემდეგ სველი ჟანგის მკვეთრი სუნი დატრიალდა, და მაქსიმს თვალწინ წარმოუდგა სამ მწკრივად გაჭიმული მავთული. მავთულს მიღმა კი ბუნდოვნად მოჩანდა ცხაურიანი ვეებერთელა კოშკი. თავი რომ ასწია, კოშკის ძირას დაბალი, სწორკუთხოვანი ნაგებობა შენიშნა. ეს კაპონირი იყო, იქ ტყვიამფრქვევით შეიარაღებული სამი ლეგიონერი იდგა. წვიმის ხმაურში იქიდან გაურკვეველი ხმები აღწევდა. შემდეგ ასანთს გაჰკრეს და გრძელ ამბრაზურას სუსტი ყვითელი შუქი მოეფინა.

მწვანე ჩურჩულით იწყევლებოდა და ცდილობდა ლატანი მავთულქვეშ შეერჭო. „მზად არის, - დაიჩურჩულა მან. - გახოხდით.“ მათ ათი ნაბიჯი ხოხვით დაიხიეს და ლოდინი დაიწყეს. მწვანეს დეტონატორის ზონარი მუშტში ჩაებღუჯა და საათის. მოციმციმე ისრებს უყურებდა. ის ერთთავად ძაგძაგებდა. მაქსიმს ესმოდა, როგორ აცემინებს კბილს კბილზე და მძიმედ სუნთქავს. მაქსიმიც ცახცახებდა. ხელი ტომარაში ჩაყო და ნაღმები მოსინჯა - ხორკლიანი, ცივი ნაღმები. წვიმამ იმატა, ახლა მისი შრიალი ახშობდა ყველა ბგერას. მწვანემ წამოიწია და ოთხზე დადგა.

ის განუწყვეტლივ ჩურჩულებდა რაღაცას: ლოცულობდა, ან იგინებოდა... „აჰა, ქვეწარმავლებო!“ - დაიძახა უეცრად და მარჯვენა ხელი მკვეთრად მოიქნია. ფისტონმა გაიტკაცუნა, რაღაცა აშიშინდა და წინ მიწიდან წითელმა ალმა ამოხეთქა, მოშორებითაც მარცხნივ მთელ სიგრძეზე ავარდა ალი. გაისმა გრუხუნი, ჩამოცვივდა ცხელი, სველი მიწა, ცეცხლმოკიდებული ბალახის ბღუჯები, რაღაც გავარვარებული ნატეხები. მწვანე არანორმალური ყვირილით წინ გაიჭრა და უეცრად ყველაფერი დღესავით, დღეზე მეტად გაჩახჩახდა, თვალის მომჭრელად განათდა. მაქსიმმა მაგრად დახუჭა თვალები და შიგნით

რაღაც სიცივე იგრძნო. გაიფიქრა, ახლა კი ყველაფერი გათავდაო. სროლა შეწყდა, ირგვლივ სიჩუმე იყო, არაფერი ისმოდა, შიშინისა და სისინის გარდა.

მაქსიმმა თვალები გაახილა და თვალისმომჭრელ სინათლეზე დაინახა ნაცრისფერი კაპონირი, მავთულხლართში გამოგლეჯილი ფართო გასასვლელი და ვიღაც ადამიანები, ძალიან პატარები და უბადრუკები, კოშკის გარშემო გადაშლილ ვეებერთელა ცარიელ სივრცეში - გამალებით რომ მირბოდნენ კაპონირისკენ, ჩუმად, უხმოდ, წაიბორძიკებდნენ, დაეცემოდნენ, კვლავ წამოხტებოდნენ და მირბოდნენ. შემდეგ საწყალობელი კვნესა გაისმა და მაქსიმმა თვალი ჰკიდა მწვანეს, რომელიც არსად არ მირბოდა, მიწაზე იჯდა იქვე მავთულხლართს იქით, თავში ხელები წაევლო და ქანაობდა. მაქსიმი მივარდა, ხელები მოაშორა სახეზე, დაინახა მისი გადატრიალებული თვალები და პირზე მომდგარი დუჟი... სროლა კი მაინც არ ისმოდა: უკვე მთელმა საუკუნემ განვლო, კაპონირი კი დუმდა. და უეცრად იქ ნაცნობი სიმღერა დაგუგუნეს.

მაქსიმმა პირქვე გადააბრუნა ეს დოყლაპია, თან ცალი ხელით ჯიბეში იქექებოდა, და უხაროდა, რომ გენერალი ასეთი უნდოა და ყოველი შემთხვევისათვის მაქსიმსაც მისცა ტკივილგამაყუჩებელი აბები. მან მწვანეს კრიჭაშეკრული პირი გაუხსნა და ახრიალებულ შავ ხახაში ღრმად ჩასჩარა აბები. შემდეგ მის ავტომატს დასტაცა ხელი და მოტრიალდა, რათა დაენახა, საიდან მოდიოდა სინათლე, რატომ იყო ამდენი სინათლე, არ უნდა ყოფილიყო ამდენი სინათლე... სროლა ისევ არ ისმოდა, ადამიანები კვლავ მირბოდნენ, ერთი უკვე სულ ახლოს იყო კაპონირთან, მეორე ოდნავ ჩამორჩა, ხოლო მესამე, რომელიც მარჯვნივ მირბოდა, უეცრად გამოქანებული დაეცა და გადაყირავდა. „ო, როგორ ქვითინებს მტერი!...“ - გაჰყვიროდნენ კაპონირში, სინათლე კი ზევიდან, ათეული მეტრის სიმაღლიდან ეცემოდა - ალბათ კოშკიდან, რომელსაც ახლა ვერ გაარჩევდი. იქიდან ხუთი თუ ექვსი თვალისმომჭრელი თეთრლურჯი დისკო ლაპლაპებდა. მაქსიმმა ავტომატი გადმოიღო და დაუმიზნა, სასხლეტს თითი დააჭირა. პატარა, მოუხერხებელი, უჩვეულო თვითნაკეთი ავტომატი აბორგდა და თითქოს პასუხად, კაპონირის ამბრაზურაში წითელი ალები აენთო, მერე უეცრად ავტომატი ხელიდან გამოგლიჯეს, მან ჯერ კიდევ ვერცერთ თვალისმომჭრელ დისკოს ვერ მოახვედრა, მწვანემ კი უკვე ავტომატი გამოსტაცა და წინ გაიჭრა, და მაშინვე სწორ ადგილზე წაიბორძიკა

და დაეცა...

მაქსიმი მიწაზე დაწვა და უკან გაცოცდა თავისი ტომრისაკენ. გარშემო აჩქარებით ტკაცუნობდნენ ავტომატები, შემზარავად გრუხუნებდა ტყვიამფრქვევი. და აჰა - როგორც იქნა! - გასკდა ჭურვი, შემდეგ მეორე, შემდეგ ორი ერთად, და ტყვიამფრქვევი დადუმდა; მხოლოდ ავტომატების ტკაცანი ისმოდა, კვლავ აფეთქება, ვიღაც არაადამიანური ხმით აყვირდა, და სიჩუმე ჩამოვარდა. მაქსიმმა ტომარას დასტაცა ხელი და გაიქცა. კაპონირს კვამლი ასდიოდა. ტრუსისა და ტყვია-წამლის სუნი იდგა, ირგვლივ კი სინათლე და სიცარიელე იყო, მხოლოდ შავი წელში მოხრილი კაცი მოლასლასებდა კაპონირის ახლოს კედელ-კედელ. ამბრაზურამდე მივიდა, რაღაც შეაგდო შიგ და დაეცა. ამბრაზურა წითელმა შუქმა გაანათა, ტკაცანი გაისმა და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა...

მაქსიმმა წაიბორძიკა და კინაღამ დაეცა. რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ კვლავ წაიბორძიკა და მიწიდან ამოჩრილი და ბალახში ჩამალული მსხვილი მოკლე პალოები შენიშნა... „აი თურმე რა ყოფილა... აი თურმე რა ყოფილა აქ... გენერალს მარტო რომ გავეშვი, მაშინვე მოვიმტვრევდი ორივე ფეხს და ახლა მკვდარი ვეგდებოდი ამ საზიზღარ მზაკვრულ პალოებზე... ბაქია... უმეცარი...“ კოშკი უკვე სულ ახლოს იყო. ის მირბოდა და დაბლა იყურებოდა, მარტო იყო და სხვებზე ფიქრის თავი არ ჰქონდა.

ვეებერთელა რკინის თათამდე მიირბინა, ტომარა დააგდო. უნდოდა იქვე სველი რკინისათვის მიეკრა მძიმე ხორკლიანი დისკო, მაგრამ მერე კაპონირისთვის არ დარჩებოდა... გამოღებული რკინის კარიდან ალი გამოკრთოდა, საფეხურებზე ლეგიონერი იწვა - აქ ყველაფერი დამთავრებულიყო. მაქსიმმა კაპონირს შემოუარა და გენერალს წააწყდა. ის ბეტონის კედელს მიყრდნობილი იჯდა; უაზრო თვალები ჰქონდა და მაქსიმი მიხვდა, რომ აბებს მოქმედების ვადა გასვლოდა. მიმოიხედა, გენერალი ხელში აიყვანა და კოშკს მოაშორა. ოც ნაბიჯზე ბალახში ორდი იწვა და ხელში გრანატა ეკავა. თავდაღმა ეგდო, მაგრამ მაქსიმი მაშინვე მიხვდა, რომ მკვდარი იყო. უფრო შორს დაიწყო ძებნა და მეტყევე იპოვა, ისიც მკვდარი იყო. მწვანეც მოეკლათ და აღარ იცოდა, ვისთან დაეწვინა ცოცხალი გენერალი.

მაქსიმი მინდორზე მიაბიჯებდა, ამდენმა სიკვდილმა სულ დაარეტიანა, თუმცა კიდევ ერთი წუთის წინ ეგონა, ყველაფრისთვის მზად იყო, ეჩქარებო-

და დაბრუნება და კოშკის აფეთქება, რათა მათი დაწყებული საქმე დაემთავრებინა. მაგრამ ჯერ ჩლიქი უნდა ეპოვა. უცებ, ზედ მავთულთან მემოს წააწყდა. ეტყობოდა, დაჭრილი მავთულამდე მიღწევას ცდილობდა მანამ, სანამ უგონოდ არ დაეცა. მაქსიმმა გვერდით გენერალი მოუწვინა და კვლავ გაიქცა კოშკისაკენ. უკვირდა, რომ ახლა მშვიდად შეეძლო გაევლო ეს საცოდავი ორასი მეტრი და აღარაფერი იყო საშიში.

იგი საყრდენებზე ნაღმების მიმაგრებას შეუდგა, ორ-ორი ნაღმი ყოველ საყრდენზე მეტი საიმედობისათვის. ჩქარობდა. დრო კი ჰქონდა, მაგრამ გენერალი სისხლისაგან იცლებოდა, მემოც სისხლისაგან იცლებოდა და სადღაც გზატკეცილზე უკვე მოქროდნენ ლეგიონერებით სავსე სატვირთო მანქანები. გაიც წამოაგდეს განგაშის ხმაზე და ახლა პანდის გვერდით მჯდარი ბელტებზე მორახრახებდა. ახლო-მახლო სოფლებშიც გამოიღვიძა ხალხმა: მამაკაცები თოფებსა და ცულებს იმარაგებდნენ, ბავშვები ტიროდნენ, ქალები კი წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ სისხლიან ჯაშუშებს, რომელთა გამო არც ძილია, არც მოსვენება. მაქსიმი მთელი ტანით გრძნობდა, როგორ ცოცხლდება მჟინჟღლავი უკუნი, ძალას იკრებს, მრისხანე და საშიში ხდება...

ფალიები ხუთი წუთისათვის იყო გათვალისწინებული, რიგრიგობით ჩართო ყველა და სირბილით დაბრუნდა უკან გენერალსა და მემოსთან. რაღაც აწუხებდა, შეჩერდა, ირგვლივ მიმოიხედა და მიხვდა, რაც აწუხებდა: ორდი. უკანვე გაიქცა, თან დაბლა იყურებოდა, რათა არაფერს წამოდებოდა, ორდისთან დაბრუნდა, სიფრიფანა სხეული მხარზე აიტატა და ისევ გამოიქცა. კვლავ დაბლა იხედებოდა ისე - მავთულთან, ჩრდილოეთ გასასვლელთან, სადაც გენერალი და მემო იტანჯებოდნენ, მაგრამ უკვე ცოტა დროღა დარჩენოდათ ტანჯვისათვის. მათ გვერდით გაჩერდა და კოშკს შეხედა.

და აი ახდა ტერორისტების ეს უაზრო ოცნებაც. სწრაფად, ზედიზედ გასკდა ნაღმები, კოშკის საძირკველი კვამლით დაიფარა, შემდეგ კი ის თვალისმომჭრელი ალები ჩაქრა, ირგვლივ ღრმა წყვდიადმა დაისადგურა. სიბნელეში გაისმა ღრჭიალი, გრუხუნი, მიწა შეირყა, ღრჭიალით შეხტა და კვლავ შეირყა.

მაქსიმმა საათს დახედა. თერთმეტის ჩვიდმეტი წუთი იყო, თვალები სიბნელეს შეაჩვია. გამოჩნდა გარღვეული მავთული და გადაბრუნებული კოშკი. მას აფეთქებისაგან დამახინჯებული საყრდენი გაეჩაჩხა და ისე ეგდო კაპონირისგან მოშორებით, სადაც ჯერ კიდევ ცეცხლი გიზგიზებდა.

- ვინ არის აქ? - დაიხრიალა გენერალმა და ამოძრავდა.

- მე ვარ,- თქვა მაქსიმმა და დაიხარა. - დროა წავიდეთ. სად ხართ დაჭრილი? სიარული შეგიძლიათ?

- დაიცა, - თქვა გენერალმა. - კოშკს რა მოუვიდა?

- კოშკმა ჭირი მოგჭამათ, - ჩაილაპარაკა მაქსიმმა.

მაქსიმს ორდი მხარზე ეწვინა და არ იცოდა, როგორ ეთქვა ეს ამბავი გენერლისათვის.

- ეს შეუძლებელია, - თქვა გენერალმა და წამოიწია. - მასარაკშ, ნუთუ მართლა? - გაიცინა და ისევ დაწვა. - მომისმინე, მაკ, მე არაფერი მესმის. რა დროა ახლა?

- თერთმეტის ოცი წუთია.

- მაშასადამე, ყველაფერი სწორია... ჩვენ მას ბოლო მოვუღეთ... ყოჩაღ, მაკ... დაიცა, ეს ვინ წევს ჩემს გვერდით?

- ჩლიქი, - თქვა მაქსიმმა.

- სუნთქავს, - თქვა გენერალმა. - დაიცა, კიდევ ვინ გადარჩა? ეს ვინაა შენს მხარზე?

- ორდია, - ძლივს ამოღერღა მაქსიმმა.

გენერალს რამდენიმე წამი არაფერი უთქვამს.

- ორდი... - თქვა ხმის კანკალით და ძლივს წამოდგა. - ორდი, - კვლავ გაიმეორა და ლოყაზე მიადო ხელი.

ერთხანს დუმდნენ. შემდეგ გაისმა მემოს ჩახლეჩილი ხმა:

- რომელი საათია?

- ოცდაორი წუთი, - თქვა მაქსიმმა.

- სადა ვართ? - იკითხა მემომ.

- უნდა წავიდეთ, - თქვა მაქსიმმა.

გენერალი შეტრიალდა და გარღვეულ მავთულში ტორტმანით გავიდა. მაშინ მაქსიმი დაიხარა, მეორე მხარზე ზონზრორხა მემო მოიკიდა. უკან მიჰყვა. რომ დაეწია, გენერალი შეჩერდა.

- წაიყვანე მხოლოდ დაჭრილები, - თქვა მან.

- არა უჭირს, შევძლებ, - თქვა მაქსიმმა.

- შეასრულეთ, რასაც გიბრძანებთ, - თქვა გენერალმა - მხოლოდ დაჭრილები.

ხელები გაიწოდა და ტკივილებისაგან კვნესოდა ისე, ორდის გვამი ჩამოიღო მაქსიმის მხრიდან. ვეღარ ზიდა და მაშინვე მიწაზე დადო.

-მხოლოდ დაჭრილები, - თქვა უცნაური ხმით. - სირბილით... მარშ!

- სად ვართ? - იკითხა მემომ. - ვინ არის აქ? სად ვართ?

- ქამარში ჩამავლე ხელი, - უთხრა მაქსიმმა გენერალს და გაიქცა.

მემომ შეჰყვირა და მოეშვა. თავი უყანყალებდა, ხელები ჩამოსცვენოდა, მისი ფეხები ზურგში ურტყამდა მაქსიმს. გენერალი, რომელიც ხმამაღლა და ხიხინით სუნთქავდა, ფეხდაფეხ მისდევდა ქამარში ხელჩაკიდებული.

ტყეში შევარდნენ. სახეზე სველი ტოტები ხვდებოდათ. მაქსიმი შემხვედრ ხეებს თავს არიდებდა, კუნძებზე ხტებოდა - ეს უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა, ის უკვე ძველი მაქსიმი აღარ იყო, ჰაერიც სხვანაირად ეჩვენებოდა და საერთოდ არაფერი არ იყო სწორი, ყველაფერი ზედმეტი და უაზრო ჩანდა, უკან გადათელილი ბუჩქები, სისხლიანი კვალი და სუნი რჩებოდა. გზები კი უკვე დიდი ხანია შეკრულია, ძაღლებმა ლამის აიწყვიტონ და პისტოლეტმომარჯვებული როტმისტრი ჩაჩუ ბრძანებებს ჩხავის, ბაჯბაჯით მირბის ასფალტზე, თხრილზე ხტება და პირველი შერბის ტყეში. უკან რჩებოდა სულელური წაქცეული კოშკი, შეტრუსული ლეგიონერები, და სამი მკვდარი, უკვე გაშეშებული ამხანაგი, აქ კი ორნი იყვნენ, დაჩეხილები, ნახევრადმკვდრები, რომელთაც არავითარი შანსი არ ჰქონდათ, - და ყველაფერი ეს მოხდა ერთი კოშკისთვის, სულელური, უაზრო, ბინძური, ჟანგიანი კოშკისათვის, რომლის მსგავსი აქ ათასია... ამიერიდან არავის მივცემ ნებას ასეთი სისულელე ჩაიდინოს. არა-მეთქი, ვეტყვი, მე ეს მინახავს... რამდენი სისხლი იღვრება, და ყველაფერი უსარგებლო ჟანგიანი რკინის ჯართისათვის, ერთი ახალგაზრდა უჭკუო სიცოცხლე ჟანგიანი რკინისათვის და ერთი ბებერი უჭკუო სიცოცხლე უბადრუკი იმედისათვის, თუნდაც რამდენიმე დღე იცხოვრონ ადამიანურად, და ერთიც ტყვიით განადგურებული სიყვარული - ისე, არც ერთისა და არც მეორეს გულისათვის... თუ მხოლოდ გადარჩენა გინდათ-მეთქი ვეტყვი, რად კვდებით ასე ტყუილ-უბრალოდ, ასე უაზროდ... მასარაკშ, მე მათ ნებას არ მივცემ მოკვდნენ, ისინი იცოცხლებენ ჩემს ხელში, ისწავლიან სიცოცხლეს!... რა რეგვენი ვარ, რომ დავთანხმდი ამაზე, როგორ მივეცი ამის ჩადენის უფლება?!

მაკი სირბილით გავიდა შარაგზაზე. მემო მხარზე ჰყავდა მოკიდებული,

გენერალს იღლიაში ამოჩრილს მიათრევდა, მიმოიხედა - სამანიდან გაწუწული, ოფლისა და შიშის სუნით გაჟღენთილი პაწია მორბოდა.

- სულ ესენიღა დარჩნენ? - იკითხა შეძრწუნებულმა პაწიამ.

დაჭრილები მოტოციკლამდე მიათრიეს, მემო ეტლში შეტენეს, გენერალი კი უკანა უნაგირზე დასვეს და პაწიამ ღვედით გამოიბა. ტყეში ჯერ კიდევ ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, მაგრამ მაქსიმმა იცოდა, რომ ეს არაფერს ნიშნავს.

- წინ - თქვა მან. - არ შეჩერდე, გაარღვიე…

- ვიცი, - თქვა პაწიამ. - შენ რას აპირებ?

- შევეცდები ჩემსკენ მოვიზიდო ისინი. შიში ნუ გაქვს, დავუძვრები.

- არა მგონია, - თქვა ნაღვლიანად პაწიამ, სტარტერს დაჭაჩა და მოტოციკლი ატკაცუნდა. - კოშკი მაინც თუ ააფეთქეთ? - შესძახა მან.

- კი, - თქვა მაქსიმმა და პაწიამ მოტოციკლი დაძრა.

მარტო დარჩენილი მაქსიმი რამდენიმე. წამი უძრავად იდგა, შემდეგ კვლავ ტყეში შევარდა. პირველსავე მდელოზე ქურთუკი გაიძრო და ბუჩქებში შეაგდო. შემდეგ გზაზე სირბილით დაბრუნდა და ერთხანს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ქალაქის მხარეს მირბოდა, შეჩერდა, ქამრიდან ხელყუმბარები ამოაძრო, გზაზე მიმოფანტა, ბუჩქებში მეორე მხარეს გაძვრა, თან ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ტოტები დაემტვრია, ცხვირსახოცი ბუჩქებში შეაგდო და მხოლოდ შემდეგ გამოიქცა ტყე-ტყე, თან მონადირის თანაბარ სირბილზე გადადიოდა, რომლითაც ათი ან თხუთმეტი კილომეტრი უნდა გაერბინა.

მირბოდა ისე, რომ არაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ იმას ადევნებდა თვალს, ძალიან არ გადაეხვია სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებიდან, და ფეხის დასადგმელ ადგილს ირჩევდა. ორჯერ გადაჭრა გზა, ერთხელ სოფლის შარაგზა, რომლის იქით სიცარიელე იყო, და მეორედ - მეთერთმეტე გზატკეცილი, სადაც ასევე არავინ ჩანდა, მაგრამ აქ პირველად მოესმა ძაღლების ყეფა. ვერ განსაზღვრა, რა ძაღლები ყეფდნენ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შორიდან მოუარა იმ ადგილს და საათნახევარში ქალაქის სახარისხებელი სადგურის პაკჰაუზებს შორის აღმოჩნდა.

აქ სინათლე ენთო, საწყალობლად გაჰკიოდნენ ორთქლმავლები. მიმოდიოდნენ ადამიანები, აქ, ალბათ, არაფერი იცოდნენ, მაგრამ სირბილი არ ღირდა, შეიძლებოდა ქურდად ჩაეთვალათ. სიარულზე გადავიდა, ხოლო როცა ქალაქში მიმავალმა სატვირთო შემადგენლობამ გრუხუნით ჩაუარა, სილით

დატვირთულ პირველსავე პლატფორმას შეახტა, ჩაწვა და ბეტონის ქარხნამდე არ განძრეულა. იქ ჩამოხტა, სილა დაიფერთხა, ხელი ოდნავ დაესვარა მაზუთით, ჩაფიქრდა, როგორ მოქცეულიყო.

მეტყევის სახლამდე მიღწევას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ის კი ახლომახლო საიდუმლო შეხვედრის ერთადერთი ადგილი იყო. შეიძლებოდა ეცადა ღამე იხვის დასახლებაში გაეთია, მაგრამ საშიშად ეჩვენა, რადგან როტმისტრმა ჩაჩუმ ეს მისამართი იცოდა. გარდა ამისა, გაფიქრებაც კი ზარავდა იმისა, რომ მოხუც ილისთან მისულიყო და ქალიშვილის სიკვდილი ეცნობებინა. წასასვლელი არსად ჰქონდა. მუშების ღარიბ ღამის სამიკიტნოში შევიდა. სოსისები შეჭამა, ლუდი დააყოლა, კედელს მიყრდნობილმა წათვლიმა. რადა ესიზმრა, და ძილში გაიფიქრა, ახლა გაი, ალბათ, ალყაში მონაწილეობს, და ეს კარგიაო. რადას კი უყვარს და მიიღებს, სხვა ტანსაცმელს მისცემს და დააბანინებს; ფანკის მოცემული სამოქალაქო კოსტიუმიც იქ უნდა იყოს. დილით კი შეძლებს გაემგზავროს აღმოსავლეთში, სადაც მისთვის ცნობილი მეორე საიდუმლო შეხვედრის ადგილია... გაეღვიძა, მაგიდაზე დაჭმუჭნული ფული დააგდო და გავიდა.

შორს არ ჰქონდა წასასვლელი და არც გზა იყო საშიში. ქუჩებში ხალხი არ ჩანდა, მხოლოდ ზედ სახლთან შენიშნა მეკარე. იგი შესასვლელში თავის ტაბურეტზე იჯდა და ეძინა. მაქსიმმა ფრთხილად ჩაუარა, კიბეზე ავიდა და ისე დარეკა, როგორც ყოველთვის. კარს მიღმა ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, შემდეგ რაღაცამ გაიჭრიალა, ნაბიჯები გაისმა და კარი ოდნავ გაიღო. რადა გამოჩნდა.

რადამ მხოლოდ იმიტომ არ შეჰყვირა, რომ სუნთქვა შეეკრა და პირზე ხელი აიფარა. მაქსიმი მოეხვია, გულში ჩაიკრა, შუბლზე აკოცა; ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს შინ დაბრუნდა, სადაც უკვე კარგა ხანია აღარ ელიან. შევიდა და კარი მიხურა. ოთახში შევიდნენ თუ არა, რადა აქვითინდა. ოთახში ყველაფერი ძველებურად იყო, ოღონდ მისი პატარა დივანი არ ჩანდა, ხოლო საწოლზე გაი იჯდა, ღამის პერანგისამარა, შეშინებული და გაოცებული გიჟივით შემოჰყურებდა. ასე გაიარა რამდენიმე წუთმა: მაქსიმი და გაი ერთმანეთს უყურებდნენ, რადა კი ტიროდა.

- მასარაკშ, - თქვა ბოლოს გაიმ უმწეოდ. - ცოცხალი ხარ?... არ მომკვდარხარ?

- გამარჯობა, გაი, ბიჭო, - თქვა მაქსიმმა. - არ ვიცოდი, რომ შინა ხარ. არ

მინდოდა, ხიფათში ჩამეგდე. თუ მეტყვი, ახლავე წავალ.

ეს თქვა თუ არა, რადა მაშინვე მაგრად ჩააფრინდა ხელში.

- არ-სად! - თქვა ყრუ ხმით, - არაფრის გულისთვის! არსად არ წახვალ... აბა ცადოს... მაშინ მეც არაფერს ანგარიშს არ გავუწევ…

გაიმ საბანი მოიშორა, საწოლიდან ფეხები ჩამოუშვა და მაქსიმთან მივიდა. ხელი შეახო მხრებზე, ხელებზე, მაზუთით გაისვარა, შემდეგ ხელი შუბლზე მოისვა, შუბლიც გაისვარა.

- ვერაფერი გამიგია, - თქვა საცოდავად - ცოცხალი ხარ... საიდან მოხვედი? ნუ ღრიალებ, რადა. დაჭრილი არა ხარ? საშინლად გამოიყურები. და აი სისხლიც...

-ეს ჩემი არ არის, - თქვა მაქსიმმა.

- ვერაფერი გამიგია, - გაიმეორა გაიმ.- მომისმინე, შენ ხომ ცოცხალი ხარ! რადა, წყალი გააცხელე! მოხუცი გააღვიძე, არაყს მოგცემს...

- ჩუმად, - თქვა მაქსიმმა. - ნუ ხმაურობთ, მე მომდევენ.

- ვინ? რატომ? რა სისულელეა... რადა, ტანსაცმელი გამოაცვლევინე!... დაჯექი, მაკ, დაჯექი... ან იქნებ დაწოლა გინდა? როგორ მოხდა ეს? როგორ ხარ ცოცხალი?...

მაქსიმი ფრთხილად ჩამოჯდა სკამის კიდეზე, ხელები მუხლებზე დაიწყო, რათა არაფერი დაესვარა, და ამ ორს უყურებდა, უკანასკნელად უყურებდა მათ, უყურებდა თავის მეგობრებს და რაღაც ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა თქვა:

- იცით, მე ახლა დამნაშავედ ვითვლები. ეს-ეს არის კოშკი ავაფეთქე.

არ გაოცებულა, რომ მაშინვე მიუხვდნენ, იმწამსვე ენიშნათ, რა კოშკზეა ლაპარაკი, და არ ჰკითხეს. რადა მხოლოდ ხელების მტვრევას მოჰყვა ისე, რომ მისთვის თვალები არ მოუშორებია, გაიმ კი ამოიხვნეშა, საგვარეულო ჟესტით ორივე ხელით აიჩეჩა ქოჩორი, შემდეგ განზე გაიხედა და შეწუხებულმა თქვა:

- ჩერჩეტი. მაშასადამე შურისძიება გადაწყვიტა... ვისზე იძიებ შურს? ეჰ, შენ რა გითხარი, ფსიხი იყავი და ფსიხადვე დარჩენილხარ. ბავშვი ხარ, პატარა... კარგი. შენ არაფერი გითქვამს, ჩვენ არაფერი გაგვიგონია. კარგი... არაფრის გაგონება არ მსურს. რადა, წადი, წყალი გააცხელე. ოღონდ არ იხმაურო, ხალხი არ გააღვიძო... გაიხადე, - უთხრა მაქსიმს მკაცრად. - ეშმაკივით არ

ამოთხვრილა, ნეტა, სად დაეხეტები...

მაქსიმი ადგა და გახდა დაიწყო, მოიშორა ჭუჭყიანი სველი პერანგი (გაიმ ნატყვიარები დაინახა და ხმაურით ჩაყლაპა ნერწყვი), ზიზღით გაიძრო ამოსვრილი ჩექმები და შარვალი. ტანსაცმელი ერთთავად შავი ლაქებით ჰქონდა აჭრელებული და მისგან რომ გათავისუფლდა, შვება იგრძნო.

- შესანიშნავია, - თქვა და კვლავ დაჯდა. - გმადლობ, გაი, მე დიდხანს არ დავრჩები, მხოლოდ დილამდე, შემდეგ კი წავალ...

- კარისკაცმა გნახა? - კუშტად იკითხა გაიმ.

- ეძინა.

- ეძინა... - თქვა გაიმ ეჭვით. - ის, იცი... თუმცა, შესაძლოა, ეძინა კიდეც. ალბათ სძინავს ოდესმე...

- შენ რატომ ხარ შინ? - ჰკითხა მაქსიმმა.

- განთავისუფლებული ვარ.

- რას ქვია განთავისუფლებული? - თქვა მაქსიმმა. - ალბათ ახლა მთელი ლეგიონი ქალაქგარეთაა...

- აღარა ვარ ლეგიონერი, - თქვა გაიმ და მწარედ გაიღიმა. - მე ხომ ლეგიონიდან გამომაგდეს, მაკ. ახლა მხოლოდ და მხოლოდ არმიის კაპრალი ვარ, ტეტიებს ვასწავლი, რომელია მარცხენა ფეხი და რომელი - მარჯვენა. შეისწავლიან და აიდა - ხონტიელთა საზღვარზე, სანგრებში... ასეა ჩემი საქმე, მაკ.

- ეს ჩემს გამო მოხდა? - ხმადაბლა იკითხა მაკმა.

- როგორ გითხრა... საერთოდ, კი.

მათ ერთმანეთს შეხედეს და გაიმ თვალი მოარიდა. მაქსიმს გაუელვა, გაიმ რომ ახლა გასცეს, ლეგიონშიც დაბრუნდება და თავის ოფიცერთა დაუსწრებელ სკოლაშიც; და კიდევ გაიფიქრა, რომ ჯერ კიდევ სულ რაღაც ორიოდე თვის წინ ასეთი რამ აზრადაც არ მოუვიდოდა. უსიამო გრძნობა დაეუფლა, მოუნდა წასულიყო, ახლავე, დაუყოვნებლივ გასცლოდა, მაგრამ ამ დროს რადა დაბრუნდა და სააბაზანოში მოუხმო. სანამ ბანაობდა, რადამ საჭმელი მოამზადა, ჩაი გააცხელა, გაის სახე ხელებზე ჩამოეყრდნო, ძველ ადგილზე იჯდა დაღონებული. არაფერს არ კითხულობდა - ალბათ, ეშინოდა, რაიმე საშინელი არ გავიგონოო, ისეთი, რაც გაარღვევს მისი თავდაცვის უკანასკნელ ხაზს, გადაჭრის უკანასკნელ ძაფებს, რომლებიც ჯერ კიდევ აკავშირებენ მაქსიმთან. რადაც არაფერს კითხულობდა - ეტყობოდა, შეკითხვების თავი არ

ჰქონდა; თვალს არ აშორებდა მაქსიმს, ხელს არ უშვებდა და დროდადრო სლუკუნებდა - ეშინოდა, რომ ის უეცრად გაქრებოდა, ხელიდან გამოეცლებოდა საყვარელი ადამიანი. გაქრება და კვლავ არასდროს გამოჩნდება და მაშინ მაქსიმმა, რაკი ცოტა დრო რჩებოდა, გასწია ფინჯანი და მოყოლა დაიწყო.

თქვა, როგორ დაეხმარა ტერორისტის დედა, როგორ შეხვდა გადაგვარებულებს, ვინ არიან ისინი სინამდვილეში, რატომ ეძახიან მათ გადაგვარებულებს და რა არის კოშკები, რა ეშმაკეული, საზიზღარი გამოგონებაა ეს. მოყვა, რა მოხდა წუხელ, როგორ გარბოდნენ ადამიანები ტყვიამფრქვევის ხმაზე და ზედიზედ იხოცებოდნენ. როგორ დაემხო სველი რკინის ეს საზიზღარი გროვა და როგორ მიჰქონდა ხელით მოკლული ქალი, რომელსაც ბავშვი წაართვეს და ქმარი მოუკლეს...

რადა ხარბად უსმენდა, ბოლოს გაიც დაინტერესდა, და შეკითხვებიც დაყარა, მზაკვრული, ბოროტი, სულელური და სასტიკი შეკითხვები. და მაქსიმი მიხვდა, რომ მას არაფერი არ სჯერა, რომ ყოველივე ეს ისე სხლტებოდა მისი შემეცნებიდან, როგორც წყალი ცხიმისგან, რომ არ სიამოვნებს ამის მოსმენა და ძლივს იკავებს თავს, მაქსიმს სიტყვა არ გააწყვეტინოს. და როცა მაქსიმმა მოყოლა დაამთავრა, მან ცუდად ჩაიცინა და თქვა:

- კარგად კი გაუცურებიხართ.

მაქსიმმა რადას შეხედა, მაგრამ რადამ გვერდზე გაიხედა და ტუჩების კვნეტით გაუბედავად წარმოთქვა:

- არ ვიცი... იქნებ, რა თქმა უნდა, იყო ერთი ასეთი კოშკი... გესმის, მაკ, ეს უბრალოდ შეუძლებელია, რასაც შენ ყვები...

ნაზი, წყნარი ხმით ლაპარაკობდა, აშკარად ცდილობდა, არ ეწყენინებინა მისთვის, თვალებში ისე ჩასცქეროდა, თითქოს რაღაცას სთხოვსო, მხარზე ხელს უსვამდა, გაი კი უეცრად გააფთრდა და თქვა, რომ ეს სისულელეა და სხვა არაფერი, რომ მაქსიმს უბრალოდ ვერ წარმოუდგენია, რამდენი ასეთი კოშკი დგას ყველგან, რამდენი შენდება ყოველწელს, ყოველდღე, - მამ ნუთუ ეს უზარმაზარი მილიარდები მხოლოდ იმისთვის იხარჯება, რომ დღეში ორჯერ უსიამოვნება მიაყენონ ერთ მუჭა უბადრუკ მახინჯებს?!

- მარტო დაცვას რამდენი ფული ხმარდება, - დასძინა პაუზის შემდეგ.

- ამაზეც მიფიქრია, - თქვა მაქსიმმა. - ალბათ სინამდვილეში ეს ყველაფერი არც ისე იოლია. მაგრამ ხონტიური ფულები აქ არაფერ შუაშია... და შემდეგ,

მე თვითონ ვნახე, როგორც კი კოშკი წაიქცა, ყველანი უკეთ გახდნენ. ხოლო რაც შეეხება საბალისტო თავდაცვას... გამიგე, გაი, ჰაერიდან დასაცავად კოშკები მეტისმეტია. საჰაერო სივრცის ჩასაკეტად ბევრად ნაკლები კოშკია საჭირო... და გარდა ამისა, რა საჭიროა საბალისტო დაცვა სამხრეთ საზღვარზე? განა ველურ გადაგვარებულებს შეიძლება ჰქონდეთ საბალისტო საშუალებები?

- იქ ბევრი რამ არის, - თქვა გაბოროტებულმა გაიმ. - შენ არაფერი იცი და ყველაფერი გჯერა... ბოდიში, მაკ, მაგრამ შენ რომ შენ არ იყო... ჩვენ ყველანი ძალზე ადვილად მოსატყუებელი ვართ... - მწარედ დასძინა მან.

მაქსიმს უკვე აღარ უნდოდა ედავა და საერთოდ ელაპარაკა ამ თემაზე. ახლა მათ მიუბრუნდა და ჰკითხა, როგორ ცხოვრობდნენ, რადა სად მუშაობდა, რატომ არ წავიდა სასწავლებლად, რასა იქს ძია კაანი, როგორ არიან მეზობლები... რადა გამოცოცხლდა, მოყოლა დაიწყო, შემდეგ გაახსენდა, რომ სუფრა ჰქონდა ასალაგებელი, დასვრილი ჭურჭელი მოაგროვა და სამზარეულოში გავიდა. გაიმ თავი ორივე ხელით მოიფხანა, კუშტად გახედა ბნელ ფანჯარას, შემდეგ კი ღონე მოიკრიბა და სერიოზული ვაჟკაცური საუბარი დაიწყო.

- ჩვენ გვიყვარხარ, მაკ, - თქვა მან. - მე მიყვარხარ, რადას უყვარხარ, თუმცა დაუდეგარი კაცი ხარ და შენს გამო ყველაფერი სხვანაირად წარიმართა. მაგრამ აი რა: რადას უბრალოდ, ისე, კი არ უყვარხარ, გესმის... არამედ, როგორ გითხრა... ერთი სიტყვით, შენ გესმის… ერთი სიტყვით, მოსწონხარ და მთელი ეს დრო ტირილში გაატარა, პირველ კვირას იავადმყოფა კიდეც. ის კარგი ქალიშვილია, მეოჯახე, მასზე ბევრს უჭირავს თვალი, და ეს არცაა გასაკვირი... არ ვიცი, შენ რას ფიქრობ, მაგრამ იცი, რას გირჩევდი? მოეშვი მთელ ამ სისულელეებს, ისინი საშენო არ არის, არავინ გეკითხება, გაგხვევენ რამეში, თვითონ დაიღუპები, ბევრ უდანაშაულო ადამიანსაც გაუფუჭებ ცხოვრებას - რად გინდა ეს. უკანვე დაბრუნდი იმ შენს მთაში, იპოვე შენიანები, თავით თუ არ გაგახსენდა- გული გიკარნახებს, სადაა შენი სამშობლო... იქ არავინ დაგიწყებს ძებნას, მოეწყობი, ცხოვრებას ააწყობ, მაშინ ჩამოდი, რადა წაიყვანე და იყავით თქვენთვის. ჩვენ კი შეიძლება ამასობაში ხონტიელებსაც მოვუღოთ ბოლო, პანდეას უფრო მაგრად ვწვდეთ ყელში, ბოლოს და ბოლოს მშვიდობიანობა ჩამოვარდება და ვიცხოვრებთ ადამიანურად...

მაქსიმი უსმენდა და ფიქრობდა, მართლაც მთიელი რომ ყოფილიყო, ალ-

ბათ ასედაც მოიქცეოდა: სამშობლოში დაბრუნდებოდა და მშვიდად იცხოვრებდა ახალგაზრდა ცოლთან ერთად, დაივიწყებდა მთელ ამ საშინელებებს, სირთულეებს... არა, კი არ დაივიწყებდა, თავდაცვას მოაწყობდა, ისე რომ შემოქმედთა მოხელეები ცხვირსაც ვერ შემოყოფდნენ იქ; ხოლო თუ ლეგიონერები მოვიდოდნენ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდა მშობლიურ ზღურბლთან... „ოღონდ მე მთიელი არა ვარ, მთებში არაფერი მესაქმება, ჩემი საქმე აქ არის, მე არ ვაპირებ ავიტანო ყოველივე ეს... რადა? რადა… თუ მართლა ვუყვარვარ, მიხვდება, უნდა მიხვდეს... არ მინდა ახლა ამაზე ვიფიქრო, არ მინდა მიყვარდეს, სად მცალია სიყვარულისთვის...“

ჩაფიქრდა და გვიან იგრძნო, რომ სახლში რაღაც შეიცვალა ვიღაც დადიოდა დერეფანში, ვიღაც ჩურჩულებდა კედელს იქით, და უეცრად დერეფანში აფაცურდნენ, სასოწარკვეთილმა რადამ წამოიყვირა: „მაკ!“... - და მაშინვე დადუმდა, თითქოს პირი მოუკუმესო. მაკი წამოხტა და ფანჯარას მივარდა, მაგრამ კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა რადა, რომელსაც ადამიანის ფერი არ ედო. მაკს ყაზარმის ნაცნობი სონი ეცა, გარკვევით გაისმა დაჭედილი ჩექმების ბრაგუნი, რადა ოთახში შემოაგდეს და მას მიყვნენ შავკომბინიზონიანები. პანდიმ, რომელსაც გამხეცებული სახე ჰქონდა, ავტომატი დაუმიზნა მაქსიმს, ხოლო როტმისტრი ჩაჩუ, როგორც ყოველთვის მზაკვარი და როგორც ყოველთვის ჭკვიანი, რადას გვერდით იდგა, მხარში ხელი ჩაევლო და პისტოლეტის ლულა ფერდში მიებჯინა.

- არ გაინძრე! - შესძახა მან. - გაინძრევი და ვისვრი!

მაქსიმი გაირინდა, მას არაფერი არ შეეძლო. წამის ორი მეათედი, შესაძლოა ნაკლებიც სჭირდებოდა, ამ მკვლელს კი წამიც ეყოფოდა.

- ხელები წინ! - დაიჩხავლა ჩაჩუმ. - კაპრალო, ხელხუნდები მოიტა! ორმაგი ხელხუნდები დაადე! გაინძერი, მასარაკშ!

პანდი, რომელიც წვრთნის დროს მაქსიმს არაერთხელ გადაუყირავებია, დიდი სიფრთხილით მიუახლოვდა, თან ქამრიდან მძიმე ჯაჭვს იხსნიდა. სახის მხეცური გამომეტყველება შეფიქრიანებას შეეცვალა.

- ჭკუით იყავი, - უთხრა მაქსიმს, - რამე რომ გაივლო გულში, ბატონი როტმისტრი მაშინვე... ისა… შენს სიყვარულს...

მან მაქსიმს ხელებზე ფოლადის სამაჯურები გაუკეთა, ჩაცუცქდა და ფეხებიც შეუკრა. მაქსიმმა გუნებაში ჩაიცინა, უკვე იცოდა, შემდეგ რას გააკეთებ-

და. მაგრამ როტმისტრი ვერ შეაფასა ჯეროვნად. როტმისტრმა რადა არ გაუშვა, ყველანი ერთად დაეშვნენ კიბეზე, ერთად ჩასხდნენ სატვირთო მანქანაში და როტმისტრს წამითაც არ მოუშორებია პისტოლეტი მაქსიმისათვის. შემდეგ სატვირთო მანქანაში შეაგდეს შებოჭილი გაი. გათენებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო, მაგრამ ძველებურად ჟინჟღლავდა, სველ ქუჩას მქრქალი ფარნები ანათებდნენ. ძარაში სკამებზე ხმაურით სხდებოდნენ ლეგიონერები, უზარმაზარი სველი ძაღლები უხმოდ ექაჩებოდნენ ღვედებს, ცდილობდნენ აეწყვიტათ და ჩაჩუმებულნი ნერვულად, ყმუილით ამთქნარებდნენ. სადარბაზოში კი კარის კიდეს მიყრდნობილ კარისკაცს ხელები მუცელზე დაეკრიფა და თვლემდა.

მეთორმეტე თავი

სახელმწიფო პროკურორი სავარძლის ზურგზე გადაწვა, პირში რამდენიმე ხმელი კენკრა ჩაიგდო, დაღეჭა და ზედ ერთი ყლუპი სამკურნალო წყალი დააყოლა. დაღლილი თვალები დახუჭა, თითები დააჭირა და ყურთასმენად იქცა. ირგვლივ მრავალ ასეულ მეტრზე ყველაფერი რიგზე იყო. იუსტიციის სასახლის ცარიელი შენობის ფანჯრებს მონოტონურად ეხეთქებოდა ღამის წვიმა, არც სირენის ხმა ისმოდა და არც მუხრუჭების ხრჭიალი, ლიფტების კაკუნი და ზუზუნი. და არავინ იყო, მხოლოდ მისაღებში მაღალ კარს უკან თაგვივით წყნარად იჯდა ღამის რეფერენტი და ბრძანებების მოლოდინში გული ელეოდა. პროკურორმა ნელა გაახილა თვალები და მცურავ ფერად ლაქებს მიღმა თვალი ჰკიდა განსაკუთრებული შეკვეთით დამზადებულ სავარძელს, რომელიც მომსვლელებისთვის იყო განკუთვნილი. სავარძელი თან უნდა წავიღო. მაგიდაც უნდა წავიღო, შევეჩვიე... კაცმა რომ თქვას. ძალიან დამენანება აქედან წასვლა. მოვათბე ადგილი... ან რატომ უნდა წავიდე? კაცი უცნაურადაა მოწყობილი: თუ წინ კიბე დაინახა, უნდა აუცილებლად ყველაზე მაღალ საფეხურზე აძვრეს. კენწეროზე ცივა, ჯანმრთელობისთვის მავნებელი გამჭოლი ქარები ქრის, თუ ჩამოვარდი, იქვე მოიტეხ კისერს, საფეხურები მოლიპულია, სახიფათო, ეს მშვენივრად იცი, მაგრამ მაინც ადიხარ. ენა მხარზე გადაგიგდია და მიფორთხავ - გარემოებები ხელს გიშლიან, მაგრამ მიძვრები, ყველა გირჩევს, არ ახვიდეო, მაინც მიძვრები. მტრების ჯინაზე მიძვრები, საკუთარი ინსტინქტების, საღი აზრის, წინათგრძნობების ჯინაზე - მიძვრები, მიძვრები, მიძვრები... ის, ვინც მაღლა არ, მიძვრება, ეცემა. ეს ასეა. მაგრამ, ვინც მიძვრება, ისიც ვარდება...

შიდა ტელეფონის წრიპინმა აზრის ძაფი გაუწყვიტა. ყურმილი აიღო და გაღიზიანებულმა უპასუხა:

-რა ამბავია? მე დაკავებული ვარ.

- თქვენო უდიდებულესობავ... - დაიშრიალა რეფერენტმა, - ვიღაც თქვენი პირადი ხაზით რეკავს, მწირი ვარო, ამბობს და დაბეჯითებით მთხოვს, გალაპარაკოთ...

- მწირი? - გამოცოცხლდა პროკურორი, - შემაერთე.

ყურმილში ტკაცანი გაისმა. რეფერენტმა დაიშრიალა:

- მისი უდიდებულესობა გისმენთ.

კვლავ გაისმა ტკაცანი და ნაცნობმა ხმამ პანდიურ ენაზე მტკიცედ, დამარცვლით თქვა:

- ჭკუის კოლოფი ხარ? გამარჯობა. ძალიან დაკავებული ხომ არა ხარ?

- შენთვის - არა.

- მოსალაპარაკებელი მაქვს.

- როდის?

- ახლავე, თუ შეიძლება.

- შენს განკარგულებაში მიგულე, - თქვა პროკურორმა. - ჩამოდი.

- ათ-თხუთმეტ წუთში მანდა ვარ, დამელოდე.

პროკურორმა ყურმილი დადო, ერთხას უძრავად იჯდა და ქვედა ტუჩს იკვნეტდა. „მოხვედი, გენაცვალე, - გაიფიქრა მან, - და კვლავ მოულოდნელად დამატყდი თავზე. მასარაკშ, რამდენი ფული დავახარჯე ამ ადამიანს, ალბათ მეტი, ვიდრე ყველა დანარჩენს ერთად, მაგრამ მხოლოდ ის ვიცი მასზე, რაც ყველა დანარჩენმა ცალ-ცალკე. საშიში პიროვნებაა, გაუგებარი. სულ გამიფუჭდა გუნება...“ პროკურორმა ბრაზით შეხედა მაგიდაზე მიმოფანტულ ქაღალდებს, დაუდევრად მოაგროვა და უჯრაში ჩატენა. „რამდენ ხანს არ ჩანდა?... ჰო, ორი თვეა. როგორც ყოველთვის, კაცმა არ იცის, სად გაქრა, ორი თვე არაფერი ისმოდა და აი, ინებეთ, ეშმაკივით ამოძვრა კოლოფიდან... არა, რაღაც უნდა მოვუხერხო ამ ეშმაკს, ასე მუშაობა არ შეიძლება... კარგი, მაგრამ ნეტა რა უნდა ჩემგან? მაინც რა მოხდა ამ ორ თვეში? გაქნილი ჩამოაგდეს... საეჭვოა, ეს აინტერესებდეს. გაქნილი ეჯავრებოდა, თუმცა ვინ არ ეჯავრება? მისი ხაზით არაფერი არ ყოფილა, თუმცა ასეთი წვრილმანისათვის არც მოვა ჩემთან - პირდაპირ კანცლერთან წავა, ან ბარონთან... იქნებ რამე საინტერესოს მიაგნო და ალიანსში უნდა შემოსვლა? ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას... ოღონდ მე მის ადგილზე არავისთან არ შევიდოდი ალიანსში... იქნებ პროცესია?... არა, რა შუაშია აქ პროცესი. თუმცა რას ვმარჩიელობ, სჯობს, თადარიგი დავიჭირო“.

საიდუმლო უჯრა გამოაღო და ფონოგრაფები და საიდუმლო კამერები ჩართო. „ამ სცენას შთამომავლობას შემოვუნახავთ. აბა, სადა ხარ, მწირო?“ აღგზნებისაგან გაოფლიანდა, კანკალმა აიტანა: დასამშვიდებლად რამდენიმე ცალი კენკრა ჩაიდო პირში, დაღეჭა, თვალები დახუჭა და თვლა დაიწყო. შვი-

დასამდე რომ დაითვალა, კარი გაიღო, რეფერენტი გვერდზე გასწია და შემოვიდა აყლაყუდა, გულგრილი ხუმარა, შემოქმედთა იმედი, რომელიც სძულდათ და აღმერთებდნენ, ყოველ წამს ბეწვზე ეკიდა და არასდროს ეცემოდა, გამხდარი, წელში მოხრილი, მრგვალი მწვანე თვალები და დიდი პარტყუნა ყურები რომ ჰქონდა, განუშორებელი სულელური ქურთუკი მუხლამდე სცემდა, იდაყვივით მოტვლეპილი თავი ჰქონდა, ჯადოქარი, ბედ-იღბლის გადამწყვეტი, მილიარდების შთანმთქმელი... პროკურორი მის შესახვედრად წამოდგა. ამ ადამიანთან ზედმეტი იყო თვალთმაქცობა და ტანჯვით შეკოწიწებული სიტყვები.

- სალამი, მწირო, - თქვა პროკურორმა. - სატრაბახოდ მოხვედი?

- რა მაქვს სატრაბახო? - ჰკითხა მწირმა, ყველასათვის ნაცნობ სავარძელში ჩაეშვა და მუხლები ზედ ცხვირთან მიებჯინა. - მასარაკშ, ყოველთვის მავიწყდება ეს ეშმაკეული მოწყობილობა. როდის მორჩები სტუმრების გამასხარავებას?

- სტუმარი თავს უხერხულად უნდა გრძნობდეს, - თქვა პროკურორმა დამრიგებლურად, - სტუმარი სასაცილო უნდა იყოს, თუ ასე არ მოხდა, რა სიამოვნება უნდა მივიღო მისგან? აი, ახლაც გიყურებ და სიცილის გუნებაზე ვდგები.

- კი, ვიცი, დიდი მხიარული კაცი ხარ, - თქვა მწირმა. - ოღონდ ძალზე მარტივი იუმორი გაქვს - სხვათა შორის, შეგიძლია დაჯდე.

პროკურორმა შეამჩნია, რომ ჯერ კიდევ იდგა. როგორც ყოველთვის, მწირმა სწრაფად გადაუხადა სამაგიერო. პროკურორი მოხერხებულად დაჯდა და სამკურნალო საზიზღრობა მოსვა.

- გისმენ, - თქვა მან.

მწირი პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

- შენს ბრჭყალებშია ერთი კაცი, - საქმიანად დაიწყო მან, რომელიც მე მჭირდება, ვინმე მაკ სიმი. ხელახლა აღზრდისათვის ციხეში რომ უკარი თავი, გახსოვს?

- არა, - თქვა გულწრფელად პროკურორმა. მას, ცოტა არ იყოს, იმედი გაუცრუვდა. - როდის ვუკარი? რა საქმისათვის?

- ახლახან. კოშკის აფეთქებისთვის.

- ა, მახსოვს... მერე რა?

- არაფერი, - თქვა მწირმა. - მე ის მჭირდება.

- დაიცა, - თქვა შეწუხებულმა პროკურორმა. - პროცესს მე არ ვუძღვებოდი, ყველა ხომ არ მემახსოვრება, ვისაც მიესაჯა.

- მე კი მეგონა, სულ შენი ხალხი იყო.

- იქ მარტო ერთი იყო ჩემი, დანარჩენები - ნამდვილი... რა ჰქვიაო, როგორ თქვი?

- მაკ სიმი.

- მაკ სიმი... - გაიმეორა პროკურორმა. - ა! ის მთიელი ჯაშუში... მახსოვს. იქ მას რაღაც უცნაური ამბავი შეემთხვა - დახვრიტეს, მაგრამ ცუდად.

- ჰო, ვგონებ.

- ძალიან ღონიერი ვინმეა... ჰო, რაღაც მომახსენეს... რაში გჭირდება?

- ის მუტანტია, - თქვა მწირმა. - საინტერესო მენტოგრამები აქვს, მე კი სამუშაოდ მჭირდება.

- უნდა გაკვეთო?

- შესაძლოა. ჩემებმა დიდი ხანია შეამჩნიეს, როცა ჯერ კიდევ სპეციალურ სტუდიაში იყენებდნენ, მაგრამ შემდეგ გაიპარა...

იმედგაცრუებულმა პროკურორმა კენკრით გამოიტენა პირი.

- კეთილი, - თქვა მან. - შენი საქმეები როგორაა?

- როგორც ყოველთვის, მშვენივრად, - უპასუხა მწირმა. - გავიგე, შენც არა გიჭირს რა. მაინც ხომ გამოუთხარე ძირი ღალღას. მოგილოცავ... მაშ, მითხარი, როდისღა მივიღებ. ჩემს მაკს?

- ხვალვე გავგზავნი დეპეშას, ხუთ-შვიდ დღეში ჩამოიყვანენ.

- ნუთუ არაფერს მომთხოვ სამაგიეროდ? - ჰკითხა მწირმა.

- მიხდა პატივი გცე, - თქვა პროკურორმა. - მაინც რას შემომთავაზებდი?

- პირველივე დამცავ ჩაფხუტს.

პროკურორმა ჩაიცინა.

- და დამატებით მთელ სამყაროსაც, - თქვა მან. - სხვათა შორის მხედველობაში იქონიე: პირველი ჩაფხუტი მე არ მჭირდება. მე მჭირდება ერთადერთი... ჰო, მართლა, ამბობენ, თითქოს სწორედ შენს ბანდას დაევალა მიზნიანი გამომსხივებლის შემუშავება, მართალია?

- შესაძლოა, - თქვა მწირმა.

- მომისმინე, კი მაგრამ რა ეშმაკად გინდათ ეს? განა უსიამოვნება გვაკლია?

რა იქნება შეაჩერო ეს სამუშაო, ა?

მწირი დაიკრიჭა.

- გეშინია, ჭკუის კოლოფო? - ჰკითხა მან.

- მეშინია, - თქვა პროკურორმა. - შენ კი არ გეშინია? თუ გგონია, რომ შენი და გრაფის სიყვარული მარადიულია? ის ხომ შენი გამომსხივებლით შენვე...

მწირი კვლავ დაიკრიჭა.

- დამარწმუნე, - თქვა მან. - შევთანხმდით. - იგი წამოდგა. - ახლა კანცლერთან მივდივარ. რამეს ხომ არ დამაბარებდი?

- კანცლერი გულმოსულია ჩემზე, - თქვა პროკურორმა. - ძალიან მაწუხებს ეს.

- კარგი, - თქვა მწირმა. - გადავცემ.

- ხუმრობა იქით იყოს, - თქვა პროკურორმა, - და რა იქნება მართლა შემაწიო სიტყვა...

- შენ ხომ ჩვენი ჭკუის კოლოფი ხარ. - თქვა მწირმა კანცლერის ხმით. - შევეცდები.

- პროცესით მაინც თუა კმაყოფილი?

- მე რა ვიცი. ახლა ჩამოვედი.

- ჰოდა გაიგე... ხოლო რაც შეეხება შენსას... რა ჰქვია? მოდი, ჩავიწერო...

- მაკ სიმი.

- ასე... მასზე ხვალვე გავცემ განკარგულებას.

- კარგად იყავი, - თქვა მწირმა და გავიდა.

პროკურორმა კუშტად გააყოლა თვალი. „დიახ, მართლა შეიძლება შეგშურდეს. მესმის ასეთი მდგომარეობა! ერთადერთია, ვისზეც დამოკიდებულია დაცვა. ახლა კი ვნანობ, მაგრამ იქნებ აჯობებდა მასთან დაახლოება. მაგრამ რანაირად დაუახლოვდები? არაფერი არ სჭირდება, ისედაც დიდი ვინმეა. ყველანი მასზე ვართ დამოკიდებული, ყველანი ვლოცულობთ მასზე... ოჰ, რა კარგი იქნება ყელში სწვდე ასეთ ადამიანს! რამე მაინც უნდოდეს! თორემ აი, ინებეთ - კატორღელი სჭირდება, დიდი რამე... აი... მენტოგრამები აქვსო საინტერესო... საერთოდ ეს კატორღელი მთიელია, კანცლერი კი უკანასკნელ დროს რაღაც ხშირად ლაპარაკობს მთაზე. იქნებ ღირდეს, ხელი მოჰკიდოს კაცმა... ვინ იცის, ომის ამბები როგორ იქნება, კანცლერი კი კანცლერია. მასარაკშ, დღეს მაინც შეუძლებელია მუშაობა...“ მან მიკროფონში ჩასძახა:

- კოხ, რა მოგეპოვებათ მსჯავრდებული სიმის თაობაზე? - უეცრად გაახსენდა: - ვგონებ, რაღაც კომპილაციას ადგენდით მასზე.

- დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, - დაიშრიალა რეფერენტმა. - მქონდა პატივი მიმეპყრო თქვენი...

- აქ მომეცით. და წყალიც მოიტანეთ.

ყურმილი დადო და იმავე წამს შემოვიდა აჩრდილივით შეუმჩნეველი რეფერენტი.

პროკურორის წინ მაგიდაზე გაჩნდა სქელი საქაღალდე, ჩუმად გაიწკრიალა მინამ, აბუყბუყდა წყალი და საქაღალდის გვერდით სავსე ჭიქა აღმოჩნდა. პროკურორმა წყალი მოსვა, თან საქაღალდეს ათვალიერებდა.

„ამონაწერი მაკ სიმის (მაქსიმ კამერერის) საქმიდან. მოამზადა რეფერენტმა კოხმა“. ‘‘რა სქელია, ესეც ამონაწერია, რაღა!“... საქაღალდე გახსნა და ბროშურად შეკრული ფურცლების პირველი დასტა აიღო.

როტმისტრი ტოოტის ჩვენებები... ბრალდებულ გაალის ჩვენებები... მდინარე ცისფერ გველს გაღმელი რომელიღაც სასაზღვრო რაიონის კროკი... „სხვა ტანსაცმელი არ ეცვა. როგორც მომეჩვენა, ადამიანის ენაზე მეტყველებდა, მაგრამ ჩვენთვის სავსებით გაუგებრად. ვცადეთ, ხონტიურად მოვლაპარაკებოდით, მაგრამ უშედეგოდ...“ ოჰ, ეს მესაზღვრე როტმისტრები! ხონტიელი ჯაშუში სამხრეთ საზღვარზე... „დაკავებულის ნახატები ძალზე დახვეწილი და გასაოცარი მეჩვენება...“ მერე რა, ცისფერ გველს იქით ბევრი რამ არის გასაოცარი. სამწუხაროდ... ამ სიმის გამოჩენის გარემოებებიც მაინცდამაინც არ გამოირჩევა სხვა იქაურ გარემოებათა ფონზე, თუმცა, რა თქმა უნდა... მაგრამ ვნახოთ...

პროკურორმა საქაღალდე გადადო, ორი მოზრდილი კენკრა აირჩია, პირში ჩაიდო და მომდევნო ფურცელი აიღო. „ქსოვილებისა და ტანსაცმლის ინსტიტუტის თანამშრომელთა საექსპერტო კომისიის დასკვნა...“ „ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი...“ ჰმ... ასე... ასე „ჩვენს მიერ ხელმისაწვდომი ყველა ლაბორატორიული მეთოდით შევამოწმეთ იუსტიციის დეპარტამენტიდან გამოგზავნილი ტანსაცმლის ქსოვილი... („რა სისულელეა“). და გამოვიტანეთ შემდეგი დასკვნა: 1. აღნიშნული საგანი არის მეორე სიმაღლის მეოთხე ზომის მოკლე შარვალი, რომელიც შეიძლება ატარონ როგორც კაცებმა, ისე ქალებმა; 2. შარვლის ფორმა არ შეიძლება მივაკუთვნოთ რომელიმე ცნობილ სტანდარტს და

საკუთრივ არც ფორმა შეიძლება ეწოდოს, ვინაიდან შარვალი შეკერილი კი არ არის, არამედ დამზადებულია ჩვენთვის უცნობი რაღაც მეთოდით; 3. შარვალი დამზადებულია ვერცხლისფერი რბილი, მკვრივი ქსოვილისაგან, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, არც შეიძლება ეწოდოს ქსოვილი, რადგან მიკროსკოპულმა კვლევამაც ვერ აღმოაჩინა მასში სტრუქტურა. ეს ქსოვილი არ იწვის, არ სველდება, ძალიან მაგარია და ძნელად გასახევი. ქიმიური ანალიზი...“ უცნაურ შარვალი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მისი შარვალია... პროკურორმა წვრილად გათლილი ფანქარი აიღო და ველზე დაწერა: „რეფერენტს. რატომ არ იძლევით თანმხლებ განმარტებას? ვისი შარვალია? საიდანაა?“ ასე... ან რა დასკვნებია? ფორმულები... ისევ ფორმულები... მასარაკშ, კვლავ ფორმულები... აჰა! „ტექნოლოგია უცნობია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე სხვა ცივილიზებულ სახელმწიფოებში (ომამდელი მონაცემებით)“.

პროკურორმა დასკვნა გადადო. დავუშვათ შარვალი... იყოს. შარვალი შარვალია… შემდეგ რა წერია? „სამედიცინო შემოწმების აქტი“. საინტერესოა. რა, ასეთი სისხლის წნევა აქვს?… ოჰო, მესმის ფილტვები!... რაო? ოთხი სასიკვდილო ჭრილობის ნაკვალევი... ეს უკვე მისტიკაა. აჰა... „იხილე მოწმე ჩაჩუსა და ბრალდებულ გაალის ჩვენებები“. კი მაგრამ, შვიდი ტყვია! ჰმ. ზოგიერთი შეუთანხმებლობაცაა. ჩაჩუს ჩვენების თანახმად, იარაღი გამოიყენა თავდაცვის მიზნით და სასიკვდილო საფრთხის წინააღმდეგ. გაალი კი ამტკიცებს, თითქოს მაქსიმს მარტო ის უნდოდა, პისტოლეტი წაერთმია ჩაჩუსათვის. ეს უკვე ჩემი საქმე არ არის... ორი ტყვია ღვიძლში - ეს მეტისმეტია ნორმალური ადამიანისათვის... ა-ასე, მონეტებს მილებად ახვევს... მირბის მხარზე მოკიდებულ ადამიანიანად... აჰა, ეს უკვე წავიკითხე. მახსოვს, ამ ადგილზე გავიფიქრე, რომ ყმაწვილი იშვიათი ჯანმრთელობის პატრონია და ჩვეულებრივ ასეთები სულელები არიან ხოლმე. შემდეგ კი აღარ წავიკითხე... ეს რა არის? ა-ა, ძველი მეგობარი... „ამონაწერი №711 აგენტის მოხსენებიდან“. „სავსებით გარკვევით ხედავს მთვარიან ღამეში (კითხვაც კი შეუძლია) და სრულ სიბნელეში (არჩევს საგნებს, ათი მეტრის მანძილზე ხედავს სახის გამომეტყველებას)... აქვს ძალზე მგრძნობიარე ყნოსვა და გემოს შეგრძნება - ჯგუფის წევრებს სუნით განასხვავებდა ორმოცდაათი მეტრის მანძილზე, ნიძლავზე განასხვავებდა სასმელებს მჭიდროდ თავდაცულ ჭურჭლებში... მსოფლიოს ქვეყნებში ორიენტირებას ახერხებს უკომპასოდ… დიდი სიზუსტით განსაზ-

ღვრავს დროს უსაათოდ… მოხდა ასეთი შემთხვევა: ვიყიდეთ და მოვხარშეთ თევზი, რომლის ჭამა აგვიკრძალა რადიოაქტიურობის გამო. რადიომეტრით შემოწმებამ ცხადყო, რომ თევზი მართლაც რადიოაქტიური იყო. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმ ფაქტს, რომ თვითონ შეჭამა ეს თევზი და თქვა, ჩემთვის საშიში არ არისო, და მართლაც უვნებელი დარჩა, თუმცა გამოსხივება (თითქმის 77 ერთეული) სამმაგ სანიტარულ ნორმას აღემატებოდა...

პროკურორი სავარძელში გადაწვა. „არა, ეს მეტისმეტია. არ მითხრათ, უკვდავიცააო. დიახ, მწირისთვის ყოველივე ეს საინტერესო უნდა იყოს. ვნახოთ, რა არის შემდეგ. აი, სერიოზული დოკუმენტი. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტის განსაკუთრებული კომისიის დასკვნა. მასალა: მაკ სიმი. თეთრ გამოსხივებაზე რეაქცია არა აქვს. სპეციალურ ჯარებში სამსახურის საწინააღმდეგო ჩვენებები არა აქვს“. აჰა... ეს, როცა ლეგიონში აჰყავდათ. თეთრი გამოსხივება, მასარაკშ... ჯალათები, ეშმაკმა წაიღოს მათი თავი!... ეს კი, მაშასადამე, მათი ექსპერტიზაა გამოძიების მიზნებისათვის „სხვადასხვა, მათ შორის მაქსიმალური ინტენსივობის თეთრ გამოსხივებაზე გამოცდის დროს არავითარი რეაქცია არ აღმოაჩნდა. ა - გამოსხივებაზე რეაქცია ნულოვანია ორივე თვალსაზრისით. ბ - გამოსხივებაზე რეაქცია ნულოვანია. შენიშვნა: ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, დავძინოთ, აღნიშნული მასალა (მაკ სიმი, დაახლოებით 20 წლის) საშიშია შესაძლებელი გენეტიკური შედეგების თვალსაზრისით. რეკომენდებულია სრელი სტერილიზაცია ან მოსპობა...“ ოჰო! აღარ ხუმრობენ. ვინ არის ახლა მასთან? ა, მოყვარული. არა, მაგაზე ნამდვილად ვერ იტყვის კაცი, ხუმარა არისო. მახსოვს ოხუნჯი კვიცი - შესანიშნავ ანეგდოტს ჰყვებოდა ამაზე. მასარაკშ, არ მახსოვს... კარგი კია, ირგვლივ რომ არავინ არის. აი, ჩვენ ახლა კენკრას შევჭამთ, არაყს დავაყოლებთ… რა საძაგლობაა, მაგრამ ამბობენ, შველისო… კეთილი. შემდეგ რაა?

ო-ო, უკვე იქაც მოუსწრია ყოფნა! აბა, აბა... ალბათ ისევ ნულოვანი რეაქციაა... „გამოძიებაში მყოფმა სიმმა ფორსირებული მეთოდის ზეგავლენითაც არ მოგვცა ჩვენებები. გამოძიებაში მყოფის მიერ ხილული ფიზიკური დაზიანებების მიუყენებლობის თაობაზე მე-12 პარაგრაფის შესაბამისად, რომლითაც უნდა გამოვიდეს ღია სასამართლო პროცესზე, გამოყენებულ იქნა მხოლოდ: ა. ნემსის ქირურგია, მათ შორის ყველაზე ღრმა ნერვულ კვანძებში მოხვედრით (რეაქცია პარადოქსულია, ფორსირებულს ეძინება), ბ. ნერვული

კვანძების დამუშავება ალკალოიდებისა და ტუტეების გამოყენებით (ანალოგიური რეაქცია); გ. სინათლის კამერა (რეაქცია არ არის ფორსირებული გაოცებულია), დ. ორთქლთერმული კამერა (წონის დაკარგვა უსიამო შეგრძნებათა გარეშე. იძულებული გავხდით ამ უკანასკნელზე შეგვეწყვიტა ფორსირებული მეთოდების გამოყენება)“ უ-უფ... ესეც ქაღალდი! დიახ, მწირი, მართალია: ეს ვიღაც მუტანტია. ნორმალურ ადამიანებს ასე არ შეუძლიათ... კი, მსმენია, რომ მუტაციები კარგად მიმდინარეობს, თუმცა იშვიათად... ეს ყველაფერ განმარტავს… თუმცა, გარდა შარვლისა. როგორც ვიცი, შარვლის მუტირება არ ხდება.

მან შემდეგი ფურცელი აიღო. ქაღალდი უინტერესო აღმოჩნდა: სპეციალური სტუდიის დირექტორის ჩვენება, „სულელური დაწესებულებაა. სხვადასხვა ფსიხის ბოდვას იწერს ყოვლად პატივცემული საზოგადოების გასართობად. მახსოვს ეს სტუდია გამოიგონა თაღლითმა კალუმ, რომელიც, ცოტა არ იყო, თვითონაც ისა... ერთი შეხედვით, დღემდე შემორჩა ეს სტუდია! თაღლითი დიდი ხანია აღარ არის, მისი ბოდვისებური იდეა კი ყვავის…“ დირექტორის ჩვენებებიდან ჩანს, რომ სიმი სანიმუშო ობიექტი იყო და რომ უაღრესად სასურველი იქნებოდა მისი უკანვე დაბრუნება... სდექ, სდექ, სდექ! „ამა და ამ რიცხვის ამა და ამ ნომერი ორდერის საფუძველზე გადაეცა სპეციალური კვლევის დეპარტამენტის განკარგულებაში...“ ესეც ორდერი, რომელსაც ხელს აწერს ფანკი… პროკურორმა გონების რაღაც სუსტი განათება იგრძნო, ფანკი... შენ, მწირო, აქ რაღაც... არა, დასკვნების გამოტანას ნუ ვიჩქარებთ. დასამშვიდებლად ოცდაათამდე დაითვალა და შემდეგი ქაღალდი აიღო. უფრო სწორად ქაღალდების საკმაოდ სქელი დასტა: „ამონაწერი მ. სიმის მთიული წარმოშობის ვარაუდის შემმოწმებელი სპეციალური ეთნოლინგვისტური კომისიის მიერ შედგენილი აქტიდან“.

მან გონებადაფანტულად დაიწყო კითხვა, რადგან ჯერ კიდევ ფანკსა და მწირზე ფიქრობდა. მაგრამ სრულიად მოულოდნელად დაინტერესდა. ეს იყო საინტერესო კვლევა, რომელშიც გაეერთიანებინათ და იხილავდნენ ყველა მოხსენებას, თვითმხილველთა ჩვენებებსა და მოწმობებს, რომლებიც ცოტად თუ ბევრად ეხებოდა მაკ სიმის წარმოშობის საკითხებს; ანტროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური მონაცემები და მათი ანალიზი; ფონოგრამების, მენტოგრამებისა და გამოძიებაში მყოფის საკუთარი ნახატების შესწავ-

ლის შედეგები. ყოველივე ეს რომანივით იკითხებოდა, მაგრამ დასკვნები ძალზე მცირე და ფრთხილი იყო. კომისია მ. სიმს არ მიაკუთვნებდა მატერიკზე მცხოვრებ არც ერთ ცნობილ ეთნიკურ ჯგუფს. (ცალკე მოყვანილი იყო ცნობილი პალეოანტროპოლოგის შაპშუს აზრი, რომელმაც გამოძიებაში მყოფის თავის ქალაში აღმოაჩინა დიდი მსგავსება, მაგრამ არა იდენტურობა არქიპელაგზე ასორმოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ მცხოვრები ეგრეთ წოდებული ძველი ადამიანის თავის ქალასთან). კომისია ამტკიცებდა, რომ გამოძიებაში მყოფი ახლა ფსიქიურად სავსებით ნორმალური იყო, მაგრამ დასაშვებად მიაჩნდა, რომ არც თუ ისე შორეულ წარსულში მას შეიძლებოდა ჰქონოდა ამნეზიის ერთ-ერთი ფორმა ნამდვილი მეხსიერების ცრუ მეხსიერებით ინტენსიურ გამოდევნასთან ერთად. კომისიამ მოაწყო სპეციალური სტუდიის არქივში დარჩენილი ფონოგრამების ლინგვისტური ანალიზი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ენა, რომელზეც იმ ხანებში ლაპარაკობდა გამოძიებაში მყოფი, არ შეიძლება მიეკუთვნოს ცნობილი თანამედროვე ან მკვდარი ენების არც ერთ ჯგუფს. ამის გამო კომისიას დასაშვებად მიაჩნდა, რომ ეს ენა შეიძლებოდა ყოფილიყო გამოძიებაში მყოფის ფანტაზიის ნაყოფი (ეგრეთ წოდებული თევზის ენა), მით უმეტეს, რომ ახლა ძისი საკუთარი მტკიცების თანახმად, უკვე არ ახსოვს ეს ენა. კომისია თავს იკავებს გარკვეული დასკვნების გამოტანისაგან, მაგრამ ვარაუდობს, რომ მ. სიმის სახით საქმე აქვს წინათ უცნობი ტიპის რომელიღაც მუტანტთან… „კარგი იდეები ჭკვიან თავებს ერთდროულად ეწვევათ ხოლმე“, - შურით გაიფიქრა პროკურორმა და სწრაფად გადახედა „კომისიის წევრის პროფესორ პორუმოვარუის განსაკუთრებულ შეხედულებას“. პროფესორი, რომელიც თვითონ წარმოშობით მთიელი იყო, იხსენებდა მთების სიღრმეში ფრინველმჭერთა ტომით დასახლებული ნახევრადლეგენდარული ქვეყნის ზარტაკის არსებობას, რომელიც დღემდე ვერ მოხვდა ეთნოგრაფიის მხედველობის არეში და რომელსაც ცივილიზებული მთიელები მაგიური მეცნიერებების ცოდნასა და ჰაერში უაპარატოდ ფრენის უნარს მიაწერენ. ფრინველმჭერები გადმოცემით ძალიან მაღლები არიან დიდი ფიზიკური ძალითა და ამტანობით ხასიათდებიან, კანის ფერი მოყავისფრო-მოოქროსფრო შეფერილობისა აქვთ. ყოველივე ეს საოცრად ემთხვევა გამოძიებაში მყოფის ფიზიკურ თავისებურებებს... პროკურორმა ფანქარი აათამაშა პროფესორ პორუზე... და ასე შემდეგ, მერე კი ფანქარი გადადო და

ხმამაღლა თქვა: „ამ თვალსაზრისით, კაცმა რომ თქვას, შარვლის ამბავიც გასაგებია. ცეცხლგამძლე შარვალი...“

მან კენკრა შეჭამა და გადახედა მომდევნო ფურცელს: „ამონაწერს სასამართლო პროცესის სტენოგრამიდან". ჰმ... ეს რაღა საჭიროა? „ბრალმდებელი. ხომ არ უარყოფთ, რომ განათლებული კაცი ხართ? ბრალდებული. მე მაქვს განათლება, მაგრამ ისტორიაში, სოციოლოგიასა და ეკონომიკაში ძალიან სუსტად ვერკვევი. ბრალმდებელი. ნუ თავმდაბლობთ. ამ წიგნს თუ იცნობთ? ბრალდებული. კი. ბრალმდებელი. წაგიკითხავთ? ბრალდებული. რა თქმა უნდა. ბრალმდებელი. გამოძიებაში, საპატიმროში მყოფმა რა მიზნით წაიკითხეთ მონოგრაფია „ტენზორული აღრიცხვა და თანამედროვე ფიზიკა“? ბრალდებული. არაფერი მესმის... სიამოვნებისათვის... გართობის მიზნით, თუ გნებავთ... იქ ძალიან საინტერესო ფურცლებია. ბრალმდებელი. ვფიქრობ, სასამართლოსთვის ნათელია, რომ მხოლოდ ძალიან განათლებული ადამიანი წაიკითხავს ესოდენ სპეციალურ კვლევას გართობისა და სიამოვნებისათვის...“ რა უაზრობაა? რატომ მაჩეჩებენ ამას? შემდეგ რა არის? მასარაკშ, ისევ პროცესი… „დამცველი. ის თუ იცით, რა სახსრებს გამოყოფენ ცეცხლოვანი შემოქმედნი ბავშვთა დამნაშავეობის აღმოსაფხვრელად? ბრალდებული. კარგად არ მესმის, რისი თქმა გინდათ. ბავშვებს არ შეუძლიათ დანაშაულის ჩადენა...“ ჰმ, საინტერესოა... იქ რაღაა, ბოლოში? „დამცველი. ვიმედოვნებ, სასამართლოს ვუჩვენე ჩემი კლიენტის მიამიტობა, რაც ცხოვრებისეულ იდიოტიზმამდე აღწევს. მისთვის უცნობია ცნებები: ბავშვთა დამნაშავეობა, ქველმოქმედება, სოციალური დახმარება...“ პროკურორმა გაიღიმა და ფურცელი გადადო. გასაგებია მართლაც, უცნაური შეხამებაა: მათემატიკა და ფიზიკა სიამოვნებისათვის, ელემენტარული რამეები კი არ გაეგება, ნამდვილი ახირებული პროფესორია ცუდი რომანიდან.

პროკურორმა კიდევ გადახედა რამდენიმე ფურცელს. „გაუგებარია, მაკ, რას გადაკიდებიხარ ამ გოგონას… რა ჰქვია. რადა გაალი. სატრფიალო კავშირი არა გაქვს მასთან, არაფრით დავალებული არა ხარ, და საერთოც არაფერი გაქვთ: სულელი ბრალმდებელი სრულიად ამაოდ ცდილობს იატაკქვეშეთთან კავშირი გამოუნახოს მას... შთაბეჭდილება კი იქმნება, რომ თუ ის ნიშანში ამოღებული ეყოლებათ, ყველაფერს გაგაკეთებინებენ, რაც უნდათ. ძალზე ხელსაყრელი თვისებაა ჩვენთვის, შენთვის კი ძალზე მოუხერხებელი... ა-ასე,

საერთოდ ყველა ეს ჩვენება მოწმობს, რომ შენ, ძმაო, მიცემული სიტყვის მონა და საერთოდ მოუქნელი ადამიანი ხარ. პოლიტიკური მოღვაწე შენგან არ გამოვიდოდა. და არცაა საჭირო... ჰმ, ფოტოსურათები... აი, თურმე როგორი ხარ. სასიამოვნო სახე გაქვს, ძალიან, ძალიან... თვალები ცოტა არ იყოს, უცნაურია... ნეტა სად გადაგიღეს? საბრალდებო სკამზე... ერთი შეხედეთ, მხნე, თავისუფალი პოზა აქვს. ნეტა სად გასწავლეს ასე მოხდენილი ჯდომა და საერთოდ თავდაჭერა, სკამი ხომ ჩემს სავარძელს ჰგავს, მასზე თავისუფლად ვერ დაჯდები... საინტერესო ადამიანია... თუმცა ყოველივე ეს სისულელეა, ეს როდია მთავარი“.

პროკურორი მაგიდიდან წამოდგა და კაბინეტში გაიარ-გამოიარა. ტვინში რაღაც ტკბილად უღიტინებდა, რაღაც აღაგზნებდა და აქეზებდა... „რაღაც ვიპოვე ამ საქაღალდეში... რაღაც მნიშვნელოვანი... რაღაც უმნიშვნელოვანესი... ფანკი? დიახ, ეს მნიშვნელოვანია, მწირი ხომ თავის ფანკს ძალიან მნიშვნელოვანი, უმნიშვნელოვანესი საქმეებისათვის იყენებს. მაგრამ ფანკი მხოლოდ დასტურია, მთავარი კი რაა? შარვალი... სისულელეა... აჰა! დიახ, დიახ. ეს საქაღალდეში არ არის“. მან ყურმილი აიღო.

-კოხ. რა იყო იქ ბადრაგზე თავდასხმასთან დაკავშირებით?

- თოთხმეტი დღის წინ, - მაშინვე დაიშრიალა რეფერენტმა, თითქოს წინასწარ მომზადებულ ტექსტს კითხულობსო. - თვრამეტ საათსა და ოცდაცამეტ წუთზე შეიარაღებული თავდასხმა მოაწყვეს პოლიციის მანქანებზე, რომლებსაც სასამართლოს შენობიდან ქალაქის საპატიმროში გადაჰყავდათ ნომერ 6981-84 საქმეზე დაპატიმრებულები. პოლიციამ თავდასხმა მოიგერია. სროლის დროს ერთ-ერთი თავდამსხმელი მძიმედ დაიჭრა და გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. გვამი ვერავინ იცნო. თავდასხმის საქმე შეწყვეტილია.

- ვისი ნამოქმედარია?

- ვერ გამოვარკვიეთ. ოფიციალურ იატაკქვეშეთს ამასთან არაფერი აქვს საერთო.

- ვარაუდები?

- შესაძლოა ტერორისტები მოქმედებდნენ ბრალდებულ დეკ პოტუს (მეტსახელად გენერალი) გასათავისუფლებლად, ცნობილია მარცხენა ფრთასთან მჭიდრო კავშირით...

პროკურორმა ყურმილი დააგდო. კაცმა რომ თქვას, ეს ყველაფერი შესაძ-

ლებელია. და ყოველივე ეს იქნებ არც ისე... აბა, კიდევ ერთხელ გადავფურ-ცლოთ. სამხრეთ საზღვარი, სულელი როტმისტრი… შარვალი... მირბის მხარ-ზე მოკიდებულ ადამიანიანად... რადიოაქტიური თევზი, 77 ერთეული... რე-აქციაა გამოსხივებაზე... ნერვული კვანძების დამუშავება... სდექ! რეაქცია ა-გამოსხივებაზე. „რეაქცია ა-გამოსხივებაზე ნულოვანია ორივე თვალსაზრი-სით“. ნულოვანია ორივე თვალსაზრისით. პროკურორმა აფართხალებულ გულზე ხელი მიიდო. იდიოტი! ნულოვანია ორივე თვალსაზრისით!

მან კვლავ დასტაცა ხელი ყურმილს.

- კოხ! დაუყოვნებლივ მოამზადეთ საგანგებო კურიერი და მისი დაცვა. ცალკე ვაგონი სამხრეთში... არა! ჩემი ელექტრომოტრისასი... მასარაკშ! - ხელი უჯრაში ჩაყო და ყველა სარეგისტრაციო აპარატი გამორთო. - იმოქმედეთ!

მარცხენა ხელით ჯერ კიდევ ეკავა გული, ისე ამოიღო ბიუვარიდან პირა-დი ბლანკი და სწრაფად, მაგრამ გარკვევით დაიწყო წერა: „სახელმწიფოებრი-ვი მნიშვნელობისა. სრულიად საიდუმლოდ. განსაკუთრებული სამხრეთი ოლქის გენერალ-კომენდანტს. პირადი განსაკუთრებული პასუხისმგებლო-ბით - სასწრაფოდ და პირნათლად შესრულებისათვის. ამის მომტანს და-უყოვნებლივ გადაეცით მსჯავრდებული კატორღელი მაკ სიმი, საქმე №6983. გადაცემის წუთიდან აღსაზრდელი მაკ სიმი ჩათვალეთ უგზო-უკვლოდ და-კარგულად რაზეც არქივებში იქონიეთ შესაბამისი საბუთები. სახელმწიფო პროკურორი...“

მან ხელი დასტაცა მეორე ბლანკს: „განკარგულება. ამ განკარგულებით ვუბრძანებ სამხედრო, სამოქალაქო და რკინიგზის ყველა მოხელეს ამის წარ-მომდგენს, სახელმწიფო პროკურატურის სპეციალურ კურიერსა და მის თან-მხლებ დაცვას დახმარება აღმოუჩინოს ექსტრა კატეგორიით. სახელმწიფო პროკურორი...“

შემდეგ ჭიქა გამოსცალა, კიდევ დაისხა და მესამე ბლანკზე უკვე ნელა და-იწყო კარგად მოფიქრებული სიტყვების წერა: „ძვირფასო მწირო! სულელური ამბავი მოხდა. ეს-ეს არის გამოირკვა, რომ შენთვის საინტერესო მასალა უგ-ზო-უკვლოდ დაიკარგა როგორც ხშირად ხდება სამხრეთის ჯუნგლებში...“

მეოთხე ნაწილი

კატორღელი

მეცამეტე თავი

პირველმა სროლამ მუხლუხი დაუმსხვრია და მანაც ოც წელზე მეტი ხნის მანძილზე პირველად დატოვა გაკვალული კალაპოტი, ბეტონის ნამსხვრევები ამოატრიალა, ტევრში შეიჭრა და ადგილზე ნელი ლაწალუწით დაიწყო შემობრუნება ფართო შუბლით ბუჩქნარს დაწოლილმა, თან აძაგძაგებულ ხეებს იშორებდა. და როცა უზარმაზარი ბინძური კიჩო გამოაჩინა ჟანგიან მოქლონებზე მოქანავე რკინის ფურცლიანად, ზეფმა კოხტად და ზუსტად ისე, რომ როგორმე ქვაბი არ დაეზიანებინ, ფუგასური მუხტი ჩაუდო ძრავაში - კუნთებში, მყესებში, ნერვულ წნულში, - და მანაც რკინის ხმით დაიხრიალა, შენაწევრებებიდან გავარვარებული კვამლის ბოლქვი ამოაფრქვია და სამუდამოდ გაჩერდა, მაგრამ რაღაც კვლავ ცოცხლობდა მის ჭუჭყიან დაჯავშნულ წიაღებში, რაღაც გადარჩენილი ნერვები ჯერ კიდევ გზავნიდნენ უაზრო სიგნალებს, ირთვებოდნენ და მაშინვე წყდებოდნენ საავარიო სისტემები, სისინებდნენ, დუჟი გადმოსდიოდათ, თან დუნედ ცახცახებდა, ძლივძლივობით მიჩოჩავდა გადარჩენილი მუხლუხით და გაჭყლეტილი ბზიკის მუცელივით მრისხანედ და უაზროდ მაღლა იწეოდა და ეშვებოდა სულთმობრძავი დრაკონის თავზე სარაკეტო დანადგარის გაშვლეპილი ცხაურიანი მილი. ზეფი რამდენიმე წამი უყურებდა ამ აგონიას, შემდეგ კი შეტრიალდა, ღვედზე გამობმული გრანატსასროლი ძირს ეთრეოდა, ისე შევიდა ტყეში. მაქსიმი და ტახიც მიჰყვნენ და ერთად გავიდნენ წყნარ მდელოზე, რომელიც ზეფმა დანამდვილებით შეიგულა ჯერ კიდევ აქეთობისას. ბალახებში ჩასხდნენ და ზეფმა თქვა:

- მოვწიოთ.

მან პაპიროსი გაუხვია ცალხელას, მოუკიდა და თვითონვე გააბოლა. მაქსიმს ნიკაპი ხელებზე დაედო და იწვა, მეჩხერ ტყეში თვალს არ აშორებდა, როგორ კვდებოდა რკინის დრაკონი - საცოდავად აჟღარუნებდა უკანასკნელ

კბილანებს და დაფლეთილი შიგნეულობიდან სტვენით უშვებდა რადიოაქ-ტიური ორთქლის ნაკადს.

- აი ასე და მხოლოდ ასე, - თქვა ზეფმა მენტორული ტონით. - ხოლო თუ სხვანაირად გააკეთებ, ყურებს დაგაგლეჯ.

- რატომ? - ჰკითხა მაქსიმმა. - მე მინდოდა შემეჩერებინა.

- იმიტომ, - უპასუხა ზეფმა, - რომ ხელყუმბარა შეიძლებოდა რიკოშეტით ჩარჭობოდა რაკეტას, და მაშინ ყველას აღსასრული დაგვიდგებოდა.

- მე მუხლუხს ვუმიზნებდი, - თქვა მაქსიმმა.

- კიჩოსთვის უნდა დაგემიზნებინა, - თქვა ზეფმა. მან ნაფაზი დაარტყა. - და საერთოდ, სანამ ახალი ხარ, ნურაფერს იზამ პირველი. თუ მე არ გთხოვე. გესმის?

- მესმის, - თქვა მაქსიმმა.

სულ არ აინტერესებდა ზეფის მთელი ეს წვრილმანები და თვით ზეფიც მაინცდამაინც არ აინტერესებდა. მას ტახი აინტერესებდა. მაგრამ ტახს ხე-ლოვნური ხელი ნაღმის საძიებლის ჩამოგლეჯილ გარსაცმზე ჩამოედო და, როგორც ყოველთვის, გულგრილად დუმდა. ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველთვის, და არაფერი ისე არ იყო, როგორც მაქსიმს ეწადა.

როცა ერთი კვირის წინ ახლადჩამოყვანილი კატორღელები ბარაკების წინ ჩაამწკრივეს, ზეფი ჯიქურ მივიდა მაქსიმთან და თავის მესანგრეთა ასმე-თოთხმეტე რაზმში ჩარიცხა. მაქსიმს გაუხარდა. მან მაშინვე იცნო ეს ცეც-ხლისფერი წვერი და კვადრატული ჯმუხი აღნაგობა, და ესიამოვნა, რომ იც-ნეს ამ სულშემხუთავ კუბოკრულ ბრბოში, სადაც ყველას ფეხებზე ეკიდა ყვე-ლა და არავის არავისთვის სცხელოდა. გარდა ამისა, მაქსიმს ყველა საფუძვე-ლი ჰქონდა ევარაუდა რომ ზეფი - ყოფილი სახელგანთქმული ფსიქიატრი ალუ ზეფი, განათლებული და ინტელიგენტი ადამიანი, რომელიც არ ჰგავდა ათასნაირად სისხლის სამართლის დამნაშავე ნაძირალებს - როგორღაც და-კავშირებული იყო იატაკქვეშეთთან, ხოლო როცა ზეფმა ბარაკში მოიყვანა და ტახტზე ცალხელა ტახის გვერდით მიუჩინა ადგილი, მაქსიმი თითქმის დარ-წმუნდა, რომ აქ სამუდამოდ განისაზღვრა მისი ბედ-იღბალი. მაგრამ ძალიან მალე მიხვდა, რომ შეცდა. ტახმა ლაპარაკი არ ისურვა. მან მოისმინა მაქსიმის აჩქარებული ჩურჩული ჯგუფის ბედზე, კოშკის აფეთქებაზე, პროცესზე და მთქნარებ-მთქნარებით გაურკვევლად ჩაილუღლუღა: „უარესიც ხდება...“ -

შეტრიალდა და დაწვა. მაქსიმმა თავი მოტყუებულად იგრძნო და ამ დროს ტახტზე ზეფი მოკალათდა. „კარგად კი გამოვძეხი“ - აცნობა მაქსიმს და ყოველგვარი გადასვლის გარეშე, თავხედურად, პრიმიტიული კირკიტით დაუწყო ცნობების ამოქაჩვა სახელებისა და საიდუმლო შეხვედრის ადგილების შესახებ. შესაძლოა, ის ოდესღაც მართლა იყო სახელგანთქმული მეცნიერი, განათლებული და ინტელიგენტური ადამიანი, შესაძლოა და ნამდვილადაც კი რაღაც კავშირი ჰქონდა იატაკქვეშეთთან, მაგრამ ახლა ჩვეულებრივი გაქნილი პროვოკატორის შთაბეჭდილებას ახდენდა რომელსაც უსაქმობისაგან, ძილის წინ, სულელი ახალბედას დამუშავება გადაუწყვეტია. მაქსიმმა იგი ძლივს მოიშორა თავიდან, ხოლო, როცა ზეფმა უეცრად მაძღარი კმაყოფილი ხვრინვა ამოუშვა, კიდევ დიდხანს არ ჩასძინებია და იგონებდა რამდენჯერ შეუყვანიათ აქ შეცდომაში ადამიანებსა და გარემოებებს.

ნერვებს ვერ ერეოდა. მოაგონდა პროცესი, რომელიც, აშკარად, ჯერ კიდევ მანამდე იყო მომზადებული, სანამ ჯგუფი კოშკზე თავდასხმის ბრძანებას მიიღებდა, და წერილობითი დაბეზღება რომელიღაც ბილწი არსებისა, რომელმაც ჯგუფის შესახებ ყველაფერი იცოდა და შესაძლოა, ჯგუფის წევრიც კი იყო; თავდასხმის დროს კოშკიდან გადაღებული ფილმი და უნებური სირცხვილი, როცა ეკრანზე საკუთარი თავი იცნო, ავტომატიდან რომ უშენდა პროჟექტორებს... არა, იუპიტერებს, რომლებიც ამ შემზარავი სპექტაკლის სცენას აშუქებდნენ... ჩარაზულ ბარაკში კი ჰაერი არ იყო, იკბინებოდნენ პარაზიტები, აღსაზრდელები ბოდავდნენ, ხოლო ბარაკის შორეულ კუთხეში თვითნაკეთი სანთლის შუქზე ბანქოს თამაშობდნენ და ჩახლეჩილი ხმით ერთმანეთს ეკამათებოდნენ სისხლის სამართლის დამნაშავეები.

მეორე დღეს მაქსიმი ტყემაც მოატყუა. აქ ნაბიჯს ისე ვერ გადადგამდი, რკინისთვის რომ არ წამოგედო ფეხი. მკვდარი, ჟანგისგან შეჭმული რკინისთვის; მიმალული რკინისთვის, რომელიც ყოველწუთს მზად იყო, მოეკალი; იდუმალი მოძრავი რკინისთვის, რომელიც გემიზნებოდა; მოძრავი რკინისთვის, რომელიც ბრმად და უაზროდ გადაგიშლიდა გზის ნარჩენებს. მიწას და ბალახს ჟანგის სუნი სდიოდა; ღარტაფების ფსკერზე რადიოაქტიური გუბეები ჩამდგარიყო, ჩიტები კი არ გალობდნენ, თითქოს აგონიით შეპყრობილნი ხრინწიანი ხმით გაჰკიოდნენ, ცხოველები არ ჩანდნენ, ტყის სიმყუდროვე დარღვეულიყო, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გაისმოდა აფეთქების გრუხუნი,

ხოლო ტოტებში ბოლქვებად ირეოდა მტრედისფერი ნამწვი, ქარის დაქროლებას კი გაცვეთილი ძრავების ღმუილი მოჰქონდა.

და ასე მიჰყვა ერთმანეთს: დღე-ღამე, დღე-ღამე. დღისით ტყეში შედიოდნენ, რომელიც ტყე კი არა, ძველი გამაგრებული რაიონი იყო. ის ავტომატურ საბრძოლო მოწყობილობებს, პანცერვაგენებს, თვითმავალ ბალისტებს, მუხლუხებიან რაკეტებს, ცეცხლმტყორცნელებს, აირმტყორცნელებს აევსო და ყოველივე ამან ოც წელზე მეტი ხანი გაძლო, კიდევ განაგრძობდა სიცოცხლეს, ყოვლად ზედმეტ მექანიკურ სიცოცხლეს, განაგრძობდა დამიზნებას, მიშვერას, ტყვიის, ცეცხლის, სიკვდილის ამოფრქვევას, და ყოველივე ეს უნდა გაესრისათ, აეფეთქებინათ, მოეკლათ, რათა ტრასა ახალი გამომსხივებელი კოშკების ასაგებად გაეწმინდათ. ღამით კი ტახი ძველებურად დუმდა, ხოლო ზეფი კვლავ და კვლავ აწუხებდა შეკითხვებით. ხან სისულელემდე პირდაპირი იყო, ხან კი გასაოცრად გაქნილი და მარჯვე. და იყო კატორღელთა უგემური საჭმელი, უცნაური სიმღერები, ვიღაცას სახეში ურტყამდნენ ლეგიონერები და დღეში ორჯერ ყველანი ბარაკებსა და ტყეში იკრუნჩხებოდნენ სხივების დაკვრისაგან და ქარი აქანავებდა ჩამომხრჩვალ გაქცეულებს... დღე-ღამე, დღე-ღამე... ოსვენციმი, განადგურების ბანაკი, ფაშიზმი.

- რატომ გინდოდათ შეგეჩერებინათ? - იკითხა უეცრად ტახმა.

მაქსიმი სწრაფად დაჯდა. ეს იყო პირველი შეკითხვა ცალხელასაგან.

- მინდოდა შემეხედა როგორაა მოწყობილი.

- გაქცევას აპირებთ?

მაქსიმმა ზეფს გადახედა და თქვა:

- არა, მთავარი ეს როდია. რაც უნდა იყოს, საბრძოლო მანქანაა...

- მერე თქვენ რაში გჭირდებათ საბრძოლო მანქანა? - ჰკითხა ტახმა. ისე ლაპარაკობდა, თითქოს წითური პროვოკატორი იქ არ ყოფილიყო.

-არ ვიცი, - დაილაპარაკა მაქსიმმა, - ამაზე კიდევ უნდა ვიფიქრო, აქ ბევრია ასეთი მანქანა?

- ბევრი, - ჩაერია წითური პროვოკატორი, - მანქანებიც ბლომადაა, სულელებიც ბლომად იყვნენ... - მან დაამთქნარა. - რამდენჯერ უცდიათ უკვე. შეძვრებიან, ერთხანს იქექებიან შიგ, შემდეგ კი თავს ანებებენ. ერთი სულელი კი - აი, სწორედ შენნაირი, - აფეთქდა კიდეც.

- არაფერია, მე არ ავფეთქდებოდი, - ცივად თქვა მაქსიმმა, - არც თუ ისე

რთული მანქანაა.

- მაინც რად გჭირდებათ? - იკითხა ცალხელამ. ის პირაღმა იწვა, ხელოვნურ თითებში სიგარეტი გაეჩარა და ეწეოდა, - დავუშვათ, მოაწესრიგებთ მას. შემდეგ რა იქნება?

- ხიდს გაივლის და გარღვევაზე წავა, - თქვა ზეფმა ხარხარით.

- რატომაც არა? - იკითხა მაქსიმმა. დანამდვილებით არ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი, ეს წითური, ეტყობა, მაინც არ არის პროვოკატორი, მასარაკშ, რას გადაეკიდნენ ნეტავი?

- ხიდამდე ვერ მიაღწევთ, - თქვა ცალხელამ, - სანამ მიაღწევდეთ, ოცდაცამეტჯერ მიგახვრეტენ. და კიდეც რომ მიაღწიოთ, დაინახავთ, რომ ხიდი დაშლილია.

- მდინარის ფსკერზე?

- მდინარე რადიოაქტიურია, - თქვა ზეფმა და გადააფურთხა, - ეს რომ ნორმალური მდინარე იყოს, არავითარი ტანკები არ იქნებოდა საჭირო. სადაც გინდა, გადაცურე, ნაპირებს არავინ იცავს. - მან კვლავ გადააფურთხა, - თუმცა, მაშინ დაცვა ეყოლებოდა... ასე რომ, ჭაბუკო, ხელებს ტყუილად იქნევ. დიდი ხნით ხარ აქ, შეეგუე. თუ შეეგუები, საქმე კარგად წავა, ხოლო თუ უფროსებს არ დაუჯერებ, დღესვე ამოყოფ თავს საიქიოში.

- გაქცევა სულ არ მიჭირს, - თქვა მაქსიმმა, - გაქცევას ახლავე შევძლებდი...

- რა ყოჩაღი ხარ! - აღტაცება ვერ დაფარა ზეფმა,

- ხოლო თუ კვლავ აპირებთ, განაგრძოთ კონსპირაციის თამაში… - განაგრძო მაქსიმმა რომელიც დემონსტრაციულად მარტო ტახს მიმართავდა, მაგრამ ზეფმა კვლავ გააწყვეტინა.

- მე დღევანდელი ნორმა უნდა შევასრულო, - განაცხადა და წამოდგა. - სხვანაირად სახეთქს არავინ მოგვცემს. წავედით!

იგი ბაჯბაჯით წავიდა ხეებს შორის, მაქსიმმა კი ცალხელას ჰკითხა:

- განა ისიც იატაკქვეშელია?

ცალხელამ სწრაფად შეხედა და თქვა:

- რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ!

ისინი ფეხდაფეხ მიჰყვნენ ზეფს. მაქსიმი ბოლოში მიდიოდა.

- რატომაა ის აქ?

- ქუჩაში მოძრაობის წესები დაურღვევია, - თქვა ცალხელამ და მაქსიმს

კვლავ გაუქრა ლაპარაკის სურვილი.

ასი ნაბიჯიც არ გაუვლიათ, რომ ზეფმა ბრძანა: „სდექ!“ და დაიწყო მუშაობა, „დაწექით!“ - იღრიალა ზეფმა. ისინი მიწაზე გაიშხლართნენ, ხოლო წინ მდგარი მსხვილი ხე ჭრიალ-ჭრიალით შემობრუნდა, გრძელი, წვრილი ზარბაზნის ლულა გამოიშვირა, შეატრიალ-შემოატრიალა, თითქოს რაღაცას ეზომებაო, შემდეგ რაღაც აზუზუნდა, გაისმა ტკაცანი და შავი ლულიდან ზანტად გამოძვრა ყვითელი კვამლის ღრუბელი. „აქოთებულა“, - თქვა ზეფმა საქმიანად, პირველი წამოდგა და შარვალი დაიფერთხა. ხე ზარბაზნიანად ააფეთქეს. შემდეგ იყო ნაღმის ველი, შემდეგ ტყვიამფრქვევიანი ბორცვი-ხაფანგი, რომელიც არ იყო აქოთებული, მთელ ტყეში გრუხუნებდა და დიდი ხნით წააწვინა ისინი მიწაზე; შემდეგ მავთულხლართების ნამდვილ ჯუნგლში მოხვდნენ, საიდანაც ძლივს დააღწიეს თავი, ხოლო როცა მაინც გამოაღწიეს, საიდანღაც ზემოდან ცეცხლი დაუშინეს, ირგვლივ ყველაფერი სკდებოდა და იწვოდა. მაქსიმს არაფერი ესმოდა, ცალხელა უხმოდ და მშვიდად იწვა პირქვე, ზეფი კი ნაღმმტყორცნს ცაში ისროდა და უეცრად იყვირა: „სირბილით, მომყევით!“ და გაიქცნენ, ხოლო იქ, სადაც ახლახან იწვნენ, ხანძარი ავარდა. ზეფი საშინელი სიტყვებით იგინებოდა, ცალხელას კი ულვაშებში ეცინებოდა. გაუვალ ტევრში შევიდნენ, მაგრამ იქ რაღაც სტვენა, ფშვინვა გაისმა და ტოტებშუა შხამიანი გაზის მომწვანო ღრუბლები გამოვარდა და კვლავ უნდა ერბინათ, ბუჩქებში ეძრომიალათ, და ზეფს კვლავ საშინელი გინება ამოსდიოდა პირიდან, ხოლო ცალხელას გულისრევა სტანჯავდა...

შემდეგ ზეფი დაიღალა და შესვენება გამოაცხადა. კოცონი დაანთეს და მაქსიმი, როგორც უმცროსი, სადილის დამზადებას - იმავე ქვაბში კონსერვების წვნიანის ხარშვას შეუდგა. ზეფი და ცალხელა, გამურულნი, ჩამოფლეთილნი, იქვე იწვნენ და სიგარეტს ეწეოდნენ. ტახს გატანჯული გამომეტყველება ჰქონდა. ის უკვე მოხუცი იყო, მას ყველაზე მეტად უჭირდა.

- წარმოუდგენელია, - თქვა მაქსიმმა, - რანაირად მოვახერხეთ ომის წაგება, როცა კვადრატულ მეტრზე ამდენი ტექნიკა გვაქვს.

- რას ნიშნავს, „მოვახერხეთ წაგება? - შეესიტყვა ცალხელა, - ეს ომი ყველამ წააგო, მოიგეს მხოლოდ ცეცხლოვანმა შემოქმედებმა.

- სამწუხაროდ, ბევრს არ ესმის ეს, - თქვა მაქსიმმა, რომელიც შეჭამადს ურევდა.

-მე უკვე გადავეჩვიე ასეთ საუბრებს, - თქვა ზეფმა, - ჩვენთან მეტწილად მესმის „ჩუმად, აღსაზრდელო!“ და „ერთამდე ვითვლი“... ეი, ჭაბუკო! რა გქვია?...

- მაქსიმი.

- ჰო, სწორია... შენ მაკი ხარ, მოურიე, მოურიე, არ მიგეწვას.

მაქსიმი ურევდა, შემდეგ კი ზეფმა განაცხადა, უკვე დროა, მეტი მოთმენა აღარ შემიძლიაო. სრულ დუმილში შეხვრიპეს წვნიანი. მაქსიმი გრძნობდა: რაღაც შეიცვალა, დღეს რაღაცას გაიგებდა. მაგრამ ნასადილევს ცალხელა კვლავ დაწვა და ცას მიაჩერდა, ხოლო თავისთვის მობუზღუნე ზეფმა ქვაბი აიღო და პურის ყუით ფსკერის ამოწმენდას შეუდგა.

- ნეტა მოგვეკლა რამე, - ბურტყუნებდა ის, - სტომაქი ცარიელი მაქვს, თითქოს არც მეჭამოს… მხოლოდ მადა გავიღვივე.

მაქსიმმა, რომელიც თავს უხერხულად გრძნობდა, სცადა საუბარი წამოეწყო ნადირობაზე ამ ადგილებში, მაგრამ მხარი არავინ აუბა. ცალხელა თვალებდახუჭული იწვა და, ეტყობოდა, ეძინა. ზეფმა ბოლომდე მოისმინა მაქსიმის მოსაზრებანი და ესღა ჩაილუღლუღა:

- რა ნადირობა შეიძლება აქ, ყველაფერი ბინძურია, აქტიური… - და ისიც პირაღმა დაწვა.

მაქსიმმა ამოიოხრა, ქვაბი აიღო და იქვე მორაკრაკე ნაკადულისკენ გაემართა. ნაკადულში წყალი ერთი შეხედვით სუფთა და გამჭვირვალე ჩანდა, ასე რომ, მაქსიმს დალევა მოუნდა და წყალი პეშვით ამოიღო, მაგრამ, სამწუხაროდ აქ არც ქვაბის გარეცხვა შეიძლებოდა და არც დალევა ღირდა: ნაკადული საგრძნობლად რადიოაქტიური იყო. მაქსიმი ჩაცუცქდა, ქვაბი გვერდით დაიდგა და ჩაფიქრდა.

ჯერ რატომღაც რადა გაახსენდა, როგორ რეცხავდა ჭამის შემდეგ ჭურჭელს და დახმარების ნებას არ აძლევდა იმ უაზრო საბაბით, რომ ეს ქალის საქმეა. გაახსენდა, რომ რადას უყვარდა და გული სიამაყით აევსო, რადგან აქამდე არც ერთ ქალს არ ჰყვარებია. ძალიან მოუნდა რადა ენახა და მაშინვე ძალზე არათანმიმდევრულად გაიფიქრა, კიდევ კარგი, აქ არ არისო. აქ თვით უსაძაგლესი მამაკაცებიც არ უნდა იყვნენ, აქ უნდა მოერეკათ ასე ოციოდ ათასი კიბერმეეზოვე, ან იქნებ უბრალოდ ამოეძირკვათ მთელი ეს ტყე ყველაფრიანად და ახალი ეხარებინათ, მხიარული, ან თუნდაც პირქუში, მაგრამ სუფ-

თა და ისეთი, რომ ბუნებრივი სიპირქუშე ჰქონოდა.

შემდეგ გაახსენდა, რომ აქ სამუდამოდაა გადმოსახლებული, და გააოცა იმათმა გულუბრყვილობამ, ვინც აქ გადმოასახლა და, არავითარი სიტყვა არ ჩამოურთმევია ისე, წარმოიდგინა, თითქოს ნებაყოფლობით დარჩება აქ და დაეხმარება კიდეც მათ, რომ ამ ტყეებში სხივური კოშკების ხაზი გადაჭიმონ. პატიმრების ვაგონში ლაპარაკობდნენ, ტყეები სამხრეთით ასობით კილომეტრებზეა გადაჭიმული, ხოლო სამხედრო ტექნიკა უდაბნოშიც კიაო... „არა, ბატონო, მე აქ დამრჩენი არა ვარ. მასარაკშ, ჯერ კიდევ გუშინ ამ კოშკებს ვამხობდი, დღეს კი ადგილი გავწმინდო მათთვის, მეყოფა... ასე. გავარკვიოთ მდგომარეობა“.

რამდენიმე წუთს არკვევდა მდგომარეობას.

„ტახი არ მენდობა. ზეფს ენდობა, მე კი - არა. მე კი ზეფს არ ვენდობი და, ვგონებ, ამაოდ. ალბათ ტახის თვალში მე ისევე მოსაბეზრებლად ეჭვიანი ვარ, როგორც ჩემ თვალში ზეფია... კეთილი, ტახი არ მენდობა, მაშასადამე, კვლავ მარტო ვარ. რა თქმა უნდა, შეიძლება გენერალთან ან ჩლიქთან შეხვედრის იმედი ვიქონიო, რა თქმა უნდა, შეიძლება ვცადო, ჯგუფი შევაკოწიწო უცნობებისაგან, მაგრამ - მასარაკშ! - საკუთარ თავს უნდა გამოვუტყდე: მე ამისთვის არ ვვარგივარ. ჯერ არ ვვარგივარ. მეტისმეტად მიმნდობი ვარ... დაიცა, მოდი, მაინც გავარკვიოთ ამოცანა. რა მინდა მე?“

რამდენიმე წუთს ამოცანას არკვევდა.

„აი, გაი რომ იყოს აქ... მაგრამ გაი დასჯის მიზნით რომელიღაც განსაკუთრებულ ნაწილში გაგზავნეს, რომელსაც ძალზე უცნაური სახელწოდება აქვს. რაღაც „Blitzrager-ები“ - „ელვის მატარებლები“. კი, ნამდვილად მარტოს მომიწევს.

ყოველ შემთხვევაში, აქედან უნდა წავიდე. რა თქმა უნდა, შევეცდები, რაღაც ჯგუფი შევაკოწიწო, მაგრამ თუკი არ გამომივა, მარტო წავალ... და აუცილებლად - ტანკი. აქ იარაღი იმდენია, ას არმიას ეყოფა... მართალია, ოცი წლის მანძილზე გალახულია, თანაც ავტომატური, მაგრამ უნდა ვეცადო, გამოვიყენო... ნუთუ ტახის ნდობას ვერ მოვიპოვებ?“ - გაიფიქრა თითქმის სასოწარკვეთილმა, კარდალას ხელი დასტაცა და უკანვე გაიქცა კოცონთან.

ზეფსა და ტახს არ ეძინათ; იწვნენ, ერთმანეთთან თავმიდებულები და რაღაცაზე ჩუმად, მაგრამ მხურვალედ დაობდნენ. მაქსიმი რომ დაინახა, ზეფმა

აჩქარებით თქვა: „კმარა!“ - და წამოდგა. წითური წვერი ააცანცარა, თვალები გადმოკარკლა და იღრიალა:

- სად დაეხეტები, მასარაკშ! ვინ მოგცა წასვლის უფლება? თუ არ ვიმუშავეთ, სახეთქს ვინ მოგვცემს, ოცდაცამეტჯერ მასარაკშ!

აქ კი მაქსიმი გაცოფდა. თავის ცხოვრებაში პირველად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა უღრიალა ადამიანს:

- ეშმაკმა დაგლახვროთ, ზეფ! ნეტა ვიცოდე, სახეთქის გარდა სხვა რამეზეც თუ შეგიძლიათ ფიქრი? მთელი დღე ესღა მესმის თქვენგან: სახეთქი, სახეთქი, სახეთქი! შეგიძლიათ ჩემი კონსერვებიც შეთქვლიფოთ, თუ ასე გტანჯავთ ეს.

მან კარდალა მიწას დაახეთქა, ზურგჩანთას ხელი დაავლო და ღვედებში ხელების გაყოფას შეუდგა. ზეფი აკუსტიკური დარტყმის გამო ჩაცუცქულიყო და დარეტიანებული უყურებდა, შემდეგ გაისმა ბუყბუყი, ხვიხვინი და ზეფი მთელი ტყის გასაგონად აროხროხდა. ცალხელა ბანს აძლევდა, რაც მხოლოდ ჩანდა და კი არ ისმოდა. მაქსიმმა ვერ აიტანა და ცოტა დარცხვენილმა თვითონაც გაიცინა.

- მასარაკშ! - დაიხრიალა ბოლოს ზეფმა, - აი, ეს მესმის, რა ხმა ჰქონია!... არა, მეგობარო, - მიმართა მან ტახს, - შენ დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები. თუმცა მე ვთქვი: კმარა!... ადექით! იღრიალა მან. - წინ, თუ გინდათ... ჰმ... ხეთქოთ ამ საღამოს.

და მორჩა. იყვირეს, იცინეს, დაშოშმინდნენ და გზა განაგრძეს. მაქსიმი გაოფთრებული მუშაობდა რათა განემუხტა ნაღმები, ბუდეებიდან გლეჯდა შეწყვილებულ ტყვიამფრქვევებს, ხრახნიდა სათოფურებიდან გამოშვერილი საზენიტო რაკეტების საბრძოლო მუხტებს; კვლავ იყო ცეცხლი, ცრემლსადენი გაზების შიშინა ნაკადები, საზიზღრად ყარდა ავტომატებით დახოცილი პირუტყვის გახრწნილი გვამები. კიდევ უფრო გაჭუჭყიანდნენ, გაბოროტდნენ, ტანსაცმელი სულ ჩამოეფლითათ, ზეფი კი ხმაჩახლეჩილი უყვიროდა მაქსიმს: „წინ, წინ! სახეთქი თუ გინდა, წინ!“, ხოლო ცალხელა ტახს სულ გამოეცალა არაქათი და ძლივს მოჩანჩალებდა უკან და ნაღმის საძიებელს ისე ეყრდნობოდა, თითქოს კაკვიაო...

ამ ხნის განმავლობაში ზეფმა საბოლოოდ მოაბეზრა თავი და მაქსიმს გაუხარდა კიდეც, როცა წითურმა უეცრად იღრიალა და ხრიგინ-ხრიგინით ჩა-

ვარდა მიწაში. მაქსიმი რომელიც ჭუჭყიანი სახელოთი ჭუჭყიანი შუბლიდან ოფლს იწმენდდა, აუჩქარებლად მიუახლოვდა და ბალახებში ჩამალული ვიწრო პირქუში ხვრელის კიდესთან შეჩერდა. ხვრელი ღრმა იყო, განუჭვრეტელი, ცივი და ნესტიანი, შიგ არაფერი ჩანდა და მხოლოდ ლაწალუწი, ზანზარი და გაუგებარი გინება ისმოდა. ტახიც მოვიდა კოჭლობით, ხვრელში ჩაიხედა და მაქსიმს ჰკითხა:

- იქ არის? რას აკეთებს?

- ზეფ! - დაიხარა და დაუძახა მაქსიმმა, - სადა ხართ, ზეფ?

- აქ ჩამოდით, ჩამოხტით, მიწა რბილია, - გაისმა პასუხად ხვრელიდან.

მაქსიმმა ცალხელას შეხედა. მან თავი გაიქნია.

- ეს საჩემო საქმე არაა, - თქვა მან, - ჩახტით, მე კი მერე თოკს ჩამოგიშვებთ.

- ვინ არის აქ? - უეცრად იღრიალა ზეფმა ქვევით. - გესვრით, მასარაკშ!

მაქსიმმა ფეხები ჩაუშვა ხვრელში, მიწას მოსწყდა და ჩახტა. თითქმის მაშინვე ჩაეფლო ფხვიერ მასაში და ჩაჯდა. ზეფი სადღაც იქვე იყო. მაქსიმმა თვალები დახუჭა და ერთხანს იჯდა, სანამ სიბნელეს შეეჩვეოდა.

- აქ მოდი, მაკ, აქ ვიღაც არის, - დაიგუგუნა ზეფმა. - ტახო! - შესძახა მან. - ჩამოხტი!

ტახმა უპასუხა, ძაღლივით დავიღალე და აქვე ჩამოვჯდებიო.

- როგორც გინდოდეს, - თქვა ზეფმა, - მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ციხესიმაგრეა. ინანებ მერე...

ცალხელამ გაურკვეველი პასუხი გასცა, სუსტი ხმა ჰქონდა: ეტყობოდა, ისევ გულს აზიდებდა და ციხესიმაგრის თავი არა ჰქონდა. მაქსიმმა თვალები გაახილა და მიმოიხედა. ცემენტის უხეშკედლებიანი გრძელი დერეფნის შუაში, მიწის გროვაზე იჯდა. ჭერზე ჭუჭრუტანა, როგორც ჩანს, სავენტილაციო იყო, ან უბრალოდ ნახვრეტი. ზეფი ოც ნაბიჯზე იდგა ფარნით ხელში და იქაურობას ათვალიერებდა.

- რა არის აქ? - იკითხა მაქსიმმა.

- მე რა ვიცი, - თქვა ზეფმა ბუზღუნით. - იქნებ რაღაც თავშესაფარია, ან სულაც სიმაგრეა. იცი, რა არის სიმაგრე?

- არა, - თქვა მაქსიმმა და გროვიდან ჩამოსვლა იწყო.

-არ იცი... - თქვა ზეფმა დაბნეულად ფარნით კედლებს ანათებდა და განუწყვეტლივ ირგვლივ იხედებოდა. - რა იცი, მაშ... მასარაკშ, - თქვა მან. - აქ

ეს-ესაა ვიღაც იყო...

- ადამიანი? - ჰკითხა მაქსიმმა.

- არ ვიცი, - უპასუხა ზეფმა, - კედლების გასწვრივ მალულად გაიარა და გაქრა... სიმაგრე კი, მეგობარო, ეს ისეთი რამაა, მთელ ჩვენს სამუშაოს ერთ დღეში დავამთავრებდით... აი, კვალიც...

იგი ჩაცუცქდა. მაქსიმიც ჩაცუცქდა მის გვერდით და კედლის ქვეშ მტვერში ანაბეჭდების ჯაჭვი დაინახა.

- უცნაური ნაკვალევია, - თქვა მან.

- მართალია, ბატონო ჩემო, - თქვა ზეფმა და მიმოიხედა. - ასეთი კვალი არასოდეს მინახავს.

- თითქოს ვიღაცას მუშტებით გაუვლიაო, - თქვა მაქსიმმა და მუშტით კვალის ახლოს ანაბეჭდი დატოვა.

- ეტყობა, ასეა, - მოკრძალებით აღიარა ზეფმა. მან ფარანი მიანათა დერეფნის სიღრმეს. იქ რაღაც სუსტად ციმციმებდა და ანათებდა, ან შესახვევი იყო, ან ჩიხი. „წავიდეთ, ვნახოთ?“ თქვა მან.

- ჩუმად, - თქვა მაქსიმმა, - გაჩუმდით და არ გაინძრეთ.

მიწისქვეშეთში რბილი ნესტიანი სიჩუმე იდგა, მაგრამ დერეფანი უსიცოცხლო არ იყო. იქ, წინ, ვიღაც, მაქსიმს ზუსტად ვერ განესაზღვრა, სად და რამდენად შორს, - კედელს მიკრული იდგა, ის მომცრო იყო, სუსტი და უცნობი სუნი ასდიოდა, თვალს ადევნებდა მათ, უკმაყოფილო მათი იქ ყოფნით, რაღაც სრულიად უცნობი, გაუგებარი და უცნობი ზრახვებით.

- აუცილებლად უნდა წავიდეთ? - იკითხა მაქსიმმა.

- კარგი იქნებოდა, - თქვა ზეფმა. - უნდა შევხედოთ. შესაძლოა, მაინც სიმაგრე იყოს... სიმაგრეს რომ ვიპოვიდეთ, ჩემო მეგობარო, ყველაფერი შეიცვლებოდა. მე სიმაგრის არსებობა არ მჯერა, მაგრამ რაკი ამბობენ, ვინ იცის... შესაძლოა, არც ტყუოდეს ყველა...

- იქ ვიღაც არის, - თქვა მაქსიმმა, - და გერ გამიგია, ვინ.

- ჰო? ჰმ... თუ ეს სიმაგრეა, აქ, ლეგენდის თანახმად, ან გარნიზონის ნარჩენები ცხოვრობენ... გესმის, ისინი აქ სხედან და არ იციან, რომ ომი დამთავრდა, მათ, გესმის, შუა ომის დროს თავი ნეიტრალურებად გამოაცხადეს ჩაიკეტნენ და პირობა დადეს, რომ თუ ვინმე მათთან მისვლას შეეცდება, მთელ მატერიკს ააფეთქებენ...

- შეუძლიათ კი?

- თუ ეს სიმაგრეა, მათ ყველაფერი შეუძლიათ... დიახ... ზევით ხომ სულ აფეთქებაა, სროლა... სავსებით შესაძლებელია, ეგონოთ, რომ ომი ჯერ არ დამთავრებულა... აქ ვიღაც პრინცი უფროსობდა, თუ ჰერცოგი... კარგი იქნებოდა შევხვედროდით და მოგველაპარაკა.

მაქსიმმა კვლავ მიუგდო. ყური.

- არა, - თქვა მტკიცედ. - იქ არც პრინცია, არც ჰერცოგი. იქ რაღაც მხეცია თუ... არა, მხეცი კი! არა... ან?

-რა ან?

- თქვენ თქვით: ან გარნიზონის ნარჩენებიაო, ან?...

-ა-ა... ეს ისე, სისულელეა, დედაკაცების გამოგონილი ზღაპრები... წავიდეთ, ვნახოთ.

ზეფმა გრანატმტყორცნი გატენა, გადაიკიდა და გზას ფარნით ინათებდა, ისე გასწია. მაქსიმი გვერდით გაჰყვა. რამდენიმე წუთი დერეფანში მიაბიჯებდნენ, შემდეგ კედელს წააწყდნენ და მარჯვნივ შეუხვიეს.

- ძალიან ვხმაურობთ, - თქვა მაქსიმმა, - იქ რაღაც ხდება, თქვენ კი ისე ქშინავთ...

- რა იყო - აღარც ვისუნთქო? - მაშინვე ყალყზე შედგა ზეფი.

- თქვენი ფარანიც მიშლის, - თქვა მაქსიმმა.

- როგორ თუ გიშლით? ბნელა...

- მე სიბნელეში კარგად ვხედავ, - თქვა მაქსიმმა, - მაგრამ თქვენი ფარნის გამო ვერაფერს ვარჩევ... მოდით, მე წავალ წინ, თქვენ კი დარჩით, თორემ ასე ვერაფერს გავიგებთ...

- როგორც გენებოს... - წარმოთქვა შეყოყმანებულმა ზეფმა.

მაქსიმმა კვლავ მოჭუტა თვალები, უჩვეულო სინათლისგან დაისვენა, მერე მოიხარა და კედელს გაჰყვა, თან ცდილობდა, არ ეხმაურა. უცნობი სადღაც ახლოს იყო და მაქსიმს ყოველი ნაბიჯი აახლოებდა მასთან. დერეფანს ბოლო არ უჩანდა. მარჯვნივ გამოჩნდა კარები, ყველა რკინისა იყო და ყველა დაკეტილი. წინიდან გამჭოლი ქარი მოქროდა. ჰაერი, ცოტა არ იყოს, ნესტიანი იყო, ობისა და კიდევ რაღაც უცნობის, ცოცხლისა და თბილი სუნით გაჟღენთილი. უკან ფრთხილად მოფაჩუნობდა ზეფი. შიშს აეტანა და ცდილობდა მაქსიმს არ ჩამორჩენოდა. მაქსიმმა ეს იგრძნო და გუნებაში ჩაეცინა. სულ ერ-

თი წამით შეასუსტა ყურადღება და უცნობი ამ ერთ წამში გაქრა. დაბნეული მაქსიმი შედგა. უცნობი ახლახან მის წინ იყო, იქვე, გვერდით, მერე კი წამში თითქოს ჰაერს შეერია და ისევ წამით ზურგს უკან სულ ახლოს აღმოჩნდა.

- ზეფ! - დაუძახა მაქსიმმა.,

-აქა ვარ! - დაიბუბუნა წითურმა.

მაქსიმმა წარმოიდგინა, როგორ დგას მათ შორის უცნობი და შესცქერის რიგრიგობით, ხან ერთს, ხან მეორეს.

-ის ჩვენ შორისაა, - თქვა მაქსიმმა, - სროლა გულშიც არ გაივლო.

- კარგი, - თქვა ზეფმა პაუზის შემდეგ. - არაფერი ჩანს, განაცხადა მან. - როგორ გამოიყურება?

- არ ვიცი, - უპასუხა მაქსიმმა. - რბილი კია.

- ცხოველია?

- არა ჰგავს, - თქვა მაქსიმმა.

- შენ ხომ თქვი, სიბნელეში ვხედავო.

- მე თვალებით კი არ ვხედავ, - თქვა მაქსიმმა. - გაჩუმდი.

- თვალებით არა... - წაიბუზღუნა ზეფმა და გაჩუმდა.

უცნობი ერთხანს იდგა, მერე დერეფანი გადაჭრა, გაქრა და ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მათ წინ აღიმართა. ისიც ცნობისმოყვარეობას შეუპყრია, გაიფიქრა მაქსიმმა. ძალიან ცდილობდა, საკუთარ თავში ამ არსებისადმი სიმპათიის გრძნობა აღეძრა, მაგრამ რაღაც უშლიდა ხელს - ალბათ არამხეცური ინტელექტის არასასიამოვნო შერწყმა ნახევრადმხეცურ გარეგნობასთან. კვლავ წინ წავიდა. უცნობი უკან იხევდა და ერთსა და იმავე დისტანციას ინარჩუნებდა.

- როგორაა საქმე? - იკითხა ზეფმა.

- კვლავ იგივე მდგომარეობაა, - უპასუხა მაქსიმმა, - შესაძლოა, სადღაც მივყავართ, ან უნდა შეგვიტყუოს.

- მოვერევით? - იკითხა ზეფმა.

- თავდასხმას არ აპირებს, - თქვა მაქსიმმა, - თვითონაც, არანაკლებ ვაინტერესებთ.

იგი დადუმდა, რადგან უცნობი კვლავ გაქრა და მაქსიმმა მაშინვე იგრძნო, რომ დერეფანი დამთავრდა და დიდ შენობაში აღმოჩნდნენ. ძალიან ბნელოდა. მაქსიმი თითქმის ვერაფერს ხედავდა გარშემო. იგრძნობოდა ლითონი, მინა, ჟანგის სუნი და წარმოიდგინეთ - მაღალი ძაბვის დენი. რამდენიმე წამი

მაქსიმი უძრავად იდგა, მერე გამომრთველი დაინახა და შეეცადა მისწვდომოდა, მაგრამ ამ დროს უცნობი კვლავ გამოჩნდა. ამჯერად მარტო აღარ იყო. მეორეც ახლდა, მისი მსგავსი, მაგრამ მისგან ოდნავ განსხვავებული. იმავე კედელთან იდგნენ, სადაც მაქსიმი იდგა, ესმოდა მათი სუნთქვა - ხშირი და ნესტიანი. ის გაირინდა, იქნებ ახლოს მოვიდნენო, მაგრამ არ მოდიოდნენ და მაშინ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაძაბა თვალები და გამომრთველს თითი დააჭირა.

ეტყობოდა, წრედში რაღაც რიგზე ვერ იყო, ლამპები მხოლოდ წამით აენთო, სადღაც ტკაცუნით გასკდა მცველები და სინათლე კვლავ ჩაქრა, მაგრამ მაქსიმმა მოასწრო დაენახა, რომ უცნობი არსებები ტანმორჩილნი იყვნენ, მოზრდილი ძაღლებისოდენა თუ იქნებოდნენ, ოთხზე იდგნენ, მუქი ბეწვით დაფარულნი და დიდი, მძიმე თავები ჰქონდათ. მაქსიმმა ვერ მოასწრო დაენახა მათი თვალები, უცნობი არსებები მოულოდნელად გაქრნენ, თითქოს მათი სახსენებელიც არ ყოფილიყოს იმ არემარეში.

- რა მოხდა? - იკითხა შეშფოთებულმა ზეფმა. - რა აენთო?

- სინათლე ავანთე, - უპასუხა მაქსიმმა. - აქ მოდით.

-ის სადღაა? დაინახე?

- თითქმის ვერა, მაინც პირუტყვებს უფრო ჰგვანან, დიდთავიანი ძაღლები გეგონება...

ფარნის სინათლე კედელზე ახტუნავდა. ზეფი მოდიოდა და ამბობდა:

-ა, ძაღლები... ვიცი, აქ ტყეში ცხოვრობენ ასეთები. ცოცხლად, მართალი გითხრათ, არასოდეს მინახავს, მაგრამ მოკლული ბევრჯერ...

- არა, - თქვა მაქსიმმა ეჭვით, - მე მაინც მგონია, პირუტყვები არ უნდა იყვნენ.

- პირუტყვები არიან, პირუტყვები, - თქვა ზეფმა, - მის ხმას გუგუნი გაჰქონდა მაღალ თაღქვეშ. - ტყუილად შეგვეშინდა, კინაღამ ვიფიქრე, ვამპირები არიან-მეთქი... მასარაკშ! ეს ხომ სიმაგრეა!

ის შუა შენობაში გაჩერდა და შუქი მიანათა კედლებს. ციფერბლატების რიგებს, გამანაწილებელ ფარებს. ლაპლაპი გაუდიოდა მინას, ნიკელს, გახუნებულ პლასტმასას.

- აბა, მომილოცავს, მაკ. ასეა თუ ისე, მე და შენ ვიპოვეთ იგი. მე კი არ მჯეროდა. ეს რაღაა? ჰო, ელექტრონული ტვინია და ყველაფერი დენქვეშაა! აჰ,

დალახვროს ეშმაკმა. ნეტა ერთი მჭედელი მოგვცა!... მომისმინე, შენ არაფერი გაგეგება ამისა?

- რისი? - ჰკითხა მოახლოებულმა მაქსიმმა.

- აი, მთელი ამ მექანიკის... ეს ხომ სამართავი პულტია! მასში თუ გავერკვევით, მთელი მხარე ჩვენია. მთელ იმ ტექნიკას, რაც ზევითაა, აქედან მართავენ! აჰ, გარკვევას რომ შევძლებდეთ, მასარაკშ!

მაქსიმმა ზეფს ფარანი გამოართვა. ისე დადგა, რომ სინათლეს მთელი შენობა გაენათებინა და მიმოიხედა. ყველაფერი მტვრით იყო დაფარული, ეტყობოდა, მრავალი წლის მტვერი იყო, ხოლო მაგიდაზე, კუთხეში გაფენილ დაფლეთილ ქაღალდზე შავად მოთხუპნული თეფშის გვერდით ჩანგალი ეგდო. მაქსიმმა პულტებს მორის. გაიარ-გაძოიარა, ხელი შეავლო ვერნიერებს, ელექტრონული მანქანის ჩართვა სცადა, რაღაც ჩამრაზს წაეტანა, მაგრამ სახელური ხელში შერჩა...

- არა მგონია, აქედან რაიმე განსაკუთრებულის მართვა შეიძლებოდეს, - თქვა ბოლოს მაქსიმმა, - ჯერ ერთი, აქ ყველაფერი ძალიან მარტივია, უფრო სათვალთვალო სადგურია, ან ერთ-ერთი საკონტროლო ქვესადგური... აქ ყველაფერი რაღაც დამხმარეა... მანქანაც სუსტია, ათიოდე ტანკის სამართავადაც არ კმარა... თანაც ყველაფერი დანგრეულია, ხელს ვერაფერს ახლებ. მართალია, დენი არის, მაგრამ ძაბვა ნორმაზე ნაკლებია: ქვაბი, ალბათ, სულ გამოიჭედა... არა, ზეფ, ყოველივე ეს არც ისე იოლია, როგორც თქვენ გგონიათ.

მან უეცრად შენიშნა კედლიდან გამოშვერილი, ერთმანეთთან რეზინის თვალსაფარით შეერთებული გრძელი მილები, ალუმინის სკამი მოიწია, დაჯდა და სახე თვალსაფარში ჩაყო. მისდა გასაოცრად, ოპტიკა შესანიშნავ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ კიდევ უფრო გააოცა იმან, რაც ნახა. მის თვალწინ გადაიშალა სრულიად უცნობი პეიზაჟი. თეთრ-ყვითელი უდაბნო, ქვიშის დიუნები, რაღაც ლითონის ნაგებობის ჩონჩხი… იქ ძლიერი ქარი ქროდა, დიუნებზე ქვიშის ნაკადებს მიაქანებდა, მღვრიე ჰორიზონტი ფიალას ჰგავდა.

- შეხეთ, - უთხრა ზეფს, - სად არის ეს?

ზეფმა გრანატმტყორცნი პულტს მიაყუდა, მივიდა და გაიხედა.

- უცნაურია, - თქვა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ. - ეს უდაბნოა, ეს, ჩემო მეგობარო, ჩვენგან ოთხას კილომეტრზეა... - ოკულარებს მოშორდა და მაქ-

სიმს შეხედა. - რამდენი შრომა დაუხარჯავთ ყოველივე ამისათვის მაგ არამ-ზადებს... და მერე რისთვის? აი, ქვიშაზე ქარი დასეირნობს, მერედა, ნეტა იცოდე, რა მხარე იყო!. ჯერ კიდევ ომამდე, პატარა ბიჭობისას კურორტზე ჩა-მოვყავდით... - ის წამოდგა. - წავიდეთ აქედან, ეშმაკმა დალახვროს აქაურობა, - თქვა გამწარებულმა და ფარანს დაავლო ხელი. - მე და შენ აქ ვერაფერს მივ-ხვდებით. უნდა დაველოდოთ, სანამ მჭედელს დაიჭერენ და ჩასვამენ... ოღო-ნდ კი არ ჩასვამენ, დახვრეტენ ალბათ... აბა, წავედით!

- კი, - თქვა მაქსიმმა რომელიც იატაკზე უცნაურ კვალს დასჩერებოდა. - აი, ეს ბევრად უფრო მაინტერესებს. - აცნობა ზეფს.

- სისულელეა, - თქვა ზეფმა. - აქ, ალბათ, ათასგვარი მხეცი დარბის...

მან გრანატმტყორცნი მხარზე მოიკიდა და გასასვლელისკენ წავიდა. მაქსი-მიც გაჰყვა, თვალები კი ნაკვალევზე რჩებოდა.

- მშია, - თქვა ზეფმა.

დერეფანში მიაბიჯებდნენ. მაქსიმს უნდოდა ერთი კარი შეემტვრია, მაგ-რამ ზეფის ფიქრით, ამას აზრი არ ჰქონდა.

- ამ საქმეს სერიოზული მიდგომა სჭირდება, ტყუილად რად უნდა დავ-ხარჯოთ დრო, ჩვენ ხომ ჯერ ნორმაც არ გამოგვიმუშავებია. აქ კი საერთოდ მცოდნე კაცთან ერთად უნდა მოვიღეთ...

- თქვენს ადგილზე, - შეესიტყვა მაქსიმი, - დიდი იმედი არ მექნებოდა ამ სიმაგრისა. ჯერ ერთი, აქ ყველაფერი, დამპალია, მეორეც, ის უკვე დაკავებუ-ლია.

- ვინ დაიკავა? აჰ, ისევ ძაღლებზე ამბობ?... შენც აჰყევი მათ. ისინი სულ ვამპირებზე ლაპარაკობენ, შენ კი...

ზეფი დადუმდა. დერეფანში გაისმა ხორხისმიერი შეძახილი, მრავალ გა-მოძახილად დაბრუნდა კედლებიდან და ჩაჩუმდა. და მაშინვე, საიდანღაც შორიდან გაისმა ასეთივე ხმა. ძალიან ნაცნობი ბგერები იყო, მაგრამ მაქსიმს ვერა და ვერ გაეხსენებინა, სად სმენოდა ისინი.

- აი, თურმე ვინ იძახის ღამღამობით! - თქვა ზეფმა. - ჩვენ კი ფრინველები გვეგონა...

- უცნაური ყვირილია, - თქვა მაქსიმმა.

- უცნაურის რა მოგახსენო, - შეესიტყვა ზეფი, - მაგრამ საშინელი კია. ღა-მით მთელ ტყეში რომ გაისმის მათი ყვირილი, ლამის სული გაგძვრეს შიში-

საგან - რა ზღაპრებს არ ჰყვებიან ამ ყვირილზე... ერთი სისხლის სამართლის დამნაშავე ტრაბახობდა, ვიციო ეს ენა. თარგმნიდა კიდეც.

- მერედა რა გამოსდიოდა? - ჰკითხა მაქსიმმა.

- სისულელეა ყველაფერი. რა ენა, რის ენა...

- სადაა ის სისხლის სამართლის დამნაშავე?

- უგზო-უკვლოდ დაიკარგა, - თქვა ზეფმა. - მშენებლებში იყო, პარტიას ტყეში აერია გზა.

მათ მარცხნივ შეუხვიეს და წინ მღვრიე, მქრქალ ლაქად გამოჩნდა სინათლე. ზეფმა ფარანი ჩააქრო და ჯიბეში ჩაიდო. ის ახლა წინ მიდიოდა, უეცრად შეჩერდა და მაქსიმი კინაღამ დაეჯახა.

- მასარაკშ, - ჩაიბურტყუნა ზეფმა.

იატაკზე, დერეფნის გარდიგარდმო, ადამიანის ჩონჩხი იდო.

ზეფმა მხრიდან გრანატმტყორცნი ჩამოიღო და მიიხედ-მოიხედა.

- ეს აქ არ ყოფილა, - წაიბურტყუნა მან.

- მართალია, - თქვა მაქსიმმა, - ახლა დაუდვიათ.

უკან, მიწისქვეშეთის სიღრმეში, უცბად მრავალ ხმაზე გაისმა გაჭიანურებული ხორხისმიერი კივილი. ის ექოში იყო არეული; გეგონებოდათ, ათასი ხმა გაჰკიოდა. ერთხმად ჰკიოდნენ, თითქოს ოთხი მარცვლისგან შემდგარ რაღაც უცნაურ სიტყვას გაიძახიანო.

მაქსიმს მოეჩვენა, რომ მათ დასცინოდნენ, აბუჩად იგდებდნენ, ქირდავდნენ. შემდეგ გუნდი ისევე უეცრად დადუმდა, ზეფმა ხმამაღლა ამოისუნთქა და გრანატმტყორცნი დაუშვა. მაქსიმმა კვლავ დახედა ჩონჩხს.

- ვფიქრობ, ამ ყვირილით რაღაცას მიგვანიშნებენ, - თქვა მან.

- მეც. ასე მგონია, - ჩაიბურტყუნა ზეფმა. - ჩქარა წავიდეთ აქედან.

ჭერის ნახვრეტამდე სწრაფად მივიდნენ, მიწის გროვაზე აძვრნენ და ტახის შეშფოთებული სახე დაინახეს. ის ხვრელის კიდეზე პირქვე გაწოლილიყო და ძირს მარყუჟიანი თოკი ჩაეშვა.

- რა მოგივიდათ? - იკითხა მან, - თქვენ ყვიროდით?

- ახლავე მოგიყვებით, - უთხრა ზეფმა, - თოკი დაამაგრე?

ისინი მაღლა ამოძვრნენ; ზეფმა თავისთვისა და ცალხელასათვის თითო პაპიროსი დაახვია, მოსწია და ერთხანს დუმდა, ეტყობოდა, ცდილობდა, გაეაზრებინა ყოველივე, რაც თავს გადახდათ.

- კეთილი, - თქვა ბოლოს, - მოკლედ, აი, რა იყო: ეს სიმაგრე გახლავთ. იქ არის პულტები, ტვინი და სხვა ასეთი. ყველაფერი სავალალო მდგომარეობაშია, მაგრამ ენერგია არის და სარგებლობასაც მივიღებთ მისგან, ოღონდ მცოდნე ადამიანები უნდა ვიპოვოთ... შემდეგ, - მან პაპიროსი მოქაჩა, პირი ფართოდ გააღო და კვამლის ბოლქვი ისე ამოუშვა თითქოს გაფუჭებული აირსატყორცნიაო. - შემდეგ, აშკარაა, იქ ძაღლები ცხოვრობენ. გახსოვს, მე გიყვებოდი, იცი, როგორი ძაღლებია - დიდთავიანები... ისინი ყვიროდნენ... თუმცა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი კი არა, სულ სხვები ყვიროდნენ... როგორ გითხრა... სანამ მე და მაკი იქ დავეხეტებოდით, ვიღაცამ დერეფანში ადამიანის ჩონჩხი დადო. მორჩა და გათავდა.

ცალხელამ ჯერ მას შეხედა, მერე მაქსიმს.

- მუტანტები ხომ არ არინ? - იკითხა მან.

- შესაძლოა, - თქვა ზეფმა, - საერთოდ არავინ მინახავს, მაკი კი ამბობს, ძაღლები ვნახეო, ოღონდ თვალებით არ უნახავს. მაშ, რითი ნახე, მაკ?.

- თვალებითაც ვნახე, - თქვა მაქსიმმა, - და, სხვათა შორის, მინდა დავძინო, რომ ამ თქვენი ძაღლების გარდა იქ არავინ იყო. მე მეცოდინებოდა. და ეს თქვენი ძაღლებიც ისინი არ არიან, რაც თქვენ გგონიათ, მხეცები არ არიან.

ტახს ხმა არ ამოუღია, წამოდგა, თოკი დაახვია, ქამარზე დაიკიდა და კვლავ ზეფის გვერდით დაჯდა.

- ეშმაკმა იცის მათი თავი, - წაიბურტყუნა ზეფმა. - იქნებ მართლაც არ არიან მხეცები... აქ ყველაფერი შესაძლებელია. აქ ხომ სამხრეთია…

- ან იქნებ სწორედ ეს ძაღლებია მუტანტები? - იკითხა მაქსიმმა.

- არა, - თქვა ზეფმა, - მუტანტები უბრალოდ ძალზე მახინჯი ადამიანები არიან და სავსებით ჩვეულებრივ ადამიანთა შვილები. მუტანტები, იცი, რა არის ეს?

- ვიცი, - თქვა მაქსიმმა, - მაგრამ მთელი საქმე ის არის, რამდენად შორს შეიძლება წავიდეს მუტაცია.

ერთხანს ყველანი ჩაფიქრებულები დუმდნენ. შემდეგ ზეფმა თქვა:

- აბა, რაკი ასეთი განათლებული ხარ, კმარა ლაქლაქი! ადექი! - იგი წამოდგა, - ცოტაღა დაგვრჩა, მაგრამ დრო არ ითმენს, ჭამა კი... - მან თვალი ჩაუკრა მაქსიმს, - პირდაპირ პათოლოგიურად გვინდა, შენ იცი, რა არის „პათოლოგიურად?“

გასაწმენდი რჩებოდათ კვადრატის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, მაგრამ ხელი არ უხლიათ რამდენიმე ხნის წინ აქ ალბათ რაღაც ძალიან მძლავრად აფეთქდა. ძველი ტყისგან მხოლოდ ნახევრადდამპალი წაქცეული ხეები და შემომწვარი კორძები დარჩა რომლებიც თითქოს სამართებლით გადაეჭრათ, მის ადგილზე კი უკვე ახალი მეჩხერი ტყე აღმართულიყო. ნიადაგი გაშავდა, დანახშირდა და ფხვიერი ჟანგით გაივსო. ასეთ აფეთქებას ვერავითარი ტექნიკა ვერ გადაურჩებოდა და მაქსიმი მიხვდა, რომ ზეფს ისინი მუშაობისათვის არ მოუყვანია აქ.

მათ შესახვედრად ბუჩქნარიდან გამოძვრა ბანჯგვლიანი კაცი, რომელსაც ტუსაღის ჭუჭყიანი ბალახონი ეცვა. მაქსიმმა იცნო: ეს იყო პირველი აბორიგენი, რომელსაც აქ შეხვდა, ზეფის ძველი მეწყვილე, მსოფლიო სევდის საწყაული.

- დაიცათ, - თქვა ტახმა, - მე უნდა ველაპარაკო მას.

ზეფმა მაქსიმს უბრძანა, სადაც დგახარ, იქ დაჯექიო, თვითონაც დაჯდა და ფეხსაცმლის გამოცვლას შეუდგა, თან წვერში ბურდღუნებდა სისხლის სამართლის დამნაშავეთა რომანსს „დარდიმანდი ბიჭი ვარ, გარეუბნის თავზარი“... ტახი სევდის საწყაულთან მივიდა, ორივენი ბუჩქებს ამოეფარნენ და ჩურჩული გააბეს. მაქსიმს მშვენივრად ესმოდა მათი ხმა, მაგრამ ვერ გაეგო, რას ამბობდნენ, რადგანაც რაღაც ჟარგონზე ლაპარაკობდნენ და მხოლოდ რამდენჯერმე გამეორებული სიტყვა „ფოსტა“ იცნო. მალე მიყურადება მობეზრდა. დაქანცული, ჭუჭყიანი იყო: დღეს ძალიან ბევრი იმუშავეს უაზროდ, დიდი ნერვული დაძაბვა შეხვდათ, დიდხანს ისუნთქავდა ყოველგვარ სისაძაგლეს და ბევრზე ბევრი რენტგენი მიიღო. და მთელი დღის მანძილზე კვლავ არაფერი გაკეთებულა ნამდვილი, საჭირო. ბარაკში დაბრუნება კი სულ არ უნდოდა.

შემდეგ სევდის საწყაული გაქრა, ხოლო ტახი დაბრუნდა, მაქსიმის წინ კუნძზე ჩამოჯდა და თქვა:

- აბა, მოდი, მოვილაპარაკოთ.

- ყველაფერი რიგზეა? - იკითხა ზეფმა.

- კი, - თქვა ტახმა,

- ხომ გეუბნებოდი, - თქვა ზეფმა და სინათლეზე შეათვალიერა ფეხსაცმლის დახეული ძირი, - მე ასეთებზე კარგი ყნოსვა მაქვს.

- მაშ ასე, მაკ, - უთხრა ტახმა, - ჩვენ შეგამოწმეთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია ჩვენს მდგომარეობაში. გენერალი თავდებად გიდგებათ. დღეიდან მე დამექვემდებარებით...

- მოხარული ვარ, - თქვა მაქსიმმა მწარე ღიმილით. უნდოდა ეთქვა: „თქვენ კი არ დაგდგომიათ თავდებად გენერალი ჩემს წინაშე“, მაგრამ ესღა დასძინა: - გისმენთ.

- გენერალი გვაცნობებს, რომ ვერაფერს გაკლებთ რადიაცია და გამომსხივებლები. მართალია?

-კი.

- მაშასადამე, როცა გინდათ, მაშინ გადაცურავთ ცისფერ გველს და არაფერი დაგიშავდებათ?

- უკვე გითხარით, შემიძლია თუნდაც ახლავე გავიქცე აქედან.

- ჩვენ ეს არ გვჭირდება… ერთი სიტყვით, რამდენადაც გამეგება, საპატრულო მანქანებისაც არ გეშინიათ?

- მოძრავი გამომსხივებლები გაქვთ მხედველობაში? არა, არ მეშინია.

- ძალიან კარგი, - თქვა ტახმა. - მაშინ უახლოესი დროისათვის თქვენი ამოცანა მთლიანად განსაზღვრულია. მეკავშირე იქნებით. როცა გიბრძანებთ, მდინარეს გადაცურავთ და უახლოესი საფოსტო განყოფილებიდან გაგზავნით დეპეშებს, რომლებსაც მე მოგცემთ, გასაგებია?

- გასაგებია, - ნელა ჩაილაპარაკა მაქსიმმა, - გაუგებარია სხვა რამ...

ტახი მას უყურებდა. - ხმელ-ხმელი, დაძარღვული, დასახიჩრებული მოხუცი, ცივი და ულმობელი მებრძოლი, იმ სამყაროს საშინელი და აღტაცების მომგვრელი პირმშო, სადაც ადამიანის სიცოცხლე ჩალად ფასობს, არაფრის მცოდნე, გარდა ბრძოლისა, არაფრის მქონე, გარდა ბრძოლისა, ყველაფრის თავიდან მომშორებელი, გარდა ბრძოლისა, - და მის ყურადღებიან მოჭუტულ თვალებში მაქსიმი ისე კითხულობდა თავის ბედ-იღბალს უახლოესი რამდენიმე წლისათვის, როგორც წიგნში.

- ჰო? -თქვა ტახმა

- მოდით, თავიდანვე შევთანხმდეთ, - მტკიცედ თქვა მაქსიმმა, - მე არ მსურს ბრმად ვიმოქმედო, არ ვაპირებ ვაკეთო ის, რაც უაზროდ და ზედმეტად მიმაჩნია.

- მაგალითად? - თქვა ტახმა.

- მე ვიცი, რა არის დისციპლინა. ისიც ვიცი, რომ უდისციპლინოდ მთელი ჩვენი მუშაობა გროშ-კაპიკად არა ღირს. მაგრამ, მიმაჩნია, რომ დისციპლინა გონივრული უნდა იყოს, ხელქვეითს უნდა სწამდეს, რომ ბრძანება გონივრულია. თქვენ მიბრძანებთ, მეკავშირე ვიყო. მზად ვარ, ვიყო მეკავშირე. მართალია, მეტისთვის გამოვდგები, მაგრამ თუ ასეა საჭირო, თანახმა ვარ. ოღონდ უნდა ვიცოდე, რომ დეპეშები, რომლებსაც ვგზავნი, ისედაც უბედური ადამიანების უაზრო დაღუპვას არ შეუწყობს ხელს...

ზეფმა ის იყო ასწია წვერი, რომ ტახმა და მაქსიმმა ერთნაირი მოძრაობით შეაჩერეს...

- მე მიბრძანეს კოშკის აფეთქება, - განაგრძო მაქსიმმა. - ჩემთვის არ აუხსნიათ, რა საჭიროა ეს. ვხედავდი, რომ ეს სულელური და საშიში წამოწყება იყო, მაგრამ ბრძანება შევასრულე. სამი ამხანაგი დავკარგე, შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ყოველივე სახელმწიფო პროკურატურის ხაფანგია და ვამბობ: კმარა! მეტს არ ვაპირებ, თავს დავესხა კოშკებს: კიდევ მეტიც, განზრახული მაქვს, ყოველნაირად შევუშალო ხელი ამგვარ ოპერაციებს...

- აი, სულელი! - თქვა ზეფმა. - ცინგლიანი.

- რატომ? - იკითხა მაქსიმმა.

- დაიცათ, ზეფ, - თქვა ტახმა. ის კვლავინდებურად თვალს არ აშორებდა მაქსიმს, - სხვანაირად რომ ვთქვათ, მაკ, თქვენ გსურთ შტაბის მთელი გეგმები იცოდეთ?

- დიახ, - თქვა მაქსიმმა, - არ მინდა ბრმად ვიმუშაო.

- დიდი თავხედი ვინმე ხარ, ძმობილო, - განაცხადა ზეფმა. - სიტყვები არ მყოფნის შენი თავხედობის გადმოსაცემად!... მომისმინე, ტახო, მე მომწონს ეს კაცი. არა, ნამდვილად მიჭრის თვალი...

- მეტისმეტ ნდობას მოითხოვთ, - ცივად თქვა ტახმა, - ასეთი ნდობა უნდა დაიმსახურო.

- და ამისთვის უნდა დავამხო სულელური კოშკები? - თქვა მაქსიმმა. - მართალია, მხოლოდ რამდენიმე თვეა იატაკქვეშ ვმუშაობ, მაგრამ სულ ერთი და იგივე მესმის: კოშკები, კოშკები, კოშკები ... მე კი არ მინდა, ვამხობდე კოშკებს, ეს უაზრობაა! მე მინდა ვებრძოლო ტირანიას, შიმშილს, ნგრევას, კორუფციას, სიცრუეს... რა თქმა უნდა, მესმის, კოშკები გაწამებენ, ფიზიკურად გტანჯავენ... მაგრამ კოშკების წინააღმდეგაც კი როგორღაც სულელურად იბ-

რძვით. სრულიად აშკარა, რომ კოშკები სარეტრანსლაციოა, მაშასადამე, ნაცვლად იმისა რომ სათითაოდ დავამხოთ ისინი, ცენტრს უნდა დავარტყათ...

ტახი და ზეფი ერთდროულად ალაპარაკდნენ.

- საიდან იცით ცენტრის არსებობა? - ჰკითხა ტახმა.

-კი მაგრამ, სად იპოვი ამ ცენტრს? - იკითხა ზეფმა.

- ცენტრის არსებობა აშკარაა ყოველი ცოტად თუ ბევრად განსწავლული ინჟინრისათვის, - თქვა აგდებულად მაქსიმმა, - ხოლო მისი პოვნა ის ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაც აუცილებელია. ტყვიამფრქვევებზე კი არ უნდა ვირბინოთ, ტყუილ-უბრალოდ კი არ ვღუპოთ ადამიანები, არამედ ცენტრი ვეძებოთ...

- ჯერ ერთი, ეს უშენოდაც ვიცით, - თქვა აბობოქრებულმა ზეფმა. - მეორეც, მასარაკშ, ტყუილ-უბრალოდ არავინ არ დაღუპულა! ყოველი ცოტად თუ ბევრად განსწავლული ინჟინრისათვის ცხადი უნდა იყოს, შე ცხვირმოუხოცავო ცინგლიანო, რომ რამდენიმე კოშკის წაქცევა დაარღვევს რეტრანსლაციის სისტემას და შესაძლებელს გახდის მთელი რაიონის განთავისუფლებას. ამისათვის კოშკების დამხობა უნდა ვიცოდეთ და ჩვენც ვსწავლობთ ამას - გესმის თუ არა? და თუ კიდევ დაგცდენია, მასარაკშ, რომ ჩვენი ბიჭები ტყუილ-უბრალოდ იღუპებიან...

- დაიცათ, - თქვა მაქსიმმა, - ხელები გასწიეთ. რაიონს გავათავისუფლებთ... კეთილი, მერე?

- ყოველი ცინგლიანი მოდის აქ და გვეუბნება - ტყუილუბრალოდ იღუპებითო, - თქვა ზეფმა.

- მერე? - კვლავ გაიმეორა მაქსმმა - ლეგიონერები გამომსხივებლებს მოიტანენ და მორჩა თქვენი ამბავი?

- არაფერიც! - ამ ხნის მანძილზე რაიონის მოსახლეობა ჩვენს მხარეზე გადმოვა და ლეგიონერები ცხვირსაც ვერ შემოყოფენ. ერთია ათიოდე ეგრეთ წოდებული გადაგვარებული, და სულ სხვა - ათი და ასიათასობით გამხეცებული...

- ზეფ, ზეფ! - გამაფრთხილებლად თქვა ტახმა.

ზეფმა მოუთმენლად ანიშნა, გაჩუმდიო.

- ასიათასობით გამხეცებული მოქალაქე, ფერმერი და შესაძლოა, ჯარისკაციც, რომლებიც მიხვდნენ და სამუდამოდ დაიმახსოვრეს, რომ მათ ურცხვად

ასულელებენ...

ტახმა ხელი ჩაიქნია და შეტრიალდა.

- დაიცათ, დაიცათ, - თქვა მაქსიმმა. - ამას რას ამბობთ? ვითომ რატომ გაიგებენ? თქვენ ისინი ნაჭერ-ნაჭერ აგკუწავენ, მათ ხომ ჰგონიათ, თითქოს ეს საბალისტო დაცვაა.

- შენ კი რა გგონია? - იკითხა ზეფმა და უცნაურად ჩაიცინა.

- მე ვიცი, - თქვა მაქსიმმა, - მიამბეს...

- ვინ?

- ვინ და ექიმმა... და გენერალმა... რა იყო - საიდუმლოა?

- მგონი, კმარა ამ თემაზე? - თქვა მშვიდად ტახმა.

- რატომ კმარა? - შეესიტყვა ზეფი ისევე მშვიდად და როგორღაც ძალზე ინტელიგენტურად. - მაინც რატომ კმარა, ტახო? შენ იცი, რასაც ვფიქრობ მე ამაზე. შენ იცი, რატომ ვზივარ აქ და რატომ დავრჩები სიკვდილამდე. მეც ვიცი, შენ რას ფიქრობ ამაზე. მაშ, რატომ კმარა? ჩვენ ორივეს მიგვაჩნია, რომ ყველა გზაჯვარედინზე უნდა გავყვიროდეთ ამას, ხოლო, როცა საქმე საქმეზე მიდგება, უეცრად დისციპლინა გვახსენდება და მორჩილად ვმოქმედებთ ყველა ჯურის ბელადების, ლიბერალების, განმანათლებლების საამებლად... ახლა კი ჩვენს წინაშეა ეს ბიჭი. ხომ ხედავ, როგორია ის. ნუთუ ასეთებმაც არ უნდა იცოდნენ?

- იქნებ სწორედ ასეთებმა არ უნდა იცოდნენ, - ისევ ისე მშვიდად თქვა ტახმა.

მაქსიმს არაფერი ესმოდა და ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს. უეცრად ისინი სულ სხვანაირები გახდნენ, როგორღაც მოეშვნენ, და უკვე აღარ იგრძნობოდა, რომ ტახს ჰქონდა ის ფოლადის ღერძი, რომელსაც იმდენმა პროკურატურამ და საველე სასამართლომ მიამტვრია კბილები, ხოლო ზეფს თავაწყვეტილი ვულგარობა ჩამოეცალა და რაღაც სევდა დაეუფლა, რაღაც ფარული სასოწარკვეთილება, წყენა, მორჩილება... თითქოს უეცრად გაახსენდათო რაღაც, რაც დავიწყებისთვის უნდა მიეცათ და პატიოსნად ცდილობდნენ კიდეც ამას.

- მე მას ვუამბობ, - თქვა ზეფმა, არც ნებართვას თხოულობდა და არც რჩევას კითხულობდა. უბრალოდ, იტყობინებოდა.

ტახი გაჩუმდა, ზეფმა კი მოყოლა დაიწყო.

რასაც ის ჰყვებოდა, საზარელი იყო. საზარელი იყო თავისთავად და საზარელი იყო იმიტომაც, რომ საბოლოოდ ფანტავდა ყოველგვარ ეჭვს. სანამ ის ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ხმადაბლა, მშვიდად, სუფთა ინტელიგენტური ენით, ტახის მოკლე რეპლიკებზე თავაზიანად ჩუმდებოდა ისე, - მაქსიმი ყოველნაირად ცდილობდა, თუნდაც რაიმე შეცდომა ეპოვა სამყაროს ამ ახალ სისტემაში, მაგრამ მისი ცდა ამო იყო. იხატებოდა მწყობრი, პრიმიტიული, უიმედოდ ლოგიკური სურათი; ზეფი განმარტავდა მაქსიმისათვის ყველა ცნობილ ფაქტს, არც ერთს არ ტოვებდა აუხსნელს. ეს იყო ყველაზე დიდი და ყველაზე საშინელი აღმოჩენა იმ აღმოჩენათაგან, მაქსიმმა თავის დასახლებულ კუნძულზე რომ გააკეთა.

კოშკების გამოსხივება გადაგვარებულებისათვის არ იყო განკუთვნილი. ის მოქმედებდა ამ პლანეტის მკვიდრი ყოველი ადამიანის ნერვულ სისტემაზე. არავინ იცოდა, როგორი იყო გამოსხივების ზემოქმედების ფიზიოლოგიური მექანიზმი, მაგრამ ეს კია, რომ იგი ადამიანის ტვინს სინამდვილის კრიტიკული ანალიზის ყოველგვარ უნარს აკარგვინებდა, მისგან მოაზროვნე ადამიანი მორწმუნე ადამიანად იქცეოდა ხოლმე, ამასთან გააფთრებით, ფანატიკურად მორწმუნედ, გამოსხივების ველში მყოფი ადამიანისათვის შეიძლებოდა უაღრესად ელემენტარული საშუალებებით ჩაეგონებინათ აშკარა რეალობის საწინააღმდეგო რამეები და ის ჩაგონებულს ისე იღებდა, როგორც ნათელ და ერთადერთ ჭეშმარიტებას და მზად იყო ეცოცხლა მისთვის, ეტანჯა მისთვის, თავი გაეწირა მისთვის.

ველი კი მუდამ იყო. ყველასათვის შეუმჩნეველს ყველაფერი მოეცვა, ყველგან შეეღწია. მას განუწყვეტლივ ასხივებდა კოშკების გიგანტური ქსელი, მთელ ქვეყანას რომ მოსდებოდა. ის ას მილიონობით სულისაგან გიგანტური მტვერსასრუტით ისრუტავდა ყოველგვარ ეჭვს ცეცხლოვან შემოქმედთა სიტყვებისა და საქმეებისადმი. ცეცხლოვანი შემოქმედნი საითაც უნდოდათ, იქით წარმართავდნენ მილიონიანი მასების ნებასა და ენერგიას. მასებს ისინი ძალადობისა და აგრესიის საზიზღარ იდეებს ჩააგონებდნენ. შეეძლოთ ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების წინ დაეყენებინათ მილიონები, შეეძლოთ, ამ მილიონებისათვის ჩაენერგათ, ეხოცათ ერთმანეთი ყველაფრისათვის თუ ჟინი მოუვიდოდათ, შეეძლოთ, თვითმკვლელობათა მასობრივი ეპიდემია გამოეწვიათ... მათ ყველაფერი შეეძლოთ.

გიგანტურ მტვერსასრუტს დღე-ღამეში ორჯერ, დილის ათსა და საღამოს ათ საათზე მთელი სიმძლავრით აამოქმედებდნენ ხოლმე და ადამიანები ნახევარი საათით კარგავდნენ ყოველივე ადამიანურს, ჩაგონებულსა და რეალურს შორის შეუსაბამობის გამო ქვეცნობიერებაში დაგროვილი და უძრაობიდან გამოყვანილი დაძაბულობა წარმოშობდა ციებ-ცხელებიანი ენთუზიაზმის პროექსიზმს, მაამებლობის აღტაცებულ ექსტაზს. ასეთი სხივური დარტყმები მთლიანად თრგუნავდა რეფლექსებსა და ინსტინქტებს და ცეცხლოვან შემოქმედთა მიმართ თაყვანისცემისა და მოვალეობის საზარელი კომპლექსით ცვლიდა მათ. ამ მდგომარეობაში გამოსხივების ზემოქმედებით ადამიანი სულ მთლად კარგავდა მსჯელობის უნარს და ისე მოქმედებდა, თითქოს რობოტია და ბრძანებას ასრულებსო.

შემოქმედთათვის მხოლოდ ის ადამიანები იყვნენ საშიშნი, რომლებზეც რაღაც ფიზიოლოგიურ თავისებურებათა გამო შთაგონება არ მოქმედებდა. მათ გადაგვარებულებს უწოდებდნენ. მუდმივი ველი მათზე არავითარ გავლენას არ ახდენდა, ხოლო სხივური დარტყმები მხოლოდ აუტანელ ტკივილებს ჰგვრიდათ. გადაგვარებულების რიცხვი შედარებით მცირე იყო, სულ რაღაც ერთი პროცენტი თუ იქნებოდნენ, მაგრამ ისინი იყვნენ ერთადერთი ფხიზელი ადამიანები ამ მთვარეულების სამეფოში. მარტო მათ შესწევდათ უნარი, საღად შეეფასებინათ ვითარება, ისე აღექვათ სამყარო, როგორიც ის სინამდვილეშია, ზემოქმედება მოეხდინათ მასზე, შეეცვალათ, ემართათ, და ყველაზე დიდი საზიზღრობა ის იყო, რომ სწორედ ისინი აძლევდნენ საზოგადოებას მმართველ ელიტას, რომელთაც ცეცხლოვანი შემოქმედნი ერქვათ. ყველა ცეცხლოვანი შემოქმედი გადაგვარებული იყო, მაგრამ ყველა გადაგვარებული სულაც არ იყო ცეცხლოვანი შემოქმედი. და ისინი, ვინც ელიტაში შესვლა ვერ შეძლო, ან არ მოისურვა, ან კიდევ არაფერი იცოდა მისი არსებობის შესახებ, მეომარი სახელმწიფოს მტრებად გამოაცხადეს და შესაბამისადაც ექცეოდნენ.

მაქსიმი ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, თითქოს მის დასახლებულ კუნძულზე სინამდვილეში ადამიანები კი არა, თოჯინები ცხოვრობენო. ჰიტლერული პროპაგანდის უზარმაზარი აპარატი სათამაშოდ გამოიყურებოდა სხივური კოშკების სისტემასთან შედარებით. რადიო შეიძლებოდა არ ჩაგერთო, გებელსის სიტყვები არ მოგესმინა, გაზეთები არ წაგეკითხა. მაგრამ ვე-

ლისგან თავის დაღწევა ყოვლად შეუძლებელი იყო. დედამიწაზე კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ამის მსგავსი არაფერი ყოფილა. და აქ არც დედამიწის გამოცდილების იმედად შეიძლებოდა ყოფნა. საიმედო არაფერი იყო. ზეფის გეგმა: ხელთ ეგდოთ რამდენადმე მნიშვნელოვანი რაიონი, ავანტიურას ჰგავდა უბრალოდ. მათ წინაშე იყო უზარმაზარი მანქანა, ევოლუციონირებისათვის ძალზე მარტივი, იმისთვის კი ძალზე დიდი, რომ მომცრო ძალებით დაენგრია ვინმეს. ქვეყნად არ არსებობდა ძალა, რომელსაც შეეძლო გაეთავისუფლებინა უზარმაზარი ხალხი, რომელსაც აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მოკლებულია თავისუფლებას და, ტახის გამოთქმით, ამოვარდნილია ისტორიის მსვლელობიდან. ეს მანქანა შეუვალი იყო. მას ვერას აკლებდა მცირე აღშფოთებები. ნაწილობრივ შერყეული დაუყოვნებლივ აღდგებოდა ხოლმე. მაშინვე და მუდამ ერთნაირად რეაგირებდა გაღიზიანებაზე, ისე რომ სულაც არ ზრუნავდა თავისი ცალკეული ელემენტების. ბედ-იღბალზე. ერთადერთ იმედს იძლეოდა ის აზრი, რომ მანქანას ჰქონდა ცენტრი, სამართავი პულტი, ტვინი. თეორიულად ამ ცენტრის დანგრევა შეიძლებოდა, მაშინ მანქანა მერყევ წონასწორობაში გაირინდება და შესაძლებელი გახდება ამ სამყაროს სხვა რელსებზე გადაყვანა, ისტორიის რელსებზე დაბრუნება. მაგრამ ცენტრის ადგილსამყოფელს საიდუმლოდ ინახავდნენ. ანდა ვის უნდა დაენგრია იგი? ეს კოშკზე იერიში როდია. ამ ოპერაციას უზარმაზარი თანხები დასჭირდება და, უწინარეს ყოვლისა, ისეთ ადამიანთა არმიები, რომლებზეც გამოსხივება არ მოქმედებს. საჭირო იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ვერაფერს დააკლებდა გამოსხივება, ან თავდაცვის მარტივი, ხელმისაწვდომი საშუალებები ექნებოდათ. არაფერი ამდაგვარი არ იყო და, ჩანდა, არც იქნებოდა. რამდენიმე ასეული ათასი გადაგვარებული გათიშული, დაქსაქსული და დევნილი იყო, ბევრი კი საერთოდ ეგრეთ წოდებულ ლეგალურთა კატეგორიას ეკუთვნოდა, მაგრამ მათი გაერთიანება და შეიარაღებაც რომ მოხერხებულიყო, ცეცხლოვანი შემოქმედნი ამ პატარა არმიის შესახვედრად მოძრავ გამომსხივებლებს გაგზავნიდნენ და მოსპობდნენ მათ.

უკვე კარგა ხანი იყო, რაც ზეფი დუმდა, მაქსიმი კი თავჩაქინდრული იჯდა და წნელით ჩიჩქნიდა შავ მშრალ მიწას, შემდეგ ზეფმა ჩაახველა და უხერხულად წარმოთქვა:

- აი, ჩემო კარგო, როგორაა საქმე...

ჩანდა, უკვე ნანობდა, რომ საქმის ვითარება გააცნო მაქსიმს.

- კი, მაგრამ, რისი იმედი გაქვთ? - იკითხა მაქსიმმა.

ზეფი და ტახი დუმდნენ. მაქსიმმა ახედა მათ სახეებს და ენა ჩაუვარდა.

- მაპატიეთ... მე... ეს ყველაფერი ისე... ბოდიში...

- უნდა ვიბრძოლოთ, - მშვიდი ხმით წარმოთქვა ტახმა, - ვიბრძვით და ვიბრძოლებთ. ზეფმა გამცნოთ შტაბის ერთ-ერთი სტრატეგია. არსებობს სხვებიც, რომლებიც ასევე იოლი გასაკრიტიკებელი და პრაქტიკულად ჯერჯერობით შეუმოწმებელია... გესმით, ჩვენ ჯერ მხოლოდ ვაყალიბებთ ყველაფერს. ბრძოლის ჩამოყალიბებულ თეორიას ასე ერთბაშად ვერ შექმნი ცარიელ ადგილზე...

- მითხარით, - ნელა ჩაილაპარაკა მაქსიმმა, - ეს გამოსხივება… თანაბრად მოქმედებს თქვენი სამყაროს ყველა ხალხზე?

ტახმა და ზეფმა ერთმანეთს შეხედეს.

- არ მესმის, - თქვა ტახმა.

- აი, რა მაქვს მხედველობაში: თუ მოიძებნება აქ ხალხი, რომელშიც თუნდაც რამდენიმე ათასი ჩემნაირი ურევია?

- არა მგონია, - თქვა ზეფმა, - თუ მაინცდამაინც იმათთან... მუტანტებთან. მასარაკშ, არ გეწყინოს, მაკ, მაგრამ შენ ხომ აშკარა მუტანტი ხარ... ეს ბედნიერი მუტაციაა, ერთი შანსი მილიონზე.

- არ მწყენს, - თქვა მაქსიმმა. - მაშასადამე, მუტანტები... ეს იქაა, მოშორებით, ტყეებში?

- ჰო, - თქვა ტახმა, თან მაქსიმს თვალს არ აშორებდა.

- მაინც რა არის იქ? - იკითხა მაქსიმმა.

- ტყეა, შემდეგ უდაბნო, - უპასუხა ტახმა.

- და მუტანტები?

- ჰო, ნახევრადმხეცები - შეშლილი ველურები... მომისმინეთ მაკ, შეეშვით ამას.

- თქვენ თუ გინახავთ ოდესმე ისინი?

- მე მხოლოდ მკვდრები მინახავს, - თქვა ტახმა: - მათ ზოგჯერ ტყეში იჭერენ, შემდეგ კი ბარაკების წინ კიდებენ გასამხნევებლად.

- მაინც რაზე?

- კისერზე! - იღრიალა ზეფმა. - სულელი! ისინი მხეცები, არიან! განუკურ-

ნებელნი და ყველა მხეცზე საშიშნი! მინახავს, რაც არიან, მენ ასეთი რამ სიზ-მარშიც არ მოგლანდებია...

- მაშ, რატომ აშენებენ მათ მხარეს კოშკებს? - იკითხა მაქსიმმა, - მოთვინიე-რებას უპირებენ?

- მოეშვით, მაკ, - კვლავ თქვა ტახმა, - არაფერი გამოვა, მათ ჩვენ ვეჯავრე-ბით... თუმცა როგორც გინდათ, ისე მოიქეცით - ჩვენ არავის არ ვაკავებთ.

სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ მოშორებით, მათ ზურგსუკან გაისმა ნაცნობი ღრჭიალა ბრდღვინვა. ზეფი წამოდგა.

- ბალისტა, - თქვა ფიქრიანად - წავიდე, მოვკლა?... შორს არ არის, მეთვრა-მეტე კვადრატზეა... არა, ხვალ წავალ.

- მე მოვუვლი. წადით, დაგეწევით, - უცებ მიიღო გადაწყვეტილება მაქსიმ-მა.

- შეძლებ? - ეჭვით შეხედა მას ზეფმა. - არ აფეთქდე...

- მაკ, - უთხრა ცალხელამ, - დაფიქრდით!

ზეფი მაქსიმს უყურებდა, მერე კი უეცრად გაიკრიჭა.

- აჰა, თურმე რად გინდოდა ტანკი! - თქვა მან. - დიდი ეშმაკი ვინმე ბრძან-დები. ა-არა, მე ვერ გამაცურებ. კეთილი, წადი, ვახშამს შეგინახავ, გონს რომ მოხვალ, მოდი... ისიც გაითვალისწინე, რომ ბევრი თვითმავალი დანაღმუ-ლია, ფრთხილად იყავი... წავიდეთ, ტახო, დაგვეწევა.

ტახს უნდოდა, კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ მაქსიმი უკვე წამოდგა და განა-კაფისაკენ გაემართა, მეტი ლაპარაკი არ სურდა. სწრაფად, უკანმოუხედავად მიდიოდა და გრანატმტყორცნი იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი. ახლა, როცა გა-დაწყვეტილება მიიღო, გულს მოეშვა, გასაკეთებელი საქმე მხოლოდ მის უნარსა და მოხერხებულობაზე იყო დამოკიდებული.

მეთოთხმეტე თავი

გარიჟრაჟზე მაქსიმმა თვითმავალი ბალისტა გზატკეცილზე გაიყვანა და ცხვირით სამხრეთისაკენ მიაბრუნა. წასვლა შეიძლებოდა, მაგრამ მართვის ნაკვეთურიდან გამოვიდა დამსხვრეულ ბეტონზე ჩამოხტა, თხრილის პირას ჩამოჯდა და დასვრილი ხელები ბალახს შეაწმინდა. იქვე ვეებერთელა ჟანგიან მანქანას მღვრიე ცისთვის მიეშვირა რაკეტის წვერი და მშვიდად თუხთუხებდა.

მაქსიმმა მთელი ღამე იმუშავა, მაგრამ დაღლილობას არ გრძნობდა. აბორიგენები მკვიდრად აგებდნენ, მანქანა კარგ მდგომარეობაში იყო. რა თქმა უნდა, მასზე არავითარი ნაღმი არ აღმოჩნდა, ხელის სამართავი კი, პირიქით, ჰქონდა. ვინმე თუ აფეთქებულა ასეთ მანქანებზე, ეს ქვაბის სიძველის ან სრული ტექნიკური უმეცრების გამო შეიძლებოდა მომხდარიყო. მართალია, ქვაბი ნორმალური სიმძლავრის ოც პროცენტზე მეტს არ იძლეოდა და სავალი ნაწილი საკმაოდ გალახული ჩანდა, მაგრამ მაქსიმი კმაყოფილი იყო - გუშინ ამის იმედიც არ ჰქონდა.

დაახლოებით დილის ექვსი საათი იყო, სულ გათენდა. ჩვეულებრივ, ამ დროს კატორღელებს კუბოკრულ კოლონებად აწყობდნენ, სახელდახელოდ აცმევდნენ და სამუშაოდ გაჰყავდათ. მაქსიმის არყოფნა, რა თქმა უნდა, უკვე შემჩნეული იყო და, სავსებით შესაძლებელია, რომ ახლა ის გაქცეულად ითვლებოდა და სასჯელიც მიესაჯა, თუმცა, შესაძლოა, ზეფმა მოიგონა რამე - ფეხი იღრძო, დაიჭრა, ან სხვა ამდაგვარი.

ტყეში სიჩუმე ჩამოვარდა. „ძაღლები“, რომლებიც მთელი ღამე ყეფით ეხმიანებოდნენ ერთმანეთს, დაშოშმინდნენ, ალბათ მიწისქვეშეთში წავიდნენ და იქ თათებს ისრესდნენ და ხითხითებდნენ იმის გახსენებაზე, როგორ დააშინეს გუშინ ორფეხანი... ამ „ძაღლებს“ საფუძვლიანად უნდა მიხედვა, მაგრამ ამჯერად მათი ზურგში დატოვება მოუწევთ. საინტერესოა, მოქმედებს თუ არა მათზე გამოსხივება? უცნაური არსებები... ღამით, სანამ ის ძრავაში იჩიჩქნებოდა, ორი განუწყვეტლივ იდგა, ბუჩქებს ამოფარებული, და ჩუმად ადევნებდა თვალს, შემდეგ კი მესამეც მოვიდა და ხეზე აძვრა, რათა უკეთ დაენახა. მაქსიმმა ლიუკიდან თავი გამოყო და ხელი დაუქნია, შემდეგ ონავრობამ გადასძლია და შეძლებისდაგვარად გაიმეორა ის ოთხმარცვლოვანი სიტ-

ყვა, რომელსაც გუშინ მკაფიოდ გაიძახოდა გუნდი. ხეზე მჯდომი საშინლად გაბრაზდა, თვალები დააბრიალა, მთელ სხეულზე ბეწვი აებურძგნა და რაღაც ხორხისმიერი შეურაცხმყოფელი სიტყვები ამოუშვა. ბუჩქებში მჯდომი ორი, ეტყობა, შეაცბუნა ამან, რადგან მაშინვე გაეცალნენ იქაურობას და მეტი აღარ გამოჩენილან. ხოლო ის, ვინც ილანძღებოდა, კიდევ დიდხანს იჯდა და ვერა და ვერ დამშვიდებულიყო: სისინებდა, იფურთხებოდა, ისე იქცეოდა, თითქოს მაქსიმს თავს უნდა დაესხასო და თეთრ მეჩხერ ეშვებს კრეჭდა. მხოლოდ გამთენიისას გაიძურწა, როცა დარწმუნდა, რომ მაქსიმი მასთან პატიოსან ბრძოლაში ჩაბმას არ აპირებდა... საეჭვოა, ადამიანური თვალსაზრისით ისინი გონიერნი იყვნენ, მაგრამ საინტერესო ტიპები კი არიან და, ალბათ, რაღაც ორგანიზებულ ძალას შეადგენენ, თუ ის მოახერხეს, რომ სიმაგრიდან გაედევნათ სამხედრო გარნიზონი პრინც-ჰერცოგის მეთაურობით... მაინც რა ცოტა ინფორმაცია აქვთ აქ, მარტო მითქმა-მოთქმა და ლეგენდებია... ახლა კარგი იქნებოდა მებანავა, ერთთავად ჟანგში ამოვიგანგლე, თანაც ქვაბსაც გასდის, რადიაციამ მთელი კანი ამიწვა. ზეფი და ცალხელა თუ გამგზავრებაზე დავითანხმე, ქვაბი სამი-ოთხი ფილით უნდა დავხურო, ქიმებს ჯავშანი ავაცალო...

შორს, ტყეში რაღაცამ იგრიალა, გაისმა გამოძახილი - სიკვდილმისჯილმა მესანგრეებმა სამუშაო დღე დაიწყეს. უაზრობა, უაზრობა... კვლავ იგრიალა რაღაცამ, ტყვიამფრქვევი აკაკანდა, დიდხანს კაკანებდა, შემდეგ დადუმდა. ამასობაში ინათა კიდეც და გამოიდარა. უღრუბლო მოწმენდილი ცა რძესავით ლაპლაპებდა, გზატკეცილზე ნამიანი ბეტონი ციმციმებდა, ტანკის ირგვლივ კი ნამი არ იყო და ჯავშანი არაჯანსაღ სითბოს გამოსცემდა.

შემდეგ გზას მოფენილი ბუჩქნარიდან ტახი და ზეფი გამოძვრნენ, ტანკი რომ დაინახეს, ნაბიჯს მოუჩქარეს. მაქსიმი შეეგება მათ.

- ცოცხალი ხარ? - უთხრა ზეფმა მისალმების ნაცვლად, - ასეც ვფიქრობდი, შენი ფაფისა, ძმაო, რა მოგახსენო, აბა, რითი წამომეღო. პური კი მოგიტანე, აჰა, ხეთქე.

- გმადლობ, - თქვა მაქსიმმა და პურის ყუა გამოართვა,

ტახი ნაღმსაძიებელზე დაყრდნობილი იდგა და მაქსიმს უყურებდა.

- ხეთქე და გაშპი, - თქვა ზეფმა. - იქ, ძმაო, შენს წასაყვანად მოვიდნენ.

- ვინ? - მაქსიმმა ღეჭვა შეწყვიტა.

- ჩვენთვის არ მოუხსენებია, - უთხრა ზეფმა. - ვიღაც თავითფეხამდე ღი-

ლებით შებნეული აყლაყუდა მთელ ტყეში გაჰყვიროდა, რატომ არ არისო, კინაღამ მიმახვრიტა... მე კი თვალებს ვქაჩავ და ვეუბნები: ასე და ასეა-მეთქი, ნაღმის ველზე დაიღუპა, გვამი ვერ ვიპოვე-მეთქი...

ზეფმა ტანკს შემოუარა, „რა საძაგლობაა“, თქვა, თხრილის პირას ჩამოჯდა და პაპიროსის დახვევას შეუდგა.

- უცნაურია, - თქვა მაქსიმმა და დაფიქრებულმა პურის ყუა ჩაკბიჩა, - ნეტა რატომ მეძებს? დამატებითი გამოძიებისათვის?..

- იქნებ ფანკი იყო? - ხმადაბლა იკითხა ტახმა.

- ფანკი? ის საშუალო ტანისაა, კვადრატული სახე აქვს და აქერცლილი კანი.

- არა, - თქვა ზეფმა. - ეს კაცი ლატანივით გრძელია, დამუწუკებული სახე აქვს, ნამდვილი სულელი ლეგიონერია.

- ფანკი არ ყოფილა, - თქვა მაქსიმმა.

- იქნებ ფანკის ბრძანებითაა მოსული? - იკითხა ტახმა.

მაქსიმმა მხრები აიჩეჩა და ბოლო ლუკმა ჩაიდო პირში.

- არ ვიცი, - თქვა მან. - წინათ მეგონა, რომ ფანკს რაღაც კავშირი აქვს იატაკქვეშეთთან, ახლა კი არ ვიცი, რა ვიფიქრო...

- მაშინ, კაცმა რომ თქვას, მართლაც სჯობს გაემგზავროთ, - თქვა ტახმა. - თუმცა, მართალი გითხრათ, არ ვიცი, რაა უარესი - მუტანტები, თუ ეს ჟანდარმერიის მოხელე…

- მოეშვი, წავიდეს, - უთხრა ზეფმა. - მეკავშირედ მაინც არ იმუშავებს შენთან, ისე კი რაიმე ინფორმაციას მაინც ჩამოგვიტანს... თუ გადარჩა.

- თქვენ, რა თქმა უნდა, არ წამოხვალთ, თქვა მაქსიმმა დაჯერებულად.

ტახმა თავი გაიქნია.

- არა, - თქვა მან, - წარმატებას გისურვებთ.

- რაკეტა ჩამოიხსენი, - ურჩია ზეფმა. - თორემ რაკეტიანად აფეთქდები... და აი რა: წინ ორი საგუშაგო დაგხვდება. ადვილად გაივლი, ოღონდ ნუ შეჩერდები. ორივე სამხრეთისკენ იყურება. შემდეგ კი უფრო გაგიჭირდება, საშინელი რადიაციაა, სახეთქი არაფერია, იქაურობა მუტანტებითაა სავსე, კიდევ უფრო შორს ქვიშაა, წვეთ წყალს ვერ იშოვის კაცი.

- გმადლობ, - თქვა მაქსიმმა. - ნახვამდის.

ის მუხლუხს შეახტა, ლიუკი გადასწია და გახურებულ სიბნელეში ჩაძვრა.

ის იყო ბერკეტებზე დადო ხელი, მაგრამ გაახსენდა, რომ კიდევ დარჩა შესაკითხი. თავი გამოყო.

- მომისმინეთ, - თქვა მან, - რატომ უმალავდნენ რიგით იატაკქვეშელებს კოშკების ნამდვილ დანიშნულებას?

ზეფი შეიჭმუხნა და გადააფურთხა, ტახმა კი ნაღვლიანად უპასუხა:

- იმიტომ, რომ შტაბში უმრავლესობას იმედი აქვს, რომ ხელთ იგდებს ძალაუფლებას და ძველებურად, მაგრამ სხვა მიზნებისათვის გამოიყენებს კოშკებს.

- რა სხვა მიზნებისათვის? - კუშტად იკითხა მაქსიმმა.

რამდენიმე წამი თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს. ზეფი შეტრიალებულიყო და ენით გულმოდგინედ აწებებდა სიგარეტს. შემდეგ მაქსიმმა თქვა:

- გადარჩენას გისურვებთ, - და ბერკეტებს მიუბრუნდა.

ტანკი აგუგუნდა, აჩხარუნდა, მუხლუხები აატკაცუნა და გასრიალდა.

მანქანის ტარება ჭირდა. მას მძღოლის საჯდომი არ ჰქონდა, ხოლო ტოტებისა და ბალახის გროვა, რომელიც მაქსიმმა ღამით დაყარა, სწრაფად იშლებოდა. ხედვა საზიზღარი იყო, სწრაფად წაყვანა არ ხერხდებოდა - ოცდაათკილომეტრიან სიჩქარეზე ძრავაში რაღაც ხმაურობდა და თუხთუხებდა, საპოხი იწეოდა. ეს კია, რომ ამ ატომურ სარეცელს გამავლობა ჯერ კიდევ მშვენიერი ჰქონდა. გზა თუ უგზოობა მისთვის სულ ერთი იყო, ბუჩქებსა და ოდნავ ჩაღრმავებულ ადგილებს საერთოდ არაფრად აგდებდა, წაქცეულ ხეებს ფშვნიდა. დამსკდარ ბეტონშუა ამოსულ ნორჩ ხეებს ადვილად აქცევდა, ხოლო. შავი წყლით სავსე ღრმა თხრილების გადაცოცვისას თითქოს სიამოვნებისგანაც ფრუტუნებდა. კურსიც მშვენივრად ეჭირა, ძნელი მოსაბრუნებელი იყო.

გზატკეცილი საკმაოდ სწორი იყო, ნაკვეთური - ბინძური და უჰაერო და მაქსიმმა, როგორც იქნა, ხელის გაზი დააყენა, მერე გარეთ გამოვიდა და მოხერხებულად მოეწყო ლიუკის კიდეზე რაკეტის ცხაურიან ღარქვეშ. ტანკი სვლას განაგრძობდა, თითქოს ეს იყო დიდი ხნის დაპროგრამებული მისი ნამდვილი კურსი. იგი მედიდური და ამავე დროს მარტივი ჩანდა. მაქსიმმა, რომელსაც მანქანები უყვარდა, მოწონების ნიშნად ჯავშანზე ხელიც კი მოუთათუნა.

ცხოვრება ასატანი მოეჩვენა, მარჯვნივ და მარცხნივ უკან რჩებოდა ტყე, თანაბრად თუხთუხებდა ძრავა, ზევით რადიაცია თითქმის არ იგრძნობოდა,

ნიავი შედარებით სუფთა იყო და სასიამოვნოდ აგრილებდა ახურებულ კანს. მაქსიმმა თავი ასწია და რაკეტის მოქანავე ცხვირს შეხედა. სხვათა მორის, ის მართლაც შეიძლება ჩამოაგდოს კაცმა. ზედმეტი ტვირთია. აფეთქებით, რა თქმა უნდა, არ აფეთქდება, დიდი ხანია „გალაყდა“. მაქსიმმა ის ჯერ კიდევ ღამით შეამოწმა, მაგრამ ათ ტონას იწონის, რატომ უნდა ათრიო ასეთი რამ? ტანკი არხეინად განაგრძობდა გზას, მაქსიმი კი ღარში ძრომიალს შეუდგა, სამაგრ მექანიზმს ეძებდა, მექანიზმი კი იპოვა, მაგრამ ყველაფერი ჩაჟანგებულიყო, ხოლო, სანამ მაქსიმი ჯახირობდა, ტანკი მოსახვევებში ორჯერ გადასცდა გზას, ტყეში შევიდა და ხეები გადათელა მრისხანე ღმუილით. მაქსიმი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა რკინის რეგვენი დაეშოშმინებინა და კვლავ გზაზე დაეყენებინა. ბოლოს და ბოლოს მექანიზმი ამუშავდა, რაკეტა მძიმედ გაქანდა და ზღართანი მოადინა ბეტონზე, მერე კი მძიმედ ჩაგორდა თხრილში. ტანკი შეხტა და უფრო მსუბუქად განაგრძო გზა. ამ დროს მაქსიმმა პირველ საგუშაგოს მოჰკრა თვალი.

ტყის პირას ორი დიდი კარავი და ავტოფურგონი იდგა, საველე სამზარეულოდან კვამლი ამოდიოდა. წელამდე შიშველი ორი ლეგიონერი ბანაობით იყო გართული - ერთი მეორეს მათარიდან წყალს უსხამდა. შავმოსასხამიანი გუშაგი შუა გზატკეცილზე იდგა და ტანკს უყურებდა ხოლო გზატკეცილის მარჯვნივ კადონით შეერთებული ორი ბოძი აღმართულიყო და ამ კადონზე რაღაც ეკიდა, რაღაც გრძელი და თეთრი, რომელიც თითქმის მიწას ეხებოდა. მაქსიმი ნაკვეთურში ჩაეშვა, კუბოკრული ბალახონი რომ არ შეემჩნიათ და თავი გამოყო. გაოცებული გუშაგი შეჰყურებდა ტანკს და მოაჯირისკენ იხევდა, შემდეგ კი დაბნეულმა ფურგონს გახედა. ნახევრად შიშველმა ლეგიონერებმაც ბანაობა შეწყვიტეს და ტანკს მისჩერებოდნენ. მუხლუხების გრუხუნზე კარვებიდან და ფურგონიდან კიდევ რამდენიმე კაცი გამოვიდა ერთ-ერთს ოფიცრის ზონრებიანი მუნდირი ეცვა. ძალიან გაოცებულები იყვნენ, მაგრამ შეშფოთება არ ეტყობოდათ, ოფიცერმა ტანკისკენ გაიშვირა ხელი და რაღაც თქვა, ყველამ გაიცინა. როცა მაქსიმი გუშაგს გაუსწორდა, მან რაღაც უთხრა ყვირილით, მაგრამ მისი ხმა ძრავის გუგუნმა ჩაახშო.

- ყველაფერი რიგზეა, იქ იდექი, სადაც დგეხარ! - უყვირა მაქსიმმა პასუხად.

გუშაგსაც არაფერი გაუგონია, მაგრამ სახეზე კმაყოფილება გამოესახა. ტან-

კი რომ გაატარა კვლავ გამოვიდა შუა გზატკეცილზე და ძველებურად დადგა. ჩანდა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

მაქსიმმა თავი მოაბრუნა და ახლოდან დაინახა ის, რაც კადონზე ეკიდა. ერთ წამს უყურებდა, შემდეგ სწრაფად ჩაჯდა, თვალები მაგრად დახუჭა და, თუმცა ეს სულ არ იყო საჭირო, ბერკეტებს დასტაცა ხელი. „არ უნდა შემეხედა, - გაიფიქრა მან. რა ეშმაკმა მაფიქრებინა, თავი მომებრუნებინა, ვივლიდი და ვივლიდი, არაფერი მეცოდინებოდა... - ძალით გაახილა თვალები. - არა, - გაიფიქრა მან, - უნდა ვუყურო, ეს საჭიროა, უნდა შევეჩვიო და უნდა გავიგო. თვალი არ უნდა ავარიდო. რაკი ამ საქმეს მოვკიდე ხელი, უფლება არა მაქვს თვალი ავარიდო. ალბათ ეს მუტანტი იყო, ადამიანს ასე ვერ დაამახინჯებს სიკვდილი. სიცოცხლე კი ამახინჯებს. ის მეც დამამახინჯებს, და ამას ვერსად გაექცევი, და წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიო, უნდა შეეჩვიო. შესაძლოა, ჩემ წინ ასობით კილომეტრი გზაა, სულ სახრჩობელებით დაფარული.

როცა ლუკიდან კვლავ გამოყო თავი და უკან მოიხედა, საგუშაგო უკვე არ ჩანდა - არც საგუშაგო, არც გზისპირას განმარტოებით აღმართული სახრჩობელა. რა კარგი იქნებოდა, ახლა შინ მიემგზავრებოდეს… აი ასე მიდიოდეს, მიდიოდეს, მიდიოდეს, ხოლო ბოლოში - სახლი, დედა, მამა, ბიჭები. ჩავიდეს, გაიღვიძოს, დაიბანოს და უამბოს საშინელი სიზმარი დასახლებული კუნძულის შესახებ… შეეცადა დედამიწა წარმოედგინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ოღონდ ეუცნაურებოდა იმის გაფიქრება, რომ სადღაც არის სუფთა მხიარული ქალაქები, ბევრი კეთილი, ჭკვიანი ადამიანი, ყველა ერთმანეთს ენდობა... „შენ საქმეს ეძებდი, - გაიფიქრა მან. - ჰოდა ახლა გაქვს საქმე - ძნელი საქმე, ბინძური, მაგრამ საეჭვოა სადმე ოდესმე იპოვო სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმე...“

მის წინ გზატკეცილზე რაღაც მექანიზმი ნელა მიცოცავდა იმავე მხარეს - სამხრეთისაკენ. ეს იყო პატარა მუხლუხა ტრაქტორი, რომელიც მიათრევდა მისაბმელს ლითონის ცხაურიანი წამწითურთ. ღია კაბინაში მჯდომ კაცს კუბოკრული ბალახონი ეცვა და ყალიონს აბოლებდა; მან ერთი გულგრილად შეხედა ტანკს, მერე მაქსიმს შეავლო მზერა და შეტრიალდა. „რა წამწეა ნეტავი? - გაიფიქრა მაქსიმმა. - რა ნაცნობი მოხაზულობა აქვს... შემდეგ უცებ მიხვდა, რომ ეს კოშკის სექცია იყო. - ნეტა თხრილში ჩამაგდებინა, - გაიფიქრა მან - და ერთი-ორჯერ ზედ გადამატარა წინ და უკან...“ მოიხედა და როგორც

ჩანს, ტრაქტორის, მძღოლს სულაც არ მოეწონა მისი გამომეტყველება, უცებ დაამუხრუჭა და ცალი ფეხი მუხლუხზე ჩამოუშვა, თითქოს უნდა გადმოხტესო. მაქსიმმა ზურგი შეაქცია.

ათი წუთის შემდეგ მეორე საგუშაგო გამოჩნდა. ეს კუბოკრული მონების უზარმაზარი არმიის ავანპოსტი იყო, თუმცა, შესაძლოა, ისინი მონები კი არა, სწორედ ამ ქვეყნის ყველაზე თავისუფალი ადამიანები იყვნენ. აქ იდგა თუთიის მბრწყინავსახურავებიანი ორი სახელდახელოდ ნაგები სახლი, მომცრო ხელოვნური ბორცვი, მასზე ამბრაზურების შავნახვრეტებიანი ნაცრისფერი დაბალი კაპონირი. კაპონირზე უკვე აღმართულიყო კოშკის პირველი სექციები, ხოლო ბორცვის გარშემო იდგნენ ავტომაწეები, ტრაქტორები, უწესრიგოდ ეყარა რკინის წამწეები. გზატკეცილის ორსავე მხარეს რამდენიმე კილომეტრზე ტყე გაეჩეხათ, ღია სივრცეში აქა-იქ ფუსფუსებდნენ კუბოკრულ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები. ქოხებს იქით გრძელი დაბალი ბარაკი მოჩანდა. ბარაკის წინ თოკებზე შრებოდა ნაცრისფერი ჩვრები. ცოტა მოშორებით, გზატკეცილზე ხისმოედნიანი კოშკურა იდგა: მოედანზე დააბიჯებდა ნაცრისფერფორმიანი გუშაგი, რომელსაც ზუჩი ჩამოეფხატა, იქვე სამფეხზე კი ტყვიამფრქვევი იდგა. კოშკურის ქვეშ სხვა ჯარისკაცებიც ირეოდნენ; მათ კოღოებისა და მოწყენილობისაგან ქანცგაწყვეტილი ადამიანების გამომეტყველება ჰქონდათ. ყველა ეწეოდა.

„აქაც უდავიდარაბოდ გავივლი, - გაიფიქრა მაქსიმმა, - აქ ქვეყნის დასალიერია და არავის არაფრის დარდი არა აქვს“. მაგრამ ის შეცდა. ჯარისკაცებმა კოღოების მოგერიებას თავი დაანებეს და ტანკს მიაჩერდნენ. შემდეგ ერთმა, გამხდარმა, ძალიან რომ ჩამოჰგავდა ვიღაცას, თავზე ზუჩი შეისწორა, შუა გზატკეცილზე გამოვიდა და ხელი ასწია. - ”ტყუილად ირჯები, - გაიფიქრა მაქსიმმა დანანებით, - არაფერი გამოგივა მე გადავწყვიტე, გავიარო აქ და გავივლი კიდეც...“ ის ძირს, ბერკეტებთან ჩასრიალდა, მოხერხებულად მოეწყო და ფეხი აქსელერატორს დაადგა. ჯარისკაცი გზატკეცილზე კვლავ ხელაწეული იდგა „ახლა გაზს მივცემ, - გაიფიქრა მაქსიმმა, - ერთს კარგად შევბღავლებ და გადახტება... ხოლო თუ არ გადახტა, - გაიფიქრა უეცარი გააფთრებით, - რა გაეწყობა, თუ ომია, ომი იყოს...“

და უცებ იცნო ეს ჯარისკაცი. მის წინაშე გაი იდგა - გამხდარი, ჩამომჭკნარი, თმა-წვერ გაბურძგნილი, ჯარისკაცური კომბინიზონი ტომარასავით ეკი-

და.

- გაი... - ჩაიბურტყუნა მაქსიმმა. - მეგობარო... რაღა ვქნა ახლა?

გაზიდან ფეხი. აიღო, გადაბმულობა გამორთო, ტანკმა სვლა. შეანელა და შეჩერდა. გაიმ ხელი დაუშვა და აუჩქარებლად წამოვიდა ტანკისაკენ. მაქსიმს სიხარულისაგან სიცილი აუვარდა. ყველაფერი შესანიშნავად აეწყო. მან კვლავ ჩართო გადაბმულობა და მოემზადა.

- ეი! - მბრძანებლურად შესძახა გაიმ და კონდახი ჯავშანს მიუკაკუნა. - ვინა ხართ?

მაქსიმი დუმდა, თან გუნებაში ეცინებოდა.

- არის აქ ვინმე? - ოდნავ ყოყმანით იკითხა გაიმ.

შემდეგ დაჭედილი ქუსლები ჯავშანს დაუშინა. მარცხენა ლიუკი გაიხსნა და გაიმ ნაკვეთურში შეჰყო თავი. მაქსიმის დანახვაზე პირი დააღო, მაგრამ იმავე წამს მაქსიმმა კომბინეზონში სტაცა ხელი, მოსწია, ტოტებზე წააქცია. და ფეხი დააჭირა... ტანკმა საშინელი ხმით დაიღმუვლა და გზა განაგრძო. „ძრავას დავამტვრევ“, გაიფიქრა მაქსიმმა. გაი იკრუნჩხებოდა და ტრიალებდა, ზუჩი სახეზე ჩამოუცურდა, ვერაფერს ხედავდა და დაბრმავებული მხოლოდ ტლინკებს ყრიდა, რათა როგორმე გამოეძრო ქვეშ მოყოლილი ავტომატი. უეცრად ნაკვეთური გუგუნითა და ღრჭიალით აივსო - ეტყობოდა, ზურგში ტანკს ავტომატები და ტყვიამფრქვევები დაუშინეს. კი ვერაფერს დააკლებდნენ, მაგრამ სასიამოვნო მაინც არ იყო და მაქსიმი მოუთმენლად ადევნებდა თვალს, როგორ მოიწევდა ტყის კედელი სულ უფრო ახლოს... ახლოს... და აი, პირველი ბუჩქები... ვიღაც კუბოკრული განზე გავარდა გზიდან... და აი, ირგვლივ უკვე ტყეა, შეწყდა ჯავშანზე ტყვიების კაკუნი და წინ ასობით კილომეტრზე თავისუფალი გზატკეცილია.

გაიმ, როგორც იქნა, გამოაძვრინა ქვეშ მოყოლილი ავტომატი, მაგრამ მაქსიმმა ზუჩი მოაძრო და უნებურად გაეცინა, როცა გაოფლილ, კბილებდაკრეჭილ სახეზე გააფთრება, ძრწოლა და მოკვლის წყურვილი ჯერ დაბნეულობის, შემდეგ გაოცებისა და ბოლოს სიხარულის გამომეტყველებამ შეცვალა. გაიმ ტუჩები აამოძრავა - ეტყობოდა თქვა: „მასარაკშ!“ - მაქსიმი ბერკეტებს მოეშვა და გრძნობამორეულმა გულში ჩაიკრა გაწუწული, გამხდარი, გაბანჯგვლული გაი.

- გაი, მეგობარო, როგორ გამახარე!

სრულიად არაფერი არ ისმოდა. მან საჭვრეტ ჭუჭრუტანაში გაიხედა. გზატკეცილი კვლავინდებურად სწორად მიიმართებოდა და კვლავ დააყენა ხელის გაზი, თვითონ კი მაღლა ამოძვრა და გაიც ამოათრია.

- მასარაკშ! - თქვა გვერდებდაზელილმა გაიმ. - ისევ შენა!

- რა იყო, არ გიხარია? მე იცი, როგორ გამეხარდა? - მაქსიმი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ არასდროს არ უნდოდა მარტო გამგზავრებულიყო სამხრეთში.

- რას ნიშნავს ყოველივე ეს? - შესძახა გაიმ. უკვე გაუარა პირველმა სიხარულმა და შეშფოთებული აცეცებდა თვალებს. საით? რატომ?!

- სამხრეთისაკენ! - შესძახა მაქსიმმა. - მეყოფა შენი სტუმართმოყვარე სამშობლო!

- გარბიხარ?!

- დიახ!

- გაგიჟდი! ნუთუ არ იცი, რომ სიცოცხლე გაჩუქეს!

- როგორ თუ მაჩუქეს? სიცოცხლე ჩემია! მე მეკუთვნის!

ლაპარაკი უძნელდებოდათ, უნდა ეყვირათ და როგორღაც უნებურად მეგობრული საუბრის ნაცვლად ჩხუბი გამოსდიოდათ. მაქსიმი ლიუკში ჩაძვრა და ბრუნვები შეამცირა. ტანკმა სვლა შეანელა, უკვე აღარ ბღაოდა და ისე ხმამაღლა არ ღრჭიალებდა. როცა მაქსიმი ისევ გამოძვრა, მტკიცე გადაწყვეტილებით. აღსავსე გაი მოღუშული იდგა.

- მე მოვალე ვარ, უკან დაგაბრუნო, - განაცხადა მან.

- მე კი მოვალე ვარ, წაგათრიო აქედან, - უპასუხა მაქსიმმა.

- არაფერი მესმის. გაგიჟებულხარ, აქედან გაქცევა შეუძლებელია. უნდა დავბრუნდეთ... მასარაკშ, შენი დაბრუნებაც არ შეიძლება, დაგხვრეტენ... სამხრეთში კი შეგვჭამენ... მიწამ გიყოს პირი შენი სიგიჟიანად, ხათაბალაში გამხვიე ყალბი ფულივით...

- დაიცა, ნუ ყვირიხარ, - უთხრა მაქსიმმა, - მოდი, ყველაფერს აგიხსნი.

- არაფრის ახსნა არ მინდა. შეაჩერე მანქანა!

- დაიცა, - უყვავებდა მაქსიმი. - უნდა გიამბო!

მაგრამ გაის არაფრის გაგონება არ სურდა, ითხოვდა, რომ ეს უკანონოდ მოტაცებული მანქანა დაუყოვნებლივ შეეჩერებინა და ზონაში დაებრუნებინა, მაქსიმს ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერაც უწოდა ყეყეჩი. ყვირილი „მასარაკშ“ ძრავის ხმაურს ფარავდა. მდგომარეობა, მასარაკშ, საშინელი იყო. გამოუვა-

ლიც კი, მასარაკშ! წინ, მასარაკშ, გარდაუვალი სიკვდილი ელოდათ. უკანაც, მასარაკშ! მაქსიმი მუდამ ყეყეჩი და ფსიხი იყო, მასარაკშ, მაგრამ ეს საქციელი, მასარაკშ, ალბათ, უკანასკნელია, მასარაკშ და მასარაკშ...

მაქსიმი ხელს არ უშლიდა. უეცრად მიხვდა, რომ უკანასკნელი კოშკის ველი, ჩანდა, სადღაც აქ მთავრდებოდა, უფრო სწორად, უკვე დამთავრდა, უკანასკნელი საგუშაგო ბოლო ველის კიდეზე უნდა მდებარეობდეს... დაე, ბიჭმა გული იჯეროს, დასახლებულ კუნძულზე სიტყვები არაფერს ნიშნავს... „ილანძღე, ილანძღე, მე კი წაგათრევ, აქ არაფერი გესაქმება... ვიღაცით ხომ უნდა დაიწყოს და შენ პირველი იქნები არ მინდა თოჯინა იყო, კიდეც რომ მოგწონდეს ეს...“

მაქსიმი კარგად რომ გამოლანძღა, გაი ლიუკში ჩახტა და მანქანის შეჩერება სცადა. ვერ მოახერხა და უკანვე ამოძვრა, ისევ ზუჩი ეხურა, ხმას არ იღებდა და საქმიანი გამომეტყველება ჰქონდა, აშკარად ეტყობოდა, რომ ჩამოხტომას და უკანვე გაბრუნებას აბირებდა. ძალიან გულმოსული იყო. მაშინ მაქსიმმა შარვალში ჩაავლო ხელი, გვერდით მოისვა და მდგომარეობის განმარტება დაუწყო.

ერთ საათზე მეტ ხანს ლაპარაკობდა, ზოგჯერ ჩუმდებოდა, რათა მოსახვევებში ტანკისთვის სწორი გეზი მიეცა ის ლაპარაკობდა, გაი კი უსმენდა. ჯერ გაი ცდილობდა გაეწყვეტინებინა, გადამხტარიყო, ყურებს ხელებით იცობდა, მაგრამ მაქსიმი არ ცხრებოდა, კვლავ და კვლავ იმეორებდა ერთსა და იმავეს, განუმარტავდა, ჩააგონებდა, არწმუნებდა და ბოლოს გაიმ ყურის გდება დაუწყო, შემდეგ ჩაფიქრდა, მოიწყინა, ორივე ხელი ზუჩში შეიყო და მაგრად მოიფხანა ქოჩორი. მერე უეცრად შეუტია მაქსიმს, საიდან გაიგე ეს და ვინაა თავდები, რომ ყოველივე სიცრუე არის, ან როგორ შეიძლება ეს დაიჯერო, როცა აშკარა მონაჭორიაო... მაქსიმი ფაქტებით უდასტურებდა, ხოლო როცა ფაქტები არ ჰყოფნიდა, იფიცებოდა, მართალს ვამბობო, ესეც რომ არ შველოდა, გაის ბენტერას, თოჯინას, რობოტს, ემახდა, ტანკი კი ამასობაში მიდიოდა და მიდიოდა სამხრეთისაკენ, სულ უფრო ღრმად იჭრებოდა მუტანტების ქვეყანაში.

- კარგი, - თქვა ბოლოს გააფთრებულმა მაქსიმმა. - ახლავე შევამოწმებთ ყოველივეს. ჩემი ვარაუდებით, გამოსხივების ველიდან დიდი ხანია გამოვედით, ახლა კი დაახლოებით ათს ათი წუთი უკლია. რას აკეთებთ თქვენ ათ

საათზე?

- ათ საათსა და ნულ-ნულ წუთზე ვირაზმებით, - კუშტად თქვა გაიმ.

- დიახაც. მწყობრ რიგებად დგებით და გაჰყვირით, მზად ვართ, სისხლი დავღვაროთო, გახსოვს?

- ჩვენი გულები სავსეა ამ მზადყოფნით, - განაცხადა გაიმ.

- ამ მზადყოფნას სხვები გიდებენ ჩლუნგ თავებში, - შეესიტყვა მაქსიმი. - არაფერია, ახლავე ვნახავთ რა მზადყოფნა გაქვს გულში. რომელი საათია?

- ათს შვიდი უკლია, - კუშტად თქვა გაიმ.

ერთხანს ორივე დუმდა.

- აბა? - ჰკითხა მაქსიმმა.

გაიმ საათს დახედა და მერყევი ხმით დაიწყო: „წინ, ლეგიონერებო, ლომგულო ვაჟკაცებო...“

მაქსიმი დაცინვით უყურებდა. გაი აირია და სიტყვები დაავიწყდა.

- რას მომჩერებიხარ? - თქვა გულმოსულმა, - ხელს მიშლი. ან საერთოდ როგორ უნდა იმღერო, თუ მწყობრში არ დგახარ?

- კარგი, ერთი, - უმწყობროდაც ისევე ღრიალებდი ხოლმე, როგორც მწყობრში. ვერ შემეხედა შენთვის და ძია კაანისთვის. ერთი „ლომგულ ვაჟკაცებს“ გაჰყვირის, მეორე კი გულს აწვრილებს ღრიალით „დიდება შემოქმედთ“. აქ კიდევ რადა... აბა, სადღაა შენი მზადყოფნა, ყველაფერს წვავდე და კაფავდე შემოქმედთა სადიდებლად?

- არ გაბედო, - თქვა გაიმ, - არ გაბედო და ცუდად არ ახსენო შემოქმედნი. მართალიც რომ იყოს, რასაც მიამბობ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ უბრალოდ მოატყუეს შემოქმედნი.

- ვინ მოატყუა?

- ა აბა... რა ვიცი... განა ცოტაა...

- მაშ, შემოქმედნი ყოვლისშემძლენი არ ყოფილან, არა?

- ამაზე არაფრის გაგონება არ მსურს, - განაცხადა გაიმ.

ის დანაღვლიანდა, მოიკუნტა, სახე კიდევ უფრო ჩამოუგრძელდა, თვალები ჩაუცვივდა, ქვედა ტუჩი ჩამოუვარდა. მაქსიმს უეცრად პატიმართა ვაგონში ნანახი ფიშტა ხახვა და ლამაზი კოტრუ გაახსენდა. ეს ნარკომანები, უბედური ადამიანები განსაკუთრებით ძლიერ ნარკოზულ ნივთიერებებს ხმარობდნენ, უბანგოდ დარჩენილნი საშინლად იტანჯებოდნენ, არც ჭამდნენ,

არც სვამდნენ, მთელი დღეები ისხდნენ ასე თვალებჩამქრალნი და ქვედატუჩ-ჩამოშვებულნი.

- ხომ არაფერი გტკივა? - ჰკითხა გაის.

- არა, - უხალისოდ უპასუხა გაიმ.

- აბა, რას გაფხორილხარ?

- ისე, რაღაც... - გაიმ საყელო გადაიღეღა და დუნედ აამოძრავა კისერი. - კარგად ვერ ვარ რაღაც, დავწვები, ა?

მაქსიმის პასუხისთვის არ დაუცდია, ისე ჩაძვრა ლიუკში და ფეხმორ-თხმული ტოტებზე წამოწვა. „თურმე რა ყოფილა, - გაიფიქრა შეწუხებულმა მაქსიმმა, - ეს არც ისე იოლია, როგორც მეგონა. გაის სხივური დარტყმა არ მი-უღია, ველიდან თითქმის ორი საათის წინ გამოვედით... ის ხომ მთელი სი-ცოცხლე იმ ველზე ცხოვრობს... იქნებ აწყინა ველიდან გასვლამ? ავად არ გახ-დეს. ეს მინდოდა ახლა? რა საძაგლობაა...“ ის უყურებდა ფერმკრთალ სახეს და სულ უფრო ეუფლებოდა შიში. შემდეგ მეტი ვერ აიტანა, ნაკვეთურში ჩახ-ტა, ძრავა გამორთო, გაი გარეთ გამოათრია და ბალახზე დააწვინა გზატკე-ცილთან.

გაის ეძინა რაღაცას ლუღლუღებდა ძილში, დროდადრო მაგრად შეათ-რთოლებდა ხოლმე. შემდეგ შეაცივა, იკუმშებოდა, თითქოს გათბობა უნდაო, ხელებს იღლიებში იყოფდა. მაქსიმმა მუხლებზე დაიდო მისი თავი, საფეთ-ქლებზე თითები მიაჭირა და შეეცადა, აზრები მოეკრიბა. დიდი ხანი იყო, რაც ფსიქომასაჟი არ გაეკეთებინა, მაგრამ იცოდა, რომ მთავარია, თავიდან მოიშო-რო ყველაფერი, აზრები მოიკრიბო და ავადმყოფი შენს ჯანსაღ სისტემაში ჩართო. ასე იჯდა ათი თუ თხუთმეტი წუთი, ხოლო როცა გამოფხიზლდა, გაი უკეთ გრძნობდა თავს, ფერი მოსვლოდა, თანაბრად სუნთქავდა, მეტს აღარ ითოშებოდა. მაქსიმმა ბალახისაგან ბალიში მოუწყო, ერთხანს თავით ეჯდა და კოღოებს უგერიებდა, მერე კი გაახსენდა, რომ წინ კიდევ დიდი გზა უდე-ვთ, რეაქტორი კი ჟონავს - გაისთვის ეს საშიშია, რაღაც უნდა მოიფიქროს. მაქ-სიმი ადგა და ტანკთან დაბრუნდა.

ბევრი იწვალა, სანამ დაჟანგული მოქლონებიდან რამდენიმე ფურცელ ჯავშანს მოხსნიდა. შემდეგ კი ეს ფურცლები მართვის ნაკვეთურისგან რეაქ-ტორისა და ძრავს გამომყოფ კერამიკულ ტიხარს წამოაცვა. უკანასკნელი ფურცელიღა ჰქონდა დასამაგრებელი, როცა იგრძნო, რომ ახლომახლო უც-

ხოები იყვნენ, ფრთხილად გამოყო თავი ლიუკიდან, უცებ თითქოს შესცივდა და გულმუცელი შეეკუმშა.

გზატკეცილზე, მანქანის წინ, მისგან ათ ნაბიჯზე სამი კაცი იდგა, მაგრამ მაქსიმი მაშინვე ვერც კი მიხვდა, თუ ისინი ადამიანები იყვნენ. მართალია, ტანთ ეცვათ და ორს მხრებზე ლატანი გაედო, რომელზეც თავდაყირა ეკიდა ირმის მაგვარი მომცრო ჩლიქოსანი ცხოველი, ხოლო მესამეს წიწილისებური მკერდის გარდიგარდმო კისერზე უცნაური შესახედაობის ვეებერთელა შაშხანა ეკიდა. „მუტანტები, - გაიფიქრა მაქსიმმა, - აი, ისინიც, მუტანტები...“ ყველა გაგონილი ნაამბობი და ლეგენდა უეცრად წამოუტივტივდა მეხსიერებაში და ძალიან დაემსგავსა სიმართლეს. ცოცხალს აძრობენ ტყავს... კაციჭამიები... ველურები... მხეცები. კბილი კბილს დააჭირა, ჯავშანს შეახტა და მთელი ტანით აღიმართა. მაშინ შაშხანიანმა ადგილზე სასაცილოდ მოიცვალა მოღუნული მოკლე ფეხები, მაგრამ არ დაძრულა, მხოლოდ ხელი ასწია, რომელზეც ორი გრძელი მრავალსახსრიანი თითი ჰქონდა, შემდეგ ხმამაღლა დაისისინა და ხრინწიანი ხმით წარმოთქვა:

- გშია?

- კი. - წაილუღლუღა მაქსიმმა.

- არ გვესვრი? - იკითხა შაშხანის მფლობელმა.

- არა, - გაიღიმა მაქსიმმა. - არაფრის გულისთვის.

მეთხუთმეტე თავი

გაი გაურანდავ თვითნაკეთ მაგიდასთან იჯდა და ავტომატს წმენდდა. დილის თერთმეტის თხუთმეტი წუთი იქნებოდა. ნაცრისფერ, უფერულ, მშრალ სამყაროში ადგილი არ დარჩენილიყო სიხარულისათვის. ყველაფერი მქრქალი და ავადმყოფი იყო. ძილიც არ ეკარებოდა - უნდოდა უბრალოდ თავი დაედო მაგიდაზე, ხელები ჩამოეშვა და მომკვდარიყო. სიკვდილი უნდოდა, მორჩა და გათავდა.

პატარა ოთახის ერთადერთი უმინო ფანჯარა უზარმაზარ, ნანგრევებით სავსე, ველური ბუჩქნარით დაბარდნილ მონაცრისფრო-მოჟღალო უშენ ადგილს გადასცქეროდა. ოთახს, კაცმა არ იცის, სიძველისა თუ სიცხისაგან გახუნებული და მობრეცილი შპალერი ჰქონდა, პარკეტი დამსკდარიყო, ერთ კუთხეში კი სულ დანახშირებულიყო. მხოლოდ დიდი ფოტოსურათი იყო ამოდებული გატეხილი მინის ქვეშ, რომელზეც, თუ კარგად დააკვირდებოდი, გაარჩევდი ვიღაც ხანშესულ, სულელურ ბაკენბარდებიან და თუნუქის ლამბაქისმაგვარ სასაცილო შლაპიან კაცს.

ნეტამც თვალები დაევსებოდეს და ამას არ ხედავდეს, სული ამოძვრებოდა ან აყმუვლდებოდა უკანასკნელი უსახლკარო ძაღლივით, მაგრამ მაქსიმმა უბრძანა: „წმინდე!“

„ყოველთვის, - ბრძანა მაქსიმმა, რომელიც მაგიდას თითს ქვასავით უკაკუნებდა, - ყოველთვის, როცა ძალიან გაგიჭირდება, დაჯექი და ავტომატი წმინდე...“ მაშასადამე, უნდა წმინდოს. ისევ და ისევ მაქსიმი, მაქსიმი რომ არა, დიდი ხნის წინათ დაწვებოდა და მინებდებოდა სიკვდილს. აკი სთხოვდა: „ნუ დამტოვებ ასეთ დროს, დაჯექი, მიმკურნალე“. არაო, ახლა თვითონ უნდა ვიმოქმედოო. სასიკვდილო არაფერი გჭირს, უნდა გაგიაროს და აუცილებლად გაგივლის, ოღონდ უნდა მოითმინო, მოერიოო...

„კეთილი, - უხალისოდ გაიფიქრა გაიმ, - მოვერევი. მაქსიმმა თქვა, რაც უნდა იყოს. ადამიანმა კი არა, შემოქმედმა კი არა, ღმერთმა კი არა, მაქსიმმა. და აი, რა თქვა კიდევ: „გაბოროტდი! როგორც კი თავს ცუდად იგრძნობ, გაიხსენე, საიდან გაქვს ეს, ვინ გასწავლა, რატომ გასწავლა და გაბრაზდი, აგროვე სიძულვილი. მალე დაგჭირდება. მარტო შენ როდი ხარ ასეთი, ორმოცი მილიონი ხართ, გამოყეყეჩებულები, მოწამლულები...“ ძნელი დასაჯერებელია, მასა-

რაკშ, აკი მთელი სიცოცხლე მწყობრში გავატარეთ, მუდამ ვიცოდით, რა რისთვის ხდებოდა, ყველაფერი უბრალოდ იყო, ყველანი ერთად ვიყავით, ან რა კარგია ისეთი იყო, როგორიც ყველაა. ვინ დაგაცალა, მოვიდა, თავი შემაყვარა, კარიერა გამიფუჭა, შემდეგ კი სწორედ ქეჩოში წამავლო ხელი, მწყობრიდან გამომათრია და თავი მიკრა სხვა ცხოვრებაში სადაც მიზანიც გაუგებარია და საშუალებებიც, სადაც მასარაკშ და მასარაკშ! - ყველაფერზე თვითონ უნდა იფიქრო, თვითონ უნდა გადაწყვიტო, ყველაფერი თვითონ... დიახ... ქეჩოში ჩამავლო ხელი და გამომათრია, თავი უკან მომაბრუნებინა, მშობლიურისაკენ, ბუდისაკენ, ყველაზე ძვირფასისაკენ და მაჩვენა, რაც არის: სიმყრალის ორმო, სისაძაგლე, სიცრუე, სისაზიზღრე... და აი, უყურებ - მართლაც დიდი ვერაფერი შვილია, გეზიზღება გაიხსენო შენი თავი, ბიჭების გახსენებაზეც გული გერევა, ბატონ როტმისტრ ჩაჩუზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს!..“ გაიმ ბრაზით ჩასვა ადგილზე საკეტი და სასხლეტი გააჭახუნა. და კვლავ მოეშვა, აპათია დაეუფლა, უკვე იმის ილაჯიც აღარ ჰქონდა, რომ სავაზნე კოლოფი ჩაესვა. ცუდადაა, ვაი, რა ცუდადაა.

გადაფერდილი ჭრიალა კარი გაიღო და გამოჩნდა პატარა დინგი, რომელზეც საქმიანი გამომეტყველება აღბეჭდილიყო. იგი საერთოდ სიმპათიურიც კი იყო, მელოტი თავის ქალა და უწამწამებო წამოწითლებული ქუთუთოები რომ არა. - ტანგა იყო, მეზობლის გოგონა.

- გაი, მაკმა გიბრძანათ, მოედანზე მოდითო! იქ უკვე ყველა შეიკრიბა, თქვენღა გელოდებიან!

გაიმ კუშტად შეხედა გოგონას, მის გალეულ სხეულს, რომელზეც უხეში ჯვალოს ქსოვილისაგან შეკერილი კაბა ეცვა, ყავისფერი ლაქებით დაფარულ არანორმალურად წვრილ ხელებს - ჩალის ღეროებს, მუხლებში შეშუპებულ მოღუნულ ფეხებს და კინაღამ გული აერია, მერე კი თვითონვე შერცხვა თავისი ზიზღისა, - ბავშვია, მერე ვინ არის დამნაშავე? განზე გაიხედა და თქვა:

- არ წამოვალ. გადაეცი, ცუდად არის-თქო, ავად გამხდარა-თქო.

კარმა გაიჭრიალა და როცა კვლავ ასწია თავი, გოგონა იქ აღარ იყო. შეწუხებულმა შაშხანა საწოლზე დააგდო, ფანჯარასთან მივიდა, თავი გაყო. გოგონა კისრისტეხით მირბოდა და მტვერს აყენებდა. ყოფილ ქუჩაზე, ველიანში, კედლების ნანგრევებს შორის რომ მოჩანდა, მას ვიღაც ბუთხუზა გამოედევნა, რამდენიმე ნაბიჯი კოჭლობით გაიარა, მერე რაღაცას წამოედო, დაეცა, თავი

ასწია, ერთხანს იწვა და უცებ საშინელი ღრიალი მორთო. ნანგრევებიდან დედამისი გამოვიდა. გაიმ საჩქაროდ დაიხია უკან, თავი გაიქნია და მაგიდასთან დაბრუნდა. „არა, ვერ ვეჩვევი. ეტყობა, საზიზღარი ადამიანი ვარ... ნეტა ჩამივარდებოდეს ის, ვისაც ყოველივე ამაში მიუძღვის ბრალი და მერე მე ვიცი, ნახავდა, თუ ავაცდენდი. მაგრამ მაინც რად ვერ ვეჩვევი? ღმერთო ჩემო, ამ თვის მანძილზე ისეთი რამეები ვნახე - ას კოშმარულ სიზმარს ეყოფოდა...“

მუტანტები პატარ-პატარა თემებად ცხოვრობდნენ. ზოგი მომთაბარეობდა, ნადირობდა, ეძებდა უკეთეს ადგილს, ეძებდა ჩრდილოეთის გზას ლეგიონერების ტყვიამფრქვევების შემოვლით, იმ საშინელი ოლქების შემოვლით, სადაც გიჟდებოდნენ და ადგილზე კვდებოდნენ აუტანელი თავის ტკივილის შემოტევებისაგან; ზოგიერთებს ბრძოლებსა და ატომურ აფეთქებებს გადარჩენილ ფერმებსა და პატარა სოფლებში დაედოთ ბინა. ატომური ბომბებიდან ერთ-ერთი ამ ქალაქის თავზე გასკდა, ორი კი -გარეუბანში - იქ ახლა სარკესავით მბზინავი წიდის კილომეტრიანი მოტვლეპილი ადგილებია გადაჭიმული. მკვიდრი მოსახლეობა წვრილ, გადაჯიშებულ ხორბალს თესავდა, უცნაურ ბოსტნებს ამუშავებდა, სადაც პამიდორი კენკრას ჰგავდა, კენკრა კი - პამიდორს, აშენებდა საზარელ პირუტყვს, რომლის შეხედვაც შეგაშინებდა, საკვებად გამოყენებაზე რომ არაფერი ვთქვათ. ესენი იყვნენ. საცოდავი ხალხი - მუტანტები, ველური სამხრეთელი გადაგვარებულები, რომლებზეც სხვადასხვა უაზრობას თხზავდნენ და რომლებიც თვითონაც ათასგვარ სისულელეს თხზავდნენ - წყნარი, ავადმყოფი, დამახინჯებული ადამიანები, ადამიანთა კარიკატურები. ნორმალურები აქ მხოლოდ მოხუცებს თუ ეთქმოდა, მაგრამ ისინი ცოტანიღა დარჩენილიყვნენ, თანაც ყველანი ავად იყვნენ და ალბათ მალე აღსასრულიც დაუდგებოდათ. მათ შვილებსა და შვილიშვილებსაც არ უჩანდათ საქაო პირი. შვილები ბევრი უჩნდებოდათ, მაგრამ თითქმის ყველანი ან გაჩენისთანავე იხოცებოდნენ, ან პატარაობისას. გადარჩენილნი კი სუსტები იყვნენ, საშინლად მახინჯებს გამუდმებით რაღაც სნეულებები სტანჯავდათ, მაგრამ ყველა დამჯერ, წყნარ, ჭკვიან ბავშვად გამოიყურებოდა. ერთი სიტყვით, მუტანტები კარგი ხალხი აღმოჩნდნენ, კეთილები, სტუმართმოყვარენი, მშვიდობიანნი... ოღონდ ესაა, რომ მათი ყურება შეუძლებელი იყო. თავდაპირველად, სანამ თვალს შეაჩვევდა, მაქსიმსაც კი ზარავდა მათი დანახვა, მაგრამ მალე შეეჩვია, ის ხომ თავისი ბუნების ბატონ-პატრონია...

გაიმ სავაზნე კოლოფი ავტომატში ჩასვა, თავი ხელზე ჩამოაყრდნო, ჩაფიქრდა. ჰო, მაქსიმი...

რაც მართალია, მართალია, ამჯერად მაქსიმმა აშკარად უაზრო საქმე წამოიწყო. უნდა, თავი მოუყაროს მუტანტებს, 'შეაიარაღოს და დასაწყისისათვის თუნდაც ცისფერი გველიდან გამოდევნოს ლეგიონი. სასაცილოა, ღმერთმანი! ისინი ხომ ძლივს დადიან, ბევრი ზეზეურად კვდება - ერთ ტომარა მარცვალს ასწევს და იქვე ძვრება სული, მაქსიმი კი ლეგიონის წინააღმდეგ უპირებს წაყვანას. გაუწვრთნელები არიან, სუსტები, რა შეუძლიათ... თუნდაც თავი მოუყაროს იმათ... მათ მზვერავებს. მთელ ამ არმიას, თუ უმაქსიმოდ იქნებიან, მარტო როტმისტრი ეყოფა, ხოლო მაქსიმიანად - როტმისტრი და მისი ასეული. ეტყობა, მაქსიმს თვითონაც ესმის ეს. მაგრამ აი მთელი თვე დარბოდა ტყეში დაბიდან დაბაში, თემიდან თემში, ცდილობდა მოხუცები და პატივცემული ადამიანები დაეყოლიებინა, ისინი, ვისაც თემები უჯერებენ. თვითონ ხომ დარბოდა და მეც დამათრევდა ყველგან, მაგის მოსვენება ხომ არ იქნება. არ უნდათ მოხუცებს წასვლა და მზვერავებსაც არ უშვებენ... აი, ახლა კი ამ თათბირზე უნდა წავიდე. არ წავალ.

სამყარო უფრო ნათელი გახდა. გარემო ისეთნაირად აღარ ურევდა გულს. სისხლი ძარღვებში უფრო სწრაფად ამოძრავდა, ბუნდოვნად ამოტივტივდა რაღაც იმედები, რომ დღევანდელი თათბირი ჩავარდება, რომ მაქსიმი მოვა და იტყვის: კმარა, აქ მეტი არაფერი გვესაქმება და კვლავ წავლენ სამხრეთისაკენ, უდაბნოში, სადაც, თურმე, ასევე გადაგვარებული მუტანტები ცხოვრობენ, მაგრამ ისინი ამათსავით საშინელები არ არიან, უფრო ჰგვანან ადმიანებს და არც ასე ავადმყოფურად გამოიყურებიან. ამბობენ, იქ მათ რაღაც სახელმწიფოსმაგვარი ჰქონიათ და არმიაც კი ჰყავთო. იქნებ მოხერხდეს მათთან საერთო ენის გამონახვა... თუმცა იქ ყველაფერი რადიოაქტიურია, იქო, ამბობენ, ბომბს ბომბზე ყრიდნენო, მომწამვლელ ბომბებს... იყოო, ამბობენ, ასეთი საგანგებო ბომბები.

რადიოაქტიურობის გახსენებაზე გაიმ თავის სანივთე ტომარაში ჩაყო ხელი და ყვითელი აბების კოლოფი ამოიღო, ორი ცალი პირში ჩაიდო, აბები ისე მწარე იყო, რომ დაიჭყანა. ღმერთო, რა საძაგლობაა, მაგრამ აქ უამისოდ არ შეიძლება, ყველაფერი მოწამლულია. უდაბნოში კი, ალბათ, მუჭა-მუჭა უნდა ამოვიღოთ და ვწუწნოთ... პრინც-ჰერცოგს უნდა ვუმადლოდე, მას რომ

ეს აბები არ მოეცა, აღსასრული დამიდგებოდა აქ... ან რა ყოჩაღი ვინმეა ეს პრინც-ჰერცოგი, თავგზას არ კარგავს, სასოწარკვეთას არ ეძლევა ამ ჯოჯოხეთში, მკურნალობს, ეხმარება შემოვლაზე დადის, მედიკამენტების მთელი ფაბრიკა აქვს.

კარი გაიღო, ოთახში გულმოსული მაქსიმი შემოვიდა, შიშველი, შორტებისამარა, კაფანდარა, აჩქარებული, და ეტყობა, გაბრაზებული. მის დანახვაზე გაი გაიბუტა და ფანჯარაში დაიწყო ცქერა.

- გეყოფა, მოეშვი სისულელეს, - თქვა მაქსიმმა. - წავიდეთ.

- არ მინდა, - უპასუხა გაიმ, - ეშმაკს წაუღია ყველანი! ცუდად ვხდები, არ შემიძლია.

- სისულელეა, - შეესიტყვა მაქსიმი, - შესანიშნავი ადამიანები არიან, შენ ძალიან პატივს გცემენ. ნუ ბავშვობ.

- პატივს მცემენ არა ერთი, - თქვა გაიმ.

- პატივს გცემენ და მერე როგორ! ამას წინათ პრინც-ჰერცოგმა მთხოვა, „აქ დარჩესო, მე მალე მოვკვდები და მინდა ნამდვილმა ადამიანმა შემცვალოსო“.

- შევცვალო არა, - წაიბუზღუნა გაიმ, მაგრამ იგრძნო, რომ მისდაუნებურად, სადაცაა გული მოულბებოდა.

- ბოშკუც გადამკიდებია, თვითონ გეტყოდა, მაგრამ ერიდება. „რა იქნება, გაი ჩვენთან დარჩესო, გვასწავლის, დაგვიცავს, ბავშვების აღზრდაში დაგვეხმარებაო...“ ხომ იცი, როგორი ლაპარაკი იცის ბოშკუმ?

გაი სიამოვნებისაგან წამოწითლდა, ჩაახველა და მოღუშულმა, ჯერ კიდევ ფანჯარაში იყურებოდა ისე, თქვა:

- კარგი, წამოვალ... ავტომატი წამოვიღო?

- წამოიღე, - უთხრა მაქსიმმა, - რა იცი...

გაიმ ავტომატი იღლიაში ამოიჩარა. ოთახიდან გავიდნენ - გაი წინ მიდიოდა, მაქსიმი ფეხდაფეხ მისდევდა - დამპალი ხის კიბეზე დაეშვნენ, ზღურბლთან მტვერში მოთამაშე ბავშვების გროვას გადააბიჯეს და ქუჩით მოედნისაკენ გასწიეს. ეჰ! სადღა იყო ქუჩა, მოედანი... მარტო სახელწოდებებიღა დარჩენილიყო. ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანი დაიღუპა აქ ერთბაშად! ამბობენ, წინათ აქ დიდი ლამაზი ქალაქი ყოფილა. დაღუპეს ქვეყანა საზიზღრებმა. არ იკმარეს, რომ ადამიანები დახოცეს, დაასახიჩრეს - უწმინდურებაც გაავრცელეს, როგორიც აქ არასოდეს ყოფილა და არა მარტო აქ...

პრინც-ჰერცოგი ჰყვებოდა, თურმე ომამდე ტყეში რაღაც ძაღლებისმაგვარი მხეცები ცხოვრობდნენ - დაავიწყდა, რა ერქვათ, ჭკვიანი და ძალიან კეთილი მხეცები ყოფილან, ყველაფერი ესმოდათ თურმე, დიდი სიამოვნება იყოო მათი მოთვინიერება. ჰოდა, დაუწყეს მოთვინიერება სამხედრო მიზნებისათვის. შემდეგ კი გამოტყვრა ვიღაც ჭკუისკოლოფი, გაშიფრა მათი ენა, თურმე ენაც ჰქონიათ, თანაც საკმაოდ რთული, და საერთოდ მიბაძვა ჰყვარებიათ, ხახაც ისე აქვთ თურმე მოწყობილი, რომ ზოგიერთისათვის შეიძლებოდა, ადამიანური ენაც გესწავლებინა, - რა თქმა უნდა, მთელ ენას ვერ შეასწავლიდნენ, მაგრამ ორმოცდაათ-სამოცდაათამდე სიტყვას იმახსოვრებდნენ. ერთი სიტყვით, უცნაური ცხოველები იყვნენ. აჯობებდა გვემეგობრა მათთან, გვესწავლა ერთმანეთისაგან, დავხმარებოდით ერთმანეთს, - ამბობენ, გადაშენების გზაზე იდგნენო. რა საჭირო იყო, ბრძოლა რომ ასწავლეს, მოწინააღმდეგისაგან სამხედრო ცნობების გაგება. შემდეგ კი ომი დაიწყო და მათთვის ვიღას ეცალა, საერთოდ, არაფრისთვის არ გვეცალა. და აი, ინებეთ - გაჩნდნენ ვამპირები. ესენიც მუტანტები არიან, ოღონდ ადამიანების კი არა, მხეცებისა - ძალზე საშიში არსებები. განსაკუთრებულ სამხრეთ ოკრუგში ბრძანებაც კი გასცეს მათ წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, პრინც-ჰერცოგი კი დაუფარავად ამბობს: ჩვენ აქ ყველას აღსასრული დაგვიდგა, აქ მარტო ვამპირები დარჩებიანო...

გაის გაახსენდა, რომ ერთხელ ტყეში ბოშკუმ და მისმა მონადირეებმა მოკლეს ირემი, რომელზეც თურმე ვამპირები ნადირობდნენ და დიდი ჩხუბი ატყდა. მუტანტები კი აბა, რა მოჩხუბრები არიან? თითოჯერ გაისროლეს მამაპაპისეულები, შემდეგ კი იარაღი დაყარეს, დასხდნენ და თვალებზე ხელები აიფარეს, რათა ის მაინც არ დაენახათ, როგორ დაგლეჯენ. უნდა ითქვას, მაქსიმიც დაიბნა... კი არ დაიბნა, მაგრამ როგორღაც... არ უნდოდა, ებრძოლა. ჰოდა, იძულებული გავხდი, ყველას მაგივრად მე გამეცა პასუხი. ვაზნები რომ გამითავდა, კონდახით დავერიე. კიდევ კარგი, ცოტანი იყვნენ, სულ ექვსი სული. ორი დავხოცეთ, ერთი გაიქცა, სამი კი, დაჭრილები და გაბრუებულები, შევკარით და დილით სოფელში სიკვდილით დასჯას ვუპირებდით. ღამით კი რას ვხედავ: მაქსიმი ჩუმად დგება და მიდის მათთან. დაუჯდა, უმკურნალა, როგორც სჩვევია, ხელების დადებით, შემდეგ აუშვა და ისინიც, რა თქმა უნდა, სულელები ხომ არ იყვნენ, უკანმოუხედავად მოკურცხლეს. ვეუბნები: „მაკ, ეს რატომ ჰქენი-მეთქი?“ - „თვითონაც არ ვიციო, - ამბობს, - მაგრამ,

ვგრძნობ, არ შეიძლება მათი დასჯაო. არც ადამიანების დასჯა შეიძლება, არც ამათიო... ესენიო, - ამბობს, - სულაც არ არიან ძაღლები, არც ვამპირები არიანო...“

და განა მარტო ვამპირები? ან რა ღამურებია! აი, თუნდაც გრძნეულს რომ ემსახურებიან... ესენი ხომ ღამურები კი არა, ნამდვილი მფრინავი საშინელებებია! ან ის ვინ არის, ღამღამობით სოფლებში რომ დააბოტებს და ბავშვებს იპარავს? თანაც არც კი შედის სახლში. მძინარე ბავშვები თვითონ გამოდიან... დავუშვათ, ეს სიცრუეც იყოს, მაგრამ ზოგი რამის მოწმე თვითონა ვარ. დღევანდელ დღესავით მახსოვს, ერთხელ პრინც-ჰერცოგმა წაგვიყვანა, სიმაგრის უახლოეს შესასვლელს გაჩვენებთო, მივდივართ, მდელობია ისეთი მშვიდობიანი, მწვანედ მოხასხასე, იქვე ბორცვია, ბორცვქვეშ გამოქვაბული. რას ვხედავთ - ღმერთო ჩემო! - შესასვლელთან მთელი მდელობი მკვდარი ვამპირებითაა სავსე, სულ ცოტა, ოცამდე იქნება, თანაც სულაც არ არიან დასახიჩრებულები ან დაჭრილები - წვეთი სისხლი არ სჩანს ბალახზე.

და რაც ყველაზე გასაოცარია, - მაქსიმმა გასინჯა და თქვა: მკვდრები კი არ არიან, რაღაც კრუნჩხვა მოსვლიათ, თითქოს ვინმემ მონუსხაო... საინტერესოა, ვინ? არა, საშინელი ადგილებია. აქ ყოფნა ადამიანისთვის მარტო დღისით შეიძლება და მაშინაც ფრთხილად უნდა იყოს. მაქსიმი რომ არა, ისე მოვკურცხლავდი აქედან, უკანაც არ მოვიხედავდი. მაგრამ რომ გავიქცე, სადღა გავიქცე? ირგვლივ ტყეებია, ტყეებში - ავი სულები, ტანკი ტლაპოში ჩაეფლო... ჩემიანებთან გავიქცეოდი. თითქოსდა ძალიან ბუნებრივია - შენიანებთან გაიქცე. მაგრამ ვინ შეიძლება ახლა შენიანად ჩათვალო? კარგად რომ დაფიქრდე, ისინიც მახინჯები, თოჯინები არიან, მაქსიმი მართალია. განა ადამიანები ეთქმით იმათ, ვინც შეიძლება მანქანებივით მართო? ეს საჩემო საქმე არ არის... მეზიზღება...“

მოედანზე გავიდნენ, დიდ ტრიალ მინდორზე, რომლის შუაგულში უცნაურად აჩრილიყო რაღაც შავი შემომდნარი ძეგლი და გადარჩენილი პატარა სახლისკენ შეუხვიეს, სადაც, ჩვეულებრივ, წარმომადგენლები იკრიბებოდნენ, რათა ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ, რაც გაიგეს, თესვის ან ნადირობის შესახებ. მოეთათბირებინათ, ანდა უბრალოდ, ერთხანს მჯდარიყვნენ, ეთვლიმათ, ძველი ამბები მოესმინათ პრინც-ჰერცოგისგან.

პატარა სახლში, დიდ სუფთა ოთახში უკვე შეკრებილიყვნენ. აქ არავის-

თვის არ მოგინდებოდა შეხედვა. პრინც-ჰერცოგიც კი რომელიც თითქოსდა მუტანტი კი არა, ადამიანია, - ისიც დასახიჩრებულია: მთელი სახე დამწვარი და დაჩეხილი აქვს. შევიდნენ, მიესალმნენ, წრედ დასხდნენ პირდაპირ იატაკ-ზე. ქურასთან მჯდომმა ბოშკუმ ნაკვერჩხლებიდან ჩაიდანი აიღო, ყველას ჩა-მოუსხა ფინჯნებში მაგარი, მაგრამ უშაქრო ჩაი. გაიმ თავისი ფინჯანი მიიღო - რა უჩვეულოდ ლამაზი ფინჯანია, ფასდაუდებელი, ხელმწიფის ფაიფური-საგან დამზადებული, - წინ დაიდგა, შემდეგ კი მუხლებში ჩაიდო ავტომატი, რომლის კონდახი იატაკს ეყრდნობოდა. შუბლით დაკბილულ ტანს მიეყ-რდნო და რომ არავინ დაენახა თვალები დახუჭა.

თათბირი პრინც-ჰერცოგმა დაიწყო. კაცმა რომ თქვას, ის არც პრინცი იყო, არც ჰერცოგი. სიმაგრის მთავარი ქირურგი იყო უბრალოდ. სიმაგრეს ატომუ-რი ბომბები რომ დაუშინეს, გარნიზონი აღდგა, თეთრი დროშა გამოფინა (ამ დროშას თვითონვე დაუშინეს თერმობირთვული); ნამდვილი პრინცი, მთა-ვარსარდალი, აზარტში შესულმა ჯარისკაცებმა აკუწეს, ყველა ოფიცერიც ზედ მიაყოლეს, შემდეგ კი, გონს რომ მოვიდნენ, ნახეს, აღარავინ ჰყავდათ, რომ ესარდლა. უსარდლოდ კი აბა, რას გახდები. ომი ხომ გრძელდება, მოწი-ნააღმდეგე იერიშზე გადმოდის, შინაურებიც იერიშზე გადმოდიან, ჯარისკა-ცებიდან კი სიმაგრის გეგმა არავინ იცის. შეიქმნა , ჯარისკაცებიდან კი სიმაგ-რის გეგმა არავი იცის. შეიქმნა გიგანტური ხაფანგი, ამ დროს ბაქტერიოლო-გიური ბომბებიც აფეთქდა, მთელი არსენალი და დაიწყო ჭირიანობა. მოკ-ლედ რომ ვთქვათ, როგორღაც თავისთავად მოხდა, რომ ნახევარი გარნიზონი გაიფანტა, დარჩენილი ნახევრის სამი მეოთხედი გაწყდა, დანარჩენებს კი მთავარმა ქირურგმა მიხედა - ამბოხების დროს ჯარისკაცებს მისთვის ხელი არ უხლიათ: რაც უნდა იყოს, ექიმია. როგორღაც ისე მოხდა, რომ ხან პრინცს ეძახდნენ, ხან ჰერცოგს, ჯერ ხუმრობით, შემდეგ შეეჩვივნენ, მაქსიმი კი მეტი გარკვეულობისათვის პრინც-ჰერცოგს ეძახდა.

- მეგობრებო!- თქვა პრინც-ჰერცოგმა, - ჩვენი მეგობრის მაკის, წინადადე-ბები გვაქვს განსახილველი. ძალზე მნიშვნელოვანი წინადადებებია მათი მნიშვნელობის შესახებ თუნდაც იმით შეგიძლიათ იმსჯელოთ, რომ ჩვენთან გრძნეული მობრძანდა და, შესაძლოა, გველაპარაკოს კიდეც.

გაიმ თავი ასწია. მართლაც, კუთხეში ზურგით კედელს მიყრდნობილი იჯდა თვით გრძნეული. მისი შეხედვა შეგზარავდა, მაგრამ არც ის შეიძლებო-

და, რომ არ გეყურებინა. შესანიშნავი პიროვნება იყო. მაქსიმიც კი როგორღაც კრძალვით უყურებდა და გაის ეუბნებოდა: „გრძნეული“ ის, ძმაო, ნამდვილი პიროვნებაა“. გრძნეული ტანმორჩილი, ჩაფსკვნილი კაცი იყო. სუფთა, მოკლე, მაგრამ ძლიერი ხელ-ფეხი ჰქონდა, საერთოდ კი არც ისე მახინჯი ჩანდა, ყოველ შემთხვევაში, სიტყვა „მახინჯი“ არ უდგებოდა. ვერცხლისფერი, ხავსისმაგვარი უხეში თმით დაფარული ვეებერთელა თავი ედგა მხრებზე. ისეთი უცნაური მოხაზულობის პატარა ტუჩ-პირი ჰქონდა, თითქოს სულ სტვენას აპირებსო, საერთოდ, მის სახეს გამხდარიც კი ეთქმოდა, მოგრძო და ვიწრო თვალები შეშუპებოდა, ვერტიკალური გუგები გველისას მიუგავდა. სიტყვაძუნწი იყო, ხალხში იშვიათად გამოდიოდა, განმარტოებით ცხოვრობდა ქალაქის განაპირა სარდაფში, მაგრამ უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა თავისი გასაოცარი ნიჭის გამო. ჯერ ერთი, ძალიან ჭკვიანი იყო და ყველაფერი იცოდა, თუმცა სულ რაღაც ოციოდე წელი შეუსრულდა და ამ ქალაქის გარდა არსად ყოფილა. როცა რაიმე საკითხი ექნებოდათ გადასაწყვეტი, მასთან მიდიოდნენ რჩევა-დარიგებისთვის. თუ პასუხს არ იძლეოდა, ეს ნიშნავდა, რომ საკითხი ძალიან მარტივი იყო, სულ ერთია, როგორ გადაწყვეტდი. მაგრამ თუ საქმე საარსებოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდებოდა - ამინდს შეეხებოდა თუ იმას, როდის რა დაეთესათ - მუდამ იძლეოდა რჩევას და ერთხელაც არ შემცდარა. მასთან მხოლოდ უფროსები დადიოდნენ და იმაზე, რაც იქ ხდებოდა, არაფერს ამბობდნენ, მაგრამ გავრცელებული იყო რწმენა, რომ რჩევის მიცემისასაც გრძნეული პირსაც არ აღებდა. უბრალოდ, ერთს შეგხედავს და იცი, რა უნდა გააკეთო. მეორეც, დიდი გავლენა ჰქონდა პირუტყვზე, საზოგადოებისაგან არასდროს არ მოითხოვდა არც საჭმელს, არც ტანსაცმელს: მისთვის ყველაფერი პირუტყვებს მოჰქონდათ, სხვადასხვა პირუტყვს - მხეცებსაც, მწერებსაც, ბაყაყებსაც. მთავარ მსახურებად ღამურები ჰყავდა, რომლებთანაც, როგორც ამბობდნენ, საერთო ენას პოულობდა, მათაც ესმოდათ მისი და უჯერებდნენ. გარდა ამისა, ამბობდნენ, მან იცისო, რაც სხვებისთვის მიუწვდომელია. გაის აზრით, ეს უბრალოდ სიტყვების რახარუხი იყო: ბნელი, ცარიელი სამყარო სინათლის დამყარებამდე; მკვდარი ყინულოვანი სამყარო მსოფლიო სინათლის ჩაქრობის შემდეგ, უსასრულო უდაბნო მრავალ სამყაროსთან ერთად... არავის შეძლო განემარტა, რას ნიშნავდა ეს, მაკი კი მხოლოდ თავს იქნევდა და აღტაცებული ბუტბუტებდა: „აი, მესმის ინტელექ-

ტი“.

გრძნეული იჯდა და არავის არ უყურებდა. მხარზე უხერხულად შემოსჯდომოდა ბრმა ღამის ფრინველი. გრძნეული დროდადრო ჯიბიდან რაღაც ნატეხებს იღებდა და ნისკარტში ატენიდა, მაშინ ის წამით გაირინდებოდა, მერე თავს მაღლა ასწევდა და თითქოს გაჭირვებით ყლაპავდა კისერგაჭიმული.

- ერთი სიტყვით, ძალზე მნიშვნელოვანი წინადადებებია, განაგრძობდა პრინც-ჰერცოგი, - ამიტომაც გთხოვთ, ყურადღებით მისმინოთ, შენ კი, ბოშკუ, ძვირფასო, მაგარი ჩაი დააყენე, თორემ ზოგიერთებს ლამის ჩასთვლიმოთ, არ უნდა ჩავთვლიმოთ, არა. ძალ-ღონე მოიკრიბეთ, ვინ იცის, იქნებ ახლა წყდებოდეს თქვენი ბედ-იღბალი...

მოწონების ნიშნად კრება აზუზუნდა. ვიღაც ლიბრიანი ყურებით გამოათრიეს. ის, კედელთან მოკალათებული, ჩასათვლემად გამზადებულიყო, და პირველ რიგში დასვეს.

- მე ხომ ისე... - ბურტყუნებდა ლიბრიანი, - მხოლოდ ისე, ცოტათი... იმას ვამბობ, რომ უფრო მოკლედ უნდა ვილაპარაკოთ, თორემ სანამ ბოლომდე ჩავლენ, დასაწყისი აღარ მახსოვს...

- კარგი, - დაეთანხმა პრინც-ჰერცოგი. - თუ მოკლედ გინდა, მოკლედ იყოს. ჯარისკაცები სამხრეთისაკენ, უდაბნოში გვერეკებიან. ისინი ულმობელნი არიან, მოლაპარაკებაზეც უარს ამბობენ. იმ ოჯახებიდან, რომლებიც ცდილობდნენ ჩრდილოეთისაკენ წასულიყვნენ, არავინ დაბრუნებულა. ალბათ დაიღუპნენ. ეს ნიშნავს, რომ ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ საბოლოოდ მოგვამწყვდევენ უდაბნოში და იქ ყველანი ულუკმაპუროდ და უწყლოდ ამოვწყდებით. ამბობენ, ადამიანები უდაბნოშიც ცხოვრობენო. მე ეს არ მჯერა მაგრამ ბევრ პატივცემულ მამასახლისს სჯერა და ამტკიცებს, უდაბნოს მკვიდრნი ჯარისკაცებივით სასტიკნი და სისხლისმსმელნი არიანო. ჩვენ კი მშვიდობისმოყვარე ხალხი ვართ, ბრძოლა არ გვეხერხება. ბევრი ჩვენგანი კვდება და ალბათ ყველაფრის აღსასრულამდე ვერ მივაღწევთ, მაგრამ ახლა ხალხის მმართველები ვართ და მარტო საკუთარ თავზე კი არა, შვილებზეც უნდა ვიფიქროთ. ბოშკუ, - თქვა მან, - გეთაყვა, პატივცემულ ხაბაზს ჩაი მოართვი, მგონი ჩაეძინა.

ხაბაზი გააღვიძეს, დაწინწკლულ ხელში ცხელი ფინჯანი ჩასჩარეს, პირი

დაეწვა და აქშინდა, პრინც-ჰერცოგმა კი განაგრძო:

- ჩვენი მეგობარი მაკი გამოსავალს გვთავაზობს. ის ჯარისკაცების მხრიდან მოვიდა. ჯარისკაცები ჭირივით ეჯავრება და ამბობს, მათგან შებრალებას არ უნდა ელოდეთ, იქ ყველანი ტირანებს გაუსულელებიათ და ერთი სული აქვთ, გაგანადგურონო. თავდაპირველად უნდოდა, შევეიარაღებინეთ და ომში წავეყვანეთ, მაგრამ დარწმუნდა, რომ საომრად ძალ-ღონე არ გვერჩის. და მაშინ გადაწყვიტა, უდაბნოს მკვიდრებთან მიაღწიოს, ის მათაც ენდობა - მოელაპარაკოს და ჯარისკაცების წინააღმდეგ საბრძოლველად წაიყვანოს. ჩვენ რა მოგვეთხოვება? დავლოცოთ ეს წამოწყება, გამოვატაროთ ჩვენს მიწა-წყალზე უდაბნოს მკვიდრნი და ომის დამთავრებამდე სურსათ-სანოვაგე არ მოვაკლოთ. და კიდევ ჩვენმა მეგობარმა მაკმა წინადადება მოგვცა: ნება დავრთოთ, შეკრიბოს ყველა ჩვენი მზვერავი, ვისაც სურვილი ექნება, ის მათ ბრძოლას ასწავლის და ცისფერ გველზე წაიყვანს, რათა იქ ამბოხება მოაწყონ. ასეთია მოკლედ საქმის ვითარება. ახლა გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, გთხოვთ, აზრი გამოთქვათ.

გაიმ ცერად გახედა მაქსიმს, მეგობარი მაკი ფეხებმორთხმით იჯდა, ვეებერთელა, ყავისფერი, კლდესავით უძრავი, თუმცა კლდესავით კი არა, გიგანტური აკუმულატორივით. რომელიც მზად არის, წამში განიმუხტოს. შორეულ კუთხეს მისჩერებოდა, გრძნეულს უყურებდა, მაგრამ გაის მზერა მაშინვე იგრძნო და მობრუნდა. და უეცრად გაიმ გაიფიქრა, რომ მეგობარი მაკი ის აღარ არის, რაც იყო. გაახსენდა, რომ მაკი უკვე დიდი ხანია აღარ იღიმებოდა თავისი ცნობილი თვალისმომჭრელი ღიმილით, დიდი ხანია აღარ მღეროდა თავის მთის სიმღერებს და წინანდელი ალერსიანობა და კეთილი ონავრობა აღარ ეტყობოდა თვალებზე, რომლებიც მინისებური, გაუხდა, მტკიცედ გამომზირალი, თითქოს როტმისტრი ჩაჩუ იყოს, და კიდევ გაის გაახსენდა, რომ მეგობარი მაკი დიდი ხანია აღარ დაწრიალებს კუთხიდან კუთხეში მხიარულ ცნობისმოყვარე ფინიასავით. თავშეკავებული გახდა, რაღაც მრისხანება დაეტყო, რაღაც მიზანსწრაფულობა, მოწიფული ადამიანის საქმიანი შეფიქრიანება, თითქოს მთელი არსებით მარტო მისთვის ცნობილ რაღაც სამიზნეს ემიზნებაო... ძალიან, ძალიან შეიცვალა მეგობარი მაკი მას შემდეგ, რაც არმიული მძიმე პისტოლეტის ყველა ვაზნა ჩააჭედეს სხეულში. წინათ ყველა ებრალებოდა, ახლა კი არავინ არ ებრალება. რას ვიზამთ, იქნებ ასეც

იყოს საჭირო...

მაგრამ მაინც საშინელი საქმე განეზრახა, ამას ხოცვა-ჟლეტა მოჰყვება, დიდი ხოცვა-ჟლეტა...

- რაღაც ვერ გავიგე, - ხმა გაიღო მელოტმა მახინჯმა, რომელსაც ტანსაცმელზე ეტყობოდა, აქაური არ იყო. - მაინც რა უნდა? ბარბაროსები ჩამოგვიყვანოს აქ? ისინი ხომ ყველას ამოგვხოცავენ. მაშ, მე ბარბაროსები არ მცნობია? ყველას გაჟუჟავენ, ამბის მთხრობელსაც არ დატოვებენ.

- ისინი აქ სამშვიდობოდ მოვლენ, - თქვა მაკმა, - ან სულ არ მოვლენ.

- სჯობს, სულ არ მოვიდნენ, - უთხრა მელოტმა. - სჯობს ბარბაროსებთან არაფერი ვიქონიოთ საერთო. თუ მაინცდამაინც, პირდაპირ მივუშვიროთ მკერდი ჯარისკაცების ტყვიამფრქვევებს. შენიანის ხელით მაინც დაიღუპები, მამაჩემი ჯარისკაცი იყო, სიმაგრიდან...

- ეს, რა თქმა უნდა, ასეა, - თქვა ბოშკუმ ფიქრიანად. მაგრამ მეორე მხრივ, ბარბაროსებს შეუძლიათ ჯარისკაცებიც გარეკონ და ჩვენც ხელი არ გვახლონ. ეს კი ყველასთვის კარგი იქნება.

- ვითომ რატომ არ გვახლებენ? - შეესიტყვა ლიბრიანი. - ოდითგანვე ყველა გვახლებდა, ესენი რა ნახე ისეთი, რომ არ გვახლონ?

- კი მაგრამ, ის ხომ მოელაპარაკება, - განმარტა ბოშკუმ, - ხელი არ ახლოთ ტყის ბინადართო და მორჩა, წინაღმდეგ შემთხვევაში, სულ არ მოხვიდეთო.

- ვინ? ვინ მოელაპარაკება?-იკითხა ხაბაზმა თავის ქნევით.

- ვინ და მაკი. მაკი მოელაპარაკება...

- აჰა, მაკი... აბა, თუ მაკი მოელაპარაკება, მაშინ, შესაძლოა, არც გვახლონ.

- ჩაი მოგცე? - ჰკითხა ბოშკუმ, - ლამის დაგეძინოს, ხაბაზო.

- რას გადამეკიდე ამ შენი ჩაით?

- დალიე, რა, მარტო ერთი ფინჯანი დალიე, ნუთუ ესეც გეძნელება?

ლიბრიანი უეცრად წამოდგა.

- მე წავალ - თქვა მან, - ამ საქმიდან არაფერი გამოვა. მაკსაც მოკლავენ და არც თქვენ დაგაყრიან ხეირს. აბა, რად უნდა შეგვიბრალონ? სულ ერთია, ათიოდე წლის შემდეგ არც ერთი არ ვიქნებით ცოცხალი. ჩემს თემში უკვე ორი წელია, ბავშვები არ იბადებიან. სიკვდილამდე მშვიდად მივაღწიო, სხვა არაფერი მინდა. ისე კი, თავად გადაწყვიტეთ, როგორც გენებოთ, ჩემთვის სულ ერთია.

იგი გავიდა, გვერდმოქცეული, მოუხეშავი და ზღურბლზე წაიბორძიკა.

- დიახ, მაკ, - თავის ქნევით დაილაპარაკა წურბელამ. - უკაცრავად კი ვართ, მაგრამ ჩვენ არავის არ ვენდობით. როგორ უნდა ვენდოთ ბარბაროსებს? უდაბნოში ცხოვრობენ, ქვიშას ჭამენ, ქვიშასვე აყოლებენ. საშინელი ადამიანები არიან, რკინის მავთულისგან დაგრეხილები, არც ტირილი იციან, არც სიცილი. რა ვართ ჩვენ მათთვის? ფეხქვეშ დაგდებული ხავსი და სხვა არაფერი. ჰოდა მოვლენ, ჯარისკაცებს ამოხოცავენ, დასხდებიან აქ, ტყეს, რა თქმა უნდა, გადასწვავენ... აბა, რაში სჭირდებათ ტყე? მათ უდაბნო უყვართ. და მაინც დაგვიდგება აღსასრული. არა, არა მჯერა, არა მჯერა, მაკ. ამაო საქმე წამოგიწყია.

- დიახ, - თქვა ხაბაზმა, - ეს ჩვენ არ გვჭირდება, მაკ. - ნება მოგვეცი, მშვიდად დავიხოცოთ, თავი დაგვანებე. შენ ჯარისკაცი გეჯავრება, გინდა გაუსწორდე, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ? ჩვენ არავინ არ გვეჯავრება. შეგვიბრალე, მაკ. ჩვენ ხომ არასდროს არავის ვებრალებოდით. შენც, თუმცა კეთილი კაცი ხარ, მაინც არ გეცოდებით... არ გეცოდებით ხომ, მაკ?

გაიმ კვლავ შეხედა მაქსიმს და დარცხვენილმა თვალი მოარიდა.

მაქსიმი გაწითლდა, ისე გაწითლდა, კინაღამ ცრემლები წასკდა, თავი დახარა და სახეზე ხელები აიფარა.

- არა ხართ მართალი, - თქვა მან. - მე თქვენ მეცოდებით. მაგრამ მარტო თქვენ როდი მეცოდებით. მე...

- ა-არა, მაკ, - დაჟინებით გაიმეორა ხაბაზმა. - შენც ადექი და მარტო ჩვენ შეგვიცოდე. ჩვენ ხომ ყველაზე უბედური ადამიანები ვართ ამ ქვეყანაზე და შენ ეს კარგად იცი. გადაივიწყე შენი სიძულვილი. შეგვიცოდე და მორჩა...

- რად უნდა შევეცოდოთ? - გაიღო ხმა თვალებამდე ჭუჭყიანი ბანდით შეხვეულმა თხილნარმა. - თვითონაც ჯარისკაცია, როდის იყო, ჯარისკაცებს ვეცოდებოდით? ჯერაც არ დაბადებულა ჯარისკაცი, ჩვენ რომ შევცოდებოდით...

- ძვირფასებო, ძვირფასებო! - თქვა მკაცრად პრინც-ჰერცოგმა, - მაკი ჩვენი მეგობარია. მას ჩვენთვის სიკეთე უნდა, ჩვენი მტრების განადგურება სწადია...

- ჰოდა, აი, რა გამოვა, - წინდახედულად თქვა მელოტმა, რომელიც აქაური არ იყო. - დავუშვათ, რომ ბარბაროსები ჯარისკაცებზე ძლიერი აღმოჩნდები-

ან. დაამარცხებენ ჯარისკაცებს, დაანგრევენ მათ დაწყევლილ კოშკებს, ხელთ იგდებენ მთელ ჩრდილოეთს. დაე, ასე იყოს. ჩვენ რაში გვეკითხება, დაე, ამოხოცონ ერთმანეთი. მაგრამ ჩვენ რა? მაშინ სულ მოგვეღება ბოლო: სამხრეთში ბარბაროსები იქნებიან, ჩრდილოეთშიც - ბარბაროსები, ჩვენზეც იგივე ბარბაროსები იბატონებენ. ჩვენ მათ არ ვჭირდებით, ძირ-ფესვიანად მოგვთხრიან. ეს ერთი... ახლა დავუშვათ, რომ ჯარისკაცებმა ბარბაროსები მოიგერიონ. მოიგერიებენ ბარბაროსებს და მთელი ეს ომი ჩვენს თავზე გადაივლის სამხრეთისაკენ მაშინ რა ვქნათ? მაშინ ისევ ვაი ჩვენს თავს: ჩრდილოეთში ჯარისკაცები არიან, სამხრეთში ჯარისკაცები არიან და ჩვენზეც ჯარისკაცები ბატონობენ. ჯარისკაცებს კი ვიცნობთ, ვინც ბრძანდებიან...

კრება ახმაურდა, აზუზუნდა: მართალიაო, მელოტი ყველაფერს სწორს ამბობსო, მაგრამ მას ჯერაც არ დაემთავრებინა.

- ნუ მაწყვეტინებთ, - აღშფოთდა ის. - რას ახმაურდით მართლა და მართლა? ეს ყველაფერი როდია. ისიც შეიძლება მოხდეს, რომ ჯარისკაცები ბარბაროსებს დახოცავენ, ბარბაროსები კი - ჯარისკაცებს. თითქოს დაგვიდგება კარგი დღე. მაგრამ არა, კვლავ არაფერი გამოდის, იმიტომ, რომ აკი ვამპირებიც არიან. სანამ ჯარისკაცებს ხედავენ, ისინი იმალებიან, ტყვიის ეშინიათ, ჯარისკაცებს ნაბრძანები აქვთ, ესროლონ. ხოლო როგორც კი ჯარისკაცები არ იქნებიან, მაშინ ვიკითხოთ, მაშინ დაგვიდგება შავი დღე: ვამპირები ძვლებიანად შეგვსანსლავენ.

ამ იდეამ სულ შეაძრწუნა კრება.

- მართალს ამბობს! - გაისმა ხმები, - ხომ იცით, რა თავები აქვთ ამ ჭაობების ბინადართ. დიახ, ძმებო, ვამპირები სულ დაგვავიწყდა. ისინი კი ფხიზლობენ, თავიანთ დროს ელოდებიან... არაფერი არ გვინდა, მაკ. იყოს, რაც არის... ავად იყო თუ კარგად, ოცი წელი განვვლეთ და კიდევ ოცს ჩავაძაღლებთ, შემდეგ კი გაიხედავ და…

- ვერც მზვერავებს მივცემთ! - ხმა აიმაღლა ისევ მელოტმა, - მერე რა, რომ თვითონ უნდათ... მათ რა - ისინი შინაც არ ცხოვრობენ. ექვსთითას რომ უყურებთ, იმ მხარეს ათენებს და აღამებს. სამარცხვინოა პირდაპირ - მძარცველობს იქ და ლოთობს. მათ რა უჭირთ, დაწყევლილი კოშკების არ ეშინიათ, ტკივილისაგან თავი არ უსკდებათ. საზოგადოების ამბავს კი აღარ იკითხავთ? ნადირი ჩრდილოეთისკენ მიდის. ვინ ჩამოგვირეკავს მათ, მზვერავები თუ არ

გვეყოლება? არ მივცეთ! კარგადაც დავტუქსოთ ისინი, თორემ ძალიან გაუვიდათ თავს. ხოცვა-ჟლეტას არ ერიდებიან, ჯარისკაცებს იპარავენ და აწამებენ. ისე იქცევიან, თითქოს ადამიანები არ იყვნენ... არ გავუშვათ! სულ წავლენ ხელიდან...

- არ გავუშვათ, არ გავუშვათ... - მხარი აუბა კრებამ, - როგორ უნდა ვიყოთ უმაგათოდ! ჩვენ ვაჭმევდით და ვასმევდით, ჩვენ გავაჩინეთ და გავზარდეთ, ხომ უნდა გრძნობდნენ ამას, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, განზე უჭირავთ თვალი, რათა როგორმე ისე მოიქცნენ, როგორც მოეგუნებებათ...

მელოტი, როგორც იქნა, დაშოშმინდა, თავის ადგილას დაჯდა და ხარბად დაუწყო ხვრეპა გაცივებულ ჩაის. კრებაც ჩაცხრა, დაწყნარდა. მოხუცები უძრავად ისხდნენ, ცდილობდნენ, მაქსიმისათვის არ შეეხედათ.

ბოშკუმ უხალისოდ დაიქნია თავი და თქვა:

- ეჰ, რა უბედურები ვართ! არსაიდან ხსნა არ არის. ნეტა ვის რა დავუშავეთ?

- რა ტყუილად გაგვაჩინეს ამ ქვეყნად, - თქვა თხილნარმა, - დაუფიქრებლად გაგვაჩინეს, უდროოდ... - მან ცარიელი ჭიქა მიიწია. - ჩვენც ამაოდ ვაჩენთ. დასაღუპავად, დიახ, დიახ, დასაღუპავად.

- წონასწორობა... - ხმამაღლა წარმოთქვა უეცრად ხრინწიანმა ხმამ. - მე უკვე გითხარით ეს, მაკ. თქვენ არ მოისურვეთ, გაგეგოთ ჩემთვის.

გაუგებარი იყო, საიდან მოდიოდა ხმა. ყველანი დუმდნენ, მწუხარედ თავდახრილები. გრძნეულის მხარზე ჩამომჯდარი ფრინველი ტორტმანობდა ადგილზე, აღებდა და ხურავდა ყვითელ ნისკარტს. თვითონ გრძნეულს თვალები დაეხუჭა, წვრილი მშრალი ტუჩები მოეკუმა და უძრავად იჯდა.

- მაგრამ ახლა, ვიმედოვნებ, გამიგეთ, - თითქოს ფრინველი განაგრძობსო, - თქვენ გსურთ დაარღვიოთ ეს წონასწორობა. მერე რა, ეს შეიძლება, შეგწევთ ამის უნარი. მაგრამ საკითხავია - რისთვის? ვინმე გთხოვთ ამას? ხედავთ, რომ არა. მაშ, რა გამოძრავებთ?...

ფრინველი გაიფხორა და თავი ფრთაში შეყო, ხმა კი მაინც ისმოდა, და გაიმიხვდა, რომ თვით გრძნეული ლაპარაკობდა, ტუჩებს არ ხსნიდა, არც ერთ კუნთს არ ამოძრავებდა, ისე.

ეს საშინელება იყო და არა მარტო გაისათვის, არამედ ყველა შეკრებილისათვის, პრინც-ჰერცოგისთვისაც კი. მარტო მაქსიმი უყურებდა გრძნეულს

კუშტად და გამომწვევად.

- შეშფოთებული სინდისის მოუთმენლობაა! - განაცხადა გრძნეულმა. - თქვენი სინდისი განებივრებულია მუდმივი ყურადღებით, ის კვნესის მცირეოდენი უხერხულობისაგან და თქვენი გონებაც პატივისცემით იხრის ქედს მის წინაშე, ნაცვლად იმისა, რომ დაუცაცხანოს და თავისი ადგილი მიუჩინოს. თქვენი სინდისი აღუშფოთებია არსებულ ვითარებას და თქვენი გონება მორჩილად და საჩქაროდ ეძებს ამ მდგომარეობის გამოსწორების გზას. მაგრამ ამ წესრიგს თავისი კანონები აქვს. ამ კანონებს წარმოშობს ადამიანთა უზარმაზარი მასების მისწრაფებანი, და მათი შეცვლა მხოლოდ ამ მისწრაფებათა შეცვლით შეიძლება... ამგვარად, ერთი მხრივ ადამიანთა უდიდესი მასების მისწრაფებანი, მეორე მხრივ - თქვენი სინდისი, თქვენივე მისწრაფებათა განსახიერება. სინდისი გიბიძგებთ, შეცვალოთ არსებული წეს-წყობილება, ესე იგი, დაარღვიოთ ამ წეს-წყობილების კანონები, რომლებსაც მასების მისწრაფება განსაზღვრავს, ესე იგი, ადამიანთა მილიონიანი მასების მისწრაფებები შეცვალოთ თქვენი მისწრაფებების შესაბამისად. ეს სასაცილოა და ანტიისტორიული. სინდისის მიერ დაბინდულმა და დარეტიანებულმა თქვენმა გონებამ დაკარგა უნარი, მასების რეალური კეთილდღეობა გაარჩიოს მოჩვენებითისაგან, რაც თქვენი სინდისითაა ნაკარნახევი. გონება კი სუფთა უნდა იყოს. არ გინდათ, არ შეგიძლიათ - რას ვიზამთ, მით უარესი თქვენთვის. და არა მარტო თქვენთვის. თქვენ იტყვით, რომ სამყაროში, საიდანაც მოხვედით, უწმინდური სინდისით ვერ ცხოვრობენო. რა გაეწყობა, შეწყვიტეთ ცხოვრება. არც ესაა ურიგო გამოსავალი - არც თქვენთვის, არც სხვებისთვის.

გრძნეული დადუმდა და ყველამ მაქსიმს შეხედა. გაიმ კარგად ვერ გაიგო, რაზე იყო ლაპარაკი. ეტყობოდა, ეს რაღაც ძველი დავის გამოძახილი უნდა ყოფილიყო. და კიდევ ჩანდა, რომ გრძნეული მაქსიმს თვლის ჭკვიან, მაგრამ ჭირვეულ კაცად, რომელიც საჭიროების კი არა, უფრო თავისი ახირების შესაბამისად მოქმედებს. ამან გული ატკინა. მაქსიმი რა თქმა უნდა, უცნაური პიროვნება კი იყო, მაგრამ თავს არ იზოგავდა და მუდამ ყველასთვის სიკეთე უნდოდა - რაღაც ახირებით კი არა, არამედ უაღრესად ღრმა რწმენის გამო. რა თქმა უნდა, გამოსხივებისაგან გამოსულელებულ ორმოც მილიონ ადამიანს არავითარი ცვლილებები არ სურდა, მაგრამ ისინი ხომ გაასულელეს, ეს უსამართლობა იყო...

- არ შემიძლია დაგეთანხმოთ, - თქვა ცივად მაქსიმმა, - სინდისს თავისი ტკივილი ამოძრავებს, გონებას სისრულეში მოჰყავს სინდისის დასახული ამოცანები, იძლევა იდეალებს, გონება ეძებს მათი განხორციელების გზებს. სწორედ ეს არის გონების ფუნქცია - ეძებოს გზები. სინდისის გარეშე გონება მხოლოდ საკუთარი თავისათვის, ესე იგი, ფუჭად მუშაობს. ხოლო რაც შეეხება ჩემი და მასების მისწრაფებებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს... არის გარკვეული იდეალი: ადამიანი სულიერად და ფიზიკურად თავისუფალი უნდა იყოს. ამ სამყაროში მასები ჯერ კიდევ ვერ ხედავენ ამ იდეალს, და მისკენ სავალი გზა ეკლიანია. მაგრამ ოდესმე ხომ უნდა დავიწყოთ. და მე ახლა მინდა დავიწყო.

- სწორია, - მოულოდნელად იოლად დაეთანხმა გრძნეული - სინდისი მართლაც იძლევა იდეალებს. მაგრამ იდეალებს იმიტომაც ჰქვია იდეალები, რომ ისინი სრულიადაც არ შეესაბამებიან სინამდვილეს. მე ხომ მხოლოდ ეს მინდა ვთქვა, მხოლოდ ამას ვიმეორებ: არ უნდა ველოლიავოთ ჩვენს სინდისს, რაც შეიძლება ხშირად უნდა მივუშვიროთ იგი ახალი სინამდვილის მტვრიან გამჭოლ ქარს და არ გვეშინოდეს რომ ლაქები გაუჩნდება, ან უხეში ქერქით დაიფარება... თუმცა, ეს თვითონაც კარგად გესმით. უბრალოდ, ჯერაც ვერ გისწავლიათ ყველაფერს თავისი სახელი უწოდოთ. მაგრამ ამასაც ისწავლით. აი, თქვენმა სინდისმა დასვა ამოცანა: დაემხოს ამ მგზნებარე შემოქმედთა ტირანია. გონებამ განსაზღვრა, რა შეიძლება და როგორ, და მოგაწოდათ რჩევა: ვინაიდან შიგნიდან ტირანიის აფეთქება შეუძლებელია, გარედან დავარტყათ, ბარბაროსები მივუსიოთ... დაე, ტყის ბინადარნი გათელონ, დაე, გვამებით გაივსოს ცისფერი გველის კალაპოტი, ატყდეს დიდი ომი, რომელმაც შესაძლოა, ტირანთა დამხობა გამოიწვიოს, - ყველაფერი კეთილშობილური იდეალისათვის. რა გაეწყობა, თქვა სინდისმა შეჭმუხვნით, ცოტათი უნდა გავუხეშდე კიდეც დიადი საქმისთვისო...

- მასარაკშ... - დაისისინა მაქსიმმა, რომელიც ასე გაწითლებული და გაბოროტებული არასდროს ენახა გაის. - დიახ, მასარაკშ! დიახ, ყველაფერს სწორს ამბობთ! აბა, სხვა რაღა დაგვრჩენია? ცისფერ გველს იქით ადამიანები მოარულ ძელაკებად არიან ქცეული.

- მართალია, მართალია, - თქვა გრძნეულმა, - სხვა საქმეა, რომ თავისთავად გეგმა უვარგისია: ბარბაროსები ამაოდ შეასკდებიან კოშკებს და უკუიქცე-

ვიან, ხოლო საცოდავი ჩვენი მზვერავები, საერთოდ არ ვარგანან რაიმე სერიოზულისათვის. მაგრამ იმავე გეგმის ფარგლებში შეგეძლოთ, მაგალითად, კუნძულის იმპერიას დაკავშირებოდით... საქმე ეს როდია. ვშიშობ, თქვენ საერთოდ დაგაგვიანდათ, მაკ!... ოღონდ არ გეგონოთ, ვცდილობდე, გადაგათქმევინოთ, მე კარგად ვხედავ: თქვენ ძალა ხართ, მაქსიმ. და აქ თქვენი გამოჩენა თავისთავად ნიშნავს, რომ ჩვენი პატარა სამყაროს ზედაპირზე წონასწორობის დარღვევა გარდუვალია. იმოქმედეთ, ოღონდ სინდისმა ხელი არ შეგიშალოთ საღად აზროვნებაში, ხოლო თქვენი გონება ნუ დაირცხვენს, როცა სინდისის ჩამოშორებაა საჭირო... და კიდევ გირჩევთ დაიმახსოვროთ: არ ვიცი, თქვენს სამყაროში რა როგორაა, მაგრამ ჩვენთან არავითარი ძალა დიდხანს არ რჩება უპატრონოდ. მუდამ აღმოჩნდება ვინმე, ვინც ცდილობს მოათვინიეროს იგი და დაიქვემდებაროს - შეუმჩნევლად, ან გარეგნულად საპატიო საბაბით... აი, ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა.

გრძნეული საოცრად მარდად წამოდგა - მის მხარზე მჯდარი ფრინველი ჩაცუცქდა და ფრთები გაჩაჩხა, - მოკლე ფეხებით კედლის გასწვრივ გასრიალდა და გარეთ გავიდა. და მაშინვე მთელი კრებაც უკან მიჰყვა მიდიოდნენ კვნესა-კვნესით, ხვნეშით, ოხვრით, ვერაფერი გაუგეს კრებაზე ნათქვამს, მაგრამ აშკარად კმაყოფილნი იყვნენ, რომ გრძნეულმა ხელი შეუშალა საშიშ წამოწყებას, ერთი სიტყვით, შეიცოდა, არ დააჩაგვრინა მათი თავი და უკვე შეიძლება სიკვდილამდე იცხოვრონ, როგორც ცხოვრობდნენ - მადლობა ღმერთს, წინ მთელი საუკუნეა - ათი წელი, იქნებ მეტიც. ყველაზე ბოლოს ბოშკუ გავიდა ჩაიდნიანად, ოთახში მხოლოდ გაი, მაქსიმი და პრინც-ჰერცოგი დარჩნენ, და კიდევ კუთხეში მაგრად ეძინა ხაბაზს, რომელიც დაექანცა გონების დაძაბვას. გაის თავში ყველაფერი ერეოდა, სულიერადაც შეძრწუნებული იყო. მარტო ერთს მიხვდა. „ვაი, ჩემს უბედურ თავს: სიცოცხლის პირველი ნახევარი თოჯინა ვიყავი, კუნძი ვიყავი ვიღაცის ხელში, მეორე ნახევარს კი, ეტყობა, უსამშობლო მაწანწალად ვივლი, უმეგობრო კაცი ვიქნები, უმომავლო...“

- შეწუხებული ხართ, მაკ? - დამნაშავესავით ჰკითხა პრინც-ჰერცოგმა.

- არა, არც ისე, - უპასუხა მაქსიმმა. - პირიქით, თითქოს გულს მომეშვა. გრძნეული მართალია, ჩემი სინდისი ჯერაც მზად არ არის ასეთი წამოწყებებისათვის, ალბათ კიდევ ბევრი უნდა ვიარო, ბევრი რამ ვნახო სინდისი გავი-

ვარჯიშო. - როგორღაც უსიამოდ გაიცინა. - თქვენ რას შემომთავაზებდით, პრინც-ჰერცოგო?

მოხუცი პრინც-ჰერცოგი ქშენით წამოდგა და დაბუჟებული გვერდების ზელით ოთახში გაიარ-გამოიარა.

- ჯერ ერთი, მე არ გირჩევთ ღრმად შეხვიდეთ უდაბნოში, თქვა მან, - არ ვიცი, არიან თუ არა იქ ბარბაროსები, მაგრამ ეს კია, რომ თქვენთვის შესაფერისს იქ ვერაფერს იპოვით. იქნებ გრძნეულის რჩევისა არ იყოს, ღირდეს, კონტაქტი დაამყაროთ კუნძულის ბინადარ ხალხთან, თუმცა მე არ ვიცი, როგორ უნდა გაკეთდეს ეს. ალბათ ზღვისკენ უნდა წავიდეთ და იქიდან დავიწყოთ... თუ კუნძულების არსებობაც მითი არ არის და თუ ისინი თქვენთან ლაპარაკს მოისურვებენ... ჩემი აზრით, ყველაზე სწორი იქნება, უკან დაბრუნდეთ და მარტო იმოქმედოთ იქ. გაიხსენეთ, რა თქვა გრძნეულმა: თქვენ ძალა ხართ. და თანაც როგორც ამბობთ, კოშკების სისტემას ცენტრი უნდა ჰქონდეს. და ჩრდილოეთიც იმის ხელშია, ვინც ამ ცენტრს ფლობს. კარგად უნდა შეითვისოთ ეს.

- ვშიშობ, ეს საჩემო საქმე არ არის, - ნელა თქვა მაქსიმმა. ჯერ არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვგრძნობ, რომ არ არის. მე არ მინდა ვფლობდე ცენტრს. თქვენ მართალი ხართ: მე არაფერი მესაქმება არც აქ, არც უდაბნოში. უდაბნო ძალიან შორსაა, აქ კი ვერავის დაეყრდნობი. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავიგო: არის კიდევ პანდეა, ხონტი, არის მთები, სადღაც არის კუნძულის იმპერიაც... თეთრ სუბმარინებზე არაფერი გსმენიათ? არა? მე კი მსმენია, გაისაც სმენია, და ჩვენ ვიცნობთ ადამიანს, რომელსაც ისინი უნახავს და შებრძოლებია. ამგვარად, მათ ბრძოლა შეუძლიათ... კარგი. - მაქსიმი წამოხტა. - საქმეს უნდა შევუდგე. გმადლობთ, პრინც-ჰერცოგო, თქვენც ძალიან დაგვეხმარეთ. წავიდეთ, გაი.

ისინი მოედანზე გავიდნენ და შემომდნარი ძეგლის გვერდით შეჩერდნენ. გაი სევდიანად აცეცებდა თვალებს. ირგვლივ მცხუნვარე მირაჟში ირხეოდა ყვითელი ნანგრევები, სუნთქვა ჭირდა, ჰაერში მყრალი სუნი ტრიალებდა, მაგრამ გაის უკვე აღარ უნდოდა წასვლა აქედან, ამ საშინელი, მაგრამ უკვე შეჩვეული ადგილიდან და ისევ ხეტიალი ტყე-ღრეებში ათასნაირი ხიფათის გადასაყრელად, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე დარაჯობენ ადამიანს... რა კარგი იქნებოდა, ახლა თავის ოთახში დაბრუნდებოდეს, თხელთმიან ტანგასთან წა-

ითამაშებდა, ბოლოს და ბოლოს გაუკეთებდა დაპირებულ სასტვენს ნასროლი მასრისგან, როგორ დაინანებს, მასარაკშ, ჰაერში ერთი ვაზნის გასროლას საცოდავი გოგონასათვის...

- მაინც საით გინდათ წახვიდეთ? - ჰკითხა პრინც-ჰერცოგმა, თან სახეს მტვრისაგან თავისი გაცვეთილი, გახუნებული შლაპით იფარავდა,

- დასავლეთისკენ, - უპასუხა მაქსიმმა, - ზღვისკენ. აქედან ზღვამდე დიდი გზაა?

- სამასი კილომეტრია... - წარმოთქვა პრინც-ჰერცოგმა ჩაფიქრებულად, - და, ძალზე მოწამლულ ადგილებში მოგიწევთ სიარული... მომისმინეთ, - თქვა მან, - იქნებ ასე გაგვეკეთებინა?.. - ის დიდი ხნით დადუმდა, გაი უკვე მოუთმენლად იცვლიდა ფეხს ადგილზე, მაგრამ მაქსიმი არ ჩქარობდა, ელოდა. - ეჰ, მე რაში მჭირდება! - თქვა ბოლოს პრინც-ჰერცოგმა. - მართალი გითხრათ, ჩემთვის ვინახავდი, ვფიქრობდი, როცა ძალიან გამიჭირდება, ნერვები მიღალატებს, დავჯდები და შინ წავალ, იქ კიდეც რომ დამხვრიტონ-მეთქი... მაგრამ ახლა... გვიანღაა.

-თვითმფრინავი? - სწრაფად იკითხა მაქსიმმა, რომელიც იმედიანად შეჰყურებდა პრინც-ჰერცოგს.

- დიახ, „მთის არწივი“. გსმენიათ ეს სახელწოდება? რა თქმა უნდა, არა... თქვენ, ახალგაზრდავ? არც თქვენ… განთქმული ბომბდამშენი იყო, ბატონებო, პირადად მისი იმპერატორობითი უმაღლესობის პრინც კორნუს ოთხი ოქროს დროშოვანი სახელობითი ბომბდამშენი... „მთის არწივი“... მახსენდება, ჯარისკაცებს აზეპირებინებდნენ... „რიგითო ესა და ეს! დაგვისახელე მისი იმპერატორობითი უმაღლესობის პირადი ბომბდამშენი!“ და ისიც ასახელებდა… დიახ… ჰოდა, მე ის შევინახე, ჯერ დაჭრილების საევაკუაციოდ მინდოდა, მაგრამ ისინი მეტისმეტად ბევრნი იყვნენ, შემდეგ, როცა ყველა დაჭრილი დაიხოცა... ე, რა მოსაყოლია. თქვენი იყოს, ძვირფასებო. იფრინეთ, საწვავი ნახევარ მსოფლიოს ეყოფა.

- გმადლობთ, - თქვა მაქსიმმა. - გმადლობთ, პრინც-ჰერცოგო. მე თქვენ არასდროს დაგივიწყებთ...

-მე, რა...- ჩაილაპარაკა მოხუცმა. - ჩემთვის კი არ გაძლევთ... ხოლო, თუ რამე მოახერხოთ, ძვირფასო, ესენი არ დაივიწყოთ.

- მოვახერხებთ, - თქვა მაქსიმმა, - მოვახერხებთ, მასარაკშ! უნდა, გამოვი-

დეს, სინდისია თუ არა!... და არც არავის დავივიწყებ არასდროს.

მეთექვსმეტე თავი

გაის თვითმფრინავით ჯერაც არასდროს ეფრინა. საერთოდაც პირველად ნახა თვითმფრინავი. პოლიციელთა ვერტმფრინავები და შტაბის მფრინავი პლატფორმები არაერთხელ უნახავს და ერთხელ საჰაერო თავდასხმაშიც კი მონაწილეობდა: მათი სექცია ვერტმფრინავში ჩასვეს და გადმოსხეს გზატკეცილთან, სადაც ცუდი საჭმლის გამო ამბოხებულ აღსაზრდელთა ბრბო ხიდისკენ მიემართებოდა. ამ საჰაერო თავდასხმისგან გაის მეტად არასასიამოვნო მოგონებები დარჩა: ვერტმფრინავი ძალიან დაბლა მიფრინავდა, ისე ინჯღრეოდა და ქანაობდა რომ მთელი გულ-მუცელი ამოუტრიალდა. ამას ემატებოდა ხრახნის დამარეტიანებელი ღმუილი, ბენზინის სუნი და მანქანის ზეთის შადრევნები, ყოველი მხრიდან რომ გადმოჩქეფდა.

მაგრამ აქ სულ სხვა ამბავი იყო.

მ. ი. უ. პირადმა ბომბდამშენმა „მთის არწივმა“ ძალიან გააოცა გაი. ეს მართლაც ჯოჯოხეთური მანქანა იყო და ვერაფრით ვერ წარმოიდგენდი, თუ მას ჰაერში აფრენა შეეძლო. მრავალრიცხოვანი ოქროსფერი ემბლემით დამშვენებული ქუჩასავით გრძელნეკნებიანი ვიწრო სხეული ჰქონდა. მრისხანედ და დიდებულად გადაშლილი გოლიათური ფრთების ქვეშ მთელი ბრიგადა შეაფარებდა თავს. ფრთებამდე იმდენი მანძილი იყო, რამდენიც სახლის სახურავამდე, ხოლო ექვსი უზარმაზარი პროპელერის ფრთები თითქმის მიწას ეხებოდა. ბომბდამშენის სამი ბორბლიდან თითოეული რამდენიმე კაცის სიმაღლე იყო. - ორ ბორბალს ცხვირის ნაწილი ეყრდნობოდა, მესამეს - სართულებიანი კუდი. მბრწყინავმინიანი კაბინისკენ თავბრუდამხვევ სიმაღლეზე ალუმინის მსუბუქი კიბის ვერცხლისფერი ძაფი მიემართებოდა. ეს ნამდვილი ძველი იმპერიის სიმბოლო იყო, დიადი წარსულის, იმ გარდასული ძლიერების სიმბოლო, რომელიც მთელ კონტინენტზე ვრცელდებოდა. დასუსტებულ ფეხებზე მდგარ გაის, რომელსაც თავი აეწია და მოკრძალებისაგან თრთოდა, თითქოს მეხი დაეცაო, როცა მეგობარ მაკს აღმოხდა:

- ეს რა ზანდუკია, მასარაკშ!.. ბოდიში, პრინც-ჰერცოგო, უნებურად წამომცდა.

- სხვა არ არსებობს, - მშრალად უპასუხა პრინც-ჰერცოგმა. - სხვათა შორის, ეს საუკეთესო ბომბდამშენია მსოფლიოში. თავის დროზე მისი იმპერატორო-

ბითი უმაღლესობა მასზე...

- დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, - საჩქაროდ დაეთანხმა მაქსიმი, - ეს მე მოულოდნელობისაგან...

ზევით, პილოტის კაბინაში გაი უსაზღვრო აღტაცებამ მოიცვა. კაბინა მთლიანად მინისა იყო. უამრავი უცნობი ხელსაწყო, საოცრად მოხერხებული რბილი სავარძლები, გაუგებარი ბერკეტები და სამარჯვები, ფერად-ფერადი მავთულების კონები, უცნაური, თავზე ჩამოსაცმელად გამზადებული არნახული ჩაფხუტები... პრინც-ჰერცოგი რაღაცას აჩქარებით განუმარტავდა მაკს, თან ხელსაწყოებზე მიუთითებდა, ბერკეტებს აქანავებდა. დაბნეული მაკი ბუტბუტებდა: „ჰო, ჰო, გასაგებია, გასაგებია...“ ხოლო გაი, რომელიც სავარძელში ჩასვეს, ხელი არ შეგვიშალოსო და ავტომატი მუხლებში ჩაუდვეს, ვაითუ რამე გაფხაჭნოსო, თვალებს ქაჩავდა და თავს უაზროდ იქნევდა.

ბომბდამშენი ტყისპირას ძველ, ჩავარდნილ ანგარში იდგა, მის წინ შორს სწორი მონაცრისფრო-მომწვანო ველი გადაჭიმულიყო, რომელზეც არც ერთი ბურცო, არც ერთი ბუჩქი არ ჩანდა. ველს იქით, ხუთ კილომეტრზე კვლავ იწყებოდა ტყე, ხოლო ყოველივე ამას გადმოსცქეროდა თეთრი ცა, რომელიც აქედან, კაბინიდან, თითქოს ისე ახლოს იყო, იფიქრებდით, ხელით მივწვდებიო. გაი ძალზე ღელავდა. მოხუც პრინც-ჰერცოგთან გამოთხოვებაც კარგად ვერ დაიმახსოვრა. პრინც-ჰერცოგი რაღაცას ლაპარაკობდა, ეტყობა, იცინოდნენ. შემდეგ პრინც-ჰერცოგმა წამოიტირა, მერე კარმა გაიჯახუნა... გაიმ უეცრად შეამჩნია, რომ სავარძელს ფართო ღვედებითაა მიკრული, ხოლო მაქსიმი მეზობელ სავარძელში სწრაფად და გულდაჯერებით ატკაცუნებს რაღაც პატარა ბერკეტებსა და კლავიშებს.

პულტებზე ციფერბლატები აციმციმდა გაისმა ტკაცანი, მას ძრავის გუგუნი მოჰყვა, კაბინა ათუხთუხდა, ათრთოლდა, ირგვლივ ყველაფერი მძიმე გრუხუნით გაივსო, ტანმორჩილმა პრინც-ჰერცოგმა შორს, ძირს გაწოლილ ბუჩქნარსა და მოლივლივე ბალახს შორის რომ იდგა, ორივე ხელი შლაპაზე იტაცა და უკან-უკან წავიდა. გაიმ მოიხედა და დაინახა, რომ გიგანტური პროპელერის ფრთები გაქრა, უზარმაზარ მღვრიე წრეებად შეერთდა და უეცრად ფართო ველი მთლიანად დაიძრა და მათკენ წამოვიდა, სულ უფრო სწრაფად და სწრაფად... სადღა იყო პრინც-ჰერცოგი, სადღა იყო ანგარი, იყო მარტო ველი, რომელიც სწრაფად მოქროდა მათკენ და უმოწყალო ნჯღრევა

და საშინელი გუგუნი. მან ძლივძლივობით მოაბრუნა თავი და შეშინებულმა შენიშნა, რომ გიგანტური ფრთები ნარნარად ირხევიან და სადაცაა მოძვრებიან, მაგრამ. ამ დროს ნჯღრევა გათავდა, ფრთებქვეშ ველი ძირს დაენარცხა და გაის მთელი სხეული თითქოს დაურბილდა, ბამბისებური გაუხდა. ბომბდამშენქვეშ კი უკვე აღარ იყო ველი, ტყეც აღარსად ჩანდა: ტყე შავ-მწვანე ჯაგრისად, უზარმაზარ, ათასჯერ დაკერებულ საბნად გადაიქცა და ეს ლაქებიანი საბანი ნელ-ნელა უკან მიცოცავდა. მაშინ გაი მიხვდა, რომ მიფრინავდა.

უსაზღვროდ აღტაცებულმა მეგობარს შეხედა. მაქსიმი უდარდელად იჯდა, მარცხენა ხელი სამკლავურზე დაედო, მარჯვენით კი ძლივსშესამჩნევად ამოძრავებდა ყველაზე დიდ და, ალბათ, ყველაზე მთავარ ბერკეტს. თვალები მოეჭუტა, ტუჩები ისე მოეკუმა, თითქოს უსტვენსო. დიახ, ის დიდი ადამიანი იყო, დიდი და მიუწვდომელი. „ჩანს, ყველაფერი შეუძლია, - გაიფიქრა გაიმ, - აი, ის მართავს ამ ურთულეს მანქანას რომელსაც თვითონ გაი პირველად ხედავს ცხოვრებაში. ეს რაღაც ტანკი კი არ არის, ან სატვირთო მანქანა - თვითმფრინავია, ლეგენდარული მანქანა, არც კი ვიცოდი, თუ ისინი დღემდე შემონახულია... მაკი კი ისე ეპყრობა, გეგონება სათამაშოაო, თითქოს მთელი სიცოცხლე საჰაერო სივრცეებში ფრენის მეტი არა ეკეთებინოს რა. პირდაპირ წარმოუდგენელია: ეტყობა, ბევრდ რამეს პირველად ხედავს, და, მიუხედავად ამისა, იმწამსვე ეგუება და იმას აკეთებს, რაც საჭიროა და განა მარტო მანქანებთან? განა მარტო მანქანები მიიჩნევენ მას მაშინვე თავიანთ პატრონად... რომ მოენდომებინა, როტმისტრი ჩაჩუც ხელიხელგადახვეული ივლიდა მასთან... გრძნეულს, რომლის შეხედვაც შიშისმომგვრელია, თავის ტოლად და სწორად მიაჩნია... პრინც-ჰერცოგმა, სწავლულმა კაცმა, მთავარმა ქირურგმა, შეიძლება ითქვას არისტოკრატმა, მაშინვე შეიცნო მასში რაღაც ისეთი, მაღალი. ასეთი მანქანა აჩუქა, ანდო... მე კი მინდოდა, რადა მიმეთხოვებინა, რაა მისთვის რადა? უბრალო წამიერი გატაცება... რა მისი ტოლია? მას ვინმე გრაფის ასული, ან, ვთქვათ, პრინცესა მოუხდება... ჩემთანაც რომ მეგობრობს... და ახლა რომ მითხრას, აქედან უნდა გადახტეო, შეიძლება წარბიც არ შევიხარო, ისე გადავხტე, იმიტომ, რომ მაქსიმი... ან უკვე რამდენი რამე გავიგე და ვნახე მისი წყალობით, ცხოვრებაში ამდენს ვერც გაიგებ და ვერც ნახავ... ან რამდენს კიდევ გავიგებ, დავინახავ და ვისწავლი...“

მაქსიმმა იგრძნო, რომ გაი უყურებდა, აღტაცებული და მისდამი ერთგუ-

ლებით გამსჭვალული. თავი მოაბრუნა და ძველებურად, გულღიად გაუღიმა, გაიმ კი ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ჩაებღუჯა მისი მძლავრი ყავისფერი ხელი და მადლიერების ნიშნად არ დაეკოცნა. „ო, ჩემო მბრძანებელო, ჩემო ქომაგო და სიამაყევ, მიბრძანე, მე შენ წინა ვარ, აქ ვარ, მზადა ვარ, გინდა ცეცხლში ჩამაგდე, ალს შემაერთე, ათასობით მტერს შევებრძოლები, მილიონობით ტყვიას მივუშვერ მკერდს შენი გულისთვის... სად არიან ისინი, სად არიან შენი მტრები? სად არიან საზიზღარ შავ მუნდირებში გამოწყობილი ის საძაგელი გონებაჩლუნგი ადამიანები? სად არის ის უბადრუკი ბოროტი ოფიცერი, რომელმაც გაბედა და ხელი აღმართა შენზე? ო, შავო არამზადავ, მე შენ ფრჩხილებით დაგგლეჯ, ყელს გამოგღადრავ... მაგრამ ახლა არა, არა... ის რაღაცას მიბრძანებს, ჩემი მეუფე, რაღაც უნდა ჩემგან... მაკ, მაკ, გემუდარები, დამიბრუნე შენი ღიმილი, რატომ აღარ იღიმები? დიახ, დიახ, მე სულელი ვარ, ვერ გიგებ, არ მესმის შენი, აქ ისეთი ღრიალია, ეს შენი მორჩილი მანქანაა, ასე რომ ღრიალებს... ჰო, თურმე რა ყოფილა, მასარაკშ, რა იდიოტი ვარ, რა თქმა უნდა, მუზარადი... დიახ, დიახ, ახლავე... მესმის, აქ მუზარადია, როგორც ტანკში... გისმენ, მშვენიერო! მიბრძანე! არა-არა, არ მინდა გონს მოსვლა! მე არაფერი მჭირს, მე უბრალოდ შენ გეკუთვნი, მინდა მოვკვდე შენი გულისთვის, მიბრძანე რამე... დიახ, დავდუმდები, ხმას ჩავიწყვეტ... ეს ფილტვებს გამიხეთქს, მაგრამ დავდუმდები, რაკი შენ გინდა ასე... კოშკი? რა კოშკი? ა, ჰო, ვხედავ კოშკს... ჰმ შავმა არამზადებმა, საზიზღარმა კაციჭამიებმა, ბავშვების მკვლელებმა ეს კოშკები ყველგან ჩაარჭვეს, მაგრამ ჩვენ წავლეკავთ მათ, რკინის ჩექმებით გადაგთელავთ თვალანთებულნი... წაიყვანე, წაიყვანე შენი დამყოლი მანქანა ამ საზიზღარი კოშკისაკენ... და მომეცი ბომბი, ბომბიანად ჩამოვხტები და ნახავ, თუ ავაცდინო! ბომბი მომეცი, ბომბი! ცეცხლში! ო!... ო-ო! ო-ო-ო!!!

გაიმ ძლივს მოითქვა სული და კომბინიზონის საყელო გაიღეღა. ყურები უწიოდა, მის თვალწინ თითქოს მთელი სამყარო მიცურავდა და ირყეოდა, სამყარო ნისლში იყო გახვეული, მაგრამ ნისლი სწრაფად იფანტებოდა გაის კუნთები ტეხავდა და ყელში რაღაც ცუდად უღიტინებდა. შემდეგ დაინახა მაქსიმის სახე, ჩაბნელებული, მოღუშული და როგორღაც სასტიკიც კი. რაღაც ტკბილი მოგონება ამოტივტივდა და მაშინვე გაქრა, მაგრამ რატომღაც ძალიან მოუნდა „სმენაზე“ დამდგარიყო და ქუსლი ქუსლზე შემოეკრა. თუმცა ესმო-

და, რომ ეს უადგილო იყო, რომ მაქსიმი გაბრაზდა.

- მე რამე დავაშავე? - იკითხა დამნაშავესავით და შიშით მიმოიხედა.

- შენ კი არა, მე დავაშავე, - უპასუხა მაქსიმმა. - სულ დამავიწყდა ეს საზიზღრობა.

- რა?

მაქსიმი თავის სავარძელში დაბრუნდა, ხელი ბერკეტზე დადო და წინ დაიწყო ცქერა.

- კოშკები, - თქვა ბოლოს.

- რა კოშკები?

- ძალიან გადავუხვიე ჩრდილოეთისაკენ, - თქვა მაქსიმმა. სხივური დარტყმა მივიღეთ.

გაის შერცხვა.

- „ლომგულ ბიჭებს“ გავყვიროდი, ხომ? - იკითხა.

- უარესად იქცეოდი, - უპასუხა მაქსიმმა. - კარგი, მომავალში მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენ.

საოცრად დარცხვენილი გაი შეტრიალდა, ტანჯვით ცდილობდა, მოეგონებინა, რა ჩაიდინა ისეთი და ძირს გაშლილი სამყაროს თვალიერებას შეუდგა. ვერავითარი კოშკი ვერ ნახა და, რა თქმა უნდა, ვერც ანგარი შეამჩნია, ვერც ველი, საიდანაც აფრინდნენ. ძირს ნელა მიცოცავდა იგივე დაბებკილი საბანი და მოჩანდა მდინარე, ლითონის მკრთალი ქვეწარმავალი, რომელიც წინ შორს, ნისლში იკარგებოდა, იქ, სადაც ზღვა კედლად უნდა ყოფილიყო აღმართული ცისკენ... „ნეტა რას მივედ-მოვედებოდი, - ფიქრობდა გაი. - ალბათ რაღაც მომაკვდინებელ სისულელეს, რადგან მაქსიმი ძალიან უკმაყოფილო და შეშფოთებულია. მასარაკშ, იქნებ ჟანდარმული ჩვევები გავიხსენე და როგორღაც შეურაცხვყავი მაქსიმი?... სადღაა ის დაწყევლილი კოშკი? კარგი შემთხვევა გვაქვს ბომბი ვთხლიშოთ...“

ბომბდამშენი უეცრად შეზანზარდა. გაიმ ენა მოიკვნიტა, ხოლო მაქსიმი ორივე ხელით ჩააფრინდა ბერკეტს. რაღაც ვერ იყო წესრიგში, რაღაც მოხდა... გაიმ შიშით მიმოიხედა და გულს მოეშვა, რა დაინახა რომ ფრთა ადგილზეა, პროპელერი კი ტრიალებს, მაშინ ზევით აიხედა. გამოხუნებულ ცაზე პირდაპირ ნელა იდღაბნებოდა ნახშირივით შავი ლაქები, თითქოს ტუში ჩაუწვეთებიათო წყალში.

- ეს რაღაა? - იკითხა მან.

- არ ვიცი, - თქვა მაქსიმმა. - რაღაც უცნაურია... - მან კიდევ ორი უცნობი სიტყვა წარმოთქვა, შემდეგ კი ენის ბორძიკით დაუმატა: იერიშია... ციური ქვების იერიში. სისულელეა, ასე არ ხდება. ალბათობა ნული მთელი, ნულ-ნული... ნეტა რა იყო, ნუთუ მე ვიზიდავ მათ?

კვლავ წარმოთქვა უცნობი სიტყვები და დადუმდა.

გაის უნდოდა ეკითხა, რა იყო ციური ქვები, მაგრამ ამ დროს ძირს მარჯვენა მხარეს უცნაურ მოძრაობას მოჰკრა თვალი. დააკვირდა. ტყის ჭუჭყიან-მწვანე საბნის თავზე ნელა ფუვდებოდა მძიმე მოყვითალო გროვა. მაშინვე ვერ მიხვდა, რომ ეს კვამლი იყო. შემდეგ გროვის წიაღებში განათდა, მისგან ზევით გრძელი, შავი სხეული ასრიალდა და იმავე წამს ჰორიზონტი უეცრად ძალიან გადაიფერდა, კედლად აღიმართა და გაი სამაჯურებს ჩააფრინდა. ავ-ტომატი მუხლებიდან ჩამოუცურდა და იატაკზე გაგორდა. „მასარაკშ, - გაისმა ყურსაცვამებში მაქსიმის სისინი, - ეს რაღაა! ოჰ, რა სულელი ვარ!“ ჰორიზონ-ტი კვლავ გასწორდა, გაიმ თვალებით დაუწყო ძებნა კვამლის ყვითელ გრო-ვას, ვერ იპოვა, წინ გაიხედა და უეცრად შენიშნა, როგორ ავარდა მათ წინ ტყეში ფერადი შხეფების შადრევანი, ცეცხლმა იელვა, გრძელი, შავი სხეული კვლავ ნელა აიჭრა ცაში და თვალისმომჭრელ თეთრ ბურთად იქცა. გაიმ თვა-ლებზე ხელი აიფარა. თეთრი ბურთი სწრაფად გაუფერულდა, გაშავდა და გიგანტური მელნის ლაქად გაიდღაბნა. ფეხქვეშ იატაკმა ჩავარდნა იწყო, გაიმ ფართოდ დააღო პირი, რათა ღრმად ჩაესუნთქა ჰაერი, წამით მოეჩვენა, რომ კუჭი სადაცაა გარეთ გამოუხტება. კაბინაში ჩამობნელდა, დაგლეჯილი შავი კვამლი მათკენ წამოსრიალდა და განზე გადაუხვია, ჰორიზონტი კვლავ გა-დაიფერდა, ტყე ახლა მარცხნივ, მათგან სულ ახლოს იყო. გაიმ თვალები და-ხუჭა და მოიკუნტა, დარტყმის, ტკივილის, დაღუპვის მოლოდინში. ჰაერი არ ყოფნიდა, ირგვლივ ყველაფერი ზანზარებდა და ირყეოდა. „მასარაკშ, - შიში-ნებდა მაქსიმი ყურსაცვამში, - ოცდაცამეტჯერ მასარაკშ...“ და ამ დროს გვერ-დით კედელზე მოკლე და გააფთრებული კაკუნი გაისმა, თითქოს ვიღაც ტყვიამფრქვევიდან სულ ახლოს ისვრისო, გაის ცივი ჰაერი ეძგერა სახეში, ჩაფხუტი ჩამოგლიჯა. ის ოთხად მოიკეცა, რათა ღრიალისა და ქარისთვის აე-რიდებინა თავი. „დავიღუპეთ, - ფიქრობდა გაი, - ახლა დაგვიშენენ“... მაგრამ არაფერი ხდებოდა, ბომბდამშენი კიდევ რამდენჯერმე შეირყა, რამდენჯერმე

რაღაც ორმოებში ჩავარდა და კვლავ ამოყვინთა. შემდეგ კი ძრავების ღმუილი უეცრად შეწყდა და ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ ხვრელებში შემოვარდნილი ქარის შხუილი არღვევდა.

გაიმ ცოტა დაიცადა, შემდეგ ფრთხილად ასწია თავი, რათა ჰაერის ყინულოვანი ნაკადი პირდაპირ არ მოხვედროდა სახეში. მაქსიმი იქვე იყო. დაძაბული ორივე ხელით ბერკეტს ჩაფრენოდა, ხან ხელსაწყოებს დასცქეროდა, ხან წინ იყურებოდა, ყავისფერ კანქვეშ კუნთები დაძაგროდა. არაბუნებრივად ცხვირაწეული ბომბდამშენი უცნაურად მიფრინავდა. ძრავები აღარ მუშაობდა. გაიმ ფრთას მოხედა და შეკრთა: ის იწვოდა.

- ხანძარი გაგვიჩნდა! - შეჰყვირა და შეეცადა წამომხტარიყო, მაგრამ ღვედებმა არ გაუშვეს.

- მოისვენე! - კბილებშუა გამოცრა მაქსიმმა ისე, რომ არც მოუხედავს.

გაი თავს მოერია და წინ, სივრცეს დაუწყო ყურება. ბომბდამშენი სულ დაბლა მიფრინავდა. შავი და მწვანე ლაქების მონაცვლეობა თვალს უჭრელებდა. წინ კი უკვე მბრწყინავი, ფოლადისფერი ზღვის ზედაპირი გადაშლილიყო.

„ნამდვილად დავიმსხვრევით, - გაიფიქრა გულისფანცქალით. - დასწყევლოს ღმერთმა პრინც-ჰერცოგი ამ თავისი წყეული ბომბდამშენიანად, მასარაკშ, ესეც იმპერიის ნამსხვრევია, რაღა. გვევლო ჩვენთვის ფეხით და არაფერი მოგვივიდოდა, ახლა კი დავიფერფლებით ან დავიმსხვრევით, ან კიდევ წყალში ჩავცვივდებით და იქ ვიპოვით აღსასრულს... მაქსიმს რა უჭირს, მკვდრეთით აღდგება, ჩემი საქმე კი წასულია... არ მინდა“.

- ნუ ბორგავ, - უთხრა მაქსიმმა. - გამაგრდი... ახლა...

ძირს ტყე უეცრად ჩათავდა. გაიმ წინ პირდაპირ მისკენ მომქროლავი ფოლადისფერი წყლის ზედაპირი დაინახა და თვალები დახუჭა.

დარტყმა ტკაცანი. შემაძრწუნებელი შიშინი. კვლავ დარტყმა. და ისევ დარტყმა. ყველაფერი ეშმაკმა წაიღო, ყველაფერი დაიღუპა, ყველაფერი გათავდა... შიშით შეპყრობილი გაი ყვირის. რაღაც უზარმაზარი ძალა, ჩაფრენია და ცდილობს ადგილს მოგლიჯოს სავარძლიან-ღვედებიანად, გულ-ღვიძლიანად, ირგვლივ ყველაფერი ტკაცუნობს და იმსხვრევა, დამწვრის სუნი დგას და ნელთბილი წყალი შხეფებად იღვრება. შემდეგ ყველაფერი ჩუმდება. სიჩუმეში უცებ შხაპუნი და ჩუხჩუხი ისმის. რაღაც შიშინებს და ტკაცუნებს, ია-

ტაკი ნელა იწყებს რყევას. ეტყობა, უკვე შეიძლება თვალების გახელა და ნახვა, რა ამბავია საიქიოში...

გაიმ თვალები გაახილა და დაინახა, რომ მაქსიმი თავს წასდგომოდა და ღვედებს უხსნიდა.

- ცურვა თუ იცი?

„ეჰე, ეტყობა, ცოცხლები ვართ“.

- ვიცი, - უპასუხა გაიმ.

- მაშ, წავიდეთ.

გაი ფრთხილად წამოდგა. ეგონა ნაგვემი და დამტვრეული სხეული ძალიან ეტკინებოდა, მაგრამ სხეულს არა უშავდა რა. ბომბდამშენი ნელა ქანაობდა მომცრო ტალღაზე. მარცხენა ფრთა აღარ ჰქონდა, მარჯვენა კი რაღაც ნახვრეტებიანი ლითონის სალტეთი მიმაგრებული ფომფლოდ ერწეოდა. ნაპირი ცხვირის პირდაპირ იყო, ეტყობოდა, ბომბდამშენი დაშვების დროს მკვეთრად შემოტრიალდა.

მაქსიმმა ავტომატი აიღო, ზურგზე მოიკიდა და კარი გახსნა. კაბინაში მაშინვე წყალი შემოვარდა, ბენზინის სუნი დატრიალდა, ფეხქვეშ იატაკმა ხელა დაიწყო გადახრა.

- წინ! - ბრძანა მაქსიმმა. გაი თვითმფრინავიდან მორჩილად გამოძვრა და ტალღებზე დაეტყეპა.

ჯერ თავიანად ჩაიძირა, შემდეგ ამოყურყუმელავდა და ფურთხებ-ფურთხებით ნაპირისაკენ გაცურა. ნაპირი ახლოს იყო, მყარი ნაპირი, რომელზეც შეიძლებოდა გევლო, დაცემულიყავი კიდეც, მაგრამ არაფერი მოგივიდოდა. მაქსიმი მის გვერდით უხმაუროდ მიაპობდა ტალღებს. მასარაკშ, რა თევზივით ცურავს, თითქოს წყალში დაიბადაო... გაი ქშინავდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იქნევდა ხელ-ფეხს, კომბინეზონ-ჩექმებიანად ცურვა ძალიან უჭირდა და მართლა სული მოითქვა, როცა ფეხქვეშ ქვიშიანი ფსკერი მოსინჯა. ნაპირამდე ჯერ კიდევ საკმაო მანძილი იყო, მაგრამ ფეხდაფეხ წავიდა, გზას ჭუჭყიან, ზეთიანი ლაქებით დაფარულ წყალში მიიკვლევდა. მაქსიმი კი ცურვას განაგრძობდა, გაის გაუსწრო და პირველი ავიდა დამრეც ქვიშიან ნაპირზე. როცა გაი ტორტმანით მიუახლოვდა, ის ფეხებგაჩაჩხული იდგა და ცას შეყურებდა. გაიმაც ახედა ცას. ცაზე უამრავი შავი ლაქა იყო.

- ძლივს არ გადავრჩით, - დაილაპარაკა მაქსიმმა. - ათი ცალი გამოუშვეს.

- ვინ? - ჩაეკითხა გაი თან წყლის გამოსადევნად ყურზე ხელს იტყაპუნებდა.

- რაკეტები... სულ დამავიწყდა ისინი... რამდენი წელი ელოდნენ, როდის გადავუფრენდით, როგორც იქნა, ეღირსათ... მაინც როგორ ვერ მივხვდი!

გაიმ უკმაყოფილოდ გაიფიქრა, ხომ შეიძლებოდა თვითონაც მიხვედრილიყო, მაგრამ ვერ მიხვდა. არადა ჯერ კიდევ ორი საათის წინ შეეძლო ეთქვა: როგორ უნდა გავფრინდეთ, მაკ, თუ ტყე რაკეტების შახტებითაა სავსე? არა, პრინც-ჰერცოგო, რა თქმა უნდა, უღრმეს მადლობას გწირავთ, მაგრამ აჯობებდა თვითონ გეფრინათ თქვენი ბომბდამშენით. ზღვას მოხედა. „მთის არწივი“ თითქმის ჩაძირულიყო, დამსხვრეული სართულებიანი კუდი საცოდავად მოუჩანდა წყლიდან.

- რაც არის, არის, - თქვა გაიმ, - ეტყობა, უკვე ვეღარ მივაღწევთ კუნძულის იმპერიას. რა ვქნათ?

- უწინარეს ყოვლისა, წამალი დავლიოთ, - უპასუხა მაქსიმმა, - ამოიღე.

- რატომ? - ჰკითხა გაიმ. მას ჭირივით ეჯავრებოდა აბები.

- ძალიან ჭუჭყიანი წყალია, - უთხრა მაქსიმმა, - მთელი კანი მეწვის. ერთბაშად ოთხ-ოთხი აბი უნდა ჩავყლაპოთ, თუმცა აჯობებდა ხუთ-ხუთი მიგვეღო.

გაიმ სასწრაფოდ ამოიღო ერთი ამპულა, ხელზე დაიყარა ათი ყვითელი ბურთულა და ორივემ გაიყო ეს ულუფა.

- ახლა კი წავიდეთ, - თქვა მაქსიმმა. - აიღე ავტომატი.

გაიმ ავტომატი აიღო, პირში დაგროვილი სიმწარე გადააფურთხა და ქვიშაში ეფლობოდა, ისე მაქსიმის კვალდაკვალ ნაპირს გაუყვა. ცხელოდა, კომბინიზონი სწრაფად შეაშრა, ოღონდ ჩექმებში ჯერ კიდევ გაუდიოდა წყალს ჭყაპაჭყუპი. მაქსიმი სწრაფად მიდიოდა მტკიცე ნაბიჯებით, თითქოს ზუსტად იცოდა, საით უნდა წასულიყო, თუმცა ირგვლივ არაფერს ხედავდნენ, მხოლოდ ზღვა იყო მარცხნივ, მათ წინ კი, მარჯვენა მხარეს, ფართო პლაჟი გადაშლილიყო. წყლიდან ერთ კილომეტრზე მაღალი დიუნები მოჩანდა რომელთა მიღმა ტყეში ხეების აბურძგნილი კენწეროები გამოკრთოდა დროდადრო.

სამი კილომეტრი ისე გაიარეს, რომ გაის არ შორდებოდა ფიქრი, სად მივდივართ და საერთოდ სად ვიმყოფებითო, მაქსიმს არ ეკითხებოდა, უნდოდა,

თვითონ მიმხვდარიყო, მაგრამ ყველა გარემოება რომ გაიხსენა, მხოლოდ იმას მიხვდა, რომ სადღაც წინ, ჩრდილოეთში, ცისფერი გველის შენაკადი უნდა იყოს, ხოლო თვითონ სად მიდიან - არავინ იცის, და არც ის იცის, რატომ. ბოლოს ხელი ჩაიქნია, იარაღს ხელი შეავლო, ძუნძულით დაეწია მაკს და შემდგომი გეგმები გამოჰკითხა.

მაქსიმმა სიამოვნებით უპასუხა, ჯერჯერობით არავითარი გარკვეული გეგმები არა გვაქვს და ისღა დაგვრჩენია, შემთხვევითობას მივენდოთო. იქნებ ბედმა გაუღიმოთ, რომელიმე თეთრი სუბმარინა მოადგეს ნაპირს და ლეგიონერებს დაასწრონ მასზე ასვლა. მაგრამ მშრალ ქვიშნარში საეჭვო სიამოვნებაა ასეთი შემთხვევის იმედად ყოფნა, ისევ ჯობია ეცადონ სადღაც აქ, ახლომახლო მყოფ კურორტამდე მიაღწიონ. თვით ქალაქი, რა თქმა უნდა, დიდი ხანია ნანგრევებად იქცა, მაგრამ წყაროები იქ შემორჩენილი უნდა იყოს და საერთოდ გადახურულში მაინც იქნებიან, ღამეს ქალაქში გაათევენ, შემდეგ კი, ვინ იცის, სანაპიროზე რამდენ ხანს მოუწევთ ყურყუტი.

გაიმ ფრთხილად შენიშნა, ეს გეგმა, ცოტა არ იყოს, უცნაური მეჩვენებაო, მაკმა კვერი დაუკრა და მაშინვე ჰკითხა, იქნებ მარაგად რაიმე უფრო ჭკვიანური გეგმა გქონდესო. სამწუხაროდ, არავითარი გეგმა არა მაქვს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ჟანდარმთა სატანკო პატრულები, რომლებიც სანაპიროს გასწვრივ ძალიან შორს მიდიან სამხრეთისაკენო, - უპასუხა გაიმ. მაქსიმი მოიღუშა და თქვა, ეს ცუდია, ფხიზლად უნდა ვიყოთ, რათა მოულოდნელად არ წამოგვადგნენ თავსო, შემდეგ კი დაწვრილებით გამოკითხა გაის პატრულების ტაქტიკის ამბავი. რა გაიგო, ტანკები სანაპიროს იმდენად როდი პატრულობენ, რამდენადაც ზღვასო, და თუ დიუნებში ჩაწვები, მათგან დამალვა ადვილიაო, დამშვიდდა და რაღაც მარშის სტვენა წამოიწყო.

კიდევ ორი კილომეტრი გაიარეს ამ მარშით, ამასობაში გაი სულ იმას ფიქრობდა, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ პატრული დაგვინახავსო. ბოლოს მოიფიქრა და თავისი მოსაზრებები მაქსიმს გაუზიარა.

- თუ დაგვინახეს, - თქვა მან, - მოვიტყუოთ, თითქოს მე გადაგვარებულებმა გამიტაცეს ხოლო შენ გამოუდექი და წაართვი ჩემი თავი, ერთხანს უგზოუკვლოდ დავეხეტებოდით ტყეში და აი, დღეს გამოვედით აქ...

- მერე რას მოგვცემს ეს? - ჰკითხა მაქსიმმა უხალისოდ.

-იმას მოგვცემს. - თქვა გაიმ ბრაზით, - რომ უკიდურეს შემთხვევაში, მა-

შინვე მაინც არ მიგვახვრეტენ.

- ამაზე ბოდიში, - მტკიცედ თქვა მაქსიმმა.- მეტს აღარ მივცემ ნებას, მიმახვრიტონ, არც შენს თავს დავანებებ.

- თუ ტანკი იქნა? - ჰკითხა აღტაცებულმა გაიმ.

- მერე რა? - თქვა მაქსიმმა. - დიდი ამბავი...

გაი ერთხანს დუმდა, მერე კი შეფიქრიანებულმა უეცრად წარმოთქვა:

- იცი, ურიგო არ იქნებოდა, ტანკი გვეგდო ხელთ.

მაქსიმს ძალიან მოეწონა ეს აზრი.

- ჩინებული იდეაა, გაი, - თქვა მან, - ასეც მოვიქცეთ. ხელთ ვიგდოთ ტანკი. როგორც კი გამოჩნდებიან, მაშინვე დაუშინე ჰაერს ავტომატი! მე ხელებს ზურგზე დავიწყობ, თითქოს შენ ბადრაგი იყო და პირდაპირ მათკენ მიგყავდე. იქ კი ჩემზე იყოს. ოღონდ იცოდე, განზე დადექი, ფეხებში არ გამომედო და, რაც მთავარია, მეტი არ ისროლო...

გაი აენთო და მაშინვე შესთავაზა, დიუნებზე ვიაროთ, რათა შორიდან დაგვინახონო. ასეც მოიქცნენ, დიუნებზე ავიდნენ.

და მაშინვე თეთრი სუბმარინა დაუდგათ თვალწინ.

დიუნებს იქიდან მომცრო წყალმარჩხი ყურე და ნაპირიდან ასიოდე მეტრის სიშორეზე აღმართული სუბმარინა მოჩანდა. კაცმა რომ თქვას, ის სულ არ ჰგავდა სუბმარინას, მით უმეტეს თეთრს. გაიმ თავდაპირველად იფიქრა, ან გიგანტური ორკუზიანი ცხოველის ლეშია ან უცნაური ფორმის კლდე, რომელიც, ვინ იცის რატომ აღმართულა ქვიშებიდანო. მაგრამ მაქსიმი მაშინვე მიხვდა, რა იყო ეს. ისიც კი გაიფიქრა, რომ სუბმარინა აქ უკვე რამდენიმე წელია მიგდებულია და დგას ქვიშაში ჩაფლული.

ასეც იყო. ყურესთან წყლისპირას ჩავიდნენ და გაიმ შენიშნა, რომ გრძელი კორპუსი და ორივე ზედგმული ჟანგის ლაქებს დაუფარავს, თეთრი საღებავი შემოქერცლილია, საარტილერიო მოედანი გადაფერდილა და ზარბაზანი წყალს მისჩერებია. გარსამოსზე გაჭვარტლულკიდეებიან შავ ნახვრეტებს დაუღია პირი, - რა თქმა უნდა, გამორიცხული იყო, იქ რაიმე ცოცხალი არსება დარჩენილიყო.

- ნამდვილად თეთრი სუბმარინაა? - იკითხა მაქსიმმა. - წინათ თუ გინახავს?

- ვფიქრობ, ისაა, - უპასუხა გაიმ. - სანაპიროზე არასდროს მიმსახურია,

მაგრამ მინახავს ფოტოსურათები, მენტოგრამები... აგვიწერდნენ... ის არის, ალბათ შტორმმა გამორიყა ყურეში, მეჩეჩს შეახტა, ამ დროს კი პატრულმაც მოუსწრო... ხედავ, როგორ ამოუჩიჩქნიათ? გარსამოსი კი არა, ნამდვილი ცხავია.

- კი, ჰგავს... - ჩაიბურტყუნა მაქსიმმა, სუბმარინას რომ დააკვირდა, - წავიდეთ, ვნახოთ?

გაი შეიშმუშნა.

- საერთოდ, რასაკვირველია, შეიძლება, - ალუღლუღდა იგი.

- რატომ?

- როგორ გითხრა...

მართლაც როგორ უთხრას? ერთხელ კაპრალი სერემბეში, ნაცადი მეომარი ჰყვებოდა მძინარე, ჩამობნელებულ ყაზარმაში, თეთრი სუბმარინებით ჩვეულებრივი კი არა, მკვდარი მეზღვაურები დაცურავენო, სამსახურის მეორე ვადას იხდიან, ხოლო ზოგიერთი ლაჩარი, ვისაც შიშით ამოძვრა სული, სამსახურს ამთავრებსო... ზღვის დემონები დაფათურობენ ზღვის ფსკერზე, დამხრჩვალებს იჭერენ და მათგან ეკიპაჟებს ადგენენო. მიდი და მოუყევი ასეთი რამე მაკს, სასაცილოდ აგიგდებს, სასაცილო კი აქ ნამდვილად არაფერია... ნამდვილი რიგითი ლეპტუ, ჩამოქვეითებული ოფიცერი, კი ამბობდა: „ეს ყველაფერი, ბიჭებო, სისულელეა, ჩვენი გადაგვარებულები, ყოველგვარი მუტანტები, რადიაცია, ყველაფერი შეიძლება გადაიტანო და დაძლიო, მთავარია ღმერთს ევედრეთ, თეთრ სუბმარინაზე არ მოგახვედროთ; ჯობია ჩაიძიროთ, სანამ თუნდაც ხელს შეახებდეთ, მე ხომ ვიცი...“ კაცმა არ იცოდა, რატომ ჩამოაქვეითეს ლეპტუ, მაგრამ წინათ სანაპირობზე მსახურობდა და საგუშაგო კატარღის მეთაური იყო.

- იცი, - თქვა გაიმ გულშიჩამწვდომი ხმით, - ათასგვარი ცრურწმენები, ლეგენდები დადის... მე აღარაფერს გეტყვი მათ შესახებ, მაგრამ როტმისტრი ჩაჩუ ამბობდა, ყველა ეს სუბმარინა მოწამლულია და მათზე ასვლა აკრძალულიაო... ბრძანებაც კია ასეთი, ამბობენ, თითქოს დაზიანებული სუბმარინები...

-კარგი, - თქვა მაქსიმმა,- შენ აქ იყავი, მე კი წავალ, ვნახოთ, მართლა მოწამლულია თუ არა.

გაიმ, ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ მაქსიმი უკვე წყალში ჩახტა, ჩაყ-

ვინთა და დიდხანს არ გამოჩენილა; გაის სუნთქვაც შეეკრა, სანამ შავთმიანი თავი ზუსტად სუბმარინის გაშვლეპილ ქიმთან არ გამოჩნდა. ყავისფერი ფიგურა გადაფერდილ გემბანზე ისე მარდად და სხარტად აცოცდა, თითქოს კედელზე ბუზი მიცოცავსო, ცხვირის ზედგმულზე ავარდა და გაქრა. გაიმ მძიმედ ამოიოხრა, რამდენჯერმე ადგილზე ფეხი მოიცვალა და წყლის გასწვრივ გაიარ-გამოიარა, თან თვალს არ აშორებდა მკვდარ ჟანგმოდებულ ურჩხულს.

სიწყნარე იყო, ტალღების ჩქამიც არ ისმოდა ამ მკვდარ ყურეში. ცარიელი თეთრი ცა, უსიცოცხლო თეთრი დიუნები, ყველაფერი მშრალი, ცხელი, გაშეშებული. გაიმ სიძულვილით შეხედა ჟანგიან ჩონჩხს. „ესეც ბედია, რაღა: სხვები წლობით მსახურობენ და არავითარ სუბმარინებს არ აწყდებიან, ჩვენ კი ციდან ჩამოვვარდით, ერთი საათი ვიარეთ და აი, ისიც გამოგვეცხადა... ნეტა როგორ გავბედე ასეთი საქმე? სულ მაქსიმის ბრალია... მას სიტყვით ყველაფერი ისე კარგად გამოსდის, თითქოს არც საფიქრალია რამე, არც საშიში... თუმცა, იქნებ იმიტომ არ მეშინოდა, რომ თეთრი სუბმარინა ცოცხალი, თეთრი, მორთულ-მოკაზმული წარმომედგინა, თითქოს გემბანზე მეზღვაურები დგანან, ყველა თეთრებში გამოწყობილი... აქ კი რკინის გვამია... ან რა უსიცოცხლო ადგილებია, ნიავიც კი არ იძვრის... არადა ქარი ქროდა, ნამდვილად მახსოვს: სანამ მოვდიოდით, სახეში გვცემდა, ისეთი გამამხნევებელი ნიავი იყო“. გაიმ მიდამოს სევდით მოავლო თვალი, მერე ქვიშაზე დაჯდა, ავტომატი გვერდით დაიდო და გაუბედავად დაიწყო მარჯვენა ჩექმის გახდა. „რა საოცარი სიჩუმეა!... ვაითუ სულ არ დაბრუნდეს? ვაითუ ამ რკინის მძორმა შთანთქა და აღარ არის მაქსიმი... თფუ-თფუ-თფუ...“

ის შეკრთა და ჩექმა დააგდო: ყურეზე გაჭიანურებული საშინელი ხმა გაისმა, ღმუილი იყო თუ ღრჭიალი, თითქოს ეშმაკებმა დანით გაფხიკესო ცოდვილი სული. ო, ღმერთო, ეს ხომ რკინის ლიუკი გაიხსნა უბრალოდ, მიჟანგულა ლიუკი... „თფუ, დალახვროს ეშმაკმა ოფლიც რომ დამასხა, ლიუკი გახსნა, მაშასადამე ამოძვრება... არა, არ ამოდის...“

კისერწაგრძელებული გაი რამდენიმე წუთი უყურებდა სუბმარინას, ყურს უგდებდა. სიჩუმეა. წინანდებური საშინელი სიჩუმე, და კიდევ უფრო საშინელიც ამ ჟანგიანი ღმუილის შემდეგ... შესაძლოა... ლიუკი კი არ გაიხსნა, დაიხურა? თავისით დაიხურა... გაის ჩაფერფლილ თვალებს წარმოუდგა სურათი, თუ როგორ იხურება თავისთავად ფოლადის მასიური კარი მაქსიმის

ზურგსუკან და თავისთავადვე ნელა იკეტება მძიმე ურდული... გამშრალი ტუჩები გაილოკა, თითქოს ნერწყვი გადაყლაპაო, შემდეგ კი შეჰყვირა: „ეი, მაკ!“ ძახილი არ გამოუვიდა... მხოლოდ დაიქშუტუნა... ღმერთო, რაიმე ხმას მაინც გაიგონებდეს! „ეჰე-ჰეი!“ - შეჰკივლა სასოწარკვეთილმა. „ჰე-ეი...“ - გაისმა დიუნების პირქუში გამომახილი და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

სიჩუმეა. მას კი ყვირილის ღონეც აღარა აქვს.

სუბმარინისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე მოიძია თავისი ავტომატი, აცახცახებული ხელებით გადასწია დამცავი და დაუმიზნებლად, მთელი ჯერი ყურის მიმართულებით დაცალა. მოკლე, სუსტი ტკაცანი გაისმა, თითქოს ბამბას მოხვდაო. წყლის ზედაპირზე შხეფები ავარდა და წრეები გაჩნდა. გაიმ ავტომატი უფრო მაღლა ასწია და კვლავ დააჭირა თითი სასხლეტს. ამჯერად ტყვიები ლითონზე აგრუხუნდა, გაისმა რიკოშეტების წივილი, რასაც გამოძახილი მოჰყვა. და მორჩა, ჩამიჩუმიც აღარ ისმოდა. თითქოს გაი აქ მარტოაო, თითქოს მუდამ მარტო იყო. თითქოს არავინ იცის, როგორ მოხვდა აქ. რამ შემოაგდო ამ უსიცოცხლო ადგილზე, თითქოს კოშმარულ სიზმარში იყოს, რომლიდანაც ვერა და ვერ გამოფხიზლებულა და სამუდამოდ უნდა დარჩეს აქ.

გონდაკარგულმა გაიმ ცალ ფეხზე ჩექმიანად შეტოპა წყალში, ჯერ ნელა მიდიოდა, მერე აუჩქარა, თან სლუკუნებდა და ხმამაღლა იგინებოდა. სულ უფრო უახლოვდებოდა ჟანგიან მახინას, ხან ფსკერზე მიაბიჯებდა, ხან მიცურავდა, როგორც იქნა, ქიმამდე მიაღწია, შეეცადა აცოცებულიყო - არაფერი გამოუვიდა, კიჩოდან შემოუარა, რაღაც გვარლებს ჩაებღაუჭა, ხელები და მუხლები გადაიყვლიფა, გემბანზე აცოცდა და შეჩერდა, თან ცრემლებად იღვრებოდა. უკვე ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მაქსიმი დაიღუპა. „ეჰ-ეი!“ - შესძახა ჩავარდნილი ხმით.

ჩამიჩუმი არ ისმოდა.

გემბანი ცარიელი იყო, დაცხრილულ რკინას ხმელი წყალმცენარეები მიწებებოდა, გეგონებოდათ, რკინა ჩამოცვენილი თმებით დაფარულაო. ცხვირის ზედგმული უზარმაზარ ლაქებიან სოკოდ გადმომხობოდა თავზე, გვერდით ჯავშანში ფართო დაგლეჯილ ჭრილობას დაეღო პირი. გაიმ რკინაზე ჩექმის ბრახუნით შემოუარა ზედგმულს და ზევით ასასვლელი რკინის სახელურები დაინახა, რომლებიც ჯერ კიდევ სველი იყო. ავტომატი ზურგზე მოიგდო. აძ-

ვრა. დიდხანს, მთელი საუკუნე მიცოცავდა სულშემხუთავ სიჩუმეში გარდუ-ვალი სიკვდილის შესახვედრად, აძვრა და ოთხზე შემდგარი გაირინდა. ურ-ჩხული უკვე ელოდებოდა, ლიუკი ფართოდ იყო გაღებული, თითქოს ასი წე-ლი არ დახურულაო, ანჯამებიც კვლავ მიჟანგულიყო, - გთხოვთ, მობრძანდი-თო. შავ, გაღებულ ხახასთან მიცოცდა, ჩაიხედა... თავბრუ დაესხა, გული აერია, რკინის ხახიდან სქელ მასად ამოჩრილიყო სიჩუმე, წლობით დაგუბე-ბული, ჩაშმორებული სიჩუმე. და უეცრად წარმოიდგინა, რომ იქ, ყვითელ დამპალ სინათლეზე, ტონობით ასეთი სიჩუმით გაჭყლეტილი კეთილი მეგო-ბარი მაკი მარტო ჩაბმულა ყველას წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. თავდაუზოგავად იბრძვის და იძახის: „გაი! გაი!“ სიჩუმეს კი ეცი-ნება ზანტად ყლაპავს ამ ძახილს და ყოველი მხრიდან აწვება მაკს, სრესს, ახ-რჩობს, ჭყლეტს. ამის ატანა შეუძლებელი იყო და გაი ლიუკში ჩაძვრა.

ის ტიროდა და ჩქარობდა, ბოლოს იმდენი ქნა, რომ ჩავარდა. რამდენიმე მეტრი მიგორავდა და ქვიშაზე მოადინა ზღართანი. აქა-იქ დაკიდებული მტვრიანი ნათურებით მქრქალად განათებულ რკინის დერეფანში აღმოჩნდა. შახტქვეშ იატაკზე წლების მანძილზე დალექილი წვრილი ქვიშა იდო. გაი წა-მოხტა, ჯერ კიდევ ჩქარობდა, ჯერ კიდევ ძალიან ეშინოდა, არ დაგვიანებოდა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა ყვირილით:

- მე აქა ვარ, მაკ!.. მოვდივარ... მოვდივარ...

- რა გაყვირებს? - უკმაყოფილოდ ჰკითხა მაქსიმმა, რომელიც თითქოს კედლიდან გამოძვრა. - რა მოხდა? თითი ხომ არ გაიჭერი?

გაი შეჩერდა და ხელები ჩამოუცვივდა. ლამის გული წასვლოდა, იძულე-ბული გახდა, ტიხარს ჩამოყრდნობოდა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, მისი ძგე-რა დოლის ბრახუნად ჩაესმოდა ყურებში, ხმა არ ემორჩილებოდა. მაქსიმი ერთხანს გაოცებული უყურებდა, შემდეგ, ჩანდა, მიხვდა, დერეფანში შემოძ-ვრა - ამ დროს ნაკვეთურის კარმა კვლავ ყურთასმენის წამღებად გაიჭრიალა - და გაისთან მივიდა, მხრებში ჩაავლო ხელები, შეანჯღრია, მერე გულში ჩაიკ-რა, გადაეხვია და გაიც რამდენიმე წამით ნეტარ თავდავიწყებას მიეცა, სახე მაკის მკერდში ჩარგო და თანდათან გონს მოსვლა იწყო.

- მე მეგონა... რომ შენ აქ... რომ შენ...

- არაფერია, არაფერი, - თქვა მაქსიმმა ალერსიანად, - ჩემი ბრალია, მაშინვე უნდა გამოგხმაურებოდი, მაგრამ აქ ისეთი უცნაური რამეებია, დავიბენი.

გაიმ თავი გასწია, ცხვირი სველი სახელოთი მოიწმინდა, შემდეგ კი სველი ხელი სახეზე ჩამოისვა და მხოლოდ ახლა დაუბრუნდა სირცხვილის გრძნობა.

- შენ არ ჩანდი, - თქვა გულმოსულმა, თან თვალებს მალავდა, - გეძახდი, ვისვრიდი... ნუთუ ასე ძნელი იყო პასუხი გაგეცა?

- მასარაკშ არაფერი არ გამიგონია, - დამნაშავესავით თქვა მაქსიმმა, - გესმის, აქ დიდებული რადიომიმღებია... არც კი მეგონა, თუ თქვენში ასეთი მძლავრების დამზადება იცოდნენ...

- „მიმღები, მიმღები“... - ბუზღუნებდა გაი და რეჩხოდ გამოღებულ კარში ლამობდა გასვლას, - შენ აქ ერთობი, ადამიანი კი შენს გამო კინაღამ შეიშალა... რა აქვთ აქ მათ?

საკმაოდ ფართო ოთახში, იატაკზე დაფხრეწილი ხალიჩა ეგო, ჭერზე სამი მომრგვალებული პლაფონი ეკიდა, რომელთაგან მხოლოდ ერთი ენთო. შუაში სავარძლებშემოწყობილი მრგვალი მაგიდა იდგა. კედლები დაფარული იყო ჩარჩოებში ჩასმული რაღაც უცნაური ფოტოსურათებით, სურათებით, ხავერდის გადასაკრავის ნაფლეთებით. კუთხეში ტკაცუნებდა და ყმუოდა დიდი რადიომიმღები, როგორიც გაის არასოდეს ენახა.

- აქ რაღაც კაიუტ კომპანიის მაგვარია, - თქვა მაქსიმმა, - გაიარე, დაათვალიერე, სანახავი ბევრია.

- ეკიპაჟი სადღაა? - იკითხა გაიმ.

- არავინ არის. არც ცოცხლები ჩანან, არც მკვდრები. ქვედა ნაკვეთურები წყლითაა სავსე. ვფიქრობ, ყველანი იქ არიან...

გაიმ გაკვირვებით შეხედა. მაქსიმმა განზე გაიხედა, შეწუხებული, ჩანდა.

- იცი, რა უნდა გითხრა, - თქვა მან, - ვგონებ, კარგია რომ იმპერიამდე ვერ ჩავაღწიეთ. შეხე, შეხე...

ის მიმღებს მიუჯდა და სახელურები დაატრიალა, ხოლო გაიმ, რომელმაც არ იცოდა, რით დაეწყო, ჯერ გაიხედ-გამოიხედა, მერე კედელთან მივიდა და ფოტოსურათებს დაუწყო თვალიერება. ერთხანს ვერაფერი გაუგო მათ. მერე მიხვდა: რენტგენოგრამებია. მას მქრქალი, ერთმანეთის მსგავსი თავის ქალები შემოსცქეროდნენ. ყოველ სურათს გაურკვეველი წარწერა ჰქონდა, თითქოს ავტოგრაფებიაო. ეკიპაჟის წევრები არიან? ან იქნებ სახელგანთქმული ადამიანები იყვნენ?... გაიმ მხრები აიჩეჩა, აქ შეიძლება ძია კაანი მიმხვდარიყო

რამეს, ჩვენ კი, უბრალო მოკვდავნი...

შორეულ, კუთხეში დიდი ფერადი პლაკატი შენიშნა, ლამაზი პლაკატი, სამფეროვანი... მართალია, ობი მოჰკიდებია... პლაკატზე გამოსახული იყო ლურჯი ზღვა, ნარინჯისფერ ლამაზ კაცს, რომელიც ზღვიდან ამოდიოდა, ცალი ფეხი უკვე შავ ნაპირზე დაედგა, მას უცნობი ფორმა ეცვა, დაძაგრული კუნთები და სანახევროდ მძლავრი კისრისგან შემდგარი არაპროპორციულად პატარა თავი ჰქონდა. გოლიათს ცალ ხელში გაუგებარწარწერიანი გრაგნილი ეჭირა, მეორე ხელით ხმელეთზე მოგიზგიზე ჩირაღდანს არჭობდა მიწაში. ჩირაღდნის ალს ხანძარი წაეკიდებინა რომელიღაც ქალაქისათვის, ცეცხლში იკრუნჩხებოდნენ ყოვლად საზიზღარი მახინჯები, კიდევ თორმეტიოდე მახინჯი აქეთ-იქით გარბოდა. პლაკატის ზედა ნაწილში დიდი კუდიანი ასოებით რაღაც ეწერა. ასოები ნაცნობი იყო, მაგრამ მათგან შემდგარ სიტყვებს ვერ წაიკითხავდი.

რაც უფრო მეტს უყურებდა გაი პლაკატს, მით ნაკლებად მოსწონდა. რატომღაც გაახსენდა ყაზარმის პლაკატი: იქ გამოსახული იყო შავი არწივი - ლეგიონერი (მასაც ძალზე პატარა თავი და დაძაგრული კუნთები ჰქონდა), ის გიგანტური მაკრატლით უშიშრად ჭრიდა თავს ზღვიდან ამომძვრალ საზიზღარ მეჭეჭებიან ქვეწარმავალს. ახსოვს, მაკრატლების სამართებლებიდან ერთზე ეწერა: - „საბრძოლო"“, მეორეზე - „ლეგიონი“. „აჰა... - თქვა გულში გაიმ და უკანასკნელად შეხედა პლაკატს. - დაიცათ, ვნახავთ, ვნახავთ, ვინ ვის დასწვავს, მასარაკშ!“

პლაკატს ზურგი აქცია, განზე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და სახტად დარჩა:

ლაქწასმული ნატიფი თაროდან მინის თვალებით შემოჰყურებდა ნაცნობი კვადრატული სახე, რომელსაც ქერა ქოჩორი შუბლზე ჩამოშლოდა, მარჯვენა ლოყაზე კი ნაჭრილობევი ემჩნეოდა... როტმისტრი პუდურაში. ცეცხლოვანი გმირი დაუვიწყარ მკვდართა ასეულიდან, რომელმაც თერთმეტი თეთრი სუბმარინა ჩაძირა და თავადაც დაიღუპა უთანასწორო ბრძოლაში. უკვდავას თაიგულით შემკული მისი ბიუსტი ყოველ პლაცზე იდგა, ხოლო მისი გამხმარი, ყვითელ დამჭკნარტყავგადაკრული თავი რატომღაც აქ იყო. გაიმ უკან დაიხია. დიახ, ეს ნამდვილი თავია. აი, კიდევ თავი - უცნობი წაწვეტილი სახე... აი, კიდევ თავი... კიდევ... ეს რამდენი თავია!

- მაკ, - უთხრა გაიმ, - ნახე?

- კი, - უპასუხა მაქსიმმა.

- თავებია, - თქვა გაიმ, - ნამდვილი თავები...

- ალბომები ნახე მაგიდაზე, - უთხრა მაქსიმმა.

გაიმ ძლივს მოსწყვიტა მზერა შემაზრზენ კოლექციას, მოტრიალდა და გაუბედავად -მიუახლოვდა მაგიდას. მიმღები რაღაცას გაჰყვიროდა უცნობ ენაზე, ჟღერდა მუსიკა, რახრახებდნენ მუხტები და ისევ ვიღაც ლაპარაკობდა შემპარავი, ხავერდოვანი, მრავალმნიშვნელოვანი ხმით: „განადგურება, სრული და საბოლოო განადგურება...“

გაიმ ალალბედზე ერთი ალბომი აიღო და მაგარი, ტყავშემოკრული ყდა გადასწია. პორტრეტი. უცნაურ მოგრძო სახეს ლოყებიდან მხრებზე ჩამოშვებული ფუმფულა ბაკენბარდები შემოვლებია, შუბლზე შეჭრილი თმა, კაუჭა ცხვირი, ნესტოების უჩვეულო ჭრილი, უსიამო სახე, გაღიმებულს ვერც წარმოიდგენ. უცნობი მუნდირი, რაღაც ნიშნები თუ მედლები ორ მწკრივად... საოცარი ტიპია... ალბათ დიდი ვინმეა. გაიმ ალბომი გადაფურცლა. იგივე ტივი სხვა ტიპებთან ერთად თეთრი სუბმარინის ბოგურაზე, კვლავინდებურად მრისხანე, თუმცა დანარჩენები იკრიჭებიან. უკანა პლანზე, ფოკუსსმიღმა რაღაც სანაპიროსმაგვარი, რაღაც უცნობი შენობები, უცნაური ხეების მღვრიე სილუეტები... მომდევნო გვერდი. გაის სუნთქვა შეეკრა. გადაფერდილკოშკიანი ცეცხლწაკიდებული „დრაკონი“, ღია სათოფურზე ლეგიონერი ტანკისტის გვამი კიდია და კიდევ იქვე ორი გვამი, ერთიმეორეზე. მათ თავზე ფეზებგაჩაჩხული წამოდგომია იგივე ტიპი, დაშვებულ ხელში პისტოლეტი უჭირავს, ქუდი საარტილერიო გილზას მიუგავს. „დრაკონიდან“ სქელი, შავი კვამლი ამოდის, ადგილები კი ნაცნობია - ეს სანაპირო ქვიშიანი პლაჟი და უკან დიუნები... გაი უფრო და უფრო დაიძაბა და მართლაც უცებ თვალწინ დაუდგა მუტანტების ბრბო, ოციოდე კაცი, ყველა შიშველი, ერთი თოკით გადაბმული მახინჯების მთელი გროვა, რამდენიმე საქმით გართულ ჩაჩიან მეკობრეს ანთებული ჩირაღდნები უჭირავს, გვერდით კი კვლავ ეს ტიპი - ეტყობა, რაღაცას უბრძანებს. მარჯვენა ხელი გაუწვდია, მარცხენა კი კორტიკის სახელურზე უდევს. რა საშინლები არიან ეს მახინჯები, შეხედვა შეგზარავს... მაგრამ მომდევნო ფურცლები უფრო საშინელია.

აქ გამოსახულია მუტანტების იგივე გროვა, მაგრამ ამჯერად დამწვარი.

ტიპი მოშორებით ყვავილს ყნოსავს, გვამებისაკენ ზურგშექცეული მეორე ტიპს ესაუბრება...

აგერ ტყე. ჩამომხრჩვალი სხეულებით დაფარული უზარმაზარი ხე. ზოგი ხელებით კიდია, ზოგი - ფეხებით. ესენი უკვე მახინჯები კი არ არინ, ერთს აღსაზრდელის კუბოკრული კომბინეზონი აცვია, მეორეს ლეგიონერის შავი ქურთუკი.

აი, ბოძს მიკრული მოხუცი. სახე დამახინჯებია, თვალებდახუჭული ყვირის. ტიპი იქვეა - საქმიანი სახით ამოწმებს სამედიცინო შპრიცს...

შემდეგ კვლავ ჩამოხრჩობილები, დანახშირებული მუტანტები, აღსაზრდელები, ლეგიონერები, მეთევზეები, გლეხები, კაცები, ქალები, მოხუცები, ბავშვები... პანორამული სურათი: პლაჟის ხაზი, დიუნებზე ოთხი მანქანა, ოთხივე ცეცხლწაკიდებული, წინა პლანზე ორი შავი ხელებაწეული პატარა ფიგურა - კმარა. გაიმ სასწრაფოდ დახურა და მოისროლა ალბომი, რამდენიმე წამი იჯდა, შემდეგ ყველა ალბომი წყევლა-კრულვით ჩამოყარა ძირს, წამოხტა და მაგიდას შემოურბინა.

- შენ ამათთან აპირებ მოლაპარაკებას? - მიაძახა მაქსიმს, - ისინი გინდა მოგვიყვანო?! ეს ჯალათი?! - ალბომებს მივარდა და წიხლი კრა.

მაქსიმმა მიმღები გამორთო.

- ნუ გადაირიე, - უთხრა მან. - მე უკვე აღარაფერი მინდა. და ნუ მიყვირი, თქვენი ბრალია ყველაფერი, ხელიდან გაუშვით თქვენი სამყარო, მასარაკშ, პირუტყვებად იქეცით, უკანასკნელ მხეცს დაემსგავსეთ! რა გიყოთ ახლა? - იგი უეცრად გაის გვერდით გაჩნდა, მკერდში სტაცა ხელი, - რა გიყოთ ახლა? - შეჰყვირა მან. - რა? რა? აბა, მითხარი.

გაი უხმოდ ატრიალებდა კისერს, სუსტად უძალიანდებოდა.

- მე ვიცი, - თქვა მან კუშტად. - რომ არავის მოყვანა არ შეიძლება. ირგვლივ მხეცებია... მათ თვითონ უნდა მიუყვანო, - იატაკიდან ერთი ალბომი აიტაცა და სწრაფად დაუწყო ფურცვლა. ეს რა ქვეყანა გააბინძურეთ! - ამბობდა ის.- რა სამყარო შეხე, რა სამყარო!..

გაი მისი ხელის მიღმა იყურებოდა. ამ ალბომში არავითარი საშინელება არ იყო, იქ იდო უბრალოდ სხვადასხვა ადგილების პეიზაჟები, საოცრად ლამაზი და მკაფიო ფერადი ფოტოსურათები - მდიდარი მცენარეულობით შემოქობილი ლურჯი ყურეები, თეთრად მოქათქათე ზღვისპირა ქალაქები, ჩანჩქერი

მთის ხეობაში, რაღაც ბრწყინვალე ავტოსტრადა და მასზე ფერადი ავტომობილების ნაკადი, რაღაც ძველი ციხე-კოშკები, ცადაზიდული დათოვლილი მთები, ვიღაც თხილამურებით მხიარულად მიქრის მთის დათოვლილ ფერდობზე, ქალიშვილები იცინიან და თამაშობენ ზღვის ზვირთებში.

- სადღაა ახლა ყოველივე ეს? - ამბობდა მაქსიმი. - სად წაიღეთ? რკინაში გაცვალეთ? ეჰ, თქვე... კაცუნებო... - ალბომი მაგიდაზე დააგდო. - წავიდეთ.

გააფთრებული მიაწვა კარს, ჭრიალითა და წივილით ფართოდ გააღო და დერეფანში გავიდა.

- გშია? - ჰკითხა გაის გემბანზე.

- კი… - უპასუხა გაიმ.

- კარგი, - თქვა მაქსიმმა, - ახლავე ვჭამთ. გავცუროთ.

გაი პირველი ამოვიდა ნაპირზე, მაშინვე გაიძრო ჩექმა, ტანსაცმელიც გაიხადა და გასაშრობად გაფინა. მაქსიმი ჯერაც მოცურავდა და გაი შეშფოთებით ადევნებდა თვალს: ძალზე ღრმად ყვინთავდა მეგობარი მაკი და მეტისმეტად დიდხანს რჩებოდა წყალქვეშ. ასე არ შეიძლება, საშიშია, ნეტა როგორ ჰყოფნის ჰაერი? ბოლოს და ბოლოს მაინც ამოვიდა, თან ლაყუჩებით უზარმაზარ ძალუმ თევზს მოათრევდა. თევზს გამოთაყვანებული გამომეტყველება ჰქონდა, ვერ გაეგო, როგორ მოახერხეს შიშველი ხელებით მისი დაჭერა. მაქსიმმა წყლიდან შორს მოისროლა თევზი და თქვა:

- ვფიქრობ, ეს გამოდგება. თითქმის არა აქვს რადიოაქტიურობა. ესეც, ალბათ, მუტანტია. აბები მიიღე, მე კი ახლავე დავამზადებ. უმად იჭმება, გასწავლი, საშიმი ჰქვია... არასოდეს გიჭამია? დანა მოიტა...

გაიმ დანა მისცა და მაქსიმმა მარჯვედ და სწრაფად გამოშიგნა თევზი. უნდა ითქვას, საშიმის წუნი არ დაედებოდა. ისინი დანაყრდნენ და შიშვლები დაწვნენ ცხელ ქვიშაზე. მაქსიმმა კარგა ხნის დუმილის შემდეგ იკითხა:

- პატრულების ხელში რომ ჩავცვენილიყავით, ჩავბარებოდით, სად გაგვაგზავნიდნენ?

- როგორ თუ სად? შენ იქ, სადაც სასჯელს იხდი, მე - ჩემი სამსახურის ადგილზე... რატომ მეკითხები?

- ნამდვილად?

- უნამდვილესად... თვით გენერალ-კომენდანტის ინსტრუქციაა. რატომ მეკითხები?

- ახლავე წავიდეთ ლეგიონერების საძებნელად, - თქვა მაქსიმმა.

- ტანკი გინდა ჩაიგდო?

- არა, შენი ლეგენდის მიხედვით, ვითომ გადაგვარებულებმა გაგიტაცეს, კატორღელმა კი გადაგარჩინა.

- ჩავბარდეთ? - გაი დაჯდა. - ეს როგორ?... მეც? კვლავ დასხივების ქვეშ?

მაქსიმი დუმდა.

- მე ხომ კვლავ გამოვყეყეჩდები... - უმწეოდ წარმოთქვა გაიმ.

- არა, - თქვა მაქსიმმა.- თუმცა კი, რა თქმა უნდა... მაგრამ ეს უკვე წინანდელივით არ იქნება... შენ, რა თქმა უნდა, ცოტათი კი იქნები ყეყეჩი, მაგრამ ახლა ხომ სხვა რწმენა გექნება, სწორი... ესეც, რა თქმა უნდა... მაგრამ მაინც ჯობია. ბევრად ჯობია...

- მაინც რისთვის? - შეჰყვირა სასოწარკვეთილმა გაიმ. - რისთვის გჭირდება ეს?

მაქსიმმა სახეზე მოისვა ხელი.

- იცი, გაი, მეგობარო, - თქვა მან. - ომი დაიწყო. არ ვიცი, ჩვენ დავესხით ხონტიელებს, თუ ისინი დაგვესხნენ... ერთი სიტყვით ომია…

გაი შეძრწუნებული უყურებდა მას. ომი... რადა... ღმერთო, რატომ ხდება ეს? ისევ ყველაფერი თავიდან…

- ჩვენ იქ უნდა ვიყოთ, - განაგრძო მაქსიმმა. - მობილიზაცია უკვე გამოცხადდა, ყველას მწყობრებში უხმობენ, ჩვენს ძმას კატორღელსაც ამნისტიას აძლევენ და მწყობრში გზავნიან... ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ, გაი, კარგი იქნებოდა, შენ იყო ჩემი მეთაური…

გაი თითქმის არ უსმენდა, ხელებით თმას ჩაფრენილი ადგილზე ქანაობდა და გულში იმეორებდა: „რატომ, რატომ, თქვე დაწყევლილებო!... ოცდაცამეტჯერ დაწყევლილებო!..“

მაქსიმმა მხრებში ხელი ჩაავლო და შეანჯღრია.

- აბა, გონს მოდი - უთხრა მკაცრად. - გამაგრდი, უნდა ვიბრძოლოთ, მოსაშვებად სად გვცალია. - ადგა და კვლავ მოისვა სახეზე ხელი, - მართალია, თქვენი დაწყევლილი კოშკებით... მასარაკშ, ვერავითარი კოშკები მათ ვერ უშველით... ჩქარა ჩაიცვით და წავიდეთ. უნდა ვიჩქაროთ.

- იჩქარეთ, ფანკ, იჩქარეთ, მაგვიანდება!

- გისმენთ. რადა გაალი... ის ამოღებულია ბატონი სახელმწიფო პროკურორის უწყებიდან და ჩვენს ხელშია.

- სად?

- ჩვენთანაა, ცალკე სახლში, „ბროლის გედს“ რომ ვეძახით. ჩემს მოვალეობად ვთვლი, კიდევ ერთხელ გამოვთქვა ეჭვი ამ აქციის გონივრულობისადმი. საეჭვოა, ასეთი ქალი დაგვეხმაროს მაკის მორევაში. ასეთებს იოლად ივიწყებენ. და მაკს კიდეც რომ…

- გგონიათ, ჭკუის კოლოფი თქვენზე სულელია?

- არა, მაგრამ…

- ჭკუის კოლოფმა იცის, ვინ მოიპარა ქალი?

- მგონი, უნდა იცოდეს.

- კარგი, იცოდეს... ეს, შეიძლება ითქვას, მორჩა. შემდეგ?

- სენდი ჩიჩაკუ შეხვდა ღალღას. ვგონებ, ღალღა დათანხმდა გრაფთან შეახვედროს იმ პირობით…

- სდექ, რომელი ჩიჩაკუ? დიდშუბლა ჩიკი?

- დიახ.

- იატაკქვეშეთის საქმეები ახლა არ მაინტერესებს. მაკის საქმეზე სხვა არფერი იცით? მაშ, მომისმინეთ. ამ დაწყევლილმა ომმა მთელი გეგმები აგვირია. მე მივემგზავრები და ოცდაათი-ორმოცი დღის შემდეგ დავბრუნდები. ამ ხნის მანძილზე, ფანკ, მაკის საქმეს უნდა მორჩეთ. ჩემი ჩამოსვლისათვის აქ უნდა დამახვედროთ, ამ სახლში. მიეცით თანამდებობა, იმუშაოს, ნურაფერში ნუ შეზღუდავთ, მაგრამ აგრძნობინეთ - ძალიან, ძალიან რბილად! რომ რადას ბედი მის ხელშია... არავითარ შემთხვევაში არ შეახვედროთ ერთმანეთს... აჩვენეთ, ინსტიტუტი, უამბეთ რაზე ვმუშაობთ... გონივრულ ფარგლებში, რა თქმა უნდა. უამბეთ ჩემზე, დამხატეთ, როგორც ჭკვიანი, კეთილი, სამართლიანი კაცი, დიდი მეცნიერი. აჩვენეთ ჩემი სტატიები, სრულიად საიდუმლოთა გარდა. აგრძნობინეთ, რომ მთავრობასთან ოპოზიციაში ვარ. ინსტიტუტის დატოვების არავითარი სურვილი არ უნდა ექნეს. მე დავამთავრე. შეკითხვები გაქვთ?

- კი, დაცვა?

- არავითარი. ეს უაზრობაა.

- თვალთვალი?

- ძალიან ფრთხილი... თუმცა, ჯობია სულ არ იყოს. ნუ დააშინებთ. მთავარია, ინსტიტუტის დატოვება არ მოუნდეს... მასარაკშ, და ასეთ დროს უნდა გავემგზავრო!... მეტი არაფერი?

- უკანასკნელი კითხვა, ბოდიში, მწირო.

- ჰო?

- მაინც ვინ არის ის, რაში გჭირდებათ?

მწირი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და შემოუბრუნებლად თქვა.

- მეშინია მისი, ფანკ. ის ძალია, ძალიან საშიში კაცია.

მეჩვიდმეტე თავი

ხონტის საზღვრიდან ორას კილომეტრზე, როცა ეშელონი რომელიღაც უფერულ გაზინთულ სადგურთან დიდხანს ჩარჩა სათადარიგო გზებზე, ახლადგამომცხვარი მეორე თანრიგის რიგითი ზეფი მცველს შეუთანხმდა, წყლის წერტისკენ გაიქცა, რათა მდუღარე მოეტანა და პორტატულ მიმღებიანად დაბრუნებულმა თქვა, სადგურზე კაცმა არ იცის რა ხდება, ერთდროულად ორ ბრიგადას ამგზავრებენ, გენერლები წაიჩხუბნენ, სიფხიზლე მოადუნეს, მე კი მათი შიკრიკების, დენშჩიკების, ადიუტანტების ბრბოში გავერიე და ერთ-ერთი მათგანისაგან ეს მიმღები ვინათხოვრეო.

თბილანა ამ ცნობას მოწონების გემრიელი ჭიხვინით შეხვდა. ორმოცივე კაცი მაშინვე ზეფს შემოეხვია. დიდხანს ვერ მოეწყვნენ, ვიღაცას სახეში უთავაზეს, რომ არ შემომძვრალიყო. იგინებოდნენ და უჩიოდნენ ერთმანეთს, სანამ ბოლოს და ბოლოს მაქსიმმა არ იღრიალა: „ჩუმად, ნაძირალებო!“ მაშინ ყველამ ხმა ჩაიგდო. ზეფმა მიმღები ჩართო და ზედიზედ დაიწყო ყველა სადგურის დაჭერა.

მაშინვე გაიგეს საინტერესო ამბები. ჯერ ერთი, თურმე ომი ჯერაც არ დაწყებულიყო. არავითარი სისხლისმღვრელი ბრძოლები არ ყოფილა. ხონტიელთა მებრძოლი ლიგა შეძრწუნებული გაჰყვიროდა მთელი მსოფლიოს გასაგონად, რომ ამ ბანდიტებმა, ამ უზურპატორებმა, ამ ეგრეთ წოდებულმა ცეცხლოვანმა შემოქმედებმა ისარგებლეს საზიზღარი პროვოკაციით, რომელიც მათმავე დაქირავებულებმა, ეგრეთ წოდებული და ყბადაღებულ ხონტიელთა სამართლიანობის უნიის წევრებმა მოაწყვეს, და ახლა თავიანთ ძალებს მრავალტანჯული ხონტის საზღვრებთან უყრიანო თავს. თავის მხრივ, ხონტიელთა უნია უკანასკნელი სიტყვებით თათხავდა ხონტიელთა ლიგას, ცეცხლოვან შემოქმედთა ამ დაქირავებულ აგენტებს და დაწვრილებით ჰყვებოდა, როგორ გადარეკა საზღვრებზე ჭარბი ძალების მეშვეობით ვიღაცამ წინა ომებით დასუსტებული ვიღაცის ქვეგანაყოფები და უკან დაბრუნების საშუალებას არ აძლევს, რა გარემოებაც საბაბად გაიხადეს ეგრეთ წოდებულმა ცეცხლოვანმა შემოქმედებმა ბარბაროსული თავდასხმისათვის, რომელიც ყოველ წუთსაა მოსალოდნელი. ლიგაც, უნიაც ამ დროს თითქმის ერთნაირი ბუნდოვანი სიტყვებით ლაპარაკობდნენ რაღაც ატომურ ხაფანგებზე, რომლებიც

მზად არიან ვერაგი მტრის მოსაგერიებლად.

გარდა ამისა, ზეფმა დაიჭირა რაღაც გადაცემები მხოლოდ მისთვის ცნობილ ენებზე და შეკრებილთ აცნობა, თურმე ონდოლის სამთავრო კიდევ არსებულაო. და, კიდევ მეტიც, ავაზაკურ თავდასხმებს განაგრძობსო ხაზალგის კუნძულზე (ვაგონში ზეფის გარდა არავის სმენოდა წინათ არც ასეთი სამთავროს, არც ასეთი კუნძულის არსებობა). მაგრამ ეთერი უმთავრესად ლანძღვაგინებას გაევსო, ერთმანეთს თათხავდნენ იმ ნაწილებისა და შენაერთების მეთაურები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ორი მოშლილი რკინიგზის ხაზით მთავარ პლაცდარმზე გამძვრალიყვნენ.

სისხლის სამართლის დამნაშავეებს მიაჩნდათ, რომ მთავარია, საზღვარი გადალახო, იქ კი ყოველი კაცი თვითონ იქნება საკუთარი თავის ბატონ-პატრონი და ყოველ დაპყრობილ ქალაქში სამი დღე ითარეშებენ. პოლიტიკური დამნაშავენი მდგომარეობას უფრო უხალისოდ უყურებდნენ, მომავლისაგან კარგს არაფერს მოელოდნენ და პირდაპირ აცხადებდნენ, სასიკვდილოდ გვგზავნიან, ატომური ნაღმების ასაფეთქებლად, არც ერთი ცოცხალი არ გადავრჩებით, ასე რომ, კარგი იქნება ფრონტამდე მივაღწიოთ და იქ სადმე ჩავწვეთ, რათა არავინ გვიპოვოსო. მოდავეთა თვალსაზრისი იმდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რომ ნამდვილი საუბარი არ გამოვიდა და დისპუტი ძალიან ჩქარა შეცვალა ერთფეროვანმა ლანძღვამ: ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ საზიზღარ ზურგში მომუშავეების ბარობაზე, რომლებიც მეორე დღეა არ იძლევიან სახეთქს და ალბათ უკვე მოასწრეს მთელი დაწესებული შნაპსის დატაცება. მოჯარიმეები მზად იყვნენ, მთელი ღამე ამ საკითხზე ელაპარაკათ, ამიტომაც მაქსიმი და ზეფი ბრბოს გამოეყვნენ და გაურანდავი ფიცრების უსწორმასწორო ტახტზე აძვრნენ.

მშიერი და გაბოროტებული ზეფი დასაძინებლად მოეწყო, მაგრამ მაქსიმმა არ დაანება. „შემდეგ დაიძინებ, - მკაცრად თქვა მან, - ხვალ იქნებ ფრონტზე ვიყოთ, ჯერ კი კარგად ვერაფერზე შევთანხმებულვართ...“ ზეფმა წაიბურტყუნა, შესათანხმებელი არაფერი გვაქვს, თუ სალაპარაკოა რამე, ჯობს დილით ვილაპარაკოთ, მაქსიმი თვითონაც ბრმა არ არის და უნდა ხედავდეს, რა ჭაობში ჩავყავით თავი, ამ კაცუნებთან ვერაფერს გახდებიო. მაქსიმმა უპასუხა ჯერ კაცუნებზე როდია ლაპარაკი. დღემდე გაუგებარია, რა საჭიროა ეს ომი, ვის დასჭირდა ის და ზეფმა კეთილ ინებოს და კი არ დაიძინოს, როცა ელაპა-

რაკებიან, თავისი მოსაზრებები ჩამოყაჭოსო.

მაგრამ ზეფი არ აპირებდა „კეთილ ენება“ და არც მალავდა ამას. ის ბუზღუნებდა, ამთქნარებდა, ფეხსახვევებს ახვევდა, ილანძღებოდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, გაჭრა ჩიჩინმა, გამხნევებამ, წაქეზებამ. ზეფი ალაპარაკდა და მაქსიმს გადმოულაგა თავისი შეხედულებები ომის მიზეზებზე.

ასეთი შესაძლებელი მიზეზი, მისი აზრით, სულ ცოტა, სამი მაინც იყო. ვინ იცის, სამივე ერთად მოქმედებდა, თუ რომელიმე ერთი სჭარბობდა. ისიც შეიძლებოდა, რომ მეოთხეც არსებულიყო, რომელსაც ის, ზეფი, ჯერაც ვერ მიმხვდარიყო. უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკა. ყველასათვის ცხადია: როცა ეკონომიკა საზიზღარ მდგომარეობაშია, ყველაფერს სჯობს, ომი დაიწყო, რათა ერთბაშად ყველას ბურთი ჩასჩარო პირში. ტახი, რომელსაც ვერავინ აჯობებდა პოლიტიკაზე ეკონომიკის ზემოქმედების საკითხში, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ წინასწარმეტყველებდა ამ ომს. კოშკები კოშკებად, სიღატაკე კი სიღატაკედ. მშიერ კაცს რამდენიც გინდა უჩიჩინო, დიდი ხნით ვერ ჩააგონებ, რომ მაძღარია, ფსიქიკა ვერ უძლებს, ხოლო შეშლილი ხალხის მართვა არც ისეთი სიამოვნებაა, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ შეშლილებზე გამოსხივება არ მოქმედებს. მეორე შესაძლებელი მიზეზია კოლონიური საკითხი: გასაღების ბაზრები, იაფი მონები, ნედლეული - ყველაფერი, რაშიც ცეცხლოვან შემოქმედთ პირადი კაპიტალების დაბანდება შეუძლიათ.

და ბოლოს, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტი და სამხედროები უკვე მრავალი წელია ეკინკლავებიან ერთმანეთს. აქ უკვე მთავარია, ვინ ვის შესანსლავს. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტი საშინელი და გაუმაძღარი ორგანიზაციაა, მაგრამ თუ საომარი მოქმედება რამდენადმე წარმატებით წარიმართა, ბატონი გენერლები ამ ორგანიზაციას თავიანთ ბრჭყალებში მოიგდებენ. თუმცა, თუ ომისაგან კარგი არაფერი გამოვიდა, ხელთ ნაგდები ბატონი გენერლები აღმოჩნდებიან და ამიტომაც არ შეიძლება გამოირიცხოს შესაძლებლობა, რომ მთელი ეს წამოწყება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტის ეშმაკური პროვოკაციაა. სხვათა შორის, ასე ჩანს კიდეც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველგან უწესრიგობაა, თანაც უკვე ერთი კვირაა, მთელი ქვეყნის გასაგონად ომზე გავყვირით, საომარი მოქმედება კი, თურმე, ჯერაც

არ დაწყებულა. და შესაძლოა, მასარაკშ, არც დაიწყოს.

როცა ზეფი ამ ადგილამდე მივიდა, ბუფერები აჩხარუნდა და აღრჭიალდა, ვაგონი შეტოკდა, ამას მოჰყვა ყვირილი, სტვენა, ფეხების ბაკუნი და ეშელონი დაიძრა. სისხლის სამართლის დამნაშავეებმა დააგუგუნეს სიმღერა: „აღარა გვაქვს არც საჭმელი, არც სასმელი...“

- კეთილი, - თქვა მაქსიმმა, - ეს შენი ნათქვამი ძალიან ჰგავს სიმართლეს. ახლა ის მითხარი: შენი ფიქრით, როგორ წარიმართება ომი, თუ დაიწყო, და რა მოხდება მაშინ?

ზეფმა აგრესიულად შეჰღრინა, მე შენ ვიღაც გენერალი ხომ არ გგონივარო, და პირდაპირ გადავიდა იმაზე, თუ როგორ წარმოუდგენია ყოველივე: მსოფლიო ომის ბოლოსა და სამოქალაქო ომის დაწყებას შორის მოკლე შესვენების დროს ხონტიელებმა მოასწრეს და ატომური ნაღმების ველის მძლავრი ხაზით გამოეყვნენ თავიანთ ყოფილ სიუზერენს. გარდა ამისა, ხონტიელებს უდავოდ ჰქონდათ ატომური არტილერია, და მათ პოლიტიკანებს გონება ეყოთ, მთელი ეს ავლადიდება სამოქალაქო ომში კი არ გამოეყენებინათ, არამედ ჩვენთვის გამოეზოგათ. ასე რომ, შეჭრის სურათი დაახლოებით ამგვარად წარმომიდგენია: მთავარი პლაცდარმის თავში ჩაამწკრივებენ სამ ან ოთხ საჯარიმო სატანკო ბრიგადას, ზურგიდან მათ არმიელთა კორპუსით გაამაგრებენ არმიელებს კი ლეგიონერთა დამცავ რაზმებს მიაყოლებენ მძიმე ტანკებიანად. ჩემნაირი გადაგვარებულები, როგორმე სხივურ დარტყმას თავი რომ დააღწიონ, წინ გაიქცევიან, არმიელებიც მათ მიჰყვებიან სხივური ენთუზიაზმის ზეგავლენით, ხოლო ნორმისაგან ასეთ გადახვევებს, რომლებიც აუცილებლად წარმოიქმნება, ჟანდარმერიის ცეცხლით გაანადგურებენო. თუ ხონტიელები სულელები არ არიან, შორსმსროლი ზარბაზნის ცეცხლს დაუშენენ ჟანდარმთა მანქანებს, მაგრამ მგონი, სულელები არიან და, უნდა ვიფიქროთ, ურთიერთმოსპობას მიჰყოფენ ხელს - ლიგა ამ არეულობაში თავს დაესხმის უნიას, ხოლო უნია ლიგას კბილებით სწვდება ყელში. ამასობაში ჩვენი მამაცი ჯარები ღრმად შევლენ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე და დაიწყება ყველაზე საინტერესო რამ, რასაც ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ მოვესწრებით. ჩვენი სახელოვანი შეჯავშნული ნაკადი კომპაქტურობას დაკარგავს და მთელ ქვეყანაში გაიფანტება, რათა თავი დააღწიოს გამომსხივებელთა მოქმედების ზონას. თუ ტყუილი არ არის, რაც მაქსიმმა გაიზე თქვა, ჩამორჩენილებს მაშინვე დაეწყე-

ბათ სხივური თავბრუ, მით უფრო ძლიერი, რომ ლეგიონერები გარღვევის დროს ენერგიას არ დაზოგავენ მათ წასაქეზებლად...

- მასარაკშ! - იკივლა ზეფმა, - თვალწინ მიდგას, როგორ გამოდიან ეს კრეტინები ტანკებიდან, მიწაზე წვებიან და ითხოვენ, მორჩით და დაგვხოცეთო. კეთილი ხონტიელები კი, ხონტიელ ჯარისკაცებზე რომ არაფერი ვთქვათ, მთელი ამ საზიზღრობისგან გამხეცებულნი, მათ, რა თქმა უნდა, უარს არ ეტყვიან... შეიძლება არნახული ხოცვა-ჟლეტა გაიმართოს!

მატარებელი სიჩქარეს უმატებდა, ვაგონი ძალზე ირყეოდა. შორეულ კუთხეში სისხლის სამართლის დამნაშავენი კამათლებს აგორებდნენ - გუშაგზე თამაშობდნენ; ჭერქვეშ აქეთ-იქით აწყდებოდა ლამპა, ქვედა ტახტზე ვიღაც მონოტონურად ბუტბუტებდა - ალბათ ლოცულობდა.

თამბაქოს კვამლი თვალებს სწვავდა.

- ვფიქრობ, გენერალურ შტაბში ამას ითვალისწინებენ, - განაგრძო ზეფმა - ამიტომაც არავითარი სწრაფი გარღვევები არ იქნება. იქნება დუნე პოზიციური ომი, ხონტიელები, თუმცა სულელები კი არიან, ოდესმე მაინც მიხვდებიან, რა ხდება და გამომსხივებელზე დაიწყებენ ნადირობას... საერთოდ, არ ვიცი, რა იქნება, - დაასკვნა მან. - ისიც არ ვიცი, დილით სახეთქს თუ მოგვცემენ. ვშიშობ, რომ კვლავ არ მოგვცემენ; აბა, რისთვის უნდა გვაძლიონ?

ისინი დადუმდნენ, შემდეგ მაქსიმმა თქვა:

- დარწმუნებული ხარ, რომ სწორად მოვიქეცით? რომ ჩვენი ადგილი აქ არის?

- შტაბის ბრძანებაა, - წაიბურტყუნა ზეფმა.

- ბრძანება ბრძანებაა, - შეესიტყვა მაქსიმი, - მაგრამ ჩვენც ხომ გვადგას თავები მხრებზე. იქნებ უფრო სწორი ყოფილიყო, ტახთან ერთად გავქცეულიყავით. იქნებ დედაქალაქში მეტი სარგებლობა მოგვეტანა.

- შესაძლოა, - თქვა ზეფმა, - მაგრამ ვინ იცის, ტახს ატომური დაბომბვის იმედი აქვს... ბევრი კოშკი დაინგრევა, თავისუფალი რაიონები წარმოიქმნება... მაგრამ თუ ბომბები არ ჩამოცვივდა? არავინ არაფერი იცის, მაკ. წარმომიდგენია, რა არეულობაა ახლა შტაბში... - იგი ჩაფიქრდა და წვერზე მოისვა ხელი. - ტახი რაღაცას მიედ-მოედებოდა დაბომბვის შესახებ, მაგრამ, ვგონებ, დედაქალაქში ამისთვის არ წასულა. მე ვიცნობ მას, დიდი ხანია ერთი სული აქვს, როგორმე ბელადის მომხრეებს მისწვდეს... ასე რომ, ადვილი შესაძლებე-

ლია ჩვენთან შტაბშიაც არ შერჩეთ თავები...

- მაშასადამე, შტაბში არეულობაა, - ხმადაბლა თქვა მაქსიმმა. - იქაც არ არიან მზად...

- როგორ უნდა იყვნენ მზად? - შეესიტყვა ზეფი, - ზოგი კოშკების განადგურებაზე ოცნებობს, დანარჩენებს მათი შენარჩუნება უნდათ. იატაკქვეშეთი პოლიტიკური პარტია კი არ გეგონოს, ტბისპირა სოკოების ვინეგრეტია...

- ჰო, სალათია... - გაიმეორა მაქსიმმა. - დასანანია. მე კი ვიმედოვნებდი, იატაკქვეშეთი როგორღაც გამოიყენებდა ომს... სიძნელეები, შესაძლებელი რევოლუციური სიტუაცია.

- იატაკქვეშეთმა არაფერი იცის, - უკმეხად თქვა ზეფმა. - საიდან ვიცით, რა არის ომი, როცა უკან გამომსხივებლებია?

- კაპიკია თქვენი ფასი, - თავი ვერ შეიკავა მაქსიმმა.

- იცი, რას გეტყვი! - უცბად იღრიალა ზეფმა. - ენას კბილი დააჭირე! შენ ვიღა ხარ, ფასს რომ გვადებ? საიდან მოხვედი, მასარაკშ, რომ ამდენს მოითხოვ ჩვენგან? საბრძოლო დავალება გნებავს? ინებე! ყველაფერი დაინახო, გადარჩე, დაბრუნდე, მოახსენო. ძალიან იოლი ხომ არ გგონია ეს? მშვენიერია! მით უკეთესი ჩვენთვის... და კმარა, თავი დამანებე, მასარაკშ, მეძინება.

მან დემონსტრაციულად აქცია ზურგი მაქსიმს და უეცრად უყვირა იმათ, კამათლებს რომ აგორებდნენ.

- ეი, თქვენ, მესაფლავეებო! დაიძინეთ! ახლავე აძვერით ტახტებზე! აბა, სწრაფად, თორემ მიიღებთ სათქვენოს!

მაქსიმი პირაღმა დაწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და ვაგონის დაბალ ჭერს მიაშტერდა. ჭერზე რაღაც მიცოცავდა. გაბოროტებული „მესაფლავეები“ ლანძღვა-გინებით წვებოდნენ. მარცხნივ მწოლიარე მეზობელი კვნესოდა და წიოდა ძილში, - ის განწირული იყო და, შესაძლოა, უკანასკნელად ეძინა ცხოვრებაში და ირგვლივ ყველას, ვინც სლუკუნებდა, ქშუტუნებდა, ტრიალებდა, ალბათ უკანასკნელად ეძინა. სამყარო მქრქალ-ყვითელი, სულისშემხუთავი, უიმედო იყო. ისმოდა ბორბლების კაკუნი, ორთქლმავლის ყვირილი, ცხაურებიდან სარკმელში ტრუსის სუნი შემოდიოდა...

„აქ ყველაფერი დალპა, - ფიქრობდა მაქსიმი, - ვერც ერთ ცოცხალ ადამიანს ვერ ნახავ, ვერც ერთ ნათელ გონებას ვერ წააწყდები. ისევ მშრალზე დავრჩი, იმიტომ, რომ ვიღაცის ან რაღაცის იმედით ვიყავი. აქ არაფრის იმედი არ უნ-

და გქონდეს ადამიანს, არავინაა საიმედო. მხოლოდ შენს თავს უნდა დაეყრდნო, მარტო კი აბა, რას გახდები? ამდენად მაინც ვიცი ისტორია. ადამიანს მარტო არაფერი შეუძლია... იქნებ გრძნეული მართალია? იქნებ ჯობდეს თავი დავანებო? გარდუვალი მომავლის ცოდნის სიმაღლიდან მშვიდად და ცივად ვუყურო, როგორ დუღს, იხარშება, დნება ნედლეული. ვუყურო მიამიტების უგერგილო, უუნარო მებრძოლების აღზევებასა და კვლავ ძირს დანარცხებას, თვალი ვადევნო, როგორ ჭედავს დრო მათგან ფოლადს და სისხლიანი ტალახის ნაკადებში დებს გამოსაწრთობად, როგორ ცვივა გვამებად ხენჯი... არა, არ შემიძლია, ფიქრიც მიჭირს ამაზე... მაინც უცნაური რამაა ძალთა დადგენილი თანაფარდობა. მაგრამ გრძნეულმა ხომ მითხრა, შენც ძალა ხარო. და არსებობს კონკრეტული მტერი, ესე იგი, არის ძალის გამოსაყენებელი ადგილი... მიმაკლავენ აქ, - გაიფიქრა უეცრად. - აუცილებლად მიმაკლავენ. მაგრამ ხვალ კი არა! - მკაცრად უთხრა თავის თავს. - ეს იქნება მას შემდეგ, როცა მე, ჩემს ძალას გამოვავლენ, უფრო ადრე არ მოხდება. და მაშინაც ვნახოთ... ცენტრი, - გაიფიქრა მან. - ცენტრი. აი, რა უნდა ვეძებოთ, აი, საით უნდა წარვმართოთ ორგანიზაცია და წარვმართავ კიდეც. ვაიძულებ საქმე აკეთონ... ნახავ, თუ არ გაგაკეთებინო საქმე, მეგობარო, დახე, როგორ ხვრინავს. იხვრინე, იხვრინე, ხვალ მე შენ გამოგათრევ... კარგი, ძილის დროა. როდის შევძლებ დავიძინო ადამიანურად? დიდ, ფართო ოთახში, სუფთა ზეწარზე. რა ჩვეულება აქვთ აქ, ზეწარს იშვიათად რომ ცვლიან. დიახ, სუფთა ზეწარზე, ძილის წინ წავიკითხო კარგი წიგნი, შემდეგ კედელი ბაღში გავიტანო, სინათლე გამოვრთო და დავიძინო... დილით კი ვისაუზმო მამასთან ერთად და, ვუამბო ამ ვაგონის შესახებ... დედას ამაზე, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვეტყვი... დედა, იცოდე, მე ცოცხალი ვარ, ყველაფერი რიგზეა და არც ხვალ დამემართება რამე... მატარებელი კი მიდის და მიდის, დიდი ხანია, გაჩერება არ ყოფილა. ეტყობა, უჩვენოდ ომის დაწყებას არ აპირებენ... ნეტა როგორ არის გაი თავის კაპრალთა ვაგონში? ალბათ ეუცნაურება: იქ, მათთან, ენთუზიაზმია... რადაზე დიდი ხანია არ მიფიქრია. მოდი, რადაზე ვიფიქრებ... არა - დრო არ არის... გეყოფა, მაქსიმ, მეგობარო, შე საცოდავო საზარბაზნე ხორცო, იძინე“. - უბრძანა თავს და მაშინვე დაიძინა.

სიზმარში ნახა მზე, მთვარე, ვარსკვლავები. ყველაფერი ერთად. უცნაური სიზმარი კი იყო.

მალე გამოეღვიძა. მატარებელი გაჩერდა, ღრჭიალით გაიღო მძიმე კარი და გაისმა ომახიანი ღრიალი: „მეოთხე ასეულო, გამოფრინდი!“ დილის ხუთი საათი იყო, თენდებოდა, გარემოს ნისლი მოსდებოდა, ჟინჟღლავდა, სიცივისაგან აკანკალებული მოჯარიმეები კონვულსიური მთქნარებით უხალისოდ გამოძვრნენ ვაგონიდან. კაპრალები მაშინვე იქ გაჩნდნენ, ბოროტად და მოუთმენლად ავლებდნენ ხელს ფეხებში, ძირს მოათრევდნენ, ყველაზე ფლეგმატურებს კისერში სთავაზობდნენ, ღრიალებდნენ: „ეკიპაჟებად დაეწყვეთ! დადექით!... სად მიძვრები, პირუტყვო? რომელი ასეულიდან ხარ?... შენ, ეი, დრუნჩიანო, რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ?... სად მიძვრებით? აბა, ცოცხლად! ცოცხლად! ცოცხლად!. დაეწყვეთ!“

როგორც იქნა, დაეწყვნენ ეკიპაჟებში, ვაგონების წინ ჩამწკრივდნენ. რომელიღაც დაბნეული ადგილს ვერ პოულობდა ნისლში, დარბოდა, თავის ასეულს ეძებდა - მას ყოველი მხრიდან უყიჟინებდნენ. პირქუშ, უძილო ზეფს წვერი აპრეხოდა, ხრინწიანი ხმით ბურდღუნებდა: „აბა, თქვენ იცით, დღეს ისე ვიომებთ, თქვენ რომ გაგიხარდებათ...“ კაპრალმა ჩაურბინა და ყბაში მოსდო ალიყური, მაქსიმმა კი იქვე ფეხი დაუდო კაპრალს და ტალახში, მოადენინა ზღართანი. ეკიპაჟების კმაყოფილი ხვიხვინი. „ბრიგადა, სმე-ე-ენა!“ - იღრიალა ვიღაც უხილავმა. ბატალიონების მეთაურები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ, მათ აჰყვნენ ასეულების მეთაურები, აწრიალდნენ ოცეულების მეთაურები. არავინ დამდგარა სმენაზე, ბლიცტრეგერებს სახელოებში ხელები გაეყარათ და წელში მოხრილნი იდგნენ, ადგილზე ცეკვავდნენ, ბედნიერი მდიდრები დაუფარავად ეწეოდნენ: რაზმებში აქა-იქ გაისმოდა: აშკარაა, სახეთქს კიდევ არ მოგვცემენ, და ჭირმა წაიღოს ისინიც და მათი ომიცო. „ბრიგადავ, თა-ვი-სუფლად! - შეჰყვირა ზეფმა გამკივანი ხმით. - დაიშალენით! მოისაქმეთ!“ ის იყო ეკიპაჟები უნდა დაშლილიყვნენ, მაგრამ კვლავ აწრიალდნენ კაპრალები, უცებ ვაგონების გასწვრივ მეჩხერ მწკრივად გაიფანტნენ და გაიქცნენ ლეგიონერები რომლებსაც შავი ლაბადები უბზინავდათ, ავტომატები კი გამზადებული ეჭირათ. ვაგონების გასწვრივ მათ ფეხდაფეხ აეკიდა შეშინებული სიჩუმე; ეკიპაჟები აჩქარებით ეწყობოდნენ, ერთმანეთს უსწორდებოდნენ, ზოგიერთმა ბლიცტრეგერმა, ჩვეულებისამებრ, ხელები თავზე შემოიწყო და ფეხები გაჩაჩხა.

ნისლში ვიღაცამ დაბალი, მაგრამ ძალზე გასაგები მტკიცე ხმით თქვა: „თუ

რომელიმე გაიძვერა ხახას დააღებს, ვუბრძანებ, ტყვია დაახალონ“. ყველა გაირინდა. ზლაზვნით გადიოდა მოლოდინით აღსავსე წუთები. ნისლი ნელ-ნელა იფანტებოდა და სულ უფრო ნათლად ჩნდებოდა სადგურის უშნო შენობა, სველი რელსები, ტელეგრაფის ბოძები. მარჯვნივ, ბრიგადის ფრონტის წინ, მუქ გროვად გამოჩნდნენ ადამიანები. ისინი ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. ვიღაცამ იღრიალა: „ბრძანება შეასრულეთ!“ - მაქსიმმა მოიხედა - უკან უძრავად იდგნენ ლეგიონერები, კაპიუშონებიდან იცქირებოდნენ გაღიზიანებული და მძულვარებით აღსავსე თვალებით.

ადამიანთა გროვას გამოეყო ულაზათო ფიგურა, რომელსაც სანიღბავი კომბინეზონი ეცვა. ეს იყო ბრიგადის მეთაური ექს-პოლკოვნიკი ანიპსუ, რომელიც შავ ბაზარზე სახაზინო საწვავით ვაჭრობისათვის ჩამოაქვეითეს და ციხეში ჩასვეს. მან ხელჯოხი გაიქნ-გამოიქნია, თავი ასწია და დაიწყო:

- ჯარისკაცებო!... მე არაფერი მეშლება, მე თქვენ მოგმართავთ, როგორც ჯარისკაცებს, თუმცა ყველანი - მათ შორის მეც - გამორიყულები ვართ... მადლობელი იყავით, რომ ნებას გაძლევენ იომოთ. რამდენიმე საათში თითქმის ყველანი ჩაძაღლდებით და ახიც იქნება თქვენზე. მაგრამ, ვინც გადარჩება დიდებულად იცხოვრებს. მიიღებს ჯარისკაცურ ულუფას, შნაპსსა და სხვა ამდაგვარს... ახლა პოზიციებზე წავალთ და მანქანებში ჩასხდებით. სულ იოლი საქმეა - ას ორმოცდაათი კილომეტრი მუხლუხებზე... ტანკისტები თქვენ ისე ვერ გახდებით, როგორც ბოთლი არ გადაიქცევა ჩაქუჩად, ეს თქვენც კარგად იცით, მაგრამ ყველაფერი, რასაც კი მისწვდებით, თქვენია. ამას მე გეუბნებით, თქვენი მებრძოლი ამხანაგი ანიპსუ. უკანდასახევი გზა არა გაქვთ, სამაგიეროდ, შეგიძლიათ იაროთ წინ. ვინც უკან დაიხევს, ადგილზე დავწვავ. ეს განსაკუთრებით მძღოლებს ეხება... შეკითხვები არა გაქვთ? ბრ-რ-რიგადავ, მარჯვნისა-ა-კენ! წინ... სწორდით! ხისთავა ყურბელებო! გიბრძანეს, სწორდითო! კაპრალებო, მასარაკშ, სად იყურებით?... ჯოგო!... ოთხ-ოთხად დაეწყვეთ... კაპრალებო, ოთხ-ოთხად დააწყვეთ ეს ღორები! მასარაკშ...

ლეგიონერების მეშვეობით კაპრალებმა შეძლეს ბრიგადა ოთხ-ოთხკაციან კოლონად დაეწყოთ, რის შემდეგაც კვლავ გაისმა „სმენა“. მაქსიმი სულ ახლოს აღმოჩნდა ბრიგადის მეთაურთან. ექს-პოლკოვნიკი უგონოდ მთვრალი იყო. ხელჯოხზე დაყრდნობილი იდგა, ტორტმანობდა, დროდადრო თავს იქნევდა და მრისხანე გალურჯებულ სახეზე ხელს ისვამდა. მსავით გალეშილი

ბატალიონის მეთაურები ზურგსუკან ედგნენ - ერთი უაზროდ ხითხითებდა, მეორე ჩლუნგი დაჟინებით ცდილობდა სიგარეტისთვის მოეკიდებინა, მესამეს კი სულ რევოლვერის ბუდისკენ მიჰქონდა ხელი და რაზმებს ჩასისხლიანებული თვალებით მისჩერებოდა. რიგებში შურით იღებდნენ სუნს, მლიქვნელურად იწონებდნენ რაღაცას. „მიდით, მიდით... - ბუტბუტებდა ზეფი. - ნახავთ, რასაც ვიომებთ...“ გაღიზიანებულმა მაქსიმმა მას მუჯლუგუნი ჰკრა.

- გაჩუმდი, - გამოცრა კბილებში, - მომბეზრდა.

ამ დროს პოლკოვნიკს მიუახლოვდა ორი - პირში ყალიონგაჩრილი ჟანდარმთა როტმისტრი და ვიღაც ზორბა მამაკაცი, სამოქალაქო პირი, რომელსაც საყელოაწეული გრძელი ლაბადა ეცვა და შლაპა ეხურა. მაქსიმს სამოქალაქო პირი საოცრად ეცნაურა და მიაჩერდა. სამოქალაქო პირმა რაღაც ხმადაბლა უთხრა პოლკოვნიკს. „ჰა?“ - წარმოთქვა პოლკოვნიკმა და მღვრიე მზერა მიაპყრო, სამოქალაქო პირი კვლავ ალაპარაკდა, თან დიდ თითს მხარს იქით იშვერდა მოჯარიმეთა კოლონისაკენ. ჟანდარმთა როტმისტრი გულგრილად აბოლებდა ყალიონს „ეს რატომაო?“ - იღრიალა პოლკოვნიკმა. სამოქალაქო პირმა რაღაც ქაღალდი ამოიღო; პოლკოვნიკმა ხელით გასწია ქაღალდი. „არ მოგცემთ, - თქვა მან. - ყველა უნდა ჩაძაღლდეს უკლებლივ...“ სამოქალაქო პირი უკან არ იხევდა. „მიმიფურთხებია! - ამბობდა პოლკოვნიკი. - თქვენი დეპარტამენტისთვისაც მიმიფურთხებია. ყველა ჩაძაღლდება... ხომ ასეა?“ - ჰკითხა მან როტმისტრს. როტმისტრი დაეთანხმა. სამოქალაქო პირმა პოლკოვნიკს სახელოში სტაცა ხელი და თავისკენ მოსწია და პოლკოვნიკს კინაღამ გამოეცალა თავისი ხელჯოხი. მოხითხითე ბატალიონის მეთაურს იდიოტური სიცილი წასკდა. პოლკოვნიკი აღშფოთებისაგან გაშავდა, ბუდეს სწვდა და ვეებერთელა არმიული პისტოლეტი იძრო. „ათამდე ვითვლი, - განუცხადა სამოქალაქო პირს, - ერთი... ორი...“ სამოქალაქომ გადააფურთხა და კოლონას გაუყვა, თან მოჯარიმეებს აკვირდებოდა, პოლკოვნიკი კი სულ ითვლიდა და ათამდე რომ დაითვალა, სროლა ატეხა. როტმისტრი, ცოტა არ იყოს, შეშფოთდა და პოლკოვნიკს იარაღი შეანახინა. „ყველა უნდა ჩაძაღლდეს, - განაცხადა პოლკოვნიკმა. - ჩემიანად... ბრ-რ-რიგადა, ისმინე ბრძანება! ნააბიჯით... ი-არრ! ეშმაკებთან, ჯოჯოხეთში!“

და ბრიგადა დაიძრა. ოღრო-ჩოღრო, მუხლუხებით დასერილ გზაზე ფეხი უცურდებოდათ და ერთმანეთს ებღაუჭებოდნენ, ისე დაეშვნენ მოჯარიმეები

ჭაობიან ღარტაფში, რკინიგზიდან გადაუხვიეს და წინ გასწიეს. აქ კოლონებს ოცეულების მეთაურები დაეწივნენ. გაი მაქსიმის გვერდით აღმოჩნდა; ფერი დაჰკარგოდა, კოპები უთამაშებდა და თავდაპირველად დიდხანს დუმდა, თუმცა ზეფმა მაშინვე ჰკითხა, რა ისმისო. ღარტაფი თანდათან ფართოვდებოდა, გამოჩნდა ბუჩქები. მერე კი - პატარა ტყე. გზის პირას მუხლუხით სველ ღრანტეში ჩაფლული უზარმაზარი მოუხეშავი ძველი ტანკი აჩაჩხულიყო, რომელიც სულ არ ჰგავდა სანაპიროს დაცვის საპატრულო ტანკებს, - მომცრო კვადრატული კოშკი და პატარა ზარბაზანი ჰქონდა. ტანკის გვერდით ფუსფუსებდნენ გაზინთულქურთუკებიანი მოღუშული ადამიანები. არეულად მიაბიჯებდნენ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, საყელოაწეული ბლიცტრეგერები. ბევრი გაფაციცებით იხედებოდა აქეთ-იქით, იქნებ გაპარვა მოვახერხოო. ბუჩქები ძალიან მაცდურად გამოიყურებოდნენ, მაგრამ ღარტაფის ფერდობებზე, ყოველ ორას-სამას ნაბიჯზე შავი, ავტომატიანი ფიგურები იდგნენ. ღრანტეებში ხტუნვა-ხტუნვით ჩაუარათ სამმა სატვირთო ცისტერნამ. დაღვრემილი მძღოლები ბლიცტრეგერებს ზედაც არ უყურებდნენ.

წვიმა მატულობდა, გუნება-განწყობა ფუჭდებოდა. მიდიოდნენ უხმოდ, მორჩილად, თითქოს პირუტყვები არიანო და სულ უფრო ნაკლებად აცეცებდნენ თვალებს.

- მომისმინე, ოცეულის უფროსო, - გაისმა ზეფის ბუზღუნი,- ნუთუ მართლა არ მოგვცემენ სახეთქს?

გაიმ ჯიბიდან პურის ყუა ამოიღო და ხელში ჩასჩარა,

- მორჩა, - თქვა მან, - სიკვდილამდე მეტს ვერ მიიღებ.

ზეფმა პურის ყუა პირისკენ გააქანა და ხმაურით აამუშავა ყბები. „რა უაზრობაა, - გაიფიქრა მაქსიმმა, - აკი ყველამ იცის, რომ სასიკვდილოდ მიდის და მაინც მიდის. ალბათ, რაღაცის იმედი აქვთ? ალბათ, ყველას რაღაც გეგმა აქვს? მათ ხომ არაფერი იციან გამოსხივების შესახებ... ყოველი მათგანი ფიქრობს, სადმე იქ გადავუხვევ გზაზე, ტანკიდან გადმოვხტები და ჩავწვები, სულელები კი დაე, იერიშზე გადავიდნენო... პროკლამაციები უნდა იწერებოდეს გამოსხივებაზე, უნდა ვყვიროდეთ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, რადიოსადგურები მოვაწყოთ, თუმცა მიმღებები მხოლოდ ორ სიხშირეზე მუშაობს... სულ ერთია, პაუზებში შევიჭრათ. კოშკებს კი არ შევალიოთ ადამიანები, არამედ კონტრპროპაგანდას... თუმცა ყოველივე ეს შემდეგ, შემდეგ, ახლა

სხვა რამეზე ვერ გადავიტანთ ყურადღებას. ახლა ყველაფერს უნდა ვამჩნევ-დეთ. უწვრილეს ჭუჭრუტანებს ვიმახსოვრებდეთ... სადგურზე ტანკები არ იყო, არც ზარბაზნები, ყველგან მხოლოდ მსროლელი ლეგიონერები იდგნენ. ეს უნდა გავითვალისწინო. ღარტაფი კარგია, ღრმაა, დაცვას კი, ალბათ, რო-გორც კი გავივლით, მოხსნიან... თუმცა არა, რა შუაშია აქ დაცვა - როგორც კი გამომსხივებლებს ჩართავენ, ყველა წინ გაიქცევა...“ მან საოცრად მკაფიოდ წარმოიდგინა, როგორ იქნება ეს. იჭრებიან გამომსხივებლები. ბლიცტრეგერ-თა ტანკები ღრიალით მიქრიან წინ. მათ სწრაფად მიყვებიან არმიელები. მთე-ლი ფრონტისპირა ზოლი ცარიელდება... „ძნელი წარმოსადგენია ამ ზოლის სიღრმე. არავინ იცის გამომსხივებლების მოქმედების რადიუსი, მაგრამ ორი-სამი კილომეტრი ნამდვილად იქნება. ორი-სამი კილომეტრის სიღრმის ზოლ-ში კაცი არ დარჩება, საღად აზროვნება რომ შეძლოს. ჩემს გარდა... ე, არა, მარ-ტო ორი-სამი კილომეტრი კი არ იქნება. მეტი. ყველა სტაციონარული დანად-გარი, ყველა კოშკი, ყველაფერი ჩაირთვება და, ალბათ, მაქსიმალური სიმ-ძლავრით. მთელი სასაზღვრო რაიონი შეიშლება... მასარაკშ, რა უნდა ვუყო ზეფს, ის ხომ ვერ გაუძლებს ამას... - მაქსიმმა შეხედა მსოფლიოში სახელგან-თქმული კაცის თანაბრად მოძრავ წითურ წვერს. - არაფერია, გაუძლებს უკი-დურეს შემთხვევაში, უნდა დავეხმარო, თუმცა, ვაითუ ვერ მოვიცალო ამის-თვის, გაისაც ხომ ვერ მოვაშორებ თვალს... კი, სამუშაო ბლომად მექნება, კე-თილი. ბოლოს და ბოლოს, ამ მღვრიე მორევში მაინც ვიქნები მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი და ჩემს შეჩერებას ვერავინ შეძლებს, არც მოისურ-ვებს...“

პატარა ტყეც გაიარეს და რადიოების გუგუნი, გამობოლქვისას მანქანების ტკაცუნი, ბრაზიანი ყვირილი მოესმათ. წინ, ბალახით დაფარულ დამრეც ფერდობზე, რომელიც ჩრდილოეთისკენ მაღლდებოდა, სამ მწკრივად იდგა ტანკები. მათ შორის დაეხეტებოდნენ ადამიანები, შრეებად ირეოდა მტრე-დისფერი კვამლი.

- აი, ჩვენი კუბოებიც! - მხიარულად და ხმამაღლა წარმოთქვა ვიღაცამ წინ მიმავალთაგან.

- ერთი შეხედე, რას გვაძლევენ, - თქვა გაიმ, - ესენი ხომ ომამდელი მანქა-ნებია, საიმპერიო ხარახურა, კონსერვის ქილები... მომისმინე, მაკ, ჩვენ რა, ასე უნდა ჩავძაღლდეთ აქ? ეს ხომ გარდუვალი დაღუპვაა...

- რამდენი დარჩა საზღვრამდე? - იკითხა მაქსიმმა - და საერთოდ რა არის იქ - თხემს იქით?

- იქ ბარია, - უპასუხა გაიმ, - მაგიდასავით სწორი ბარი, საზღვარი სამ კილომეტრზეა, შემდეგ ბორცვები იწყება...

- მდინარე ხომ არ არის ახლომახლო?

- არა.

- ხევები?

- ა-არა,... არ მახსოვს, რატომ?

მაქსიმი მას ხელზე სწვდა, ხელი მოუჭირა.

-გამაგრდი, ბიჭო, - უთხრა მან. - ყველაფერი კარგად იქნება.

გაი ქვემოდან სასოწარკვეთილი იმედით აჰყურებდა, თვალები ჩაცვენოდა, ყვრიმალებზე კანი გადასჭიმვოდა.

- მართლა? - თქვა მან. - მე კი არავითარ გამოსავალს არ ვხედავ. იარაღი წამართვეს, ტანკებში ჭურვების ნაცვლად ძელაკებია, ტყვიამფრქვევები არა გვაქვს, წინ სიკვდილია, უკანაც სიკვდილი.

- აჰა! - ნიშნისმოგებით თქვა ზეფმა, რომელიც კბილებს იჩიჩქნიდა. - ჩაისველე შარვალში? ეს ის არ გეგონოს, კატორღელებს ქეჩოში რომ უთავაზებდი ხოლმე...

ტანკების რიგებსშუა ინტერვალში ჩავარდნილი კოლონა შეჩერდა. ლაპარაკი გაჭირდა. რადიოების ვეებერთელა მილძაბრები პირდაპირ ბალახზე იდგა. მაგნიტოფონის ხავერდისებრი ბანი იუწყებოდა: „იქ, თხემს გაღმა, ვერაგი მტერია. მხოლოდ წინ, მხოლოდ წინ, ბერკეტები გამოსწიეთ და წინ, მტრისაკენ. წინ... იქ, თხემს გაღმა ვერაგი მტერია... ბერკეტები თქვენსკენ და წინ...“ შემდეგ ხმა შუა სიტყვაზე გაწყდა და პოლკოვნიკი აყვირდა. ის თავისი ყველგანმავალის რადიატორზე იდგა, ბატალიონის მეთაურებს მისთვის ფეხებში ეკიდათ ხელი და აკავებდნენ.

- ჯარისკაცებო! - ღრიალებდა პოლკოვნიკი. - კმარა ლაქლაქი! ყველანი მანქანებში! განსაკუთრებით მძღოლები, იმიტომ რომ დანარჩენებისთვის მიმიფურთხებია. მაგრამ ყველას, ვინც დარჩება… - მან პისტოლეტი ამოიღო და ყველას უჩვენა. - გასაგებია, რეგვენებო? ბატონო ასეულის მეთაურებო, ეკიპაჟები ტანკებში ჩამოარიგეთ!

დაიწყო ზედახორა. პოლკოვნიკი, რომელიც რადიატორზე ლატანივით

ყანყალებდა, ყვირილს განაგრძობდა, მაგრამ მისი ხმა არ ისმოდა, რადგან რადიოები კვლავ აზუზუნდნენ, რომ წინ მტერია და ამიტომ ბერკეტები უკან უნდა გადმოსწიონ. ყველა ბლიცტრეგერი ტანკების მესამე მწკრივს ეკვეთა. დაიწყო ჩხუბი, ჰაერში აწრიალდა დაჭედილი ფეხსაცმელები. უზარმაზარი ნაცრისფერი ბრბო ნელა ირეოდა უკანა რიგის ტანკების ირგვლივ. ზოგიერთი ტანკი ამოძრავდა, მათგან ცვიოდნენ ადამიანები. პოლკოვნიკი იმდენს იჭინთებოდა, სულ გალურჯდა, და ბოლოს ჰაერში დაიწყო სროლა... ტყიდან მორბოდნენ შავ ჯაჭვად გაჭიმული ლეგიონერები.

- წავიდეთ, - თქვა მაქსიმმა, ხელები მტკიცედ ჩაავლო მხრებში გაისა და ზეფს და პირველ რიგში მდგარ ბოლო მანქანასთან მიარბენინა - პირქუშ, ლაქებიან მანქანასთან ქვემეხები უძლურად რომ ჩამოჰკიდებოდა.

- დაიცა... - ლუღლუღებდა დაბნეული გაი და ირგვლივ აცეცებდა თვალებს, - ჩვენ ხომ მეოთხე ასეული ვართ, ჩვენ ხომ აი იქა ვართ, მეორე რიგში...

- იარე, იარე, - ბრაზით თქვა მაქსიმმა, - ოცეულის წაუფროსება ხომ არ მოგინდა?

- აბა როგორ? ჯარისკაცის სისხლი უდგას ძარღვებში, - თქვა ზეფმა. - დამშვიდდი, დედიკ...

უკან ვიღაცა ქამარში სწვდა მაქსიმს. მაქსიმმა შემოუბრუნებლად სცადა გათავისუფლებულიყო - ვერ შეძლო. მოიხედა. უკან ერთი ხელი მაგრად ჩაევლო, მეორეთი კი გასისხლიანებულ ცხვირს იხოცავდა ისე, მოჩანჩალებდა ეკიპაჟის მეოთხე წევრი, მძღოლი, სისხლის სამართლის დამნაშავე, მეტსახელად კაკვი.

- ჰო, - თქვა მაქსიმმა, - შენ სულ დამავიწყდი. წამოდი, არ ჩამორჩე.

მან უკმაყოფილოდ გაიფიქრა, რომ აურზაურში დაავიწყდა ეს ადამიანი, რომელსაც საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნოდა. ამ დროს გაისმა ჟანდარმთა ავტომატების გრუხუნი, ჯავშანზე კნავანა წუილით ახტუნავდა ტყვიები. ისინი იძულებულნი გახდნენ მოხრილიყვნენ და ისე გაქცეულიყვნენ. ბოლო ტანკს რომ ამოეფარნენ, მაქსიმი შეჩერდა.

- ისმინე ბრძანება, - თქვა მან. - კაკვო, დაქოქე. ზეფ, კოშკში ჩაძვერი. გაი, ქვედა ლიუკები შეამოწმე... კარგად შეამოწმე, თორემ თავს წაგაცლი!

მაქსიმმა ტანკს შემოუარა, რათა მუხლუხები შეემოწმებინა. ირგვლივ ისროდნენ, ღრიალებდნენ, მონოტონურად დუდუნებდნენ რეპროდუქტორები,

მაგრამ მან საკუთარ თავს სიტყვა მისცა არაფრისთვის ყურადღება არ მიექცია და არც აქცევდა, ოღონდ ეს გაიფიქრა: რეპროდუქტორები - გაი, - არ დამავიწყდეს. მუხლუხებს არაუშავდა, მაგრამ სავალი ბორბლები საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „არა უშავს, გამოდგება, დიდხანს კი არ დამჭირდება....“ ტანკიდან მარდად გამოძვრა გაი, უკვე ჭუჭყიანი, ხელებდაკაწრული.

- ლიუკები ჩაჟანგებულა! - დაიყვირა მან - არ ჩამიკეტია, ღია იყოს, ხომ?

„იქ, ღარტაფში, თხემს გაღმა ვერაგი მტერია! - გაისმოდა ხმა მაგნიტოფონში. - მხოლოდ წინ. მხოლოდ წინ. ბერკეტები გამოსწით...“

მაქსიმმა გაის საყელოში სტაცა ხელი და მიიზიდა.

- ხომ გიყვარვარ? - უთხრა და გაფართოებულ თვალებში ჩააშტერდა. - ხომ გჯერა ჩემი?

- კი! - ამოიგმინა გაიმ.

- მარტო მე მისმინე, სხვას არავის. სხვა ყველაფერი სიცრუეა. მე მეგობარი ვარ შენი, მხოლოდ მე, მეტი არავინ. დაიმახსოვრე, გიბრძანებ: დაიმახსოვრე.

გამოშტერებული გაი ჩქარ-ჩქარა უქნევდა თავს, უხმოდ იმეორებდა:

- კი, კი, კი. მარტო შენ. სხვა არავინ...

- მაკ! - პირდაპირ ყურში ჩასძახა ვიღაცამ.

მაქსიმი მობრუნდა. მის წინ ის საოცრად ნაცნობი სამოქალაქო პირი იდგა, გრძელი ლაბადა რომ ეცვა, მაგრამ შლაპა აღარ ეხურა. მასარაკშ... კვადრატული აქერცლილი სახე, წითელი შეშუპებული თვალები... ეს სომ ფანკია! ლოყაზე სისხლიანი ნაკაწრი აქვს, ტუჩი გასკდომია...

- მასარაკშ! - ყვიროდა ფანკი, ხმაურში თავის ხმა რომ გაეგონებინა. - ხომ არ დაყრუვდით? ვერა მცნობთ?

- ფანკ! - შესძახა მაქსიმმა, - აქ საიდან გაჩნდით?

ფანკმა ტუჩიდან სისხლი მოიწმინდა.

- წავიდეთ! - იყვირა მან, - ჩქარა!

- სად?

- ეშმაკებთან! წავიდეთ!

მან მაქსიმს კომბინეზონზე ჩაავლო ხელი და წაათრია. მაქსიმმა მოიშორა მისი ხელი.

- მოგვკლავენ! - შესძახა მან. - ლეგიონერები!

ფანკმა თავი გაიქნია.

- წავიდეთ! თქვენთვის საშვი მაქვს! - და რა დაინახა, რომ მაქსიმი არ იძვრის, დასძინა - მთელი ქვეყანა მოვიარე თქვენს ძებნაში, ძლივს გიპოვეთ! ახლავე წავიდეთ!

- მე მარტო არა ვარ! - იღრიალა მაქსიმმა. - სამნი ვართ! მარტო არ წამოვალ!

- უაზრობაა! ნუ სულელობთ! რა სულელური კეთილშობილებაა! სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრდათ? - ფანკს ყვირილისაგან ხველება დააწყებინა, ყელზე იტაცა ხელი.

მაქსიმმა მიიხედ-მოიხედა. გაფითრებულ გაის ტუჩები უთრთოდა, ისე შემოსცქეროდა, სახელოში ჩაევლო ხელი - რა თქმა უნდა, ყველაფერი ესმოდა.

იქვე ორი ლეგიონერი კონდახებით სცემდა გაძალიანებულ ბლიცტრეგერს, რათა ტანკში ჩაესვა.

- ერთი საშვია! - დაიყვირა ფანკმა ხრინწიანი ხმით. - ერთი! - მან თითი უჩვენა.

მაქსიმმა თავი გაიქნია.

- ჩვენ სამნი ვართ! - თქვა და სამი თითი ასწია, - უმაგათოდ ფეხს არ მოვიცვლი აქედან!

გვერდითი ლიუკიდან ზეფის ჟღალი წვერი გამოჩნდა. ფანკმა ტუჩები გაილოკა. ნამდვილად არ იცოდა, რა ექნა.

- ვინა ხართ? - შესძახა მაქსიმმა. - რაში გესაჭიროებით?

ფანკმა ერთი შეხედა მას და გაიზე გადაიტანა მზერა.

- ეს არის თქვენთან? - შესძახა მან.

- დიახ, ესეც!

ფანკს თვალები ველურივით გაუხდა. ლაბადის ქვეშ შეიყო ხელი, პისტოლეტი ამოიღო და გაის მიუშვირა. მაქსიმმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აუკრა ხელი ქვემოდან და პისტოლეტი ჰაერში ავარდა. თვითონაც ვერ გაეგო კარგად, რა მოხდა, ფიქრიანად გააყოლა თვალი პისტოლეტს. ფანკი მოიხარა, დაშავებული ხელა იღლიის ქვეშ ამოიდო. გაიმ მოკლედ და ზუსტად, როგორც წვრთნაზე აკეთებდნენ, კისერზე დაარტყა ხელი და ფანკი პირქვე დაემხო, უეცრად იქვე გაჩნდნენ ლეგიონერები, მუშაობისაგან გაოფლილები, ბრაზისაგან სახეჩამოგრძელებულები.

- ჩაჯექი მანქანაში! - უღრიალა მაქსიმმა გაის, დაიხარა და ფანკი იღლიაში ამოიდო.

ფანკი ზორბა იყო და ძლივს ჩაეტია ლიუკში. მას მაქსიმი მიჰყვა, რომელსაც გამოთხოვების ნიშნად კონდახი უთავაზეს უკან. ტანკში აკლდამასავით ბნელოდა და ციოდა, დიზელის მყრალი სუნი იდგა. ზეფმა ფანკი ლიუკიდან ჩამოათრია და იატაკზე დააწვინა.

- ვინ არის? - დაიყვირა მან.

მაქსიმმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო. კაკვმა, რომელიც დიდხანს და ამაოდ აწვალებდა სტარტერს, როგორც იქნა, დაქოქა მანქანა. ირგვლივ ყველაფერი აზუზუნდა და აგუგუნდა. მაქსიმმა ხელი დაიქნია, კოშკში შეძვრა და თავი გამოყო: ტანკებს შორის უკვე არავინ იყო, ლეგიონერებს გარდა. ჯოჯოხეთური ღრიალი იდგა, ყველა ძრავა მუშაობდა, ფერდობი გამონაბოლქვების სქელ, სულშემხუთავ ღრუბელს დაეფარა, ზოგიერთი ტანკი გზას განაგრძობდა, აქა-იქ კოშკებიდან თავები გამოეყოთ, მეზობელი მანქანებიდან თავგამოყოფილი ბლიცტრეგერი რაღაცას ანიშნებდა მაქსიმს, გასივებულ, დალილავებულ სახეს მანჭავდა. უეცრად ის გაქრა, ძრავებმა გაორკეცებული ძალით იღრიალეს და ყველა ტანკი ზანზარითა და ღრჭიალით ერთდროულად აუყვა ფერდობს.

მაქსიმმა იგრძნო, რომ წელში ჩააფრინდნენ და ძირს ეწევიან. დაიხარა და გაის გადმოკარკლული, გამოიდიოტებული თვალები დაინახა როგორც მაშინ. ბომბდამშენში, გაი ხელს კიდებდა მაქსიმს, განუწყვეტლივ ბუტბუტებდა რაღაცას, სახე დამახინჯებოდა. ამ სახეს არც ბავშვური შერჩენოდა რამე, არც გულუბრყვილო ვაჟკაცური - ახლა მას სრული უაზრობა და მკვლელობისთვის მზადყოფნა ეწერა. „დაიწყო, - გაიფიქრა მაქსიმმა და ზიზღმორეული შეეცადა მოეშორებინა უბედური ბიჭი. - დაიწყო, დაიწყო... ჩართეს გამომსხივებლები, დაიწყო...“

ტანკი ზანზარით ადიოდა თხემზე, კორდი ბღუჯებად ცვიოდა მუხლუხებიდან. უკან ყველაფერს მტრედისფერი კვამლი ფარავდა, წინ კი უეცრად გადაიშალა ნაცრისფერი თიხამიწიანი ბარი და შორს, ხონტიელთა მხრიდან, ბრტყელი ბორცვები გამოჩნდა, საითკენაც სვლის შეუნელებლად გაემართა ტანკების ნიაღვარი. მწკრივები დაიშალა, მანქანები გასწრებაზე მიდიოდნენ, ერთმანეთს ებლანდებოდნენ, უაზროდ ატრიალებდნენ კოშკებს... ერთ ტანკს, გამოქანებული რომ მიდიოდა, მუხლუხი მოძვრა: ჯერ ბზრიალასავით დატრიალდა ადგილზე, მერე გადაყირავდა. მეორე მუხლუხი ავარდა და მძიმე

მოელვარე ქვეწარმავლად აიჭრა ცაში; სავალი ბორბლები კვლავ სწრაფად ტრიალებდნენ, ხოლო ქვედა ლიუკებიდან ნაცრისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი ორი კაცი გადმოხტა და ხელების ქნევით გაიქცა წინ წინ, მხოლოდ წინ, ვერაგი მტრისაკენ... უცებ იელვა ცეცხლმა, ღრჭიალსა და ღრიალში წკრიალა ტკაცანად გაისმა ზარბაზნის სროლა, და ერთბაშად ყველა ტანკმა სროლა ატეხა, ზარბაზნებიდან გრძელი წითელი ენები მოფრინავდა, ტანკები ბუქსაობდნენ, ხტოდნენ, ბინძური ტყვია-წამლის სქელ შავ კვამლში ეხვეოდნენ და ერთ წუთში ყველაფერი შავ-ყვითელი ღრუბლით დაიფარა, მაქსიმი კი სულ უყურებდა და ძალა არ შესწევდა, თვალი მოეშორებინა სანახაობისათვის, რომელიც გრანდიოზული იყო თავისი დანაშაულებრივი უაზრობით, თან მოთმინებით იშორებდა გაის, რომელსაც მაგრად ჩაევლო მისთვის ხელები, ექაჩებოდა, ეძახდა, ემუდარებოდა, სწყეროდა, მკერდით დაეცვა ყველა საშიშროებისაგან... ადამიანები, მოსამართავი თოჯინები, მხეცები... ადამიანები.

შემდეგ მაქსიმი გამოერკვა. დრო იყო გამოერთმია მართვა. ძირს დაეშვა. გაის რომ ჩაუარა, მხარზე ხელი მოუთათუნა, თან რაღაც ლითონის სახელურებს ებღაუჭებოდა. ვიწრო მობარბაცე ყუთში მიმოიხედა, კინაღამ დაახრჩო გაზოლინის სიმყრალემ, ფანკის მკვდარივით გაფითრებული სახე და გადატრიალებული თვალები გაარჩია, იარაღის ქვეშ მოკუნტული ზეფი შენიშნა, მოიშორა გაი, რომელიც ეტმასნებოდა და მძღოლისკენ გაძვრა.

კაკვს ბერკეტები თავისკენ მოეწია და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უმატებდა გაზს. ის მღეროდა, ისეთი ცუდი ხმით გაჰყვიროდა, რომ მაქსიმს მკაფიოდ ჩაესმა „მადლიერების სიმღერის“ სიტყვებიც. როგორმე უნდა დაეშოშმინებინა იგი, მისი ადგილი დაეკავებინა და ამ კვამლში მოეძებნა მოხერხებული ხევი, ან ღრმა ღრანტე, ან რაიმე ბორცვი, რომ ატომური აფეთქებებისაგან დაეცვათ თავი... მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო. ის იყო ფრთხილად დააპირა გაეხსნა ბერკეტებზე მიყინული კაკვის მუშტები, რომ ერთგული გაი, რომელსაც ეგონა, ჩემს ბატონს არ ემორჩილებიანო, გვერდიდან შემოძვრა და გაგიჟებულ კაკვს საფეთქელში სთხლიშა უზარმაზარი ქანჩის გასაღები. კაკვი დაქანდა, მოდუნდა და ბერკეტებს ხელი უშვა. გააფთრებულმა მაქსიმმა გაი გვერდზე მიაგდო, მაგრამ უკვე გვიან იყო და არც შეძრწუნებისა და თანაგრძნობის დრო ჰქონდა. გვამი გამოათრია, დაჯდა და მართვას შეუდგა.

სანათურიდან არაფერი ჩანდა, გარდა მეჩხერი ბალახით დაფარული თიხოვანი ნიადაგის მომცრო ნაკვეთისა და მოშორებით მტრედისფერი ტრუსის მთლიანი საფარველისა. ამ უკუნეთში რაიმეს პოვნაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ისღა დარჩენოდა, სვლა შეენელებინა და ტანკი ფრთხილად ეტარებინა მანამ, სანამ ღრმად არ შეიჭრებოდნენ ბორცვებს შუა. თუმცა სვლის შენელებაც საშიში იყო. თუ ატომური ნაღმების აფეთქება მანამ დაიწყება, სანამ ბორცვამდე მიაღწევს, შეიძლება დაბრმავდნენ და სულაც დაიფერფლონ... გაი ხან მარცხნიდან ეგლასუნებოდა, ხან მარჯვნიდან, სახეში უყურებდა, ბრძანებებს მოელოდა.

- არაფერია, მეგობარო, - ბუტბუტებდა მაქსიმი და იდაყვებით იშორებდა. - გაგივლის... ყველაფერი გაგივლის, ყველაფერი... ცოტაც მოითმინე...

გაი ხედავდა, რომ მას ელაპარაკებიან და შეწუხებული ცრემლებს ღვრიდა, რადგან არაფერი ესმოდა, როგორც მაშინ, ბომბდამშენში.

ტანკმა შავი კვამლის სქელ ნაკადში გააღწია; მარცხნივ რაღაც იწვოდა. გაიარეს და იძულებულნი გახდნენ, მკვეთრად მობრუნებულიყვნენ, რათა მუხლუხებით გასრესილი ადამიანისთვის არ გადაევლოთ. კვამლიდან გამოჩნდა და კვლავ მიიმალა გადაფერდილი სასაზღვრო ნიშანი, მას დაგლეჯილი, გათელილი მავთულხლართები მიჰყვა. ძლივს შესამჩნევი თხრილიდან თავი ამოყო კაცმა, რომელსაც უცნაური თეთრი ზუჩი ეხურა, გააფთრებულმა ერთი-ორჯერ მოიქნია მოღერებული მუშტები და მაშინვე გაქრა, თითქოს მიწამ პირი უყოო. წინ კვამლის ფარდა თანდათან იფანტებოდა და მაქსიმმა სულ ახლოს დაინახა მურა ფერის მრგვალი ბორცვები და რატომღაც საერთო მოძრაობის ქეშად მიმავალი ტანკის ტალახში ამოსვრილი კიჩო და კიდევ ერთი ცეცხლწაკიდებული ტანკი. მარცხნივ მოუხვია და მანქანა ოდნავ მაღლა, ორ ბორცვს შორის გადაშლილი ღრმა, ბუჩქნარით დაფარული უნაგირისკენ წარმართა. ის უკვე ახლოს იყო, როდესაც ცეცხლის ალები დაეძგერათ და ტანკი საშინელი დარტყმისგან აგუგუნდა. მოულოდნელობისაგან მაქსიმმა მთელი ძალით მისცა გაზი, თითქოს მათ შესახვედრად გამოქანდნენ ბუჩქები და მაღლა მორიალე თეთრი კვამლის ღრუბელი, წამით გაიელვეს თეთრმა ზუჩებმა, სიძულვილით დამახინჯებულმა სახეებმა, აწეულმა მუშტებმა, შემდეგ მუხლებქვეშ თითქოს რკინის ლაწუნი და მტვრევის ხმა გაისმა. მაქსიმმა კბილი კბილს დააჭირა, მარჯვნისკენ მკვეთრად შემოტრიალდა და ფერდობისკენ წა-

იყვანა გადაფერდილი მანქანა, რომელიც ლამის გადაყირავებულიყო. ბორცვს შემოუარა და, როგორც იქნა, ნორჩი ხეებით დაფარულ ვიწრო ღარტაფში ამოყო თავი. გადაწყვიტა, აქ შეჩერებულიყო.

მან წინა ლიუკი გადასწია, წელამდე ამოძვრა და მიმოიხედა. ადგილი შესაფერი იყო, ტანკს ყოველი მხრიდან მაღალი მურა ფერის ფერდობები შემოსჯაროდა. მაქსიმმა ძრავა გააჩერა და გაიმ მაშინვე ხრინწიანი ფალცეტით წამოიწყო რაღაც ერთგულების გამომხატველი სისულელე, რაღაც უაზროდ გარითმული, მის მიერ შეკოწიწებული ოდა უდიადესი და უსაყვარლესი მაკის სადიდებლად, ალბათ ქოფაკი თუ შეთხზავდა ასეთ სიმღერას ადამიანთა ენა რომ ესწავლა.

- ხმა ჩაიწყვიტე! - უბრძანა მაქსიმმა. - ეს ხალხი გარეთ გაათრიე და მანქანის გვერდით დააწვინე... დაიცა, ჯერ არ დამიმთავრებია ფრთხილად მოეპყარი, ესენი ჩემი უსაყვარლესი მეგობრები არიან ჩვენი უსაყვარლესი მეგობრები...

- შენ საით? - ჰკითხა შეძრწუნებულმა გაიმ.

- შორს არ მივდივარ, აქვე ვიქნები, ახლოს.

- ნუ წახვალ... - აწუწუნდა გაი. - ან ნება მომეცი, მეც წამოგყვე...

- მე შენ არაფერს მიჯერებ, - მკაცრად უთხრა მაქსიმმა. გააკეთე, რაც გიბრძანე, და ფრთხილად იმოქმედე, არ დაგავიწყდეს, რომ ესენი ჩვენი მეგობრები არიან...

გაიმ მოთქმა დაიწყო, მაგრამ მაქსიმი უკვე აღარ უსმენდა. ის ტანკიდან გამოვიდა და სირბილით აუყვა ფერდობს. სადღაც ახლოს კვლავ მიხოხავდნენ ტანკები. მთელი ძალით ბღაოდნენ ძრავები, ჩხარუნობდნენ მუხლუხები, დროდადრო ზარბაზნების გრუხუნი ისმოდა. მაღლა, ცაში ჭურვმა გაიზუზუნა. მაქსიმი წელში მოიხარა და მწვერვალზე ავარდა, ბუჩქებს შორის ჩაცუცქდა და კიდევ ერთხელ გულით შეაქო საკუთარი თავი ასეთი კარგი ადგილის არჩევისათვის.

ძირს - სულ ახლოს, ბორცვებს შორის, ფართო გასასვლელი იყო და ამ გასასვლელში კვამლით დაფარული ბარიდან ერთმანეთს უერთდებოდნენ და შემჭიდროებულნი, მუხლებმიტყუპებულნი მთლიან ნაკადად მიემართებოდნენ დაბალი, დაგვალული, მძლავრი ტანკები, რომელთაც უზარმაზარი ბრტყელი კოშკები და გრძელი ზარბაზნები, ჰქონდათ. ეს უკვე მოჯარიმეები

კი არა, რეგულარული არმია იყო. დარეტიანებული და გაოგნებული მაქსიმი რამდენიმე წამი უყურებდა ამ ისტორიული კინოფილმივით საშინელსა და დაუჯერებელ სანახაობას. ჰაერი ირყეოდა და კრთოდა წარმოუდგენელი გრუხუნისა და ღრიალისაგან. მის ფეხებქვეშ შეშინებული პირუტყვივით კანკალებდა ბორცვი, და მაქსიმს მაინც ეჩვენებოდა, თითქოს მანქანები პირქუშ, მუქარით სავსე მდუმარებაში მიემართებიან. მან მშვენივრად იცოდა, რომ იქ, ჯავშნების ფურცლებქვეშ ხრიალებდნენ გაშმაგებული ჯარისკაცები, მაგრამ ყველა ლიუკი დაგმანული იყო და კაცს ეგონებოდა, თითოეული მანქანა უსულო ლითონის ერთი მთლიანი ზოდიაო... როცა უკანასკნელმა ტანკებმა გაიარეს, მაქსიმი მობრუნდა, ძირს დაიხედა და ხეებს შორის გადაფერდილი თავისი ტანკი უბადრუკ თუნუქის სათამაშოდ მოეჩვენა, საცოდავ პაროდიად ნამდვილ საბრძოლო მექანიზმზე. დიახ, ძირს გაიარა ძალამ, რათა მეორე, კიდევ უფრო საშინელ ძალას შეხვედროდა, და ამ მეორე ძალის გახსენებაზე მაქსიმი სასწრაფოდ ჩასრიალდა ჭალაში.

ტანკს შემოუარა და შეჩერდა.

გვერდიგვერდ იწვნენ: სილურჯემდე თეთრი, მკვდარს დამსგავსებული ფანკი, მოკუნტული, მკვნესარე ზეფი, თეთრი, ჭუჭყიანი ფრჩხილებით თავის ჟღალ ქოჩორს რომ ჩაფრენოდა, და მხიარულად მომღიმარი კაკვი, რომელსაც თოჯინის მკვდარი თვალები ჰქონდა. ბრძანება ზუსტად იყო შესრულებული. მაგრამ მთლიანად დაკაწრული, გასისხლიანებული გაიც მოშორებით იწვა, ცისთვის მოერიდებინა ნაწყენი მიმკვდარებული სახე, ხელები გაეშალა, მის გარშემო ბალახი გათელილი და დატკეპნილი იყო, და იქვე ეგდო გაჭყლეტილი თეთრი ზუჩი, რომელსაც მუქი ლაქები ეტყობოდა, ხოლო ამოთხრილი ბუჩქებიდან ვიღაცას ჩექმებიანი ფეხები მოუჩანდა...

- მასარაკშ... - ჩაილუღლუღა მაქსიმმა და შეძრწუნებულმა წარმოიდგინა, როგორ შებმია აქ რამდენიმე წუთის წინ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ორი აღრეენილი და აღმუვლებული ქოფაკი, თავთავიანთი პატრონის სადიდებლად...

და ამ წუთს იმ მეორე ძალამ საპასუხო დარტყმა აგემა.

მაქსიმს დარტყმა თვალებში მოხვდა. ტკივილისაგან დაიღმუვლა, თვალები მაგრად დახუჭა, გაის დაეცა და მიხვდა, რომ გაი მკვდარი იყო, მაგრამ მაინც სცადა გადაფარებოდა. ეს სუფთა რეფლექტორული მოძრაობა იყო - მან ვერც რაიმეს გაფიქრება. მოასწრო, ვერც შეგრძნება, გარდა თვალების ტკივი-

ლისა. ჯერ კიდევ. ეცემოდა, ისე გამოირთო ტვინი.

როცა კვლავ დაუბრუნდა გარე სამყაროს აღქმის უნარი, შემეცნება ისევ ჩაირთო. ალბათ, ძალიან ცოტა ხანი, სულ რამდენიმე წამი გავიდა, მაგრამ ოფლში გაღვარულს გამოეღვიძა, ყელი გაშრობოდა, თავი კი ისე უწიოდა, თითქოს ყურზე ფიცარი სთხლიშესო. ირგვლივ ყველაფერი შეცვლილიყო, სამყარო მეწამული გამხდარიყო, სამყაროში დახვავებულიყო ფოთლები და ჩამომტვრეული ტოტები, სამყარო გავარვარებული ჰაერით გაჟღენთილიყო, წითელი ციდან წვიმასავით ცვიოდა ძირიანად მოთხრილი ბუჩქები, ცეცხლმოკიდებული როკები, მცხუნვარე, მშრალი ბელტები. და იდგა საზარელი სიჩუმე. ცოცხლები და მკვდრები ერთმანეთში არეულიყვნენ. ფოთლებით დაფარული გაი პირქვე დამხობილიყო, მისგან ათიოდე ნაბიჯზე, მის გვერდით ზეფი იჯდა, ცალი ხელი წინანდებურად თავზე წაევლო, ხოლო მეორით თვალებს იხუჭავდა. ფანკი ქვემოთ დაგორდა, ნაღვარევში გაეჩხირა და ახლა იქ ტრიალებდა, სახეს მიწას უხახუნებდა. ტანკიც ძირს ჩაგორებულიყო და მოტრიალებულიყო. მუხლუხს ზურგით მიყრდნობილი მკვდარი კაკვიც კვლავინდებურად მხიარულად იღიმებოდა...

მაქსიმმა მიყარ-მოყარა ტოტები, ზედ რომ დაცვენოდა და წამოხტა, გაისთან მიირბინა, ხელი სტაცა, მინისებურ თვალებში ჩახედა, ლოყა ლოყაზე მიადო, და სამგზის დაწყევლა ეს სამყარო, სადაც ასე მარტოხელა და უმწეოა, სადაც მკვდრები სამუდამოდ მკვდრებად რჩებიან, იმიტომ, რომ არაფერი არ არის, იმიტომ, რომ ვერაფრით ვერ გააცოცხლებ მათ... ეტყობა, ტიროდა, მიწას მუშტებს უშენდა თეთრ ზუჩს ფეხით თელავდა. ამ დროს ტკვილისაგან შეწუხებული ზეფი გაბმით აყვირდა. მაქსიმი გონს მოვიდა, ის აქეთ-იქით არ იყურებოდა, სიძულვილისა და ხოცვა-ჟლეტის სურვილის გარდა, აღარაფერს გრძნობდა და კვლავ ზევით, თავის სათვალთვალო პუნქტზე წალასლასდა...

აქაც ყველაფერი შეცვლილი დახვდა. ბუჩქები აღარ იყო, დამწვარ თიხას კვამლი ასდიოდა და ტკაცუნობდა, ბორცვის ჩრდილო ფერდობს ცეცხლი მოსდებოდა. ჩრდილოეთის მეწამული ცა მოშავო-მოყავისფრო კვამლის მთლიან კედელს უერთდებოდა და ამ კედლის თავზე მაღლა მიიწევდნენ, თან თვალსა და ხელშუა იბერებოდნენ, მუქი ნარინჯისფერი, რაღაც ზეთოვან-ცხიმოვანი ღრუბლები და იქით, სადაც დარტყმისაგან გამსკდარი ცის სიმაგრისაკენ ათასჯერ ათასი ტონა გავარვარებული მტვერი, ატომებამდე და-

ფერფლილი გადარჩენისა და სიცოცხლის იმედები მიიწევდა, უბედური სულელების მიერ უბედური სულელებისათვის მოწყობილ ამ ჯოჯოხეთურ საცეცხლეში სამხრეთიდან თითქოს ქვესაბერში უბერავდა ოდნავ ნესტიანი ნიავი.

მაქსიმმა ძირს დაიხედა, ბორცვებს შორის გასასვლელს შეავლო თვალი. გასასვლელი ცარიელი იყო. მუხლუხებით ამოთხრილ და ატომური აფეთქებისაგან დამწვარ თიხას კვამლი ასდიოდა. მასზე ცეკვავდა ათასობით ცეცხლის ალი - იწვოდა ფოთლები და იფერფლებოდა მოგლეჯილი როკები. ხოლო სამხრეთით ბარი ძალზე ფართო და ძალზე უკაცრიელი ჩანდა, უკვე აღარ ფარავდა ტყვია-წამლის აირები, წითლად ჩანდა მეწამულ ცისქვეშ, ზედ უძრავად აჩაჩხულიყო განმარტოებული შავი კოლოფები - მოჯარიმეთა გაფუჭებული და დაზიანებული ტანკები და უკვე ბორცვებს უახლოვდებოდა ამ ბარზე მომავალი უცნაური მანქანების შეთხელებული წყვეტილი ჯაჭვი.

მანქანები ტანკებს ჰგავდა, ოღონდ საარტილერიო კოშკის ნაცვლად ყოველ მათგანზე მაღალი ცხაურიანი კონუსი იდგა, რომელიც რაღაც მკრთალი მომრგვალებული საგნით მთავრდებოდა. ისინი სწრაფად მოდიოდნენ, რბილად მობაჯბაჯებდნენ ოღროჩოღრო ადგილებში და უბედური ბლიცტრეგერების ტანკებივით შავები კი არ იყვნენ, არც გარღვევაში მონაწილე არმიელთა ტანკებივით მონაცრისფრო-მომწვანო, მხიარული, ჩახჩახა ყვითელი ფერი ჰქონდათ, ჟანდარმთა საგუშაგო ავტომობილებივით... მწკრივის მარჯვენა ფლანგი უკვე ბორცვებს ამოფარებოდა და მაქსიმმა სულ რვა გამომსხივებლის დათვლა მოასწრო. მათ მდგომარეობის ბატონ-პატრონთა რაღაც თავხედობა ეტყობოდათ, ბრძოლაში მიდიოდნენ, მაგრამ არც დამალვა მიაჩნდათ საჭიროდ, არც შენიღბვა: ყურადღების მისაქცევად იყვნენ ასე მყვირალა ფერისა, მახინჯი ხუთმეტრიანი კუზები აღემართათ და თითქოს თავს იწონებდნენ იმით, რომ მათი შეიარაღება ჩვეულებრივი არ იყო. ამ მანქანების მძღოლები და წარმმართველები, ეტყობოდა, თავს სრულიად ლაღად გრძნობდნენ, თუმცა, ალბათ არც ფიქრობდნენ ამაზე; უბრალოდ წინ მიიჩქაროდნენ, სხივის შოლტებივით მიერეკებოდნენ რკინის ჯოგს, რომელიც ახლა ჯოჯოხეთში გადიოდა და ნამდვილად არაფერი იცოდნენ ამ შოლტების შესახებ, არ იცოდნენ, რომ ეს შოლტები მათვე უტყლაშუნებდნენ... მაქსიმმა დაინახა, რომ მარცხენა ფლანგის გამომსხივებელი ღარტაფისკენ მიემართება და იქითკენ აიღო გეზი,

ბორცვიდან ფერდობზე დაეშვა.

გამართული მიდიოდა. იცოდა, რომ ძალით უნდა ამოეძირკვა შავი მეხ-რეები რკინის ნაჭუჭიდან და უნდოდა ეს. ცხოვრებაში ისე არაფერი არ ნდო-მებია, როგორც ახლა უნდოდა, ცოცხალ სხეულს სწვდომოდა თითებით... როცა ღარტაფში დაეშვა, გამომსხივებელი უკვე სულ ახლოს იყო. ყვითელი მანქანა პერისკოპების მინებით ბრმად მისჩერებოდა, პირდაპირ მისკენ მოგო-რავდა, ცხაურიანი კონუსი მძიმედ ქანაობდა მანქანის ბუქნაობის ტაქტის სა-წინააღმდეგოდ და კაცს ეგონებოდა, თითქოს მის კენწეროზე ვერცხლისფერი ბურთი ქანაობს, რომელშიც უამრავი მბრწყინავი ნემსია ჩარჭობილიო...

მათ არც უფიქრიათ გაჩერებულიყვნენ და მაქსიმმა გზა დაუთმო, ერთხანს მათ გვერდით მირბოდა და რამდენიმე მეტრი რომ გაირბინა, ჯავშანს შეახტა.

მეხუთე ნაწილი

დედამიწელი

მეთვრამეტე თავი

სახელმწიფო პროკურორს ფხიზლად ეძინა და ტელეფონის გაწკარუნებისთანავე გამოეღვიძა. თვალები არ გაუხელია, ისე აიღო ყურმილი და ხრინწიანი ხმით თქვა:

- გისმენთ.

რეფერენტმა ისე დაიკნავლა, თითქოს ბოდიშობსო.

- შვიდი საათია, თქვენო უდიდებულესობავ...

- ჰო, - თქვა პროკურორმა, ისევ თვალებდახუჭულმა. - ჰო, გმადლობ.

მან სინათლე აანთო, საბანი გადაიგდო და დაჯდა. ერთხანს იჯდა, გამხდარ ფეხებს დაჰყურებდა და ნაღვლიანი გაოცებით ფიქრობდა, რომ აი, უკვე მეექვსე ათეულ წელს შეუდგა, მაგრამ დღე არ ახსოვს, გამოძინების საშუალება ჰქონოდა. სულ ვიღაც აღვიძებს. პორუჩიკი რომ იყო, ნაქეიფარზე ის პირუტყვი დენშჩიკი აღვიძებდა. შავი ტრიბუნალის თავმჯდომარე რომ იყო, სულელი მდივანი განაჩენების ხელმოსაწერად აღვიძებდა. მოწაფეობისას დედა აღვიძებდა, სასწავლებელში წადიო, და ის იყო ყველაზე საზიზღარი დრო, ყველაზე საძაგელი გამოღვიძებები. და მუდამ ეუბნებოდნენ: უნდა! უნდა გაიღვიძოთ, თქვენო კეთილშობილებავ... უნდა გაიღვიძოთ, ბატონო თავმჯდომარევ... უნდა გაიღვიძო, შვილო... ახლა კი „უნდას“ თვითონ ეუბნება საკუთარ თავს... წამოდგა, ხალათი მოიხურა, სახეში ერთი პეშვი ოდეკოლონი შეისხა, კბილები ჩაისვა, სახეს ისრესდა ისე, სარკეში ჩაიხედა, ერთი დაიჯღანა და კაბინეტში შევიდა.

თბილი რძე უკვე მაგიდაზე იდგა, ხოლო გახამებულ ხელსახოცქვეშ, თეფშზე მომლაშო ნამცხვარი იდო. ეს უნდა დაელია და შეეჭამა, როგორც წამალი, მაგრამ ჯერ სეიფთან მივიდა, კარი გააღო, მწვანე საქაღალდე აიღო და მაგიდაზე საუზმის გვერდით დადო. ნამცხვარს ახრამუნებდა და რძეს ხვრეპდა, თან გულდასმით ათვალიერებდა საქაღალდეს, სანამ არ დარწმუნდა, რომ ის

წუხანდლის შემდეგ არავის გაეხსნა. რა ბევრი რამ შეიცვალა, - გაიფიქრა, - სამ თვეზე მეტი არ გასულა და როგორ გადასხვაფერდა ყველაფერი! უნებურად ყვითელ ტელეფონს შეხედა და რამდენიმე წამი თვალი ვერ მოაშორა. ტელეფონი დუმდა - მხიარულ სათამაშოსავით ფერადი, ნატიფი... იმ მოწიკწიკე ჯოჯოხეთურ მანქანასავით საშინელი, რომელსაც ვერ განმუხტავ...

ციებცხელებიანივით ორივე ხელებით ჩააფრინდა მწვანე საქაღალდეს, თვალები მაგრად დახუჭა. იგრძნო, რომ შიში ემატებოდა და საჩქაროდ დაუცაცხანა საკუთარ თავს. არა, ასე არ გამოდგება, ახლა აბსოლუტური სიმშვიდე და სავსებით აუღელვებლად მსჯელობის უნარია საჭირო. „სულ ერთია, არჩევანი არა მაქვს. მაშასადამე, რისკი… რა გაეწყობა, თუ რისკია, რისკი იყოს. რისკი მუდამ იყო და იქნება, ოღონდ მინიმუმამდე უნდა შეამცირო ის. და შევამცირებ კიდეც, დიახ, მასარაკშ, მინიმუმამდე!... თქვენ, ვგონებ, არ გჯერათ ეს, ჭკუის კოლოფო? აჰ, გეეჭვებათ? თქვენ მუდამ ეჭვობთ, ჭკუის კოლოფო, ასეთი თვისება გაქვთ, ყოჩაღი ხართ... რა ვქნათ, შევეცდებით, ეჭვები გაგიფანტოთ. მაქსიმ კამერერზე თუ გსმენიათ რამე? გსმენიათ? მხოლოდ გეჩვენებათ ეს. წინათ არასდროს გაგიგონიათ ასეთი ადამიანის სახელი. ახლა გაიგებთ პირველად. ძალიან გთხოვთ, მომისმინეთ და ძალზე ობიექტური, ძალზე მიუკერძოებელი აზრი შეადგინეთ მასზე. ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია ვიცოდე, როგორია თქვენი ობიექტური აზრი, ჭკუის კოლოფო: იცით, ახლა ამაზეა დამოკიდებული ჩემი ტყავის სიმთელე, ჩემი ფერმკრთალი, ლურჯძარღვებიანი, ჩემთვის ესოდენ ძვირფასი ტყავისა...“

უკანასკნელი ლუკმა ნამცხვარი დაღეჭა და სულმოუთქმელად დააყოლა რძე. შემდეგ ხმამაღლა თქვა: „შევუდგეთ“. საქაღალდე გახსნა. „ამ ადამიანს ბუნდოვანი წარსული აქვს და ეს ნაცნობობისთვის, რა თქმა უნდა, არც ისე კარგი დასაწყისია. მაგრამ მე და თქვენ არა მარტო ის ვიცით, წარსულიდან აწმყო როგორ გამოვიყვანოთ, არამედ ისიც, თუ როგორ აღვადგინოთ წარსული აწმყოსაგან და თუ ძალიან დაგვჭირდება ჩვენი მაკის წარსული, ბოლოს და ბოლოს აწმყოს მიხედვით დავადგენთ მას. ამას ექსტრაპოლაცია ჰქვია. ჩვენი მაკი თავის აწმყოს იმით იწყებს, რომ კატორღიდან გარბის, უეცრად, მოულოდნელად. სწორედ იმ დროს, როცა მე და მწირი ვაპირებთ ხელები გავუწოდოთ. აი, გენერალ-კომენდანტის პანიკური პატაკი, კლასიკური გოდება იდიოტისა, რომელმაც იცუღლუტა და ახლა ეშინია, ვაითუ სასჯელს ვერ გა-

დავურჩეო. მას არაფერი დაუშავებია, ყველაფერი ინსტრუქციის თანახმად გაკეთდა. არ იცოდა, რომ ობიექტი თავისი ნებით ჩაეწერა სასიკვდილოდ განწირულ მესანგრეებში, ობიექტი კი დანაღმულ ველზე შევიდა და აფეთქდა. არ იცოდა... აი, მე და მწირმაც არ ვიცოდით. უნდა გვცოდნოდა კია! ობიექტი მოულოდნელი კაცია, თქვენ რაღაც ამდაგვარის მოლოდინი უნდა გქონოდათ, ბატონო ჭკუის კოლოფო... დიახ, მაშინ ამან განმაცვიფრა, მაგრამ ახლა ხომ გვესმის, რა მოხდა: ჩვენს მაკს ვიღაცამ უამბო კოშკების შესახებ, მან გადაწყვიტა, შემოქმედთა ქვეყანაში არაფერი მესაქმებაო და სამხრეთში გაიქცა და ყველაფერი გააკეთა რათა დაღუპული ჰგონებოდათ... - პროკურორმა თავი ხელებს ჩამოაყრდნო, შუბლი დუნედ მოისრისა... -დიახ, სწორედ მაშინ დაიწყო ყველაფერი... ეს იყო პირველი შეცდომა ჩემი შეცდომების სერიაში: მე დავიჯერე, რომ ის დაიღუპა. ან როგორ არ უნდა დამეჯერებინა? რომელი ნორმალური ადამიანი გაიქცევა სამხრეთში?... ყველა დაიჯერებდა, მწირმა კი არ დაიჯერა“.

პროკურორმა მორიგი პატაკი აიღო. „ო, ეს მწირი! გონიერი მწირი, გენიალური მწირი... აი, როგორ უნდა მემოქმედა მეც! მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მაკი დაიღუპა; სამხრეთი სამხრეთია. მან კი მთელი გაღმა მხარე თავისი აგენტებით გაავსო. ჩასუქებული ფანკი - ახ, რატომ თავის დროზე არ მივსწვდი მას, ხელთ არ ვიგდე - ეს მსუქანი, გაქუცული დაკოდილი ტახი ჩამოხმა, სანამ მთელ ქვეყანაში დაწანწალებდა, სუნს იღებდა და უთვალთვალებდა, მის მამალს მეექვსე ტრასაზე ამოძვრა სული ციებ-ცხელებისაგან, მისი ტაპა-მამლაყინწა კი მთიელებმა იგდეს ხელთ, შემდეგ კი ორმოცდამეთხუთმეტე - არ ვიცი, ვინ არის ის, - მეკობრეებს ჩაუვარდა სანაპიროზე, მაგრამ მოასწრო ეცნობებინა, რომ მაკი იქ ყოფილა. გუშაგებს ჩაბარდა და უკანვე დააბრუნეს თავის კოლონაში...

აი, როგორ იქცევა თავიანი ხალხი: მათ არაფერი სჯერათ და არავინ ეცოდებათ. აი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი მაშინ მეც. ყველა საქმისთვის თავი დამენებებინა და მარტო მაკისთვის მომეკიდა ხელი, მე ხომ მაშინაც შესანიშნავად მესმოდა, რა საშინელი ძალაა მაკი, ამის ნაცვლად კი ღალღას გადავეკიდე და წავაგე... მერე ის დასაქცევი ომი ავიკიდე და ისიც წაგაგე. ახლაც წავაგებდი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გამიღიმა ბედმა: მაკი დედაქალაქში მწირის ბუნაგში გამოჩნდა და მე ეს მწირზე ადრე გავიგე, ჰო, მწირო, შე ყურებ-

პარტყუნავ, ახლა შენ წააგე. რაღა მაინცდამაინც ახლა მოგინდა წასვლა! და იცოდე, მე არც კი მაწუხებს ის გარემოება, რომ კვლავ არავინ უწყის, სად და რატომ წახვედი. წახვედი და ძალიანაც კარგი. შენ, რა თქმა უნდა, ყველაფერში ფანკს მიენდე, შენმა ფანკმა კი მაკი ჩამოგიყვანა, მაგრამ დახე უბედურებას - შენი ფანკი მოტყდა თავისი სამხედრო ფათერაკების შემდეგ, უგონოდ წევს სასახლის ჰოსპიტალში - დიდი ვინმეც ეგ ბრძანდება, ასეთები მხოლოდ სასახლის ჰოსპიტალში უნდა დააწვინო! - ახლა კი არ ავაცდენ. ახლა ის იმდენ ხანს დარჩება იქ, რამდენ ხანსაც მე მნებავს. შენ არა ხარ, ფანკი არ არის, ჩვენი მაკი კი არის და ძალიანაც კარგი...“

პროკურორს სიხარული მოეძალა, მაგრამ მაშინვე დაუცაცხანა თავის თავს. „კვლავ ემოციები, მასარაკშ... მშვიდად, ჭკუის კოლოფო. შენ ახალ ადამიანს ეცნობი, რომელსაც მაკი ჰქვია, ძალზე ობიექტური უნდა იყო. მით უმეტეს, რომ ეს ახალი მაკი სულ არა ჰგავს ძველს, ის ახლა სავსებით მოწიფულია, უკვე იცის, რა არის ფინანსები და ბავშვთა დამნაშავეობა. დაჭკვიანდა ჩვენი მაკი, დასერიოზულდა... აი, იატაკქვეშეთის შტაბშიც შეაღწია (მემო გრამენუსა და ალუ ზეფის რეკომენდაციით), თითქოს მეხი გავარდნილიყოს დარიან ამინდში, ისე დაეცა მათ თავს წინადადებით, მთელ იატაკქვეშეთს გააცნონ კოშკების ნამდვილი დანიშნულება; შტაბი გადაირია, მაგრამ მაკმა მაინც მოახერხა მათი დარწმუნება! დააშინა, დააბნია; მათ ეს იდეა მიიღეს, მაკს მიანდეს დამუშავება... ისიც სწრაფად და სწორად გაერკვა ვითარებაში. და ისინი მიხვდნენ ამას - მიხვდნენ, ვისთან აქვთ საქმე! ან უბრალოდ, იგრძნეს... აი, უკანასკნელი პატაკი: განმანათლებელთა ფრაქციამ ხელახლა აღზრდის პროგრამის განსახილველად მიიწვია, და ის სიხარულით დაეთანხმა. მაშინვე წამოაყენა უამრავი იდეა. ღმერთმა უწყის, რა იდეებია, მაგრამ საქმე ეს როდია. ხელახლა აღზრდა საერთოდ იდიოტიზმია, მთავარია, რომ მაკმა ხელი აიღო ტერორისტობაზე, არაფრის აფეთქება, არავის მოკვლა არ უნდა. მთავარია, რომ კარიერისთვის დაიწყო ზრუნვა, შტაბში აქტიურად იხვეჭს ავტორიტეტს, სიტყვებს წარმოთქვამს, აკრიტიკებს, ზევით მიძვრება; მთავარია, რომ აქვს იდეები, სწყურია მათი განხორციელება. ეს კი სწორედ ის არის, რაც თქვენ გჭირდებათ, ბატონო ჭკუის კოლოფო...“

პროკურორი სავარძლის ზურგზე გადაწვა.

„აი, კიდევ რა არის საჭირო. პატაკები მისი ცხოვრების შესახებ, ბევრს მუ-

შაობს - ლაბორატორიაშიც და შინაც - ძველებურად დარდობს იმ ქალიშვილზე, რადა გაალზე, მისდევს სპორტს, თითქმის არავისთან მეგობრობს, თამბაქოს არ ეწევა, თითქმის არ სვამს, ჭამაში დიდ ზომიერებას იჩენს, მეორე მხრივ, პირად ცხოვრებაში აშკარად მიდრეკილება აქვს ფუფუნებისადმი და იცის საკუთარი თავის ფასი: ავტომობილი, რომელიც შტატით ეკუთვნოდა, შეიფერა, უკმაყოფილებაც კი გამოთქვა მისი მცირე სიმძლავრისა და სიმახინჯის გამო; უკმაყოფილოა ბინითაც - ძალიან ვიწროა და ელემენტარულ პირობებს მოკლებულიო; ბინა მორთო ორიგინალური სურათებითა და ხელოვნების ანტიკვარული ნაწარმოებებით, რასაც მთელი ავანსი შეალია... და ასე შემდეგ. კარგი მასალაა, ძალიან კარგი მასალა... ჰო, მართლა, რამდენი ფული აქვს, რისი მფლობელია ახლა? ა-ასე, თემის ხელმძღვანელია ქიმიური სინთეზის ლაბორატორიაში. კარგად კი მოაწყვეს და ალბათ კიდევ მეტსაც დაჰპირდნენ. ნეტა ვიცოდე, როგორ აუხსნეს, რისთვის დასჭირდიო მწირს. ეს ფანკმა იცის, ჩასუქებულმა ღორმა, მაგრამ მოკვდება და არ იტყვის... ოჰ, ნეტა როგორმე ამომაგლეჯინა მისთვის ყველაფერი, რაც იცის! შემდეგ კი სიამოვნებით მოვუღებდი ბოლოს... რამდენი სისხლი გამიფუჭა მაგ პირუტყვმა... რადაც მან მომპარა, არადა როგორ გამომადგებოდა ახლა რადა... როგორი იარაღია ის, როცა სუფთა, პატიოსან, გულად მაკთან გაქვს საქმე!... თუმცა, ვინ იცის, ახლა იქნებ ეს არც ისე ცუდი იყოს... მე კი არა მყავს შენი შეყვარებული გამოკეტილში, მაკ, ეს სულ მწირის ამბავია, ამ შანტაჟისტის ინტრიგებისა...“

პროკურორი შეკრთა: ყვითელმა ტელეფონმა ხმადაბლა გაიწკრიალა. მხოლოდ გაიწკრიალა და მეტი არაფერი. ხმადაბლა, მელოდიურადაც კი. წამით გაცოცხლდა და კვლავ გაირინდა, თითქოს თავი შეახსენაო... ტელეფონისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე, შუბლზე გადაისვა ათრთოლებული თითები. არა, შეცდომაა. რა თქმა უნდა, შეცდომაა... ტელეფონი რთული აპარატია, ხომ შეიძლებოდა, რაიმე ნაპერწკალს გაერბინა შიგ... თითები ხალათზე შეიწმინდა. და ტელეფონმა მაშინვე დაიგუგუნა. თითქოს ახლოდან ისროლესო... თითქოს დანა გამოუსვესო ყელში... თითქოს სახურავიდან ასფალტზე დაენარცხაო... პროკურორმა ყურმილი აიღო. არ უნდოდა აეღო, არც კი იცოდა, რომ იღებს, ისიც კი წარმოიდგინა, რომ ყურმილს კი არ იღებს, არამედ სწრაფად, ფეხაკრეფით გარბის საწოლ ოთახში, იცვამს, გარაჟიდან მანქანა გამოჰყავს და საოცრად ჩქარა მიაქროლებს... საით?

- სახელმწიფო პროკურორი გისმენთ, - თქვა ხრინწიანი ხმით და ჩაახველა.

- ჭკუის კოლოფი ხარ? კანცლერი გელაპარაკება.

აი... აი ესეც... ახლავე იტყვის: „ერთ საათში გელოდებით...“

- გიცანი, - თქვა უძლურად, - გამარჯობა, კანცლერო.

- ცნობა წაიკითხე?

- არა.

„აჰ, არ წაგიკითხავს? აბა, მოდი, ახლა ჩვენ თვითონ წაგიკითხავთ...“

- მორჩა, - თქვა კანცლერმა, - ომი წააგეთ.

პროკურორმა ნერწყვი ჩაყლაპა. რაღაც უნდა ეთქვა. სასწრაფოდ უნდა ეთქვა რამე, ყველაფერს აჯობებდა ეხუმრა. მარჯვედ ეხუმრა... „ღმერთო, მომაშველე მარჯვე ხუმრობა!...“

- დუმხარ? გახსოვს, რას გეუბნებოდი? ნუ ჩაძვრები-მეთქი ამ ფაფაში, სამოქალაქოებს მიხედე, სამხედროებს მოეშვი-მეთქი. ეჰ, შენ რა გითხარი, ჭკუის კოლოფო...

- შენ კანცლერი ხარ, - ძლივს ამოღერღა პროკურორმა. - ჩვენ კი ყველანი - შენი შვილები. შვილები ხომ მუდამ ეურჩებიან მშობლებს...

კანცლერმა ჩაიხითხითა.

- შვილები... - თქვა მან. - სად წერია: „თუ შვილი შენი გეურჩოს შენ...“ შემდეგ როგორ არის, ხომ არ გახსოვს, ჭკუის კოლოფო?

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! „აღგავე იგი პირისაგან მიწისა“. მან ასევე თქვა მაშინ: „აღგავე იგი პირისაგან მიწისა“, და მწირმა მძიმე შავი პისტოლეტი აიღო მაგიდიდან, აუჩქარებლად ასწია და ორჯერ გაისროლა, შვილმა გახვრეტილ მელოტ თავში იტაცა ხელი და ხალიჩაზე დაეცა...

- მეხსიერებამ გიღალატა? - თქვა კანცლერმა. - ეხ, შენ რა გითხარი, ჭკუის კოლოფო... რას აპირებ ახლა?

- შევცდი... - დაიხრიალა პროკურორმა. - შეცდომა... ყველაფერი ღალღას ბრალია...

- შეცდი... კარგი, რაკი ასეა, დაფიქრდი, ჭკუის კოლოფო. კარგად დაფიქრდი. კიდევ დაგირეკავ.

და მორჩა. და აღარ არის ის. და არ იცის, სად დაურეკოს - იტიროს, ემუდაროს... „სისულელეა, სისულელე. არავისთვის არ უშველია... კარგი... დაიცადე.., დაიცადე-მეთქი, ლაჩარო!“ გამოქანებული გაშლილი ხელი მაგიდის კი-

დეს დაარტყა - რათა სისხლი წამოსვლოდა, სტკენოდა, კანკალი შეეწყვიტა... ამან ცოტათი უშველა, მაგრამ კიდევ უფრო დაიხარა, მეორე ხელით მაგიდის ქვედა უჯრა გამოსწია, მათარა ამოიღო, საცობი კბილებით ამოაძრო და რამდენიმე ყლუპი დალია. ცხლად დაუარა. „აი ასე... მშვიდად... ჩვენ კიდევ ვნახავთ... ეს მარულაა: ვინ უფრო ჩქარა. ჭკუის კოლოფს ასე უბრალოდ ვერ ჩაიგდებთ ხელთ, დაიცათ, ის კიდევ გაგაწვალებთ. ჭკუის კოლოფს ასე ერთბაშად ვერ გამოიძახებ, რომ შეგეძლოს, აქამდე გამოიძახებდით... ეს არაფერი, რომ მან დარეკა. ის მუდამ ასე აკეთებს. დრო საკმაოდაა. ორი დღე, სამი, ოთხი დღე... დრო საკმაოდაა! ნუ ფსიხობ!... - დაუცაცხანა საკუთარ თავს. მერე ადგა და აჩქარებით ბოლთის ცემა დაიწყო კაბინეტში.

„მე კარგად ვიცი თქვენი წამალი. ჩემ ხელშია მაკი. ჩემ ხელშია ადამიანი, რომელსაც გამოსხივების არ ეშინია. რომლისთვისაც არ არსებობს დაბრკოლებები. რომელსაც სურს შეცვალოს არსებული წეს-წყობილება. რომელსაც ეჯავრებით. სუფთა და მაშასადამე ყველა ცდუნებისათვის მისაწვდომი ადამიანი. ადამიანი, რომელიც დამიჯერებს. ადამიანი, რომელიც მოისურვებს ჩემთან შეხვედრას... უკვე სურს შემხვდეს. ჩემმა აგენტებმა დაარწმუნეს, სახელმწიფო პროკურორი კეთილია, სამართლიანი, ზედმიწევნით იცის კანონები. კანონიერების ნამდვილი გუშაგია. შემოქმედთ კი ეჯავრებათ ის და მხოლოდ იმიტომ იტანენ, რომ ერთმანეთს არ ენდობიანო... ჩემმა აგენტებმა უკვე უჩვენეს მას ჩემი. თავი, მალულად, ჩემთვის ხელსაყრელ პირობებში, და მას მოეწონა ჩემი სახე... და, რაც მთავარია! - სრულიად საიდუმლოდ გადაუკრეს - ცენტრის ადგილსამყოფელი იცისო. ძალიან თავდაჭერილია, მაგრამ მითხრეს, იმ წუთს გრძნობები ვერ დამალაო. აი, როგორი ადამიანია ჩემს ხელში, ადამიანი, რომელსაც ძალიან უნდა ხელთ იგდოს ცენტრი და შეუძლია კიდეც, იგი ერთადერთია, ვისაც ეს შეუძლია... ესე იგი, ჯერ კი არაა ჩემს ხელში, მაგრამ ბადე დაგებულია, სატყუარა გადაყლაპული, და დღეს ამოვათრევ კიდეც, ან დავიღუპე... ნამდვილად დავიღუპე... დავიღუპე...“

ის მკვეთრად შემოტრიალდა და ძრწოლით შეხედა ყვითელ ტელეფონს.

უკვე ვეღარ შეძლო შეეკავებინა წარმოსახვა, ხედავდა ამ ვიწრო ოთახს, რომლის კედლებზე იისფერი ხავერდი იყო გადაკრული, უჰაერო, ამჟავებულ, უფანჯრებო ოთახს, შიშველ გაშვლეპილ მაგიდასა და ხუთ მოოქრულ სავარძელს... „ჩვენ კი ყველა დანარჩენი, ვიდექით: მე, მწირი, რომელსაც მკვლელო-

ბას მოწყურებული კაცის თვალები ჰქონდა, და ეს მელოტი ჯალათი... ბოთე, ყბედი: აკი იცოდა, სად არის ცენტრი, იმდენი ხალხი შესწირა ამის გაგებას. სად არის ცრუპენტელა, ლოთი, მკვეხარა! - განა შეიძლება, ასეთ რამეებზე ვინმეს ელაპარაკო? მით უმეტეს სახლიკაცებს... განსაკუთებით ასეთ სახლიკაცებს. და კიდევ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტის უფროსი ჰქვია, ცეცხლოვან შემოქმედთა თვალები და ყური, ერის ჯავშანი და ჩუგლუგი... კანცლერმა თვალები მოჭუტა და თქვა: „აღგავე იგი პირისაგან მიწისა“, მწირმა ორჯერ გაისროლა ახლოდან და ბარონმა უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა: „ისევ მოსვარეს შხეფებით მთელი გადასაკრავი...“ და კვლავ დაიწყეს კამათი, რატომ ყარს ოთახში, მე კი მუხლები მეკვეთებოდა და ვფიქრობდი: „იციან თუ არა?“ მწირი კი მშიერი მტაცებელივით კბილებდაკრეჭილი იდგა და ისე მიყურებდა, თითქოს ხვდებაო... არაფერსაც არ მიმხვდარა... ახლა კი მესმის, ისე ძალიან რატომ ცდილობდა, არავინ ჩასწვდომოდა ცენტრის საიდუმლოს. მან მუდამ იცოდა, სად არის ცენტრი და შემთხვევასღა ეძებდა, თვითონ ეგდო ხელთ... დაიგვიანე, მწირო, დაიგვიანე... შენც დაიგვიანებ, კანცლერო. შენც, ბარონო, შენზე კი, ღალღავ, ლაპარაკიც ზედმეტია...“

ფარდა სწრაფად გადასწია და შუბლი ცივ მინას მიადო. თითქმის ჩაახშო შიში, და საბოლოოდ რომ მოესპო, მისი უკანასკნელი ნაპერწკლებიც რომ გაეთელა, წარმოიდგინა, რა მოულოდნელად შედის მაკი ბრძოლით ცენტრის სააპარატოში...

მაგრამ ამის გაკეთება ბებერასაც შეეძლო პირად დაცვასთან, თავის მშობლებთან და ბიძაშვილებთან, ძმისშვილებთან, ძმობილებთან, გაზრდილებთან, ამ საშინელ ნაძირალებთან ერთად, რომლებსაც არასოდეს არაფერი სმენიათ კანონზე, რომლებმაც იცოდნენ მარტო ერთი კანონი: ისროლე პირველმა... მწირი უნდა ყოფილიყავი, რათა ხელი აღგემართა ბებერაზე. იმავე საღამოს დაესხნენ თავს პირდაპირ მისი სახლის ჭიშკართან, მანქანა დაუცხრილეს, მძღოლი მოუკლეს, მდივანი ქალიც მიაყოლეს და თვითონაც უცნაურად დაიხოცნენ, ერთი კაცივით დაიკარგა ოცდაოთხივე ორ ტყვიამფრქვევთან ერთად... დიახ, ბებერასაც შეეძლო სააპარატოში შეჭრილიყო, მაგრამ იქვე გაიჭედებოდა, იქით ვერ წავიდოდა, რადგან იქით დეპრესიული გამოსხივების ბარიერია, ახლა კი, შესაძლოა, ორი სხივური ბარიერიც იყოს, ერთიც კმაროდა, იქ ვერავინ ვერ გაივლის: გადაგვარებულს ტკივილისაგან გული წაუვა, ხო-

ლო უბრალო ლოიალური მოქალაქე მუხლებზე დაეცემა და ჩახშული ხმით აქვითინდება მომაკვდინებელი სევდისაგან... მარტო მაკი შეძლებს გაიაროს. თავის მარჯვე ხელებს ჩაუშვებს გენერატორებში, და უწინარეს ყოვლისა, დეპრესიულ ველზე გადართავს ცენტრს, კოშკების მთელ სისტემას. შემდეგ უკვე სრულიად დაუბრკოლებლად ავა რადიოსტუდიაში და იქ მრავალციკ-ლიანი გადაცემისთვის დადებს ფირს, რომელზეც წინასწარ იქნება ჩაწერილი სიტყვა. მთელი ქვეყანა ხონტიელთა საზღვრიდან მდინარის გაღმა მხარემდე დეპრესიაშია, მილიონობით სულელი გორაობს, ცრემლებად იღვრება, და არც კი სურს თითი გაანძრიოს, ხოლო რეპროდუქტორები უკვე ხმის ჩახლე-ჩამდე გაჰყვირიან, რომ ცეცხლოვანი შემოქმედნი დამნაშავენი არიან, მათი სახელია ესა და ეს, ამა და ამ ადგილას იმყოფებიან, დახოცეთ ისინი, იხსენით ქვეყანა, ამას მე გეუბნებით, მაკსიმი, ცოცხალი ღმერთი დედამიწაზე (ან კი-დევ... იმპერატორის ტახტის კანონიერი მემკვიდრე, ან დიდი დიქტატორი - რაც უფრო მოეწონება). იარაღი აისხი, ჩემო ლეგიონო იარაღი აიღე, ჩემო არ-მიავ! იარაღი აისხით, ჩემო ქვეშევრდომნო!. თვითონ კი ამ დროს უკანვე ეშვე-ბა სააპარატოში, რათა გენერატორები გადიდებული ყურადღების ველზე გა-დართოს, და აი, უკვე მთელი ქვეყანა გაფაციცებით უსმენს, ცდილობს ერთი სიტყვაც არ გამორჩეს, იზეპირებს, გუნებაში იმეორებს. რადიოები კი გაჰყვი-რიან, კოშკები მუშაობენ, და ასე გრძელდება კიდევ ერთი საათი, შემდეგ კი აღტაცებაზე რთავს გამომსხივებლებს, სულ ნახევარსაათიანი აღტაცება და გადაცემებიც მთავრდება... და როცა გონს მოვდივარ - მასარაკშ, საათნახევარი ჯოჯოხეთური ტკივილი მაწუხებს, მაგრამ, მასარაკშ, უნდა გავუძლო! - კან-ცლერი უკვე აღარ არის, არავინ არის იმათგან, არის მაკი, დიადი ღვთაება, და მისი ერთგული მრჩეველი, ყოფილი სახელმწიფო პროკურორი, ამჟამად კი დიადი მაკის სახელმწიფოს მეთაური... თუმცა ეშმაკს წაუღია სახელმწიფო, უბრალოდ ცოცხალი ვიქნები და არაფერი მექნება საშიში, შემდეგ კი ვნა-ხოთ... მაკი იმათ როდი ჰგავს, ვინც ბედის ანაბარა ტოვებს სასარგებლო მე-გობრებს, ის უსარგებლო მეგობრებსაც კი არ ტოვებს, მე კი ძალიან სასარგებ-ლო მეგობარი ვიქნები. ო, რა სასარგებლო ვიქნები მისთვის!...“

მან ფიქრი შეწყვიტა და მაგიდასთან დაბრუნდა, ცერად გახედა ყვითელ ტელეფონს, ჩაიცინა, მწვანე ტელეფონის ყურმილი აიღო და სპეციალური კვლევის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გამოიძახა.

- თავკომბალა ხარ? დილა მშვიდობისა, ჭკუის კოლოფი გელაპარაკება. როგორა ხარ? კუჭი ხომ არ გაწუხებს?.. ძალიან კარგი... მწირი ჯერ კიდევ არ ჩანს?.. აჰა, კარგი... ბარონისგან დამირეკეს და მიბრძანეს ცოტაოდენი ინსპექცია გაგიწიოთ... არა-არა, ვფიქრობ უბრალო ფორმალობაა, მე მაინც არაფერი გამეგება თქვენი, მაგრამ რაიმე პატაკი მაინც მოამზადე... ინსპექციის დასკვნის პროექტი და სხვა ამდაგვარი. და იზრუნე, რომ ყველა ადგილზე იყოს, ისე არ მოხდეს, როგორც ამას წინათ... ჰმ... ალბათ, თერთმეტ საათზე... ისე გაკეთე, რომ თორმეტზე უკვე შემეძლოს ყველა საბუთიანად უკანვე დავბრუნდე... აბა, ნახვამდის. წავიდეთ სატანჯველად... შენც იტანჯები? თუ თქვენ უკვე დიდი ხანია გამოიგონეთ დამცავი და უფროსობას უმალავთ? - აბა-აბა, გეხუმრები... ნახვამდის.

ყურმილი დადო და საათს დახედა. ათს თხუთმეტი აკლდა. ხმამაღალი კვნესით წალასლასდა სააბაზანოში. კვლავ ეს კოშმარი… ნახევარსაათიანი კოშმარი, რომლისგანაც თავს ვერ დაიცავ... რომლისგანაც ხსნა აღარ არის... რომლის გამოც სიცოცხლე აღარ გინდა… რა საწყენია მაინც: იძულებული გავხდები, მწირი დავინდო.

აბაზანა უკვე ცხელი წყლით იყო სავსე. პროკურორმა ხალათი მოიშორა, ღამის პერანგი გაიხადა და ენის ქვეშ ტკივილის გამაყუჩებელი ამოიდო. და ასე უნდა იყოს მთელი სიცოცხლე. მთელი სიცოცხლის ერთი ოცდამეოთხედი - ჯოჯოხეთი. ოთხ პროცენტზე მეტი... და ეს სასახლეში გამოძახებების ჩაუთვლელად. ვთქვათ, გამოძახებები მალე გათავდება, ეს ოთხი პროცენტი კი სამუდამოდ დარჩება... „თუმცა ამას ვნახავთ, როცა ყველაფერი დადგინდება, თვითონ მოვუვლი მწირს...“ აბაზანაში ჩავიდა, მოხერხებულად მოეწყო, მოდუნდა და დაფიქრდა იმაზე, თუ როგორ მოევლო მწირისთვის. მაგრამ ვერაფრის მოფიქრება ვერ მოასწრო. ნაცნობი ტკივილი თხემში სწვდა, ხერხემალში გაუარა, ბრჭყალი ჩაუშვა ყოველ უჯრედში, ყოველ ნერვში და წეწვა დაუწყო მეთოდურად, მძვინვარედ, გამალებული გულის ძგერის ტაქტში...

ყველაფერი რომ დამთავრდა, კიდევ ერთხანს იწვა არაქათგამოცლილი და მიბნედილი - ჯოჯოხეთურ ტანჯვასაც აქვს თავისი ღირსება: ნახევარსაათიანი კოშმარი რამდენიმე წუთის სამოთხისებურ ნეტარებას უძღვნიდა, - შემდეგ ამოვიდა, ტანი სარკის წინ შეიმშრალა, კარი გააღო, კამერდინერისაგან ახალი თეთრეული მიიღო, ჩაიცვა, კაბინეტში დაბრუნდა, კიდევ დალია ერ-

თი ჭიქა თბილი რძე, ამჯერად სამკურნალოწყალგარეული, ცვარტკბილის თაფლიანი მწებარე ფაფაც დააყოლა, ერთხანს დაჯდა ისე, უბრალოდ, რათა საბოლოოდ მოსულიყო გონს, შემდეგ კი დღის რეფერენტს დაურეკა და უბრძანა, ავტომობილი მომართვითო.

სპეციალური კვლევის დეპარტამენტში მთავრობის ტრასა მიემართებოდა, რომელიც ამ დროს ცარიელი იყო, ორივე მხარეს გასდევდა ხუჭუჭა ხეები, რომლებიც კაცს ხელოვნური ეგონებოდა. მძღოლი ისე მიაქროლებდა მანქანას, რომ შუქნიშნებთანაც არ აჩერებდა, დროდადრო კი საყვირს ხმამაღლა აგუგუნებდა. დეპარტამენტის მაღალ რკინის კარებს რომ მიადგნენ, თერთმეტს სამი წუთი უკლდა. მანქანასთან საპარადო მუნდირში გამოწყობილი ლეგიონერი მოვიდა, დაიხარა და შეიხედა, იცნო და ხელის აწევით მიესალმა. ჭიშკარი მაშინვე გაიღო, გამოჩნდა დაბარდნილი ბაღი, საცხოვრებელი სახლების თეთრი და ყვითელი კორპუსები, მათ უკან კი ინსტიტუტის მინის გიგანტური პარალელეპიპედი. ნელა გაიარეს საავტომობილო გზაზე, სადაც მრისხანე გამაფრთხილებლები მოითხოვდნენ, სიჩქარეს არ გადააჭარბოთო. მათ გადალახეს ბავშვთა მოედანი, ჩაუარეს აუზის დაბალ შენობას, მხიარულ ჭრელა-ჭრელა კლუბ-რესტორანს და ყოველივე ეს ღრუბელივით გახვეულა სიმწვანეში. აქ მშვენიერი, საოცრად სუფთა ჰაერია და - მასარაკშ, რაღაც საოცარი სუნი, არსად, არც ერთ ყანაში, არც ერთ ტყეში რომ არ არის, ისეთი... ოჰ, ეს მწირი, ყველაფერი მისი მოფიქრებულია, ვინ იცის, რამდენი ფული შეალია, მაგრამ სამაგიეროდ როგორ უყვართ აქ ის. აი, როგორ უნდა იცხოვრო, აი როგორ უნდა მოეწყო. ბევრი ფული დაიხარჯა. სულთანი ძალიან უკმაყოფილო იყო, ჯერ კიდევ უკმაყოფილოა... რისკი? დიახ, რისკი, რა თქმა უნდა, იყო, მწირმა რისკი გასწია, მაგრამ სამაგიეროდ ახლა მისი დეპარტამენტი მას ეკუთვნის: აქ არ გაყიდიან, არ ჩაუსაფრდებიან... აქ ხუთასი კაცი ჰყავს, უმთავრესად ახალგაზრდობა: გაზეთებს არ კითხულობენ, რადიოს არ უსმენენ - წარმოიდგინეთ, დრო არა აქვთ, მნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევით არიან დასაქმებული... ასე რომ, გამოსხივება აქ მიზანს არ ხვდება, უფრო სწორად, სულ სხვა მიზანს ხვდება. დიახ, მწირო, მე შენს ადგილზე კიდევ დიდხანს გავაჭიანურებდი მცველი მუზარადების საკითხს. იქნებ შენც აჭიანურებ? ნამდვილად აჭიანურებ... მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, როგორ გამოგიჭირო? აი, მეორე მწირი რომ მოიძებნებოდეს... მეორე ასეთი თავი მთელ მსოფლიოში არ

არის. და მან იცის ეს. და დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს ყოველ ცოტად თუ ბევრად ნიჭიერ კაცს. ახალგაზრდობიდანვე ეპატრონება, უალერსებს, მშობლებს აშორებს - იმ სულელი მშობლების სიხარულს კი საზღვარი არა აქვს! - და აი, გაიხედავ და კიდევ ერთი ჯარისკაცი დგება შენს მწყობრში... ოხ, რა კარგია, რომ ახლა მწირი არ არის, რა ბედნიერებაა!“

მანქანა გაჩერდა, რეფერენტმა კარი გააღო. პროკურორი გადმოვიდა მანქანიდან, შემინული ვესტიბიულის საფეხურებზე ავიდა. თავკომბალა უკვე ელოდა თავის რეფერენტებიანად. პროკურორმა, რომელსაც სახეზე სათანადო მოწყენილობა ეწერა, დუნედ ჩამოართვა ხელი თავკომბალას, რეფერენტებს შეხედა და ნება დართო ლიფტამდე მიეცილებინათ. კაბინაში შევიდნენ რეგლამენტისამებრ: ბატონი სახელმწიფო პროკურორი, შემდეგ ბატონი დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, მას მიჰყვნენ სახელმწიფო პროკურორის რეფერენტი და ბატონი უფროსის მოადგილის უფროსი რეფერენტი. დანარჩენები ვესტიბიულში დატოვეს. თავკომბალას კაბინეტში კვლავ რეგლამენტის შესაბამისად შევიდნენ: ბატონი პროკურორი, შემდეგ თავკომბალა; პროკურორის რეფერენტი და თავკომბალას უფროსი რეფერენტი გარეთ დატოვეს მისაღებში. პროკურორი მაშინვე სავარძელში ჩაჯდა დაღლილი იერით, ხოლო თავკომბალა აწრიალდა, მაგიდის კიდეზე განლაგებულ ღილაკებს თითები დაუშინა და, როცა კაბინეტში ჯგროდ შემოცვივდნენ მდივნები, ჩაის მოტანა უბრძანა.

პირველი რამდენიმე წუთი პროკურორი თავს ირთობდა თავკომბალას თვალიერებით. ის ნამდვილ დამნაშავესავით გამოიყურებოდა. პროკურორს არ უყურებდა, დროდადრო თმას ისწორებდა, გამწარებული ხელებს იმტვრევდა, არაბუნებრივად ახველებდა და ბევრს მოძრაობდა უაზროდ და მოუსვენრად. მას მუდამ ასეთი შესახედაობა ჰქონდა. გარეგნობა და ქცევა იყო მისი ძირითადი კაპიტალი. მისი შემხედვარე ეჭვობდა, ალბათ სინდისი სუფთა არ აქვსო და ამიტომაც თავკომბალა ხშირად გულმოდგინე შემოწმებების ობიექტი ხდებოდა. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტმა მისი ცხოვრების ყოველი საათი შეისწავლა და ვინაიდან უზადოდ ცხოვრობდა, ხოლო ყოველი ახალი შემოწმება მხოლოდ ადასტურებდა ამ მოულოდნელ ფაქტს, იშვიათი სისწრაფით ადიოდა სამსახურებრივ კიბეზე.

პროკურორმა ყოველივე ეს მშვენივრად იცოდა: პირადად სამჯერ გულ-

მოდგინედ შეამოწმა თავკომბალა და მაინც ახლა, როცა გართობის მიზნით ათვალიერებდა, უეცრად გაიფიქრა, რომ თავკომბალამ, ამ ყალთაბანდმა, იცის, სად იმყოფება მწირი და ეშინია, არ წამომაცდენინონო. და პროკურორმა თავი ვერ შეიკავა.

- მწირმა მოგიკითხა, - თქვა დაუდევრად, თან სამკლავურზე თითებს აკაკუნებდა.

თავკომბალამ სწრაფად შეხედა პროკურორს და მაშინვე თვალი აარიდა.

- მ-მ... ჰო... - თქვა ტუჩების კვნეტით. - კხე... ახლავე, აი, ჰმ... ჩაის მოიტანენ.

- გთხოვა, დამირეკოსო, - თქვა პროკურორმა უფრო დაუდევრად.

- რა?.. ა-ა-... კეთილი... დღეს განსაკუთრებული ჩაი მაქვს. ჩემმა ახალმა მდივანმა ჩინებული ჩაის დაყენება იცის... ესე იგი... კხე... სად უნდა დავურეკო?

- არაფერი მესმის, - თქვა პროკურორმა.

- არა, მე მინდა ვთქვა, რომ... ჰმ... რომ დავურეკო, ხომ უნდა ვიცოდე... კხე... ტელეფონი... ის ხომ არასდროს არ ტოვებს ტელეფონს... - თავკომბალა უეცრად აწრიალდა, ტანჯვისაგან გაწითლდა, მაგიდას ხელები დაუშინა, ფანქარი იპოვა, - სად დამირეკოსო?

- გეხუმრე, - უკან დაიხია პროკურორმა.

- ა? რა?... - თავკომბალას სახეზე წამში რამდენიმე უაღრესად საეჭვო გამომეტყველებამ გაიელვა. - ა იხუმრე? - ის ყალბად აროხროხდა. - მარჯვედ კი გამაცურე... აი, სეირი თუ გინდა, ეს არის! მე კი ვიფიქრე... ხა-ხა-ხა!... აი, ჩაიც მოიტანეს!

პროკურორმა მდივნის გასათუთებული, მოვლილი ხელებიდან ჭიქით მაგარი ჩაი მიიღო და თქვა:

- ვიხუმრეთ და გვეყოფა, დრო ცოტა გვაქვს. სადაა შენი ქაღალდი?

თავკომბალამ მაგიდიდან საინსპექციო აქტის პროექტი ამოიღო და პროკურორს გაუწოდა, რისთვისაც უამრავი ზედმეტი მოძრაობა გააკეთა. ამ დროს ისე იკუმშებოდა და იბღინძებოდა, კაცი იფიქრებდა, პროექტი აშკარად ყალბი ინფორმაციებითაა სავსე. მისი მიზანია შეცდომაში შეიყვანოს ინსპექტორი და საერთოდ ძირგამომთხრელი განზრახვებითაა შედგენილიო.

- ა-აბა... - თქვა პროკურორმა და შაქრის ნატეხი მოწუწნა. რა გაქვს მანდ?...

„შესამოწმებელი კვლევის აქტი“... ჰო-ო... ინტერფერენციის ლაბორატორია... სპექტრული კვლევის ლაბორატორია... ინტეგრალური გამოსხივების ლაბორატორია... არაფერი მესმის, ეშმაკიც მოიტეხს ფეხს! როგორ ერკვევი ყოველივე ამაში?...

- მე კი... ჰმ... იცი, არც მე ვერკვევი, მე ხომ სპეციალობით... ჰმ... ადმინისტრატორი ვარ... ჩემი საქმე... ეს... ზოგადი ხელმძღვანელობაა...

თავკომბალა თვალებს მალავდა, ტუჩებს იკვნეტდა, თმას იჩეჩავდა, და უკვე დღესავით ნათელი იყო, რომ ის არავითარი ადმინისტრატორი არ არის, არამედ ხონტიელთა ჯაშუშია, რომელსაც უმაღლესი სპეციალური განათლება მიუღია. ესეც ფიგურა!...

პროკურორი კვლავ მიუბრუნდა აქტს. ღრმააზროვანი შენიშვნა გამოთქვა იმის გამო, რომ სიმძლავრის გამაძლიერებელ ჯგუფს სახსრები გადაეხარჯა. იკითხა, ვინ არის ეს ზონ ბარუტუ, განთქმულ პროპაგანდისტ მწერალს მორუ ბარუტუს ნათესავად ხომ არ ერგებაო; საყვედურით მოიხსენია ულინზო რეფრექტომეტრი, რომელიც საოცრად ბევრი ფული დაჯდა და დღემდე არ აემუშავებინათ, შეაჯამა გამოსხივების კვლევისა და სრულყოფის სექტორის ნამუშევრები და თქვა, ამათგან არსებით ძვრებს არ მოველიო (და მადლობა ღმერთს, დასძინა გუნებაში) და მოითხოვა, ჩემი ეს აზრი აუცილებლად სუფთად გადაწერილ აქტში შეიტანეთო.

აქტის იმ ნაწილს, რომელიც გამოსხივებისაგან თავდაცვის სექტორის მუშაობას შეეხებოდა, კიდევ უფრო ზერელედ გადახედა.

- ერთ ადგილზე იტკეპნებით, - განაცხადა მან. - ფიზიკური თავდაცვის დარგში საერთოდ ვერაფერს მიაღწიეთ, ფიზიოლოგიურისა - კიდევ უფრო ნაკლებს... ფიზიოლოგიური თავდაცვა საერთოდ ის არ არის, რაც გვჭირდება: რისი გულისთვის დაგნებდეთ ასაკუწად, ვინ იცის, იქნებ იდიოტადაც მაქციოთ... აი, ყოჩაღ ქიმიკოსები - კიდევ ერთი წუთი მოიგეს. შარშანაც წუთი, ხოლო შარშანწინ - წუთნახევარი. ეს რა გამოდის? მაშასადამე, მე ახლა აბს მივიღებ და ოცდაათი წუთის ნაცვლად ოცდაორი წუთი უნდა ვეწამო - არა უშავს. თითქმის ოცდაათი პროცენტია... ჩაიწერე ჩენი აზრი: დაჩქარდეს სამუშაოთა ტემპი ფიზიკურ თავდაცვაში, წახალისდნენ ქიმიური თავდაცვის განყოფილების მუშაკები. მორჩა. - ფურცლები თავკომბალას ესროლა. - უბრძანე სუფთად გადაბეჭდონ... და ჩემი აზრი. ახლა კი, პროფორმისათვის, მოდი, გამაცი-

ლე... ვთქვათ, თუნდაც... ე-ე, ფიზიკოსებთან ამასწინათ ვიყავი. მიმაცილე ქიმიკოსებთან, ვნახო ერთი...

თავკომბალა წამოხტა და კვლავ დაუშინა თითები ღილაკებს, პროკურორი კი ისეთი სახით წამოდგა, თითქოს ძალიან დაქანცულიაო.

მან თავკომბალასა და დღის რეფერენტის თანხლებით აუჩქარებლად გასწია ქიმიური თავდაცვის განყოფილების ლაბორატორიებში, თავაზიანად უღიმოდა იმათ, ვისაც ერთი შევრონი ჰქონდა ხალათის სახელოზე, ზოგჯერ ბეჭებზე ხელს უთათუნებდა უშევრონოებს, ცოტა ხნით ჩერდებოდა ორშევრონიანებთან, ხელს ართმევდა, გამგებიანად უქნევდა თავს და ეკითხებოდა, პრეტენზიები ხომ არაფერი გაქვთო.

პრეტენზიები არ ჰქონდათ. ყველანი თითქოს მუშაობდნენ, ან თავი ისე ეჭირათ, თითქოს მუშაობენ, - რას გაუგებ. რაღაც ხელსაწყოებზე რაღაც ნათურები ციმციმებდა, რომელიღაც ჭურჭლებში რაღაც სითხეები იხარშებოდა, ყარდა რაღაც საზიზღრობა, აქა-იქ პირუტყვებს აწამებდნენ. აქ სისუფთავე, სინათლე, სიხალვათე იყო; ადამიანები მაძღარი და მშვიდი ჩანდნენ, ენთუზიაზმს არ ავლენდნენ, ინსპექტორთან სავსებით კორექტულად ეჭირათ თავი, მაგრამ არ ამჟღავნებდნენ არავითარ სითბოს და მით უმეტეს, პირმოთნეობას.

აქ ბევრ ოთახში - კაბინეტი იქნებოდა თუ ლაბორატორია - ეკიდა მწირის პორტრეტი; სამუშაო მაგიდის თავზე, ტაბულებისა და გრაფიკების გვერდით, ფანჯრებს შორის კედელზე, კარის თავზე; ზოგჯერ მისი პორტრეტი მინის ქვეშ იდო მაგიდაზე. ესენი იყო ფოტოსურათები, ფანქრითა და ნახშირით შესრულებული ნახატები: ერთი ზეთის საღებავით შესრულებული პორტრეტიც ერია. ამ სურათებზე მწირი ბურთს თამაშობდა, ლექციას კითხულობდა; ვაშლს ჭამდა; ხან განრისხებული ჩანდა, ხან ჩაფიქრებული, დაღლილი, გააფთრებული და გულიანად ახარხარებულიც კი. ეს ძუკნის შვილები შარჟებსაც ხატავდნენ მასზე. და ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზე კიდებდნენ... პროკურორმა წარმოიდგინა: შედის იუსტიციის უმცროსი მრჩევლის ფილტიკის კაბინეტში და რას ხედავს: კედელზე მისი კარიკატურა კიდია. მასარაკშ, ეს წარმოუდგენელი, შეუძლებელი იყო.

პროკურორი იღიმებოდა, ბეჭებზე უთათუნებდა, ხელს ართმევდა, თვითონ კი ფიქრობდა, აი, მეორედაა უკვე აქ შარშანდლიდან და თითქოს ყველა-

ფერი ძველებურად დარჩენილა, მაგრამ წინათ როგორღაც არ აქცევდა ამას ყურადღებას... ახლა კი აი, მიაქცია. რატომ მხოლოდ ახლა? აი, რატომ! რა იყო მისთვის მწირი ერთი ან ორი წლის წინათ? ფორმალურად ერთ-ერთი ჩვენგანი. ფაქტობრივად კაბინეტის ფიგურაა და არც რაიმე გავლენა აქვს პოლიტიკაზე, არც თავისი ადგილი პოლიტიკაში, არც თავისი მიზნები. მაგრამ მას შემდეგ მწირმა ბევრი რამ მოასწრო. უცხოელი ჯაშუშების განდევნის სახელმწიფოებრივი მასშტაბის ოპერაცია მისი აქციაა. ამ პროცესს პროკურორი თვითონ უძღვებოდა და გაოცებული იყო, როცა მიხვდა, რომ საქმე ჩვეულებრივ საეჭვო ღირსების გადაგვარებულ ჯაშუშებთან კი არა აქვს, არამედ ნამდვილ გამოჯეკილ მზვერავებთან, რომლებიც კუნძულის იმპერიამ შემოგზავნა მეცნიერული და ეკონომიკური ინფორმაციის შესაგროვებლად. მწირმა ყველა გამოიჭირა, როგორც ერთი კაცი, და მას შემდეგ გახდა განსაკუთრებული კონტრდაზვერვის უცვლელი შეფი.

შემდეგ: სწორედ მწირმა გახსნა ბებერას შეთქმულება, ამ საშინელი ფიგურისა, რომელიც ძალიან მაგრად იჯდა, ძლიერ და სახიფათოდ უთხრიდა ძირს მწირის შეფობას კონტრდაზვერვაზე. თვითონვე დაანარცხა, არავის არ ანდო. მუდამ აშკარად მოქმედებდა, არასდროს არ ინიღბებოდა და ყოველთვის მარტო იყო - არავითარი კოალიციები, არავითარი უნიები, არავითარი დროებითი კავშირი. ასე ჩამოაგდო ზედიზედ სამხედრო დეპარტამენტის სამი უფროსი - კრინტის დაძვრასაც გერ ასწრებდნენ. რომ უკვე ზევით იძახებდნენ, - სანამ ღალღა არ დაასმევინა, რომელსაც ომის პანიკური შიში ჰქონდა... სწორედ მან აჩეხა შარშან პროექტი „ოქრო“, რომელიც მრეწველობისა და ფინანსთა საიმპერიო კავშირმა წარადგინა ზევით... მაშინ ყველას ეგონა მწირის აღსასრული დადგაო, რადგანაც პროექტმა თვით კანცლერის აღტაცება გამოიწვია, მაგრამ მწირმა როგორღაც დაუმტკიცა, რომ პროექტი მხოლოდ დროებითაა ხელსაყრელი, ათი წლის შემდეგ კი საერთო შეშლილობა და სრული რღვევა დაიწყება. მუდამ როგორღაც ახერხებდა დაემტკიცებინა მათთვის; არავის არასდროს არ შეეძლო, მარტო მას შეეძლო. და საერთოდ გასაგებია, რატომაც. არასდროს არაფრის ეშინოდა. დიახ, დიდხანს იჯდა კაბინეტში, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გაიგო თავისი ნამდვილი ფასი. მიხვდა, რომ საჭირო კაცია ყველასთვის, ვინც უნდა ვიყოთ და როგორაც უნდა ვეჩხუბებოდეთ ერთმანეთს. რადგანაც მხოლოდ მას შეუძლია შექმნას დაცვა, მხოლოდ მას

შეუძლია გვიხსნას ტანჯვა-წამებისაგან... ეს თეთრხალათიანი ცინგლიანები კი კარიკატურებს ხატავენ მასზე...

რეფერენტმა მორიგი კარი გაუღო პროკურორს, და მანაც იხილა თავისი მაკი. მაკს სახელოზე შევრონიანი ხალათი ეცვა, რაფაზე იჯდა და გარეთ იყურებოდა. იუსტიციის რომელიმე მრჩეველს თავისთვის ნება რომ მიეცა, სამსახურის დროს რაფაზე ჩამომჯდარიყო და ბუზები ეთვალა, არავის შეაწუხებდა სინდისი, ეტაპით გაეშვა, როგორც ყოვლად უქნარა და საბოტაჟის მომწყობი. ამ შემთხვევაში კი, მასარაკშ, არაფრის თქმა არ შეიძლებოდა. ქეჩოში ჩაავლებ ხელს და გეტყვის: „რა გნებავთ! მე გონებრივ ექსპერიმენტში ვარ ჩაბმული! მომეშვით და ხელს ნუ მიშლით!“

დიადი მაკი ბუზებს ითვლიდა. მან ერთი შეავლო თვალი შემოსულთ და ის იყო, თავის საქმიანობას უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ მაშინვე მოტრიალდა და მეტი ყურადღებით მიაჩერდა. „მიცნო, - გაიფიქრა პროკურორმა, - მიცანი, ჩემო ჭკვიანო...“ მაკს თავაზიანად გაუღიმა, შემდეგ მხარზე მოუთათუნა ახალგაზრდა ლაბორანტს, არითმომეტრს რომ ატრიალებდა და, შუა ოთახში გაჩერებულმა, მიმოიხედა.

- ა-აბა... - უთხრა სივრცეს მაკსა და თავკომბალას შორის. - რა ხდება აქ, ჩვენთან?

- ბატონო სიმ, - თქვა თავკომბალამ, თან წითლდებოდა, თვალებს ახამხამებდა და ხელებს ისრესდა. - აუხსენით ბატონ ინსპექტორს, რას... კხე... ჰმ...

- მე თქვენ გიცნობთ, - თქვა დიადმა მაკმა, რომელიც როგორღაც მოულოდნელად გაჩნდა პროკურორისგან ორ ნაბიჯზე, - ბოდიში, თუ არ ვცდები, თქვენ სახელმწიფო პროკურორი ხართ.

დიახ, მაკთან საქმის დაჭერა იოლი არ იყო - გულდასმით მოფიქრებული მთელი გეგმა მაშინვე ეშმაკთან გაფრინდა: მაკს არც უფიქრია დაემალა რამე, მას არაფრის არ ეშინოდა, თავისი ზორბა აღნაგობის სიმაღლიდან ისეთი ცნობისმოყვარეობით უყურებდა პროკურორს, თითქოს რაღაც უცნაური ეგზოტიკური ცხოველი დაინახაო.

საჭირო იყო ყველაფრის სახელდახელოდ გადაკეთება.

- დიახ, - ცივი გაოცებით წარმოთქვა ღიმგამქრალმა პროკურორმა. - რამდენადაც ვიცი, მე მართლაც სახელმწიფო პროკურორი ვარ, თუმცა არ მესმის... - მოიღუშა და სახეში მიაჩერდა მას. მაკი სახეგაბადრული შემოსცქერო-

და. - ოჰო! - შესძახა პროკურორმა. - რა თქმა უნდა... მაკ სიმი, იგივე მაქსიმ კამერერი! კი მაგრამ, თქვენ ხომ დაიღუპეთ. მასარაკშ, აქ როგორ გაჩნდით?

- გრძელი ამბავია, - უპასუხა მაკმა და ხელი ჩაიქნია. - სხვათა შორის მეც გაოცებული ვარ, რომ აქ გხედავთ. ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ იუსტიციის დეპარტამენტს ჩვენი საქმიანობა აინტერესებს.

- თქვენი საქმიანობა ყოვლად მოულოდნელ ადამიანებს აინტერესებთ, - თქვა პროკურორმა. მაკს მკლავში გამოსდო ხელი, შორეულ ფანჯარასთან მიიყვანა და ნდობით უჩურჩულა: - როდის მოგვიძღვნით აბებს? ნამდვილ აბებს, მთელი ნახევარი საათით...

- ნუთუ თქვენც?... - იკითხა მაკმა. - თუმცა, ჰო, ბუნებრივია...

პროკურორმა მწარედ გაიქნია თავი და მძიმე ოხვრით გადაატრიალა თვალები.

- ჩვენი კურთხევა და ჩვენი შეჩვენება, - ჩაილაპარაკა მან. ჩვენი სახელმწიფოს ბედნიერება და მისი მმართველების უბედურება... მასარაკშ, როგორ მიხარია, მაკ, რომ ცოცხალი ხართ! უნდა გითხრათ, რომ თქვენი საქმე ჩემს კარიერაში ერთ-ერთი მცირერიცხოვანთაგანი იყო, რომლებმაც სევდიანი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამიტოვეს... არა-არა, უარყოფას ნუ შეეცდებით. კანონის თანახმად თქვენ დამნაშავე იყავით, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა... თქვენ თავს დაესხით კოშკს, ვგონებ, მოკალით ლეგიონერი, ამისათვის ხომ იცით, თავზე ხელს არავის უსვამენ. მაგრამ აი, არსებითად... უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან გამიჭირდა, ხელი მომეწერა თქვენი განაჩენისათვის. არ გეწყინოთ და ასე მეგონა, თითქოს ბავშვისთვის გამომქონდა განაჩენი. ბოლოს და ბოლოს ეს უფრო ჩვენი წამოწყება იყო, ვიდრე თქვენი, და მთელი პასუხისმგებლობა...

- მე არ მწყინს, - თქვა მაკმა. - და თქვენც ახლოს ხართ ჭეშმარიტებასთან: ამ კოშკთან დაკავშირებული გამოხდომა ბავშვობა იყო... მადლობა ღმერთს, არ მიგვახვრიტეს მაშინ.

- ეს იყო ყველაფერი, რისი გაკეთებაც შევძელი, - თქვა პროკურორმა. - მახსოვს, ძალიან შევწუხდი, როცა თქვენი დაღუპვის ამბავი გავიგე... - მან გაიცინა და მეგობრულად მოუჭირა ხელი იდაყვში. - საოცრად მიხარია, რომ ყველაფერი ასე კეთილად დაგვირგვინდა. ძალიან მიხარია თქვენი გაცნობა... - მან საათს დახედა. - მომისმინეთ, მაკ, მაინც რატომ ხართ აქ? არა-არა, დაპა-

ტიმრებას არ გიპირებთ, ეს ჩემი საქმე არ არის, ახლა დაე, სამხედრო კომენდატურამ მოგხედოთ მაგრამ ამ ინსტიტუტში რას აკეთებთ? განა თქვენ ქიმიკოსი ხართ? და კიდევ... - მან შევრონზე მიუთითა.

- ცოტ-ცოტათი ყველაფერი ვარ, - თქვა მაკმა. - ცოტათი ქიმიკოსი, ცოტათი ფიზიკოსი...

- ცოტათი იატაკქვეშელი, - თქვა პროკურორმა და გულარხეინად გაიცინა.

- ძალიან ცოტათი, - მტკიცედ თქვა მაკმა.

- ცოტათი მეფოკუსე... - თქვა პროკურორმა.

მაკი ყურადღებით მიაჩერდა.

- ცოტათი ფანტაზიორი, - განაგრძო პროკურორმა. - ცოტათი ავანტიურისტი...

- ესენი უკვე სპეციალობები არაა, - შეესიტყვა მაკი. - ესენი, თუ გნებავთ, უბრალოდ ყოველი რიგიანი მეცნიერის თვისებებია.

- და რიგიანი პოლიტიკოსისა, - თქვა პროკურორმა.

- იშვიათი სიტყვათშემწეობაა, - შენიშნა მაკმა.

პროკურორი ყურადღებით დააჩერდა, შემდეგ მოისაზრა და კვლავ გაიცინა.

- დიახ, - თქვა მან. - პოლიტიკურ მოღვაწეობას აქვს თავისი სპეციფიკა. ნურასდროს ნუ დაეშვებით პოლიტიკამდე, მაკ, დარჩით თქვენს ქიმიასთან... - მან საათს შეხედა და დანანებით თქვა: - ახ, დალახვროს ეშმაკმა, როგორ მინდა თქვენთან ლაპარაკი, მაგრამ სულ არა მაქვს დრო... ლაპარაკი კი ძალიან მინდა. მე გადავხედე თქვენს დოსიეს, ყოვლად საინტერესო პიროვნება ხართ... მაგრამ, ალბათ, თქვენც ძალზე მოუცლელი ხართ...

- დიახ, - თქვა უჭკვიანესმა მაკმა. - თუმცა, რა თქმა უნდა, ისე არა, როგორც სახელმწიფო პროკურორი.

- დიახ, - წარმოთქვა პროკურორმა კომიკური საყვედურით. - თქვენი უფროსები კი გვარწმუნებენ, დღე და ღამ მუშაობენო... მე, მაგალითად, ჩემს თავზე ამას ვერ ვიტყვი. სახელმწიფო პროკურორს დროდადრო გამოერევა ხოლმე თავისუფალი საღამოები... გაგიკვირდებათ, მაგრამ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის შესაკითხი, მაკ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჯერ კიდევ მაშინ მინდოდა მესაუბრა თქვენთან, პროცესის შემდეგ. მაგრამ - საქმეები, საქმეები...

- მზად ვარ გემსახუროთ, - თქვა მაკმა.- მით უმეტეს, რომ მეც ბევრი მაქვს

შესაკითხი.

„აბა-აბა! - გუნებაში დაუცაცხანა პროკურორმა. - ასე გულახდილიც ნუ იქნები, ჩვენ აქ მარტო არა ვართ“. ხმამაღლა კი მშვიდად თქვა:

- ძალიან კარგი! ყველაფერს, რაც შემიძლია... ახლა კი, გთხოვთ მაპატიოთ, გავრბივარ...

მან უზარმაზარი ხელი ჩამოართვა თავის მაკს, უკვე გამოჭერილ მაკს, ანკესზე საბოლოოდ წამოგებულს. „მშვენივრად ამყვა, უდავოდ უნდა შეხვედრა, და ახლა კი ამოვათრევ...“ პროკურორი კარებში შეჩერდა, თითები გაატკაცუნა, მოტრიალდა და თქვა:

- მითხარით, მაკ, ამ საღამოს რას აკეთებთ? ამ წუთში გამახსენდა, რომ დღეს თავისუფალი საღამო მაქვს...

- დღეს? - თქვა მაკმა. - რატომაც არა... თუმცა დღეს მე...

- ორივე მოდით! - შესძახა პროკურორმა. - კიდევ უკეთესი - ჩემს ცოლს გაგაცნობთ, მშვენიერი საღამო გამოვა... რვა საათზე შეგიძლიათ? მანქანას გამოგიგზავნით. შევთანხმდით?

- შევთანხმდით.

„შევთანხმდით!“ - იმეორებდა გახარებული პროკურორი განყოფილების დანარჩენი ლაბორატორიების შემოვლისას, თან იღიმებოდა, ბეჭებზე უთათუნებდა და ხელს ართმევდა მათ. „შევთანხმდით! - ფიქრობდა, როცა ხელს აწერდა აქტს თავკომბალას კაბინეტში. „შევთანხმდით, მასარაკშ, შევთანხმდით!“ - გაჰყვიროდა გულში, შინ რომ მიემგზავრებოდა.

მძღოლს განკარგულება მისცა. რეფერენტს უბრძანა, დეპარტამენტში ეცნობებინა, რომ ბატონი პროკურორი დაკავებულია... არავინ არ მიიღოთ, ტელეფონი გამორთეთ და საერთოდ ეშმაკებთან წადით, ოღონდ ისე, რომ თუ დამჭირდით, საძებარი არ იყოთ. ცოლი გამოიძახა, კისერში აკოცა, გაკვრით გაიხსენა, რომ უკვე ათი დღე არ ენახათ ერთმანეთი, და სთხოვა, განკარგულება გაეცა ვახშმის თაობაზე, უთხრა: კარგი და მსუბუქი, გემრიელი ვახშამი მოამზადონ ოთხი კაცისთვისო, აბა შენ იცი, როგორ დაიჭერ თავს სუფრასთან და ძალიან საინტერესო კაცის შესახვედრად მოემზადეო. და დასძინა: სუფრაზე რაც შეიძლება მეტი ღვინო იყოს, საუკეთესო და სხვადასხვაო.

შემდეგ კაბინეტში ჩაიკეტა, მწვანე საქაღალდეში ჩადებული საქმე კვლავ მაგიდაზე დადო და ხელახლა, თავიდან ჩაუფიქრდა. მხოლოდ ერთხელ შე-

აწუხეს: სამხედრო დეპარტამენტიდან კურიერმა უკანასკნელი ფრონტული ცნობა მოიტანა. ფრონტი დაიშალა. ვიღაცამ ხონტიელები ჩააგონა ყვითელ მანქანებს ყურადღება მიაქციეთო, წუხელის მათ ცეცხლი დაუშინეს და ატომური ჭურვებით მოსპეს გამომსხივებელი ტანკების დაახლოებით ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი. შეჭრილი არმიის ბედ-იღბალზე მეტი ცნობები არ შემოსულა... ეს აღსასრული იყო. ეს ომის აღსასრული იყო. ეს გენერლების შეკაგუსა და ოდის აღსასრულიც იყო, ეს აღსასრული იყო სათვალიანის, ჩაიდნის, ტუჩესა და დანარჩენებისათვის. სავსებით შესაძლებელია, რომ აღსასრული იყო გრაფისთვისაც. და, რა თქმა უნდა, ჭკუის კოლოფის აღსასრულიც იქნებოდა, ჭკუის კოლოფი ჭკუის კოლოფი რომ არ ყოფილიყო.

ცნობა წყლიან ჭიქაში გახსნა და კაბინეტში სიარულს მოჰყვა. გულს საოცრად მოშვებოდა, ახლა ის მაინც იცოდა ზუსტად, როდის გამოიძახებდნენ ზევით. ჯერ ბარონს მოუღებენ ბოლოს და სულ ცოტა, ერთ დღე-ღამეს მოანდომებენ არჩევანს ღალღასა და კბილს მორის. შემდეგ სათვალიანსა და ტუჩეზე იწვალებენ. ამას კიდევ ერთი დღე-ღამე დასჭირდება. ჩაიდანს იოლად გაუსწორდებიან, მარტო გენერალი შეკაგუც, სულ ცოტა, ორ დღეს წაართმევთ. შემდეგ კი, მხოლოდ შემდეგ... შემდეგ უკვე არავითარი „შემდეგ“ არ ექნებათ...

სტუმრის ჩამოსვლამდე კაბინეტიდან არ გამოსულა.

სტუმარმა ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ის ბრწყინვალე იყო, იმდენად ბრწყინვალე, რომ პროკურორის ცოლი, ეს ცივი ქალი, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი, ამ სიტყვის უსაშინელესი გაგებით, რომელიც პროკურორის თვალში დიდი ხანია ქალი კი არა, ძველი მებრძოლი ამხანაგი იყო, მის დანახვაზე თითქოს ოცი წლით გაახალგაზრდავდა და საოცრად ბუნებრივად ეჭირა თავი - თითქოს იცოდა, რა როლი უნდა შეესრულებინა მაკს მის ბედ-იღბალში.

- მარტო რატომ ხართ? - გაოცდა იგი. - ჩემმა მეუღლემ ოთხისთვის შემიკვეთა ვახშამი...

- ჰო, მართლა, - დაადასტურა პროკურორმა, - მეგონა ქალთან ერთად მოხვიდოდით, მახსოვს ის ქალიშვილი, თქვენი გულისთვის კინაღამ უბედურება რომ შეემთხვა...

- მას შეემთხვა უბედურება, - თქვა მშვიდად მაკმა, - მაგრამ ამაზე შემდეგ.

თქვენი ნებართვით. საით წავიდე?...

დიდხანს მხიარულად ვახშმობდნენ, ბევრს იცინოდნენ, ცოტა დალიეს. პროკურორი უკანასკნელ ჭორებს ჰყვებოდა. მისი მეუღლე ძალზე ლამაზად უამბობდათ საჩოთირო ანეკდოტებს. მაკმა კი იუმორისტულ ფერებში წარმოადგინა თავისი ფრენა ბომბდამშენით. პროკურორი მის ნაამბობზე იცინოდა და შეძრწუნებული ფიქრობდა, რა მდგომარეობაში ვიქნებოდი ახლა, მიზანს თუნდაც ერთი რაკეტა რომ მოხვედროდაო...

როცა ყველაფერი შეჭამეს და დალიეს, პროკურორის ცოლმა ბოდიში მოუხადა მამაკაცებს და უთხრა: დაადასტურეთ, რომ თუნდაც ერთი საათი მაინც შეგიძლიათ უქალოდ გაძლებაო. პროკურორმა გმირულად მიიღო ეს გამოწვევა, მაკს მკლავი გამოსდო და კაბინეტში წაიყვანა, რათა ისეთი ღვინით გამასპინძლებოდა, რომლის დეგუსტირების საშუალება მხოლოდ ოცდაათამდე კაცს თუ ჰქონდა მთელს ქვეყანაში.

კაბინეტის ყველაზე მყუდრო კუთხეში დაბალი მაგიდის ორივე მხარეს დადგმულ რბილ სავარძელში ჩასხდნენ. ძვირფასი ღვინო მოსვეს და ერთმანეთს შეხედეს. მაკი ძალზე სერიოზული იყო. ეტყობოდა, ბრძენმა მაკმა კარგად იცოდა, რაზე უნდა ესაუბრათ და პროკურორმა უეცრად შეცვალა საუბრის თავდაპირველი გეგმა, მზაკვრული, მომქანცველი, სანახევროდ ქარაგმებზე აგებული საუბრისა, რომელიც თანდათანობით ურთიერთაღიარებას გულისხმობდა. რადას ბედი. მწირის ინტრიგა შემოქმედთა ხრიკები ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. გასაოცარი, სასოწარკვეთილებამდე მიმყვანი გარკვეულობით შეიცნო, რომ ამ ადამიანთან ზედმეტი აღმოჩნდება მთელი მისი ოსტატობა ამგვარ საუბრებში. მაკი ან დათანხმდება, ან უარს იტყვის. ეს საოცრად მარტივი იყო, ისევე როგორც ის, რომ პროკურორი ან იცოცხლებს, ან რამდენიმე დღეში გაჭყლეტენ. თითები აუთრთოლდა, სირჩა მაგიდაზე დადგა და ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე დაიწყო:

- მე ვიცი, მაკ, რომ თქვენ იატაკქვეშელი ხართ, შტაბის წევრი და არსებული წეს-წყობილების აქტიური მოწინააღმდეგე. გარდა ამისა, გამოქცეული კატორღელი და სპეციალური დანიშნულების ტანკის ეკიპაჟის ამომჟლეტი... ახლა ჩემზე. მე სახელმწიფო პროკურორი, მთავრობის ნდობით აღჭურვილი პირი, უდიდეს სახელმწიფოებრივ საიდუმლოებათა მცოდნე გახლავარ და თქვენსავით მტერი ვარ არსებული წეს-წყობილებისა. მე თქვენ წინადადებას

გაძლევთ, დავამხოთ ცეცხლოვანი შემოქმედნი. როცა ვამბობ „თქვენ“-მეთქი, მხედველობაში მყავხართ თქვენ და მხოლდ თქვენ: თქვენს ორგანიზაციას ეს არ ეხება. გთხოვთ გამიგოთ, რომ იატაკქვეშეთის ჩარევა მხოლოდ თუ გააფუჭებს საქმეს. მე გთავაზობთ შეთქმულებას, რომელიც უმთავრესი სახელმწიფო საიდუმლოების ცოდნას ემყარება. მე თქვენ გაცნობებთ ამ საიდუმლოს, ის მარტო ჩვენ ორმა უნდა ვიცოდეთ: თუ მესამე გაიგებს, უახლოეს დროში გაგვანადგურებენ. გაითვალისწინეთ, რომ იატაკქვეშეთი და შტაბი პროვოკატორებითაა სავსე. ამიტომაც გულში არ გაივლოთ მიენდოთ ვინმეს, განსაკუთრებით ახლო მეგობრებს...

მან სულმოუთქმელად გამოსცალა თავის სირჩა ისე, რომ გემო არ ჩაუტანებია, მაკისკენ დაიხარა და განაგრძო:

- მე ვიცი, სად არის ცენტრი. თქვენ ერთადერთი კაცი ხართ, ვისაც შეუძლია ხელთ იგდოს იგი. მე გთავაზობთ მისი ხელში ჩაგდებისა და შემდგომი მოქმედების შემუშავებულ გეგმას. თქვენ ახორციელებთ მას და სახელმწიფოს სათავეში დგებით. მე თქვენთან ვრჩები პოლიტიკურ და ეკონომიკურ მრჩევლად, რადგანაც ასეთ საქმეებში არაფერი გაგეგებათ. ზოგადად ვიცნობ თქვენს პოლიტიკურ პროგრამას. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, თუნდაც იმიტომ, რომ არა მეგულება რა ახლანდელ მდგომარეობაზე უარესი. მორჩა - მე დავამთავრე. სიტყვა თქვენზეა.

მაკი დუმდა. ხელში ძვირფასი ღვინით სავსე ძვირფას ბოკალს ატრიალებდა და არაფერს ამბობდა. პროკურორი ელოდა. ის საკუთარ სხეულს არ გრძნობდა. თითქოს აქ არ არის, სადღაც ციურ სიცარიელეში კიდია, დაბლა იყურება და ხედავს ოდნავ განათებულ მყუდრო კუთხეს, მდუმარე მაკსა და მის გვერდით სავარძელში რაღაც მკვდარს, გაშეშებულს, უხმოსა და უსულოსო.

შემდეგ მაკმა იკითხა:

- რამდენი შანსი მაქვს, რომ ცოცხალი დავრჩები ცენტრის ჩაგდებისას?

- ორმოცდაათი ორმოცდაათზე, - თქვა პროკურორმა.

უფრო სწორად, მოეჩვენა, რომ თქვა, რადგანაც მაკმა წარბები შეყარა და კვლავ უკვე უფრო ხმამაღლა გაიმეორა შეკითხვა.

- ორმოცდაათი ორმოცდაათზე, - ხრინწიანი ხმით თქვა პროკურორმა - იქნებ, მეტიც. არ ვიცი.

მაკი კვლავ დიდხანს დუმდა.

-კარგი, - თქვა ბოლოს. - სად არის ცენტრი?

მეცხრამეტე თავი

დაახლოებით შუადღისას ტელეფონმა გაიწკრიალა. მაქსიმმა ყურმილი აიღო.

- ბატონი სიმი მინდა, - გაისმა პროკურორის ხმა,

- გისმენთ. - უპასუხა მაქსიმმა, - გამარჯობათ,

მაქსიმი მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც მომხდარიყო.

-ის ჩამოვიდა, - თქვა პროკურორმა. - დაუყოვნებლივ დაიწყეთ. შეგიძლიათ?

- კი, - კბილებში გამოცრა მაქსიმმა, - მაგრამ თქვენ რაღაცას დამპირდით...

- ვერაფერი მოვასწარი, - თქვა პროკურორმა. მის ხმაში პანიკური კილო გაისმა. - უკვე ვერც მოვასწრებ. დაუყოვნებლივ დაიწყეთ, წუთის დაკარგვაც არ შეიძლება! გესმით, მაკ?

- კარგი, - თქვა მაქსიმმა. - მეტი არაფერი?

- ის თქვენთან მოდის. ოცდაათ-ორმოც წუთში იქ იქნება.

- მივხვდი. მორჩა?

- მორჩა. აბა თქვენ იცით, მაკ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

მაქსიმმა ყურმილი დააგდო, რამდენიმე წამი იჯდა და ფიქრობდა. „მასარაკშ, ყველაფერი თავდაყირა დგება... თუმცა მოფიქრებას კიდევ მოვასწრებ...“ კვლავ დააცხრა ყურმილს.

- პროფესორ ალუ ზეფს სთხოვეთ.

- გისმენთ! - იღრიალა ზეფმა.

- მაკი ვარ...

- მასარაკშ, მე ხომ გთხოვეთ, დღეს თავი დამანებეთ-მეთქი...

- ხმა ჩაიწყვიტე და მისმინე. ახლავე ჩამოდი და ჰოლში დამელოდე...

- მასარაკშ, დაკავებული ვარ!

მაქსიმმა კბილები გააღრჭიალა და ლაბორანტს გახედა. ლაბორანტი ბეჯითად ითვლიდა არითმომეტრზე.

- ზეფ, - თქვა მაქსიმმა, - ახლავე ჩამოდი ჰოლში. გესმის? დაუყოვნებლივ! - ყურმილი დადო, ხელახლა აიღო და ტახის ნომერი აკრიფა. ბედმა გაუღიმა: ტახი შინ იყო. - მაკი ვარ. ქუჩაში გამოდით და დამელოდეთ, სასწრაფო საქმე მაქვს.

- კარგი, - თქვა ტახმა. - მოვდივარ.

მაქსიმმა ყურმილი დააგდო, მაგიდიდან ხელში მოხვედრილი პირველი საქაღალდე ამოიღო და ქაღალდები გადაფურცლა, თან გაფაციცებით ფიქრობდა, ყველაფერი მზად იყო თუ არა. „მანქანა გარაჟშია, ბომბი საბარგოში, ავზი სავსეა საწვავით... იარაღი არ არის და ჭირს წაუღია, არცაა საჭირო... საბუთები ჯიბეში მიდევს, ტახი მელოდება... ყოჩაღ მე, კარგია ტახი რომ გამახსენდა... თუმცა შეიძლება უარი თქვას... მორჩა... ვგონებ მორჩა...“ ლაბორანტს უთხრა:

-თუ გამომიძახეს, უთხარი, მშენებლობის დეპარტამენტშია-თქო. ერთ-ორ საათში დავბრუნდები. ნახვამდის.

საქაღალდე იღლიაში ამოიჩარა, ლაბორატორიიდან გავიდა და კიბეები ჩაირბინა. ზეფი უკვე ჰოლში დააბიჯებდა. მაქსიმი რომ დაინახა, შეჩერდა, ხელები ზურგზე დაიწყო და...

- რა ეშმაკი გინდა, მასარაკშ... - დაიწყო ჯერ კიდევ შორიდან.

მაქსიმმა, არც შეჩერებულა ისე, მკლავში გამოსდო ხელი და გასასვლელისკენ წაიყვანა.

- რა უბედურებაა? - ბუზღუნებდა ზეფი და უძალიანდებოდა. - საით? რატომ?

მაქსიმმა კარში გამოაგდო და მოასფალტებულ გზაზე, კუთხის იქით გარაჟებისკენ წაიყვანა. ირგვლივ სიცარიელე იყო, მხოლოდ მოშორებით გაზონზე დროდადრო ჭრიჭინებდა სათიბელა.

- ბოლოს და ბოლოს სად მიმათრევ? - იღრიალა ზეფმა.

- გაჩუმდი, - თქვა მაქსიმმა. - მომისმინე. ახლავე მოუყარე თავი ჩვენებს. ყველას, ვისაც კი დაიჭერ... არავითარი შეკითხვები! მომისმინე! ყველას, ვისაც კი დაიჭერ. იარაღიანად. ჭიშკრის პირდაპირ პავილიონია, იცი?... იქ ჩასაფრდით. დამელოდეთ. დაახლოებით ოცდაათი წუთის შემდეგ... მისმენ, ზეფ?

- მერე? - ჰკითხა, ზეფმა მოუთმენლად.

- დაახლოებით ოცდაათ წუთში ჭიშკარს მოადგება მწირი...

- ჩამოვიდა?

- ნუ მაწყვეტინებ. დაახლოებით ოცდაათ წუთში, შესაძლოა, ჭიშკარს მოადგეს მწირი. თუ არ მოადგება - ხომ კარგი. უბრალოდ იჯექით და დამელო-

დეთ: ხოლო თუ მოადგება, ესროლეთ.

- ხომ არ გაგიჟდი? - თქვა ზეფმა და შეჩერდა. მაქსიმმა გზა განაგრძო, ხოლო ზეფი წყევლა-კრულვით გაჰყვა: - ხომ ყველას დაგვხოცავენ, მასარაკშ! დაცვა! ირგვლივ ჯაშუშებია!..

- ყველაფერი გააკეთეთ, რასაც შეძლებთ, - თქვა მაქსიმმა. - მწირი უნდა მოკვდეს...

გარაჟთან მივიდნენ. მაქსიმი ურდულს დააწვა და კარი გამოაგორა.

- რაღაც გიჟური წამოწყებაა. - თქვა ზეფმა. - რატომ? რატომ მწირი? სავსებით რიგიანი ძიაკაცია, ყველას უყვარს აქ...

- როგორც გენებოს, - ცივად თქვა მაქსიმმა. საბარგო გახსნა, ხელით მოსინჯა გაქონილ ქაღალდში გახვეული საათის მექანიზმიანი ფალია და კვლავ დაკეტა სახურავი. - ახლა არაფრის მოყოლა არ შემიძლია. მაგრამ ჩვენ გვაქვს შანსი. ერთადერთი... - საჭეს მიუჯდა და სტარტერს გასაღები მოარგო - და კიდევ მხედველობაში იქონიე, თუ ამ რიგიან ძიას ბოლოს არ მოუღებთ, ის მე მომიღებს ბოლოს, ძალიან ცოტა დრო გაქვს. იმოქმედე, ზეფ.

ძრავა ჩართო და უკან-უკან სვლით ნელა გავიდა გარაჟიდან.

ზეფი კარებში იდგა. მაქსიმი სიცოცხლეში პირველად ხედავდა მას ასეთს - შეშინებულს, დარეტიანებულს, დაბნეულს. „მშვიდობით, ზეფ“, - თქვა გულში ყოველი შეთხვევისათვის.

მანქანა ჭიშკართან მიგორდა. სახეგაქვავებულმა ლეგიონერმა აუჩქარებლად ჩაიწერა ნომერი, საბარგო გააღო, ჩაიხედა, დაკეტა, მაქსიმთან დაბრუნდა და მკაცრად ჰკითხა:

- რა გაგაქვთ?

- რეფრაქტომეტრი, - თქვა მაქსიმმა და საშვი და გატანის ნებართვა გაუწოდა.

- „რეფრაქტომეტრი რლ-7, საინვენტარო ნომერი...“ - ჩაიბურტყუნა ლეგიონერმა. - ახლავე ჩავიწერ...

მან აუჩქარებლად ჩაიყო ხელი ჯიბეში და ბლოკნოტი ამოიღო.

- ჩქარა, გეთაყვა, გვაგვიანდება, - თქვა მაქსიმმა.

- ვიხ მოაწერა ხელი ნებართვას?

- არ ვიცი... ალბათ, თავკომბალამ.

- არ იცით... გარკვევით მოეწერა დალოცვილს, ყველაფერი რიგზე იქნებო-

და...

როგორც იქნა, ჭიშკარი გააღო. მაქსიმი ტრასაზე გავიდა და თავის ფურგონს ყველაფერი გამოსწურა, რისი გამოწურვაც კი შეიძლებოდა. „თუ არაფერი გამოვა, - გაიფიქრა მან, - და ცოცხალი დავრჩები, უნდა გავიქცე... დაწყევლილი მწირი, იგრძნო, ეშმაკის კერძმა, დაბრუნდა... თუ გამოვა, რა გავაკეთო, არაფერი მზად არ არის, სასახლის სქემა არ არის. ვერ მოასწრო ჭკუის კოლოფმა, შემოქმედთა ფოტოსურათებიც არ უშოვია... ბიჭები მზად არ არიან, არავითარი სამოქმედო გეგმა არა გვაქვს... დაწყევლილი მწირი! ის რომ არა, კიდევ სამი დღე მექნებოდა გეგმის შესამუშავებლად... არმიაც... შტაბიც, მასარაკშ! აი, ვინ გამოცოცხლდება მაშინვე! აი, ვისგან უნდა დავიწყოთ. მაგრამ ეს ტახის საქმეა, ის სიხარულით მოჰკიდებს ხელს ამას, კარგად ერკვევა ამ საქმეში. და კიდევ მოჩანან სადღაც თეთრი სუბმარინები... მასარაკშ. აკი კვლავ ომია! დიახ, ვგონებ დამთავრდა კიდეც, თუმცა, ვინ იცის, კიდევ რას ამზადებენ ისინი იქ...“ მაქსიმმა ცენტრალური ქუჩიდან ვარდისფერი ქვის ორ გიგანტურ ცათამბჯენს შორის ვიწრო ჩიხში შეუხვია და ქვაფენილით ძველ, გაშავებულ სახლს მიადგა. ფარნის ბოძს ზურგით მიყრდნობილი ტახი სიგარას ეწეოდა და უკვე ელოდა. მანქანა რომ გაჩერდა, ნამწვი დააგდო, პატარა კარში ძლივს გამოძვრა და გვერდით დაუჯდა მაქსიმს, როგორც ყოველთვის მშვიდი და ცივი.

- გამარჯობათ, მაკ, - თქვა მან. - რა მოხდა?

მაქსიმმა მანქანა მოაბრუნა და კვლავ გავიდა მთავარ ქუჩაზე.

- თერმული ბომბი თუ იცით, რა არის? - ჰკითხა მან.

- მსმენია, - უპასუხა ტახმა.

- კარგი. სინქრონული ფალიები თუ გინახავთ ოდესმე?

- გუშინ ვნახე, - თქვა ტახმა.

- ჩინებულია.

ერთხანს მდუმარედ მიდიოდნენ. აქ დიდი მოძრაობა იყო, და მაქსიმმა მხოლოდ იმაზე გადაიტანა ფიქრი, თუ როგორ გაეღწია, გამძვრალიყო ვეებერთელა სატვირთო მანქანებსა და ძველ გაშვლეპილ ავტობუსებს შორის და არავის დასჯახებოდა, მასაც არ დასჯახებოდნენ, და მწვანე შუქში მოხვედრილიყო, შემდეგ ისევ მოხვედრილიყო მწვანე შუქში, არ დაეკარგა თუნდაც ის მცირეოდენი სიჩქარე, რომლითაც მიდიოდნენ, და ბოლოს მათი ავ-

ტომობილი ტყეში გაყვანილ გზატკეცილზე გავიდა, უზარმაზარი ხეებით შემორგულ ნაცნობ ავტოსტრადაზე.

„საინტერესოა, - გაიფიქრა უეცრად მაქსიმმა. - სწორედ ამ გზით შემოვედი ამ სამყაროში. უფრო სწორად, საცოდავმა ფანკმა შემომიყვანა, მე კი არაფერი მესმოდა და ვფიქრობდი, რომ ის ჩამოსულთა სპეციალისტია. ახლა კი ამავე გზით, შესაძლოა, გავდივარ ამ სამყაროდან და საერთოდ სამყაროდან, და კარგი ადამიანიც მიმყავს თან...“ ტახს ცერად გახედა. ის სრულიად მშვიდად გამოიყურებოდა: იჯდა, პროთეზის იდაყვი გარეთ გამოეყო და ელოდა, როდის რას აუხსნიან. იქნებ გაოცებული იყო, იქნებ, ღელავდა, მაგრამ არ იმჩნევდა, და მაქსიმმა სიამაყე იგრძნო, რომ ასეთი ადამიანი ენდობა, თანაც უკანმოუხედავად.

- დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ტახო, - თქვა მან.

- მართლა? - თქვა ტახმა და ხმელ-ხმელი მოყვითალო სახე მოაბრუნა.

- გახსოვთ, ერთხელ შტაბის სხდომა რომ გვქონდა, თქვენ განზე გამიხმეთ და რამდენიმე გონივრული რჩევა მომეცით?

- მახსოვს.

- ჰოდა, მადლობელი ვარ ამისთვის. დაგიჯერეთ მაშინ.

- ვიცი, შევამჩნიე. რამდენადმე იმედიც გამიცრუეთ ამით.

- თქვენ მაშინ მართალი იყავით, - თქვა მაქსიმმა. - მე დავუჯერე თქვენს რჩევებს, და ამის შედეგად საქმე ისე შემოტრიალდა, რომ ცენტრში შეღწევის შესაძლებლობა მაქვს.

ტახი შეკრთა.

- ახლა? - ჰკითხა მან.

- დიახ. უნდა ვიჩქარო, ვერაფრის მომზადება ვერ მოვასწარი. შეიძლება მომკლან და მაშინ ყველაფერი ამაოდ ჩაივლის ამიტომაც წამოგიყვანეთ.

- თქვით.

- მე შენობაში შევალ, თქვენ მანქანაში დარჩებით. ცოტა ხნის შემდეგ განგაში ატყდება, იქნებ სროლაც დაიწყოს. თქვენ ეს არ უნდა შეგეხოთ. მანქანაში დარჩებით და დამელოდებით. მელოდებით... - მაქსიმი დაფიქრდა, რათა გამოეანგარიშებინა, - მელოდებით ოცი წუთი. თუ ამ ხნის განმავლობაში სხივურ დარტყმას მიიღებთ, მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა. შეგიძლიათ გულწასული დაეცეთ ბედნიერების ღიმილით სახეგაბადრული... თუ არა - მანქა-

ნიდან გადმოდით. საბარგოში ათწუთიანი სინქრონული ფაილით აღჭურვილი ბომბი დევს. ქვაფენილზე გადმოიტანეთ, ფალია ჩართეთ და გაემგზავრეთ. ატყდება პანიკა. ძალიან დიდი პანიკა. შეეცადეთ ყველაფერი გამოსწუროთ მას, რისი გამოწურვაც კი შეიძლება.

ტახი ერთხანს ფიქრობდა.

- არ შეიძლება დავრეკო? - იკითხა მან.

- არა, - თქვა მაქსიმმა.

- იცით რა, თქვა ტახმა. - თუ არ მოგკლეს, რამდენადაც მესმის, ნამდვილად დაგჭირდებათ ბრძოლისთვის მზადმყოფი ადამიანები, თუ მოგკლავენ, ისინი მე დამჭირდება. თქვენ ხომ სწორედ იმ შემთხვევისთვის წამომიყვანეთ, თუ მოგკლავენ... მაგრამ მარტო მე დაწყებას თუ მოვასწრებ მხოლოდ, დრო კი ცოტა იქნება, და ხალხი წინასწარ უნდა გავაფრთხილო. ჰოდა მინდა გავაფრთხილო.

- შტაბი? - მტრულად იკითხა მაქსიმმა.

- არავითარ შემთხვევაში. მე ჩემი ჯგუფი მყავს.

მაქსიმი დუმდა. წინიდან უკვე მოჩანდა ნაცრისფერი ხუთსართულიანი შენობა, რომელსაც ფრონტონის გასწვრივ ქვის გალავანი გასდევდა. ეს ის შენობაა, სადღაც იქ დერეფნებში დაეხეტებოდა თევზი, ღრიალებდა და იფურთხებოდა განრისხებული ბეჰემოთი. და იქ იყო ცენტრი. წრე იკვრებოდა.

- კარგი, - თქვა მაქსიმმა. - შესასვლელთან ავტომატური ტელეფონია. ჩემი შესვლის შემდეგ - ოღონდ მანამდე არა, - შეგიძლიათ მანქანიდან გადმოხვიდეთ და დარეკოთ.

- კარგი, - თქვა ტახმა.

უკვე მოსახვევს უახლოვდებოდნენ ავტოსტრადის მხრიდან. რატომღაც მაქსიმს რადა გაახსენდა და წარმოიდგინა, რა მოუვა მას, მაქსიმი რომ არ დაბრუნდეს. ცუდი დღე დაადგება. თუმცა იქნებ არაფერიც არ მოუვიდეს. იქნებ, პირიქით, გამოუშვან... „მაინც მარტოა. გაი აღარ არის, მე აღარა ვარ... საცოდავი გოგო...“

- ოჯახი გყავთ? - ჰკითხა ტახს.

- დიახ. ცოლი,

მაქსიმმა ტუჩი მოიკვნიტა.

- ბოდიში, რომ ასე უხერხულად გამოვიდა, - ჩაილუღლუღა.

- არაფერია, - მშვიდად თქვა ტახმა. - გამოვეთხოვე. მუდამ ვეთხოვები ხოლმე სახლიდან გამოსვლისას... მაშასადამე, ეს არის ცენტრი? აბა ვინ იფიქრებდა...

მაქსიმი გაჩერებაზე ძველ მცირელიტრაჟიან ავტომობილსა და მთავრობის დიდებულ ლიმუზინს შორის გაეჩხირა და შეჩერდა.

- აბა, მორჩა და გათავდა, - თქვა მან. - წარმატება მისურვეთ, ტახო...

- სულით და გულით... - თქვა ტახმა. ხმა ჩაუწყდა და ჩაახველა. - მაინც მოვესწარი ამ დღეს, - ჩაილუღლუღა მან.

მაქსიმმა ლოყა საჭეზე დადო.

- კარგი იქნება, გადაგვატანინა იგი... - თქვა მან. - კარგი იქნება, საღამოს მოგვასწრო...

ტახმა შეშფოთებით შეხედა.

- სულ არ მინდა წასვლა, - განუმარტა მაქსიმმა. - ო, როგორ არ მინდა... სხვათა შორის, ტახო, მხედველობაში იქონიეთ და მეგობრებს უამბეთ. თქვენ სფეროს შიდა ზედაპირზე კი არა, მის გარე ზედაპირზე ცხოვრობთ. და ასეთი სფერო კიდევ ბევრია სამყაროში, ზოგიერთ მათგანზე ბევრად უარესად ცხოვრობენ, ზოგიერთზე კი - ბევრად უკეთესად, მაგრამ არსად არ ცხოვრობენ უფრო სულელურად. არ გჯერათ? ჰოდა ეშმაკმა წაგიღოთ, მე წავედი.

მან კარი გააღო და მანქანიდან ჩამოვიდა. მოასფალტებული სადგომი გაიარა და ქვის კიბის საფეხურებს აუყვა, ჯიბეში მოიძია საშვი, რომელიც პროკურორმა გაუკეთა, სადღაც მოიპარა მისთვის, და საშვის მაგვარი უბრალო ვარდისფერი მუყაო, რომლის ვერც გაკეთება და ვერც მოპარვა პროკურორმა ვერ მოასწრო. ცხელოდა, ცა ალუმინივით ბრწყინავდა, დასახლებული კუნძულის განუჭვრეტელი ცა, ქვის საფეხურების სიმხურვალე ლანჩაში ატანდა, ან იქნებ მხოლოდ ეჩვენებოდა ეს. ყველაფერი სულელურად გამოიყურებოდა. მთელი წამოწყება უნიჭო იყო. „რა ეშმაკად უნდა გავაკეთო ყოველივე ეს, თუ კარგად მომზადება ვერ მოვასწარით... იქნებ იქ ერთი ოფიცერი კი არა, ორი ზის? ან იქნებ სამიც კია და ავტომატებშემართული მელოდება?... როტმისტრი ჩაჩუ პისტოლეტიდან მესროდა, კალიბრი იგივეა, ოღონდ ტყვია იქნება მეტი, და მეც ის აღარა ვარ, რაც ვიყავი, ჩემმა დასახლებულმა კუნძულმა უკვე საფუძვლიანად გამასავათა. ამჯერად არც გაძვრომას დამანებებენ... სულელი ვარ. სულელი ვიყავი და სულელადვე დავრჩი, მიყიდა ბატონმა პრო-

კურორმა, ანკესზე წამომაგო... მაგრამ როგორ დამიჯერა? წარმოუდგენელია... რა კარგი იქნება ახლა მთაში გავიქცე, იქაური სუფთა ჰაერი ჩავყლაპო. მაინც ვერ მოვინახულე აქაური მთები... ძალიან მიყვარს მთები... ასეთი ჭკვიანი, ეჭვიანი კაცია და ასეთი განძი მანდო! ამ სამყაროს უდიდესი საგანძური! ეს საზიზღარი, ბილწი, საძაგელი საგანძური... კრულ იყოს იგი, მასარაკშ, და კიდევ მასარაკშ, და კიდევ მასარაკშ. და კიდევ ოცდაცამეტჯერ მასარაკშ!“

მინის კარი გააღო და ლეგიონერს შესასვლელი საშვი გაუწოდა. შემდეგ ვესტიბიული გადაჭრა - შტამპების დასმით გართულ სათვალიან ქალიშვილს ჩაუარა, შემდეგ ადმინისტრატორს, რომელიც სულ აგინებდა ვიღაცას ტელეფონში, - და დერეფნის შესასვლელში მეორე ლეგიონერს შიდა საშვი უჩვენა. ლეგიონერმა თავი დაუქნია - ისინი, შეიძლება ითქვას უკვე იცნობდნენ ერთმანეთს, უკანასკნელი სამი დღე მაქსიმი სულ აქ დადიოდა.

შემდეგ.

გაიარა გრძელი, უკარებო დერეფანი და მარცხნივ შეუხვია. აქ სულ მეორედ იყო. პირველად - გუშინწინ, შეცდომით („მაინც სად მიდიხართ, ბატონო?“ - „მეთექვსმეტე ოთახი მინდა, კაპრალო“, - „შეცდით, ბატონო, მომდევნო დერეფანში უნდა გახვიდეთ". - „ბოდიში, კაპრალო, დამნაშავე ვარ მართლაც...“).

კაპრალს შიდა საშვი მიაწოდა და ცერად გახედა ავტომატებიან ორ ზორბა ლეგიონერს, უძრავად რომ ისხდნენ პირდაპირ იმ კარის ორივე მხარეს, რომელშიც უნდა შესულიყო. „სპეციალური ტვირთზიდვის განყოფილება“. კაპრალი ყურადღებით ათვალიერებდა საშვს, შემდეგ, ჯერ კიდევ განაგრძობდა თვალიერებას ისე, დააჭირა შიდა ღილაკს კედელში - კარს იქით ზარმა გაიწკრიალა. „ახლა იქ მოემზადა ის ოფიცერი, რომელიც მწვანე ფარდის გვერდით ზის. ან ორი ოფიცერი მოემზადა. ან, შესაძლოა, სამიც... ჩემს შესვლას ელოდებიან. ხოლო თუ შემეშინდა და უკანვე გამოვვარდი, შემხვდებიან კაპრალი, ლეგიონერები, უფირფიტო კარს რომ იცავენ, რომლის მიღმა ალბათ უამრავი ჯარისკაცია“.

კაპრალმა საშვი დაუბრუნა და თქვა:

- გთხოვთ, საბუთები მოამზადოთ.

მაქსიმმა ვარდისფერი მუყაო ამოიღო, კარი გააღო და ოთახში შევიდა.

მასარაკშ.

ასეცაა.

ერთი ოთახი კი არაა, სამია. ანფილადიანად და ბოლოში მწვანე ფარდა. და ზედ ფარდამდე საფენი ხალიჩაა დაგებული სულ ცოტა, ოცდაათი მეტრი და ორი ოფიცერი კი არაა, არც სამი. ექვსია.

ორს არმიული ნაცრისფერი კოსტიუმი აცვია და - პირველ ოთახში ზის. მათ უკვე მომართული უჭირავთ ავტომატები.

ორს მეორე ოთახში ჟანდარმთა შავი ტანსაცმელი აცვია. ავტომატები ჯერაც არ მოუმართავთ, მაგრამ მზად არიან ამისთვის.

ერთმა თავი მოაბრუნა...

აბა, მაკ!

ის წინ გავარდა. ადგილიდან რაღაც სამმაგი ნახტომის მსგავსი გამოუვიდა. შეეშინდა, მყესები არ გამიწყდესო.

მკვრივად მოხვდა ჰაერი სახეში.

მწვანე ფარდა.

მარცხნივ განზე იყურება სამოქალაქო პირი, კისერი მოშიშვლებული აქვს. გვერდულად დაჰკრა ხელი.

მარჯვნივ მყოფი სამოქალაქო პირი ალბათ თვალებს ახამხამებს. ქუთუთოები უძრავად ჩამოშვებია. ზემოდან თხემზე უთავაზა და ლიფტში შევარდა.

ლიფტში ბნელა. ღილაკი სადაა? მასარაკშ, სად არის ღილაკი?

ნელა და ხმაურით აკაკანდა ავტომატი, და მაშინვე - მეორეც აჰყვა. მერე რა, ჩინებული რეაქციაა. დუ-უტ... დუ-უტ... დუ-უტ... მაგრამ ჯერ კიდევ არ ისვრიან კარში, იმ ადგილას, სადაც დამინახეს ჯერაც ვერ მიმხვდარან, რა მოხდა. ეს უბრალოდ რეფლექსია.

ღილაკი!

ფარდის გარდიგარდმო ალმაცერად, ზემოდან ქვემოთ, ნელა მოძრაობს ჩრდილი - ვიღაც სამოქალაქო პირი ეცემა.

მასარაკშ, აი ის, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას…

ღილაკს ხელი დააჭირა, და კაბინა დაბლა წავიდა. ლიფტი ჩქაროსნული იყო, კაბინა საკმაოდ სწრაფად მიცოცავდა. ფეხი ასტკივდა. „იქნებ მართლა დამეჭიმა?... თუმცა, ახლა ეს სულ ერთია... მასარაკშ, მე ხომ უკვე შემოვაღწიე!“

კაბინა შეჩერდა. მაქსიმი გადმოხტა, და შახტში მაშინვე გაისმა გრუხუნი, წკრიალი, ქუდები გადაძვრათ. ზევიდან კაბინის სახურავს სამ ავტომატს უბრახუნებდნენ. „კარგი, კარგი, ურტყით... ახლა მოისაზრებენ, რომ კი არ უნდა ისროლონ, უკანვე უნდა აიყვანონ ლიფტი და თვითონაც დაეშვან ძირს... ვერ მიხვდნენ, დაიბნენ“.

მიმოიხედა. მასარაკშ, ისევ სხვანაირადაა... ერთი შესასვლელი კი არა, სამია, სამი სრულიად ერთნაირი გვირაბი... აჰა, ეს უბრალოდ შესაცვლელი გენერატორებია. ერთი მუშაობს, ორი პროფილაქტიკაზეა... ახლა რომელი მუშაობს? ასე, ვგონებ, აი ეს…

შუა გვირაბს ეცა. ზურგს უკან ლიფტმა შეღმუვლა. „არა-არა, უკვე გვიანაა… სხვა სიჩქარეა, ვერ მოასწრებთ... თუმცა კაცმა რომ თქვას, გვირაბი გრძელია და ფეხიც მტკივა... ესეც მოსახვევი, ახლა უკვე საერთოდ ვერ მომწვდებით...“ ფოლადის ფილის ქვეშ ბოხი ხმით მობუყბუყე გენერატორებამდე მიირბინა, შეჩერდა და რამდენიმე წამი ხელებჩამოშვებული ისვენებდა. „ასე, საქმის სამი მეოთხედი გაკეთებულია, შვიდი მერვედიც კი... დარჩა სულ ცოტა, ერთი ოცდამეთოთხმეტის მეორედი... ახლა ლიფტით ჩამოვლენ, გვირაბში შემოძვრებიან; ალბათ აზრზე არ არიან, თუ დეპრესიული გამოსხივება უკანვე განდევნით... კიდევ რა შეიძლება მოხდეს? დერეფანში აირის ხელყუმბარას გადმოისვრიან. არა მგონია, საიდან უნდა ჰქონდეთ... განგაში კი, ალბათ, უკვე ატეხეს. შემოქმედთ ალბათ შეეძლოთ გამოერთოთ დეპრესიული დაბრკოლება... ოხ, ვერ გაბედავენ, ვერ გაბედავენ და ვერ მოასწრებენ, რადგანაც ხუთივემ უნდა მოიყაროს თავი, ხუთი გასაღები უნდა ექნეთ, უნდა შეთანხმდნენ, დაფიქრდნენ, რომელიმე თავიანთმა ხომ არ გაუკეთათ ეს ოინი, პროვოკაცია მოუწყოთ... აბა, მართლა, ვის შეუძლია მთელს მსოფლიოში სხივური დაბრკოლება გადალახოს და აქ შემოაღწიოს? იქნებ მწირს შეძლებოდა, თუ საიდუმლო დაცვა გამოიგონა? მას ექვსი ავტომატიანი გუშაგი დააკავებდა... სხვა არავის... და აი, სანამ ისინი იჩხუბებენ გამოარკვევენ, მოისაზრებენ, მოვრჩები კიდეც ყველაფერს...“

კუთხის მიღმა გვირაბის სიბნელეში ავტომატების სროლა გაისმა. „სრული უფლება გაქვთ, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო...“ გამანაწილებელ მოწყობილობასთან დაიხარა, გარსაცმი ფრთხილად მოხსნა და კუთხეში მიაგდო. „მდა, მეტად პრიმიტიული რამეა. კიდევ კარგი, მოვისაზრე, ზოგი რამ წამეკით-

ხა აქაურ ელექტრონიკაზე...“ სქემას თითებით სწვდა. „მაგრამ რომ არ მომესაზრებინა? მწირი გუშინწინ რომ ჩამოსულიყო? ჰმ, ჩემო ბატონო... მასარაკშ, როგორ არტყამს დენს!... დიახ, ჩემო ბატონებო, იმ ემბრიომექანიკოსის მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, სასწრაფოდ რომ უნდა გაერკვეს... არც კი ვიცი, რაში... ორთქლის ქვაბში? გაერკვეოდა ემბრიომექანიკოსი... აქლემის მოსართავში?.. დიახ, აქლემის მოსართავში! აი, რას იტყვი, ემბრიომექანიკოსო, გაერკვეოდი? არა მგონია... მასარაკშ, რა ამბავია აქ მათ ყველაფერი უიზოლაციოდ აქვთ?.. აჰა, აი, თურმე სადა ხარ... აბა, ღმერთი იყოს შენი შემწე, როგორც ბატონი სახელმწიფო პროკურორი ამბობს!“

გამანაწილებლის წინ პირდაპირ იატაკზე დაჯდა და შუბლი ხელუკუღმა მოიწმინდა. საქმე გაკეთებული იყო. უდიდესი ძალის დეპრესიულმა ველმა გადაუარა მთელ ქვეყანას - მდინარის გაღმიდან ხონტის საზღვრამდე, ოკეანიდან ალებასტრის ქედამდე.

კუთხის იქით ავტომატებმა სროლა შეწყვიტეს. ბატონი ოფიცრები დეპრესიაში იყვნენ. ახლა ვნახავ, რას ნიშნავს, როცა ბატონი ოფიცრები დეპრესიაში არიან.

ბატონი პროკურორი სიცოცხლეში პირველად გაახარა სხივურმა დარტყმამ. არ მსურს ვუყურო ამ ტიპს. ცეცხლოვანმა შემოქმედებმა ვერც კი მოასწრეს რაიმეში გარკვეულიყვნენ და მოესაზრებინათ, ისე, როგორც როტმისტრი ჩაჩუ იტყოდა, ჩლიქებაშვერილნი იკრუნჩხებიან ტკივილისაგან. ჰო, მართლა, როტმისტრი ჩაჩუც ღრმა დეპრესიაშია და ეს აზრი აღმაფრთოვანებს.

ზეფი და ბიჭებიც ჩლიქებაშვერილნი წვანან, ბოდიში, ბიჭებო, მაგრამ ასეა საჭირო.

მწირი! რა კარგია: ეს საშინელი მწირიც ჩლიქებაშვერილი წევს, იატაკზე დაუფენია უზარმაზარი ყურები - ყველაზე დიდი ყურები მთელ ქვეყანაში, თუმცა, ვინ იცის, იქნებ უკვე მიასიკვდილეს კიდეც. ნეტა მართლა!

რადა, ჩემი პატარა საცოდავი რადაც დეპრესიაშია და წევს... არაფერია, გოგონი, ეს ალბათ მტკივნეული არაა და მალე გაივლის…

ტახი...

ის წამოხტა. რამდენმა დრომ განვლო? უკანვე გავარდა გვირაბში. ტახიც ჩლიქებაშვერილი წევს, მაგრამ თუ სროლა გაიგონა, შეიძლებოდა ნერვებს ეღალატა... ეს, რა თქმა უნდა, მეტად საეჭვოა - ტახს მაგარი ნერვები აქვს, მაგ-

რამ ვინ იცის!...

ლიფტთან მიირბინა, წამით შეჩერდა, რათა დეპრესიაში მყოფი ბატონი ოფიცრებისთვის შეევლო თვალი: მძიმე სანახაობა იყო: სამივეს ავტომატები მიეყარა და მწარედ ტიროდა, ცრემლების მოწმენდის ილაჯიც არ ჰქონდათ. „არა უშავს, იტირეთ, არ გაწყენთ. იტირეთ ჩემი გაი, იტირეთ ჩიტი... გელი... ჩემი მეტყეევე… ალბათ ბავშვობიდან ერთი ცრემლი არ ჩამოგვარდნიათ და ყოველ შემთხვევაში არ გიტირიათ ისინი, ვისაც ხოცავდით. ასე რომ, სიკვდილის წინ მაინც იტირეთ...“

ლიფტმა კისრისტეხით ამოიყვანა მაღლა. ოთახების ანფილადა ხალხით იყო სავსე: ოფიცრები, ჯარისკაცები, კაპრალები, არმიელები, ლეგიონერები, სამოქალაქო პირნი, ყველა იარაღასხმულია, ყველა წევს, დაღონებული ზის, ზოგი მოთქვამს, ერთი ლუღლუღებს, თავს აკანტურებს და მკერდში მუშტს იბრაგუნებს... ამას კი თავი მოუკლავს... მასარაკშ, საშინელი რამაა შავი გამოსხივება, ტყუილად როდი იზოგავენ შემოქმედნი შავი დღისთვის...

ვესტიბიულში გამოვარდა. საცოდავად მოფხაკუნე ადამიანებს გადადიოდა ისე, კინაღამ თავდაყირა დაგორდა ქვის საფეხურებზე და თავისი ავტომობილის წინ რომ გაჩერდა, შვებით ამოისუნთქა. ტახისთვის ნერვებს გაეძლო. თვალებდახუჭული წინა საჯდომზე წამოწოლილიყო.

მაქსიმმა საბარგოდან ბომბი ამოიღო, გაპოხილი ქაღალდი მოაშორა, იღლიაში ფრთხილად ამოიჩარა და ლიფტში აუჩქარებლად დაბრუნდა. გულდასმით შეამოწმა ფალია, საათის მექანიზმი ჩართო, ბომბი კაბინაში ჩადო და ღილაკს დააჭირა. კაბინა ჩაიქცა და ჯოჯოხეთში გაიყოლა ცეცხლის ტბა, რომელიც ათ წუთში გათავისუფლდება. უფრო სწორად, ცხრა წუთსა და რაღაც წამებში... ავტომობილში ფრთხილად, რამდენადაც შეძლო, სწორად დასვა ტახი, საჭეს მიუჯდა და მანქანა სადგომიდან გამოიყვანა. მათ თავზე აღმართულიყო ნაცრისფერი შენობა, მძიმე, უაზრო, განწირული, განწირული ადამიანებით გაჭედილი, რომლებსაც არც მოძრაობა შეეძლოთ, არც ესმოდათ, რა ხდებოდა.

ეს იყო ბუდე, ქვეწარმავლის საშინელი ბუდე, დარჩეული არაკაცებით, მზრუნველად შერჩეული ნაძირალებით გავსებული. არაკაცებისთვის აქ სპეციალურად მოეყარათ თავი, რათა არაკაცებად გადაექციათ ყველა, ვისაც კოშკების გამოსხივების საზიზღარი ჯადოქრობა სწვდება. იქ ყველანი მტრები

არიან და თითოეული მათგანი წუთითაც არ დაფიქრდებოდა, ისე დაგვცხრილავდა ტყვიებით, გაგვცემდა, ჯვარს გვაცვამდა, მეც, ტახსაც, ზეფსაც, რადასაც, ყველა ჩემ მეგობარსა და საყვარელ ადამიანს... და მაინც კარგია, რომ მხოლოდ ახლა გამახსენდა ეს, წინათ ასეთი აზრი ხელს შემიშლიდა. მაშინვე თევზი გამახსენდებოდა... ერთადერთი ადამიანი ქვეწარმავლების განწირულ ბუდეში, და ისიც - თევზი... მერე რა - თევზი? - გაიფიქრა მან. - ბოლოს და ბოლოს, რა ვიცი მე მის შესახებ? ის, რომ ლაპარაკს მასწავლიდა? და ლოგინს მისწორებდა?... აბა, თევზს მოეშვი, შენ მშვენივრად გესმის, რომ საქმე მარტო თევზი როდია. საქმე ის არის, რომ დღეიდან სერიოზულად იწყებ ბრძოლას, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, როგორც ყველა იბრძვის აქ, და ბრძოლა მოგიწევს სულელებთან - ბოროტ სულელებთან, რომლებიც გამოსხივებამ გამოაყეყეჩა. ეშმაკ, უმეცარ, ხარბ სულელებთან, რომლებიც ამ გამოსხივებას წარმართავდნენ, მიზანსწრაფულ სულელებთან, რომლებიც გამოსხივების მეშვეობით ბოროტ, გაცოფებულ თოჯინებს სიამოვნებით გადააქცევდნენ გულჩვილ, კვაზიკეთილ თოჯინებად... და ყველა ეცდება, მოგკლას, შენი მეგობრებიც დახოცოს და შენი საქმეც გაანადგუროს... გრძნეულმა თქვა: დაე, სინდისი ხელს ნუ შეგიშლით საღად აზროვნებაში და თქვენმა გონებამ ისწავლოს საჭიროების შემთხვევაში ჩაახშოს სინდისის ხმაო. მართალია, - გაიფიქრა მან, - მწარე სიმართლეა, საშინელი სიმართლე... იმას, რაც ახლა მე გავაკეთე, აქ გმირობას ეძახიან. ტახიც მოესწრო ამ დღეს. ამ დღის დადგომა კეთილი ზღაპარივით სწამდათ მეტყეველს, ჩიტს, მწვანეს, გელ კეტშეფსაც, ჩემ გაისაც, და კიდევ ათობით, ასობით, ათასობით ადამიანს, რომლებიც თვალით არ მინახავს არასდროს... და მაინც ვერ ვგრძნობ თავს კარგად. და თუ მინდა, რომ შემდგომშიც მენდობოდნენ და გამომყვნენ, არასდროს, არავის არ უნდა ვუთხრა, რომ ჩემი მთავარი გმირობა მაშინ კი არ ჩამიდენია, როცა ტყვიებქვეშ დავხტოდი და დავრბოდი, არამედ ახლა, როცა ჯერ კიდევ შესაძლებელია, წავიდე და განვმუხტო ბომბი, მე კი მივაქროლებ და მივაქროლებ მანქანას, რათა შორს მოვიტოვო ეს წყეული ადგილი...

ის მიქროდა სწორ ავტოსტრადაზე, სადაც ნახევარი წლის წინ ფანკი მიაქროლებდა დიდებულ ლიმუზინს რომელშიც მაქსიმი ეჯდა, უსწრებდა ჯავშნოსნების დაუსრულებელ კოლონებს, მიაქროლებდა, რათა ხელიდან ხელში გადაეცა მწირისთვის... და ახლა გასაგებია, რატომ... ნუთუ მაშინაც იცოდა,

რომ ჩემზე გამოსხივება არ მოქმედებს, რომ არაფერი მესმის და თავიანთ ნეგბა-სურვილზე შეუძლიათ გათამაშონ? მაშასადამე, იცოდა მწირმა, იცოდა, მაგ დაწყევლილმა! და, მაშასადამე, ეს ნამდვილად დემონია, ყველაზე საშინელი ადამიანი მთელ ქვეყანაში და შესაძლოა, პლანეტაზეც. „მან ყველაფერი იცის“, - თქვა სახელმწიფო პროკურორმა, და შიშით გადაიხედა მხრიდან... არა, ყველაფერი არ იცის. შენ პირში ჩალაგამოვლებული დატოვე მწირი, მაკ. შენ მოუგე დემონს. და ახლა უნდა ხელი მოუთავო, სანამ გვიან არ არის, სანამ გონს არ მოსულა, ან შესაძლოა, უკვე მოუღეს ბოლო - პირდაპირ საკუთარი ბუნაგის ჭიშკარში... ოხ, არ მჯერა, არ მჯერა, სად შეუძლიათ ამდენი ბიჭებს. ბებერას ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ოცდაოთხი ნათესავი ჰყავდა... მასარაკშ! მე ისიც კი ვერ მოვასწარი, კატორღაში გენერლისთვის მეცნობებინა მზად ყოფილიყო, რათა პოლიტიკური პატიმრები წამოეშალა და ეშელონით აქ ჩამოეყვანა. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, მწირს მე უნდა მოვუღო ბოლო. შევძლო ბოლო მოვუღო და რამდენიმე საათი გავძლო, სანამ სხივური შიმშილი არმიასა და ლეგიონს არ დაანარცხებს. მათგან ხომ არავინ არაფერი იცის სხივური შიმშილის შესახებ, ალბათ მწირმაც. არ იცის, საიდან უნდა იცოდეს, მთელ ქვეყანაში ხომ მარტო მე გავიყვანე საცოდავი გაი სხივური ველის ფარგლებიდან.

გზატკეცილზე უამრავი მანქანა იყო. ყველანი იდგნენ, ვინ სად - გარდიგარდმო, ქეშად, თხრილებში ჩავარდნილნი. დეპრესიისგან დათრგუნვილი მძღოლები და მგზავრები დაღონებულნი ისხდნენ საფეხურებზე, უძლურად გადმოკიდებულიყვნენ სკამებიდან, გზისპირას ეყარნენ. მაქსიმს ყველაფერი ხელს უშლიდა, წარა-მარა უნდა დაემუხრუჭებინა, შემოევლო და მაშინვე ვერც შეამჩნია, რომ მის შესახვედრად ქალაქის მხრიდან ისევე შემოვლით, მაგრამ თითქმის დაუმუხრუჭებლად, მთავრობის ბრტყელი ცინცხალი ყვითელი ავტომობილი მოქროდა.

ისინი ერთმანეთს გზატკეცილის შედარებით თავისუფალ მონაკვეთზე შეხვდნენ, ძლივს აუარეს გვერდი და ჩაუქროლეს, და მაქსიმმა მოასწრო დაენახა მოტვლეპილი თავი, მრგვალი მწვანე თვალები და ვეებერთელა ყურები და მთელი არსებით დაიძაბა, რადგან კვლავ ყველაფერი თავდაყირა დგებოდა... „მწირი! მასარაკშ! მთელი ქვეყანა დეპრესიაშია, ყველა გადაგვარებული გულწასულია, ეს ქვეწარმავალი, ეს დემონი კი კვლავ როგორღაც გამომძვრა-

ლა! მაშასადამე, მან მაინც გამოძებნა თავდაცვის საშუალება... იარაღიც რომ არა მაქვს... - მაქსიმმა სარკეში ჩაიხედა: გრძელი ყვითელი მანქანა ტრიალდებოდა, - რას ვიზამთ, უიარაღოდ უნდა გავიდე ფონს. ამის გამო მაინც არ გამაწამებს სინდისი... - მაქსიმმა აქსელერატორს დააჭირა. - სიჩქარე, სიჩქარე... აბა, ძვირფასო, ცოტაც“... ყვითელი ბრტყელი კაპოტი ახლოვდებოდა, იზრდებოდა, საჭის ზემოთ უკვე მოჩანდა მწვანე თვალების დაჟინებული მზერა…

აბა შენ იცი, მაკ!

მაქსიმი გაიჩაჩხა, ერთი ხელი ტახს გადააფარა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მუხრუჭს დააჭირა.

მუხრუჭების გულის გამაწვრილებელ ღმუილსა და წივილში ყვითელი კაპოტი ხრჭიალითა და ჩხრიალით შევარდა საბარგოში და გარმონივით გაწეწილი ყალყზე შედგა. მინები ჩამოცვივდა. მაქსიმმა კარი ფეხით ჩამოაგდო და გარეთ გამოვარდა. საშინელ ტკივილს გრძნობდა, სტკიოდა ქუსლი, დაჩეჩქვილი მუხლი, დაღლეტილი ხელი, მაგრამ ტკივილი წამში დაავიწყდა რადგან მწირი უკვე მის წინ იდგა. ეს ტარტაროზი იყო, ტარტაროზი, გრძელი, ხმელ-ხმელი, მრისხანე, რომელსაც დასარტყმელად გამოუქანებია ხელი.

მაქსიმმა ისკუპა და გადახტა მისკენ. ამ ნახტომში ჩააქსოვა ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ შერჩენოდა. ააცდინა! და საშინელი დარტყმა იგრძნო კეფაში... სამყარო გადაიფერდა, კინაღამ დაეცა, მაგრამ მაინც არ დაეცა, მწირი კი კვლავ თვალწინაა, კვლავ მოტვლეპილი თავი, მჭრელი მწვანე თვალები და დასარტყმელად გამზადებული ხელი... „სდექ, შეჩერდი, აგაცდენს. აჰა!... ნეტა საით იყურება?... მაგრამ ჩვენ ამით ვერ მოგვინადირებ...“ მწირს გაშეშებული სახე მაქსიმის თავსმიღმა გაუშტერდა და მაქსიმი კვლავ მივარდა და ამჯერად მოახვედრა. გრძელი შავი კაცი ორად მოიხარა და ნელა დაეცა ასფალტზე. მაშინ მაქსიმმა სული მოითქვა და მოიხედა.

აქედან მშვენივრად მოჩანდა ცენტრის ნაცრისფერი კუბი, და ის უკვე აღარ იყო კუბი. ის თვალსა და ხელს შუა ბრტყელდებოდა, ძირს იღვენთებოდა და იქცეოდა; მის თავზე მაღლა მიიწევდა მცხუნვარე ჰაერი, და ორთქლი და კვამლი და რაღაც ქათქათა, -მცხუნვარე აქაც კი საშიშრად და მხიარულად იყურებოდა გრძელი ვერტიკალური ნაპრალებიდან და ფანჯრის ჭუჭრუტანებიდან... კარგი, იქ ყველაფერი რიგზეა... მაქსიმი გამარჯვებული იერით მი-

უბრუნდა მწირს. დემონი გვერდზე იწვა, გრძელი ხელები მუცელზე შემოევ-ლო, თვალები დაეხუჭა. მაქსიმი ფრთხილად მიუახლოვდა. დააფრაკებული მცირელიტრაჟიანი მანქანიდან ტახმა გამოყო თავი. ის წრიალებდა და ცქმუ-ტავდა, მანქანიდან გადმოსვლა უნდოდა. მაქსიმი მწირის გვერდით დაიხარა, სურდა დარტყმა მოეზომა, მაშინვე რომ მოეთავებინა. მასარაკშ, დაწყევლილი ხელი ეურჩებოდა, არ უნდოდა დაერტყა წაქცეულისათვის... და ამ დროს მწირმა ძლივს გაახილა თვალები და ხრინწიანი ხმით წარმოთქვა:

- Dummkopf! Rotznase!

მაქსიმი მაშინვე ვერ მიუხვდა, ხოლო როცა მიუხვდა, მუხლები მოეკვეთა.

სულელი…

ცინგლიანი...

სულელი…

ცინგლიანი…

შემდეგ ნაცრისფერი, ხმაურით სავსე სიცარიელიდან მკაფიოდ და გარკვე-ვით მოაღწია ტახის ხმამ:

- გაიწიეთ, მაკ, მე პისტოლეტი მაქვს.

მაქსიმმა, არ უყურებდა, ისე დაუჭირა ხელი.

მწირი, რომელსაც ჯერაც ხელებით ეკავა მუცელი, ძლივს წამოჯდა.

- ცხვირმოუხოცავი... - ძლივს დაისისინა. - რას აღმართულხარ ბოძივით, ეძებეთ მანქანა, ცოცხლად, ცოცხლად... ნუ დგეხართ-მეთქი, გაინძერით!

მაქსიმმა უაზროდ მიმოიხედა გზატკეცილზე მოძრაობა იწყებოდა. ცენტრი აღარ იყო - ის გამდნარი ლითონის გუბედ, ორთქლად, სიმყრალედ გადაიქცა; კოშკები აღარ მუშაობდნენ, თოჯინები თოჯინები აღარ იყვნენ. დარეტიანე-ბული ადამიანები, გონს რომ მოდიოდნენ, კუშტად აცეცებდნენ თვალებს, თავიანთი მანქანების ახლო-მახლო იტკეპნებოდნენ, ცდილობდნენ მოესაზ-რებინათ, რა მოუვიდათ, აქ როგორ მოხვდნენ, რატომ არიან აქ და როგორ მო-იქცნენ მომავალში.

- თქვენ ვინა ხართ? - იკითხა ტახმა.

- რა თქვენი საქმეა, - თქვა მწირმა გერმანულად. ტკივილისგან შეწუხებუ-ლი ხვნეშოდა და სულს ძლივს ითქვამდა.

- არ მესმის, - თქვა ტახმა და პისტოლეტი აღმართა.

- კამერერ... - დაიძახა მწირმა, - ხმა ჩააწყვეტინეთ თქვენს ტერორისტს... და

ეძებეთ მანქანა...

- რა მანქანა?... - უაზროდ და უმწეოდ იკითხა მაქსიმმა.

- მასარაკშ... - ამოიგმინა მწირმა. ძლივძლივობით წამოდგა ჯერ კიდევ წელში მოხრილი, ხელი მუცელზე ჰქონდა წაჭერილი ისე, ტორტმანით მივიდა მაქსიმის ავტომობილთან და შიგ შეძვრა. - დასხედით... სწრაფად! - თქვა უკვე საჭესთან მჯდომმა. შემდეგ მხარიღლივ გახედა ალისგან შეფერადებულ კვამლის კორიანტელს. - რა ისროლეთ იქ? - იკითხა უიმედოდ.

- თერმული ბომბი.

- სარდაფში თუ ვესტიბიულში?

- სარდაფში, - თქვა მაქსიმმა,

მწირი აკვნესდა, ერთხანს იჯდა უკანთავგადაგდებული, შემდეგ ძრავა ჩართო, მანქანა აზანზარდა და აზრიალდა.

- დაჯექით ბოლოს და ბოლოს! - იღრიალა მან.

- ვინ არის? - იკითხა ტახმა, - ხონტიელი?

მაქსიმმა თავი გაიქნია, ძლივს გამოაღო უკანა კარი, რომელიც ჩაჭედილიყო და უთხრა:

- ჩაჯექით.

თვითონ მანქანას შემოუარა და გვერდით მიუჯდა მწირს. ავტომობილი შექანდა, მასში გაისმა წივილი, ტკაცანი, მაგრამ ის უკვე გზატკეცილზე მიგორავდა უაზრო ყანყალით, ჩაუკეტავ კარებს მიაზანზარებდა და ხმამაღლა ისროდა ხმის სახშობიდან.

- ახლა რას აპირებთ? - იკითხა მწირმა.

- დაიცათ... - სთხოვა მაქსიმმა. - ის მაინც გვითხარით, ვინა ხართ?

- მე გალაქტიკური უშიშროების მუშაკი ვარ, - თქვა მწირმა მწარედ. - უკვე ხუთი წელია აქ ვზივარ. ხსნას ვუმზადებთ ამ უბედურ პლანეტას, გულმოდგინედ, ფრთხილად, ყველა შესაძლებელი შედეგის გათვალისწინებით. ყველასი, გესმით?... თქვენ კი ვიღა ხართ? ვინღა ხართ, რომ ცხვირს ყოფთ იქ, სადაც არ გეკითხებიან, ყველაფერს გვირევთ, აფეთქებთ, ისვრით, - ვინა ხართ ასეთი?

- მე არ ვიცოდი... - თქვა მაქსიმმა ჩავარდნილი ხმით. - საიდან უნდა მცოდნოდა?...

- ჰო, რა თქმა უნდა, თქვენ არაფერი იცოდით. მაგრამ ის ხომ იცოდით, რომ

თვითნებური ჩარევა აკრძალულია, თქვენ ხომ თავისუფალი ძიების ჯგუფის მუშაკი ხართ... უნდა გცოდნოდათ... დედამიწაზე დედა მის გამო ჭკუას ჰკარგავს... ვიღაც ქალიშვილები განუწყვეტლივ რეკავენ... მამამ სამუშაოს თავი მიანება... შემდეგ რას აპირებდით?

- თქვენ უნდა მომეკალით, - თქვა მაქსიმმა.

- რა-ა-ა?

მანქანა შექანდა.

- კი,- მორჩილად თქვა მაქსიმმა. - აბა, რა უნდა მექნა? მითხრეს, რომ აქ მთავარი არამზადა თქვენა ხართ, და... - სიტყვა პირზე შეაშრა.

მწირმა მრგვალი მწვანე თვალით ცერად გახედა.

- და თქვენც იოლად დაიჯერეთ, არა?

- ასეა, - თქვა მაქსიმმა.

- კარგი, შემდეგ?

- შემდეგ კი რევოლუცია უნდა დაიწყოს.

- ეგ რისთვის?

- კი მაგრამ, ცენტრი ხომ დანგრეულია... გამოსხივება აღარ არის...

- მერე რა?

- ახლა ისინი მალე მიხვდებიან, რომ ჩაგრავენ, რომ საძაგელი ცხოვრება აქვთ, და აღდგებიან...

- სად აღდგებიან? - თქვა მწირმა ნაღვლიანი ხმით. - ვინ აღდგება? ცეცხლოვანი შემოქმედნი თავს კარგად გრძნობენ, ლეგიონი მთელი და უვნებელია, არმია მობილიზებული, ქვეყნად სამხედრო წესებია... რისი იმედი გქონდათ?

მაქსიმმა ტუჩი მოიკვნიტა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ამ სევდიანი ურჩხულისთვის გაეცნო თავისი გეგმები, პერსპექტივები და სხვა, მაგრამ რა აზრი ჰქონდა? რაკი არაფერი მზად არ არის, რაკი ასე მოხდა...

- ვარაუდებს ესენი თვითონ შეადგენენ. - მხარიღლივ მიუთითა ტახზე. - აი მაგალითად, ამ ადამიანმა შეადგინოს ვარაუდები... ჩემი საქმე იყო, ვარაუდების შედგენის შესაძლებლობა მიმეცა მათთვის.

- თქვენი საქმე... - ჩაიბურტყუნა მწირმა. - თქვენი საქმე იყო, კუთხეში მჯდარიყავით და დამლოდებოდით, სანამ არ გამოგიჭერდით...

- ჰო, ალბათ, - თქვა მაქსიმმა. - შემდეგისათვის გავითვალისწინებ...

- დღესვე დედამიწაზე გაემგზავრებით, - უკმეხად თქვა მწირმა.

- აზრადაც არ მომივა - შეესიტყვა მაქსიმი.

- დღესვე გაემგზავრებით დედამიწაზე! - ხმას აუწია მწირმა, - ამ პლანეტაზე უთქვენოდაც ბევრი მაქვს თავსატეხი. წაიყვანეთ თქვენი რადა და წადით...

- რადა თქვენთანაა? - სწრაფად იკითხა მაქსიმმა.

- დიახ. დიდი ხანია ჩემთანაა. მთელია და უვნებელი, ნუ გეშინიათ.

- რადასთვის გმადლობთ, - თქვა მაქსიმმა. - დიდად გმადლობთ...

მანქანა ქალაქში შევიდა მთავარ ქუჩაში გუგუნებდა, ხრჩოლავდა და ტრიალებდა საზარელი ხერგილი. მწირმა შესახვევში შეუხვია და ქოხმახებსშუა გაუყვა გზას. აქ ყველაფერი მკვდარი იყო. კუთხეებზე ბოძებივით აღმართულიყვნენ ზურგზეხელებდაწყობილი სამხედრო პოლიციის მოხელენი, რომლებსაც სახეზე საბრძოლო ჩაფხუტები ჩამოეფხატათ. კი, აქ მოვლენებზე სწრაფად მოახდინეს რეაქცია - ყველა ადგილზე გაჩნდა საერთო განგაშისთანავე, დეპრესიისაგან გამოფხიზლებისთანავე... „იქნებ მაშინვე არ უნდა აგვეფეთქებინა? იქნებ ჯობდა, პროკურორის გეგმით მემოქმედა?... არა, არა, მასარაკშ! დაე, ყველაფერი ისე წარიმართოს, როგორც მიდის. დაე, ის ამაოდ არ მეუბნებოდეს საყვედურს. დაე, ისინი თვითონ გაერკვნენ ყველაფერში, აუცილებლად გაერკვევიან, როგორც კი თავი დაეწმინდებათ...“ მწირი კვლავ მაგისტრალზე გამოვიდა.

ტახმა თავაზიანად მიუკაკუნა ზურგზე ავტომატი.

- ჩამომსვით, გეთაყვა. აი, იქ, სადაც ხალხი დგას...

გაზეთის კიოსკთან შეჯგუფულ ადამიანებს ღრმად ჩაეყოთ ხელები გრძელი ნაცრისფერი ლაბადების ჯიბეებში, ხუთი კაცი იყო, ტროტუარებზე სხვა არავინ ჩანდა. ეტყობა, დეპრესიულმა დარტყმამ ძალზე შეაშინა მცხოვრებლები. ამიტომაც ვინ სად მიიმალა და ვინ სად.

- რას აპირებთ? - ჰკითხა მწირმა და სვლა ,ანელა.

- სუფთა ჰაერს ჩავისუნთქავ, - უპასუხა ტახმა. - დღეს საოცრად კარგი ამინდია...

- ეს ჩვენი კაცია, - უთხრა მას მაქსიმმა (მწირს სახე გაებადრა) - მასთან ყველაფერზე შეგიძლიათ ილაპარაკოთ.

ავტომობილი გაჩერდა. ლაბადიანები კიოსკს ამოეფარნენ. ჩანდა როგორ

იცქირებოდნენ იქიდან.

- ჩვენია? - იკითხა ტახმა და წარბი ასწია. - ვინ ჩვენი?

მაქსიმს პასუხი გაუძნელდა და მწირს შეხედა. მწირს არც უფიქრია დახმარებოდა.

- თუმცა, კარგი, - თქვა ტახმა, - მე თქვენი მჯერა. ახლა შტაბს მივხედავთ. ვფიქრობ, შტაბიდან უნდა დავიწყოთ. ხომ იცით, რაზე ვლაპარაკობ, - იქ არიან ადამიანები, რომლებიც უნდა მოვიშოროთ, სანამ მოძრაობა არ მოუთოკავთ...

- სწორი აზრია... - ჩაიბურტყუნა უეცრად მწირმა. - სხვათა შორის, ვგონებ, გცნობთ. განა თქვენ ტიკ ფესკუ არა ხართ, მეტსახელად ტახი?

- მართალი ბრძანდებით - თავაზიანად თქვა ტახმა. შემდეგ მაქსიმს მიუბრუნდა: - თქვენ კი შემოქმედთ მიხედეთ. ეს ძნელი საქმეა, მაგრამ სწორედ სათქვენოა. სად გეძებოთ?

- დაიცათ ტახო, - თქვა მაქსიმმა. - კინაღამ დამავიწყდა. რამდენიმე საათში მთელი ქვეყანა მრავალი დღეღამით დაეცემა სხივური შიმშილისაგან. ყველანი სრულიად უმწეონი იქნებიან...

- ყველანი? - ეჭვით იკითხა ტახმა.

- ყველანი, გადაგვარებულების გარდა... ეს დრო, ეს რამდენიმე დღე-ღამე უნდა გამოვიყენოთ,

ტახი დაფიქრდა.

- კეთილი, ჩინებულია, - თქვა მან. - თუ ეს მართალია... თუმცა, ჩვენ ხომ სწორედ გადაგვარებულებთან ვიმუშავებთ. მაშ მაინც სად გეძებოთ?

მაქსიმმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო.

- წინანდელ ტელეფონზე, - თქვა მწირმა. - და წინანდელ ადგილზე. და აი რა: შექმენით თქვენი კომიტეტი. აღადგინეთ ორგანიზაცია, იმპერიის დროს რომ არსებობდა. თქვენებიდან ზოგიერთი ჩემს ინსტიტუტში მუშაობს... მასარაკშ! - წაიდუდუნა უეცრად. - არც დროა, არც საჭირო ხალხია ახლოს... ეშმაკმა დაგლახვროთ, მაქსიმ!

- რაც მთავარია, - თქვა ტახმა და მხარზე ხელი ჩამოსდო მაქსიმს, - ცენტრი აღარ არის. ყოჩაღ, მაკ. გმადლობ... - მხარზე ხელი მოუჭირა და უხერხულად, პროთეზით ედებოდა ისე, გამოძვრა მანქანიდან. შემდეგ უეცრად აღმოხდა. - ღმერთო! - თქვა მანქანის გვერდით თვალებდახუჭულმა. - ნუთუ მართლა

აღარ არის? ეს ხომ... ეს…

- კარი დახურეთ, - თქვა მწირმა. - მაგრად, მაგრად...

ავტომობილი ადგილს მოსწყდა. მაქსიმმა მოიხედა. ტახი ნაცრისფერლაბადიანებს მორის იდგა და რაღაცას ლაპარაკობდა, თან პისტოლეტიან ჯანსაღ ხელს იქნევდა. ადამიანები უძრავად იდგნენ. ჯერაც ვერ მიმხვდარიყვნენ, ან არ სჯეროდათ.

ქუჩა ცარიელი იყო. ტროტუარის გასწვრივ მათ შესახვედრად მოქროდნენ ლეგიონერებით სავსე ჯავშანტრანსპორტიორები, ხოლო წინ მოშორებით, იქ, სადაც გზა ინსტიტუტისკენ უხვევდა, უკვე მის გარდიგარდმო მანქანები იდგნენ და შავად გამოწყობილი ფიგურები გადარბოდნენ და უეცრად ჯავშანტრანსპორტიორების კოლონაში გამოჩნდა ესოდენ ნაცნობი საზიზღარი მყვირალა ნარინჯისფერი საპატრულო მანქანა თავისი გრძელი ტელესკოპური ანტენითურთ.

- მასარაკშ... - ჩაილუღლუღა მაქსიმმა. - ესენი სულ დამავიწყდა.

- შენ ბევრი რამ დაგავიწყდა, - თქვა მწირმა. - შენ დაგავიწყდა მოძრავი გამომსხივებლები, დაგავიწყდა კუნძულის იმპერია, დაგავიწყდა ეკონომიკა... იცი თუ არა, რომ ქვეყანაში ინფლაციაა? საერთოდ თუ იცი, რა არის ინფლაცია? ის თუ იცი, რომ მოსალოდნელია შიმშილობა, რომ მიწა მოსავალს არ იძლევა? იცი, რომ ვერც პურის მომარაგება მოვასწარით აქ, ვერც მედიკამენტებისა? იცი თუ არა, რომ ეს შენი სხივური შიმშილობა ოც პროცენტამდე შემთხვევებში შეშლილობას იწვევს? - მან ხელით მოიწმინდა დიდი შემელოტებული შუბლი. - ჩვენ გვესაჭიროება ექიმები... თორმეტი ათასი ექიმი. გვესაჭიროება ცილების სინთეზატორები. დასაწყისისთვის ასი მილიონი ჰექტარი მოწამლული მიწის დეზაქტივიზება მოგვიწევს. ბიოსფეროს გადაგვარება უნდა შევაჩეროთ... მასარაკშ, ერთი დედამიწელი მაინც უნდა გვყავდეს კუნძულებზე, იმ არამზადის საადმირალოში... არავის არ შეუძლია იქ გაძლოს, ვერც ერთ ჩვენიანს ის ვერ მოუხერხებია, თუნდაც დაბრუნდეს და გასაგებად გვიამბოს, რა ხდება იქ...

მაქსიმი დუმდა. ისინი მიუახლოვდნენ მანქანებს, რომლებსაც გასასვლელი ჩაეხერგათ. შავგვრემანი ჯმუხი ოფიცერი, რომელსაც ხელის ქნევა საოცრად მიუგავდა ვიღაცას, მიუახლოვდათ და ჩხავანა ხმით საბუთები მოითხოვა. მწირმა ბრაზიანად და მოუთმენლად ცხვირში შესჩარა მბრწყინავი ჟეტო-

ნი. ოფიცერმა კუშტად აუწია ხელი და მაქსიმს შეხედა. ის იყო ბატონი როტ-მისტრი... არა, ახლა უკვე მებრძოლი ლეგიონის ბრიგადირი ჩაჩუ! მას თვალე-ბი გაფართოებოდა.

- ეს კაცი თქვენთანაა, თქვენო უდიდებულესობავ? - იკითხა მან.

- დიახ. დაუყოვნებლივ უბრძანეთ, გამატარონ.

- უკაცრავად, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ ეს კაცი...

- ახლავე გაგვატარეთ! - დაიგუგუნა მწირმა.

ბრიგადირმა ჩაჩუმ კვლავ კუშტად აუწია ხელი. ქუსლებზე შემოტრიალდა და ჯარისკაცებს ხელი დაუქნია. ერთ-ერთი სატვირთო მანქანა წავიდა და მწირმა მანქანა გაღებულ შესასვლელში შეაგდო.

- აი ასე, - ჩაილაპარაკა მან. - შენ კი გეგონა - ერთი, ორი, და მორჩაო... უნდა მივახვრიტოთ მწირი, ჩამოვკიდოთ შემოქმედნი, შტაბში გავრეკოთ ლაჩრები და ფაშისტები და მორჩა რევოლუცია...

- მე არასდროს ასე არ მიფიქრია, - თქვა მაქსიმმა. ის თავს ძალზე უბედუ-რად, განადგურებულად, უმწეოდ, უიმედო სულელად თვლიდა.

მწირმა ცერად გახედა, ნაღვლიანად გაიღიმა, და ამ დროს მაქსიმი უეცრად მიხვდა, რომ ის არავითარი დემონი არ არის, არც არავითარი მწირია, არც ურჩხულია, - ის ძალზე ხნიერი, ძალზე კეთილი და ძალზე შელახული კაცია, უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნებით დათრგუნვილი, გულგრილი მკვლე-ლის საზიზღარი ნიღბით გაწამებული, ძალზე შეწუხებული მორიგი მარ-ცხით, რომელმაც სულ დაუმსხვრია გულდასმით შემუშავებული გეგმა, და განსაკუთრებით შეწუხებული იმით, რომ ამჯერად დაბრკოლებად თავისია-ნი - დედამიწელი გაუხდა.

- ვერ დაგეწიე, - თქვა ნაღვლიანად. - ვერ შეგამჩნიე, ჯეროვნად ვერ შეგა-ფასე. ვიფიქრე, ცოდვაა, ბავშვია-მეთქი. ჩავვარდი, როგორც ქათამი გასაბ-დღვნელად... - კვლავ ჩაიცინა და ამოიოხრა, - მარჯვე ბიჭები კი ხართ მანდ...

- არა, - თქვა მაქსიმმა. - ასე ნუ წუხხართ. მე ხომ არ ვეწამები... უკაცრავად, თქვენ რა გქვიათ?

- რუდოლფი დამიძახეთ.

- ჰო... მე ხომ არ ვეწამები, რუდოლფ. არც ვაპირებ. მუშაობას ვაპირებ რე-ვოლუციის შემზადებას.

- უმჯობესია, შინ წახვიდე, - ურჩია მწირმა უკვე სრულიად უიმედოდ.

- მე შინ ვარ, - თქვა მაქსიმმა მოუთმენლად. - მეტს ნუღა ვილაპარაკებთ ამაზე... მე მაინტერესებს მოძრავი გამომსხივებლები. რა უნდა ვუყოთ მათ.

- მათ არაფერი არ უნდა უყოთ, - უპასუხა მწირმა. - უმჯობესია იფიქრო, რა უყოთ ინფლაციას...

- მე გამომსხივებლებზე გეკითხებით, - თქვა მაქსიმმა. მწირმა ამოიოხრა.

- მათ ამუშავებს აკუმულატორები, - აუხსნა მან, - რომელთა დამუხტვა მარტო ჩემთან შეიძლება დეპარტამენტში. სამი დღის შემდეგ ისინი მოკვდებიან... მაგრამ აი, ერთი თვის შემდეგ რევოლუცია უნდა დაიწყოს. ჩვეულებრივ ვახერხებდით კურსიდან გადაგვეცდინა სუბმარინები და სანაპირომდე მხოლოდ ერთეულები აღწევდნენ. ამჯერად კი ისინი არმადას ამზადებენ... დეპრესიული გამოსხივების იმედი მქონდა, ახლა კი უნდა ჩავძიროთ უბრალოდ... - დადუმდა, - მაშ, შინა ხარ. დავუშვათ... მაინც კონკრეტულად რა გინდა აკეთო?

დეპარტამენტს უახლოვდებოდნენ. მძიმე ჭიშკარი მაგრად იყო ჩაკეტილი, ქვის გალავანში შავად მოჩანდა სათოფურები, რომლებიც წინათ აქ არ ყოფილა. დეპარტამენტი ბრძოლისთვის გამზადებულ ციხე-სიმაგრეს დაემსგავსა. პატარა პავილიონთან კი სამნი იდგნენ, და ზეფის ჟღალი წვერი ეგზოტიკური ყვავილივით გიზგიზებდა სიმწვანეში.

- არ ვიცი, - თქვა მაქსიმმა. - იმას გავაკეთებ, რასაც მცოდნე ადამიანები მიბრძანებენ. თუ საჭირო გახდა, ინფლაციას მივხედავ. თუ დამჭირდა, სუბმარინებს ჩავძირავ... მაგრამ მტკიცედ ვიცი, ჩემი მთავარი ამოცანა: სანამ ცოცხალი ვარ, ვერავინ შეძლებს კიდევ ერთი ცენტრი ააგოს. თუნდაც საუკეთესო სურვილებით...

მწირს არაფერი უთქვამს. ჭიშკარი უკვე სულ ახლოს იყო. ზეფი ცოცხალ მესერში გაძვრა და გზაზე გავიდა. მხარზე ავტომატი ეკიდა, და შორიდან ჩანდა, რომ გაბრაზებულია, არაფერი ესმის და საშინელი წყევლა-კრულვით მოითხოვს განმარტებას, მასარაკშ, რატომ მოსწყვიტეს სამუშაოს, თავგზა აუბნიეს მწირზე ლაპარაკით და აიძულებენ უკვე მეორე საათი ბიჭივით იდგეს ყვავილებს შორის.

მკითხველთა ლიგა